

# କାନ୍ଦିଲ

ଫାରସିଦ ଓ ତାମାହାଫରମାରା

Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
Proceedings No. 7 of Folklore Studies Department

**KHVTISO MAMISIMEDISHVILI**

**P A N K I S I**

**Past and Modernity**

**ivane j avaxiSvil is saxel obis Tbil isis saxel nifo  
universitetis fol kl oristikis departamentis  
Sromebi #7**

**ხ 3 0 0 ს 0 9 9 0 0 9 0 0 9 0 0**

**პ ა ნ პ 0 ს 0**

**წარსული და თანამედროვეობა**



**თ ბ ი ლ ი ს ი ს  
უნივერსიტეტის  
გამომცემობა**

წინამდებარე წიგნში განხილულია პანკისის ხეობაში უძველესი დროიდან დღემდე მიმდინარე ისტორიული, კულტურული და მიგრაციული პროცესები. წაშრომი მრავალმხრივ არის საყურადღებო, მასში დეტალურად არის გაანალიზებული ხალხთა მიგრაციის შედეგად პანკისში შექმნილი სოციალური და ეთნიკური ცვლილებები, აგრეთვე, ხეობაში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობისა და რელიგიური მრნამსის მქონე ხალხთა ურთიერთდამოკიდებულება, შრომითი საქმიანობა და ზეპირსიტყვიერება. მასალის დიდი ნაწილი ავტორმა უმთავრესად ველზე უშუალოდ ჩატარებული სამუშაოს შედეგად მოიპოვა.

წიგნი უსათუოდ მიიპყრობს მეცნიერების სხვადასხვა დარგით — ფოლკლორით, ისტორიით, ენათმეცნიერებით, ეთნოგრაფიითა და ხალხური რელიგიური ტრადიციით დაინტერესებული მკითხველის ყურადღებას.

## რედაქტორი ზურაბ კიკნაძე

**რეცენზენტები:** როლანდ თოფჩიშვილი  
თეიმურაზ ქურდოვანიძე  
რუსუდან ჩოლოყაშვილი  
ეკა ჩხეიძე

## ნიცათება

ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, აგრეთვე, პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით ჩვენი ქვეყნისთვის პანკისის ხეობას საუკუნეების მანძილზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა.

თუმცა მრავალი უბედურება გადაუტანია ადგილობრივ მოსახლეობას, მაგრამ, მოყოლებული ბრინჯაოს ხანიდან მე-18 საუკუნის 30-იან წლებამდე, იქ სიცოცხლე განუწყვეტლივ ჩქეფდა, რაზეც, სხვადასხვა ისტორიულ წყაროებთან ერთად, თვალნათლივ მეტყველებს ქართული ისტორიული ძეგლებით მოფენილი ხეობა.

ირანისა და ოსმალეთის, მეტადრე, დაღესტნელი ფეოდალების განუწყვეტელი თავდასხმების შედეგად პანკისის ხეობა მე-18 საუკუნის 30–40-იან წლებში მოსახლეობისგან დაიცალა. ამის შემდეგ, მთელი საუკუნის მანძილზე, იქ კერიაზე ცეცხლი თითქმის აღარ ანთებულა, ნასახლარები ატყევდა და ნადირის თავშესაფრად გადაიქცა.

მე-19 საუკუნის 40–50-იანი წლებიდან პანკისის ხეობაში ქისტები და ქართველი მთიელები სახლდებიან, ცოტა მოგვიანებით კი – ოსები. ამ ხალხებმა, როგორც მთიელებმა, პანკისში შემოიტანეს მთისათვის დამახასიათებელი ყოფითი ელემენტები, რაც არცენილია მათ ენაში, ადათებსა და სარწმუნოებრივ ტრადიციებში.

წიგნის დაწერის იმპულსი მომცა კავკასიაში გამეფებული ეთნოკრიზისების მშვიდობიანი დარეგულირების სურვილმა. ვფიქრობ, კავკასიელ ხალხებს შორის დათესილი ეჭვისა და უნდობლობის გაქარწყლება წარსულის ღრმა შემეცნებით არის შესაძლებელი. საჭიროა, ამ გადასახედიდან გვახსოვდეს, თუ ვინ ვართ ერთმანეთისთვის კავკასიელები, საერთოდ ადამიანები, და როგორ უნდა დავამკვიდროთ რეგიონში მოქალაქეობრივი ცნობიერება, სამართლიანობა, მშვიდობა, სიყვარული და ჰარმონია.

## შ ე ს ა ვ ა ლ ი

პანკისის ხეობა ყურადღებას იქცევს იდუმალი, ბურუსით მოცული რომანტიკული წარსულით, შუა საუკუნეების მატე-რიალური კულტურის ძეგლთა სიუხვით, ტრადიციული საზო-გადოებების მრავალფეროვანი წეს-ჩვეულებებითა და მდიდარი ფოლკლორით.

ნაშრომში შევეცადე, რისი საშუალებაც დოკუმენტებმა და წყაროებმა მომცა, წარმომეჩინა პანკისის ხეობის როლი და მნიშვნელობა საქართველოს ისტორიულ პროცესებში; დაგვე-ნახა, სადამდეც თვალი მიგვიწვდება, წარსულის ნისლში გახვე-ული გმირები, რომლებმაც პანკისის მინაზე თავიანთი ბობოქარი ცხოვრების ნაკვალევი აღბეჭდეს.

ქართველი მთიელების, ქისტებისა და ოსების პანკისში ჩამო-სახლების შემდეგ, მთელი 100–150 წლის მანძილზე, მათი ყოფა და ცხოვრების სტილი მნიშვნელოვნად შეიცვალა, თუმცა თა-ნაცხოვრების პირობებში პანკისელი მთიელების მოქალაქე-ობრივ ცნობიერებასა და შემოქმედებით ფანტაზიას უმთავ-რესად საერთო ადამიანური ინტერესები ასაზრდოებდა. ასე იქმნებოდა ერთიანი სულიერი კულტურა, რომელიც მეტ-ნაკ-ლებად აისახა პანკისში მცხოვრებ ხალხთა ზეპირსიტყვიერ ტექ-სტებში, საზოგადოებრივ ურთიერთობებსა და წეს-ადათებში.

პანკისის ხეობა საქართველოს პოლიტიკურ პროცესებში ოდითგანვე აქტიურად ჩაება და ამიტომ ისტორიულ ქრონიკებში ის არცთუ იშვიათად მოიხსენიება. პანკისის შესახებ ძვირფას მასალებს ვხვდებით „ქართლის ცხოვრებაში“.

პანკისის გეოგრაფიის, სოფლების განლაგებისა და ეკონო-მიკური მდგომარეობის შესახებ საყურადღებო ცნობებს გვაწვ-დის ვახუშტი ბაგრატიონი.

ხეობის სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური ვითა-რების შესახებ მნიშვნელოვანი მასალები არის დაცული კ. კეკე-ლიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის, თელავის, ახმე-

ტისა და საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივებში.

მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში პანკისში მიმდინარე საზოგადოებრივი პროცესები ხშირად შუქ-დებოდა ქართულ პერიოდიკაში.

პანკისის შესახებ უცხოური წყაროებიდან მნიშვნელოვანია ისკანდერ მუნშის, გუსტავ რადეს, კარლ ჰაინც კოხის, ალექსან-დრე ზისერმანისა და სხვების შრომები.

პანკისის ხეობის მეცნიერული შესწავლის თვალსაზრისით ბევრი რამ გაკეთდა, თუნდაც ლეილა მარგოშვილის შრომები რად ღირს. პატივცემულმა მეცნიერმა პანკისელი ქისტების წეს-ჩვეულებების გაცნობას რამდენიმე ფუნდამენტური ნაშრომი უძლვნა. მათ შორის აღსანიშნავია „პანკისის ხეობა“, თბ., 2002; „კულტურულ-ეთნიკური ურთიერთობები საქართველოსა და ჩეჩენეთ-ინგუშეთს შორის“ (რუსულ ენაზე), თბ., 1990; „ჩაცმულობა, რომელიც მოდას არ დაგიდევთ“, თბ., 1992; „პანკისელი ქისტების წეს-ჩვეულებები და თანამედროვეობა“, თბ., 1985. აღნიშნულ შრომებში ლ. მარგოშვილმა მდიდარ დოკუმენტურ მასალებზე დაყრდნობით, საკითხის ღრმა ცოდნით, გააანალიზა და თვალწინ გადაგვიშალა პანკისელი ქისტების ტრადიციები, მათი ყოფა-ცხოვრება, რელიგიური წარმოდგენები, კულტურა.

პანკისის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის კვლევას დიდი ამაგი დასდო დავით მუსხელიშვილმა. ღვაწლმოსილმა მეცნიერმა ამომწურავად ახსნა აღნიშნულ გეოგრაფიულ არეალში პანკისის საერისთავოს ჩამოყალიბების ისტორიული მიზეზები. მის შრომებში ყურადღება გამახვილებულია აგრეთვე იმ ეკონომიკურ პროცესებზე, რომლებიც დამახასიათებელი იყო ფეოდალური ხანის პანკისისათვის.

კახეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1965–1966 წლებში პანკისში ფართომასშტაბიანი სამუშაოები ჩაატარა. კ. ფიცხელაურისა და შ. დედაბრიშვილის შრომებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბრინჯაოს ხანის პანკისის მატერიალური კულტურის გასაცნობად. მათ, ასევე, ხეობაში ფეოდალური ხანის არაერთი ნასოფლარი აღმოაჩინეს, განსაზღვრეს ნანგრევებადქცეული მატერიალური კულტურის ძეგლთა რაობა, დანიშნულება და ფუნქციები.

პანკისის ხეობის გზა-ბილიკები ისტორიული გეოგრაფიის თვალსაზრისით საფუძვლიანად გამოიკვლიერ აბრამ შავხელიშვილმა და ვალერიან ელანიძემ. მათ თავიანთ შრომებში ყურადღება გაამახვილეს აგრეთვე საქართველოს მთიანეთის ეკონომიკის, კერძოდ, მეცხვარეობის განვითარებაში პანკისის ხეობის განსაკუთრებულ როლზე.

მოსახლეობისგან დაცლილ პანკისში აზნაურთა მამულების მდგომარეობის შესახებ საყურადღებო ცნობებს გვაწვდის მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის ქართლ-კახეთის სამეფო კარის სასამართლო განჩინებანი. სასამართლო ოქმებიდან ვეცნობით პანკისელ მემამულებს შორის წამოჭრილ სადაც საკითხებს, ხეობის ეკონომიკურ მდგომარეობას, ადამიანის უფლებებს, სამართლის ნორმებს და სხვ.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის პანკისის ეკონომიკური მდგომარეობა საფუძვლიანად შეისწავლა მ. მაჩაბელმა. მ. მაჩაბლის ნაშრომი „თიანეთის მაზრის სახელმწიფო გლეხების ეკონომიკური ყოფა“ (ტფ., 1887. რუსულ ენაზე) განსაკუთრებით მდიდარია დოკუმენტური მასალითა და სტატისტიკური მონაცემებით.

პანკისის ხეობის ქისტურ ტოპონიმებს საინტერესო გამოკვლევა უძღვნა როსტომ ფარეულიძემ. პანკისის ხეობის ტოპონიმები განხილულია აგრეთვე იბრაჟიმ ალიროევის ნაშრომში „ჩეჩენებისა და ინგუშების ისტორია და კულტურა“ (გროზნო, 1994. რუსულ ენაზე), აგრეთვე „ჩეჩენური ენის ქისტური დიალექტი“.

2002 წელს ლ. მელიქიშვილის რედაქტორობით გამოქვეყნდა კრებული „პანკისის კრიზისი“, რომელშიც გაანალიზებულია ხეობაში ჩეჩენი ლტოლვილების შემოსვლის შემდეგ შექმნილი პრობლემები.

2005 წელს პანკისის ხეობის შესახებ კიდევ ორი წიგნი გამოიცა: მათე ალბუთაშვილის „პანკისის ხეობა“ (წიგნი გამოსაცემად მოამზადეს, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთეს პროფესორებმა გოგი და ნიკო ჯავახიშვილებმა) და ხასო ხანგოშვილის „ქისტები“. მათე ალბუთაშვილი ნაშრომში პანკისელი ქისტების, ოსებისა და ქართველი მთიელების ცხოვრების ასინლის წინანდელ ყოფას ასახავს, ხასო ხანგოშვილი კი სხვა ვაინას

ტომებთან ერთად პანკისელი ქისტების ისტორიულ წარსულსა და დღევანდელობასაც აღგვინერს (52. 95–104).

მ. ალბუთაშვილი 1893–1921 წლებში იყო ჯოულოს ღვთის-მშობლის ეკლესიის მოძღვარი. XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში მისი წერილები „ქისტი ჩობანის“ ფსევ-დონიმით ხშირად იბეჭდებოდა ილია ჭავჭავაძის გაზეთ „ივე-რიასა“ და სხვა პერიოდულ გამოცემებში. მათე ალბუთაშვილის „პანკისის ხეობა“ ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული ხასიათის ნაშ-რომია, რომელიც მის სხვა პუბლიკაციებთან ერთად ხალხის უსაზღვრო სიყვარულითაა გამსჭვალული. თავისი შემოქმე-დებით იგი ნარმოჩნდა როგორც მწერალი, ფოლკლორისტი და პედაგოგი.

ნინამდებარე ნაშრომში გამოყენებულია 1995–2005 წლებში პანკისის ხეობაში ჩემ მიერ მოპოვებული ფოლკლორულ-ეთ-ნოგრაფიული მასალებიც.

## ၅ ၁ ၈ ၂ ၉ ၀

### პანკისის ხეობის ფიზიკურ-გეოგრაფიული თავისებურებანი

პანკისის ხეობა მდებარეობს კახეთში, მდინარე ალაზნის ზემო წელზე. იგი იწყება ბახტრიონისა და მატნის ზემოთ გაშლილ ვაკეზე. ჩრდილოეთით კი, კავკასიონის ფარგლებში, სულ უფრო და უფრო ვიწროვდება. მის სამხრეთ საზღვრად მიჩნეულია მდინარე კურტანაძეულისწყალი, რომელიც სოფელ ხევისჭალას ჩამოუდის და მატნის სიახლოვეს ალაზანს უერთდება. ჩრდილოეთიდან კი პანკის ბანარისწყალი ესაზღვრება. მთლიანად პანკისის ხეობა 20 კილომეტრის სიგრძეზეა გადაჭიმული. ხეობის სიგრძე ბორბალოს მთიდან მის სამხრეთ საზღვრამდე, კერძოდ, კურტანაძეულისწყალამდე, 34 კილომეტრია. შემოფარგლულია კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ განშტოებებით – პანკისისა და დიდგვერდ-ნაქერალის ქედებით. მთებს შორის გაწოლილია მომხიბვლელი სილამაზით შემკული ვაკე. პანკისის ჩრდილოეთით ალაზნის ზემო ნანილი ორ ხეობად იყოფა, რომელიც მდინარეებს წიფლოვნისწყალსა და სამყურისწყალს ეკუთვნის. „ზემო დინება 950 მ. სიმაღლეზეა. ეს მდინარეები ერთდებიან და წარმოშობები ალაზანს“ [95. 663].

მდინარე ალაზანი, რომელიც პანკისის ხეობას მთელ სიგრძეზე ჩამოუდის, სათავეს კავკასიონზე, მწვერვალ დიდი ბორბალოს აღმოსავლეთ ფერდობზე, ზღვის დონიდან 2750 მეტრზე იღებს. მისი სწრაფი ზვირთები ჯერ სამყურის მთას სამხრეთიდან ჩამოუვლის, ხოლო შემდეგ მოედინება წიფლოვნის ჭალაზე. ალაზანი რკინის მთის და სპეროზის მთის ძირსაც ეხეთქება. ბანარისწყლის შესართავის ქვემოთ ალაზანი თან-დათან ვაკდება.

ალაზნის ხეობის ჩრდილოეთით ბორბალოს მთის (3294 მ.) შემდეგ ყველაზე მაღალი მწვერვალები არის სამყურისნვერის (3256 მ.), გველის (3070 მ.), ხორაჯოსთავის (2940 მ.) და მახვალის (3334 მ.) მთები. ამ მთებზე განთავსებულია ჩრდილოეთ კავკასიაში გადასასვლელი უღელტეხილები. მათ შორის ყველაზე მოსახერხებელია ანდაქის (3134 მ.), საყორნის (2835 მ.) და სამყურისნვერის (3170 მ.) უღელტეხილები.

თიანეთის მაზრის სამმართველოს თარჯიმანი ე. გუგუშვილი 1886 წელს ჟურნალ „მწყემსში“ წერდა: „პანკისის ხეობა მთელი კახეთის თვალია, ვისაც კი უმგზავრია ამ ხეობაში, ყველანი ამტკიცებენ, რომ ამისთანა სილამაზით შემკობილი ხეობა არ არის თითქმის მთელ საქართველოში. ხეობა ყველაფრით მდიდარია: ჰაერით, ტყით, წყლით, შეძლებით. იგი აღმოსავლეთის და დასავლეთის მხრიდან შემოფარგლულია მშვენიერი ტყეებითა და მთებით. ჩრდილოეთით მოჩანს კავკასიონის მთები, საიდანაც გამოდის მდინარე ალაზანი და ჩამოუდის ამ ხეობას მარცხენა მხრიდან. მთების შუა ძევს დაცემული ვაკე კეკლუცად მორთული მუხის ტყით“ [20. 5].

მ. ალბუთაშვილი პანკისის ხეობის ჩრდილოეთ საზღვრად სპეროზის მთას ასახელებს [113. 99]. სპეროზის მთა მთელ ხეობას ჩრდილოეთიდან გადმოჰყურებს.

ალაზნის მარჯვენა მხარეს სამხრეთიდან ჩრდილოეთით განლაგებულია სოფლები: ბაყილოვანი, საკობიანო, კუნახტა, ყვარელნყალი, დუისი, დედისფერული, ჯოყოლო, ბირკიანი და ძიბახევი, ხოლო მარცხენა მხარეს, ჩრდილოეთიდან სამხრეთით: ომალო, დუმასტური, ხალანანი, წინუბანი და ქორეთი. ხეობის ჩრდილოეთით არის კიდევ რამდენიმე პატარა სოფელი და საზაფხულო სადგომი: ტბათანა, ტოლოშა, ხადორი, ხორაჯო, ჩხათანა და ქორთაბუდე. იქ მობინადრეები ძირითადად მხოლოდ ზაფხულობით ცხოვრობენ და მესაქონლეობას მისდევენ.

პანკისის ხეობიდან ჩრდილოეთის მიმართულებით კავკასიონზე გადასასვლელი ბილიკები მიემართება ხევსურეთისკენ, ჩრდილო-აღმოსავლეთით – თუშეთში.

ტბათანამდე სამანქანე გზა არის გაყვანილი, ხოლო იქიდან საცხენე ბილიკი მიემართება ალაზნისთავისკენ. ალაზნისთავიდან ბილიკები თუშეთის თემ-სოფლებისკენ მიემართება. თუშეთიდან კი ქერიგოს გადასასვლელით საცხენე ბილიკი ჩადის

ჩეჩენეთში, კერძოდ, ხილდიჭაროს ხეობაში, ხოლო ქაჩუს გადასასვლელით – ჯარაროში. თუმეთიდან ჩეჩენეთში ჩასვლა მოსახერხებელია აგრეთვე აწუნთის, თებულოს, უყარეჩოს, დანოს მთისა და ლაშერის მთის გადასასვლელებითაც [27. 169].

პანკისის ხეობა ხევსურეთს ბორბალოს მთაზე გადასასვლელი ბილიკით უკავშირდება. ბორბალოს მთიდან ბილიკი ანდაქის ხეობაში ჩადის. მიღმახევის სოფლების: არჭილოს, ანდაქის, არდოტისა და მუცოს გავლით გზა ანატორთან მიღის, სადაც ანდაქისწყალი მდინარე არღუნს უერთდება. ანატორიდან კი სამანქანე გზა, რომელიც 1999 წელს ჩეჩენეთის მხრიდან გამოიყვანეს, არღუნის ხეობით უშუალოდ ჩეჩენეთისკენ მიემართება. ანატორიდან შვიდიოდე კილომეტრში არის ჩეჩენების ნასოფლარი ჯარეგო.

პანკისში უამრავი წყარო, ხევი და პატარა მდინარეა. ყველა, როგორც წესი, ალაზანში ჩაედინება.

ბაწარის სიახლოვეს, ბირკიანის ზემოთ, წისქვილებისათვის და ბალ-ბოსტნების სარწყავად ალაზნიდან გადმოგდებულია მოზრდილი რუ, რომელიც ხეობას დასასვლელით მთა-გორების ძირზე ჩამოუდის და სოფელ ქორეთის პირდაპირ კვლავ ალაზანს უერთდება. არქეოლოგიურ მონაცემებზე დაყრდნობით დ. მუს-ხელიშვილი ვარაუდობს, რომ აღნიშნული საწისქვილე-სარწყავი არხი, რომელსაც „სარუესაც“ ეძახიან, ადრეფეოდალური ხანიდან უნდა ყოფილიყო ხეობაში გაჭრილი. გარდა ამისა, გარეგნულად იგი დამოუკიდებელ პატარა მდინარეს უფრო ჰგავს, ვიდრე ხელოვნურად გაჭრილ არხს [133. 145]. ეს არხი პანკისში ჩამოსახლების შემდეგ ბირკიანის, ჯოყოლოს, დუისისა და ყვარელნებლის მცხოვრებლებს აღუდგენიათ.

ალაზანმა წყალდიდობა გაზაფხულზე და ზაფხულის პირველ ნახევარში იცის, ხოლო მოვარდნა – შემოდგომაზე. ზამთარში მდინარე წყალმცირეა. ალაზანი არ იყინება. წყალდიდობისას გაღმა გასასასვლელად მდინარეში ფონის პოვნა ჭირს. ხადორ-ჰესის მშენებლობის დაწყებამდე პანკისის ხეობაში ალაზანზე მხოლოდ სამი ხიდი იყო გადებული. ერთი, საცალფეხო, დაკიდული რკინის ხიდი ბირკიანს ომალოსთან აერთებს; მეორე ხიდი დუისის ბოლოზეა, ზემო ალაზნის სარწყავი არხის სათავესთან, საიდანაც საავტომობილო გზა მიემართება ალაზნის მარცხენა სანაპიროს სოფლებისკენ; მესამე კი, თანამედროვე,

ფართო ხიდი სოფელ ქორეთს გამოლმა მხარესთან აკავშირებს. ძველად, როდესაც ქისტები და ქართველი მთიელები ხეობაში ახალი ჩამოსახლებულები იყვნენ, მდინარეზე ხიდები არ იყო, რაც ადგილობრივ მოსახლეობას სერიოზულ პრობლემებს უქმნიდა. ამის გამო ალაზანმა თავის მღვრიე ტალღებში ბევრს მოუსწრაფა სიცოცხლე.

ალაზნის კალაპოტი პანკისში არის რიყიანი. კლდოვანი ქანების უქონლობის გამო მდინარეს რიყე მიჰქონდა და ხიდებს ადგილად ანგრევდა.

ხეობაში თითქმის არ გვხვდება ჭაობიანი ადგილები, არც მინერალური წყლებითაა მდიდარი, თუმცა ადგილობრივი მცხოვრებლების აზრით, ჭობიოსწყალი სამკურნალოა. ზოგიერთები ამას რელიგიური რწმენითაც ხსნიან. წყალი ჭობიოს ხატთან მოედინება და როგორც ხატის წყალს, მას სასწაულმოქმედი თვისებები მიენერება. დასალევად გემრიელია. მასში პანკისელები, ძირითადად სოფელ ჯოყოლოს მცხოვრებლები, ბანაობენ კიდეც. როგორც ამბობენ, ჭობიოსწყალი კანის დაავადებებს არჩენს. ბანაობისას იგრძნობა, რომ ის მეტად მსუბუქი და სასიამოვნო წყალია. ტანს ასუფთავებს და წმენდს სხვადასხვა ავადმყოფობისგან.

პანკისის ხეობაში ძირითადად საშუალომთიანი რელიეფია, რომელიც გამოირჩევა ფერდობებითა და ლრმა ხევებით. მაღალმთიანი რელიეფი იწყება ბანარის ჩრდილოეთით, ზღვის დონიდან 2000–2500 მეტრზე, მთის ტყის ზედა საზღვრიდან, სადაც გვხვდება ციცაბო ფერდობები, კლდეები და ნაშალი მასალა. სიმაღლის მატებასთან ერთად იცვლება ჰავა და ნიადაგურ-მცენარეული საფარი. „პანკისის ხეობისთვის დამახასიათებელია ფართო, მოვაკებული, დატერასებული ფსკერი. ხეობა გამომუშავებულია იურიულ თიხაფიქალებში. რელიეფი ძირითადად ეროზიულია, მაგრამ სამყურის აუზში შეინიშნება მეოთხეული მყინვარის ნაკვალევი, ტროგები და დაკანკრული კლდეები“ [95. 663].

ხეობა ძვირფასი მადნებითაც უნდა იყოს მდიდარი. პანკისის სასარგებლო წიაღისეულის შესწავლით ჯერ კიდევ 1900 წელს დაინტერესებულან.

მე-19 საუკუნის 30–40-იან წლებში პანკისში გაუვალი და დაბურული ტყიანი ჭალა ყოფილა. ამის შესახებ საინტერესო ცნობებს გვანვდის მ. ალბუთაშვილი. 1904 წელს ის წერდა: „ნახევარი საუკუნე არც არის მას აქეთ, რაც ამ ხეობაზე ხალხი

დასახლებულა. იმ დროის მომსწრე მოხუცები გვიამბობენ, რომ სოფლების ზემოთ-ქვემოთ, სადაც ახლა მსხვილი ხის ძირიც აღარ იპოვება და მარტო საკურდლაო პატარ-პატარა ბუჩქებიღაა, – კაცისგან გაუვალი და მშვენიერი დაბურული ჭალა ყოფილა. შიგ კი გარეული ღორი და ირემი ბუდობდაო“ [113. 433].

მიუხედავად ამისა, პანკისის ხეობის გარშემო და განსაკუთრებით მის ჩრდილოეთით ტყის შესანიშნავი მასივები დღემდე შემორჩა. პანკისში ყველანაირი ბოსტნეული და თითქმის ყველა ის ხეხილი ხარობს, რაც აღმოსავლეთ საქართველოშია გავრცელებული. მათ შორის ბრონეული, ლელვი, კარალიოკი, ხურმა, ჭერამი, ვაზი, ატამი და სხვ. თუმცა ზოგიერთი ნაზყვავილოვანი ხე, რომელიც ადრე ყვავილობს, მაგალითად, ატამი, ნუში და ალუბალი, თუ ცივი გაზაფხული დადგა, ყვავილშივე ფუჭდება და ნაყოფს ვეღარ ისხამს, განსაკუთრებით ქორეთის მიდამოებში და აგრეთვე იმ ადგილებში, რომლებსაც მთები ზემოდან პირდაპირ დაჰყურებენ. გვიან აყვავებულ და ველურ ხეხილს გაზაფხულის ყინვა ვერაფერს აკლებს.

ალაზნის მარჯვენა შენაკადზე, პანკისის სოფლების ზემოთ, ბანარისწყლის ხეობაში არის უთხოვრის ტყის სახელმწიფო ნაკრძალი. იქ შემონახულია უთხოვრის იშვიათი კორომი.

ბანარისწყლის შესართავიდან სამი კილომეტრის მოშორებით, ბანარის ხეობის მარჯვენა ნაპირზე არის უთხოვრის პირველი შესანიშნავი ეგზემპლარი, რომლის დიამეტრი 140 სმ-ს აღწევს. თვით მთელი ხე შემოსილია ხავსით და მღიერით. ნიკო კეცხოველი ამ ხეს 1000 წელზე მეტი ხნით ათარიღებს. უთხოვრის ტყე აქედან იწყება და ექვს კილომეტრზეა გადაჭიმული, ზღვის დონიდან 1100–1500 მეტრზე, რომელიც ფერდობის დაქანებებზე 200 მ. სიგანეზეა გადაშლილი. ბანარის უთხოვრიანის ფართობი 900 ჰექტარს მოიცავს, ხოლო თვითონ ნაკრძალის ფართობი სამი ათას ჰექტარს აღემატება. ნაკრძალი 1935 წელს დაარსდა. მასში დაცულია რელაქტიური ჯიშის უთხოვრის ხელუხლებელი კორომები, რომლებსაც დიდი სამეცნიერო ღირებულება აქვს.

უთხოვარი მარადმნვანე მცენარეა, რომელსაც უძვირფასესი მერქანი აქვს, ის ძლებს ხანგრძლივად, ამასთან, ულამაზესია, რადგან მას მოწითალო ფერი აქვს და სარკესავით ბზინავს.

უთხოვარმა საუკუნეებს გაუძლო. მოსახლეობამ საშენ მა-  
სალად არ გამოიყენა და ეს ძვირფასი ხე განადგურებას გადა-  
ურჩა. ამის მიზეზია ისიც, რომ უთხოვარი ძნელად მისადგომ ად-  
გილებში გვხვდება. ხოლო ადგილობრივ მოსახლეობას კი  
უთხოვარი ანგელოზის ხედ მიაჩნდა და მისი მოჭრა ღვთისგან  
ეკრძალებოდა. თუ ბანარისწყალი უთხოვრის ხეს მოგლეჯდა და  
ჩამოათრევდა, მაშინ ოჯახისთვის გამოიყენებდნენ. სხვა შემთ-  
ხვევაში ხალხი მას არ ჭრიდა.

ბანარის ნაკრძალში უთხოვრის კორომებთან ერთად საკ-  
მაოდ დიდ ფართობზე გავრცელებულია წაბლიც. ტყეში ბევრია,  
აგრეთვე, რცხილა, ნეკერჩხალი, წიფელი, იფანი, ცაცხვი და სხვ.  
„სატაქქსაციო ჯგუფის გამოკვლევით, ერთ ჰექტარზე დაფიქსი-  
რებული 153 ხიდან 77 არის უთხოვარი, 61 – წიფელი, 12 – რცხი-  
ლა, 3 – ცაცხვი და სხვა ხე“ [33. 160].

სავარაუდო გამოანგარიშებით ყველაზე ახალგაზრდა უთ-  
ხოვარი 250 წლის უნდა იყოს. მრავალ ადგილას კი აღმოჩნდა  
საკმაოდ დიდი რაოდენობის აღმონაცენი, მაგრამ უმრავლესობა,  
როგორც ჩანს, აღმოცენების მესამე, მეხუთე წელს კვდება,  
რადგან დაბურული ტყე მას ზემოთ აღარ უშვებს.

უთხოვრის მრავალი ეგზემპლარი სიდამპლითაა დაავადე-  
ბული, განსაკუთრებით კი გადაბერებული ხეები.

როგორც წიკო კეცხოველი აღნიშნავს, „უთხოვრის ეს ტყე  
საქართველოში შესანიშნავია თავისი არსით და განმარტოებით.  
ასეთი დიდი და ხელუხლებელი ფართობი საქართველოს არც  
ერთ კუთხეში არ მოიპოვება. ამ ტყის ხელუხლებლად შენახვა  
იმას მოწმობს, რომ საქართველოს ტყეებში უთხოვარი ჩვე-  
ულებრივი მოვლენა იყო და საკმაოდ დიდ კორომებსაც ქმნიდა.  
მაგრამ მისი მერქნის სიძვირფასის გამო, ადამიანმა იგი მალე  
მოსპო, რასაც ხელი შეუწყო აგრეთვე თვით ამ სახეობის თა-  
ვისებურებებმაც“ [33. 160].

ბანარისხევსა და მის შენაკადებზე ვიწრო ზოლადაა ამოყ-  
რილი შესანიშნავი მურყნები, რომელთა სიმაღლე ხშირად 35  
მეტრს აღწევს.

პანკისის ხეობის ტყით დაფარულ მშვენიერ ფერდობებსა და  
მთებზე წინათ უამრავი ნადირი ბინადრობდა. ქისტი ჩობანი ამის  
შესახებ წერდა: „იყო დრო, როდესაც დაბლა ჭალებშიაც, სოფ-  
ლების ახლომახლო, ირემი და გარეული ღორი ბუდობდა; გამოც-

დილ მოხუც მონადირისაგან ნათქვამია: – რა ტყეშიც ირემი იცის, ის ნადირის ბუდეაო, და მართლაც რომ პანკისის ხეობა ერთ დროს ნადირის ბუდე იყო, სანამ ეს ჩეარა სასროლი თოფები შემოვიდოდა“ [113. 435].

ქისტები, როდესაც ახლადჩამოსახლებულები იყვნენ პანკისში, მეთევზეობას არ მისდევდნენ. ხეობის კუდებში უფრო მატნელები ადიოდნენ კალმახზე სათევზაოდ. ქისტი ჩობანი 1904 წელს წერდა: „ეს თევზეულობა უფრო ბევრი იცოდა აქ, ყველგან, წინათ, მანამ ხეობის მცხოვრებნი თევზაობას მიეჩვეოდნენ და ან თევზის გემოს გაიგებდნენ. ამ ბოლო დროს ბალებმაც კი ისნავლეს თევზაობა. თუმცა წინათ არაფერს დასდევდნენ, ამასთან პატარ-პატარა ბადეებიც გაიჩინეს და ამისთვის თევზიც ძალიან შეთხელდა“ [113. 439].

მათე აღბუთაშვილმა მე-20 საუკუნის დამდეგს მნიშვნელოვანი ნაშრომი შექმნა პანკისის ხეობის ფიზიკურ-გეოგრაფიული და ეკოლოგიური მდგომარეობის შესახებ. ერთი საუკუნის მანძილზე პანკისის ხეობაში ბევრი რამ შეიცვალა. იქ, სადაც ერთი საუკუნის წინ გაუვალი ტყეები იყო, დღეს სოფლები და ბალ-ბოსტენებიც გაშენებული. ალაზანში გაწყდა კალმახი, ზოგიერთი ხევი საერთოდ დაშრა. ტყეებში გაქრა ირემი და გარეული ლორი. პანკისში ამჟამად გარეული ფრინველის იგივე სახეობები ბინადრობს, რაც ერთი საუკუნის წინ. მაგრამ ტყეების მასიურმა ჩეხვამ შეიძლება ხეობაში ეკოლოგიური სიტუაცია საგრძნობლად შეცვალოს.

ფიზიკურ-გეოგრაფიული და კლიმატური პირობები პანკისის ხეობის დაბლობ ნაწილში, ვაკეზე, მიწათმოქმედების, მევენახეობისა და მებალეობა-მეხილეობისათვის შესანიშნავ პირობებს ქმნიდა. მთიან ზოლში, როგორც ვნახეთ, კარგად არის განვითარებული ტყიანი მასივები, ხოლო მაღალ მთაში იალაღებზე ნოყიერი ბალახი იზრდება, რაც ოდითგანვე ხელს უწყობდა რეგიონში მეცხვარეობა-მესაქონლეობის განვითარებას. პანკისის გეოგრაფიული გარემო მეტად ხელსაყრელია მოსახლეობის სამეურნეო ცხოვრებისათვის. სწორედ ამ და სხვა ხასიათის მიზეზებმა განაპირობა პანკისის ხეობაში უძველესი დროიდანვე ადამიანთა განსახლება.

## პანკისის ხეობის ტოპონიმია

პანკისის ხეობის ტოპონიმების მრავალფეროვნება ამ კუთხის ისტორიული წარსულის თავისებურებით აიხსნება. როგორც ცნობილია, მე-18 საუკუნის 30-იან წლებში ხეობა ქართული მოსახლეობისაგან დაიცალა: ნაწილი გარეშე მტრების შემოსევების შედეგად განყდა, ნაწილიც სხვაგან გადასახლდა. რადგან ტოპონიმებს ხალხის მესიერება ინახავს, ისტორიული ბედუკულმართობის გამო მრავალი ტოპონიმი საერთოდ გაქრა.

ხეობაში ჩამოსახლებულმა ქისტებმა, ოსებმა და ქართველმა მთიელებმა პანკისში ახალი სახელწოდებები შექმნეს, ზოგიც ძველი საცხოვრისიდან მოიტანეს, აგრეთვე, მოახდინეს უკვე არსებულის თარგმანა-კალკირება, რომლის შემადგენლობაშიც გვხვდება ჰიბრიდული ანუ ორენვანი გეოგრაფიული სახელები. ამგვარად, პანკისის ხეობის ტოპონიმია სხვადასხვადროინდელ და სხვადასხვა ენობრივ პლასტებს, დანაშრევებს შეიცავს. მიუხედავად ამისა, პანკისის ტოპონიმია ძირითადად ქართულია. გეოგრაფიულ სახელწოდებათა სიძველის გამო ზოგიერთი ტოპონიმის ამოსავალი ფუძის მინიშვნელობა ხშირად გაურკვეველია, ხოლო მანარმოებელი აფიქსები კი აშკარად ქართულია. ამიტომაა, რომ -ის, -ორ (პანკ-ის-ი, ხად-ორ-ი) სუფიქსები პანკისის ხეობის ტოპონიმებში ხშირად ისეთ სიტყვებს მიერთვიან, რომელთა წარმომავლობა და შინაარსი დღესდღეობით გაუგებარია.

ხანდაზმულ ტოპონიმად უნდა ჩაითვალოს პანკისი, რომელ-შიც ფუძედ, ალბათ, პანკ- გამოიყოფა. პანკ- ფუძის მნიშვნელობა გაურკვეველია. ქართულში მეტად გავრცელებული მატოპონიმირებელი -ის სუფიქსი უმტესად ზედსართავებსა და საზოგადო არსებით სახელებს მიერთოდა: მანგლ-ის-ი, ტფილ-ის-ი, ფარცხ-ის-ი, ვეძ-ის-ი, მოხ-ის-ი, რუ-ის-ი, ურბნ-ის-ი, ტაძრ-ის-ი და სხვა. შესაძლოა პანკისი წარმომდგარი იყოს პირველადი ტოპონიმისაგან – პანკი. როგორც მაგალითად, გომი – გომარეთი, ჭობი – ჭობარეთი, ყვარა – ყვარელი და სხვა.

შეუსაუკუნეებში დღევანდელ ყვარელწყალ-საკობიანოს მიდამოებში გაშენებული ყოფილა სოფელი პანკისი.

მ. ალბუთაშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ პანკისი „პანკისიდან“ მომდინარეობს, რაც პანტით მდიდარ ადგილს აღ-

ნიშნავს: პანტ-ის-ი -> პანკ-ის-ი [1. 39]. ქართულ ენაში ტ და კ ბგერების მონაცვლეობა მართლაც დასტურდება, როგორც მა-გალითად, ტიმოთე->კიმოთე.

გეოგრაფიული სახელების მანარმოებელი ესოდენ ნიშან-დობლივი სუფიქსი – ის გვხვდება, აგრეთვე, ტოპონიმ დუისშიც (დუ-ის-ი). მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში დაარსებულ ამ სოფელს ქისტების ერთ-ერთი წინამდლოლის დუის პატივსა-ცემად დაერქვა ეს სახელი. ქისტურად მას ჰქვია დუმღურთ -> დუისსოფელი.

პანკისის ხეობაში გვხვდება მქონებლობის აღმნიშვნელი -იან სუფიქსით ნანარმოები ტოპონიმები: კაკლ-იან-ი, ბირკ-იან-ი, ბარდ-იან-ი, დიყ-იან-ი. სიმრავლე – კრებითობის მანარმოებელ-იან სუფიქსს ეს ტოპონიმები ისეთ საკუთარ სახელებად უქცევია, რომელშიც გადმოცემულია ადგილმდებარეობის დახასიათება. კაკლიანი ნიშნავს კაკლებით მდიდარ ადგილს, ბირკიანი – მინ-დორს, სადაც ბევრი ბლაუჭანაყოფიანი მცენარე – ბირკა იზრ-დება და სხვა. ამ ტოპონიმების ფუძეებად მცენარეული საფარის აღმნიშვნელი საზოგადო სახელებია წარმოდგენილი: კაკალი, ბირკა, დიყი, ბარდი. ასეთი წარმოების გეოგრაფიული სახელები ქართულში საკმაოდ ბევრია: ვაზიანი, მუხიანი, წაბლიანი, ვერ-ხვიანი და სხვა.

-ოვან სუფიქსიც უმთავრესად მცენარეული საფარის აღმ-ნიშვნელ ტოპონიმებში გვხვდება. პანკისში -ოვან ბოლოსარ-თიანი გეოგრაფიული სახელებია წიფლოვანი, ბაყილოვანი. ბა-ყილოვანში ფუძედ ბაყილ- გამოიყოფა. სულხან-საბა ორბე-ლიანის განმარტებით ბაყილა არის ახალნორჩი ხილის ხე, გინა ახალნორჩი ნიგვზის ხე [68. 98].

ამ ტიპის ტოპონიმებიც ფართოდ არის გავრცელებული სა-ქართველოში: ნარ-ოვან-ი, მუხრ-ოვან-ი, ვაშლ-ოვან-ი და სხვა.

სავარაუდოა, რომ ურთნალი (<-ურთ-ნარ-ი) ნანარმოებია ისე, როგორც მცენარეული საფარის აღმნიშვნელი სხვა ტო-პონიმები: ფიჭვ-ნარ-ი, მუხ-ნარ-ი, თხილ-ნარ-ი.

ურთანალს ადგილობრივი მცხოვრებლები ურთანაულსაც უწოდებენ, რომელიც გარკვეული ფონეტიკური ცვლილებების შედეგად უნდა იყოს მიღებული.

გეოგრაფიულ სახელებში ტბათანა და ჩხათანა, როგორც ვარაუდობენ, გამოიყოფა -თანა სუფიქსი. ამგვარად ნაწარმოები ტოპონიმები უმეტესად გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში: ხეთანა, კალოთანა, კართანა და სხვა. ტოპონიმის ფუძედ ყველგან საზოგადო სახელია: კალო, კარი, ხე, ტბა. უ. სახლთხუციშვილმა ჩემთან საუბარში გამოთქვა ვარაუდი, რომ ასეთ გეოგრაფიულ სახელებში -თან არის მიცემითი ბრუნვის თანდებული, ხოლო მატოპონიმირებელ ფუნქციას -ა სუფიქსი ასრულებს.

სოფლის სახელწოდება საკობიანო წარმოქმნილია სა- - -ო აფიქსით. მისი ფუძეა გვარი კობიაშვილი → კობიანი, სა-კობიანო უნდა მომდინარეობდეს სიტყვიდან „კობიანი“.

მე-18 საუკუნის ქართული სამართლის ძეგლებში კობიაშვილები პანკისის ხეობის მემამულებად არიან მოხსენიებულნი [97. 288–292].

სა- - -ო მაწარმოებლით არის წარმოქმნილი ტოპონიმი სა-ქისტ-ო. როგორც გ. ბედოშვილი აღნიშნავს, ქართველები „მოსარიდებელ სამიშ ადგილებს ჩვეულებრივ აღნიშნავდნენ მათ მეზობლად მცხოვრები მარბელების კონკრეტული სატომო სახელებით: „საქისტოს ყელი“, „სალეკო გორი“, „ლეკო სასხდომები“ და მისთ.“ [12. 352].

ტოპონიმ „საქისტოს“ ეტიმოლოგიას ეხება ი. ალიროვიც. მისი აზრით, მთის სახელწოდება იმიტომ უკავშირდება ქისტებს, რომ მთიელი ჩეჩენები საქართველოში თავდასხმების დროს ამ მთაზე გადადიოდნენ, ხოლო უკან დაბრუნებისას იქ ისვენებდნენ და ნადავლს იყოფდნენ. მთის სახელი საქისტო აქედან უნდა მომდინარეობდეს [127. 13–14]. ჩემი აზრით, საქისტო ქისტეთისკენ (ჩეჩენეთისკენ) მიმავალ გზას, მიმართულებას უნდა აღნიშნავდეს.

სოფელ ქორეთთან გვხვდება მიკროტოპონიმი სათუშო, რომელშიც იმ ადგილის თუშებისადმი კუთვნილებაა გამოხატული და აგრეთვე თუშეთისკენ მიმავალი გზაც არის მოაზრებული. მართლაც, ცნობილია, რომ საქართველოს გასაბჭოებამდე ეს მიწები თუშების კუთვნილებაში იყო და ცხვარიც ამ გზით გა-

დაჰყავდათ კახეთის ზამთრის საძოვრებიდან თუშეთის იალა-  
ლებზე.

ტოპონიმების მკვლევართა ვარაუდით, -ურ სუფიქსი გეოგ-  
რაფიულ სახელებში, სხვადასხვა მნიშვნელობასთან ერთად,  
ხშირად ობიექტის ვინმესადმი კუთვნილებასაც აღნიშნავს. -ურ  
არის კუთვნილების გამომხატველი სუფიქსიც, მაგრამ ყოველ-  
თვის არა. პანკისში ამ ტიპის ტოპონიმებია: დუმასტური, ლა-  
მაზური, ყანაური. დუმასტური ისტორიულ დოკუმენტებში დუ-  
მასურის სახელწოდებითაც ხსენდება. გამორიცხული არ არის  
დუმასტურის კავშირი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში  
გავრცელებულ დამასტეს, დამასტურის ხატთან, რომელიც,  
რწმენა-წარმოდგენების მიხედვით, დარავდრიანობას განავებს.  
შესაძლოა, სოფელი წინათ შენირული იყო დამასტურის, დამას-  
ტეს ხატისადმი. სამწუხაროდ, დუმასტურის თავდაპირველი  
მოსახლეობა მე-18 საუკუნეები ამონციდა, ხოლო მათი რელიგიური  
რწმენის შესახებ მეტად მნირი ცნობები მოგვეპოვება: ვიცით  
მხოლოდ ის, რომ შუა საუკუნეებში დუმასტურში ცხოვრობდა  
ეთნიკურად ქართველი და აღმსარებლობით მართლმადიდებელი  
საზოგადოება, გვარად ონანაშვილები [124. 68]. ფშავში, სოფელ  
ხოშარის მახლობლად, არის დამასტურის ხატი. როგორც ჩანს,  
ივრის ხეობაში დამასტურის სალოცავი ფშავიდან მიგრირებულ  
მოსახლეობას უძველეს პერიოდში გადაუტანია. რადგანაც ივ-  
რის ხეობაში, სოფელ ჩაბანოსთან, კერძოდ, დამასტის მთასთან,  
დამასტურის სალოცავია და იგი ძველ ნასოფლარზეა აღმარ-  
თული, დ. მუსხელიშვილის აზრით, ტოპონიმი დუმასტური ადრე-  
ფერდალურ ხანაში ივრის ხეობიდან პანკისში მიგრირებულმა  
მოსახლეობამ შექმნა [62. 184]. ამრიგად, ტოპონიმი დამასტური  
გადაიტანეს ფშავისხევიდან ჯერ ივრის ხეობაში, იქიდან კი  
მოგვიანებით – პანკისის ხეობაში. ეს გეოგრაფიული სახელი მო-  
ახალშენებს მაშინ უნდა წარდოთ პანკისის ხეობაში, როდესაც  
ხდებოდა ტერმინ „კახეთის“ გეოგრაფიული და პოლიტიკური  
მნიშვნელობის გაფართოება.

შუა საუკუნეების ისტორიულ წყაროებში პანკისში მოხსე-  
ნიებულია სოფელი ყოდალაური. ეს ტოპონიმი ამჟამად აღარ  
არსებობს. ყოდალაური გაშენებული უნდა ყოფილიყო დღე-  
ვანდელი კუნახტის მახლობლად. ყოდალაურში -ურ- სუფიქსი  
საწარმოქმნო საშუალებაა და აშკარად გამოხატავს იმ ადგილის,

იმ სოფლის ყოდალაშვილებისადმი კუთვნილებას. მართლაც, მე-18 საუკუნის სამართლის ძეგლებში ხშირად ხსენდება გვარი ყოდალაშვილი. ისტორიული წყაროებიდან ირკვევა, რომ ყოდალაშვილებს პანკისის ხეობის გარკვეულ ტერიტორიაზე ჰქონიათ მამულები [99. 410–411]. რა თქმა უნდა, მე-18 საუკუნის სოფელ ყოდალაურის სახელწოდებაც ყოდალაშვილებისადმი მის კუთვნილებაზე მიუთითებს.

-ურ სუფიქსზე დაბოლოებული ტოპონიმები პანკისში ბევრია. დედისფერული (<-დედისფერ-ურ-ი) დედისფერას, დედისმსგავსს, დედისნაირს, დედასავით ტკბილსა და საყვარელს უნდა ნიშნავდეს. თქმულების მიხედვით, სოფლის სახელწოდება – დედისფერული იქ შავი ყურძნის, კერძოდ, საფერავის განსაკუთრებული ჯიშის არსებობას უკავშირდება. ძველად იმ სოფელში ვენახები ყოფილა. გადმოცემის თანახმად, „იქ ისეთი ღვინო ინურებოდა, როგორც დედის რძე“ ხალხური ეტიმოლოგიით, აქედან მომდინარეობს სოფლის სახელწოდება – დედისფერული.

-ურ-ა სუფიქსი საკმაოდ ხშირად ფიგურირებს საქართველოს ჰიდრონიმებში. გ. ბედოშვილის აზრით, ამ სუფიქსით უპირატესად პატარა მდინარე – ხევის კონკრეტული გეოგრაფიული ობიექტისადმი (მთა, ტყე, სოფელი, დაბა...) კუთვნილება გადმოიცემა: ჩარგალი–ჩარგლურა, ჩიხა–ჩიხურა. ანალოგიურ ვითარებას ვხვდებით პანკისის ხეობის ტოპონიმიაშიც. სოფელ საკობიანოსა და ზემო კუნახტას შორის ჩამოდის ხევი, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებნი კუნახტურას ეძახიან.

პანკისში გვხვდება გეოგრაფიული სახელები – ჭიქაურა და ბაბურა. ამ ტოპონიმებში -ურ-ა სუფიქსი არ გამოიყოფა და ისინი ჰიდრონიმებსაც არ გამოხატავენ. ჭიქაურა არის მთა, ხოლო ბაბურა ჰქვია ერთ ადგილს ყვარელწყალსა და დუისს შორის. ჩვენ ამ სახელთა ფუძე არ ვიცით. ბაბურა უნდა იყოს ანთროპონიმი. მართლაც, XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის მოსახლეობის აღწერის დავთრების მიხედვით, სოფელ პანკისში, რომელიც დღევანდელ ყვარელწყალ–საკობიანოს მიდამოებში მდებარეობდა, ცხოვრობდა ყორელი ბაბური – ხატის ყმა. ქართულ ენაში გვხვდება –ელ და -ურ სუფიქსზე დაბოლოებული როგორც გვარები, ასევე სახელებიც. აქ რომელია სახელი და რომელი გვარი გაურკვეველია.

პანკისში გვხვდება ტოპონიმები: საყორნე, საჯიხვე, საირმე. სა-ე (სა-ყორნ-ე, სა-ჯიხვ-ე, სა-ირმ-ე) მანარმოებლად ძირი-თადად ფაუნის ნარმომადგენელთა სახელებისგან მომდინარე ტოპონიმებში გვხვდება. საყორნე დაკავშირებულია აგრეთვე ამირანის თქმულების ერთ-ერთ ვარიანტთან. ამ ვერსიის მიხედვით, ამირანი შეკამათებია ღმერთს, ღმერთს სასჯელად საყორნის კლდეზე მიუჯაჭვავს და ყორნები მიუსევია მისი გულის საკორტნელად [129. 47]. პანკისში სპეროზის მთის სამხრეთ კალთაზე გვხვდება მიკროტოპონიმი ამირანის კუჭი. ამდენად, ქართული ზეპირსიტყვიერი ტექსტების მიხედვით, ამირანის თავგადასავლის ფრაგმენტები პანკისის ხეობის გარკვეულ გეოგრაფიულ არეალზეც აღბეჭდილა.

სოფელი ქორეთი ფრინველის სახელიდან წარმოდგება. ფრინველის სახელის ძირზე -ეთ სუფიქსით გაფორმებული გეოგრაფიული სახელები დადასტურებულია ქართულ ტოპონიმიაში (კაკაბ-ეთ-ი). პანკისის ხეობის ჩრდილოეთ ნაწილში არის ნასოფლარი ქორეთაბუდე. -ეთ სუფიქსიანი მიკროტოპონიმებია, აგრეთვე, სოფელ ქორეთთან დამწვარეთი და ქვემო ხალაწანთან - ღვინეთი. დამწვარეთი ადგილის სავალალო ისტორიულ წარსულს შეგვახსენებს, ხოლო ღვინეთი ქვემოხალაწნელი ოსების მიერ არის დარქმეული: ქვემო ხალაწანში ოსებს საყანე ადგილი ტყებუჩქებისაგან გაუწმენდიათ და ხვნის დროს გუთანი რაღაც საგანს გამოსდებია. მოუთხრიათ და კამეამა ღვინით სავსე ქვევრი უნახავთ. ჯერ მათ შორის ყველაზე გაბედულ მოხუცს დაულევია. ღვინის უვნებლობაში რომ დარწმუნებულან, სოფლელებს საკლავი დაუკლავთ და ამ ღვინით საღვთო გადაუხდიათ, ხოლო ადგილისათვის ღვინეთი შეურქმევიათ. ხალაწანთან გვხვდება, აგრეთვე, ტოპონიმი მღვიმეთი.

ნა- - -ალ აფიქსებით არის ნანარმოები ტოპონიმი ნაქერალი, ფუძეა -ქერ- (ნა-ქერ-ალ-ი). შესაძლოა, ტოპონიმის ამოსავალი ფუძე მომდინარეობდეს სიტყვიდან ნამქერი (<-ნამქერ-ალ-ი). ხალხური გადმოცემით, თუშებს იმ გზით ქერი უზიდავთ თავიანთ სოფლებში, ბილიკებზე ქერი ხშირად ეფანტებოდათ, რის შემდეგაც მინაში ჩარჩენილი თესლი ღივდებოდა და გაზაფხულზე ამოსული ჯეჯილი მწვანედ ბიბინებდა. ხალხური ეტიმოლოგით, ამიტომაც დარქმევია მთას ნაქერალი. ამ სახელწოდების ტოპონიმი არის რაჭაშიც.

ნა-ალ წინა ვითარების აღმნიშვნელი შინაარსის სახელებს აწარმოებს. პანკისის მძიმე ისტორიულმა წარსულმა, ხეობაში სიცოცხლის ჩაქრობამ და მოულოდნელმა მიგრაციულმა პროცესებმა განაპირობა იქ წინა ვითარების აღმნიშვნელი ტოპონიმების სიმრავლე, როგორებიცაა: ნაგზეური (ნა-გზ-ე-ურ-ი), ნაშარალი (ნა-შარ-ალ-ი), ნამარნალი (ნა-მარნ-ალ-ი) და სხვა. მე-18 საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოს მოსახლეობის აღწერის დავთორებსა და ვახუშტი ბატონიშვილის „ქართლ-კახეთის აღწერაში“ დაფიქსირებულია სოფელი ნაპანკისევი. **ნა-პანკის-ევ-ი** წინა ვითარების აღმნიშვნელი შინაარსის ტოპონიმია. ნაპანკისევი დღევანდელ ზემო ხალანანთან მდებარეობდა. აღსანიშნავია, რომ ქისტები ზემო ხალანანს დღესაც „ლაპეენგიზს“ უწოდებენ, რაც, ალბათ, ნაპანკისევს ნიშნავს. ამდენად, ქისტებმა ძველი ტოპონიმის თარგმნა-კალკირება მოახდინეს და სოფლის ისტორიული სახელწოდება ამ სახით შემოგვინახეს. პანკისის ხეობის ქვემო ნელზე მდებარე სოფელ ქორეთის მიკროტოპონიმები ნაბინავრები და ნაკაფევები ასევე წინა ვითარებას გამოხატავენ.

პანკისის სოფლების გარშემო, მთა-გორებზე, ყველგან, ნათლად არის აღბეჭდილი წინანდელი ნასოფლარ-ნასახლარები, ირგვლივ სხვადასხვა ჭურჭლისა და იარაღის ნამტვრევებია მიმოფანტული. ბევრგან გვხვდება ომსა და ნგრევას გადარჩენილი ქვევრები და საწნახლები. იმ ადგილებს, ყველას, თავ-თავისი სახელები აქვთ. ამ ტიპის მიკროტოპონიმია ნაყორა, რომელიც ყვარელნყალთან მდებარეობს. ნაყორაც წინა ვითარების გამომხატველია (ნა-ყორ-ალ-ი). თუმცა, ტ. მახაურის ცნობით, ნაყორა შეიძლება ნაყვრიანადან მომდინარეობდეს. მთიელები სანამ ადგილს ტყისგან განმენდნენ, ჯერ ნედლ ხეებს გარშემო მერქანს აჭრიდნენ და ახმობდნენ. ასეთ ხეებს ნაყვერი ჰქვია. შემდეგ ხეებს ფესვებიანად ამოძირკვავდნენ და შეშად იყენებდნენ. ტყისგან ამ მეთოდით გათავისუფლებულ ადგილს, რომელსაც ჯერ სახნავ-სათესად და მერე საძოვრებადაც იყენებდნენ, ნაყვრიანა ჰქვია. ამ ტიპის ტოპონიმები მრავლად გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოს მთანეთში.

გ. ბედოშვილის აზრით, ომალო ნაწარმოებია ბაცბური -ლო სუფიქსით [12. 57]. როგორც ჩანს, ტოპონიმი ომალო თუშ მეცხვარეებს შუა საუკუნეებში თუშეთიდან პანკისის ხეობაში

გადმოუტანიათ. -ლო ბოლოსართი ნახურად ნიშნავს -თანას. -ლო სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელები მრავლად გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, კერძოდ თუშეთში: დიკლო, დართლო; ხევსურეთში: არჭილო, ბორბალო.

ომალოს ანალოგიით უნდა იყოს ნაწარმოები პანკისის ხე-ობაში მე-19 საუკუნის 50-იან წლებში დაარსებულ სოფელ ჯოყოლოს სახელწოდებაც, რომელიც მისი დამაარსებლის, ქისტების ერთ-ერთ წინამდღოლ ჯოყოლას პატივსაცემად დაერქვა (ჯოყოლა -> ჯოყოლო).

გაურკვეველია ტოპონიმ ხადორის (ჭად-ორ-ი) ეტიმოლოგია. -ორ სეგმენტიანი სახელები საკმაოდ გვხვდება ქართულში: გომბ-ორ-ი, კოჯ-ორ-ი, ყად-ორ-ი, ფიჩ-ორ-ი, კოდ-ორ-ი და სხვ. -ორ სეგმენტი აქ აშკარად სადერივაციო ელემენტია. ხად-ორ-ის ერთი კომპონენტი ხად (ჭად) ფიქსირდება აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტოპონიმებშიც: ხადა (ჭადა), ხადუ (ჭადუ).

ტოპონიმ სპეროზას წარმომავლობას კოტე ჭრელაშვილი V საუკუნეში ირანში აღზევებული მეფის, პეროზის სახელს უკავშირებს.

ყვარელწყალი ისტორიულ დოკუმენტებში მოხსენიებულია ყორწყალის სახელწოდებით. სოფლის თავში არის ყორე, საიდანაც გამოიდიდა და დღესაც გამოდის წყარო. ტოპონიმში მსაზღვრელად საზოგადო არსებითი სახელია და წყაროს კუთვნილებას გამოხატავს.

პანკისს ჩრდილო დასავლეთიდან ბანარის ხეობა ესაზღვრება. იქ განთავსებულია ბანარის სახელმწიფო ნაკრძალი, სადაც უთხოვრის უნიკალური ჯიშებია დაცული. აჭარულ დიალექტზე „გზა-ბანარი“ ვინრო, საცალფეხო გზას ჰქვია [66. 146]. გზა-ბანარი კლდის მიუვალ ჭიუხებში გამავალი ვინრო, საშიში, ძნელად სავალი ბილიკია. ხ. თავდგირიძის აზრით, ამ ტერმინს წინათ ლვთაებრივი შეფერილობა და საკრალური მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, თუმცა გზა-ბანარას საკრალური არსი მითოლოგიურ გადმოცემებში არ წამლილა [28. 83]. ხალხურ მითოლოგიურ ცნობიერებაში ბანარა იგივეა, რაც ბენვის ხიდი, ციური ჯაჭვი, შიბი, თოკი. ზ. კიკაძის აღნიშვნით, „ჯაჭვი და შიბი გზის მეტაფორა ფშავ-ხევსურულ დიალექტზე“ [37. 130]. „შიბი“ წინავს მთის ვინრო ბილიქს, რომელიც ჯაჭვივით, ბანა-

რივით მიუყვება კლდეს. ჯიხვებზე სანადიროდ წასულმა მოყმებ „შიბნ გაიარა კლდისანი“, ხოლო ქართველ მთიელთა მფარველმა ლვთისშვილმა, ლალმა იახსარმა კლდის ერთი მწვერვალიდან მეორე მწვერვალამდე გადასაადგილებლად შიბი, ე. ი. კლდის ბილიკი უნდა გაიაროს, რაზედაც ხალხურ ლექსში ნათქვამია:

„ამანდით კარატემდინა  
შიბ თოკზე გასავალია“ [101. 136].

ბაწარი არის მატყლისაგან დამზადებული ძაფი, თოკი. რადგან მითოლოგიაში შიბი, თოკი, ჯაჭვი და ბაწარი ერთ-მანეთის შესატყვისი ცნებებია, ბაწარა საკრალურ გზას უნდა აღნიშნავდეს, სადაც გმირის, მონადირის ან ლვთისშვილის ფა-თერაკიანი თავგადასავალი ვითარდება. ტოპონიმ ბაწარას ამ-გვარი გაგებაც შეიძლება ჰქონიდა.

პანკისის ხეობაში გვხვდება ისეთივე ტოპონიმები, როგორიც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოშია გავრცელებული. ასეთია ხეობის ჩრდილოეთით მდებარე ფშავლების ნასოფლარი ტო-ლოშა და მესხეთის სოფელი ტოლოში, ჭობის ხევი არის ბორ-ჯომთან და ჭობიოს ხევი – ჯოყოლოს დასავლეთით. პანკისის ხეობის ტოპონიმები – ჭობიო, ტოლოშა გვაფიქრებინებს, რომ შესაძლოა მოსახლეობის ნაწილი უძველეს პერიოდში იქ სა-ქართველოს სამხრეთ-დასავლეთიდან, კერძოდ, დღევანდელი მესხეთ-ჯავახეთიდან გადმოსახლდა.

პანკისში **XIX–XX** საუკუნეში ჩამოსახლებულმა ქისტებმა, ოსებმა და ქართველმა მთიელებმა ძველი საცხოვრისიდან ჩა-მოიტანეს თავიანთი ტოპონიმები, შექმნეს ახალი სახელწო-დებებიც, თუმცა პანკისის ხეობის გეოგრაფიული ტერმინო-ლოგია, მაკროტოპონიმები, ძირითადად იგივე დარჩა, რაც თავდაპირველად, შუა საუკუნეებში იყო და, ამდენად, გან-საკუთრებული, საგრძნობი ცვლილება მას არ განუცდია.

ჩამოსახლებულ მთიელებს პანკისი ატყევებული დახვდათ, ნასოფლარებს ბარდ-ეკალი ჰქონდა გადავლილი. მოახალშე-ნეებმა დაიწყეს ტყის გაკაფვა. თითოეულ ოჯახს თავისი გა-კაფული ადგილი ანუ ახო ჰქონდა. აქედან წარმოიშვა მიკრო-ტოპონიმები, როგორიცაა ყვარელწყალში: ბენიკურთახო, წე-ლაურთახო, ქისტიანთახო და სხვა. დედისფერულის შემოგა-რენში ასეთი მიკროტოპონიმებია: კვირიათგორი, დავითოთ-

გორი, ქურსიკაანთგორი, პატატიანთგორი, ივლიანგორი, სავა-ლისგორი, დაყუდებულიგორი, დიდგორი, იმერლიანთგორი, ჯლარდლიანგორი, ქეშიკაანთგორი, სახლთავისგორი და სხვა.

ანალოგიურ სიტუაციას ვხვდებით ქისტებითა და ოსებით დასახლებული სოფლების ტოპონიმებშიც. პანკისის ხეობაში ჩამოსახლებულ მოახალშენეებს საცხოვრებელი სახლის გა-მართვა და სახნავი ნაკვეთის მოპოვება მხოლოდ ტყის გაჩეხვა-ამძირკვით შეეძლოთ. ტყისგან გათავისუფლებულ სახნავ ად-გილს ახო ჰქვია. პანკისის სოფლებში არ არის ოჯახი, რომელმაც თავისი ყოფილი ახო არ გვიჩვენოს. თითქმის ყოველ ახოს შენარჩუნებული აქვს იმ პიროვნების სახელი, რომელმაც ის გაჯაგა და დაამუშავა. ასეთი ტოპონიმები უმთავრესად რო-მელიმე ადამიანის სახელთანაა დაკავშირებული და მასში გამოვლენილი ანთროპონიმი იმაზე მიუთითებს, რომ იგი აღ-ნიშნული ობიექტის მფლობელი იყო ან იქ ენეოდა სამეურნეო საქმიანობას. ამ ტიპის ქისტური მიკროტოპონიმებია: თულად ნაჯიგ – თულას ნაკაფი (ნაჯაგი), იაქტუმ 'ახო – ექვთიმეს ახო, თათად ჭაა – თათაის ყანა, ბერსარ 'ახო – ბერისარის ახო, ჩალხიად 'ახო – ჩალხიას ახო, სვიმენავ ქუახ – სვიმენას ქოხი, თათავ ჭაათ – თათაის წყარო, სვიმენავ ნაუდარაშ – სვიმენას ნაბი-ნავარნი და სხვა [91. 324].

პანკისის ხეობის ტოპონიმების დიდი ნაწილი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართული მოსახლეობის მიერ შეიქმნა. ახალმოსუ-ლებს, ქისტებს, ოსებსა და ქართველ მთიელებს აინტერესებდათ ამ სახელწოდებათა არა გრამატიკული მხარე, არამედ ტო-პონიმებში ჩადებული შინაარსი, მისი მნიშვნელობა. გ. ბედოშ-ვილის აზრით, „სწორედ ხალხის ამ საყოველთაო ინტერესმა და სწრაფვამ სათავე დაუდო ე. წ. ხალხურ ანუ არამეცნიერულ ეტიმოლოგიას“ [12. 11]. ხალხი ცდილობდა, ბუნდოვანი და გა-უგებარი სახელწოდება ნაცნობი და გასაგები გაეხადა. ამგვარად ნარმოიშვა ტოპონიმებთან დაკავშირებული თქმულებები.

ადგილობრივი ფშავლების რწმენით, ყვარელწყლისთვის სახელი ვაჟა-ფშაველას დაურქმევია. ხეობაში სტუმრად მყოფ პოეტს წყაროს წყალი დაულევია და უთქვამს: – რა საყვარელი წყალიაო. აქედან მომდინარეობს, გადმოცემის მიხედვით, თურმე ყვარელწყალი.

დუმასტურის სახელწოდების წარმოშობის შესახებ კი პან-კისში ასეთი გამოთქმაა გავრცელებული: რადგან დუმასტურში უხვმოსავლიანი და ბარაქიანი მიწებია, მასზე ამბობდნენ: – ცხვრის დუმასავით ნოყიერია, დუმის ტოლიაო. ამის შემდეგ სოფელს დუმასტური დარქმევია.

ბანარის ეტიმოლოგიას ხალხური ტექსტი ამგვარად ხსნის: მგზავრი, რომელიც ბანარისნყლის ხეობით მთისკენ მიდიოდა, ძალიან დაღლილა, რადგან მანძილი აღარ იღეოდა. შენუხებულს წამოუძახია: – ეს რა ბანარივით წვრილი და გრძელი გზა ყოფილაო.

ხალხური ეტიმოლოგით, კუნახტას კუების სიმრავლის გამო დაერქვა ეს სახელი. სხვა ვერსიით, იმ ადგილას დიდი ბრძოლა გამართულა, პანკისელებს უამრავი მტერი „უკუნავთ“ და ამიტომაც ეწოდა თურმე სოფელს კუნახტა.

დედისფერულის შესახებ კი ზეპირი გადმოცემა გვეუბნება: სოფელთან საოცარი ვენახი ყოფილა გამენებული. ერთხელ თამარ მეფეს გამოუვლია და უცხო ჯიშის ყურძენი რომ უნახავს, გაკვირვებულს უთქვამს: – ეს რა დედისფერა ყურძენიაო. იმ დღიდან სოფელს დედისფერული დარქმევია. როგორც ჩანს, დედისფერული ვაზის ჯიში უნდა ყოფილიყო. დედისფერულს ამჟამად კაკლიანსაც ეძახიან. ჩამოსახლებულმა მთიელებმა, რადგან არ იცოდნენ მისი წამდვილი სახელწოდება, კაკლების სიმრავლის გამო იმ ადგილს კაკლიანი დაარქვეს.

ტოპონიმებთან დაკავშირებული თქმულებები პანკისში ბევრია. იმის გამო, რომ ტოპონიმ მუნუხევის მნიშვნელობა გაუგებარი იყო ხეობაში ახლადგადმოსული ომალოელი ქისტებისთვის, მათ თავისებური ახსნა მოუქებნეს და თავიანთთვის უფრო გასაგები სახელი – მიწისხევი უწოდეს.

ბირკიანში არის ახლადგაჩენილი ეგზოტური მიკროტოპონიმი ავღანეთის უბანი, რომელშიც მსაზღვრელად გეოგრაფიული სახელი (ავღანეთი) გვევლინება. ტოპონიმი მეზობლების ამჟამინდელ ურთიერთდამოკიდებულებას გამოხატავს. რადგანაც იმ უბნის მცხოვრებლებს ერთმანეთთან განუწყვეტელი ჩხუბი ჰქონდათ, ავღანეთის ანალოგით, სადაც გაუთავებელი ომი და ქაოსია, ავღანეთისუბანი შეარქვეს.

პანკისში ჩამოსახლებულ ახალმოშენებს, როგორც აღნიშნეთ, თან მოჰქონდათ თავიანთი ძველი საცხოვრისის ტო-

პონიმები. ასე მაგალითად, ომალოელმა ქისტებმა ალაზანს მდინარე არღუნის ჩეჩინური სახელწოდება – ორგ – დაარქვეს, რადგან მათ ცნობიერებაში ალაზანიც ორგასთან ასოცირდებოდა.

ჯავის რაიონიდან პანკისში გადმოსახლებულმა ოსებმა თავიანთი საგვარეულო, სასოფლო სამლოცველოების ნიშები ნანგრევებადქცეულ ძველ ქართულ ქრისტიანულ ძეგლებთან დაარსეს და მათ თავიანთი წინა საცხოვრისის, ჯავის სოფლების სახელები – გუფთა, მორგო, კასთავი, ბილურთა, სხლები და სხვა სახელები დაარქვეს. ოსებმა ამგვარად პანკისის სოფლებში ქრისტიანული რელიგიური დღესასწაულები აღადგინეს.

გაჩნდა ბევრი ახალი ტოპონიმიც: ოსები დუმასტურში ალაზნის მხარეს, ძველ ნანგრევებს, ყოშითი უუარს ეძახიან, რაც კოჩიევების სალოცავს აღნიშნავს. ახალმოსულების მიერ შექმნილ ტოპონიმებში ხეობის ისტორიულმა, სოციალ-პოლიტიკურმა და გეოგრაფიულმა თავისებურებებმაც ჰპოვა ასახვა. დუმასტურში სოფლის ცენტრს, სადაც მამაკაცები იკრიბებოდნენ და უხუცესები სხვადასხვა საკითხებზე მსჯელობდნენ, ე. წ. „ბირჟას“, ოსები ნიხასს ეძახდნენ. იქ, როგორც წესი, დაუშვებელი იყო ჩხუბი და უტაქტო საქციელი.

დუისშიც მამაკაცთა ასეთი შესაკრები, სასაუბრო ადგილი, მეჩეთის (მეუდიგ) გარდა, სოფლის ცენტრში, ცაცხვებთან არის. იგი ერთგვარ საფიხვნოს ნარმოადგენს და ქისტები ახალ ამბებს პირველად სწორედ ცაცხვებთან ისმენენ. ერთხელ ერთმა ხანდაზმულმა, ენაკვირატმა ქისტმა მოსწრებულად აღნიშნა: რასაც ლამით ლოგინში ჩავიფიქრებ, იმას დილით ცაცხვებთან მეუბნებიან.

ბევრი ტოპონიმი, რომელიც მთიელებს ჩამოსახლებისას ხეობაში დახვდათ, ოსებმა და ქისტებმა თავიანთ ენებზე თარგმნეს. ქისტები ყვარელწყალს ყუორალხის უწოდებენ. ეს ტოპონიმი აშკარად ქართულის კალკს ნარმოადგენს.

პანკისის ხეობის ქისტური ტოპონიმები საფუძვლიანად გამოიკვლია როსტომ ფარეულიძემ და აღნიშნულ საკითხს მეტად საინტერესო ნაშრომი უძღვნა.

პანკისში გვხვდება ისეთი გეოგრაფიული სახელებიც, რომელთა ნარმომავლობაც აშკარად ქართულია, მაგრამ ქისტურის გავლენით ფონეტიკური სახე შეუცვლია. ასეთ ტოპონიმებს,

მათი წარმომავლობის მიუხედავად, როსტომ ფარეულიძე ქის-ტურ ტოპონიმიაში განიხილავს. ასეთებია უაფიქსო ტოპონიმები: ალაზ – ალაზანი, ფარსმან – ფარსმანი, ელი – ელია, პენგიზ – პანკისი, ნაბოლ – ნაბრძოლი, სააყდარ – სააყდარი [91. 314].

ქართული წარმომავლობის სუფიქსიანი ტოპონიმებია: ბო-ობურდე – ბაბურა, ჭუდებდე – ჭობიო, ხალანან ჩუდე – ხალანნის ხეობა, ძაძი გომურდე – ძაძის გომური, კუარჯუო – კორჯი, ნაქერალუო–ნაქერალა, რიყაშ – რიყე [91. 317]. ეს ტოპონიმები ქართული ენიდან ქისტურ დიალექტში დამკვიდრებული კალკებია.

გვხვდება სიტყვათშეერთებით ნაწარმოები ტოპონიმები: ჩალხია ჭავრ – ჩალხიას წისქვილი, ბესო ახო – ბესოს ახო, ხოხორა ათახ – ხოხორას ჭალა, განა ნაჟდარაშ – განას ბინები, ციხა ჭაშ – ციხას ყანა, ხუარჯან ლამ – ხორაჯნის (ხორაჯოს) მთა, ჯერ ხი – წისქვილის წყალი [91. 319].

რ. ფარეულიძემ თავის გამოკვლევაში მდიდარ მასალაზე დაყრდნობით გვიჩვენა ენობრივი პროცესი, თუ როგორ იცვლებოდა ქართული ლექსიკა ქისტურის ფონეტიკური მოვლენების გავლენის შედეგად. მკვლევარმა კიდევ ერთ თავისებურებას გაუსვა ხაზი, რომ ქისტური ტოპონიმები უმთავრესად ფუძის სახითაა წარმოდგენილი: მიწისჭევ – მუნუხევი, ხრამ – ხრამი, დიდგვირდ – დიდგვერდი, ოზზ – ეზო და სხვა.

როგორც ზემოთ არაერთხელ დავრწმუნდით, პანკისის ტოპონიმები ხშირად გამოხატავენ წინა ვითარებას. ეს გარემოება განსაკუთრებით თვალშისაცემი პანკისში იმიტომ გახდა, რომ ხეობის იდუმალი წარსული მოსულ მოსახლეობას ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე თავს ახსენებდა. ამ მოვლენამ პანკისის ხეობის ქისტურ ტოპონიმებშიც იჩინა თავი: ბააცა ხილლ ნააჟდარაშ – თუშების ნაბინავრები, ბააბა ხილლ ნააჟდარ – ბაბოს ნაბინავარი და სხვა.

პანკისის ხეობაში თავისი სემანტიკური მრავალფეროვნებით ყურადღებას იპყრობს კუთვნილების გამომხატველი ტოპონიმები. ამ კატეგორიას მიეკუთვნება თვით ზოგიერთი სოფლის სახელწოდებაც: ჯუოყალა იურთ – ჯოყოლასსოფელი, დუღ იურთ – დუისსოფელი. როგორც ცნობილია, ქვემო ხალანანში ოსები დასახლდნენ, შუა ხალანანში – ქისტები, ხოლო ზემო

ხალაწანში – ქართველი მთიელები, კერძოდ, ფშავლები. ამ სოფ-ლების შესაბამისი ქისტური სახელწოდებებია: ჰირი ხაალა-ნანუო – ოსების ხალაწანი, ქისტი ხაალაწანუო – ქისტების ხალაწანი, შვეო ხაალაწანუო – ფშავლების ხალაწანი. ამრიგად, ზოგიერთი სოფლის სახელწოდებაში გადმოცემულია მისი მო-სახლეობის ეთნიკური წარმომავლობა. სოფელ ჯოყოლოს მეორე სახელიც ჰქვია – ტუგაღურთ – ტუგელების სოფელი. ტოპონიმი მთიან ჩეჩენეთში ჯოყოლოელების თავდაპირველ სამოსახლოს სახელწოდებაზე მიუთითებს. ხოლო სოფელ დუისს, რადგან იქ ძირითადად მაისტიდან ჩამოსახლებული ქისტები ცხოვრობენ, ჰქვია მაისთუადურთ – მაისტელების სოფელი.

ხალხური რელიგიური ცნობიერების გასასაზრებლად განსა-კუთრებით საყურადღებოა პანკისის ხეობაში ქრისტიანული რწმენის ამსახველი ქისტური ტოპონიმები. როგორც ცნობილია, ქისტები ქრისტიანობას ჯერ კიდევ თავდაპირველ სამშობლოში ეზიარნენ. პანკისში ჩამოსახლების შემდეგ ისინი მოინათლნენ, ხოლო 1887 წელს ჯოყოლოს ცენტრში აშენდა ეკლესია და გა-იხსნა სასულიერო-სამრევლო სკოლა. რ. ფარეულიძის ცნობით, „რელიგიური დანიშნულების ობიექტები, რომლებიც ქისტურ ტოპონიმიაში აისახა, აღნიშნავენ ხატს, საყდარს“ [91. 331]. ესენია: ელფე – ელია, თიშუოლ – ლვთისმშობელი, წმინდა გიორ-გი – წმინდა გიორგი, სააყდარ – საყდარი, კვირაცხოველ – კვი-რაცხოველი, კოპალ – კოპალა, ჰირი სააყდარაშ – ოსების საყდრები, ლვიმღერ სააყდარაშ – მღვიმის საყდრები, ხალაწანირ სააყდარ – ხალაწნის საყდარი, თიშ სააყდარაშ – ძველი საყდ-რები, დოგვ სააყდარ – დიდი საყდარი, ჯომ სააყდარ – პატარა საყდარი, ქერისთანა ქეშნებ – ქრისტიანთა სასაფლაო და სხვა.

პანკისის ხეობის გეოგრაფიულ ადგილთა ქისტური სახელ-წოდებები მხოლოდ ქისტურ მეტყველებაში გამოიყენება.

პანკისის ხეობის ტოპონიმებს განიხილავს აგრეთვე იბრაჟიმ ალიროევი თავის წიგნში „ჩეჩენებისა და ინგუშების ისტორია და კულტურა“. იგი ჩამოთვლის მახვალისწყლის, ბანარისწყლის, მა-სარის მთის, ხორაჯნის (ხორაჯოს) მთისა და სხვების შესაბამის ქისტურ სახელწოდებებს (მახვალი, ბანარი, მასარეხლამ, ხორჯანლამ) და აღნიშნული ტოპონიმების ქისტურ წარმომავ-ლობაზე მსჯელობს [127. 13-14]. ნაშრომში სამწუხაროდ არა-ფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ ამ ტოპონიმების ქართუ-

ლიდან ქისტურ ენაზე კალკირება პანკისში ქისტების ჩამოსახლების შემდეგ მოხდა. ვფიქრობ, მკვლევარს აუცილებლად უნდა დაესახელებინა ჩამოთვლილი გეოგრაფიული ადგილების შესაბამისი ქართული სახელწოდებებიც.

ამრიგად, პანკისის ხეობაში ტოპონიმები გვხვდება ქართულ, ქისტურ და ოსურ ენებზე. თუმცა ტოპონიმთა ძირითადი ფონდი ხეობის უძველესი მოსახლეობის მიერ არის შექმნილი და ქართულ სადერივაციო ელემენტებს ემყარება. ჩვენ ნაშრომში შეგნებულად არ განვიხილავთ ისეთ გეოგრაფიულ სახელებს, რომელთა მორფოლოგია და მნიშვნელობა ყველასთვის გასაგებია. ასეთებია: შავხევა, ბრუდიგორი, კურტანაძეულისწყალი, კლდისთავი, მთაწმინდა, ბრმავჭა, უსახელო, მღვიმე, სუბუქი, რკინისმთა, სამყურისწყალი, ხუთყურიანიგორა, თუნქოსსათიბე, გაბიდასგორი, დიდყურე, პატარაყურე, უკულმართი, ხევისჭალა და სხვა მრავალი.

## პანკისის ხეობა საქართველოს ისტორიულ პროცესებში უძველესი დროიდან XVIII საუკუნის დასასრულამდე

იმ უძველეს წარსულთან, როდესაც პანკისის ხეობაში ადამიანები დასახლდნენ, თვალის მიწვდენა მხოლოდ არქეოლოგიური გათხრებით არის შესაძლებელი. პანკისში არქეოლოგთა მიერ აღმოჩენილია მატერიალურ ძეგლთა საოცრად დიდი რაოდენობა, რომელიც, ძვ. წ-ის II ათასწლეულიდან გვიან ფეოდალიზმამდე, მთელი სამი ათასი წლის მანძილზე, ხეობაში ადამიანთა ცხოვრების უწყვეტ ისტორიულ ჯაჭვს ადასტურებს.

დ. მუსხელიშვილის აზრით, ბრინჯაოს ხანიდან მოყოლებული, პანკისში უნდა ყოფილიყო ისეთივე ლანდშაფტი, როგორიც ამჟამად არის. ტყის ზოლი გადიოდა იქ, სადაც დღეს გადის და არც ხეობის ჰიდროგრაფია შეცვლილა [133. 153.].

პანკისის ხეობის დღევანდელი სოფლების სიახლოვეს, თითქმის ყველგან, გვხვდება ე. წ. ბრინჯაოს ხანის მატერიალური ძეგლები, კერძოდ, ომალოს ჩრდილო-დასავლეთით, აგრეთვე ჭობიოს ხევის ბოლოში, სადაც აღმოჩენილია ბრინჯაოს ხან-

ჯალი და ადამიანის ძვლები; ქვემო ხალაწნის მახლობლად, „სალოცავ გორასთან“, ნაპოვნია კერამიკის ფრაგმენტები; ზემო ხალაწნში 1950 წელს მინის სამუშაოების დროს დანგრეულ კომპანია ადგილობრივმა მცხოვრებმა ო. სამუკაშვილმა აღმოაჩინა ადამიანის ძვლები და ბრინჯაოს ხანჯალი ორნამენტებით; ზემო ხალაწნის ჩრდილო-აღმოსავლეთით ნაპოვნია ბრინჯაოს სამაჯური; საკობიანოში, „მაჩვთახევთან“ – კერამიკის დიდი რაოდენობა; სოფელ ბაყილოვანში, კერძოდ „ხუთყურიან გორასთან“, გვხვდება გვიანი ბრინჯაოს ხანის ნივთები და სხვა [135. 9-13].

1966 წელს მდინარე ალაზნის მარჯვენა ნაპირზე, სოფელ ყვარელწყალსა და კუნახტას შორის, ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხისთვის ექსკავატორებით მინის ამოღებისას აღმოჩნდა ბრინჯაოს ნივთები და სარდიონის მძივები.

1967 წლიდან იქ ინტენსიური არქეოლოგიური სამუშაოები ჩაატარა კახეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ კ. ფიცხელაურის ხელმძღვანელობით.

სოფელ ყვარელწყლის სამხრეთ განაპირას, მდინარე ყვარელთხევას მარცხენა ნაპირზე, ხევის ფლატეში, აღმოჩნდა ორმოსამარხები, რომლებიც წარმოადგენდნენ სწორკუთხა ორმოებს და ისინი, როგორც მკვლევარები ვარაუდობენ, ხის ძელებით უნდა ყოფილიყო გადახურული.

ყვარელწყლის ორმოსამარხებში მოიძიეს მდიდარი ინვენტარი, რომელიც ადგილის სიმცირის გამო ერთმანეთზე იყო დაზვინული, უმეტესად თიხის ნანარმი: უყურო ქოთნები, ქვაბქოთანა, დიდი ზომის ორყურა ქილები, კათხა, სასმისი, ლანგარი და სხვ.

ბ. მაისურაძის აზრით, ასეთივე თიხის ჭურჭელი დამახასიათებელი ყოფილა კახეთის სხვა სამაროვანთა კერამიკისათვის [47. 13-16].

ყვარელწყლის სამარხში აღმოჩენილი ორყურა ქილა პირიდან მუცლის ცენტრალურ ნაწილამდე მოხატულია წითელი ოქრით დატანილი ვერტიკალური ხაზებით. აღმოსავლეთ საქართველოში, როგორც ბ. მაისურაძე აღნიშნავს, – გვიანი ბრინჯაოს პერიოდისათვის უცხო ყოფილა მოხატული თიხის ჭურჭელი. ამგვარი ჭურჭელი მხოლოდ სოფ. გადრეკილის „ნასადგომარის“ სამაროვანსა და ზემო ბოდბის ყორღანში გვხვდება, რომლებიც

ძვ. წ-აღ-ის მე-15 საუკუნის მეორე ნახევრითა და ძვ. წ-აღ-ის მე-14 საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება; ყვარელწყლის სამაროვანზე აღმოჩენილ ლითონის იარაღს კი არქეოლოგები ძვ. წ-აღ-ის მეორე და პირველ ათასწლეულთა მიჯნის ახლო ხანებით ათარიღდებენ.

ყვარელწყლის სამარხში, რომელიც ოთხკუთხა ორმოს წარმოადგენს, ძლიერი მოხრილი კიდურებით მიცვალებული ქალი დასევენებულია მარცხენა, ხოლო კაცი მარჯვენა გვერდზე; ერთ-ერთ სამარხში მიცვალებულს წელზე ბრინჯაოს ჯაჭვის სარტყელი ერტყა, რომელზედაც ღორის ეშვი იყო ჩამოკიდებული.

ალაზნის ველის სხვა სამაროვანთა მსგავსად ყვარელწყლის სამარხებშიც, როგორც წესი, მსხვილფეხა საქონლის თავ-ფეხია ჩატანებული.

ამავე პერიოდის სამაროვანი აღმოჩნდა ყვარელწყლის მახლობლად. კერძოდ, სოფელ საკობიანოს ჩრდილო-დასავლეთით. იქ გაითხარა 21 სამარხი. მათ ჰქონდათ ერთი ან ორფენიანი ქვის ყრილი. ჩონჩხი და სამარხეული ინვენტარი უმეტესნილად მეტად ფრაგმენტულადაა შემორჩენილი. „მიუხედავად ამისა, – აღნიშნავს კ. ფიცხელაური, – დგინდება, რომ მიცვალებულებს ასაფლავებდნენ ძლიერ მოხრილი კიდურებით, მამაკაცებს მარჯვენა, ქალებს კი მარცხენა გვერდზე“ [90. 61].

ამ ტიპის სამაროვანი არის ზემო ხალაწნის ჩრდილო-აღმოსავლეთით. იქ, დაზიანებულ ორმოსამარხში, შემთხვევით აღმოჩნდა ძვ. წ. მეორე და პირველ ათასწლეულთა მიჯნის ბრინჯაოს სატევარი [90. 73].

კ. ფიცხელაურის აზრით, ბრინჯაოსა და ადრერკინის საზოგადოებას ისე როგორც აღმოსავლეთ საქართველოში, პანკისის ხეობაშიც, მიცვალებულის დაკრძალვის შემდეგ საფლავზე გასვლა უნდა ჰქონოდა წესად, რაზეც მიუთითებს ყვარელწყლის სამარხში აღმოჩენილი თიხის ჭურჭელი. ჭურჭელი მიცვალებულის დაკრძალვის შემდეგ სამარხის თავზე ჩაუფლავთ მინაში. სამარხის ჩანგრევის შემდეგ თიხის ჭურჭელმა აღბათ ადგილი შეიცვალა და ღრმად დაიწია.

პანკისის ხეობის სამაროვნების ყოველმხრივი შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ სამარხებში აღმოჩენილი ოსტეოლოგიური მასალა ჭირისუფალთა ზრუნვის ნაშთია მიცვალებულთა საიმქვეყნიო ცხოვრებისთვის. „ეს მონაცემები, – აღ-

ნიშნავს კ. ფიცხელაური, – გვაძლევს საშუალებას აღვადგინოთ იმდროინდელი ადამიანების შეხედულებები იმქვეყნიურ ცხოვრებაზე, რადგან მიცვალებულებს მრავლად ატანდნენ საგზალს, სხვადასხვა შინამოსაქმეობის და საომარ იარაღს, ტანსაცმელს და სხვ. აგრეთვე, მიცვალებულის სულის მოსახსენებლად საფლავზე გადიოდნენ დაკრძალვის შემდეგ და საფლავის თავზე კი ჭურჭელს საგზლით მარხავდნენ; ბუნებრივია, მათ სჯეროდათ იმქვეყნისა, რომ ადამიანი იქ აგრძელებდა ისეთივე ყოფას, როგორც ამქვეყნიური ცხოვრების დროს – მისდევდა შინამოსაქმეობას, იკვებებოდა, იბრძოდა და სხვა“ [90. 84].

ო. ჯაფარიძის აზრით, პანკისის ხეობის ძველი ორმოსამარხების კულტურაში საზოგადოების დიფერენციაციის ნიშანი არ შეიმჩნევა [123. 178]. პანკისის ხეობაში უპირატესად მცირეინვენტარიანი სამარხები გვხვდება. ქონებრივი სხვაობა მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებს შორის ჯერ თითქმის გამოკვეთილი არ არის. თუმცა მიწათმოქმედება და მესაქონლეობა საკმაოდ განვითარებული უნდა ყოფილიყო.

პანკისის ხეობის ორმოსამარხებში ჩატარებული კვლევა-ძიება ცხადყოფს, რომ ძვ. წ. II-I ათასწლეულების მიჯნაზე იქ ადამიანის ერთ-ერთ ძირითად საქმიანობას გაცვლა-გამოცვლა წარმოადგენდა; გვიან ბრინჯაო – რკინის ხანიდან მოყოლებული, სამეურნეო დარგების ძლიერი დიფერენციაციის გამო, პანკისში ადამიანებს შორის სავაჭრო ურთიერთობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება და ფართოვდება. ამ დროს უკვე ერთი-მეორისგან საპოლოოდაა გამოყოფილი მიწათმოქმედება, მესაქონლეობა და ხელოსნობა [90. 109].

საყურადღებოა პანკისის ხეობის ორმოსამარხებში აღმოჩენილი სარდიონის მძივები, რომლებსაც სპეციალისტები პანკისში წინა აზიდან შემოტანილად მიიჩნევენ [90. 109].

პანკისის ხეობაში არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოკვლეული გვიანბრინჯაოს ხანისა და ადრერკინის ეპოქის მატერიალური ძეგლები სრულ იგივეობას ამჟღავნებს იმ პერიოდის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ტომთა უძველეს კულტურასთან.

თუმცა გვხვდება ცალკეული თავისებურებაც. ყვარელ-ნყალში არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილ მახვილიან სამარხში გვხვდება სამხარიღლიერ ბრინჯაოს ჯაჭვი,

რომელზედაც ღორის გახვრეტილი ეშვი ჰკიდია და იგი, როგორც მკვლევარები ფიქრობენ, მახვილის პირის ასაწყობად იხმარებოდა. კ. ფიცხელაურის ცნობით, აღმოსავლეთ საქართველოს სხვა მხარეებისათვის არ არის დამახასიათებელი ამგვარი სამხარიღლიერი თასმისა და სარტყელის ხმარება და ამდენად, იგი მხოლოდ ალაზნის ზემო დინებაში გავრცელებული მასალების თავისებურებად მიაჩნია [90. 111].

გ. მელიქიშვილის აზრით, უკვე ძვ. წ. II ათასწლეულის შუახანებიდან მაინც კავკასიის, კერძოდ, ამიერკავკასიის, მოსახლეობის ეთნიკური შედგენილობა ძირითადად ისეთივე უნდა ყოფილიყო, როგორც შემდეგში [60. 103]. თ. პაპუაშვილი კიდევ უფრო აკონკრეტებს ამ არეალს და მასალის ყოველმხრივი შესწავლის საფუძველზე ასკვნის, რომ იორ-ალაზნის ტერიტორიაზე ძვ. წ. II-ი ათასწლეულში არსებული არქეოლოგიური კულტურა ძირითადად უკვე ფეოდალური ხანის „რანთა და კახთა“ სამეფოს მოსახლეობის უშუალო წინაპარი ეთნიკური ჯგუფების კულტურა უნდა ყოფილიყო [71. 9].

აღსანიშნავია, რომ პანკისის ხეობაში გვიანდელი ბრინჯაოს ხანისა და ადრეული რკინის ხანის ძეგლები გამონაკლისის გარეშე გვხვდება იმ ადგილებში, სადაც მოგვიანებით გაჩნდა ფეოდალური სოფლები. ასეთი დამთხვევა, რა თქმა უნდა, არ შეიძლება შემთხვევითი იყოს.

მასალის მრავალმხრივი შესწავლის საფუძველზე მეტად საყურადღებო დასკვნას გვთავაზობს დ. მუსხელიშვილი: გვიან ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანაში პანკისში უნდა შექმნილიყო ხალხის უძველესი ტერიტორიული ერთობა, რომელსაც ჰქვია ძველ წყაროებში „ხევი“, „ხეობა“. ამ პერიოდის მატერიალური ძეგლების მიხედვით, ხალხთა უძველესი ტერიტორიული გაერთიანების კონტურები პანკისის ხეობაში უკვე შექმნილია. მისი აზრით, ამ ტერიტორიული გაერთიანების ცენტრი ხალანის მიდამოებში უნდა ყოფილიყო. [133. 153].

არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, ძველი წელთაღრიცხვის III საუკუნის დასაწყისიდან, კერძოდ ფარნავაზის მეფობის დროიდან, პანკისის ხეობაში განსაკუთრებით იგრძნობა მოსახლეობის მატება და ახალი კომპაქტური დასახლებების აღმოცენება.

ხელსაყრელი გეოგრაფიული მდგომარეობაც ხელს უწყობდა პანკისში სამეურნეო ცხოვრების განვითარებას. ხეობა მტრი-საგან შედარებით შეუმჩნეველი იყო და, როგორც ჩანს, ძლიერი სამხედრო თავდასხმების ობიექტი ნაკლებად ხდებოდა. ხეობაში სარწყავი მიწათმოქმედებისა და ინტენსიური მეურნეობის განვითარებამ განაპირობა ადრეკლასობრივი საზოგადოების ჩასახვაც, რასაც არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მატერიალური მასალაც ცხადყოფს. ანტიკური ეპოქის განსაკუთრებით საინტერესო მასალებია აღმოჩენილი სოფელ ომალოში [135. 9].

ფეოდალური ურთიერთობების ჩასახვამ საერისთავოების ჩამოყალიბების პროცესი და ადგილობრივი მოსახლეობის ინტეგრაცია კიდევ უფრო დააჩქარა. ჩვ. წ-ის პირველ საუკუნეებში პანკისის ხეობა კახეთის საერისთავოს შემადგენლობაში შედიოდა. იმ დროს ტერიტორიულად კახეთის საერისთავო არ მოიცავდა იმავე მიწაწყალს, რასაც ჩვენ დღეს კახეთს უუნდდებთ. მაშინ კახეთის დღევანდელ ტერიტორიაზე ქართული ტომებით დასახლებული რამდენიმე კუთხე არსებობდა, ესენია: ჰერეთი, კუხეთი, კახეთი, წუქეთი, სუჯეთი, კამბეჩანი. საკუთრივ კახეთის საერისთავო განთავსებული იყო ივრისა და ალაზნის ხეობების ზემო წელზე, მთიანეთითურთ. კერძოდ, ლეონტი მროველისა და ვახუშტის მიხედვით, კახეთი მოიცავდა „ფშავ-ხევ-სურსა (რომელთა პირველ ენოდათ ფხოელი), თიანეთს, ერწოს, ირტოსჭევს, პანკისის ხეობას, საყდრიონსა და ალონს“ [92. 9].

როგორც ცნობილია, საქართველოში ქრისტიანობა | საუკუნიდანვე ვრცელდებოდა.

326 წელს მირიან მეფის მიერ ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამ საქართველოს კულტურულ-პოლიტიკური გაერთიანებისა და ქართველი ერის ჩამოყალიბების პროცესში უდიდესი როლი შეასრულა.

ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად აღიარების შემდეგ სამეფო კარმა და ეკლესიამ ქვეყნის განაპირა კუთხეებში ქრისტიანული კულტმსახურების დამკვიდრება დაიწყო. როგორც „ნინოს ცხოვრებიდან“ ირკვევა, ხელისუფლება განსაკუთრებით დაიწყერესებული ყოფილა ჩრდილოეთ კავკასიასთან დამაკავშირებელ ხეობებში მცხოვრები წარმართების მოქცევით. სწორედ ამ მიზნით მირიან მეფეს ქართლ-კახეთის მთიანეთში სამ-

ხედრო შენაერთებიც კი გაუგზავნია: „მერმე ინება მეფემან მოქცევა მახვილითა მთიულთა და აუწყა ნინოს და ეპისკოპოზსა, არამედ წმინდამან არა ნება-სცა:“ რამეთუ არა ბრძანებულ არს მახვილი, არამედ ქადაგება და ეტყოდა მეფესა: „მე წარვიდე მუნ ქადაგებად“. ხოლო მისრულმან იქადაგა სახარება ქრისტესი; არამედ უმრავლესთა არა უსმინეს და არა შეიწყნარეს. ამისთვის მეფემან მცირედ წარმართა მახვილი და შემუსრნა კერპნი მათნი. ამისთვის ფხოველნი გარდაშენენ თუშეთს“ [94. 93].

„მოქცევად ქართლისად“ უცნობი ავტორის ცნობით, წმინდა ნინო ჟინვან-წობენიდან ცდოლობდა მთიელთა გაქრისტიანებას. როგორც ჩანს, განმანათლებელთ მთიელი მოსახლეობის ქრისტიანობაზე მოსაქცევად ჟინვანი საგანგებოდ შეურჩევიათ. იგი სამხედრო-ეკონომიკური – თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვან სტრატეგიულ ადგილზე მდებარეობს, კერძოდ მთიულეთის, ფხოველისა და თიანეთის გზაგასაყარზე.

„ნინოს ცხოვრებაში“ გარკვევით არის აღნიშნული, რომ წმინდანი არაგვის ხეობიდან ქრისტიანობის საქადაგებლად ივრის ხეობაში გადასულა: „გარდამოვიდეს მუნით და დადგეს უალეთს და უქადაგეს ერწო-თიანელთა. ხოლო მათ შეიწყნარეს და ნათელ-იღეს“ [94. 93]. ასეთი წარმატებული ექსპედიციის შემდეგ წმინდა ნინოს ფხეროზ მეფის ქრისტიანობაზე მოსაქცევად რანში წასვლა გადაუწყვეტია. ის გზად დაბა ბოდში შეჩერებულა, სადაც დასწეულებულა და გარდაცვლილა.

ერწო-თიანეთიდან რანში წასვლა წმინდა ნინოს დღევანდელი ახმეტის გავლითაც შეეძლო. კერძოდ, თიანეთიდან გადავიდოდა კვეტერაზე, შემდეგ იღტოს ხეობის ქვემო წელის გავლით ის ჯერ ალაზნის ველზე ჩავიდოდა და ბოლოს – ბოდში. მაშინ ეს იყო უმოკლესი გზა რანის მიმართულებით, რომელიც, შესაძლოა, გაიარა წმინდანმა.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ წმინდა ნინო რანში კახეთის გაქრისტიანების შემდეგ თუ დააპირებდა წასვლას. კახეთი კი იმ დროს ძირითადად ერწო-თიანეთს, იღტოსა და პანკისის ხეობებს მოიცავდა. „ნინოს ცხოვრების“ ავტორი გადმოვცემს, რომ ბოდში მყოფ წმინდანთან „მოვიდოდეს მისსა კახეთით, ჰკითხვიდეს და აღიარებდეს სწავლასა მისსა სიმრავლე ერისა“ [94. 96]. რადგან კახელებს ნინომ უქადაგა ქრისტიანობა, ამი-

ტომაც მოდიოდნენ მასთან ბოდში კახეთიდან. როგორც ჩანს, კახელებს უკვე სწამდათ ჭეშმარიტება ქრისტეს მოძღვრებისა.

თიანეთ-ახმეტის გზის გავლის შემთხვევაში, რომელიც იმ დროს კახეთის საერისთავოში შედიოდა, წმინდა ნინოს ყურადღების მიღმა შეუძლებელია დარჩენილიყო უკვე საკმაოდ მჭიდროდ დასახლებული პანკისის ხეობა.

წმინდანის საგანმანათლებლო მოგზაურობა მცხეთიდან უინვანამდე, უინვანიდან ერწო-თიანეთამდე და იქიდან ბოდამდე გვაფიქრებინებს, რომ სამისიონერო მარშრუტი წინასწარ უნდა ყოფილიყო შედგენილი.

ილტო-პანკისის ხეობები ალაზნის ქვემო წელთან და რანთან დამაკავშირებელ გზა-გასაყარს წარმოადგენს. ამიტომაც წმინდა ნინო, სანამ რანში წასვლას დააპირებდა, ქრისტიანობას ილტო-პანკისის მოსახლეობასაც უქადაგებდა. წმინდა ნინო ზურგში ვერ დატოვებდა წარმართებით დასახლებულ ხალხმრავალ რეგიონს – პანკისის ხეობას. ის იმ გეოგრაფიული არეალის ყველა მნიშვნელოვან დასახლებაში ქადაგებდა ახალ რელიგიას. გასათვალისწინებელია ისიც, რომ პანკისი ძელ საქართველოში მნიშვნელოვან ეკონომიკურ რეგიონს წარმოადგენდა. ჩრდილოეთ კავკასიაში გადასასვლელი გზები ამ ხეობაზე გადიოდა და ამიტომ პანკისი ახლადმოქცეული სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ იქნებოდა. პანკისის ხეობაში ქრისტიანობა IV საუკუნის I ნახევრიდან ვრცელდებოდა, რაზეც იქ ადრეცენდალური ხანის ქრისტიანული ძეგლების სიმრავლეც მიუთითებს.

წმინდა ნინოს სამისიონერო მარშრუტთან დაკავშირებით არსებობს სხვა მოსაზრებაც, რომლის თანახმად, წმინდანი ივრის ხეობას ჩამოუყვა და დღევანდელ ნინოწმინდაში (საგარეჯოს რნი) აღესრულა.

პანკისის ხეობაში, ქვეყნის ამ განაპირა კუთხეში, თავდაპირველად ქრისტიანული კულტმსახურება ისეთივე მყარი ვერ იქნებოდა, როგორც ცენტრში.

აღმოსავლეთ საქართველოში ქრისტიანობის განმტკიცებასა და სამონასტრო ცხოვრების დამკვიდრებას უდიდესი ღვაწლი და ამაგი დასდო ცამეტმა ასურელმა მამამ. საისტორიო-საეკლესიო წყაროების მიხედვით, წმინდა მამები ითანე ზედაზნელის წინამდღოლობით ქართლში VI საუკუნის 30-იან წლებში მოსულან და

ქრისტიანობის განსამტკიცებლად ზედაზენზე, გარეჯში, ხირ-საში, წევრების აღმართობისა და სხვა ადგილებში დამკავერებულან.

ახმეტის შემოგარენში, კერძოდ ლოპოტოს, შტორის, ილ-ტოსა და პანკისის ხეობებში ქრისტიანობის გავრცელებასა და განმტკიცებაში უდიდესი წვლილი შეიტანა წმინდა ანტონ მარტყოფელმა – ერთ-ერთმა ასურელმა მამათაგანმა.

წმინდა ანტონ მარტყოფელის მოღვაწეობის ძალზე საინტერესო ფრაგმენტია შემორჩენილი დავით იმამ ყული ხანის მიერ 1722 წლის 4 აგვისტოს მარტყოფის ეკლესიისთვის მიცემულ გუჯარში:

„გარნა ესე ყოველთავე უწყით, ვითარ და ანუ რომლითა სახითა მოიწივნეს შუამდინარით ათორმეტი ესე წმინდანი მამანი, სანახებთა საქართველოსათა, და თვის-თვისად დაიპყრნეს საღვრელად ალაგნი და სენაკნი და რომელთა ყავთ წინამდლვრად და მსნავლელად და მოძღვრად წმინდა იოვანე ზედა–ზადენელი“ [24. 367].

მას შემდეგ, რაც ანტონი დაშორდა თავის მოძღვარს, სანატრელ იოანეს, „გამოვლო ესე ქვეყანა, მთანი და მაღნარნი, გარდავლნა იალნო და შთავიდა შინა კახეთად, სადა იყოფოდა არსენი იყალთოდ და წმინდა და ნეტარი შიო არტოზნად“ [24. 367]. მამა ანტონი მათთან „იყოფოდა უამ რავდენმე“. იქიდანაც წავიდა და „ჩავლნა ალავერდად, და მიინია, სადაც მრავალ ღვაწლ-მრავლობით განენათლა ალაგი იგი ყოვლად ნეტარსა იოსებს, მივიდა მისთანა და განაძლიერნეს ურთიერთსა ცხოვრება თვისი“ [24. 367].

იმის გამო, რომ წმინდა მამა ანტონი იყო „დაყუდების მოყვარე და მარტოდ-მყოფობისა მოწადე“, დაშორდა მათ „და ჩავლნა ალაზანნი და შევლნა ჭევნი ლოპოტისანი და მუნ პოვნა ადგილნი უკაცურნი“ [24. 367]. ლოპოტის ხეობაში ნეტარი ანტონი განდეგილად ცხოვრობდა და ღმერთს ადიდებდა. როდე-საც მისი იქ ყოფნის ამბავი განცხადდა, მამა ანტონთან მი-დიოდნენ „ძმანი მრავალნი სოფლისა დამტევნელნი“ და ენა-ფებოდნენ ქრისტეს მოძღვრებას. როგორც ჩანს, ანტონის მოღვაწეობა ახლომახლო მცხოვრებლებისთვის მისაბაძი გამხდარა.

რადგან მამა ანტონს „ეძვინებოდა კრებულთა შინა ყოფა“, წამოვიდა მათგან, „კუალად გამოვლნა ალაზანნი და შემოვიდა

უვალთა ტყეთა და უკაცურთა ალაგთა **ახმეტისათა**“ [24. 368]. მან იქ საცხოვრებლად ერთი ადგილი შეარჩია და „აწ ესეცა წმინდა განბრნებისთვის სასწაულითა, ვითა მზე და განითქვა სახელი მისი ყოველთა მათ ადგილთა“ [24. 368].

როგორც ტექსტიდან ირკვევა, ანტონის საქმიანობას ახმეტის შემოგარენის მოსახლეობა მეტად აფასებდა და მისი სახელი საქვეყნოდ განთქმულა. ახმეტის შემოგარენს ნარმოადგენს პანკისის ხეობაც. ალაზნის ზემო წელზე ანტონ მარტყოფელის მოღვაწეობა ბუნებრივია, ადგილობრივ მოსახლეობაში ქრისტიანობის გავრცელებასა და განმტკიცებას ისახავდა მიზნად. წმინდანის ღვაწლის უკვდავსაყოფად სოფელ ლალისყურში უძველესი დროიდანვე არსებობდა მამა ანტონის სახელობის ეკლესია, სადაც 1 თებერვალს ანტონჯვრობას დღესასწაულობრივი, მსგავსი სიწმინდე უნდა არსებულიყო პანკისის ხეობაშიც.

ღვთაების მონასტრის დაარსება და რუსთავ-მარტყოფის ეპარქიის აღმოცენებაც ანტონ მარტყოფელის სახელს უკავშირდება. რადგან პანკისის ხეობაში მამა ანტონმა განამტკიცა ქრისტიანობა, ამიტომ პანკისი მარტყოფის სადროშოში შედიოდა. ღვთაების გუჯარიდან ისიც ირკვევა, რომ შუა საუკუნეებში პანკისის ხეობა რუსთავ-მარტყოფის ეპისკოპოსს ემორჩილებოდა: „ესრეთ შემოეყარნენ ღმრთაებისა დროშასა და, ვითა ძველთა მეფეთა ებრძანა, ანუ ჩვენ განვაგეთ, იმრიგად რუსთაველთ მორჩილობდენ და სიტყვას გაუგონებდენ და მათსა რჩევასა და სიმჯობინარს“ [23. 368].

პანკისის ხეობა, აგრეთვე, კახეთის ზოგიერთი სხვა სოფელი, დაბა და აგარაკი მარტყოფის ღვთაების მონასტრისადმი ყოფილა შენირული. ამდენად, ღვთაების მონასტრერს კახეთში ჰყოლია თავისი სამწყსო, ჰქონია სოფლები. დავით იმამ ყული ხანის აზრით, ის ადგილები, სადაც მოღვაწეობდა ანტონ მარტყოფელი, მათ შორის პანკისიც, შემდგომში ღვთაების მონასტრისადმი შეუწირავთ და მარტყოფ-რუსთავის სადროშოსთვის დაუმორჩილებიათ: რაოდენნიცა ალაგნი ახმეტას დახყვებიან, იგი ალაგნი მის ღმრთებისა საყდრისა არს, რომელ იგი საყდარნი მეტოქად და სანინამძღოდ ამა ღმრთაებისა ეკლესისათვის განუწესებიათ: მარნითა, ჭურითა და ყოვლითა რიგითა“ [24. 369].

პანკისის ხეობაში დაფიქსირებულია ფეოდალური ხანის 60-ზე მეტი ისტორიული ძეგლი. თითოეული მათგანი ქართული

კულტურის ნაყოფია. იქიდან 18 მიეკუთვნება ადრეულ შუა სა-უკუნეებს, 11 – განვითარებულს და 29 – გვიან შუა საუკუნეებს. ესენია დასახლებები, ეკლესიები, მონასტრები, ციხესიმაგრეები, თავდაცვითი კოშკები, აგრეთვე მარნები საწნახელებითა და სხვა [133. 151].

IV საუკუნიდან მოყოლებული პანკისის ხეობაში ქრისტი-ანობა უფრო და უფრო მტკიცდებოდა. ამ პროცესს განსაკუთ-რებით შეუწყო ხელი პანკისის მახლობლად ისეთმა მძღვრმა ქრისტიანული კულტურის კერძების აღმოცენებამ, როგორებიც იყო იყალთოს აკადემია და ალავერდი.

დავით იმამ ყული ხანის „ღვთაების გუჯარი“, მართალია, 1722 წელს არის დაწერილი, მაგრამ, ცხადია, ავტორი ძველ წყა-როებს ეყრდნობა, რომლებმაც, სამწუხაროდ, ჩვენამდე ვერ მოაღწია.

„მოქცევად ქართლისაას“ უცნობი ავტორი და „ღვთაების გუჯარი“ მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდიან IV-VI საუკუნეების საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ და რელიგიურ პროცე-სებზე: კერძოდ, არაგვის, ივრის, ილტოსა და პანკისის ხეობებში ქრისტიანობის გავრცელება დაწყებულა IV საუკუნის პირველ ნახევარში. როგორც ჩანს, ქართული სამეფო კარი სისხლხორ-ცეულად ყოფილა დაინტერესებული ქვეყნის განაპირა კუთხე-ებში ქრისტიანობის განმტკიცებით. ქართველი ხალხის ქრის-ტიან ერად ჩამოყალიბებისათვის უკვე იმ პერიოდში უნდა შექ-მნილიყო ერთგვარი სახელმწიფო კონცეფცია. სწორედ ამ მი-ზანს ემსახურებოდა წმინდა ნინოსა და ანტონ მარტყოფელის მოღვაწეობა, რომელთა სამისიონერო საქმიანობამ დღევანდელი კახეთის ჩრდილოეთი ნაწილი, კერძოდ პანკისის ხეობაც მოიცვა.

პანკისის ხეობაში მრავლად არის ფეოდალური ხანის ნასოფ-ლარები, ეკლესიები და მონასტრის ტიპის ძეგლები ქვევრებით, საწნახლებითა და მარნებით. მაგალითად, ადრეფეოდალური პერიოდის ეკლესია დღემდე შემორჩენილია სოფელ ბირკანში, ცქვიტაძის ყურესთან, სადაც თუშები და ქისტები 23 ნოემბერს გიორგობას დღესასწაულობენ. მისგან ასიოდე მეტრის მოშო-რებით არის საგუშაგო კოშკი.

ჯოყოლოს დასავლეთით, ჭობიოს ხევში, ქვებით შემოღო-ბილი საწნახელი აღმოჩნდა. იქვე ახლოს გვხვდება საკულტო

ნაგებობის ნანგრევები და საგუშაგო კოშკი. ჭობიოს ხევის თავში შემორჩენილია დანგრეული ეკლესია.

ბალთაგორის აღმოსავლეთ მხარეს, ტერასებზე, განთავ-სებულია ფეოდალური ეპოქის ნასოფლარი კარგად შემორჩენილი პატარა ეკლესით. სამწუხაროდ კრიმინალებმა ეს ეკლესია 2001 წელს ააფეთქეს და მთლიანად მიწასთან გაასწორეს. იქვე ახლოს, დუისის ჩრდილოეთით, დედისფერულის სანახებში არქეოლოგებმა ერთ-ერთ სამარხში ოქროს ძვირფასი სამაჯური იპოვეს [135. 9–13].

ქვემო და შუა ხალანის შორის, პატარა ტერასებზე, განთავ-სებული ყოფილა ფეოდალური ეპოქის სოფელი.

ზემო ხალანის ჩრდილოეთით შემორჩენილია პატარა ზომის ორი მომცრო საყდარი, რომლებსაც ადგილობრივი მცხოვრებლები „ლამურას ციხეს“ უწოდებენ. ეკლესის ჩრდილო-აღმოსავლეთით განთავსებულია ორი კოშკი – „გვერდმოშლილი ციხე“ და „ფათალიანი ციხე“.

უშუალოდ ალაზნის ნაპირთან, ქვემო ხალანის დაბლა, მთების ძირში, ფეოდალური ხანის ნასოფლარი მდებარეობს, რომელსაც კარგად შემონახული სამნავიანი ეკლესია ამშვენებს.

საკობიანოში არის ადგილი „საყდარა“, იქ შემორჩენილია ადრეფეოდალური ეპოქის პატარა ეკლესია და ქვის საწნახელი. ბაყილოვანში, ახალუბნის ყურესთან გვხვდება ადრეფეოდალური ხანის ნასოფლარი ეკლესით. ამავე ეპოქის სამი ეკლესია დასტურდება ბაყილოვანში, კაკლიას ახოსთან. იქვეა ქვის საწნახელი და გაურკვეველი დანიშნულების შენობათა ნანგრევები.

მდინარე კურტანაძეულის ხეობაში, რომელიც პანკისს სამხრეთ-დასავლეთიდან ესაზღვრება, მდებარეობს ქაჩალაურის ციხე-სიმაგრე. ის საკმაოდ დიდი ანსამბლია, თავისი კოშკებით, მარნებითა და სხვა ნაგებობებით. ციხის ჩრდილოეთით დგას ადრეფეოდალური ხანის ეკლესია – „ვარდოაანთეული“. ამავე ხეობაში არის წმინდა მარინეს სახელობის ეკლესია ძველი ქართული წარწერებით. კურტანაძეულისწყლის ქვემო წელზე, დაახლოებით ერთ ჰექტარ ფართობზე, განთავსებულია კედლების, საბრძოლო გოდოლების, კოშკებისა და სხვა თავდაცვითი ხასიათის ნაგებობათა ნაშთები [135. 9–13].

სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით, ლ. მარგოშვილი ვარაუდობს, რომ პანკისის ხეობაში თამარ მეფეს რეზიდენციაც უნდა ჰქონოდა.

ბევრ შემთხვევაში სხვადასხვა ისტორიული პერიოდის ძეგლები დაფიქსირებულია ერთსა და იმავე ადგილზე, რაც, დ. მუსხელიშვილის აზრით, მიუთითებს იმ ტერიტორიაზე ცხოვრების რიტმის შეუწყვეტლობაზე მთელი ფეოდალური ეპოქის განმავლობაში. ასე მაგალითად, ადრეული, განვითარებული და გვიანდელი ფეოდალური ხანის ძეგლები დაფიქსირებულია სოფ. საკობიანოში. ეს სამი ეტაპი დამოწმებულია პანკისის ანუ, როგორც მას ხალხი ეძახის, თორლვას ციხესიმაგრის მშენებლობაში, რომელიც საუკუნეების მანძილზე წარმოადგენდა პანკისის საფეოდალოს პოლიტიკურ ცენტრს [133. 151].

პანკისის ციხე-სიმაგრე ადრეფეოდალურ ხანაში აუგიათ, კერძოდ, მანამდე, სანამ კახეთ-ჰერეთის პოლიტიკური გაერთიანება მოხდებოდა. ამ პერიოდს მიეკუთვნება კახეთ-ჰერეთის ციხეები: პანკისი, კვეტერა, ლოპოტის ციხე, მაჭი, ვეჟინი, ნეკრესი და სხვ.

ადრეული შუა საუკუნეები, ძველი ქართული წყაროების მიხედვით, ფეოდალური ციხე-დარბაზების ინტენსიური მშენებლობით ხასიათდება. როგორც წესი, ციხესიმაგრე ამავე დროს ფეოდალის რეზიდენციას წარმოადგენდა.

დ. მუსხელიშვილის აზრით, „პანკისის ციხესიმაგრის გეოგრაფიული მდებარეობა ნათლად გვიჩვენებს მისი წარმოქმნის ეკონომიკურ არსა. თუ ერთი მხრივ, იგი გაბატონებულია ხალანან-პანკისისა და მდინარე მააჭარეულის ველზე და, ამდენად, უეჭველია, ამ დაბლობის ინტენსიურ მეურნეობას უწევს ექსპლუატაციას, მეორე მხრივ, იგი მთისა (თუშეთის) და ბარის (ალაზნის ველი) დამაკავშირებელ მთავარ მაგისტრალზე დგას და, ცხადია, ახორციელებს კონტროლს გზაზეც და ამ გზით დაკავშირებულ მხარეებზეც. კერძოდ, თუშეთის ცხვრის ექსპლუატაცია თუ მთლიანად არა, მნიშვნელოვანნილად მაინც პანკისის ციხის პატრონის ხელში უნდა ყოფილიყო“ [63. 87].

პანკისის ციხესიმაგრე, რომელიც „თორლვას ციხედ“ იწოდება, განთავსებულია მაღალ, უღრანი ტყით დაფარულ მთაზე, ზღვის დონიდან 1200 მეტრის სიმაღლეზე. თორლვას ციხე აღმართულია ნაქერალა-დიდგვერდის ქედზე, რომელიც პანკისისა

და მაჭარეულის ხეობების წყალგამყოფიცაა, თვითონ ის მთა, რომელზედაც წამომართულია თორლვას ციხე, მაღრანისა და ხალაწნის ხევების წყალგამყოფს წარმოადგენს. ორივე ალაზანს უერთდება: ხალაწნის ხევი პანკისში ერთვის ალაზანს, ხოლო მაღრანის ხევი ალვნის ქვემოთ ასევე ალაზანს უერთდება.

თორლვას ციხე, რომელიც გვიანდელი შუა საუკუნეების წყაროებში მაღრანის ციხედ მოიხსენიება, ძნელად მისასვლელ ადგილზეა აღმართული. ადრე მისასვლელი გზა-ბილიკები ამჟამად ტყითა და ბუჩქნარით არის დაფარული ისე, რომ მნახველს მხოლოდ ფეხით მისვლა შეუძლია. ამ ისტორიულ ძეგლს მისასვლელი ორი მხრიდან აქვს, ერთი ქედის აღმოსავლეთიდან, სოფელ მაღრანის გავლით, ხოლო მეორე – ქედის დასავლეთიდან, სოფლების – ქვემო, შუა და ზემო ხალაწნების გავლით. მეორე გზა უფრო მოხერხებულია. მაღრანიდან და ხალაწნიდან ციხესიმაგრეზე ასასვლელი ბილიკები წყალგამყოფ ქედზე ერთმანეთს უერთდება, ხოლო შემდეგ ზემოთ, ჩრდილოეთისკენ, მიუმართება და დაბურულ ტყეში საცხენე გზა მოულოდნელად ციხის კარიბჭეს მიადგება. ციხესიმაგრის ტერიტორიაზე, კერძოდ, მთის ყველაზე მაღალ წერტილზე მრგვალი, ამჟამად დანგრეული საგუშაგო კოშკია აღმართული. კოშკან, დაბლა, სიღრმეში, საგანგებოდ სასმელი წყლის რეზერვუარია მოწყობილი, რომელშიც წყალი მუდმივად ერთ დონეზე დგას. ის ამჟამადაც მოქმედებაშია. მწყემსები და მნახველები აღნიშნული ჭის წყლით ახლაც სარგებლობენ. მრგვალი კოშკის ჩრდილოეთით, დაახლოებით ასი მეტრის დაშორებით დგას ლამაზად ნაშენი ციხე, რომლის არქიტექტურული სტილიც ადრეფეოდალური ხანის საქართველოს ციხესიმაგრეთა მშენებლობისათვის იყო დამახასიათებელი. თვითონ ციტადელი საიმედოდ დაცულია ოთხკუთხა კედლებით [133. 154-155].

ციხესიმაგრე მთლიანად შემოფარგლულია რიყის ქვით ნაშენი გალავნით. გალავნის კედლები ზოგიერთ ადგილზე მნიშვნელოვან სიმაღლეს აღწევს და ხან ოთხკუთხა, ხანაც მრგვალი თავდაცვითი კოშკებით არის გამაგრებული. გალავნის შიგნით შემორჩენილია გაურკვეველი დანიშნულების შენობათა ნანგრევები, ციტადელის სიახლოესეს კი სასახლის ტიპის დანგრეული დარბაზის ნაშთები და პატარა კარის ეკლესია დგას. ეს ნაგებობები აშკარად ადრეფეოდალურ ხანაში V-X საუკუნეებშია

აშენებული. თუმცა უნდა ითქვას, რომ ციხესიმაგრე განვითარებულ და გვიანდელ შუა საუკუნეებშიც თავის ფუნქციას ასრულებდა, რაზეც, ისტორიული წყაროების გარდა, ნათლად მიუთითებს სასახლის ეკლესის დასავლეთ კედელზე გავლებული აგურის კარნიზი, რომელიც გვიანდელ შუა საუკუნეებში უნდა იყოს რესტავრირებული [133. 154\_155].

მაღრანისა და ზემო ხალანის მთაზე აღმართული ციხე-სიმაგრე, როგორც ჩანს, პანკისის ერისთავების რეზიდენციას წარმოადგენდა. მას თავისი გრანდიოზული და მასშტაბური აღნაგობით ხეობის ვერცერთი ისტორიული კომპლექსი შეედრება.

შეუძლებელია მნახველი არ მოხიბლოს ამ იშვიათად ლა-მაზმა და თვალწარმტაცმა სანახაობამ, რომელიც უღრანი ტყის მიუხედავად ციხესიმაგრის გალავნიდან ერთბაშად იშლება. იქიდან ხელის გულივით მოჩანს პანკისის საერისთავოში შე-მავალი ისტორიული ტერიტორიები: ხალანან-პანკისის ხეობა, მდინარე მაჭარეულის ველი, თუშეთის მთები, ალვანი და კახე-თის სივრცე.

პანკისის ერისთავს „ქართლის ცხოვრება“ პირველად XI სა-უკუნის ისტორიულ პროცესებში მოიხსენიებს. ამ ფაქტის სა-ფუძველზე პანკისის ციხე-სიმაგრის აგება უფრო ადრეულ პე-რიოდში შეგვიძლია ვივარაუდოთ.

დ. მუსხელიშვილის აზრით, „ასეთი ციხესიმაგრეების წარ-მოქმნა მოასწავებს იმ ხანგრძლივი ისტორიული პროცესის და-სასრულს, რომლის შედეგად მთა და ბარი ერთ ფეოდალურ ერთეულად, ერთ „ქუეყანად“ გაერთიანდა“ [63. 104].

პანკისის ციხესიმაგრე მთაზე პოლიტიკური და ეკონომი-კური გავლენის დასამყარებლად უნდა აეშენებინათ. ამრიგად, ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, პანკისის ციხე-სიმაგრეს ამ კუთხის ეკონომიკური განვითარებისთვის სასი-ცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან გზა, რომელიც პანკისის ხეობაზე გადის, თუშეთის, კერძოდ წოვათის და პირიქითის ხეობების, კახეთთან დამაკავშირებელ უმთავრეს მაგისტრალს წარმოადგენდა. დ. მუსხელიშვილის ვარაუდით, „იმის გამო, რომ პანკისის ციხიდან კონტროლირდებოდა სამეცხვარეო გზები, არ არის გამორიცხული, პანკისის საერისთავოს უფლებები ალვნის ველზეც გავრცელებულიყო“ [133. 156]. ამრიგად, პანკისის სა-ერისთავოს აღმოცენების ერთ-ერთი მიზეზი იყო მისი სიახლოვე

კავკასიონის მთავარი ქედის მაღალმთიან საძოვრებთან, კერძოდ თუშეთთან [133. 156].

მართალია, პანკისის საერისთავო ისტორიულ წყაროებში პირველად XI საუკუნის დამდეგისათვის იხსენიება, მაგრამ ის უკვე VIII–IX საუკუნეებში უნდა შექმნილიყო.

VIII საუკუნეში არაბთა ბატონობის სიმძიმისგან საქართველოს ბარი დაუძლურებული იყო, ხოლო პანკისის ხეობაში, როგორც მთისწინეთში, მეურნეობის განვითარებისთვის უკეთესი სოციალ-ეკონომიკური პირობები შეიქმნა. ალბათ ამიტომაც VIII საუკუნის ბოლოს არაბებისგან შედარებით მოფარებულ რაიონში, დღევანდელი კახეთის ჩრდილოეთით, კახეთის სამთავრო ჩამოყალიბდა, რომელიც ერწო-თიანეთს, ილტოსა და პანკისის ხეობებს მოიცავდა. აქ ძველად კახეთის საერისთავო იყო. ქართველი დიდებულები აქედან ცდილობდნენ არაბთა უდლის გადაგდებისათვის ბრძოლის ორგანიზებას. კახეთის სამთავროს ჩამოყალიბებისთანავე იწყება სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით ტერმინ „კახეთის“ პოლიტიკური მნიშვნელობის გაფართოება.

XI საუკუნისათვის კახეთის მთავრები საბოლოოდ იპყრობენ ჰერეთს და კახეთის სამთავროს უერთებენ. ამიერიდან ტერმინი „კახეთი“ ჰერეთსაც მოიცავს [46. 147].

XI საუკუნის 20-იან წლებში კვირიკე დიდმა კახეთში სამი ერისთავი დანიშნა. თუმცა, როგორც აღვინიშნეთ, ერისთავები კახეთში ადრევე არსებობდნენ, ხოლო ქორიკოზმა კვირიკე III-მ საერისთავოების მხოლოდ ახალი განწესება მოახდინა. ვახუმტი თავის ნაშრომში კახეთის საერისთავოების კონკრეტულ საზღვრებს აღვინერს:

„გარნა თუ ისხნენ ერისთავნი ჰერეთს, არამედ ამან კვირიკე მეფემან უფროს განამტკიცნა და დასხნა სამნი კახეთს და ოთხი ჰერეთს და კახეთისა ერთი რუსთავს და მისცა სრულიად კუხეთი, რომელ არს ნაგები ყარაია, ჩადივარ-სამგორი, უჯარმა, ლილო, მარტყოფი, გრდანი, ხერკი და თიანეთი, არაგვის კერძო უინვანამდე. მეორე დასვა კვეტერისა და მისცა უჯარმას ზემოთი ორთა მთათა შორის, რომელ არიან კახეთისა და კუხეთისა, ვიდრე კავკასამდე და გარდალმად. ესე არს ერწო-თიანეთი, ფხოველნი, ძურძუკი და ღლიღვი. მესამე პანკისის ანუ მარილისისა

და მისცა ჰერეთის საზღურის ზეითი კავკასამდე და კახეთის მთამდე თუშეთითურთ“ [4. 151].

ამრიგად, ვახუშტის თხზულების მიხედვით, XI საუკუნეში კახეთის სამეფოს შემადგენლობაში რუსთავის, კვეტერისა და პანკისის საერისთავოები შედიოდა. თუმცა „ქართლის ცხოვრება“ პანკისის გარდა კახეთში სხვა საერისთავოებს არ იცნობს. კვეტერა და რუსთავი „ქართლის ცხოვრებაში“ ციხეებად მოიხსენიება.

ბუნდოვანია ვახუშტი ბაგრატიონის ცნობა კახეთის მესამე ერისთავზე, რომელიც კვირიკემ დასვა ერისთავად „მესამე პანკისისა ანუ მარილისისა“. რას უნდა ნიშნავდეს „პანკისისა ანუ მარილისისა“?

მარილისი მდებარეობდა პანკისის სამხრეთ-დასავლეთით, მდინარე კურტანაძეულის ხეობაში, დღევანდელი ხევისჭალის ტერიტორიაზე, ხოლო პანკისი – მარილისის ჩრდილო-აღმოსავლეთით. პანკისშიც და მარილისშიც შემორჩენილია ადგილობრივი ფეოდალების რეზიდენციათა შთამბეჭდავი ნაგრევები. „ქართლის ცხოვრებაში“ ასევე მოხსენებული არიან XI საუკუნის I ნახევრის მოღვაწეები აშოტ მთავარი მარილელი, კახთა მეფის კვირიკე დიდის სიძე, დისქმარი და სტეფანოზ ვარჯანის ძე, პანკისის ერისთავი [92. 298]. მარილისისა და პანკისის ციხე-სიმაგრეები ამ ფეოდალთა რეზიდენციებს წარმოადგენდა. დ. მუსხელიშვილის აზრით, „ეს ორი, ერთმანეთთან ახლომდებარე პუნქტი ერთ საერისთავოში უნდა ყოფილიყო გაერთიანებული, რომლის ცენტრი შესაძლებელია ყოფილიყო როგორც პანკისი, ასევე მარილისი, რადგან ორივე წარჩინებულთა რეზიდენციას წარმოადგენდა“ [63. 135]. ვახუშტი, მართალია, საერისთავოს ცენტრად დასახელებულ პუნქტთავან ერთ-ერთს გულისხმობს, მაგრამ გაურკვევლობის გამო ორივეს ასახელებს. აშოტ მარილელი „ქართლის ცხოვრებაში“ მთავრის, ხოლო სტეფანოზ ვარჯანის ძე ერისთავის ტიტულით მოიხსენიება. ვახუშტის ცნობით, ერისთავები მთავართა წრიდან ინიშნებოდნენ. როგორც ჩანს, ამ ორ ფეოდალს შორის პირველობისათვის ინტენსიური ბრძოლა მიმდინარეობდა, რაც აფხაზთა მეფეების მიერ კახეთის შემოერთებისთვის გაჩაღებულ ომებშიც აისახა.

აფხაზთა მეფეები კახეთის სამეფოს წინააღმდეგ ბრძოლებს X საუკუნიდან იწყებენ. XI საუკუნის პირველ ნახევარში გიორგი

I-მა კვირიკე მეფის ძმის, შტორას, დახმარებით ხელთ იგდო უჯარმის ციხე და „ეუფლნენ სხუათაცა ციხეთა კახეთისათა, თუინიერ სამთა ციხეთა: ნახჭოვნისა, ბოჭორმისა და ლონობნისა“.

ვახუშტის მიხედვით, ნახჭოვნის იყო ლალისყურის ციხე, ხოლო ლონობნის – ბახტრიონის ციხე. ბოჭორმა კუხეთიდან იცავდა კახეთს, ნახჭოვანი – ჰერეთიდან. ლონობანი კი, თუ ის მართლაც ბახტრიონია, პანკისის ხეობის შესასვლელს კეტავდა. პანკისის ხეობას ჩრდილოეთიდან იცავდა „ციხე ხორჯისა ანუ მახვილი“. მას ამჟამად ჰქვია ხორეჯო და მახვალი. ვახუშტის ცნობით, პანკისის „კევს ზეით განიყოფის ალაზანი ორად, და ამ ორთა წყალთა შუა არის ციხე ხორჯისა ანუ მახვალი, მაგარი და შეუვალი, არამედ ან უქმი“ [3. 102]. ამ ციხის ნანგრევები ალაზნის ზემო წელზე, მთიან ნანილში, ხადორის ჩრდილოეთით, მახვალის ხევზე, შემორჩენილია დღემდე. კახთა მეფე სწორედ ამ გეოგრაფიულ არეალში გამაგრდა.

საქართველოს მეფემ ბაგრატ IV-მ (1027–1072 წწ.) გადაწყვიტა კახეთის სამეფოს დაპყრობის საქმე ბოლომდე მიყვანა. მან თბილისის ამირასთან ზავი შეკრა და კახელ ფეოდალებთან საიდუმლო მოლაპარაკება გამართა.

კახელ წარჩინებულთა შორის აშკარად გამოიკვეთა ერთ-მანეთთან დაპირისპირებული ორი დასი, რომელთაგან ერთი ბაგრატ IV-ს ემხრებოდა და საქართველოს გაერთიანებას თანაუგრძნობდა, ხოლო მეორე ჯგუფს კახეთის მეფის მომხრე დიდმოხელე ერისთავები შეადგენდნენ, რომლებიც, თავიანთი ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველოს გაერთიანებას ენინა-აღმდეგებოდნენ.

XI საუკუნის 30-იან წლებში კახეთის მეფის ერთგული მოხელე იყო პანკისის ერისთავი სტეფანოზ ვარჯანის ძე. კვირიკე მეფის სიძე, მთავარი აშოტ მარილელი კი ბაგრატ IV-ის მხარეზე გადავიდა.

პანკისის ერისთავს სტეფანოზ ვარჯანის ძესა და მთავარ აშოტ მარილელს შორის ურთიერთობის საკითხს მეტად საინტერესო ნაშრომი უძღვნა დ. მუსხელიშვილმა [64]. მისი აზრით, მთავართა და ერისთავთა შორის დაპირისპირებას კონკრეტული სოციალ-პოლიტიკური საფუძველი უნდა ჰქონოდა. „მთავარი ამ დროს წარმოადგენდა მეტ-ნაკლებად მსხვილი საფეოდალოს

პატრონს, რომელიც მეფის ვასალი იყო, მაგრამ არა აუცილებლად მისი უშუალო დიდმოხელე“ [64. 27]. ერისთავები კი, ვახუშტის ცნობით, მეფის მიერ სამეფოს რომელიმე მხარის სამართავად სწორედ ამ მთავართა და წარჩინებულთა წრიდან ინიშნებოდნენ. ამდენად, პანკისის ერისთავი სტეფანოზ ვარჯანის ძე მეფის სამსახურში დაწინაურებელი და დიდმოხელეობით სხვა მთავრებზე მეფის მიერ აღზევებული პირი იყო. ასეთ ვითარებაში გასაგებია პანკისის ერისთავსა და მარილისის მთავარს შორის წინააღმდეგობის მიზეზი. მარილისი და პანკისი ორ მეზობელ ხეობაში მდებარეობს. მართალია, მარილისი ამჟამად მატნის ნაწილია, მაგრამ აშოგ მარილელის რეზიდენცია დღევანდელი წმინდა მარინეს კომპლექსი ან ქაჩალაურის ციხე უნდა ყოფილიყო და მისი საფეოდალო მხოლოდ კურტანაძეულის ხეობას მოიცავდა, რომელიც პანკისს სამხრეთ-დასავლეთიდან ესაზღვრება [64. 32]. პანკისი და მარილისი, თავის დროზე დამოუკიდებელი ფეოდალური ერთეულები, როგორც უშუალო მეზობლები, ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. დ. მუსხელიშვილის აზრით, პანკისის ერისთავს მარილელთან შედარებით, ბუნებრივია, გაცილებით უფრო მძლავრი ეკონომიკური ბაზისი გააჩნდა და, ამდენად, პოლიტიკური უპირატესობაც მან ჩაიგდო ხელში. შესაძლოა, პანკისელმა მთავარმა, მას შემდეგ, რაც კახთა მეფის ერისთავობა გაინაღდა, მარილელთა სამთავროც თავის საერისთავოს ფარგლებში მოაქცია [64. 28].

ამიტომაც მთავარი აშოგ მარილელი საქართველოს გაერთიანების მომხრე და საკუთარი მეფის მოღალატე ხდება იმის იმედით, რომ გამარჯვების შემთხვევაში, უეჭველია, ბაგრატი მას დაანინაურებს; რაც შეეხება პანკისის ერისთავს, სტეფანოზ ვარჯანის ძეს, ის საქართველოს გაერთიანების მოწინააღმდეგე და საკუთარი პატრონის ერთგული რჩება იმიტომ, რომ კახეთის სუსტ მეფესთან შედარებით ძლიერი ბაგრატ IV-ის გამარჯვება არაფერ კეთილს მას არ უქადის [64. 28].

მას შემდეგ, რაც ბაგრატ IV-მ თავის მხარეზე გადაიბირა კვირიკე მეფის დის ქმარი მთავარი აშოგ მარილელი და ხახვილა ჯვარისციხელი, მან გაილაშქრა თავისი ყოფილი მოკავშირის, კახთა მეფის წინააღმდეგ. ბრძოლა მიქელ-გაბრიელის მთაზე გაიმართა. ბაგრატმა დაამარცხა მეფე და ტყვედ წამოიყვანა სამი ერისთავი: სტეფანოზ ვარჯანის ძე პანკისელი, ვაჩე გურგენის ძე

ხორნაბუჯელი და ჯედი შტორელი. იქიდან თიანეთში გადავიდა ბაგრატი და კვირიკე მეფის მიერ აგებული ბოდოჯის დიდებული სასახლე გადაწვა [92. 298].

კახეთის შემოერთებას წინ აღარაფერი ედგა, მაგრამ ბაგრატ IV იძულებული გახდა ლიპარიტ კლდეკარის ერისთავის მიერ მოწყობილი აჯანყების ჩასაქრობად სასწრაფოდ ქართლში გადასულიყო.

ამავე დროს, იმის გამო, რომ საქართველოს მეფისათვის თიანეთი შედარებით ადვილი მისადგომი გახდა, ერთ ქვეყანად გაერთიანებული კახეთ-ჰერეთის სამეფო ცენტრი თელავში გადაიტანეს.

კახეთის არისტოკრატია საქართველოს გაერთიანების პროცესს თანაუგრძნობდა და ამიტომაც, მრავალი დაბრკოლების მიუხედავად, თურქ-სელჩუკების შემოსვამდე, კერძოდ, XI საუკუნის 60-იანი წლებისათვის, ბაგრატ IV-მ თითქმის მთელი კახეთ-ჰერეთი ჩაიგდო ხელში. მემატიანის ცნობით, ბაგრატი „განძლიერდა უფროს ყოველთა მეფეთა მის ქუეყანისათა: და ამან წარიხუნა ყოველნი ციხენი ჰერეთისა და კახეთისანი თუინიერ კუეტარისა და ნახჭოვანისა“ [92. 306].

კახეთის სამეფოს საქართველოს ფეოდალურ მონარქიასთან გაერთიანების პრობლემა საბოლოოდ დავით ალმაშენებელმა გადაჭრა.

1102 წელს გარდაიცვალა კვირიკე და კახეთის სამეფო ტახტზე მისი ძმისწული ალსართანი ავიდა, „რომელსა არა რა ჰქონდეს ნიჭი მეფობისანი, რამეთუ იყო ცუნდრუკი რამე, უსჯულო და უმეცრად უსამართლო“. ალსართანმა სამეფო ხელი-სუფლება ერთი წელიც ვერ შეინარჩუნა. საქართველოს გაერთიანების მომხრე ჰერეთის დიდებულებმა – არიშიანმა, ბარამბა და ქავთარმა – ალსართანი შეიძყრეს და ბორკილდადებული დავით ალმაშენებელს მიჰვარეს. დავითმა კახეთ-ჰერეთი საქართველოსთან შემოერთებულად გამოაცხადა. ამან განსაკუთრებით გააღიზიანა თურქ-სელჩუკები. მათ საქართველოს წინა-აღმდეგ დიდი ლაშქრობა მოაწყვეს. თურქთა უზარმაზარ ლაშქარს თან ახლდა განძის ათაბაგი და ზოგიერთი კახელი აზნაურიც. ბრძოლა დავით IV-ის წინამძღოლობით 1104 წელს ერნუხში გაიმართა, რომელიც ქართველების ბრწყინვალე გამარ-

ჯვებით დამთავრდა. კახეთ-ჰერეთი საქართველოს განუყოფელ ნაწილად იქცა.

ამის შემდეგ, საუკუნეზე მეტი წელი განმავლობაში, ისევე როგორც მთელ საქართველოში, პანკისის ხეობაშიც სოციალ-პოლიტიკური ვითარება სტაბილური გახდა. სამეფოს საზღვრები კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდე, ნიკოფილიდან დარუბანდამდე გადაიჭიმა. დავით აღმაშენებლისა და მისი მომდევნო მეფეების მმართველობის პერიოდში, მონღოლთა შემოსევამდე, საქართველოს ფეოდალური მონარქიის ეკონომიკამ განსაკუთრებული აღმავლობა განიცადა. გაიფურჩქნა სოფლის მეურნეობა და ვაჭრობა. ქვეყნის მოსახლეობა საგრძნობლად გაიზარდა. შენდებოდა ქალაქები და სოფლები, გაპყავდათ გზები და სარწყავი არხები, აგებდნენ ხიდებს, შეიქმნა ხელოვნების დიდებული ძეგლები...

ქვეყნის არნახულ კულტურულ-ეკონომიკურ წინსვლას მონღოლთა შემოსევებმა შეუშალა ხელი.

ჯალალედინთან უძმიმესი ბრძოლებით დაქანცული, აოხრებული და დარბეული საქართველო XIII საუკუნის 30-იან წლებში მონღოლებმა დაიპყრეს.

ტახტისმაძიებელი უფლისწულები დავით ულუ და დავით ნარინი სამეფო ინსიგნიების მისაღებად ყარაყორუმში გაემგზავრნენ.

უმეფობის, უპატრონობისა და უკიდურესი დაცემის უამსქართველმა დიდებულებმა გამოამჟღავნეს უდიდესი სიმტკიცე და ერთსულოვნება. ამ არისტოკრატთა შორის იყო მონღოლთა ბატონობის პერიოდის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწე პანკისის ერისთავი თორლვა.

როგორც ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს, „ქართველების-თვის, რომელთაც თავიანთი სახელმწიფოს ძლიერების ხანა თავისი თვალით ნანახი ჰქონდათ და ერაერთი ქვეყანა ჰყავდათ ყმადნაფიცად, მონღოლთა ბატონობის თუნდაც მსუბუქი უღლის ატანა, რასაკვირველია, არაფერი სასიამოვნო იქნებოდა და ისინი უეჭველია სულ მუდამ თავიანთი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ოცნებაში იქნებოდნენ და ყოფილან კიდეც“ [125. 138].

1247 წელს მონღოლთაგან საიდუმლოდ ჯავახეთში, კოხტას-თავს, შეიკრიბნენ ქართველი დიდებულები: თორლვა პანკელი,

ეგარსლან ბაკურციხელი, კახაბერ კახაბერიძე, შოთა კუპრი, სარგის თმოგველი, ცოტნე დადიანი, ვარამ გაგელი, ივანე-ყვარევარე ჯაყელი და თორელი გამრეკელი.

უმეფოდ და უნინამდლვროდ დარჩენილმა ქართველმა ერის-თავებმა წუხილი გამოთქვეს სამშობლოში შექმნილი საგანგაშო მდგომარეობის გამო. მონღოლებს ქართველები ყოველწლიურად შორეულ ლაშქრობებში მიჰყავდათ და სხვა მრავალ „ჭირთა და ლვაწლთა შეამთხვევდნენ“. დიდებულთა საიდუმლო შეკრების დროს საერთო ჩივილი ყოფილა: „— რა ვყოთ? არღარა არს ნა-თესავი ქართველთა მეფეთა, რათა წინამდლვარ გვექმნას და ვპრძოდეთ თათართა“ [93. 217]. საშველი აღარ იყო. ამიტომ შეთქმულებმა გადაწყვიტეს გაერთიანებულიყვნენ და ერთიანი ძალებით დაემხოთ მონღოლთა ბატონობის ულელი. ისინი აჯან-ყების მოსამზადებლად თავიანთ საერისთავოებში წასვლას პი-რებდნენ, რათა ერთი თვის შემდეგ მტრის წინააღმდეგ საომარი ძალებით შეკრებილიყვნენ სამცხეში. დიდებულებმა დაშლაც ვერ მოასწრეს, რომ მათ მონღოლები დაეცნენ და ყველანი იქვე შეიპყრეს. ცხადია, შეთქმულება ვიღაცამ გასცა.

შეთქმულები ანისში ჩაიყვანეს, ტანსაცმელი გააძრეს, მხარ-მკლავები გაუკრეს, შიშველ ტანზე თაფლი წაუსვეს და თაკარა სიცხეში შუა მოედანზე დაყარეს, რათა შეკრების ნამდვილი მიზეზი გაეთქვათ. ერისთავები ამჯერად ცოტნე დადიანის რა-იდობამ იხსნა.

კოხტასთავის შეთქმულებაში მკაფიოდ გამოვლინდა ქარ-თველი დიდებულების, მათ შორის თორლვა პანკელის, თავი-სუფალი ნება და ქვეყნის ბედნიერი მომავლისთვის ბრძოლის სურვილი.

ორი წლის შემდეგ, 1249 წელს, უმეფოდ დარჩენილ ქარ-თველებს მონღოლებმა ერთის მაგივრად ორი მეფე გაუმწესეს: დავით ულუ და დავით ნარინი.

სამშობლოში დაბრუნებულმა საქართველოს მეფემ, ლაშა გიორგის ვაჟმა დავით ულუმ ქვეყნისათვის განეული ამაგი დიდად დაუფასა თორლვას. კიდევ უფრო აღზევდა და გაძ-ლიერდა პანკისის ერისთავი. კახეთის ადმინისტრაციული ცენ-ტრი პანკისში იქნა გადატანილი [63. 88].

თორლვა პანკელი, რომელმაც კოხტასთავის შეთქმულებაში განსაკუთრებული სიყვარული და ერთგულება გამოამჟღავნა

ქვეყნისა და მომავალი მეფის წინაშე, ერთ-ერთი საინტერესო პიროვნებაა საქართველოს ისტორიაში. მისი სახელი დღემდე ჰქვია პანკისის ციხესიმაგრეს. თორლვას სახელობის ციხე-გალავანი არის აგრეთვე სტორის ხეობაში, იქვეა სამკურნალო წყალი, რომელიც „თორლვას აბანოდ“ იწოდება. თორლვას ციხე აღმართულია პირიქითა ხევსურეთში, სოფელ მუცოს ერთ-ერთ მიუვალ კლდის ქიმზე. თორლვას ციხე შემორჩენილია სოფელ სახაბოშიც.

მე არ ვიზიარებ იმ თვალსაზრისს, თითქოს „თოლა“, „თორლა“, როგორც ის ისტორიულ დოკუმენტებში ხსენდება, მხოლოდ ციხეთა ზოგადი მნიშვნელობის აღმნიშვნელი ტერმინია. ყველა ეს ტოპონიმი თორლვა პანკისის სახელს უკავშირდება. ერის-თავი თორლვა დიდ ციხემშენებლად გვევლინება. როგორც ჩანს, თორლვა ზრუნავდა საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვრის თავდაცვისუნარიანობის განსამტკიცებლად და გამა-ლებით აგებდა ციხეებს. აშკარაა, პანკისის ერისთავის ძალა-უფლება აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთსა და დღევან-დელი ჩეჩინეთ-ინგუშეთის მთიანეთზეც ვრცელდებოდა. მხოლოდ თორლვასავით დაწინაურებულ მოხელეს შეეძლო ერთმანეთან საკმაოდ დაშორებული, ამგვარი გრანდიოზული ციხესიმაგ-რეების მშენებლობა. თორლვა პანკელის ბობოქარი ცხოვრების ანაბეჭდი გარკვეულწილად მისი თაოსნობით აგებულ ციხე-სიმაგრეთა სახელებმაც შემოგვინახა.

1252 წელს ბათო ყაენმა დავით ულუ ოქროს ურდოში გა-იძახა. დავით ულუმ კახეთის მმართველობა თავის უერთგულეს ერისთავს, ქვეყნისა და ერის წინაშე ნაამაგარ თორლვას ჩააბარა.

ამ დროს დავით ულუს მონღოლი ქალი ჰყავდა ცოლად, სახელად ჯიგდა-ხათუნი. მონღოლთა კანონებით უმეფობის დროს ძალაუფლება ცოლზე გადადიოდა. იმის გამო, რომ ეს ქალი არც თუ კარგად იცნობდა ქართულ გარემოს, დავით ულუმ მას თანამმართველად და ქვეყნის გამგებლად დაუდგინა სავ-სებით უჩინო კაცი, მანდატურთუხუცესის ერთ-ერთი ხელქვე-ითი, რიგითი მოხელე, მესტუმრე ჯიქური.

სამეფო კარზე მოხდა გაუგონარი რამ: საქართველოს სა-ხელმწიფო სადაცეები ხელში ჩაიგდო კაცმა, რომელსაც იქ, იმდროინდელი სამეფო ეტიკეტის მიხედვით, არაფერი ესაქ-მებოდა. მას უნდა დამორჩილებოდა ყველა ვეზირი და ერისთავი.

რადგანაც მონღოლ ჯიგდა-ხათუნს საქართველოს მდგომარეობის შესახებ მცირე წარმოდგენა ჰქონდა, ქვეყნის ნამდვილი მესაჭე ჯიქური გახდა.

ჯიქური მარჯვე და ენერგიული მმართველი აღმოჩნდა. საქართველოში სრული უსაფრთხოების დასამყარებლად მან მკაცრი ღონისძიებები გაატარა. სახრჩობელის საშუალებით ჩააცხრო ქურდობა და ყაჩალობა. ის ბევრს ზრუნავდა ლარიბლატაკებსა და ქვრივ-ობლებზე. ალაგმა ზოგიერთი ფეოდალის თავგასულობა. ქვეყნის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის მიუხედავად, საჭირო სახსრები გამონახა და აღმშენებლობითი სამუშაოები წამოიწყო, ააგო ბრძყინვალე სასახლე ისანში. მეფის მიერ მოხელეთა უფროს-უმცროსობის განრიგებაში ასეთი აღრევის შეტანამ ქვეყანაში მტრობის ცეცხლი გააღვივა. არისტოკრატია ვერ ურიგდებოდა „ვილაც“ მესტუმრის თავკაცობას.

არც ოქროს ურდოდან ისმოდა რამე მეფის შესახებ. დავით ულუს საკმაოდ მოუგვიანდა სამშობლოში ჩამოსვლა.

პანკისის ერისთავს, თორლვას, მეფის საქართველოში დაბრუნების იმედი გადაეწურა. ლოდინს დასასრული არ უჩანდა. მას უკვე აღარ სურდა ჯიგდა-ხათუნსა და „ვილაც“ ჯიქურს დამორჩილებოდა. თუმცა ოქროს ურდობი წასვლამდე დავით ულუმ „კახეთიცა პანკელსა თორლუსა შევედრა და ამცნო, რათა ბრძანებასა დედოფლისასა ერჩდეს“ [93. 230].

თორლვამ კახეთი დამოუკიდებელ საერისთავოდ და თავის საკუთრებად გამოაცხადა. ის პანკისში გამაგრდა: „უკუდგა პანკისს, ციხესა და თვისად დაიჭირა კახეთი და არღარა მორჩილებდა დედოფლალსა და მესტუმრე ჯიქურს“ [93. 230].

თორლვას ცოტა ხანიც რომ მოეცადა, ამ ნაბიჯს ალბათ არ გადადგამდა.

დავით ულუ ოქროს ურდოდან დაბრუნდა.

მონატრებულ მეფეს ქართული საზოგადოებრიობა ჰერეთის საზღვარზე შეეგება.

სამეფო კარზე დადგენილი წესების თანახმად, იქ იყო ყველა დიდი მოხელე, თორლვა პანკელის გარდა. განდგომილმა ერის-თავმა ვერ გაბედა მეფესთან პირისპირ შეხვედრა.

როცა დავით ულუმ მომხდარი ამბავი გაიგო, თორლვა პანკელი ოფიციალურად იხმო. თორლვა მეფესთან არ გამოცხადდა. შესაძლოა, პანკისის ერისთავს უკვე სინდისიც ქენჯნიდა, რად-

გან მეფეს, რომელიც მას მეტად ენდობოდა, განუდგა და პატ-რონის დავალება არ შეასრულა. რა თქმა უნდა, თორლვას ჯი-ქურისა და მონღოლი დედოფლის სისასტიკეც დააფრთხოდა.

ძნელია გადაჭრით რამის თქმა. ფაქტია, მეფემ თორლვა პანკელი რამდენჯერმე დაიბარა, ერისთავი კი მაინც არ წარსდგა მის წინაშე.

მაშინ განდგომილ ერისთავზე გაბოროტებული ჯიქური თვი-თონ ამოქმედდა. უამთაალმწერლის ცნობით, მან ბერი ხორნა-ბუჯელი მიგზავნა პანკისს. [93. 230].

ხორნაბუჯელი შეუჩნდა თორლვას:

– მენდე, სასახლეში გამომყევი და ფიცს გაძლევ, მეფე არა-ფერს გავნებსო.

უამთაალმწერლის მიხედვით, პანკისის ერისთავი ლრმად მორწმუნე და ღვთისმოშიში კაცი უნდა ყოფილიყო. თორლვამ ხორნაბუჯელს განუცხადა:

– იმ პირობით მოგენდობი, თუ ალავერდის წმინდა გიორგის ხატზე დაიფიცებო.

ბერი ხორნაბუჯელი უყოყმანოდ დასთანხმდა.

ისინი ალავერდის ტაძარში, წმინდა გიორგის ხატთან მი-ვიდნენ.

როგორც უამთაალმწერლის ისტორიიდან ირკვევა, თორლვა ამ დროს ახალგაზრდა უნდა ყოფილიყო [93. 231].

თორლვა აშკარად გრძნობდა, რომ ღალატობდნენ. მას უთქვამს:

– ხორნაბუჯელო, რასაც მე მიპირებ, წმინდა გიორგი იმავეს მოგიზღვავს. მე მარტოხელა, ჯერ უშვილძირო კაცი ვარ და არ მინდა უმეტესი გადავეგო. თუ მეფესთან ღალატით მიგ-ყავარ, დაე, შენც და შენი ოჯახიც ჩემსავით უშვილძიროდ გადაშენდით!

ხორნაბუჯელმა დაიფიცა ალავერდის წმინდა გიორგის ხატზე და თორლვას უვნებლობის ფიცი მისცა. მან მართლაც მიიყვანა სასახლეში თორლვა. ჯიქურსა და ჯიგდა-ხათუნს უკვე მოეთათპირებინათ: გამორიცხული არ იყო, მეფეს პანკელისთვის განდგომა ეპატიებინა, ამიტომ ყველაფერი მანამდე უნდა მოე-თავებინათ, სანამ დავით ულუ თორლვას მოსვლას შეიტყობდა.

ფიცმინდობილი თორლვა პანკელი სასწრაფოდ შეიძყრეს და მეფის დაუკითხავად მოკლეს: „წარიყვანეს კლდე-კართა“ და იქიდან გადააგდეს.

თორლვა პანკელის ტრაგედიას ივანე ჯავახიშვილი ასეთ კომენტარს უკეთებს: „ამ გარემობიდან ჩანს, რამდენად იყო საქართველოში არსებული სახელმწიფო სამართალი უკვე დარღვეული და რამდენად თავიანთ თავს ბატონ-პატრონად თვლიდნენ ჯიგდა-ხათუნი და ჯიქური, მაშინაც კი, როდესაც მეფე თავის სამეფოში იმყოფებოდა და მართვა-გამგეობაში პირადად და უშუალოდ მონანილეობის სრული საშუალება ჰქონდა“ [125. 347].

თორლვას მკვლელობის სამივე მონანილეს ლვთის რისხვა დაატყდა.

ბერ ხორნაბუჯელს თორლვას წყევლა აუხდა: „უმკვიდრო იქმნა სახლი მისი“. ხორნაბუჯელს ერთადერთი შვილი ჰყავდა, შალვა. როგორც მემატიანე გადმოგვცემს, ის იყო კაცი, „ყოვლად სიკეთე აღმატებული“; ჯერ შალვას დაეხოცნენ შვილები, მერე თათრებთან ბრძოლაში შალვაც დაიღუპა. თვითონ ბერ ხორნაბუჯელს დარდსა და მწუხარებაში ამოხდა სული.

თორლვას დაღუპვიდან სულ ცოტა ხნის შემდეგ მოკვდა უშვილო ჯიგდა-ხათუნიც. ხოლო მისმა ქმარმა, დავით ულუმ, ცოლად სასწრაფოდ ავაგ ათაბაგის ცოლყოფილი შეირთო, მშვენიერი გვანცა.

ახალ დედოფალს თვალში არ მოუვიდა სასახლის კარზე განდიდებული ჯიქური და მტრულად განეწყო. „დიდგვაროვნებიც დიდი ხანია „გააზნაურებული მდაბიოს“ მოშორებაზე ოცნებობდნენ. ჯიქურს მოულოდნელად ულუ დავითის ლალატში დასდეს ბრალი. ლამით დაეცნენ, სახლ-კარი გადაუბუგეს და მხარგაკრული ისნის სასახლეში მოათრიეს. მეფის ბრძანებით ჯიქური მტკვარში გადააგდეს.

„თორლვას მაგალითი სამეფოს დაშლის უტყუარი ნიშანი იყო, რომელიც მომავალში უთუოდ გაფართოვდებოდა, თუ ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრება არ შეიცვლებოდა“ [73. 596].

ქართული ზეპირსიტყვიერების ერთ-ერთი საინტერესო, მითოლოგიური ბურუსით მოცული პერსონაჟია თორლვა ძაგანი. მრავალი მკვლევარის აზრით, მითოლოგიური თორლვა ძაგანი და ისტორიული თორლვა პანკელი ერთი და იგივე პიროვნებაა.

დ. გოგოჭურის აზრით, პანკისის ერისთავი თორლვა ძაგანიძეთა საგვარეულო შტოდან უნდა ყოფილიყო [19. 94].

ხალხური ბალადების პერსონაჟი თორლვა გამორჩეული, ნაწილიანი გმირია:

„ობლობით ამაიზარდა თორლვა ძაგანის გვარიო,  
ამაეს ამაიყოლა ნავთი და ნაკვერცხალიო.

იორში ამაიჩქვიფა, შორით ვინ უდგა თვალიო.

დიდებულობა დაუთქვეს, ბეჭებს უნახეს ჯვარიო“.

„მარჯვნივ მზე წერებულიყვა, მარცხნისკე მთვარის ნალიო“

[115. 16].

თორლვას ობლობა მის გამორჩეულობაზე მიუთითებს. ბალადის ზოგიერთ ვარიანტში თორლვა ამგვარად არის წარმოდგენილი:

„შემოგეყრება თორლვაი, ღვთისაგან ნაწილიანი“ [115. 344].

თორლვას ეპითეტი – „ღვთისაგან ნაწილიანი“, მის ბეჭებზე გამოსახული ჯვარი, მზე და მთვარე უდავოდ გვიდასტურებს მის დავლათიანობას, რაც, ხალხური ტრადიციით, ღვთისაგან მხოლოდ რჩებულებს შეიძლება მისცემოდათ. თორლვა ძაგანი იყო „ღმერთისაგან სვიანი“.

ზეპირსიტყვიერი ტექსტების მიხედვით, თორლვა ძაგანი ფშავს ბეგრავს:

„უნდა დაიდვათ ბეგარა, თითო შიშაგი ცხვარია,

თითო ნაცრიან ტომარა, თითო არწივის მწარია“ [115. 343],

– მიმართავს თორლვა ფშავლებს. ნაცარი მას თოვლზე დასაყრელად სჭირდებოდა, რათა მთის ბილიკებზე თოვლი სწრაფად დამდნარიყო და ბართან მიმოსვლა გაადვილებულიყო. ხოლო არნივის ფრთებს, როგორც წესი, ისრის ერთ-ერთ ნაწილად იყენებდნენ.

XIII საუკუნეში ფხოვი დაარბია და დაბეგრა თორლვა პანკელის თანამედროვე ჯიგდა-ხათუნმაც. მემატიანე წერს: ჯიგდა ხათუნმა „ფხოველნი მეხარენე ყვნა, და მეჯორედ ყვნა კაცნი იგი მხეცისა ბუნებისანი“ [93. 226]. ტრისტან მახაურის აზრით, „ვისი ძალით უნდა დაერბია ფხოვი დედოფალს, თუ არა თორლვას მეშვეობით, რადგანაც ეს მხარე კახეთის საერისთავოს ნაწილი იყო. ვის უნდა აეკრიფა ხარკი, თუ არა თორლვას, რომელიც

აღმასრულებელი ხელისუფლების მაღალი წარმომადგენელი იყო. ხალხური გადმოცემა თორლვას მიერ ფშავის (იგივე ფხოვის) დაბეგვრისა მატეანები ნახსენები ისტორიული ამბის ანარეკლი უნდა იყოს. ფხოვის მოსახლეობა მაშინ საკმაოდ მრავალრიცხოვანი იქნებოდა და ბეგარის ის სახე, რაც ზეპირსიტყვიერ ტექსტებშია მითითებული, სახელმწიფო-საბეგვრო გადასახადის სახით ექნებოდა მათ შენერილი. მატიანე ხარკის პირობების შესახებ არაფერს მოგვითხრობს, ზეპირსიტყვიერ მასალებში კი ეს ამბები თავისებური „რედაქციით“ არის გადმოცემული“ [59. 222].

ხალხურ ტექსტებში თორლვა ალექსანდრე ბატონიშვილის უკანონო შვილად მოიხსენიება. ამასთან დაკავშირებით ტრისტან მახაური ფიქრობს, რომ „თორლვას არაკანონიერი წესით შობის მოტივი ლექსში და ზეპირგადმოცემებში XVIII საუკუნიდან უნდა შეჭრილიყო, როცა იმდროინდელ ხალხურ მთქმელებს უკვე აღარ ახსოვდათ გმირის ნამდვილი ვინაობა და საფუძველი ეყრდნობოდა მის გამითიურებას. ზეპირსიტყვიერების შემომნახველნი წარსული დროის უძლეველ რაინდს მექანიკურად დააკავშირებდნენ ბაგრატიონთა ღვთიურ შტოსთან და, რაკი იმ ხანებში პატარა კახისა და ალექსანდრე ბატონიშვილის სახელები ყველას პირზე ეკერა, თორლვას ერთ-ერთი მათგანის უკანონო შვილად ჩათვლიდნენ“ [59. 213].

ზეპირსიტყვიერ ტექსტებში, ისევე როგორც ისტორიულ ქრონიკებში, თორლვა აღზევებული გმირია:

„ – სამჯერ გეხვევე, თორლვაო, სამჯერ დაგიკალ ცხვარიო.

მეოთხედ გავიფიცენით, – თეთრი ქორა წარიო.

არ დაიჯერე, თორლვაო, ისრივ შამუშვი ჯარიო“ [115. 353].

ამ ფრაგმენტიდან ირკვევა, რომ თორლვა მთიელთა დამორჩილებასაც ცდილობდა.

როგორც ცნობილია, სამეფო ხელისუფლებისაგან გამდგარი თორლვა პანქელი დავით ულუმ თავისთან მიიწვია. ხალხური ბალადებით თორლვასაც ვიღაც ბატონი, მასზე იერარქიულად ზემდგომი პირი იხმობს; აღსანიშნავია ისიც, რომ ბატონის გამოგზავნილი მოციქულის პირიდან უფრო თხოვნა ისმის, ვიდრე ბრძანება და ის, ბატონთან გამოცხადების შემთხვევაში, თორლვას დაპირებებს აძლევს:

„თორლვავ, გიბარებს ბატონი: აქ ჩამაედი ბარადა!  
ქუდსა და გხურავ წითელსა ჭარელთ ვაჟების თვალადა:  
წელზე ქმალს შამაგარტყამდი, ვერვინ შამაგისნის ძალადა:  
ცხენზედ გადაგსომ, თორლვაო, შინ წაგიყვანდი ჩქარადა“ [115. 17].

როგორც ცნობილია, ჯიქურისგან თორლვასთან საშუამავ-  
ლოდ მივლენილი ბერი ხორნაბუჯელიც მეფესთან გამოცხა-  
დების შემთხვევაში გარკვეული პირობების შესრულებას აღუთ-  
ქვამდა პანკისის ერისთავს.

თორლვა ძაგანისა და თორლვა პანკელის იდენტიობის  
საილუსტრაციოდ ტ. მახაურს ძაგანისძეთა ამონცვეტისა და პან-  
კისის ერისთავის უშვილძიროდ გადაგების ანალოგია მოჰყავს.  
საბოლოოდ ტ. მახაური ასკვნის, რომ ისეთ ცნობილ ისტორიულ  
პირს, როგორიც პანკისის ერისთავი თორლვაა, ხალხური სი-  
ტყვიერება გვერდს ვერ აუვლიდა: „იმდროინდელი ზეპირი ტექ-  
სტები ჩვენამდე თავდაპირველი სახით, რა თქმა უნდა, ვერ მო-  
აღწევდა. მომდევნო საუკუნეებს ბევრი დეტალი თუ ნიუანსი  
უნდა შეეცვალა მათში. ზოგიერთი ზეპირი ტექსტი საერთოდ  
გაქრებოდა უამთა მდინარებაში, ხოლო რაც შემორჩა, რამაც  
გაუძლო დროის ქარტეხილებს, ის უფრო მითიური და ზღაპ-  
რული იერით უნდა შემოსილიყო“ [59. 211–212].

თორლვა პანკელმა დაკარგა ლვთისგან მინიჭებული დავ-  
ლათი. ისტორიული დოკუმენტებისა და ხალხური ტრადიციის  
მიხედვით, თორლვა ამპარტავნებისა და გაბუდაყების გამო  
დაისაჯა.

ერთი რამ ცხადია, ორივე პერსონაჟი, ისტორიული თორლვა  
პანკელიც და ხალხური ბალადების თორლვა ძაგანიც, ჭეშმარიტი  
გმირია. დ. გოგოჭურის სამართლიანი შენიშვნით, „თვით იმ  
ხალხურ სიმღერებშიც კი, რომლებშიც თორლვას მოვლა გა-  
მართლებულად არის მიჩნეული, იგი გმირად რჩება, ოლონდ  
ტრაგიკულ გმირად“ [19. 112].

მონგოლთა ბატონობის შემდეგ, გიორგი ბრნეინვალის მმარ-  
თველობის პერიოდში, საქართველო კვლავ მოძლიერდა, მაგრამ  
ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობა დიდხანს არ გაგრძელებულა.  
თემურ ლენგის შემოსევებმა ქვეყანა ნანგრევებად აქცია, მოსახ-  
ლეობა გაწყდა. დაუძლურებული და გაპარტახებული ქვეყანა

**XV** საუკუნის მეორე ნახევარში სამეფო-სამთავროებად დაქუც-მაცდა.

გიორგი VIII ოცი წლის მანძილზე (1446-1466 წ.წ.) საქართველოს ერთიანი მონარქიის შენარჩუნებისთვის ამაოდ იპრძოდა. მან ვერ შეძლო ფეოდალური პარტიკულარიზმის ალაგმვა. უკიდურესად დასჯერდა. ამ პერიოდში მეფის ხელისუფლება უკიდურესად დასუსტდა. ერისთავები, რომლებიც ძლიერ პოლიტიკურ ძალას ქმნიდნენ, მეფეს ხშირად ექიმებოდნენ. ამიტომ გიორგი VIII-მ ერისთავების წინააღმდეგ გადამჭრელი ზომები მიიღო: კახეთში საერისთაოები გააუქმა და მათ მაგივრად მოურავები დანიშნა. სამოურავოები ოთხ სადროშოში გაანაწილა და თითოეული სადროში ეპისკოპოსს დაუმორჩილა. ამრიგად, XV საუკუნის მეორე ნახევარში პანკისის საერისთავომ არსებობა შენყვიტა: „მაშინ მოისპონ ერისთავინი ჰერ-კახთა შინა და დასხნა მოურავნი დიდთა და მცირეთა ადგილთა, ვითარცა არიან დღემდე. მოურავი ქისიყისა, ელისენისა, წუქეთისა, დიდოეთისა, თიანეთისა, ჭიაურისა, შილდა-ყვარელისა, მარტყოფისა, გრემისა, პანკისისა და სხვანიცა და განპყო ოთხს სადროშიდ და მისცა დროშანი ეპისკოპოსთა, რათა არა განიმკვიდრონ მთავართა და დაიპყრან შეუცვალებლად და ამით ერთ-გულ-ჰყუნა მრავალნი“ [4. 158].

**XIII-XV** საუკუნებში მტრების განუწყვეტელი შემოსევების შედეგად საქართველოს ქალაქები, სოფლები, ციხე-სიმაგრეები განადგურდა და გაუდაბურდა. მიუხედავად ამისა, თავისი ხელ-საყრელი გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით პანკისელ ერისთავთა ყოფილი რეზიდენცია და ციხესიმაგრე ნაწილობრივ გადაურჩა იმ ტოტალურ ნგრევას, რომელიც ქვეყანამ განიცადა. **XVI** საუკუნეში პანკისის (ციხესიმაგრე კვლავ ასრულებს თავის დანიშნულებას და მტრისაგან საიმედო თავშესაფარს ნარმო-ადგენს.

**XVI** საუკუნის 10-იანი წლები ქართლსა და კახეთს შორის სისხლიანი შეტეკებებით აღინიშნა. 1511 წელს ქართლის დაპყრობის მოსურნე კახელმა უფლისწულმა, გულბოროტმა და სისხლისმოყვარე გიორგიმ მოკლა მამა ალექსანდრე I, ძმას, დემეტრეს კი, თვალები დასთხარა და კახეთის ტახტს დაუუფლა. აქედან მოყოლებული მამისა და ძმის სისხლისმათხევარი უზურ-პატორი მოულოდნელი თავდასხმებით ქართლს მოსვენებას არ

აძლევდა. ხალხმა მოძალადე გვირგვინოსანს ავგიორგი შეარქვა. როდესაც ერთ-ერთი ყაჩაღური თავდასხმის შემდეგ ქართლიდან ნადავლდატვირთული ავგიორგი არხეინად უკან ბრუნდებოდა, ქართლელებმა შეიპყრეს. დატყვევებულ მტარვალს მტვერის ციხეში ამოხდა სული.

ავგიორგის სიკვდილის შემდეგ ქართლის მეფემ დავით X-მ ჯარები კახეთში შეიყვანა და უმეფოდ დარჩენილ ქვეყნის ტახტს დაეუფლა. ავგიორგის ვაჟი, ტახტის მემკვიდრე, შვიდი წლის ლევანი სახლთუხუცესმა გარსევან ჩილოყაშვილმა შეიფარა. დავით მეფემ ბრძანება გასცა: „დასჩჩრიკონ კახეთს მსახლობელნი დიდით ვიდრე მცირემდი, რათა იპოვონ ყრმა იგი“. მეფის ნარგზავნილები ყველგან დაეძებდნენ მცირენლოვან უფლისნულს. გარსევანს ქართლის მეფის შეეშინდა და ლევანი საიდუმლოდ ივრის სათავეში აღმართულ ოჩანის ციხეში დამალა. ამასობაში ქართლს ოსმალები შემოესივნენ. კახელებმა ქართლის მეფის მძიმე მდგომარეობით ისარგებლეს, ლევან ბატონიშვილი ოჩანის ციხიდან გამოიყვანეს და სამეფო ტახტი ჩააბარეს.

1520 წელს დავით X ისევ დაიძრა კახეთის დასაპყრობად. ლევანმა წინააღმდეგობის განევა ვერ შეძლო და დედის თანხლებით გაიხიზნა, ამჯერად „ციხესა, რომელ არს თავსა მაღნარისასა“ [93. 352].

გვიანდელი შუასაუკუნეების ისტორიულ წყაროებში მოხსენიებული „ციხე მაღნარისა“ არის ცნობილი თორლვას ციხე ანუ ბანკისის ციხესიმაგრე, რომელიც გადაჰყურებს როგორც ბანკისის ხეობას, ასევე მაღრანის ველს.

დავით X გომბორის გავლით პანკისში ჩავიდა და ციხესიმაგრეს ალყა შემოარტყა: „მოიცვა მეფემან გარემონი ციხისა და დაუწყო ბრძოლა ძლიერად“ [93. 352]. ალყას ციხეში მყოფნი „შეეჭირვებინა.“ როგორც ჩანს, მათ იქ აღარ გაეძლებოდათ, სურსათი გაუთავდათ და დანებებას აპირებდნენ.

ამ დროს მოულოდნელად თურქეთის სულთანმა სულეიმან I-მა სჯულმდებელმა (1520–1566 წ.წ.) სამცხისა და ქართლის მოსაოხრებლად მხედრობა გამოაგზავნა.

დავით X-ს სხვა გამოსავალი არ ჰქონდა, იმავე ლამეს პანკისის ცოხისთვის ალყა უნდა მოეხსნა და სასწრაფოდ ქართლს მიშველებოდა. ლევანის ბანაკში ამის შესახებ არაფერი იცოდნენ.

მაგრამ მეფემ მაინც სცადა ბედი: ამილახვარი და მთავარ-ეპისკოპოსი მიუგზავნა და ციხეში მყოფთ დანებება მოსთხოვა. წინააღმდეგობის გაწევაზე ფიქრიც ზედმეტი იყო. ყველა მზად იყო სიცოცხლის შესანარჩუნებლად მეფეს მუხლებში ჩავარდნოდა და პატიება ეთხოვა.

როდესაც მოციქულები ციხეში შევიდნენ, მოხდა მოულოდნელი შემთხვევა: ლევანის დედა, დედოფალი ელენე, როდესაც მთავარეპისკოპოსის ხელის საამბოროდ დაიხარა, მღვდელმთავარმა ყველასგან მალულად ჩასჩურჩულა: „მაგრა იყავ, ამაღამენავალთ“ [93. 352].

მოულოდნელი სიხარულისგან ელდანაცემმა დედოფალმა ქართლის მეფეს ციხის დანებებაზე სასტიკი უარი შეუთვალა. დავით X იძულებული გახდა პანკისის ციხეს გასცლოდა. ამიერიდან ლევანი კახეთის ბატონ-პატრონი გახდა.

ლევან ბატონიშვილს პანკისის ციხისათვის შემთხვევით არ შეუფარებია თავი. როგორც ირკვევა, XVI საუკუნის დამდეგს პანკისის ციხესიმაგრე სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით საომარ ვითარებაში საიმედო ობიექტს წარმოადგენდა.

ლევანი 1574 წლამდე მეფობდა. ლევან მეფემ კახეთში მნიშვნელოვანი რეფორმები გაატარა. მას შემდეგ, რაც გიორგი VIII-მ პანკისის საერისთავო გააუქმა და იქ მოურავობა დაანესა, თუშ-ფშავ-ხევსურები გამდგარან. მაგრამ ლევან მეფეს მთა ისევ შემოუმტკიცებია: „ამან ლევან დაიპყრა არა ძალითა, არამედ აღუთქვა, რათა ცხოვარი მათნი უვნოდ მძოვარიყუნენ კახეთსა“ [4. 163].

ამრიგად, იმის გამო, რომ ქართველი მთიელები ჩრდილოეთიდან იცავდნენ კახეთის სამეფოს მტერთა შემოსევებისგან, ლევან მეფემ თუშებს ცხვრის საძოვრად ოფიციალურად დაუმტკიცა ალვანის დიდი მინდორი, აგრეთვე პანკისისა და ლოპოტოს ხეობები. ამ დროიდან აღაზნისთავის, ნაქერალა-დიდგვერდის იალაღები და ალვანის ველი თუშეთის ყველა თემის საერთო საკუთრებას შეადგენდა, ხოლო მთლიანად თუშეთი ადმინისტრაციულად პანკისის სამოურავოში შედიოდა; მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ ერისთავ-მოურავები თუშების შინაურ საქმეებსა და წეს-ადათებში არ ერეოდნენ.

ლევან მეფეს ხუთი ვაჟი ჰყავდა: თინათინისგან იესე და ალექსანდრე, ლეკი შამხალის ყარამუსალის ასულისაგან – ელი-

მირზა, ქაიხოსრო და დავითი. ლევანის გარდაცვალების შემდეგ კახეთის სამეფო ტახტის მოსაპოვებლად უფლისწულები ერთ-მანეთს დაერივნენ. თავდაპირველად ტახტზე ქაიხოსრო ავიდა. ალექსანდრეს მიემხრნენ ქართლის მმართველი დაუდ-ხანი, სი-მამრი ბარძიმ ამილახვარი, ელიზბარ ქსნის ერისთავი და რამ-დენიმე კახელი თავადი. კახეთის სამეფო ტახტის პრეტენდენ-ტებს შორის ბრძოლა გაიმართა „თორლას“. თორლვას ციხესთან გამართულ ბრძოლაში ალექსანდრემ, რომელსაც წესით ტახტი ეკუთვნოდა, მოპირდაპირე გაანადგურა: „და მოკლა ომსა შინა ორნივე ძმანი ელიმირზონ და ხოსრო-მირზა, და ძმისწულნი, და დაიპყრა სრულიად კახეთი ალექსანდრემ“ [93. 515].

თორლვას ბრძოლაში მოპოვებული წარმატების შემდეგ ალექსანდრე II-მ (1578-1605 წწ) თავისი მმართველობის და-საწყისში, 1579 წელს, პანკისში მოსახლე ორი კომლი გლეხი სვე-ტიცხოველს შესწირა [122. ფონდი Sd, საქმე - 464]. მოგვიანებით კი, 1597 წელს, პანკისელ იოაკიმესეული ერთი კომლი კაცი მეფემ ვინმე გურანდუხს უბოძა [122. ფონდი - Ad, საქმე - 327].

პანკისის მამულები სვეტიცხოვლისადმი კახეთის სხვა მეფე-ებსაც შეუწირავთ [122. ფონდი Ad, საქმე - 1838].

აღსანიშნავია, რომ კახეთის მეფეებს თორლვას ციხეში სას-ტიკი საპყრობილე ჰქონდათ მოწყობილი. იქ, როგორც წესი, სახელმწიფოსთვის განსაკუთრებით საშიშ დამნაშავეებს ათავ-სებდნენ.

XVI საუკუნის ბოლოს, ექვსი თვის მანძილზე, თორლვას ცი-სის საპყრობილეში იტანჯებოდა კახელი უფლისწული გიორგი. ეს ამბავი კი შემდეგნაირად წარიმართა:

როგორც ცნობილია, ალექსანდრე II-ს მრავალრიცხოვანი ოჯახი ჰყავდა. მის უფროს ვაჟს – ერეკლეს თურქებმა სტამ-ბოლში მოუსწრავეს სიცოცხლე. უმცროსს, კონსტანტინეს, ირა-ნის შაპი, აბას I, ამზადებდა სამშობლოს წინააღმდეგ საბრძოლ-ველად. მამას, ალექსანდრე II-ს, გვერდში დავითი და გიორგი ედგნენ. ტახტის მემკვიდრედ დავითი ითვლებოდა. როგორც მე-მატიანე გადმოგვცემს, „დავითი იყო კაცი მრისხანე და ამაყი, ხოლო გიორგი იყო კაცი შუენიერი ხილვითა და კეკლუცი და ყმათათვის კეთილი და უხვი. და ამისთვის უმეტეს მისდა მი-ივლტოდენ, ვიდრე დავითისა“ [93. 381].

გიორგიმ ისარგებლა ქვეშევრდომების კეთილგანწყობილებით, შემოიფიცა კახელი დიდებულები და ხელსაყრელ უამსექებდა ძმის მოსაკლავად.

ერთხელ დავითი და გიორგი თბილისში მათმა მამიდაშვილმა, ქართლის მეფე გიორგი X-მ დაპატიჟა, გაიმართა ნადიმი. უფლისწულმა გიორგიმ სასმელი არ დალია: „და ჰერინებდა გიორგი, ვითარმედ მთვრალ იქმნების ღვინითა იგიცა [დავითი] და მისთანანი კახნიცა და მაშინ აღასრულებს ხენეშთა გულის-ნებასა თვისსა. და აუწყა ყოველივე მუნ მყოფთა და შემოიფიცნა კახნი და იმარჯუებდა უამსა მარჯუესა და უთხრობდა ყმათა: მომყევით და მოვკლავ ძმასა ჩემსა და დავიპყრობ კახეთსა“ [93. 381].

შეთქმულება ბარამ ჩოლოყაშვილმა გასცა. დავითმა თავისი ძმა გიორგი იქვე, თბილისში, შეიპყრო. ქართლის მეფე გიორგი X-მაც დავითს ველარაფერი უთხრა, რადგან სიმართლე აშკარად მის მხარეზე იყო. ამის შემდეგ დავითმა „ნამოიყვანა ძმა თვისი და თორლვას ციხეში პატიმარ ყო, და თორმეტნი ყმანი, მისნი შეფიცულნი, ჭოეთის ციხიდამე გადმოყარა და დაწოცნა, სხუანი შეფიცულნი მისნი პატიმარ ყვნა“ [93. 382].

დავითი მხოლოდ ამას როდი დასჯერდა: თავისი მამა, ალექსანდრე II, ტახტიდან ჩამოაგდო, ალავერდში ბერად აღკვეცა და თვითონ გამეფდა. დავითის ბატონობა ხანმოკლე აღმოჩნდა. მან მხოლოდ ექვსი თვე იმეფა: „და მოევლინა რისხვა ღმრთისა... და მოკუდა“ [93. 382].

სამეფო ტახტზე კვლავ ალექსანდრე II ავიდა. მან თორლვას ციხიდან უფლისწული გიორგი გამოიყვანა და თანამოსაყდრედ დანიშნა.

ლევან კახთ ბატონისა და მისი მემკვიდრის ალექსანდრე II-ის მეფობის დროს, მთელი XVI საუკუნის მანძილზე, კახეთში ომი თითქმის არ ყოფილა. პოლიტიკური გზებითა და დიპლომატიური ხერხებით მათ შეძლეს, კახეთისთვის აერიდებინათ ის სისხლის-მდვრელი ბრძოლები, რომლებმაც დანარჩენი საქართველო და მთელი კავკასია ჩაითრია.

კახეთი აყვავდა: განვითარდა მევენახეობა და მებოსტნეობა, აღორძინდა მეაბრეშუმეობა, გრემი უცხოელ ვაჭრებს ვეღარ იტევდა. შენდებოდა სასახლეები, სავაჭრო სახლები, ციხე-ქალაქები, ეკლესია-მონასტრები. კახეთში მოსახლეობა იმდენად გამ-

რავლდა, რომ, მემატიანის თქმით, „ძნიად სადმე იპოებოდა სა-ნადირონი.“

სამწუხაროდ, XVII საუკუნე კახეთისთვის დამანგრეველი აღ-მოჩნდა. ირანის ენერგიულმა მმართველმა შაჰ-აბას I-მა (1587-1629 წწ) საქართველოს ამ ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი და ნაყოფიერი კუთხის სრული დაპატრონება განიზრახა. ის კარგად იცნობდა ქართულ გარემოს, ფლობდა ქართულ ენას. როგორც დასტურდება, მისი ბებია ოთარ შალიკაშვილის ასული ყოფილა.

1614-1620 წლებში შაჰ-აბასმა კახეთში შვიდჯერ ილაშქრა და საშინლად ააოხრა. გაკაფა ბალ-ვენახები, დაანგრია, რისი დანგრევაც შეიძლებოდა, ეკლესიები მიზგითებად გადააქცია. მოსახლეობა, რომელიც მოსპობას გადაურჩა, მამაპაპეული ად-გილებიდან აყარა და ირანში გადაასახლა. წამებით დახოცა კახეთის მეფის თეიმურაზ პირველის შვილები – ლევანი და ალექსანდრე, აგრეთვე, მისი დედა ქეთევანი. ნერევას ვერც პან-კისის ხეობა გადაურჩა.

XVII საუკუნის პირველ ნახევარში პანკისის ხეობაში ირა-ნელთა გამანადგურებელი შემოსევის შესახებ საყურადღებო ცნობებს გვაწვდის სპარსელი ისტორიკოსი ისქანდერ მუნში, რომელიც კახეთის დაპყრობითი ექსპედიციის დროს თან ახლდა შაჰ-აბას I-ს.

გრემის დანგრევისა და მოოხრების შემდეგ, –წერს ისქანდერ მუნში, – „აიყარა შაჰი და დადგა ალავერდის ეკლესიაში, რო-მელიც ქართველ ქრისტიანთა უდიდესი სამლოცველო და ტა-ძარია. ის, მართლაც, დიდებული შენობაა. შაჰმა იქ გაიგო, რომ იმ ვალაიეთის ჩრდილოეთი მხარის შორეულ კუთხეში არის ერთი ციხე, რომელსაც თარაღაის უწოდებენ. მასში გამაგრებულია ქართველების ერთი ჯგუფი, რომელიც უკანასკნელ დრომდე არ დამორჩილებიან ისახანს, იქვე ინახება თეიმურაზის ზოგი ბარგი და ქონება“ [61. 86].

თუ გავითვალისწინებთ, რომ პანკისის ციხესიმაგრე ისტო-რიულად მტრისაგან საიმედო თავშესაფარას წარმოადგენდა, ისქანდერ მუნშის მიერ ნახსენებ „თარაღაის ციხეში“ პანკისის ხეობაში მდებარე თორლვას ციხე უნდა მოიაზრებოდეს. ის-ქანდერ მუნშის ცნობით, თორლვას ციხის აღების შემდეგ ირა-ნელებმა ლაშქრობა მდინარე ყანაყის სათავეებში გააგრძელეს. სპარსულ წყაროებში მდინარე ალაზანი „ყანაყის“ სახელწო-

დებით ხსენდება. პანკისის ხეობა კი, როგორც ვიცით, ალაზნის ზემო წელზე მდებარეობს. ისქანდერ მუნშიც ამ რეგიონში მომხდარ სისხლიან მოვლენებს აგვინერს.

თორლვას ციხე კახეთის მეფეების განძთსაცავსაც წარმოადგენდა. დღემდე შემორჩენილია თქმულებები თორლვას ციხეში ჩამარხული განძისა და მისი მცველი დრაკონის შესახებ. ამ-რიგად, შაჰ-აბასის სურვილი თორლვას ციხეში ჩაკეტილი თე-იმურაზ პირველის შეპყრობა და იქ გადანახული მეფის სა-განძურის დაუფლება უნდა ყოფილიყო. ამ მიზნით, როგორც ისქანდერ მუნში აღნიშნავს, შაჰ-აბასს „თარაღაის ციხის“ ასა-ლებად გაუგზავნია „ძლევამოსილ მეომართა ერთი რაზმი აზერ-ბაიჯანის მეთოფეთა მინბაშის მოპამედ-თაღი-ბეგ თავრიზელის მეთაურობით“ [61. 86]. რადგან მინბაში ათასისთავს წარმო-ადგენდა, როგორც ჩანს, შაჰს საკმაოდ დიდი ლაშქარი უნდა გაეგზავნა პანკისის ხეობაში.

თორლვას ციხის ასალებად სისხლისმღვრელი ბრძოლა გა-მართულა. მაგრამ ციხეში ჩაკეტილებს საიდუმლო გასასვლელითა თუ სხვა გზით გაქცევა როგორლაც მოუხერხებიათ: „ომისა და ჭიდილის შემდეგ ბრძოლისაგან დაუძლურებულნი გაიქცნენ, ციხე დაპყრობილი იქნა.“ – წერს ისქანდერ მუნში [61. 86].

შაჰის რაზმი პანკისის მიმართულებით იმდენად სწრაფად გადაადგილებულა, რომ ქართველებს ციხესიმაგრიდან განძის გატანაც კი ვერ მოუსწრიათ და დამპყრობლებს დიდალი სა-განძური ჩავარდნიათ ხელში. ისკანდერ მუნშის ცნობით, „ციხის ალაფში იყო, სხვათა შორის, ძვირფასი თვლებით მომჭვილი, მარგალიტებით და იაგუნდით შემკული ერთი გვირგვინი, რომ-ლითაც ქრისტიანების შეიხი და წინამძღოლი, რომელიც ალა-ვერდელის თანამდებობის ხარისხს, ესე იგი ალავერდის ეკლე-სის წინამძღვრობას მოიპოვებს, ქრისტიანების წმინდა დღეებსა და დიდ დღესასწაულებზე თავს შეიმკობს ხოლმე. იგი ხსენებულ ტაძარში ქრისტიანთა რჯულის წესით სწირავს და მასთან ქრისტიანები წარმატებას და კურთხევას ეძიებენ. იუველირებმა ის ხუთას შაჰჟურ ერაყულ თუმნად შეაფასეს“ [61. 86].

შაჰ-აბასმა თავის მტრადყოფილს, ოსმალეთის სულთან აჰ-მედს სასანრაფოდ დესპანები გაუგზავნა და თან ასეთი შინაარსის წერილი მისწერა: „ისლამის დროშის ამაღლებისათვის, ჭემა-რიტების გზას აცილებულ მეამბოხეთა დასასჯელად საქართვე-

ლოზე გავემართეთ და საღვთო ომის წარმოების ბედნიერებას ვეწიეთ. ხოლო ქრისტიანთა ბევრი ტაძარი და სამლოცველო ისლამის ჭეშმარიტი სარწმუნოების ხალხის მიზგითებად გადავაქციეთ“ [61. 93]. ისქანდერ მუნში იმასაც გვაცნობებს, რომ შაჰ-აბასმა „საქართველოში აღებული დავლიდან ძვირფასი თვლებით შემკული გვირგვინი, რომელიც თარაღას ციხეში ხელში ჩაუვარდათ ყიზილბაშებს და რომელიც ზემოთ იყო აღნერილი, სხვა საჩუქრებთან და მისართმეველთან ერთად ხონთქარს გაუგზავნა“ [61. 93]. აქედან ირკვევა, რომ პანკისზე ლაშქრობის პერიოდში ირანის შაჰი თავგამოდებით ცდილობდა ოსმალეთის სულთან აჰმედ II-ის კეთილგანწყობილების მოპოვებას. მიზნის მისაღწევად აბას პირველი არც ტკბილ სიტყვას იშურებდა და არც კახეთიდან გატანილ საგანძურს.

შაჰ-აბასი მხოლოდ თორლვას ციხის აღებით არ დაკმაყოფილდა. მას სურდა, შეეცყრო თეიმურაზ პირველი. ამიტომ ლაშქარი პანკისის, ილტოსა და ივრის ხეობებს შეუსია. მტრებს იქ მომაჯადოებელი სილამაზე დახვდათ: მწვანეში ჩაფლული სოფლები, მოვლილი და ნაპატრონები ბაღ-ვენახები, მწიფე ხილით დამძიმებული ხილნარი, ლვინით სავსე მარნები და სხვ. პანკისის მშვენიერების ხილვით აღფრთვანებული სპარსელი ისტორიკოსი წერდა: „ის ქვეყანა არაჩვეულებრივად მშვენიერი და აყვავებულია. მრავალი ტულიპით, რეპანით და ნორჩი, სურნელოვანი ყვავილებით შემკული ის სამოთხეშიაც იწვევს შურს. ამ ადგილზე და საქართველოს ყველა მშვენიერ კუთხეზე, რომელიც იმ ურწმუნოთა საცხოვრებელ ბინად გამხდარა ქვეყნად, მართლდება ჰადისი: „ქვეყანა საპყრობილეა მორწმუნე-თავის და სამოთხეა ურწმუნოთათვის“ [61. 87].

პანკისისა და ერწო-თიანეთის მოსახლეობამ დამპყრობლებს მედგარი წინააღმდეგობა გაუწია: „თუმცა ამ გზაზე დიდებული ურდოს და ვარსკვლავებივით ურიცხვი ჯარის გავლა ძნელი და შეუძლებელიც იყო, მაგრამ კეთილშობილი შაჰის ქვეყნის და-მამშვენებელმა აზრმა მტკუცედ გადაწყვიტა იმ გზით წასვლა, რადგანაც ეს სასარგებლო და საჭირო იყო სახელმწიფოსათვის. ჯარის ნაწილები გუნდ-გუნდად და დასტა-დასტად დაიძრნენ და ის ვიწრო და ბელი ხეობა სამ დღეში გაიარეს. მოლაშქრეებს და ჯარის მხლებელ ვაჭრებს იმ ტალახით სავსე მწვერვალებსა და ტყე-ღრეებში ბევრი აქლემი და სახედარი დაეღუპათ. მეოთხე

დღეს ჯარმა, რომლის სარბიელი მსოფლიოა, მიაღწია ადგილს, რომელიც მდინარე ყანაყისა (ალაზნის) და ყაბრის (იორის) სა-თავეს წარმოადგენს და დიდების კარავი მზემდე და მთვარემდე აღმართეს“ [61. 87].

თეიმურაზ I ვერ შეიპყრეს. ის მიუვალი ბილიკებით იმე-რეთში გადაიყვანეს. გაცაცხლებულმა შაპ-აბასმა გადაწყვიტა სასტიკად და ესაჯა პანკისისა და ერწო-თიანეთის მოსახლეობა, „რომლიდანაც ზოგმა მეგზურობა გაუწია თეიმურაზს და უც-ნობი გზებით გაიყვანა ის, ზოგმა კიდევ, რომელთაც იცოდნენ, თუ რა გზით მიდიოდა ის, არ აცნობა მის გზაზე მდგომ ძლე-ვამოსილ მოლაშქრეებს. იმ ხალხის დიდებულებმაც ჯიუტობა გასწიეს, არ ეახლენ ისა ხანს და არ დაემორჩილნენ ისლამის მეომრებს. ამიტომ განრისხებულმა შაპმა ნება მისცა ძლევამო-სილ ლაშქარს, დაერბია, აეკლო და დაეტყვევებინა ის ორი ოლქი (უნდა მოიაზრებოდეს ერწო-თიანეთი და პანკისის ხეობა. b. ბ.). ირანელებიც ცალ-ცალკე რაზმებად შევიდნენ ტყეებსა და ტევ-რებში. იქ 30 ათასამდე ტყვე და 40 ათასამდე ხარი, ძროხა და ცხვარი იშოვეს. მეხუთედის გამოკლების შემდეგ, რომელიც შაპის ხაზინის კუთვნილებაა, დანარჩენი ისლამის ლაშქარს ერგო“ [61. 87].

თორლვას ციხე, რომელშიც კახეთის სამეფოს საგანძური ინახებოდა, ირანელებმა ზამთარშიც ააოხრეს. შაპ-აბას I-ს ცნობილმა სარდალმა გიორგი სააკაძემ ქვეყნის დასამორჩილებ-ლად უფრო მოსახერხებული გეგმა შესთავაზა. მან შაპ-აბასს ქართლ-კახეთის ზამთარში დალაშქვრა ურჩია, რადგან მოსახ-ლეობა დიდთოვლობის გამო მთებში ვეღარ გაიხიზნებოდა და უმწეოდ დარჩენილ ხალხს კი სპარსელები უფრო ადვილად გაუსწორდებოდნენ. მემატიანის ცნობით, „ზამთარ მიდიო, – უთქვამს მოურავს შაპისთვის, – ხიზანი მთაში ვერ შევა და რასაც გინდა იქო, და თუმცა მთაში შევიდენო, თოვლი და სიცივე ამოსწყუეტსო“ [93. 393].

შაპ-აბასს გიორგი სააკაძის რჩევა, როგორც ჩანს, მოენონა. 1624 წლის 5 იანვარს კახეთს შაპ-აბასის მორიგი რისხვა და-ატყდა თავს: „და აღიღო ციხე თორლისა შააბაზ და გამოიღო ყოველივე საგანძური კახეთისა. და შემუსრა ხელითა თვისითა წმინდა გიორგი ალავერდისა, და შემუსრნა პატიოსანნი ხატნი და ჯუარნი, და შემოსძარცუნა პატიოსანნი თუალნი და მარგალიტი,

მისცა მეძავთა, ცოლსა და ხარჭათა მისთა, და ყო სამკაულად მათდა. და შეაგინენა წმინდანი ეკლესიანი კახეთისაანი“ [93. 393].

როგორც ისქანდერ მუნშის, ასევე „ქართლის ცხოვრების“ აღნიშნული ცნობა პანკისის ხეობაში ირანელთა ერთსა და იმავე ლაშქრობას უნდა ასახავდეს.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ კახეთში თორლვას სახე-ლობის რამდენიმე ციხესიმაგრეა. ისქანდერ მუნშიც და „ქართლის ცხოვრებაც“ ამ შემთხვევაში პანკისის თავზე მდებარე თორლვას ციხეს უნდა გულისხმობდეს. ჯერ ერთი, რომ ისქანდერ მუნში შაპის ჯარების მდინარე ყანაყის ანუ ალაზნის ზემო წელზე გადაადგილებას აღვინერს, სადაც განთავსებულია პანკისის ხეობა, და, მეორეც, პანკისის ხეობაში შაპ-აბასის ლაშქრობას ადასტურებს იოანე ბატონიშვილი თავის „კალმასობაში“. თეზულების მიხედვით, ალვანში ჩასული იოანე ხელაშვილი და თუშები საქართველოს წარსულზე საუბრობენ. თუშების შეკითხვაზე – შაპ-აბასმა კახეთი რომ ააოხრა, ხალხმა თავი სად შეაფარაო, – იოანემ უპასუხა: – „რაოდენიც დაეტეოდნენ, კალაურის მთაში დაიხიზნენ, სხვანი პანკისის ხეობასა და ლოპოტაში, აგრეთვე მთებში. ამ ადგილებში ყველგან ბრძო შააბაზმან. პანკისშიც თორლოს ციხემდინ მოვიდა ამათი ჯარი“ [5. 83]. იოანე ბატონიშვილის ცნობა შაპ-აბასის პანკისის ხეობაში ლაშქრობის შესახებ რომელიდაც ისტორიულ წყაროს, დაკარგულ დოკუმენტს ან ზეპირ ხალხურ გადმოცემას მაინც უნდა ეყრდნობოდეს.

ამდენად, შაპ-აბასის ლაშქრობა ერნო-თიანეთსა და პანკისის ხეობაში კახეთის ბარიდან იქ გახიზნული მოსახლეობის ამონყვეტასა და დატყვევებასაც ისახავდა მიზნად.

თუ ერნო-თიანეთიდან, ილტოსა და პანკისის ხეობებიდან ირანში 30 ათას ტყვეს წაიყვანდნენ, რასაც თვითმხილველი ისკანდერ მუნში დაბეჯითებით გვამცნობს, შაპ-აბასის შემოსევამდე მოსახლეობის რაოდენობა იქ 80 ათასი მაინც უნდა ყოფილიყო. ამ ლამაზ ხეობებში შაპ-აბასის გამანადგურებელი ლაშქრობის შემდეგ სიცოცხლე ჩაკვდა. მიუხედავად ამისა, მტერი მაინც არ ცხრებოდა. აბას I-ის დაწყებული საქმე მისმა მომდევნო შაპებმა, სეფი I-მა (1629–1642 წწ) და აბას II-მ (1642–1666 წწ.) გააგრძელეს, რომლებმაც კახეთის გაპარტახებულ და აოხრებულ, მაგრამ ნაყოფიერ მიწაზე თურქმანი ტომების ჩა-

მოსახლება დაიწყეს. მათ მიზნად ჰქონდათ კახეთის მუსულ-მანურ-თურქმანულ სახანოდ გადაქცევა.

კახეთი მტკიცედ ეპყრათ თათრებს. მიზგითადქცეული ეკ-ლესიებიდან მოლების მიერ აღვლენილი ნამაზები გაისმოდა. თათრდებოდა კახეთი.

1967 წელს პანკისის ხეობაში, კერძოდ, სოფელ ბირკიანში XVII საუკუნის ვერცხლის მონეტები აღმოაჩინეს, რომელიც ირანის შაჰების სეფი I-ისა და აბას II-ის სახელით თბილისის, განჯის, ხოვეიზასა და ზაგემის ზარაფხანებში იყო მოჭრილი. თუმცა შესაძლოა, ეს მონეტები, რომელიც საკმაო რაოდენობით აღმოჩნდა, როგორც განძი, ვინმეს მტრის შიშით მოსახლეობისგან თითქმის დაცლილ პანკისის ხეობაში გადაემალა.

პანკისის ხეობაში ამგვარი შემთხვევებიც დასტურდება:

თორლვას ციხის მახლობლად, კერძოდ, სოფელ მაღრანის განაპირას, 1971 წელს შემთხვევით აღმოჩნდა მინაში დაფლული სპილენძის დიდი ქვაბი სპილენძისავე თეფშით ჰქონდა დახურული, რომელშიც ვერცხლის ჭურჭელი იყო ჩალაგებული: პირშეკრული ბრტყელძირა თასი, ვერცხლის თეფშები, მაღალ-ფეხიანი ბარძიმი და სხვა [34. 90].

ვერცხლის დიდი ზომის თასზე გამოსახული წარწერის თანხმად, ის ალექსანდრე კახეთის მეფეს (1578-1605 წ.წ.) აღვნის ნათლისმცემლის ეკლესიისთვის შეუნირავს. მაღრანის ვერცხლის თასი, გულნარა კიკნაძის აზრით, XVI საუკუნის ადგილობრივ წარმად უნდა მივიჩნიოთ. ასევე XVI საუკუნის კუთვნილებას წარმოადგენს ვერცხლის ერთ-ერთი თეფში, რომელიც ვინმე ბაგრატს ასევე აღვნის ნათლისმცემლისთვის შეუნირავს. განძიდან საგანგებო ყურადღებას იმსახურებს ვერცხლის დიდი ზომის თეფში. მასზე მოთავსებულია ოთხსატრიქონიანი ლამაზად დაწერილი მხედრული წარწერა. წარწერიდან ირკვევა, რომ ჭურჭელი შენირულია რევაზ ჩოლოყაშვილის სიკვდილის შემდეგ მისი ქვრივის თამარის მიერ. წარწერაში მოხსენიებულია აგრეთვე ძე მათი, მიქელ. გ. კიკნაძე მას XVII საუკუნის შუა წლებით ათარიღებს [34. 93]. გულნარა კიკნაძის სამართლიანი შენიშვნით, შუა საუკუნეებში, როგორც წესი, „ვერცხლისა და სპილენძის ჭურჭელი ოჯახის სიმდიდრისა და ეკონომიკური სიძლიერის მაჩვენებელი იყო, ამიტომ ომიანობის დროს ხალხი მას საგულ-დაგულოდ ინახავდა, უფრთხილდებოდა, მშვიდობიანობის დამ-

ყარებასთან ერთად იგი კვლავ უბრუნდებოდა პატრონებს, ნაწილი კი სამუდამოდ რჩებოდა მიწაში. როგორც ჩანს, ასეთთა რიცხვს ეკუთვნის ეკლესიისთვის სხვადასხვა დროს შენირული მაღრანის ჭურჭელი“ [34. 94].

სავარაუდოა, რომ მაღრანის განძის შემნახველი იმ პერიოდის სისხლიანმა კატაკლიზმებმა იმსხვერპლა და უპატრონოდ მიტოვებული განძიც თორლვას ციხის მახლობლად მიწაში დამარხული დარჩა.

სახლები, მარნები, სოფლები, ეკლესიები, ციხესიმაგრეები – ყველაფერი უპატრონოდ დარჩა კახეთში. ამ მძიმე ისტორიულ მომენტში საქართველოს სხვა კუთხის მცხოვრებლებმაც თვალნათლივ დაინახეს, რომ კახეთის მოსპობით დანარჩენ სამეფო-სამთავროებსაც განადგურება ემუქრებოდა. ხალხი აღსდგა, იარაღი აისხა და კახეთის გადასარჩენად 1660 წელს მრისხანე გამოსვლა მოაწყო, რომელიც ისტორიაში ბახტრიონის აჯანყების სახელით არის ცნობილი. ბახტრიონის ციხე ძირითადად პანკისის ხეობის შესასვლელს კეტავდა.

კახეთის აჯანყებას ვაჟა-ფშაველამ პოემა „ბახტრიონი“ უძლვნა. ავტორმა შეძლო, ზეპირ მოგონებებზე დაყრდნობით უდიდესი მხატვრული ოსტატობით გადმოეცა ქართველი მთიელების, კერძოდ, თუმ-ფშავ-ხევსურთა თავგანნირული ბრძოლა კახეთის გადასარჩენად. კავკასიონის ბუმბერაზი მთების ჯადოსნური სილამაზე მხნეობასა და ძლიერებას უორკეცებდა სამშობლოს გასათავისუფლებლად კახეთში წამოსულ გმირებს:

„ლაშქრისა გული აივსო  
სიამოვნებით სრულითა,  
ყველა დაპხედავს კახეთსა  
ათრთოლებული გულითა“.

გამარჯვების წადილითა და მტრის ჯავრით აღვსილ მეომართა გულს კავკასიონის მთებიდან მონაქროლი ნიავი აგრილებდა:

„სპეროზიას კლდიდამა  
ცივი წიავი მაპქრისა.  
მიდიან ფეხშეუშლელად,  
კალთა ჩაკეცეს მთებისა“.

თუში მეომრები ნაქერალის მთაზე ელოდებოდნენ სალაშ-ქროდ მომავალ ფშავ-ხევსურებს:

„ნაქერალაზე დამდგარან  
თუშები თექიანები,  
გულშეუდრეუნი ომშია,  
ლაშქრობას ბედიანები.  
გარს სანგლად შემოუვლიათ  
ხევები ბექიანები.  
ელიან ფშაველ-ხევსურთა,  
თვალი იმათვე სჭერიათ“.

თუშთა და ფშავ-ხევსურთა სახალხო რაზმები პანკისის ხეობაში, წინასწარ დათქმულ ადგილზე შეხვდნენ ერთმანეთს, რადგან მთებიდან საკახეთოდ მომავალი ბილიკები სწორედ იქ ერთდება:

„ჩვენა, თუში და ხევსურნი  
პანკისში შავიყარენით“.

— აცხადებენ გამარჯვებული ფშავლები.

ბახტრიონის ციხეში, რომლის ჩრდილოეთითაც პანკისის ხეობა იწყება, თათრების მრავალრიცხოვანი, ძლიერი გარნიზონი იდგა. პოემის მიხედვით, თუშ-ფშავ-ხევსურები მოულოდნელად დაეცნენ ბახტრიონის ციხეს და მტერი ერთიანად შემუსრეს:

„ხუთშაბათ დილა გათენდა,  
სისხლისა ნიალვარია,  
ბახტრიონს თათრის შვილებსა  
დღე გაუთენდათ მწარია.  
გადმოდგა ბორბალაზედა  
თავისუფლების მთვარეა.  
ალაზნისაკე წავიდა  
ურჯულოს სისხლის ღვარია“.

აჯანყებულებმა კახეთი გაათავისუფლეს და ქვეყანა გა-თათრებისგან იხსნეს.

ისტორიული წყაროების მიხედვით, კახეთის მეფემ იმში მოპოვებული გამარჯვების გამო თუშებს სამუდამო მფლობელობაში ალვანის ველი დაუმტკიცა, ხოლო ფშაველთა ხატ-სალო-

ცავებს ახმეტის შემოგარენსა და პანკისის ხეობაში მამულები შესწირა. იქ მოწეული ყურძნისგან დაყენებული ღვინო, როგორც სალვთო სასმელი, ქართველ მთიელთა ზოგიერთ ჯვარ-სატებში რელიგიურ დღესასწაულებზე დღემდე ისმება.

პოემა „ბახტრიონის“ მიხედვით, ბრძოლის ველიდან უკან, თავიანთ საცხოვრის მთებში მიმავალი გამარჯვებული ფშაველები უდიდესი სიამაყის გრძნობით აცხადებენ:

„სალაშარიჯვროდ მოგვაქვის  
ზინათი ნაშოვარია  
და გადმოვლახეთ საფშაოდ  
ტბათანა ნათოვარია;  
სავსეა თათრების ძელითა  
ფშავლების ნაომარია.  
მეფემ გვიბოძა საჩუქრად  
სახნავი-დ’ საძოვარია.  
სახელს უმატეთ სახელი –  
ძვირფასი საპოვარია“.

ხალხური გადმოცემების მიხედვით, ბახტრიონის აჯანყებაში განსაკუთრებული გმირობა გამოიჩინა თუშმა ზეზვა გაფრინდაულმა. ვალერიან ელანიძე ზეპირსიტყვიერ ტექსტებზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ „კახეთის აჯანყების შემდგომ, ზეზვა გაფრინდაული პარტიზანულ ბრძოლებს აწარმოებდა კახეთში ხელახლა მომრავლებული სპარსელების წინააღმდეგ. ზეზვასა და მისი თანამებრძოლების თავშესაფარს თორლვას ციხესიმაგრე წარმოადგენდა. ისინი იქედან თავს ესხმოდნენ მტრებს, ანადგურებდნენ მათ და საჭიროების შემთხვევაში ისევ იქ აფარებდნენ თავს. მტრისათვის თორლვას ციხე მიუვალი ყოფილა“ [27. 155]. ხალხური ლექსი გვეუბნება:

„თორლვასა გაფრინდაული  
ამაგრებს ქვითკირსავითა,  
კარზე მოსულსა მოძალეს  
აბრუნებს ნახირსავითა“ [115. 328].

როგორც ჩანს, ერთ-ერთი შეტაკების დროს თათრებისგან დაჭრილ ზეზვა გაფრინდაულს თორლვას ციხე-სიმაგრისთვის შეუფარებია თავი:

„თოფ დაჲკერეს გაფრინდაულსა,  
თორლვ დარჩა ოხერივითა,  
თორლვას წევს გაფრინდაული,  
გამაგრდა ქვითკირსავითა“ [115. 329].

მტრებმა თორლვას ციხის აღება ვერ შეძლეს.

შაპ-ნავაზისგან დევნილმა ერეკლე ბატონიშვილმაც თორლვას ციხესიმაგრეს შეაფარა თავი. ვერც შაპ-ნავაზმა შეძლო ციხის აღება და ამიტომ მეციხოვნეთა წინააღმდეგობის გატეხვას ალყით შეეცადა: „მაშინ შემჭირდნენ მეციხოვნენი, რამეთუ იყო დედით ერეკლე მუნ: ამისთვის ევედრა დედა ერეკლესი შანარ მეფესა, რათა მისცეს გზა და განუტევოს“ [4. 191]. შაპ-ნავაზმა დედოფალს თხოვნა შეუსრულა და ერეკლე ბატონიშვილი ციხიდან ფარულად გააპარა. უფლისწულმა თუშეთს შეაფარა თავი.

ირანელთა წინააღმდეგ მოპოვებული გამარჯვების შედეგად, მართალია, კახეთი სრულ განადგურებას გადაურჩა, მაგრამ მოსახლეობისგან დაცლილი და ეკონომიკურად დაუძლურებული ქვეყანა სულ დაფავდა. კახეთი ნანგრევებად იქცა, მოიშალა ეკონომიკა, ეკლესის გავლენაც შესუსტდა. ის ძველებურად ველარ ზრუნავდა თავის მრევლზე. ამის შედეგად ხალხი ორთოდოქსალურ მართლმადიდებლურ ქრისტიანულ რიტუალებს ხშირად არღვევდა. ოფიციალური რჯულიდან ისეთი გადახვევებიც შეინიშნებოდა, რომ ზოგჯერ ალავერდელი იძულებული ხდებოდა ქრისტიანული წეს-ადათების აღსადგენად აქტიურად ჩარეულიყო კახეთის სხვადასხვა კუთხის მცხოვრებთა რელიგიურ ყოფაში.

XVII საუკუნის მეორე ნახევარში ომებსა და ტყვეობას გადარჩინილი პანკისის ხეობის მოსახლეობის ნაწილი თითქმის აღარ იცავდა მარხვის წესებს. ეს გარემოება ნიკოლოზ ალავერდელსაც გაუგია. როგორც ჩანს, მღვდელმთავარს საგანგებო ორნისძიებები გაუტარებია. ამის შედეგად ალაზნის გამოლმა მცხოვრებ პანკისელებს პირობა დაუდიათ ამბა ალავერდელ, ნიკოლოზ ენდრონიკაშვილისადმი, რომ არ დაუშვებდნენ „რჯულის გარდამავალ შეცოდებებს.“ ეს იყო ერთგვარი პირობის წერილი, რომ პანკისელები მარხვის დროს დაიცავდნენ კვების

დადგენილ წესებს. დოკუმენტი **XVII** საუკუნის მეორე ნახევრით თარიღდება.

პირობის წიგნი ზოგიერთ ადგილას ძნელად იკითხება: „ქ. ესე წიგნი მოგართვით თქვენ, ამბა ალავერდელს, ენდრონიკაშვილს, ბატონს ნიკოლოზს. ჩვენ, ნაცვალმა ხოსრომ, კობიაშვილმა გიორგიმ, მაღრიბაშვილმა მალრიბამ, რამინაშვილმა გიუნამ, ზაქერეტაშვილმა მამუკამ – ერთობილთ ალაზანს გამოლმა პანკელთ. ასრე რომე მობძანდით და ქრისტიანობის რჯულის დამტკიცება მოგვიდევით. ანე ჩვენც ეს წიგნი მოგართვით, რომე დღეს ამას უკან, ვისაც მარხვის ჭამა ან სხვა სა...ო სასჯულო შევამჩნიოთ, არ დაგიმალოთ და როგორადაც გვიბძანოთ თქვენი მამამთავარი, ისრე ვისაქმოთ და როგორც გეპრიანებოდეს, ისრე დარჯულოთ და ...რდა ...დევინთ.

პირობის წიგნი მარხვის ჭამისა.

კობიაშვილი... [122. ფონდი – Ad, საქმე – 824].

როგორც დოკუმენტიდან ირკვევა, **XVII** საუკუნის მეორე ნახევარში პანკისის ხეობა ალავერდის ეპარქის შემადგენლობაში შედიოდა. თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ ეპარქიათა საზღვრები საუკუნეების მანძილზე ხშირად იცვლებოდა. პანკისის ხეობა სხვადასხვა დროს შედიოდა ნეკრესის, ხარჭაშოს, მარტყოფისა და ალავერდის ეპარქიებში.

დასრულდა სისხლისმღვრელი ბრძოლების, უნუგეშო გლოვის, ტყვეთა ტაცების, საყოველთაო ნგრევის, ტანჯვისა და წამების **XVII** ასწლეული.

**XVIII** საუკუნეს ხერხემალში გადამტვრეული, ბარდეკლად-ქცეული ნასოფლარებითა და შეთხელებული მოსახლეობით შეხვდა კახეთი.

ამ პერიოდის პანკისის ხეობის სოციალ-პოლიტიკური, ეკონომიკური, დემოგრაფიული და ეროვნულ-სარწმუნოებრივი სიტუაციის შესახებ მეტად საინტერესო სურათს გვიხატავს მოსახლეობის **XVIII** საუკუნის პირველი მეოთხედის აღწერის საბუთი, რომელიც კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში არის დაცული [122. ფონდი-Hd, საქმე-1607].

დოკუმენტი იმითაც არის საყურადღებო, რომ ამ აღწერის შემდეგ დაღესტნებით ფეოდალების ხშირი თავდასხმების შედეგად პანკისის ხეობა მოსახლეობისაგან მთლიანად დაიცალა: უმეტესობა განყდა, ზოგიც აიყარა და სხვაგან გადასახლდა. ამ-

დენად, ისტორიული თვალსაზრისით, ფასდაუდებელია ამ დო-კუმენტის სამეცნიერო ღირებულება.

საბუთში პანკისის ხეობის შვიდი სოფელი მოიხსენიება: ნა-პანკისევი, პანკისი, დუმასური, ხალაწანი, წინუბანი, კუნახტა და ქორეთი. შვიდივე სოფელში ქართველები ცხოვრობდნენ.

სოფლის სახელწოდება „ნაპანკისევი“ გამოხატავს წინა ვი-თარებას (ნა-პანკის-ევ-ი), რომ წინათ იმ ადგილზე პანკისი ყო-ფილა. საყოველთაო წერევამ წარსულის ნამსხვრევებილა და-ტოვა, რომელიც ადგილობრივ ტოპონიმიაშიც აისახა: ნასოფ-ლარი, ნაშარალი, ნაგზეური, ნამარნალი, ნაკაფევები, ნავე-ნახარი, ნაბაკევი, ნაბინავრები... .

ნაპანკისევში ათ კომლს, ვინმე პეტრეს ყმებს უცხოვრიათ; დოკუმენტმა თითოეული მათგანის გვარ-სახელი შემოგვინახა: ოთიკა, გიუნა და გარსევან ცქიროშვილები, რამაზ რამაზაშვილი, ბეჟან, თამაზ, პატატი და პაპუნა ცოკიშვილები, იოთამ ავ-გაროზიშვილი [124. 67].

ნაპანკისევში ცხოვრობდა აგრეთვე ელო ნაცვალი, რომელ-საც ბატონისაგან რაიმე „სამოხელეო“ საქმე ჰქონდა დავა-ლებული. ამ სახელწოდების სოფელი ხეობაში ამჟამად აღარ არსებობს. ნაპანკისევს თავიანთ შრომებში მოიხსენიებენ ვახუშ-ტი და იოანე ბაგრატიონები [6. 176]. დ. მუსხელიშვილის მიხედ-ვით, ნაპანკისევი დღევანდელ ზემო ხალაწანთან ლოკალიზდება [133. 141]. ვახუშტის რუკაზეც ნაპანკისევი დღევანდელი ზემო ხალაწნის ტერიტორიაზე არის აღნიშნული.

XVIII საუკუნის დასაწყისში, „აღნერის“ მიხედვით, ხეობაში ყველაზე მეტ კომლს სოფელ პანკისში უცხოვრია. არც ამ სა-ხელწოდების სოფელი არსებობს ამჟამად ხეობაში. თუმცა ჩრდი-ლოეთ კავკასიიდან ჩამოსახლებული ქისტები სოფელ დუისს ახლაც პანკისს უწოდებენ: „სო ვუედ პენგიზ“. – მე მივდივარ დუისში. – ამბობს ქისტი. ვახუშტის რუკაზე სოფელი პანკისი შეცდომით აღზნის ზემო წელზე, მდინარის მარცხენა მხარეს, ომალოს ჩრდილოეთით არის აღნიშნული. იქ მართლაც გვხვდება ციხესიმაგრის ნანგრევები და ფეოდალური ეპოქის ნასოფლარი.

სოფელ პანკისში XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში ოთხ კომლ აზნაურს უცხოვრია: ოთარ, ქუმასი, გიორგი და ელიზბარ კობიაშვილებს. როგორც „აღნერის“ მასალებშია მითითებული, ეს ოთხი კომლი აზნაური უშუალოდ „ბატონის ყმა“ ანუ მეფის ვასალი

ყოფილა. მათ მფლობელობაში შედიოდა სოფელი პანკისიც. დ. მუსხელიშვილის აზრით, შუა საუკუნეებში სოფელი პანკისი ალაზნის მარჯვენა ნაპირზე, სადღაც დღევანდელი საკობიანოსა და ყვარელწყლის მახლობლად მდებარეობდა [133. 141].

სოფელ პანკისში, „აღნერის“ მიხედვით, აზნაურების გარდა ოცდაოთხ კომლ გლეხს უცხოვრია: ჯაჯიკაშვილი, პაპუა წითური, ბაისონლულა, ნასყიდა წითური, წითური წითურიშვილი, ყორელი ბაბური, დათო ხინჭობლიშვილი, ნადირა, სვიმონ და ბერი ჩარჩიაშვილები, გიორგი აგილური, ბერი იარალული, სულხან ცქვიტაძე – მაღრიბაშვილი, დემეტრე და დანიელ მაღრიბაშვილები, პაპუნა მაზიტაშვილი, ნასყიდა სუხოშვილი, ბერო დუღანაშვილი, თამაზა შიოშვილი, შერმაზან შოთიაშვილი, დათუნა ბეგიაშვილი, ბერი ბალათური და პეტრე ნაცვლიშვილი [124. 67-68].

უმეტესობა, როგორც ჩანს, სამეფო გლეხი ყოფილა. რაც იმას ნიშნავს, რომ სოფელი პანკისი მთლიანად თუ არა ნაწილობრივ მაინც კახეთის მეფის მფლობელობაში უნდა ყოფილიყო. რადგან აღნერის მასალებში მითითებულია: „ქ. არის პანკის ბატონის ყმა“ და ჩამოთვლილია კომლთა გვარები. ალსანიშნავია, რომ კახეთის მეფე XVI-XVII საუკუნეებში დიდი მიწათმფლობელი იყო და მის საკუთრებაში შედიოდა პანკისის ხეობის ზოგიერთი სოფელი, თუშ-ფშავ-ხევსურეთი, ქიზიყი, გაღმა მხარე, ე.ი. დღევანდელი საინგილო და შიდა კახეთის ცალკეული სოფლებიც. აღნერის მასალებში მოხსენიებულია ქუმსი კობიაშვილის ყმა ბერი იარალული, ბოგანო. ბოგანოდ იწოდებოდა გლეხი, რომელსაც პირად საკუთრებაში არც სახნავ-სათესი, არც ვენახი და არც სხვა რაიმე მამული ებადა. სოფელში, როგორც წესი, ცხოვრობდა მოურავის ნაცვალი ვინმე ჯაჯიკაშვილი. მისი სახელი საბუთებში დაფიქსირებული არ არის. ბერი ჩარჩიაშვილი კი ძმებისაგან გაყრილა და ცალკე კომლად ყოფილა ჩანერილი. დოკუმენტში წერია: „ამის განაყოფი ბერი, ახლა გაყრილი“. სულხან-საბას განმარტებით, „განაყოფი არის ძმა გაყრილი“ [68. 136]. დოკუმენტში გვხვდება საინტერესო გვარ-სახელი – ყორელი ბაბური. პანკისში გვხვდება ამ სახელწოდების ტოპონიმიც. ვასუშტისა და იოანე ბაგრატიონის „აღნერაში“ დაფიქსირებულია სოფელი ყორნყალი (დღევანდელი ყვარელწყალი), ხოლო დღევანდელი დუისის დასავლეთით გვხვდება მიკროტოპონიმი ბა-

ბურა. ანთოპონიმისა და ტოპონიმის ამოსავალი ფუძე ერთნაირია.

აღნერის დავთარში ხსენდება ვინმე სულხან ცქვიტაძე – მაღრიბაშვილი. აღსანიშნავია, რომ ტოპონიმი ცქვიტაძე გვხვდება დღევანდელი ბირკიანის ტერიტორიაზე: „ცქვიტაძის ყურე“, რაც იმ ადგილის ცქვიტაძისადმი კუთვნილებაზე მიუთითებს. იქვე არის ცქვიტაძის მთა.

პანკისში უბატონო გლეხებიც ცხოვრობდნენ. ისინი ძირითადად მთიდან ჩამოსახლებულები უნდა ყოფილიყვნენ და ტრადიციულად ჯვარ-ხატთა მფარველობის ქვეშ აგრძელებდნენ ცხოვრებას. „აღნერაში“ ასეც ჩაუწერიათ: ყორელი ბაბური – ხატის ყმა, დათო ხინჭობლიშვილი – ხატის ყმა და ბერო დულანაშვილი – ხატის ყმა. „აღნერის“ მიხედვით ნარმოდგენა გვექმნება კომლთა სოციალური და ოჯახური მდგომარეობის შესახებ. მაგ., გიორგი აგილური და ბერი ბალათური – დარიბი. დოკუმენტში დაფიქსირებულია ოჯახი, რომელიც რაღაც მიზეზის გამო ამონება, მაგრამ იგი აღნერის დავთარში მაინც შეუტანიათ. ეს არის პეტრე ნაცვლიშვილი-ამონებული.

როგორც ვნახეთ, XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის მოსახლეობის აღნერის მასალების მიხედვით, კობიაშვილები და მაღრიბაშვილები სოფელ პანკისის მცხოვრებლები არიან. XVII საუკუნის მეორე ნახევარში ამბა ალავერდელისადმი მიწერილ პირობის ნერილში, რომელსაც ხელს აწერენ გიორგი კობიაშვილი, მაღრიბა მაღრიბაშვილი და სხვები, ისინი იწოდებიან „ალზნის გამოლმა პანკელებად“ [122. ფონდი-Ad, საქმე-824]. ე.ი. სოფელი პანკისი ალაზნის გამოლმა, მდინარის მარჯვენა მხარეს მდებარეობდა და არა მარცხნივ, როგორც ეს ვახუშტის რუკაზე აღნიშნული. ამრიგად, XVII-XVIII საუკუნების ისტორიულ წყაროებში მოხსენიებული სოფელი პანკისი, მართლაც, ამჟამინდელი საკობიანო-ყვარელწყლის მიდამოებში უნდა ყოფილიყვნება ანთავსებული, სადაც დღემდე მრავლად არის შემორჩენილი ფეოდალური ხანის მატერიალური კულტურის ძეგლთა ნაშთები.

XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში დღევანდელ დუმასტურში მხოლოდ ოთხ კომლს უცხოვრია, ონანაშვილებს: თამაზ, ონანა, ქუცნა და გიუნა ონანაშვილებს [124. 68]. ოთხივე კომლი თავისუფალი ანუ „აზადი“ ყოფილა. „აღნერიდან“ იმასაც ვგებულობთ, რომ ონანა და ქუცნა ობლები ყოფილან. დოკუმენტში

სოფელი დუმასტური „დუმასურის“ სახელწოდებით ხსენდება. ამავე ტერმინით მოიხსენიებს მას თავის ნაშრომში იოანე ბატონიშვილი [6. 70].

როგორც ჩანს, შეა საუკუნეებში დუმასტური საკმაოდ ძლიერი სოფელი ყოფილა. სოფლის განაპირას შემორჩენილია ფეოდალის ციხედარბაზის ნანგრევები, რომელსაც XX საუკუნის დამდეგს დუმასტურში დასახლებული ოსები მთავარანგელოზს ეძახიან და იქ 23 ნოემბერს გიორგობას ზეიმობენ. ფრაგმენტების სახით დღემდე მოლწეული ციხის გალავანი ნახევარ ჰექტარს მოიცავს. გალავნის შიგნით გვხვდება მრგვალი დარბაზის ნაშთი და სათვალთვალო კოშკი, რომლის ჩრდილო-დასავლეთი გვერდი ჯერაც მთლიანია. იქვე, შირიახლოს, არის მარანი, საწახელითა და ქვერებით. რაც შეეხება საცხოვრებელ ნაგებობას, იგი მთლიანად დანგრეულია, ალბათ მტრის შემოსევის გამო.

გალავნის სამხრეთ გასასვლელში დგას პატარა სამლოცველო, რომელიც, ვფიქრობთ, ფეოდალის კარის ეკლესია უნდა ყოფილიყო.

ციხეკომპლექსს, ეტყობა, თავის დროზე შესანიშნავი გამწვანება ჰქონია, რომელთა ნაშთიც, ხანდაზმული ბზების სახით, იქაურობას დღესაც ამშვენებს. იქვე აშოლტილია ასაკოვან ხეთა სხვადასხვა ჯიშები.

ფეოდალის რეზიდენცია მეტად ხელსაყრელ ადგილზე მდებარეობს. აღმოსავლეთიდან მას მთები იცავდა, დასავლეთიდან – მდინარე ალაზანი, ჩრდილოეთიდან კი ტყეები და მთები. ციხეგალავნის ძირში გამოდის შესანიშნავი წყაროს წყალი, რომელიც თავის დროზე წისქვილებს ამუშავებდა, ხოლო ამჟამად ახმეტას სასმელი წყლით ამარავებს. ამ წყაროს გაღმა 10-12 ჰექტარზე გაშენებული ყოფილა დიდებული ხეხილის ბალი, რომელიც, ალბათ, ფეოდალის კუთვნილებას წარმოადგენდა.

გლეხები, როგორც ჩანს, ფეოდალის ციხედარბაზიდან მოშორებით სახლობდნენ. ნაწილი ალაზნის მხარეს, ვაკეზე ცხოვრობდა, სადაც დღესაც არის ნანგრევები და მას მოგვიანებით ჩამოსახლებული ოსები „ყოშითი უუარს“ (ყოჩიევების სალოცავი) ეძახიან. ციხესიმაგრის სამხრეთით სამ-ოთხ ადგილზე გვხვდება ძველი ნანგრევები, ხოლო ერთ-ერთი მსხლის ძირს ჩაგდებულია 4-5 ჩაფიანი ქვევრი. გლეხების ნაწილს, ფეოდალის ყმებს, იქაც უნდა ეცხოვრათ.

მტრების შემოსევებმა, როგორც ფეოდალის რეზიდენცია, ისე მთლიანი სოფელი იავარჟყო. ამდენად, XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში დუმასტურში ოთხ კომლსღა უცხოვრია.

იმ პერიოდში უფრო მრავალრიცხოვანი ყოფილა ალაზნის გაღმა, დუმასტურის სამხრეთით მდებარე სოფელი ხალანანი. „აღწერის“ მასალებში იქ 19 კომლი ფიქსირდება: დანიკა ონანაშვილი, დათუნა როსებაშვილი, ნაპოვნი შერმაზან, ლუარსაბ პავლიაშვილი, მამუკა ყუდილაშვილი, ბეჭან პეტრიაშვილი, ამირან პავლიაშვილი, ხევსური ამონყვეტილი, ბაყალი პეტრე ამონყვეტილი, ხოსრო მამუჩაშვილი, გიორგი ხუცესი, ბერი და პატი ჭინჭარაშვილები, პაპი გივიშვილი, ლაზარე და გოგი რუშოშვილები, პეტრე გივიშვილი, გაგულა გამიხარდაშვილი [124. 68-69].

ხალანში უცხოვრიათ აზნაურ ნათანიშვილის ყმებს. თუმცა დანიკა ონანაშვილი, დათუნა როსებაშვილი, ლუარსაბ პავლიაშვილი, მამუკა ყუდილაშვილი და ბეჭან პეტრიაშვილი თავისუფალი გლეხები იყვნენ. ისევე როგორც სხვა სოფლებში, ხალანშიც ყოფილა „მოხელე“, ვინმე ბერი ჭინჭარაშვილი, ხოლო პატი, მისი ძმა – გაყრილი, ცალკე კომლად მოიხსენიება. გაგულა გამიხარდაშვილს მამული არ ჰქონია. ხოლო შერმაზინი რაღაც მიზეზის გამო დაკარგულა და შემდეგ ალბათ უპოვნიათ. ამიტომ შერმაზანი აღწერის საბუთში ასევე ჩაუწერიათ: „ნაპოვნი შერმაზან“. ხალანანშიც ყოფილა ისეთი ოჯახები, რომლებიც დედაბუდიანად გამწყდარან: ესენია: ამირან პავლიაშვილი-ამონყვეტილი, ბაყალი პეტრე – ამონყვეტილი და ვინმე „ხევსური ამონყვეტილი“. სოფელს ჰყოლია თავისი სულიერი მოძღვარიც – გიორგი ხუცესი.

კუნახტაშიც, ისევე როგორც ხალანანში, 19 ოჯახი ცხოვრობდა, ძირითადად ყოდალაშვილების ყმები. ქაიხოსრო ყოდალაშვილს ეკუთვნოდა: დათუნა ჩეკურიშვილი, დემეტრე და შერმაზან გოჩიტაშვილები, დოლა მამუკა, ზაქარია ტაბარუკი და იასე ნაბიჭვარი.

გურგენ ყოდალაშვილს მხოლოდ ორი ყმა ჰყავდა კუნახტაში: ხოსრო ზაქუტაშვილი და ნიკოლოზ ბერიაშვილი.

ფირან ყოდალაშვილის ყმები რიცხობრივად ქაიხოსროსა და გურგენის ყმებს სჭარბობდნენ: ივანე და ბერი ხისანაშვილები, გარსია ძილუაშვილი, ივანე გიორგაშვილი, შიო პაპიაშვილი, ში-

უკა ხოსიტაშვილი, ესიკაშვილი აყრილი და მახარა ტაბარუკი [124. 69].

პანკისის ხეობის სხვა სოფლებისაგან განსხვავებით კუნახ-ტაში ორი „მოხელე“ იყო: დოლა მამუკა და ივანე ხიხანაშვილი. დოლა მამუკა ქაიხოსრის ეკუთვნოდა, ხოლო ივანე ფირან ყო-დალაშვილს. „მოხელები“ ჩვეულებრივ, უბრალო გლეხები ყოფილან, რომლებსაც აზნაურისაგან გარკვეული „სამოხელეო“ საქმიანობა უნდა ჰქონდათ მინდობილი.

ძმები, დემეტრე და შერმაზან გორიგაშვილები გაყრილან და ცალ-ცალკე ჩაუწერიათ. გაყრილი ძმები იყვნენ აგრეთვე ფირანის ყმები, ივანე და ბერი ხიხანაშვილები. ამ პერიოდის ქართულ სოფლებში გვხვდებიან ე.ნ. „ტაბარუკები“. ტაბარუკი ერქვა ახალმოსულ გლეხს. ასეთები ყოფილან ზაქარია და მახარა. კუნახტაშიც ცხოვრობდნენ ბოგანო გლეხები, რომლებსაც მიწები საერთოდ არ ჰქონდათ. „აღნერის“ საბუთებში ბოგანოს „ტიტულით“ მოიხსენიება შიუკა ხოსიტაშვილი და ტაბარუკი მახარე. კუნახტელი ესიკაშვილის სახელი უცნობია, ალბათ იმიტომ, რომ ის რაღაც მიზეზის გამო სოფლიდან აყრილა. ასევე უცნობი რჩება ჩვენთვის ქაიხოსრო ყოდალაშვილის ყმის, იასეს გვარი. „აღნერის“ საბუთებში ჩაუწერიათ: – „იასე ნაბიჭვარი“.

ნინუბანში სულ ხუთ კომლს უცხოვრია, აზნაურ პატა და გოშფარ როშაქიშვილების ყმებს: მიხო ბედიაშვილს, მის „განაყოფ“ ძმებს – ბასუკას და გიორგის, დაიშვილ გიორგის და ბათურის ობოლს [124. 69].

XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის პანკისის ხეობის კვალობაზე საკმაოდ მოზრდილი სოფელი ყოფილა ქორეთი. ის ხეობის სამხრეთით, ალაზნის ველზეა გაშლილი და ნაყოფიერი სავარგულებით გამოიჩინა. ქორეთში დაახლოებით 21 კომლს უცხოვრია. საზვარელ სალთხუცის ყმები ყოფილან: გიორგი რამინაშვილი – მოხელე, პეტრე რამინაშვილი, შერმაზან „მისი განაყოფი“, ბეჟან რამინაშვილი, ზაალ ცენტერაძე, ბერი მლთი-სიაშვილი.

ბადურ სალთხუცის ყმებად მოიხსენება: პაპუნა მოხელე, ბერი – პაპუნა „მოხელის“ ძმა, „მისი განაყოფი“, ბერი იმერ-ლიშვილი, ირემა და ოთია თუშიშვილები, ივანე ფანტეშვილი, მამუკა მამულაშვილი და ნასყიდა იმერლიშვილი [124. 69-70].

ისევე როგორც კუნახტაში, ქორეთშიც ორი „მოხელე“ იყო. ორკვევა, რომ „მოხელე“ უშუალოდ ადგილობრივი ბატონის, აზნაურის მიერ იყო დანიშნული და მის საგანგებო დავალებებს ასრულებდა. სხვა ყმა გლეხებისაგან ის იმითაც განსხვავდება, რომ „აღნერის“ საბუთის შემდგენელ მდივანს საჭიროდ მიუჩნევია დოკუმენტში „მოხელის“ უშუალოდ აზანურის შემდეგ მოხსენიება. ქორეთში გიორგი რამინაშვილი საზვერელ სალთხუცის „მოხელე“ ყოფილა, ხოლო პაპუნა – ბადურ სა(ხ)-ლთხუცისა. გიორგიც და პაპუნაც, ისევე როგორც სხვა „მოხელები“, ამავე დროს თავიანთი ბატონის ყმებად ითვლებოდნენ. ე. ი. ყოველ მემამულეს თავისი „მოხელე“ უნდა ჰყოლოდა. ფუმასტურში, სადაც XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში აზნაურები არ ცხოვრობდნენ და მხოლოდ თავისუფალი „აზადი“ გლეხები ესახლნენ, მოხელე საერთოდ არ ჰყოლიათ. „მოხელეს“, ვიქიერობთ, აზნაურისაგან დავალებული ჰქონდა ყმა გლეხების საქმიანობაზე თვალყურის დევნება, გადასახადების აკრეფა და ა.შ. „მოხელე“ სულხან-საბა-ორბელიანის განმარტებითაც არის „მნე და ზედამდეგი“ [68. 516]. „აღნერის“ მიხედვით, ქორეთელების სულიერი მოძლვარი და ეკლესიის მსახური გიორგი მღვდელი ყოფილა.

ქორეთში უცხოვრია პატარკაც ქოქიაშვილს – „აზადს“ ანუ გათავისუფლებულ გლეხს. თავისუფალ პიროვნებად უნდა მივიჩნიოთ, აგრეთვე, ვინმე ქურციკაძე – „ხატის მეზღვნე“. ის, როგორც ჩანს, ახლად ჩამოსახლებულია მთიდან და სახელით არც იხსენიება. ჩვენი ვარაუდით, მას მთასთან, თავდაპირველ საცხოვრისთან კავშირი დაკარგული არ უნდა ჰქონოდა, თავისი „ხატის საყმოს“ წევრად ითვლებოდა და „აღნერის“ საბუთშიც ამგვარად ჩაუწერიათ: „ქურციკიძე – ხატის მეზღვნე“.

XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში პანკისის ხეობაში უკვე ფიქსირდება მთიელთა ჩამოსახლების ცალკეული ფაქტები. მთიდან ჩამოსახლებულები არსებითად განსხვავდებოდნენ ახალმოსული გლეხებისაგან, ე.წ. „ტაბარუკებისაგან“, რომლებიც „აღნერაში“ ბოგანოებად იწოდებიან და კვლავაც ბატონის პირად საკუთრებაში ექცეოდნენ. მთიელები პიროვნულ თავისუფლებას ინარჩუნებდნენ და მთაში დაფუძნებული თავიანთი სალოცავების ყმებად ითვლებოდნენ, კვლავაც ჯვარ-ხატების საყმოებში ერთიანდებოდნენ და მას აღიარებდნენ მფარველ ბა-

ტონად. სწორედ ჯვარ-ხატებთან დამოკიდებულებაში მოიხსენიებს „აღნერის“ საბუთების შემდგენელი მდივანი პანკისელ „ხატის ყმებს“: ყორელ ბაბურს, დათო ხინჭობლიშვილს, ბერ დუღანაშვილსა და ქორეთელ ქურციკაძეს.

უნდა აღინიშნოს, რომ პანკისის ხეობაში მთიელთა ჩამოსახლების ეს კონკრეტული ფაქტები „გაუნვითი მიგრაციის“ (გ. ჩიტაის ტერმინით) მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებს წარმოადგენდა და მან საყოველთაო, ჯგუფური ხასიათი მხოლოდ XIX საუკუნის II ნახევარში მიიღო.

ქორეთის მებატონე სახლთხუცესები ჩოლოყაშვილები იყვნენ. როგორც ცნობილია, ჩოლოყაშვილები ინიშნებოდნენ თუშეთის მოურავებად, ხოლო თუშეთის სამოურავო პანკისის ხეობასაც მოიცავდა. „აღნერის“ მასალებში მოხსენიებული საზვერელ სახლთხუცესი, ნ. ასათიანის აზრით, იგივე ოთარ ჩოლოყაშვილია, რევაზ სახლთხუცის ვაჟი. ამასთან დაკავშირებით ნ. ასათიანი წერს: „ოთარ ჩოლოყაშვილი, რომელიც სახლთხუცესთა შტოს წარმომადგენელია, ჩოლოყაშვილებს შორის ყველაზე დიდი რაოდენობით ფლობს ყმა-მამულს. საინტერესოა, რომ ოთარ ჩოლოყაშვილი სახლთხუცესობით არ იხსენიება, არამედ სახლთხუცესი საზვერელია, რომლის მფლობელობაშიცაა: მატანში – 13 კომლი ყმა გლეხი, ქორეთში – 10, ქაშოს – 6, უტოს – 7, უჯარმას – 15 და საცხენისში – 7 კომლი. სულ – 58 კომლი“ [2. 52]. საზვერელი საკუთარი სახელია და რატომ უნდა ყოფილიყო საზვერელ სახლთხუცესი იგივე ოთარ ჩოლოყაშვილი ბუნდოვანია.

„აღნერის“ მასალები ნათლად წარმოაჩენს კახეთში სოციალური დიფერენციაციის სურათს. ფეოდალური კიბის სათავეში, როგორც წესი, დგას „ბატონი“ – მეფე. პანკისის ხეობის ელიტას წარმოადგენენ მემამულები: სა(ხ)ლთხუცები ანუ ჩოლოყაშვილები, ნათანიშვილები, როშაქიშვილები და ყოდალაშვილები, აგრეთვე, კობიაშვილები.

თვით დაბალ ფენებშიც აშკარად შესამჩნევია ქონებრივი უთანასწორობა. გვხვდება როგორც თავისუფალი „აზადი“ გლეხები, ისე აზნაურზე დამოკიდებული ყმები, რომლებიც ბატონის მამულებს ამუშავებდნენ და გარკვეულ გადასახადებს უხდიდნენ. ყმა გლეხებშიც გამოიყოფოდნენ უფრო დაწინაურებული პირები, ე.ნ. აზნაურის „მოხელეები“ და, აგრეთვე, უპოვარი,

არაფრისმქონე ოჯახები, რომლებსაც „აღწერის“ საბუთებში ჰქვიათ: „უმამული“, „დარიბი“, „ბოგანო“, „ტაბარუკი“.

დოკუმენტიდან ჩანს, რომ პანკისის ხეობაში უკვე დაწყებულია მოსახლეობის აყრა. ხოლო ოთხი ოჯახი, რაღაც მიზეზის გამო, დედაბუდიანად ამონცვეტილა.

პანკისის ხეობის მოსახლეობის „აღწერაში“ დაფიქსირებულია ათეულობით გვარ-სახელი. განსაკუთრებით გავრცელებული სახელი იქ ბერი და გიორგი ყოფილა. მასალებიდან ირკვევა, რომ XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში პანკისის ხეობა მონორელიგიური და მონონაციონალურია, იქ ას კომლზე მეტს უცხოვრია, სულ ქართველებს და ყველა მართლმადიდებლურ ქრისტიანულ სარწმუნეობას მისდევდა. ხეობაში ცხოვრობდნენ სასულიერო პირები, როგორებიც იყვნენ ხალაწანში მცხოვრები გიორგი ხუცესი და ქორეთელი გიორგი „მღვდელი“.

აღმოსავლეთ საქართველოს XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის მოსახლეობის აღწერის დავთრებში, როგორც ვნახეთ, პანკისის ხეობის მხოლოდ შვიდი სოფელი ხსენდება. ხოლო ვახუშტი საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიულ აღწერასა და თავის შედგენილ რუკაზე პანკისის ხეობის 19 სოფელს აღნიშნავს [3. 207]. იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერაში“, რომელიც შედგენილია 1794-1799 წლებში, ისევე როგორც ვახუშტისთან, პანკისის ხეობის 19 სოფელია ჩამოთვლილი [6. 70].

ტაბულა 1. პანკისის ხეობის სოფლები XVIII  
საუკუნის პირველი მეოთხედის მოსახლეობის  
აღწერის დაკორების მიხედვით



გასათვალსინინებულია ის გარემოება, რომ ამ პერიოდში  
პანკისის ხეობა მოსახლეობისაგან უკვე მთლიანად იცლებოდა.  
ამდენად, იმანე ბაგრატიონის „აღწერა“ ძირითადად ვახუშტის  
მონაცემებს ეყრდნობა და რეალურ ვითარებას ნაკლებად ასა-  
სავს. მას გაუმეორებია ვახუშტის ზოგიერთი შეცდომა და სა-

კუთარიც დაუმატებია. მაგალითად, ერთთანაც და მეორესთანაც სოფელი პანკისი აღნიშნულია აღაზნის მარცხენა სანაპიროზე, ომალოს ჩრდილოეთით, როცა იგი საკობიანო – ყვარელნყლის მიდამოებშია საძიებელი. იოანე ბაგრატიონი პანკისის ხეობაში ასახელებს სოფელ უაბურს. უაბურის მთა კურტანაძეულისა და ილტოს ხეობის წყალგამოყოფ ქედზე მდებარეობს. ხოლო ამ სახელწოდების სოფელი ილტის ხეობაშია და არა პანკისში.

რა არის იმის მიზეზი, რომ „აღნერის“ დავთრებში შეტანილი პანკისის ხეობის სოფლების რაოდენობა (7 სოფელი) ასე აშ-კარად განსხვავდება ვახუშტის მონაცემებისაგან (19 სოფელი), როცა ორივე დოკუმენტი თითქმის ერთსა და იმავე ისტორიულ პერიოდს ასახავს?

ამ განსხვავების მიზეზებზე გარკველ წარმოდგენას გვიქ-მნის ისევ და ისევ XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის პანკისის მოსახლეობის აღწერის დავთარი. კერძოდ, დოკუმენტიდან ჩანს, რომ იქ მცხოვრებთა რიცხვი საგრძნობლად შეთხელებულა. სი-ცოცხლე ძირითადად აღაზნის გაღმა მდებარე სოფლებსლა შერჩენია, რომლებიც მტრისთვის შედარებით მიუვალი იყო და ხალხიც მთებში გახიზვნას ადვილად ახერხებდა. „აღნერაში“ ასახულია ის პროცესი, როდესაც პანკისის ხეობაში მოსახლეობის აყრა უკვე დაწყებულია, ამიტომ დოკუმენტის შემდგენელს საჭიროდ მიუჩინება აღწერის დავთარში დაეფიქსირებინა აყრილი და ამონ-ცვეტილი ოჯახებიც. ფაქტობრივად, აღნიშნულ საბუთებში წარმოდგენილია პანკისის ხეობის უკანასკნელ მცხოვრებთა სია. მართლაც, როგორც სხვადასხვა წყაროებიდან ირკვევა, XVIII საუკუნის შუა წლებში ხეობა თითქმის გაუკაცრიელდა.

ცნობილი მოგზაური ი. გულდენშტედტი 1772 წლის 3 აპ-რილს იმყოფებოდა ბახტრიონსა და მატანში. გულდენშტედტის აღწერის მიხედვით, ბახტონის ზემოთ, საიდანაც იწყება პანკისის ხეობა, სხვა დასახლებული პუნქტი იმ დროს იქ აღარ იყო. იგი წერს: „აღაზანი აქ გამოდის მთისწინეთიდან. ეს (ბახტრიონი (Sic) ხ. მ.) არის აღაზნის ჩრდილოეთ მხარეს მდებარე უკანასკნელი სოფელი“ [21. 35]. თუმცა მაღრანის ციხე, როგორადაც გვიან შუა საუკუნეებში პანკისის ანუ თორლვის ციხე მოიხსენება, თავის დანიშნულებას გარკვეულწილად კვლავაც ასრულებდა: „აღმოსავლეთით არის ჯერ კიდევ დასახლებული მაღრანის ციხე“. – წერს გულდენშტედტი [21. 35]. მართლაც,

თორდვის ციხის გალავნის შიგნით გვიანფეოდალურ პერიოდში სხვადასხვა დანიშნულების სათავსოები მიუშენებიათ. როგორც ჩანს, მტრის შემოსევის შემთხვევაში ბახტრიონის და სხვა სოფ-ლების მოსახლეობა თავს იქ აფარებდა.

რაც შეეხება ვახუშტის მონაცემებს, იგი „აღნერის“ წინა ვითარებას ასახავს, როცა პანკისის ხეობის ალაზნის გამოღმა სოფლებში თითოოროლა კერაზე ჯერ კიდევ ენთო ცეცხლი, თუმცა უკვე დაწყებულა მათი ნასოფლარებადქცევის პროცესი. მაგრამ ხალხის მეხსიერებაში ცოცხლობდა მოგონება იმ სოფ-ლების არსებობის შესახებ, რაც კიდევაც დააფიქსირა ვახუშტი ბაგრატიონმა თავის ნაშრომში. სხორცედაც იმის გამო, რომ დაიწყო პანკისის ხეობის დასახლებულ პუნქტთა ნასოფლარებად გადაქცევა, ვახუშტიმ თავიდან ვერ აიცილა ზოგიერთი შეცდომა პანკისის ხეობის სოფელთა თუ ნასოფლართა განლაგების შესა-ხებ. თუმცა ვახუშტი არც წერს, რომ იმ სოფლებში მოსახლეობა ყველგან იყო. ხოლო აღნერის მასალები კი, რადგანაც ზუსტ მონაცემებს ემყარება, მაშინდელი პანკისის ხეობის უფრო რე-ალურ ვითარებას წარმოაჩენს.

აღნერის პერიოდში ვახუშტის მიერ ჩამოთვლილი სოფლე-ბიდან 12 უკვე ნასოფლარად იყო ქცეული. ესენია: ომალო, ქისტენლი, მღვიმე, კურტანაძე, ბანარა-2, ხაფარული, ყორნყა-ლი, ბალთაგორი, დედიფერული და ქისტაძე (<-ცქვიტაძე) [122. ფონდი-H, საქმე-934]. მოგვიანებით, XIX საუკუნის მეორე ნახე-ვარში, ომალოში, ყვარელწყალსა და დედისფერულში ხალხი კვლავ დასახლდა. ზოგიერთ სოფელში სიცოცხლე სამუდამოდ ჩაკვდა და ნასახლარებს ბარდ-ეკალმა გადაუარა. პანკისში ისე-თი ნასოფლარებიც არის, რომლის სახელიც კი არ ვიცით. სა-ერთოდ გაურკვეველია, თუ რომელ ნასოფლარებს ერქვათ ქის-ტნელი და ხაფარული.

## ტაბულა 2. პანკისის ხეობის სოფლები ვახუშტის რუკის მიხედვით



\* ვახუშტის შეცდომით აქვს აღნიშნული სოფ. პანკისის მდებარეობა. სოფ. პანკისი მდებარეობდა საკობიანო-ყვარელნყოფის მიდამოებში.

ვახუშტი, როდესაც ნაშრომში ჩამოთვლის პანკისის ხეობის სოფლებს, მათ შორის ასახელებს „ქისტაძეს”, თუმცა თავის მიერ შედგენილ რუკაზე „ქისტაძის” ნაცვლად აღუნიშნავს სოფელი „ცეკვიტაძე”. ვახუშტი, როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში ზეპირ გადმოცემას ემყარება და ამიტომაც ყოყმანობს: რომელია ნამ-

დვილი სახელწოდება „ქისტაძე“ თუ „ცქვიტაძე“. მართლაც, დღევანდელი ბირკიანის განაპირას, სოფლის სამხრეთ-დასავლეთით არის ამ სახელწოდების ადგილი – „ცქვიტაძის ყურე“, რომელიც აშკარად შუა საუკუნეების ნასფლარს წარმოადგენს. „ცქვიტაძის ყურეში“ შემორჩენილია ფეოდალის რეზიდენციის ნანგრევები, ეკლესიისა და სამეურნეო ნაგებობათა ნაშთები.

პანკისის ხეობის სოფლებს შორის ვახუშტი ასახელებს ორ პუნქტს ბანარის სახელწოდებით. ისინი რუკაზე მდინარე კურტანაძეულის წყალსა და დღევანდელ ბაყილოვან-საკობიანოს შორის აღუნიშნავს, რომელიც პანკისის ხეობის თითქმის უკიდურეს სამხრეთს წარმოადგენს. ბანარა კი სინამდვილეში პანკისის ხეობის ჩრდილოეთ ნაწილში, ბანარის წყლის ხეობაში მდებარეობს, რომელიც ალაზნის მარჯვენა შენაკადს წარმოადგენს. XIX საუკუნეში ბანარაში ათამდე კომლი ფშაველი კვლავ დასახლებულა. ამჟამად კი იქ ცნობილი სახელმწიფო ნაკრძალია.

საყურადღებოა ვახუშტის მიერ მითითებული კიდევ ერთი სოფელი – ყოდალაური. მართალია, პანკისის ხეობის XVIII საუკუნის I მეოთხედის აღწერის დავთრებში ყოდალაური არსად ხსენდება, მაგრამ აღნიშნულ დოკუმენტში, როგორც ზემოთ ვნახეთ, მითითებულია, რომ კუნახტში ცხოვრობდნენ ქაიხოსრო, გურგენ და ფირან ყოდალაშვილების ყმები. ტოპონომი „ყოდალაური“ იმ ადგილის ყოდალაშვილებისადმი კუთვნილებაზე მიუთითებს. დ. მუსხელიშვილის აზრით, კუნახტის ნანილს, რომელიც ყოდალაშვილებს ეკუთვნოდა, ერქვა, აგრეთვე, „ყოდალაური“ [133. 139–140]. შესაძლოა, ყოდალაშვილები კუნახტის გარდა სხვა ტერიტორიებსაც ფლობდნენ და იმ სოფელსა და ადგილს, როგორც მათ კუთვნილ მამულს, „ყოდალაური“ ერქვა. ვახუშტის რუკაზე კუნახტა და ყოდალაური ერთმანეთის სიახლოვეს არის განთავსებული.

პანკისის ხეობაში სოფლის მეურნეობის გასავითარებლად შესანიშნავი ბუნებრივი პირობები არსებობდა, მაგრამ ადგილობრივ მოსახლეობას მტერი მოსვენებას არ აძლევდა. მიუხედავად ამისა, პანკისელებმა გააშენეს ხეხილის საუცხოო ბალები, თესავდნენ ქერსა და ხორბალს, მისდევდნენ მევენახეობასა და მებოსტნეობას, განავითარეს მესაქონლეობა. ვახუშტის მიხედვით, „ხეობა პანკისისა არს ვენახოვანი, ხილიანი-დაბალნი, და მთის კერძნი, ვითარცა მთათა ადგილნი. თევზნი-კალ-

მახნი, ტყე-ნადირიანი, მარცვალთა ნაყოფიერი, თვინიერ ბრინჯანბისა. პირუტყვი მრავალ, გარნა ღორი უმრავლეს“ [3. 102].

პანკისის ხეობამ საბედისწერო დარტყმა, ვფიქრობთ, XVIII საუკუნის 20-იანი წლების ბოლოსა და 30-იანი წლების დასაწყისში მიიღო, როდესაც ქართლ-კახეთში ოსმალები, ყიზილბაშები და ლეკები თავისუფლად დათარეშობდნენ. ქვეყანა ქაოსმა და რბევამ მოიცვა. ამ პერიოდის ტრაგიკული მოვლენების თვითმხილველი და უშუალო მონაწილე დავით გურამიშვილი გულისტყვილით აღნიშნავდა:

„თურქი, სპარსი, ლეკი, ოსი, ჩერქეზ-ღლილვი, დიდო, ქისტი, სრულად ქართლის მტერნი იყვნენ, ყველამ ნასცხო თითო ქიშტი“ [22. 374].

გეოგრაფიული სიახლოვე კავკასიონის მთავარ ქედთან ამ შემთხვევაში დამანგრეველი აღმოჩნდა პანკისის ხეობისათვის. XVIII საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს პანკისი დაღესტნელი ტომების გამუდმებული თავდასხმების ობიექტი გახდა.

„ქართლი ოსმალომ დაიპყრო, კახეთი – ლეკთა მოლამა“ [22. 398].

ამრიგად, დაღესტენელი ფეოდალების ხშირად თავდასხმების გამო XVIII საუკუნის 30-იანი წლებიდან პანკისის ხეობა მოსახლეობისაგან დაიცალა. ნაწილი გაწყდა, ნაწილმა კი საცხოვრებლად სამხრეთით, ბახტრიონისაკენ და უფრო ქვემოთ ჩაინაცვლა.

რადგან ლეკების უეცარი შემოსევების გამო პანკისის სოფლებში თითოეული ოჯახის სიცოცხლეს რბევა და აწიოება ემუქრებოდა, სამეფო კარს ხეობაში დარჩენილი მოსახლეობის უსაფრთხოებისთვის საგანგებო ზომები მიუღია. ამის შესახებ ჩვენ ვგებულობთ კახეთის მეფის განკარგულებიდან, რომელიც უთარილოა, თუმცა ის XVIII საუკუნის 30-იანი წლების ბოლოსა და 40-იანი წლების დამდეგს უნდა ეკუთვნოდეს. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, კახეთის მეფემ თუშეთის მოურავს, ზურაბ ჩილოყაშვილს უბრძანა, რომ პანკისელები ბახტრიონში ჩაესახლებინა, სადაც მათ მტრის შემოსევის შემთხვევაში ბახტრიონის გარნიზონი დაიცავდა: „ჩვენი ბრძანება არის, თუშთ მოურაო ზურაბ, პანკისი ხომ სახასო და შენი საჭელოა; ახლა ესენი მიასხი და ბახტრიონის ციხეში მისხი, და ისიც ჩვენი

სახასო არის, იქ დააყენე, ბეჯითი შეიქენ დაყენებაზე, კარგად გვემსახურენ იქიდან“ [122. Hd, საბუთი № 10063].

XVIII საუკუნის მეორე ნახევრის დოკუმენტებში, აგრეთვე XIX ს-ის პირველი ნახევრის მოსახლეობის კამერალური აღწერის დავთრებში ბახტრიონის მცხოვრებთა შორის ხსენდებიან სხვა-დასხვა გვარის წარმომადგენლები, რომელთა წინაპრებიც პან-კისის ხეობის სოფლებში მოსახლეობდნენ. კერძოდ, ესენი უნდა იყვნენ: მაღრიბაშვილები, შოთიაშვილები, მაზიტაშვილები, პავ-ლიაშვილები, სუხიაშვილები, ონანაშვილები, იარაჯულები, წი-თურები, აგრეთვე აზნაური კობიაშვილები.

როგორც ისტორიული საბუთებიდან ირკვევა, პანკისის ხე-ობიდან ბახტრიონში გადასახლებულები იქ ჭანისწყალსა და ეკ-ლესიას შორის მდებარე ფართობებს ამუშავებდნენ და სათანადო გადასახადიც შეჰქონდათ სახელმწიფო ხაზინაში [83. 5–15].

პანკისელებს მამულები აღვნის ველზეც ჰქონიათ. 1737 წელს მეფე ალექსანდრეს, რაღაც დამსახურების გამო, „პან-კისელ“ დათუნა სუხიაშვილისთვის, მისი ძმის გიორგისა და მათი შვილების – დავითისა და ზაზასთვის მიუცია მოურავის ნაც-ვლობისა და ალვანში სახნავ ფართობებზე ლალის გამოურ-თმევლობის საბუთი. ასეთი საბუთი მათ წინა მეფებისგანაც ჰქონიათ მიღებული [26. 399]. დოკუმენტიდან არ ჩანს, სუ-ხიაშვილები მაშინ პანკისის ხეობაში ცხოვრობდნენ თუ ბახ-ტრიონში, მაგრამ, როგორც ბ. გამყრელიძე ფიქრობს, მათი პან-კისელობა უეჭველია [18. 36].

მოსახლეობისგან ხეობის დაცლამ განაპირობა პანკისში განვითარებული სამეურნეო დარგების მოშლა. მაგრამ სამე-ურნეო ცხოვრება მთლიანად არ ჩამქრალა. ბ. გამყრელიძის აზ-რით, „მისი უაღრესად ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები ფარ-თოდ იზიდავდა საქართველოს სხვა კუთხეების მოსახლეობას“ [18. 40].

ერეკლე II-ის მიერ თუშეთის მოურავ დურმიშხან ჩოლოყაშ-ვილისადმი გაცემული 1781 წლით დათარიღებული განკარ-გულებიდან ირკვევა, რომ თუშების ცხვრის დასაყენებელი ად-გილები ალვანი, პანკისისა და ლოპოტის ხეობები ყოფილა [122. ფონდი – Ad, საბუთი № 10063].

ქართველი მეფების მიერ გაცემული სიგელებიდან ვგებუ-ლობთ, რომ პანკისის ხეობის ტერიტორიით უძველესი დრო-

იდანვე სარგებლობდნენ ფშაველები [83. 295]. მათ იქ მსხვილ-ფეხა საქონლის საზამთრო პინები ჰქონდათ მოწყობილი. ის-ტორიულ დოკუმენტებზე დაყრდნობით ბ. გამყრელიძე აღნიშნავს, რომ „ფშავლები პანკისის ხეობაში ყოველ წელიწადს ჩა-მოდიოდნენ შემოდგომაზე და გაზაფხულამდე რჩებოდნენ, გა-ზაფხულზე მთელი თავისი ოჯახითა და საქონლით თავიანთ საცხოვრებელ ადგილს უბრუნდებოდნენ“ [18. 41]. რადგან დიდ-თოვლობის გამო კავკასიონზე გადმოსასავლელი გზა-ბილიკები იკეტებოდა, დალესტნელთაგან თავდასხმის საფრთხე კლე-ბულობდა და ფშავლები ზამთარს პანკისში შედარებით მშვიდად ატარებდნენ.

პანკისის ხეობაში კახეთის სხვადასხვა კუთხიდან ღორიც დაუდიოდათ. გარდა ამისა, ბახტრიონში გადასახლებული პანკი-სელები ხეობაში მიწის გარკვეულ ფართობებს ინარჩუნებდნენ და მიწათმოქმედებას იქ მეტ-ნაკლებად კვლავაც მისდევდნენ.

XVIII საუკუნის შუა წლებიდან მთელი საუკუნის მანძილზე აქა-იქ თუ გაიბუტავდა პანკისში კერიაზე ცეცხლი... ყოდა-ლაშვილის სახლი თითქოს ჯერ კიდევ იდგა გაპარტახებულ მა-მულში. სუხიაშვილებსა და მაღრიბაშვილებს ღორის მოშენება დაეწყოთ. კობიაშვილებიც თავიანთი მამულის აღდგენას ამაოდ ცდილობდნენ.

პანკისის ხეობაში ცხოვრების ორიათასწლოვანი უწყვეტი ისტორიული ჯაჭვი გაწყდა. პანკისის ხეობამ კახეთის ჩრდი-ლოეთი ნაწილის პოლიტიკური ცენტრის მნიშვნელობა დაკარგა. ამიტომაც პანკისის სამოურავოს გვიან შუა საუკუნეებში თუ-შეთის სამოურავოს უწოდებდნენ. რადგანაც პანკისი მოსახ-ლეობისგან დაიცალა, ამ პერიოდში მთელი ყურადღება გადა-ტანილი იქნა თუშებისგან ჩრდილოეთის საზღვრის დაცვასა და თუშური მეცხვარეობის განვითარებაზე. სამოურავოში შედი-ოდა: თუშეთი, პანკისის ხეობა, ახმეტა, მატანი, ბახტრიონი, სტორისა და ლოპოტის ხეობები, ალვნის ველი. თუშებს ცხვრის ამ ადგილებში თავისუფალი გადაადგილების ნებართვა მიეცა; რადგან გარეშე მტრების შემოსევების შედეგად XVIII საუკუნის მეორე ნახევრისთვის ეს ტერიტორიები მოსახლეობისგან თით-ქმის დაცლილი იყო, იგი გამოიყენებოდა თუშეთის ცხვრის სა-ზამთრო საძოვრებად.

ჯერ კიდევ კახთ ბატონის ლევანის მეფობის (1520-1574 წ.წ.) დროიდან თუშებმა აღნიშნულ ტერიტორიაზე ცხვრის გამოზამ-თრების ნებართვა მიიღეს. თუშებს კახეთის ბარში მეფებისგან მიწები მიცემული ჰქონდათ ცხვრის საძოვრებად და არა საცხოვ-რებლად. ვ. ელანიძის აზრით, „ქართლ-კახეთის სახელმწიფო მაშინ მხარს არ დაუჭერდა თუშების მიერ ძველი სამოსახლო ადგილების დატოვებას, რადგან ისინი კახეთის სტრატეგიულ გზებს იცავდნენ, საგანგებოდ კეტავდნენ საქართველოსკენ იმი-ერკავკასიდან გადმოსასვლელ ბილიკებს“ [27. 358-359].

ისტორიული დოკუმენტების მიხედვით, XVI საუკუნიდან თუშეთის მოურავებად, რომლის გამგებლობაშიც პანკისის ხე-ობაც შედიოდა, ჩოლოყაშვილები ინიშნებოდნენ.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან მატნის, მარილისისა და ახმეტის მფლობელებმა მოსახლეობისგან დაცლილი პანკისის ხეობის მამულების დაპატრონება დაიწყეს, ხოლო ყოდალაშ-ვილებმა და კობიაშვილებმა მეფესთან ჩივილი.

ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ერეკლე II-ის სასამარ-თლო განჩინება ჩოლოყაშვილებისა და პანკისელების მამულის საქმეზე. აღნიშნული დოკუმენტით, რომელიც 1748 წლის 2 აგ-ვისტოთი არის დათარიღებული, ირკვევა, რომ ჩოლოყაშვილები და პანკისელი კობიაშვილები ბახტრიონის მიწების თაობაზე წაკიდებულან. ჩოლოყაშვილები ირწმუნებოდნენ, რომ აღნიშ-ნული მამულები მეფისაგან წყალობით ჰქონდათ დამტკიცებული და შესაბამის დოკუმენტსაც წარადგენდნენ. კობიაშვილები ამ გარემოებას არ უარყოფნენ, მაგრამ აცხადებდნენ: მართალია, კახეთის მეფებს ბახტრიონის მიწები ჩოლოყაშვილებისთვის მიუციათ, მაგრამ შემდეგ ისევ წაურთმევიათ და „თავის სახასოდ დაუდვიათო“ [96. 374].

სიმართლის გასარკვევად ერეკლე II-მ ჩოლოყაშვილებს უბრძანა, ბახტრიონის ირგვლივ ფეხით შემოევლოთ, კერძოდ, მდინარე ილტოს შესართავსა და ჯანჯანანთ თავს მდებარე საყდრამდე, ალაზნის გასწვრივ, და დაეფიცათ: „ეს მოგვცემია ბატონებისგან და არცალა წაგვრთმევიაო“. როგორც ჩანს, მაშინ სიმართლის გასარკვევად დაფიცების ამგვარი ფორმაც არ-სებობდა.

ჩოლოყაშვილებმა მეფის ბრძანება შეასრულეს, დაიფიცეს. ამის შემდეგ ერეკლე II-მ ბახტრიონის მამულები მათ დაუმტკიცა.

დავა ამით არ დამთავრებულა. არსებობს მეორე დოკუმენტი, რომელსაც ისიდორე დოლიძე 1748 წლის ნაცვლად 1788 წლის 14 სექტემბრით ათარიღებს [97. 431]. როგორც ირკვევა, კობიაშვილებმა სასამართლოს გადაწყვეტილება გააპროტესტეს და დაამტკიცეს კიდეც, რომ ჩოლოყაშვილებისთვის კახთ ბატონებს ოდესლაც კუთვნილი ბახტრიონის მამულები ჩამოურთმევიათ. თუმცა თუშეთის მოურავმა ჯიმშერ ჩოლოყაშვილმაც არ დააყოვნა და მეფის წინაშე ხელმეორედ დაიფიცა: „მართალია, უწინ წამრთმევიათ და ბოლოს მაჰმად ყული ხანს ჩემთვის უბოძებიაო აქამდისაო“ [97. 432].

ჯიმშერ ჩოლოყაშვილი მეტად გავლენიანი ფეოდალი იყო. როგორც თეიმურაზ II-ის წყალობის სიგელიდან ირკვევა, ერეკლე ბატონიშვილს ჯიმშერ ჩოლოყაშვილი თან ახლდა ინდოეთში. ის უფლისწულის გვერდით იდგა ყველაზე დიდი გაჭირვების უამს. ამრიგად, ჯიმშერ ჩოლოყაშვილი თუშეთის მოურავად მეფის წინაშე განსაკუთრებული ერთგულების გამო დაუნიშნავთ. თეიმურაზ II-ის წყალობის სიგელში ვკითხულობთ: „...გიბოძებთ შენ ჩვენს მინას, ვისი დამსახურებანიც ჭეშმარიტად ურიცხვია, ხოლო ერთგულება ჭეშმარიტად უსაზღვრო, ჩვენს ჯიმშერ ჩოლოყაშვილს იმის გამო, რომ შენ ჩვენი ვაჟის ერეკლეს გვერდით იყავი მისი უმძიმესი განსაცდელის უამს, მისი ინდოეთში ყოფნის დროს და ამის გამო გადაიტანე ბევრი უსიამოვნებანი და ტანჯვანი. ამ ერთგული სამსახურის გამო გიბოძებთ შენ მმართველობისათვის თუშეთს და დეე, არასოდეს არ მოაკლდე შენ ამ უფლებას. შენს მიერ აკრეფილი გადასახადის მესამედი დაიტოვე შენთვის, დე, შენი იყოს აგრეთვე ყველაფერი სხვა, რაც მმართველს ეკუთვნის [122. საბუთი №2178].

ცხადია, ერეკლე II-ს თუშეთის მოურავის განაწყენება არ სურდა და სამეფო კარის სასამართლო განჩინების აღმასრულებელ ვინმე პაპუას უბრძანა: „რა ფიცით გაიტანონ, იმ სამძღვარებზედ ირგვლივ სამნები ჩაისხით. მას უკან ამათ მამულში ნურც ბალჩას, ნურც ვენახს, ნურც წისქვილს ნუ ააშენებენ; ვინც მოხნევდეს, ღალას მისცემდენ“ [97. 432].

პანკისის გაპარტახების შემდეგ კობიაშვილები ამაოდ ედა-ვებოდნენ ჩოლოყაშვილებს. ბახტრიონისა და მარილისის მიწებს მათ უკვე აღარავინ დაანებებდა, რადგან ის მამულები, მარ-თლაც, ჩოლოყაშვილების კუთვნილებას წარმოადგენდა. XVIII საუკუნის 80-იან წლებში კობიაშვილები ახლა ჩოლოყაშვილების ერთ-ერთ განშტოებას, სალთხუცესებს დაუპირისპირდნენ, თუმ-ცა ამაოდ, რადგან ქაიხოსრო სალთხუცესი უმდიდრესი ფეოდა-ლი იყო და კობიაშვილებს არაფერს დაუთმობდა.

XVIII საუკუნის ბოლო პერიოდის პანკისის ხეობის ისტო-რიული გეოგრაფიისა და სოციალური ურთიერთობების შესახებ უნიკალურ ცნობებს გვაწვდის 1785 წლის 19 იანვრით დათა-რილებული სასამართლო განჩჩინება სალთხუცეს ქაიხოსროსა და კობიაშვილების მამულის საქმეზე [97. 288].

მათ შორის დავა ატეხილა მამულების განაწილების, კერძოდ, „საბალახეს“ ამოღების თაობაზე. „საბალახე“ იყო გადასახადი, რომელსაც მიწათმფლობელები იღებდნენ თავიანთი საძოვრად გათვალისწინებული მამულებიდან სხვის მიერ იქ დაყენებული საქონლის, ცხვრის ან ღორის გამოკვების გამო. სახელმწიფო მამულებში სამეფო კარი ნიშნავდა ე.წ. „მებალახეებსაც“. „მება-ლახეების“ მოვალეობა იყო, მაგალითად, მთისა და ბარის მი-ნებით სარგებლობისათვის თუშებისაგან სამეფო კარის მიერ დაწესებული გადასახადების აკრეფა [27. 107]. კერძო მამულებში „საბალახე“ გადასახადის ოდენობას მიწისმფლობელი, ადგი-ლობრივი ფეოდალი აწესებდა.

როგორც სალთხუცეს ქაიხოსროსა და კობიაშვილების სა-სამართლო განჩჩინებიდან ირკვევა, კობიაშვილებს თურმე მარი-ლისში ქაიხოსრო სალთხუცის მიერ დაყენებული მეღორეები-სათვის ღორის „საბალახე“ გადასახადი გამოურთმევიათ, რად-გან იმ მამულებს კობიაშვილები პანკისელთა კუთვნილებად მი-იჩინევდნენ. ამის გამო დაზარალებულმა ქაიხოსრო სალთხუ-ცესმა მეფესთან იჩივლა. ერეკლე მეორემ კახეთის მდივან-მო-სამართლებს მომჩივანი მხარეების მამულთა საზღვრების დად-გენა დაავალა. სამართალდამცველები ქაიხოსრო სალთხუცის თანხლებით ჯერ მატანში ასულან, იქიდან კი მარილისის მა-მულები დაუვლიათ. ომან და ტეტია კობიაშვილებიც თან ხლე-ბიათ.

თავდაპირველად სალთხუცესების ნაციხედარბაზალი უნახავთ, რომელსაც აღმოსავლეთიდან მდინარე კურტანაძეული ჩამოუდის. მიუხედავად იმისა, რომ იქ უკვე აღარავინ ცხოვრობდა, სასახლე და ციხე-დარბაზი ჯერ კიდევ კარგ მდგომარეობაში ყოფილა. იქვე მდგარა ქვიტკირის მარანი და საჯინიბო. მსაჯულები მდინარე კურტანაძეულის ვიწრო ხეობას აჰყოლიან. მარილისის მამულები არზაში დაწვრილებით არის აღწერილი: „აქედამ შეჰყვება ვიწრო ხეობა, აღმოსავლეთის მხრიდამ ჰყვება სიგრძეზედ პანკისის მხარეს მაღალი მთა, აგრევე დასასავლეთის მხრიდამ ასდევს მატნის ციხიდამ მოკიდებული მაღლამდის, რომ ამ მთებს მაღლა თავი ერთად აქვს შეკრული. ამის სამუალ მარილისის მიწა-წყალი ძეს, რომელსაცა აქვს ჩრდილო ამ მთებს კალთები მარილისში შიგ ჩამოტანილი. ამ ქვემო სასახლეს ზემო ერთის საათის სავლელი არის. იქ ერთი მომაღლო გორა არის. ამ გორაზედ ციხე ავლია, ერთი კარგად ნაგები საყდარი დგას ნახატი ციხეში და ამ ციხის გარშემო სოფელსა და ამ ციხეს ქაჩალაური სოფელი ქვიან“ [97. 287].

აქვე კობიაშვილებს განუცხადებიათ, რომ მარილისის მიწა-წყალი კახეთის მეფეებს ნახევარი ლაშარის ჯვრისთვის შეუწირავთ და ნახევარიც გრიგოლ ჩოლოყაშვილისთვის უბოძებიათო. რადგანაც ეს ხეობა გაუკაცრიელებული იყო, სახლთხუცების თაოსნობით, ვინც დასახლდებოდა ქაჩალაურში, გადასახადებისგან ხუთი წლით თავისუფლდებოდა.

ხეობაში ასულ სამართალდამცველებს მარილისის მამულების ძველი განანილების მახსოვერნიც მოუძებნიათ. იობ მღვდლის ძმას, ნაცვალ იესე ჯუგაშვილს, მათთვის ასეთი ჩვენება მიუცია: პაპამისს ჯუგა ჯუგაშვილს, ბათურ ბათურიშვილსა და აზნაურ ონანა სუმბიაშვილს წმინდანთა ხატებითა და დროშებით მარილისის მამულები შემოუვლიათ და დაუფიცავთ, რომ ეს ადგილები ნამდვილად მარილისის კუთვნილება არისო. თავდაპირველად ისინი სატრედო გორაზე ასულან, იქიდან ქედაქედ კუნახტისა და დედისფერულის თავზე გაუვლიათ, შემდეგ გაბმულს გადასულან, გაბმულიდან მთაწმინდასა და საჭვრეთელზე ჩამოუვლიათ და ილის ქედის წყაროზე მოსულან. ამ საზღვრებში, მთებს შორის, მოქცეულია ნასოფლარი ქაჩალაურიც. სამივეს განუცხადებია, რომ მამული, რომელზედაც დაიფიცეს, ნახევარი მეფისა იყო, ნახევარი ჩოლოყაშვილებისა.

მარილისის „საბალახე“ გადასახადის ნახევარიც, მათი მტკიცებით ოდითგანვე მეფეს ეკუთვნოდა.

სანდაზმულმა გლეხმა პეტრე გარშაულაშვილმა მსაჯულებს მეტად საყურადღებო სიტყვა მოახსენა: „მე პანკისის შენობას მოვსწრებივარ, ალაზანს გაღმა და გამოღმა შენობა იყოო“. ამრიგად, რადგან პეტრე თავის სიყმანვილეს იხსენებს, გამოდის, რომ XVIII საუკუნის 20–30-იან წლებში პანკისის ხეობა „გაშენებული“ ანუ დასახლებული ყოფილა. პეტრე იმასაც მოსწრებია, როდესაც ჩოლოყაშვილები: ოთარ, ქაიხოსრო, გუნა, შარმაზან და ფილიპე ხარჭაშნელი მარილისის სასახლეში ცხოვრობდნენ. პეტრე გარშაულაშვილის მტკიცებით, „საბალახე“ გადასახადს ქაჩალაურსა და ხევისჭალაში ჩოლოყაშვილები იღებდნენ. პანკისიდან მოდავე კი მათ არავინ ჰყოლიათ.

მარილისში მამულების საქმის გარჩევას ჯიმითის მოურავი ზალი და ალამდარბაში ქაიხოსრო ესწრებოდნენ. სიმართლის დასადგენად ორივენი მამა იობ ჯუგაშვილთან გაუგზავნიათ, რადგან მღვდელს სიბერის გამო მსაჯულებთან მისვლა აღარ შეეძლო. დაკითხვას თურმე ზაქარია მღვდელიც ესწრებოდა. მამა იობს უთქვამს: აღნიშნული ტერიტორიები რომ მარილისის კუთვნილებაა, ჯუგაშვილმა, სუმბიაშვილმა, ბათურიშვილმა და ასათიშვილმა დაიფიცაო. მამა იობმა სხვა ძველი ამბებიც გაიხსენა.

ერთხელ ფილიპე ხარჭაშნელს შეუტყვია, რომ მარილისში, მათ კუთვნილ ადგილში, პანკისელთა ღორები შესულან. მას ჯერ თავისი ძმები მოუყვანია, შემდეგ სოფლელებიც შეუყრია და გაერთიანებული ძალით პანკისში სუხიაშვილებსა და მაღრიბაშვილებს მისცვივნიან, საღორეში მათი ღორები დაუხოცავთ და ურმებით მარილისში გამოუგზავნიათ, თვითონ კი სადილად ყოდალაშვილებს სწვევიან. ამის გამო კობიაშვილებს პრეტენზია არ გამოუთქვამთ.

ერთხელაც მუხრანბატონსა და არაგვის ერისთავს ჩოლოყაშვილებისთვის მარილისის მამულში ღორის დაყენების ნებართვა უთხოვიათ. სამაგიეროდ საიჯარე საფასურის, „საბალახეს“, დროულად გადახდას ჰპირდებოდნენ. ბატონს საქმის მოგვარება იობ ჯუგაშვილისათვის დაუვალებია; იობსაც ბატონის დავალება გულდასმით შეუსრულებია და მოიჯარებისთვის „საბალახე“ გადასახადიც მას გამოურთმევია. ამის გამო მამა იობი მსა-

ჯულებს უთვლიდა: „ღმერთის წინაშე უძლურებით და მოხუცე-ბულობით წარმავალი ვარ და ამას ჭეშმარიტებით მოგახსენებთ. თუ პანკელთ იყო ეს მთა, მაშინ რატომ არ იდავეს ან საბალახე რად ამაღებინეს; დღევანდლამდის მოდავე არავინ გამიგონია და საბალახეც ჩვენ აგვიღია“ [97. 291].

მეფის მიერ მარილისში გაგზავნილმა სამართალდამცვე-ლებმა ბახტრიონსაც მიაშურეს და პანკისის ძველი ამბების „მახსოვარნი და მოწამენი“ მოიკითხეს. მათ შორის პანკისში დაბადებული მგელა მაზიტაშვილი უნახავთ, რომელსაც ასეთი ჩვენება მიუცია: – რომელ მამულებზეც მარილელებმა დაიფი-ცეს, იმის აქეთ ჩოლოყაანთ არაფერი ესაქმებათ, და იქით კი პანკისელებსო. ამ გარემოებას არც კობიაშვილები უარყოფდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ბახტრიონში პანკისიდან ჩასახლებუ-ლებიც ცხოვრობდნენ, იქ მსაჯულებმა პანკისისა და მარილისის მამულთა მიჯნების „მცოდნე და მახსოვარი“ მგელა მაზიტაშ-ვილს გარდა ვეღარავინ მონახეს [97. 291].

მეფის წარგზავნილები სადაც მამულების თაობაზე ძველი გუჯარების სანახავად ნიკოლოზ ალავერდელსაც ხლებიან. აღ-მოჩენილი გუჯარიც პანკელთა და მარილელთა მამულების მიჯნად იმავე ტერიტორიებს ასახელებს, რომელზეც მარილე-ლებმა დაიფიცეს: „ეს გუჯარი ლევან მეფის შვილს ალექსანდრეს გაუახლებია და კვალად იმანყულიხანსაც ალექსანდრესაგან ნაწერი დაძველებული გუჯარი ხელმეორედ გაუახლებია, რომ ეს გუჯარი ამ მიჯნებს აცხადებს: მარილისის სასახლე, ზემოთ საზაფხულედ წმიდის მარინის კარი, ქვემოთ ილის ქედის ეპ-ლესია ომანის წყარომდის, ქვემოთ ფშამდის ზვარი, მარანი, მო-ედანი, საყარაულო ქვანი და სათევზე, ზემოთ მთა თუმთ ნა-სადგომრამდის“ [97. 292].

საქმის ყოველმხრივი შესწავლის შემდეგ მოსამართლეებმა დაადგინეს, რომ კობიაშვილების მიერ ნასოფლარ ქაჩალაურის გარშემო „პანკისის მამულობის მიზეზად“ მელორეებისთვის „სა-ბალახედ“ ანუ გასამრჯელოდ გამორთმეული ღორები ქაიხოსრო სახლთხუცისთვის მიეცათ. სასამართლო განჩინებას ბეჭდითა და ხელმოწერით ამტკიცებდა მეფე ქართლისა, კახეთისა და სხვათა ერეკლე II და სრულიად საქართველოს დედოფალთ-დე-ფოფალი, დადიანის ასული დარეჯანი.

სახლთხუცეს ქაიხოსროსა და კობიაშვილების მამულის საქმეზე სასამართლო განჩინების ტექსტი მრავალმხრივ არის საყურადღებო:

დოკუმენტში მითითებულია, რომ მარილელთა და პანკელთა შორის საზღვარი მდინარე კურტანაძეულისა და პანკისის ხეობის წყალგამყოფ ქედზე გადიოდა. XIX საუკუნის მეორე ნახევარში უკანა ფშავიდან და ზემო თიანეთის სოფლებიდან გადმო-სახლებულმა ფშავლებმა მარილისისა და ქაჩალაურის ტერი-ტორიაზე სოფელი ხევისჭალა დააარსეს. როგორც ჩანს, პანკისი XVIII საუკუნის მეორე ნახევარში უკვე თითქმის დაცარიელე-ბული იყო. ბახტრიონში პანკისიდან ჩამოსახლებული ოჯახებიც დასტურდება, თუმცა მათ შორის პანკისში ცხოვრების მომსწრე, როგორც ვნახეთ, მხოლოდ ერთი მოხუცილა მოიძებნა.

ტექსტიდან ირკვევა, რომ ხეობაში სრულყოფილი სამე-ურნეო ცხოვრების ტრადიცია ისპობოდა. პანკისელმა კობი-აშვილებმა თავიანთი მამულების ზუსტი საზღვრების დადგენაც კი ვერ შეძლეს.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში მიწათმფლობელთა შორის პანკისის მამულების თაობაზე დავა გახშირდა.

ამ საყოველთაო არეულობის ეპოქაში მეურნეობის დარგე-ბიდან პანკისის ხეობაში ყველაზე მეტად მეღორეობა განვი-თარდა.

პანკისში მეღორეობის გასავითარებლად შესანიშნავი ბუ-ნებრივი პირობები არსებობდა. ტყეები მდიდარი იყო კაკლით, ვაშლით, რკოთი, წიფლითა და პანტით. ამიტომაც იქ ღორი გამოსაკვებად აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხე-ებიდანაც მოჰყავდათ.

1797 წელს ხაშმელ, პატარძეულელ და ნინოწმინდელ გლე-ხებს პანკისის მთებში ღორი აერეკათ. მეფის მოხელე, პანკისელი აზნაური ლუარსაბ კობიაშვილი მეღორეებთან მისულა და, როგორც წესი, „საბალახე“ გადასახადი მოუთხოვია. გლეხებს გადასახადი არ მიუციათ. უფრო მეტიც, ჩხუბი აუტეხიათ და ლუარსაბ კობიაშვილი სასიკვდილოდ გაუმეტებიათ: ერთ-ერთ მეღორეს მისთვის თოფიც უსვრია, მაგრამ საბედნიეროდ და-უცდენია.

დამნაშავე მეღორეები შეიპყრეს და სამართალში მისცეს.

დანაშაულში ეჭვმიტანილმა ნინია შინჯიკაშვილმა, რომელ-საც თოფის გასროლა ბრალდებოდა, განაცხადა: – მართალია, ლუარსაბ კობიაშვილს თოფი დავუმიზნე, მაგრამ არ მისრო-ლიაო. ხოლო ნარიმანიშვილის მელორემ თოფი ესროლა და დააცდინაო.

ჩხუბში ექვსი ყოფილან: ნარიმანიშვილის მელორე, ნინია ხეჭრელაშვილი, თევდორე ყვარელაშვილი, ნაცვლის მელორე, იმერელი გოგიტელა, ბლუ გოგიას შვილი – ზაქარია და ნინია შინჯიკაშვილი.

ამრიგად, დამტკიცდა, რომ მელორეებმა მეფის პანკისელ მოხელეს „საბალახე“ გადასახადი არ მისცეს, ჩხუბი აუტეხეს და თოფიც ესროლეს.

დამნაშავე მელორეებს სასჯელი ვახტანგ მეფის სამართლის წესების მიხედვით შეუფარდეს.

ლუარსაბ კობიაშვილი საშუალო აზნაურიც იყო და მეფის მოხელეც. საშუალო აზნაურის სისხლი ოთხმოცდათექვსმეტ თუმნად ფასობდა. რადგან მკვლელობის მცდელობისათვის ბო-როტმოქმედს სისხლის ნახევარი ეკისრებოდა, თოფის მსროლელ მელორეს და ჩხუბში მონანილე მის ხუთ ამხანაგს ლუარსა-ბისთვის ორმოცდარვა თუმანი უნდა გადაეხადათ, ოღონდ თო-ფის მსროლელი სხვებზე მეტად დაჯარიმდა.

პანკისის მთებში იმ დროს სხვა მელორეებიც ყოფილან, მაგრამ ჩხუბს არ შესწრებიან.

რადგან დანაშაული მეფის კუთვნილ ტერიტორიაზე მოხდა, მელორეებს კიდევ უფრო დიდი ჯარიმა დაედებოდათ, მაგრამ მოსამართლეებმა საქმე აღარ გაართულეს. სამაგიეროდ მე-ფისთვის მისართმევი „სამთო საბალახე“ გადასახადი დამნა-შავებს ერთიორად გაუზარდეს [98. 43–44].

პანკისის ხეობაში მეურნეობის დარგები მოიშალა და გა-პარტახდა. ყმა გლეხების გარეშე დარჩენილი კობიაშვილებისა და ყოდალაშვილების მამული აღარ იხვნებოდა. ბოლოს ისინიც აიყარნენ და ოდესლაც თავმომწონე მიწათმთლობელები თავს მეფის ნაწყალობევითდა ირჩენდნენ. უპატრონოდ დარჩენილ მათ სახლ-კარს კი ლეკების გარდა ახლომახლო სოფლების მცხოვრებლებიც ანადგურებდნენ.

1794 წელს მატნელები და ახმეტელები მღვდელ მათე ყო-დალაშვილის გაპარტახებულ მამულში შეჭრილან და ქვევრები ამოუთხრიათ.

ბახტრიონელებს დაუშლიათ, მეზობელი სოფლელებისთვის უკადრისი საქციელიც დაუგმიათ და უთქვამთ:

– ნუ მიგაქვთ, მაგას ჰატრონი ჰყავსო.

ახმეტელებმა და მატნელებმა ბახტრიონელთა საყვედურს ყური არ ათხოვეს და ქვევრები მაინც წაიღეს.

მამა მათე ყოდალაშვილი თავისი არზით ერეკლე II-ს ემუდა-რებოდა: „— ამას გევედრებით, ერთი იასაული მიბოძოთ; თუ სიტყვა აქვსთ, თქვენ მოგახსენოთ. თუ არა, ჩემი მებოძოს“ [99. 315].

ერეკლე მეორემ საქმის მოგვარება იასაულ რევაზ ყარალაშვილს დაავალა, უბრძანა, მატნელებისა და ახმეტელების მიერ წალებული ქვევრები კვლავ ყოდალაშვილისთვის დაებრუნებინა.

ყოდალაშვილების პრეტენზიებს ახმეტელები არაფრად აგდებდნენ, ისინი უკვე აღარავის ერიდებოდნენ, მიტოვებულ მამულებში იჭრებოდნენ, მშვიდობიანობის დროს ხნავდნენ და ნოყიერ, დასვენებულ მიწაზე უხვი მოსავალიც მოჰყავდათ. საიჯარე საფასურის გადახდას კი არც ფიქრობდნენ.

ახმეტელთა საქციელით აღშფოთებული კუნახტელი აზნაური რევაზ ყოდალაშვილი 1797 წლის გაზაფხულზე გიორგი ბატონიშვილს წერდა: „ამას მოვახსენებთ თქვენს უმაღლესობას. ობლის მოწყალე ბრძანდებით, ერთი ობლი თქვენის წყალობით გავიზარდე. ყოველი კაცი თავისი მამულით რჩება. ჩემი მამული ბანკისს გახლავთ, კუნახატს; რაც რომ სახნავ-სათესი მაქვს, ის მამულები ახმეტელებს უხნავსთ“.

ახლა ამას გევედრები, ღმერთი გადლეგრძელებსთ, ვინც ამას იქით ჩემი მამული მოხნას, ღალა მომცეს, რომ მეც იმითი ვიცხოვრო. ერთი ობლი კაცი გახლავარ. ერთის ოქმის წყალობას გევედრები ტუსისშვილს ზაალზედ რომ მებოძოს: ვინც ჩემი მამული მოხნას, ღალა იმან გამიმართოს და მამცეს, რომ არავინ გამალაპარაკოს. შარშანს წინაც დაეხნათ, არა მამცეს რა. ღმერთი გაგიმარჯვებს, კაის ბეჯითის ოქმის წყალობას გევედრები, რომ უბრალოთ არავინ გამაცოდვილოს“ [99. 410].

არზა ყურადღებას იპყრობს მისი ავტორის კატეგორიული, მაგრამ თავმდაბალი და მოკრძალებული ტონით. ჩანს, რომ

რევაზ ყოდალაშვილი უაღრესად მორწმუნე და პატიოსანი აზ-ნაური ყოფილა.

გიორგი ბატონიშვილმა ზაალ ტუსისშვილს უბრძანა, თუ ვინმე რევაზ ყოდალაშვილის მამულებს მოხნავდა, მისთვის ღა-ლა გამოერთმია და საიჯარე საფასური კუნახტელი აზნაურის-თვის უკლებლივ ჩაებარებინა.

როგორც ირკვევა, სამეფო კარი პანკისელთა საჩივარს უყუ-რადღებოდ არ ტოვებდა. მაგრამ მათი ცდა, სრული გაპარ-ტახებისაგან გადაერჩინათ პანკისი, უშედეგო იყო.

პანკისში მიწები თანდათან დაყამირდა, ატყევდა და გა-უდაბურდა.

XIX საუკუნიდან პანკისის ძირძველი მოსახლეობა დოკუმენ-ტებში აღარ ხსენდება. იქ მაცხოვრებელი ხალხი ისტორიიდან გაქრა.

სამიათასწლოვანი უწყვეტი ისტორიული ცხოვრების მან-ძილზე, გვიან ბრინჯაოს ხნიდან XIX საუკუნემდე, პანკისის ხელბა თავისი ტრადიციებით, წეს-ჩვეულებებითა და ადათებით ჩამო-ყალიბდა როგორც თვითმყოფადი ისტორიულ-ეთნოგრაფიული რეგიონი. ხეობის მოსახლეობის მეტყველება დაფუძნებული უნ-და ყოფილიყო კახური დიალექტის პანკისურ კილოზე, რასაც ადასტურებს შუა საუკუნეებში პანკისელთა ხელით დაწერილი, ჩვენს დრომდე მოღწეული ზოგიერთი დოკუმენტი. პანკისის ხეობის მცხოვრებლები ქვეყნის ისტორიულ პროცესებში დიდ როლს ასრულებდნენ, რაზეც თვალნათლივ მეტყველებს ამ კუთხის მატერიალური კულტურის ძეგლთა განსაკუთრებული სიუხვე. სამწუხაროდ, ხეობის მოსახლეობის ზეპირსიტყვიერე-ბამ ჩვენამდე ვერ მოაღწია, რადგან მაშინ ჯერ კიდევ არ იყო ზეპირი ტექსტების ჩანერის ტრადიცია. ამ ხალხის სულიერ კულტურაზე ჩვენ შეგვიძლია ვისაუბროთ, აგრეთვე, მათ მიერ შექმნილი ტოპონიმებითა და დღემდე მოღწეული ქრისტიანულ ეკლესიათა ნაშთებით.

### მიზრაცხვები პანკისის ხეობაში

#### ქართველი მთიელები პანკისის ხეობაში

XIX საუკუნეს პანკისი სრულიად დაცლილი და გაპარტა-  
ხებული შეხვდა.

პანკისის ხეობის დემოგრაფიულ სიტუაციაზე განსაკუთ-  
რებით დიდი გავლენა მოახდინა კავკასიაში XIX საუკუნის  
პირველ ნახევარში განვითარებულმა სოციალ-პოლიტიკურმა და  
ეკონომიკურმა პროცესებმა.

პანკისის ხეობის მაშინდელი დემოგრაფიული ვითარების  
შესახებ თვალსაჩინო სურათს წარმოგვიდგენს რუსეთის ხელი-  
სუფლების მიერ ჩატარებული მოსახლეობის აღწერის ოქმები.

1801–1802 წლების „კახეთის ხალხის აღწერაში“ პანკისის ხეობის არც ერთი სოფელი არ არის დასახელებული. აღსანიშ-  
ნავია, რომ აღმნერლები კნორინგისაგან საგანგებოდ იყვნენ  
გაფრთხილებულნი, რომ არაფერი გამორჩენდათ: „უაღრესად  
ეცადეთ თითოეულ სოფელში მოსახლე კომლთა ანუ ოჯახთა  
რიცხვი მაინც შეიტყოთ: ცალკე ქართველთა, ცალკე სომეხთა,  
ცალკე თათართა, ცალკე ოსთა, ცალკე ებრაელთა და სხვა  
ეროვნებათა. უკეთუ სადმე საგნების ამოცნობაში რაიმე დაბრ-  
კოლება შეგხვდებათ, შეგიძლიათ ამისათვის მიმართოთ გარეშე  
პირთ“ [15. 120]. ამდენად, შეუძლებელია აღმნერლებს კომლთა  
რაოდენობა ან მთლიანი სოფლის მოსახლეობა გამორჩენდათ.  
პანკისის ხეობაში რომ ვინმეს ეცხოვრა, მას აუცილებლად შე-  
იტანდნენ აღწერის დავთარში. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ  
1801–1802 წლების „კახეთის ხალხის აღწერის“ დოკუმენტებმა  
ჩვენამდე მხოლოდ ფრაგმენტების სახით მოაღწიეს.

1801–1802 წნ. მოსახლეობის აღწერის დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ პანკისის ხეობის მეზობელი სოფლები დასახლებული ყოფილა. მატანში 67 კომლს უცხოვრია, ბახტრიონში – 55-ს, ხოლო სოფელ ხორბალოში სულ 3 კომლია აღწერილი: ერთი – სამეფო აზნაური და ორიც ნაყიდი საბატონო გლეხი [15. 124]. მოსახლეობა ჩანს პანკისის ხეობის მეზობელ ფიჩხვანში, არგოხსა და მაღლარანშიც.

XIX საუკუნის დამდეგს პანკისის ხეობაში მუდმივი მოსახლეობა არ არსებობდა. მოსახლეობისგან ხეობის დაცლამ, როგორც წესი, განაპირობა განვითარებული სამეურნეო დარგების მოშლა. მაგრამ ამ კუთხის ხელსაყრელი ბუნებრივ-ეკონომიკური პირობები თავისი კენ იზიდავდა საქართველოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრებლებს: თუშ მეცხვარეებს, კახელ მელორეებსა და ფშაველ მესაქონლეებს. როგორც ბ. გამყრელიძე აღნიშნავს, „პანკისის ხეობის ნაყოფიერ ადგილებზე ხელი არ ჰქონდათ აღებული ბახტრიონში გადასულ ამ კუთხის ყოფილ მკვიდრ მოსახლეობასაც“ [18. 42].

ბახტრიონში მცხოვრებ 55 კომლთაგან უმრავლესობა – სუხიაშვილი, მალრიბაშვილი, შოთიაშვილი, მაზიტაშვილი და სხვა გვარები, იქ პანკისიდან იყო გადასული. მათ წინაპრები XVIII საუკუნის 30-იანი წლების ბოლოსა თუ 40-იანი წლების დამდეგს, ე.წ. „შიშიანობის დროს“, თეიმურაზ მეფის საგანგებო განკარგულებით თუშეთის მოურავმა ზურაბ ჩოლოყაშვილმა ბახტრიონში ჩაასახლა [83. 5-15].

XIX საუკუნის დამდეგს ბახტრიონელებსა და თუშებს შორის სერიოზული დავა ატეხილა. 1805 წლის ივნისში 300 თუში მამაკაცი კავკასიონის მთებიდან ჩამოსულა. ისინი სოფელ ბახტრიონში შეჭრილან. ადგილობრივი მოსახლეობა დაურბევიათ. მათი საცხოვრებელი სახლები დაუნგრევიათ და ამის შემდეგ ისევ თუშეთში გადასულან [27. 350].

1806 წლის ნოემბერს ლიტვინოვი მთავარმართებელ გრ. გუდოვიჩს წერილობით მოახსენებდა იმ მიზეზებზე, რამაც ეს კონფლიქტი წარმოშვა. კერძოდ, თუშები ბახტრიონელებს მათი მიწების მითვისებაში ადანაშაულებდნენ [27. 350]. როგორც ჩანს, პანკისის მოსახლეობა ბახტრიონში დროებით ჩაუსახლებიათ და ისიც თუშების საზოგადოების ნებართვით [83. 5-15]. ეს გარემოება ბ. გამყრელიძეს აფიქრებინებს, რომ თუშები მანამდე

ბახტრიონის ტერიტორიაზეც ავრცელებდნენ თავიანთ უფლებებს [18. 35]. სადავო საკითხების განხილვა თელავის სამაზრო სასამართლოში 1806 წელს დაწყებულა და ალვნის მინდვრის იმ ნაწილს ეხებოდა, რომელსაც ბახტრიონელები სახნავად იყენებდნენ, ხოლო თუშები თავიანთ საკუთრებად აცხადებდნენ. დავა XIX საუკუნის 20-30-იან წლებშიც გრძელდებოდა. არსებობს 1829 წელს შედგენილი საბუთი, რომელიც თუშებსა და ბახტრიონელებს შორის ალვნის მინებზე ატეხილ სადავო საკითხებს განიხილავს. მასში კვლავ მითითებულია, რომ ბახტრიონელები წინათ პანკისის ხეობაში მოსახლეობდნენ [83. 5-15].

მთავრობის წარმომადგენლები ფიქრობდნენ, რომ პანკისის ხეობა თავისი ბუნებრივი პირობებით დააკმაყოფილებდა ახალმოსახლეთა ყველა მოთხოვნილებებს. ამიტომ თუშებთან გამწვავებული ურთიერთობის გამო, 1834 წელს საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორთან ბახტრიონელებს პანკისში დაბრუნების საკითხი განუხილიათ [83. 176]. თუმცა ამას შედეგი არ მოჰყოლია, რადგან ხეობაში ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსული ყაჩაღური რაზმები კვლავაც დათარებობდნენ. 1845 წელს, მაშინ, როდესაც პანკისის ხეობა ჯერ კიდევ დაუსახლებელი იყო, აზნაური კობიაშვილები თავიანთი კუთვნილი 6 გლეხით ბახტრიონში განაგრძობდნენ ცხოვრებას [83. 201]. მათი პანკისში დაბრუნების შემთხვევაში, მცირერიცხოვანი მოსახლეობისთვის სპეციალური დამცავი რაზმის გამოყოფა გახდებოდა საჭირო, რაც იმ დროისათვის ვერ მოხერხდა.

თუ 1802 წელს ბახტრიონში 55 ოჯახი ცხოვრობდა, 1843 წლის კამერალური აღწერის მასალების მიხედვით იქ კომლთა რაოდენობა 22-მდე შემცირდა. ბახტრიონის მცხოვრებლებად კვლავაც სახელდებიან პანკისიდან გადმოსული ცნობილი გვარები: სუხიაშვილი, მაღრიბაშვილი, იარაჯული, მაზიტაშვილი, შოთაიაშვილი და სხვ. ისინი დადგენილ გადასახადს უხდიდნენ სახელმწიფოს. „აღწერაში“ ნაჩვენებია მათი ქონება და ყოველწლიური შემოსავალი [84. 11]. ბახტრიონში ცხოვრობდნენ ოდესლაც პანკისიდან გადმოსული აზნაური კობიაშვილებიც, რომლებიც დიდი ხანია პრეტენზიას აცხადებდნენ პანკისის მიწებზე.

1843 წელს კამერალური აღწერის მასალებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ ბახტრიონში მოსახლეობა დიდ ოჯახებად ცხოვრობდა. მაგალითად, მამუკა სუხიაშვილის ოჯახში ერთიან-

დებოდა ექვსი ძმა თავიანთი შვილებითა და შვილიშვილებით. მათ ჰქონდათ 40 დღიური სახნავი ნაკვეთი, საიდანაც მოსდიოდათ 300 კოდი ხორბალი, 60 კოდი ქერი, 40 კოდი სიმინდი და 40 კოდი ღომი. გარდა ამისა, ოჯახის ქონებას შეადგენდა 2400 ძირი ვენახი, საიდანაც წურავდნენ 60 საპალნე ღვინოს. ჰყავდათ 40 ცხენი, 60 სული მსხვილფეხა საქონელი და 800 სული ცხვარი [84. 11].

ისტორიული დოკუმენტების ყოველმხრივი შესწავლის შემდეგ ბ. გამყრელიძე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ „დიდ ოჯახებად ცხოვრების წესი და საკმაოდ განვითარებული მრავალდარგოვანი მეურნეობა ბახტრიონელებს პანკისის ხეობიდან ტრადიციით გადმოჰყავთ“ [18. 37].

კახეთის ბარის თუშ-ფშავ-ხევსურეთთან დამაკავშირებელი ერთ-ერთი უმთავრესი გზა პანკისის ხეობაზე გადიოდა. ქართველი მთიელები კარგად იცნობდნენ პანკისის ხეობის ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოს, რომელიც სამეურნეო ცხოვრებისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა. ამიტომაც ისინი მუდამ ეძებდნენ გზებს პანკისის ხეობაზე თავიანთი ეკონომიკური გავლენის დასამყარებლად. მთიელთა აქტიური მონაწილეობა 1660 წლის ბახტრიონის აჯანყებაში ამითაც იყო ნაკარნახევი. არსებული ვითარების გათვალისწინებით კახეთის მეფეებმა თუშებს ცხვრის საზამთრო-საზაფხულო საძოვრებზე გადასარეკად და დასასავენებლად პანკისის ხეობა სამუდამო მფლობელობაში დაუმტკიცეს [122. ფ. Hd. საბუთი №10063 „გ“]. პანკისის ხეობასთან მჭიდრო ეკონომიკური კავშირი ჰქონდათ ფშაველებსაც. ფშაველები პანკისის ხეობის ზემო წელზე, ხადორსა და სხვა სოფლებში უძველესი დროიდან მთაბარობდნენ: ზამთრობით ცხვარ-ძროხას აქ აბინავებდნენ, ზაფხულობით კი უკან, თავიანთ მთებში, ბრუნდებოდნენ. ქართველი მთიელები, კერძოდ, თუშები, ხევსურები და ფშავლები, ჯერ კიდევ შუა საუკუნეებიდან სახლდებოდნენ პანკისის ხეობის სოფლებში, რაზეც ნარმოდგენას გვიქმნის XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის მოსახლეობის აღნერის დავთარი [124. 67-70]. აღნიშნულ საბუთში იმგვარი ზედნოდებებითა და ეპითეტებით არის ნახსენები პანკისში მოსახლე ზოგიერთი პირი, რომ მათ მთიელობაზე ეჭვს ვერ შევიტანთ. ჩემი აზრით, ისინი ძირითადად მესის-ხლეობისა და სხვა ყოფითი, სოციალური პროცესების გამო უნდა

ყოფილიყვნენ გადმოსახლებულნი ხეობაში. ამ შემთხვევაში საქ-  
მე გვქონდა „გაუონვითი მიგრაციის“ ცალკეულ შემთხვევებთან.

პანკისის ხეობის მოსახლეობისგან დაცლის შემდეგ, გან-  
საკუთრებით XVIII საუკუნის ბოლოდან, თუშებსა და ფშავლებს  
შორის დაიწყო ცხარე დავა პანკისის ხეობის ბარაქიანი მთიანი  
საძოვრების – ტბათანის, მიწისხიდის, მასარისა და ქოჩადლის –  
ხელში ჩასაგდებად. როგორც ფშავლები, ასევე თუშები ირ-  
წმუნებოდნენ, რომ ტბათანა, მიწისხიდი, მასარა და ქოჩადალა  
მათი საკუთრება იყო და იმ ადგილების მფლობელობის უფლება  
ქართველი მეფებისგან ჰქონდათ დამტკიცებული. დავამ იმდე-  
ნად სერიოზული ხასიათი მიიღო, რომ საქმეში გიორგი XII  
ჩაერია. ცენტრალური ხელისუფლება ცდილობდა მტერთაგან  
გაუკაცრიელებული პანკისის ხეობის ალდგენას. გიორგი XII-მ  
1798 წლის 22 დეკემბრის განკარგულებით წოვათის საზოგა-  
დოების თუშებს ტბათანაში დასახლების ნებართვა მისცა [27.  
351–352]. ხოლო 1800 წლის 31 ივნისს ბატონიშვილ ბაგრატის  
დაავალა, რომ თუშებსა და ფშავლებს შორის წამოჭრილი სადაც  
საკითხები მათი წარმომადგენლების თანდასწრებით განეხილა.  
ბატონიშვილს მეფისგან უშუალო მითითებაც ჰქონდა მიღებუ-  
ლი. კერძოდ, მეფე ავალებდა ბაგრატის, რომ ტბათანა და პან-  
კისის ხეობა უეჭველად თუშებისთვის გადაეცა [77. 162–163].  
თუმცა დაგეგმილი მოლაპარაკება ვერ შედგა. გიორგი XII-ის  
გარდაცვალებისა და ქართლ-კახეთში მეფობის გაუქმების გამო  
თუშებსა და ფშავლებს შორის კონფლიქტი იმ ხანად მოუგვა-  
რებელი დარჩა.

საბოლოოდ, აღნიშნული მიწების გამო დავა 1819 წლის სექ-  
ტემბერში მედიატორების სასამართლომ განიხილა. სასამარ-  
თლოს გადაწყვეტილებით, „პანკისი და ტბათანა თავისი საზ-  
ღვრებით სამუდამო მფლობელობაში გადაეცა თუშებს, ხოლო  
მიწისხიდი, ქოჩადალა და მასარა – ფშაველებს“ [77. 37-38]. მო-  
სამართლებს ამგვარი განაჩენის გამოტანის აუცილებლობა,  
ვფიქრობთ, ერთმა გარემოებამაც უკარნახა: კერძოდ, 1810 წლის  
ზაფულში თუშეთში, წოვათის საზოგადოების სოფელ საგირთაში  
შემზარავი ტრაგედია დატრიალდა:

ერთ ღამეს მთიდან ისეთი ნიაღვარი მოვარდა, რომ, რო-  
გორც ივანე ბუქურაული აღნიშნავს, – „სახლი კი არა, ქვა აღარ

დაუნარჩუნებია ქვაზე” [16. 44]. მოულოდნელმა ნიაღვარმა სოფ-ლის მოსახლეობის უმრავლესობა იმსხვერპლა.

ამის შემდეგ საგირთელებმა სულ მალე თავი მიაწებეს წოვა-თას. მათ სხვა სოფლების – ეთელთის, ინდურთისა და წაროს – მცხოვრებლებიც მიჰყვნენ. წოვა თუშებმა ზამთრობით ბინა ალვანის ველზე დაიდეს, ხოლო საზაფხულო საცხოვრებლად ტბათანა აირჩიეს.

1840 წელს რუსეთის ხელისუფლებამ გენერალ გოლოვინის ბრძანებით პანკისის ხეობის საძოვარი და ცხვრის გადასარეკი ადგილები თუშებს დაუმტკიცა, ხოლო ტყე სახელმწიფოს საკუთ-რებაში უნდა დარჩენილიყო, რადგან კახელი მელორებისგან აკრეფილი გადასახადებით ის მნიშვნელოვან შემოსავალს იძ-ლეოდა [83. 239–252].

თუშეთი პანკისის ხეობის ჩრდილო-აღმოსავლეთით, კავკა-სიონის მთავარი ქედის გადაღმა, მის ჩრდილოეთ კალთებზე მდებარეობს, ხოლო ფშავი პანკისის ხეობის ჩრდილო-დასავ-ლეთით, კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ კალთაზეა გან-თავსებული.

თუშეთი პანკისის ხეობას ალაზნისთავის გზით უკავშირ-დება. თუშეთიდან ჯვარბოსელ-აღისებორითა და ალაზნის სათა-ვიდან ბილიკი გადმოდის საყორნის უღელტეხილზე და წიფ-ლოვნის ხევით ეშვება ტბათანაში. იქიდან კი ბირკიანში, ჯოუ-ლოსა და ბოლოს ალვანში.

XIX საუკუნის დამდეგიდან მთიელთა შეძლებულმა ნაწილმა, მდიდარმა მეცხვარეებმა კახეთის პარში დაიწყეს გადასახლება. აღსანიშნავია, რომ ფშავში მეცხვარეობას ძირითადად უკანა-ფშავის თემის სოფლები მისდევდნენ. სწორედ უკანაფშავიდან მიგრირებულმა მოსახლეობამ დაიკავა პანკისის ხეობის აუთვი-სებელი მიწები.

## ქისტები პანკისში ჩამოსახლებამდე და მათი მიგრაციის მიზეზები

„ქისტი, ღლიღვნი და ძურძუჯნი პირველ იყვნეს  
ენითა ქართულითა მომზრახნი და ქრისტიანები“:

თეიმურაზ ბატონიშვილი

1846 წელს თავადმა ჯამბაკურ ორბელიანმა ლეკიანობის შესაჩერებლად კახეთის სხვადასხვა სოფელში მცხოვრები თავისი კუთვნილი 100 გლეხის პანკისში დასახლების სურვილი გამოთქვა და წერილობით შესაბამის ინსტანციებსაც მიმართა [74. 5]. მისი აზრით, გლეხების დაუსახლებელ პანკისში ჩასახლება სიმშვიდესა და განსაკუთრებულ სარგებლობას მოუტანდა მთელ კახეთს.

ჯამბაკურ ორბელიანის იდეას თიანეთის მაზრის უფროსმა თავადმა ლ. ჩოლოყაშვილმაც მხარი დაუჭირა. ის არწმუნებდა მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვს, რომ ეს გლეხები ლეკებს ჩაუკეტავდნენ კახეთში შემოსასვლელ ბილიკებს და ამ გზით რეგიონში სიმშვიდე დამყარდებოდა [74. 5]. ჯამბაკურ ორბელიანის წამოწყებას დაუპირისპირდნენ თუშები. მათ საჩივარი გაუგზავნეს ვორონცოვს და უმტკიცებდნენ, რომ პანკისის ხეობა იმთავითვე ჩვენი საკუთრებაა და ორბელიანს მასთან ხელი არ აქვსო [87. 5]. ვორონცოვმა თუშების საჩივარი განსახილველად მეფისნაცვლის კანცელარიას გადასცა. კანცელარიამ ჯამბაკურ ორბელიანის თხოვნა არ დააკმაყოფილა. მეფის რუსეთს პანკისის ხეობაში ქართველების დასახლება არ სურდა.

ქისტები, რომლებიც დაცარიელებულ პანკისს საცხოვრებლად ოფიციალური მონაცემებით 1848 წლიდან მოევლინნენ და სიცოცხლეჩამქვდარ ხეობაში სამეურნეო ცხოვრების აღორძინება ერთ-ერთმა პირველებმა დაიწყეს, ქართველებისთვის უცხონი არასოდეს ყოფილან.

კავკასიის მაღალმთიანეთში ქართველი მთიელების, კერძოდ, ხევსურებისა და თუშების მეზობლად უძველესი დროიდანვე მოსახლეობდნენ ვაინახი ტომები – ჩეჩინები და ინგუშები. თუმცა XVIII საუკუნემდე ეთნონიმები ჩეჩინი და ინგუში ცნობილი არ იყო. ქართველი მთიელები მათ ქისტების სახელწო-

დებით იცნობდნენ, ხოლო მდინარე ასას მიდამოებში, თარგიმის მახლობლად მცხოვრებ ვაინახებს ღილლველებსაც ეძახდნენ. აღსანიშნავია, რომ ქართველი მთიელები თავიანთ მეზობლად მოსახლე ჩეჩენებსა და ინგუშებს დღესაც ქისტებად მოიხსენიებენ. ჩეჩენთა თვითსახელწოდება კი არის ნოხჩუო, ხოლო ინგუშებისა – ღალდა. ისინი კავკასიის უძველეს ავტოქტონურ მოსახლეობას მიეკუთვნებიან.

ძველი ბერძნული, სომხური, ქართული და აღმოსავლური წყაროები მათ სხვადასხვა სახელწოდებით მოიხსენიებს: გარგარები, ქუსტები (ქისტები), ნახჩამატეანქები, ძურძუკები და სხვ. ეთნონიმი „ჩეჩენი“ რუსებმა სოფელ ჩეჩენის გავლენით გაავრცელეს. სოფელ ანგუშტის სახელწოდებიდან მომდინარეობს ეთნონიმი „ინგუშიც“.

ჩეჩენებსა და ინგუშებს, ფაქტობრივად, ერთი სალაპარაკო ენა აქვთ, რომელიც განეკუთვნება იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ნახურ ჯგუფს. ჩეჩენური და ინგუშური მნერლობა, მათი სალიტერატურო ენები XX საუკუნის 20-იანი წლებიდან ჩამოყალიბდა.

ძვ. წ. III საუკუნეში ქართველთა პირველმა მეფემ ფარნავაზმა ძურძუკი ქალი შეირთო ცოლად, ხოლო მისმა ვაჟმა საურმაგმა ძურძუკების დახმარებით შეძლო შინაური აშლილობის ჩახშობა და სამეფო ხელისუფლების განმტკიცება. ამის გამო მადლიერმა მეფემ ისინი „აჰყარა კავკასიოურთ“ და დაასახლა „დიდოეთს და სუანეთს ეგრისამდე“ [92. 58].

ქართველებსა და ვაინახებს შორის პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობები განსაკუთრებით გაძლიერდა IX-XII საუკუნეებში, როდესაც საქართველოს გავლენით იქ ქრისტიანობა ვრცელდებოდა. ინგუშეთისა და ჩეჩენეთის მთიანეთში დღემდე მოაღწია ამ პერიოდის მატერიალური კულტურის ძეგლებმა ჯვრის გამოსახულებებითა და ასომთავრული ქართული წარწერებით, რომლებიც იმდროინდელ ქართველ სასულიერო მოღვაწეებსა და მეფეებზე მოგვითხრობენ. ინგუშეთში ასას ხეობის ქრისტიანული ძეგლები: თხაბაერდი, ალბიერდი, თარგიმი, მაღარერდი და სხვები – თარიღდება IX-XII საუკუნეებით. თხაბაერდს გ. ანჩაბაძე ჩეჩენთ-ინგუშეთის ყველაზე მნიშვნელოვან ქრისტიანულ ძეგლად მოიხსენიებს [128. 205].

კულტურული ურთიერთობების შედეგად ჩეჩენეთ-ინგუშეთში ვრცელდებოდა ქართული ენა და ანბანი. გამოთქმულია მოსაზრება, რომ შუა საუკუნეებში ჩეჩენები და ინგუშები იყენებდნენ ქართულ დამწერლობას. 1944 წლამდე ინგუშებს ჰქონიათ ძევლი ქართული სასულიერო წიგნები და მათი ფრაგმენტები [140. 189].

ვაინახებში ქრისტიანულ რელიგიასთან დაკავშირებული ტერმინები ქართული ენიდან არის შესული ან ქართულია.

ჩეჩენ-ინგუშთა დაქირავებული სამხედრო რაზმები ხშირად მონაზილეობდნენ საქართველოს თავდაცვით ომებში.

XVI საუკუნის ბოლოდან ვაინახებში თანდათან ისლამის გავრცელება დაიწყო, რომელიც XIX საუკუნის შუა წლებისათვის იქ საბოლოოდ გაპატონდა. თუმცა მთიან ჩეჩენეთში, კერძოდ, მაისტის, მითხოსა და ხილდიჭაროს საზოგადოებებში, რომელი თემებიდანაც მოხდა ვაინახთა მიგრაცია პანკისის ხეობაში, მოსახლეობა მაშინ გარეგნულად კი აღიარებდა ისლამს, მაგრამ ამავე დროს, ჯერ კიდევ მისდევდა ქრისტიანულ წეს-ადათებს. მაგალითად, ჩეჩენები ხევსურეთის საზღვრისპირა მითხოსა და მაისტის სოფლებიდან XX საუკუნის პირველ ნახევარში სალოცავად კვლავაც ძველებურად მიდიოდნენ ანატორის ჯვარში. სალოცავში ანთებდნენ სანთელს, სწირავდნენ ცხვარსა და კურატს, მიჰქონდათ სარიტუალო ბაჩაყურები, ერთგვარი ნამცხვრები, ქადის მსგავსი, რომლებსაც ქისტები აცხობდნენ სალოცავში წასაღებად. ჭრიდნენ ქადებსა და ა.შ. ხევსურები, ანატორის ჯვრის ყმები, დღესაც იხსენებენ: „— ქისტების მაღებულ ბაჩაყურაივ ურჩევავ ანატორის ჯვარსავ. ქისტების მაღებულივ ჩვენ საკლავსავ ჯობავ, აისრ მიღებულებ ჰყავავ ქისტებივ ანატორის ჯვარსავ“ [30. №29865]. ქისტებს თავიანთი ხუცესიც ჰყოლიათ, რომელიც ქისტურ ხალხურ საკულტო ტექსტთან შერწყმულ მაჰმადიანურ არაბულ ლოცვასაც აღავლენდა: „— ბისმილაჰი, რაჰმანი, ნაქორინ წა წეიმ ბარა“ [51. 21] – გნებალობდეთ ანატორის ჯვარიო! „ნაქორინ წა“ ქისტურად ანატორის ჯვარს ერქვა.

ა. ზისერმანი თავის წიგნში „ოცდახუთი წელი კავკასიაში“ მოგვითხობს, თუ როგორ ცხოვრობდნენ ქისტები მთიან ჩეჩენეთში პანკისში ჩამოსახლებამდე სულ რაღაც ექვსი წლით ადრე [130. 170].

ა. ზისერმანი მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის ქისტების რელიგიურ ყოფაზეც. ის აღნიშნავს, რომ შამილის მიურიდები ამაოდ ცდილობდნენ მათში ალაპის რწმენის დანერგვას, რადგან მთიელი ჩეჩინები მაჰმადიანობის მიმართ ჯერ კიდევ ლოიალობას ინარჩუნებდნენ.


„ქისტები – წერს ა. ზისერმანი, – მართალია, ქრისტიანებს ურჯულოებს უწოდებენ, მაგრამ თაყვანს სცემენ წმინდა გიორგის. ისინი არ ჭამენ ლორის ხორცს, ჰყავთ რამდენიმე ცოლი. მთიელი ჩეჩინები არ ასრულებენ ნამაზს, არ აქვთ მეჩეთები და არ ჰყავთ მოლები“ [130. 198].

მთიან ჩეჩინეთში საზოგადოებრივი ცხოვრება ფშავ-ხევსურეთის „საყმოებისა“ და თემების მსგავსად იყო მოწყობილი. მთიან ჩეჩინეთში მოგვარეები კომპაქტურ უბნებად ცხოვრობდნენ. გვარები ერთიანდებოდნენ თუხუმებად, თუხუმთა გაერთიანება კი ქმნიდა ტომს. თითოეული საზოგადოება სრულიად დამოუკიდებელი იყო მეორისგან. მაისტში, აულ ფუალში ჩასულ ზისერმანს ჯოყოლა უყვებოდა, თუ როგორ იცავდნენ მაისტელები არც თუ ისე დიდი ხნის წინ შამილის იმამატისგან თავიანთი თემის დამოუკიდებლობას. მათ განდევნეს შამილის მიერ წარგზავნილი ჩეჩენი მიურიდები, რომლებმაც თურმე მათ სოფელს ალყა შემოარტყეს და სურდათ აგრეთვე მათში მუსულმანობის განმტკიცება [130. 199].

მაისტელების პანკისში გადმოსახლებამდე რამდენიმე წლით ადრე მათ სოფლებში – ფუალში, ფახილგოსა და ტუგაში – სტუმრად მყოფი ზისერმანი შეძრა იმ წყვდიად ხეობაში გამეფებულმა სიღატაკემ. ზისერმანის ცნობით, უკიდურესი გაჭირვებისა და სიღატაკის გამო, მამაკაცები ძირითადად ყაჩალობდნენ [130. 198].

ე. გუგუშვილიც 1886 წელს უურნალ „მწყემსში“ დაბეჭდილ წერილში ქისტების კახეთში გადმოსახლების მიზეზად უგზოობასა და მცირემინიანობას ასახელებს: „მიზეზი ამ ქისტების გადმოსახლებისა ის ყოფილა, რომ სოფელი მაისტი მეტად უვარგის ადგილას მდებარეობს. მაგალითი არ არის, რომ პოლიციის მოხელეს გაევლოს იქ, – ცხენით სიარული ყოვლად შეუძლებელია და ქვეით კაცსაც დიდი სიფრთხილე მართებს. ამ სოფელში ხვნა-თესვა არ იციან და არც მოხერხდება“ [20. 5].

# arNosavl eT saqarTvel os, CeCneTisa da daRestnis mRal niTianeTi



მაისტრში სტუმრობიდან დიდი ხნის შემდეგ კავკასიიდან პეტერბურგში დაბრუნებული ზისერმანი თავის მოგონებებში წერდა: „საინტერესოა, ისინი ახლა რას აკეთებენ და როგორ ცხოვრობენ? რადგან მთლიანი კავკასიის დაპყრობისა და იქ ჩვენი ხელისუფლების განმტკიცების შემდეგ ისინი იძულებული გახდებოდნენ არსებობისათვის აუცილებლად სხვა სახსარი მოექცნათ“ [130. 199]. ზისერმანი არ შემცდარა. მისი მაისტრში სტუმრობიდან რამდენიმე წლის შემდეგ ქისტები პანკისის ხეობაში გადასახლდნენ.

მაღალმთიანეთის მწირ, მცირემიწიან ნატურალურ მეურნეობას თემის მხოლოდ გარკვეულ წევრთა რაოდენობის გამოკვება შეეძლო, ჭარბი მოსახლეობა კი საცხოვრებლად, როგორც წესი, მუდამ ბარში მიდიოდა. რუსეთ-კავკასიის ომმა, რომელმაც მაისტელები და სხვა მთიელი ჩეჩენები კიდევ უფრო გაუსაძლის და საგანგაშო მდგომარეობაში ჩაყარა, დააჩქარა და გარდაუვალი გახადა მათი მამაპაპეული ადგილებიდან აყრა და კახეთში გადასახლება.

ლ. მარგოშვილი ქისტების პანკისის ხეობაში გადმოსახლების ერთ-ერთ მიზეზად, შამილის მიერ ჩეჩენეთის მაღალმთიანეთში ისლამის გასავრცელებლად გატარებულ მკაცრ ღონისძიებებს ასახელებს. მისი ცნობით, მთიან აულ შაროის მცხოვრებლები, რომლებსაც ისლამის მიღება არ სურდათ, შამილის ბრძანებით, კოშკში ჩაკეტეს და დაწვეს [131. 31]. მთიან ჩეჩენეთში გახშირებული ასეთი ვანდალური შემთხვევები ადგილობრივ მცხოვრებლებს სხვა უფრო მშვიდობიანი გარემოს საძეპნელად უბიძებდათ.

ვაინახთა საზოგადოებებიდან მრავალი ოჯახის გადასახლება სისხლის აღების წეს-ჩვეულებამაც განაპირობა. ისევე როგორც ქართველ მთიელებში, ქისტებშიც, მკვლელობის ჩამდენს დაზარალებულის ოჯახის წევრები და ნათესავები დეპნიდნენ, ამის გამო შურისძიება ხშირად თაობებზე გადადიოდა. სისხლის აღების ნიადაგზე გადაკიდებულ ორ გვარს შორის მტრობა თემის თავკაცების ჩარევით ზოგჯერ შერიგებითაც მთავრდებოდა, რაც სავალდებულო რიტუალების აღსრულებითა და დაწესებული ჯარიმის გადახდით თუ მოხერხდებოდა. თუმცა ამის საშუალება უკიდურესი სიღაფაკის გამო მთიან ჩეჩენეთში მაშინ ნაკლებად ჰქონდათ. შურისძიების თავიდან ასაცილებლად

მკვლელის ოჯახი და გვარი იძულებული ხდებოდა საიმედო თავ-შესაფარი მოეძებნა. ხშირად ისინი თუშ-ფშავ-ხევსურეთის საყ-მოებში მიდიოდნენ და გარკვეული რიტუალების შესრულების შემდეგ ამ საზოგადოების წევრები ხდებოდნენ. ასეთ შემთხვევაში მათი ადგილობრივ თემში ასიმილაცია გარდაუვალი იყო. სისხლის აღების ნიადაგზე გამოწვეული მიგრაციის შემთხვევები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში უამრავი დასტურდება [51. 16–19].

პანკისის ხეობაში ქისტების გადმოსახლების ერთ-ერთი მიზეზი უკიდურესი გაჭირვების გამო კავკასიის მაღალმთიანეთში ფართოდ გავრცელებული მეკობრეობაც უნდა ყოფილიყო. მთის მწირ ნიადაგს ჭარბი მოსახლეობის გამოკვება არ შეეძლო. მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მთიელი ტომები ერთმანეთს გამუდმებით თავს ესხმოდნენ. მართალია, ეს იყო ცალკეული ჯგუფური თავდასხმები, მაგრამ მოსახლეობას მშვიდობიანი ცხოვრების საშუალება არ ეძლეოდა. ისინი იძულებულნი იყვნენ მუდმივად საომარ სამზადისში ყოფილიყვნენ. უცარი თავდასხმების შედეგად ნადგურდებოდა წლის სარჩო, იტაცებდნენ საქონელს, ადებდნენ ბეგარას, იხოცებოდა ხალხი.

ამ თემაზე შექმნილია არაერთი ქართული ხალხური ბალადა, რომელშიც გადმოცემულია ქისტების თავდასხმები თუშ-ფშავ-ხევსურეთზე. ქართველი მთიელებიც ჯვრის დროშით გამუდმებით აწყობდნენ ლაშქრობებს მთიანი ჩეჩინეთ-ინგუშეთის მოსაზღვრე თემებზე: მითხოვით, „გარა თურმანაულმა როგორც ხევისბერმა და მეომარმა გატეხა მაისტი, ქისტების გაუტეხელი ციხე და გამორკეა უთვალავი ცხვარ-ძროხა ლაშარის ჯვრისაკენ, რომ წესისამებრ ჯვრისთვის შეენირათ ნათავარი და მერე გაენაწილებინათ ნადავლი“ [36. 181].

ერთ-ერთ ბალადაში ასახულია ფშავლების ლაშქრობა ტერელოში. ფშაველებს გოგოლაურთ თემის ხევისბერი ბოიგარი მეთაურობდა. ბალადის მთქმელი ფშავლების გამარჯვებას ლაშარის ჯვარს მიაწერს:

„ალალდა ფშავლის შვილები, რო ნაგუბარი წყალია,  
ნინ ბოიგარი გაუძღვა, ლალი მანძილა წარია,  
თან გაპყვა ლაშარის ჯვარი, ღმერთო, დასწერე ჯვარია.  
ჩავიდენ ტერელოშია, ნასახელარნი ყმანია,  
ქვა-ხიდს ჩამოდგა ლაშქარი, არ სწვდება წვიმის ცვარია,  
დაგლიჯეს ქავის კარები, აქ შაგიყრავისთ ცხვარია.  
იქით ცხვარს გამაუშვებენ, თან მააქვ მთა და ბარია,  
მოსდევენ ქისტის შვილები, ნარჩევნი მეომარნია,  
აყრიან სეტყვასავითა, ტყვიას არ მააქვ ძალია,  
გორს იქით-აქეთ გადადის ტერელოვლების მკვდარია.  
ნუ დაიკვეხნით, ფშავლებო, გტანავთ ლაშარის ჯვარია,  
გვერდს გიდგათ ლაშარელაი, გიქრისთ ლემადის ქარია“ [69. 211].

ქართველი მთიელები ძირითადად ჯვრის დროშით აწყობ-  
დნენ სამხედრო რეიდებს მთიან ჩეჩინეთში. რაზმს ძირითადად  
თემის რელიგიური თავკაცი უძლვებოდა. საყმო დარწმუნებული  
იყო, რომ მითხოვი, მაისტსა თუ ტერელოში მფარველი ჯვარ-  
ხატის ნება-სურვილის შესასრულებლად ლაშქრობდნენ. საზო-  
გადოების ეს განწყობილება კარგად ჩანს ერთ-ერთ ხალხურ  
ლექსში:

„გაიგო ლაშარის ჯვარმა,  
ქისტეთს გბტევრდა ცხვარია,  
გადაიკიდა მათრაწი,  
წელზე შაირტყა წმალია,  
შაჰკაზმა თავის ლურჯაი,  
ზედ თვითონ შაჯდა ჩქარია“ [100. 6].

ქისტები მთაში მონატრებულნი იყვნენ მშვიდობიან ცხოვ-  
რებას, უსაფრთხო გარემოს. ამრიგად, ქისტების სურვილმაც,  
მშვიდობიან და უსაფრთხო გარემოში ეცხოვრათ, განაპირობა  
მათი მიგრაცია პანკისის ხეობაში.

## დუისის დაარსება

პანკისის ხეობაში პირველი ქისტური დიასპორის – დუისოფლის დამაარსებელი – დუი დიშნოელი, ზეპირსიტყვიერი მასალების მიხედვით, ჩეჩენეთიდან მოსისხლეებს გამორიცხებია.

დუის შესახებ გარკვეულ ცნობებს გვაწვდის ს. ჩხენჯელი, რომელსაც აკ. შანიძის მითითებით ქისტების პანკისში ჩამოსახლების შესახებ 1937 წელს თქმულება-გადმოცემები შეუკრებია. დუის შვილიშვილის შვილს – მაგასი მისთვის უამბნაა: „პანკისის ხეობა მთლიანად ტყეებს წარმოადგენდა. პირველად აქ დასახლდა საჩეჩინოდან, სოფელ დიშნიდან გამოსული ქისტი დუი ციცხაშაშვილი. დუი შამილის ნაიბი იყო. მან დატოვა საჩეჩინო იმის გამო, რომ მოკლული ჰყავდა რამდენიმე კაცი და სისხლის აღებისა ეშინოდა“ [119. 230].

დუის ვაჟის – იდას თუშ-ფშავ-ხევსურეთის ოლქის უფროსისადმი გაგზავნილი წერილიდან ირკვევა, რომ დუი დიშნოელი პანკისის ხეობაში 1856 წელს გარდაცვლილა. ს. ჩხენჯელის ცნობით, იდა სთხოვდა ოლქის უფროსს, დახმარებოდა მათ გაჭირვებულ ოჯახს, რადგან მამამისს, დუის, რომელიც წინა 1856 წელს გარდაცვლილა, მეფის წინაშე განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვოდა [119. 230-231]. დუი დაახლოებით 65 წლის გარდაცვლილა, რაც ს. ჩხენჯელ დუის შვილიშვილ აბდულას მონაყოლიდან შეუტყყია. ხოლო პანკისში დასახლების დროს, როგორც ის აღნიშნავს, დუი 35 წლის ყოფილა [119. 231].

„თუ ეს სინამდვილეა, – წერს ს. ჩხენჯელი, – მაშინ დუის დაბადება უნდა ვივარაუდოთ 1791 წელს, ხოლო მისი დასახლება პანკისში – 1826 წელს“ [119. 231].

მიუხედავად იმისა, რომ ს. ჩხენჯელის მიერ მოპოვებული მასალა, რომელიც საუკუნის წინ მომხდარი მოვლენების ზეპირ ხსოვნას ემყარება, მეტად ღირებულია, მათზე დაყრდნობა მაინც განსაკუთრებულ სიფრთხილესა და სათუთ მიღებომას საჭიროებს. ზეპირგადმოცემებში დაუჯერებელ და ფანტასტიკურ ამბებს ხშირად სინამდვილის პრეტენზია გააჩნია, ხოლო ნამდვილი ისტორიული მოვლენები კი მითიურ საბურველშია გახვეული. მთხობელები ყოველთვის ცდილობენ თავიანთი გვარისა და წინაპრების უპირატესობა წარმოაჩინონ. ასეთია ხალხური ცნობიერება. აღსანიშნავია, რომ ზეპირსიტყვიერ ტექსტებში მომხდარი ამბებისა და

მოვლენების თანმიმდევრობა და ქრონოლოგია აღრეულია. ამიტომ ს. ჩხერიმელი მხოლოდ ზეპირ მოგონებებზე დაყრდნობით დუის პანკისში გადმოსახლების თარიღად 1826 წლის მიჩნევის სიზუსტეში დარწმუნებული არ არის.

საეჭვოა, მხოლოდ ამ მასალით 1826 წელი პანკისში ქისტური დიასპორის აღმოცენების თარიღად ვირწმუნოთ. მით უფრო, რომ გადმოცემა არაფერს გვეუბნება იმ დროს ხეობაში დუისთან ერთად ვაინახთა სხვა ოჯახების ჩამოსახლების შესახებ, რაც სოფლის დაარსების საფუძველი უნდა გამხდარიყო.

1887 წელს გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნდა შ. გულისაშვილის ნერილი „პანკისის ხეობა“. ავტორის აზრით, ქისტების პირველი ნაკადი პანკისის ხეობაში XIX საუკუნის 30-იან წლებში გადმოსახლებულა. ზ. გულისაშვილი წერს: „ამათ წინამძღოლ ნაიბ დუის ორმოცდათი წელიწადი იქნება, რაც გადმოუსახლებია ისინი ქისტეთიდან“ [116]. ზ. გულისაშვილის ნერილი ძირითადად ზეპირ მონათხრობს და სხვადასხვა გადმოცემებს ემყარება. მისი ცნობა, ქისტების პანკისის ხეობაში XIX საუკუნის 30-იან წლებში ჩამოსახლების შესახებ, არ არის სარწმუნო, რადგან 1843 წლის კამერალური აღწერის მასალების მიხედვით, პანკისის ხეობაში ჯერ კიდევ არავინ ცხოვრობდა.

პანკისის ხეობის იმდროინდელი დემოგრაფიული სიტუაციის გასაცნობად ყველაზე უტყუარ და ზუსტ წყაროს რუსეთის ხელისუფლების მიერ ჩატარებული კამერალური აღწერის მონაცემები და მათ მიერ შედგენილი სხვადასხვა საბუთები წარმოადგენს. საგულისხმოა, რომ მეფის მოხელეები, პრძანების შესაბამისად, თითოეული სოფლის კომლთა რაოდენობასა და მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობას საგულდაგულოდ, განსაკუთრებული სიზუსტით აღნუსხავდნენ.

როგორც ითქვა, ოფიციალური მონაცემებით XIX საუკუნის 20–30-იან წლებში პანკისის ხეობა დაუსახლებელი იყო. 1843 წლის კამერალური აღწერის მასალები პანკისის ხეობის სოფლებს არ ახსენებს [85]. პანკისის ხეობა დაუსახლებელი ყოფილა 1846 წელსაც, რის გამოც ჯამბაკურ ორბელიანს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ლეკიანობის შესაჩერებლად კახეთის სხვადასხვა სოფლებში მცხოვრები თავისი კუთვნილი ასი გლეხის პანკისში დასახლების სურვილი გამოუთქვამს და წერილობით შესაბამისი ორგანოებისთვისაც მიუმართავს, მაგრამ ამაოდ [83. 239–252].

თიანეთის მაზრის უფროსის თბილისის გუბერნატორისადმი გაგზავნილი პატაკიდან ვგებულობთ, რომ პანკისის ხეობაში 1848 წელს ოლქის ყოფილ უფროსს თავად ჩოლოყაშვილს მაისტის საზოგადოებიდან გადმოსული ქისტების 32 ოჯახი დაუსახლებია [83. 300]. საბუთი XIX საუკუნის 50-იან წლებში არის შედგენილი, საიდანაც ირკვევა, რომ ქისტები დასახლებულან მდინარე ალაზნის პირას, ფშავლების საზამთრო სამეურნეო ბაზებიდან ნახევარი ვერსის დაშორებით, კერძოდ, დღევანდელი დუისის ტერიტორიაზე.

ლ. მარგოშვილს მიაჩნია, რომ დუი ციცხაშაშვილი როცა თავდაპირველად მივიდა ხეობაში, ვაინახთა რამდენიმე ოჯახი იქ უკვე ცხოვრობდა [131. 49]. მისი აზრით, პანკისის ხეობაში, ქისტები საცხოვრებლად 1848 წელზე გაცილებით ადრე გამოჩნდნენ, თუმცა, როგორც ის ვარაუდობს, რადგან ქისტების თავდაპირველ დასახლებას ოფიციალური სტატუსი არ ჰქონიდა, მათთვის ყურადღება არავის მიუქცევია. ლ. მარგოშვილს მიაჩნია, რომ პანკისში ადრე ჩამოსახლებული ქისტები ადგილობრივი ხელისუფლების დაუდევრობის გამო ვერ მოხვდნენ კამერალური აღწერის ოქმებში [131. 47].

კამერალური აღწერის მასალებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, მ. მაჩაბელი თიანეთის მაზრის სახელმწიფო გლეხების ეკონომიკური ყოფის შესახებ 1887 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში წერდა: „ქისტები თიანეთის ქისტეთა (თიანეთის ქისტეთში – იგულისხმება მთიანი ჩეჩენეთის, კერძოდ, მითხოს საზოგადოების რამდენიმე სოფელი, რომელიც იმ დროს ადმინისტრაციული დაყოფით თიანეთის მაზრაში შედიოდა (ხ. მ.) და პანკისის ხეობაში ცხოვრობენ, სადაც ისინი მეფისნაცვალ თავად ვორონცოვის დროს მაისტის საზოგადოებიდან გადმოსახლდნენ და დააარსეს სამი სოფელი: ჯოყოლო, დუი (პანკისი) და ომალო“ [132. 328]. როგორც ცნობილია, მიხეილ ვორონცოვი კავკასიის მეფისნაცვლის თანამდებობაზე 1845–1855 წლებში მსახურობდა. ამდენად მ. მაჩაბლის ცნობით, ქისტები პანკისის ხეობაში 1845 წელზე ადრე არ დასახლებულან.

თვით დუისელი ქისტების მიერ 1886 წლის მარტში კავკასიის მხარის სამოქალაქო ნაწილის მთავარმართებლის სახელზე წარდგენილი თხოვნა-განცხადებიდანაც ირკვევა, რომ პანკისის ხეობაში მათი ჩამოსახლებიდან 40 წელი იყო გასული. დოკუმენტში

ვკითხულობთ: „1845 წლიდან, ე.ი. დაღესტნიდან კახეთში ჩვენი გადასახლების დროიდან, როდესაც შეიქმნა ჩვენით, ქისტებით დასახლებული სოფელი დუისი, ჩვენი საზოგადოება ყოველთვის მშვიდობიანად და დაუბრკოლებლად სარგებლობდა თიანეთის მაზრის ხალანნად წოდებული ადგილის ტყითა და სახნავ-სათესი მიწებით...“ [75]. განცხადება რუსულ ენაზეა შედგენილი და მას ხელს აწერენ დუისელი ქისტები: დონდი თუნაშვილი, მუსა ქავთარაშვილი და პინჩო ბახაშვილი. მუსა ქავთარაშვილი ინგუ-შეთის სოფელ ექაუიედან იყო გადმოსული პანკისის ხეობაში. დღეს მისი შთამომავლები მრავლად ცხოვრობენ სოფ. დუისში. დუისელი ქისტების 1886 წელს ნარდეგენილ საჩივარში მითითებულია, რომ ქისტები პანკისის ხეობაში დაღესტნიდან წამოსულან. დოკუმენტში გარკვევით წერია: „1845 წლიდან, ე. ი. დაღესტნიდან კახეთში ჩვენი გადმოსახლების დროიდანო...“ ამ ფრაზამ ზ. შველიძეს შემდეგი დასკვნის გაკეთების საშუალება მისცა: „დასტურდება, რომ პანკისელი ქისტები აქ გადმოსახლებამდე დაღესტნის ტერიტორიაზე ყოფილან დასახლებულნი“ [117]. ერთი შეხედვით ზ. შველიძის მოსაზრება სავსებით ლოგიკურია. მაგრამ პანკისის ხეობაში დამკვიდრებულ ქისტებს დაღესტანში არასოდეს უცხოვრიათ. ისინი კახეთში ძირითადად ხევსურეთისა და თუშეთის მოსაზღვრე მთიანი ჩეჩინეთის თემებიდან გადმოსახლდნენ. გაუგებრობა ტერმინ „დაღესტნის“ არასწორმა ინტერპრეტაციამ გამოიწვია. საქმე იმაშია, რომ ჩეჩინები თავიანთ სამშობლოს „დეელასტს“ უწოდებენ. ამრიგად, „დეელასტ“ არის ჩეჩინეთი და ეს ტერმინი მთავრობისადმი გაგზავნილ თხოვნა-განცხადებაში გამოიყენეს დუისელმა ქისტებმა თავდაპირველი სამშობლოს სახელწოდების აღსანიშნავად. ისინი „დაღესტანში“ ჩეჩინეთს გულისხმობდნენ. რასაკვირველია, დუისის ქისტურ საზოგადოებაში 1886 წელს ჯერ კიდევ იქნებოდნენ 40 წლის წინ ქისტების პანკისში ჩამოსახლების თვითმხილველნი და მახსოვარნი. ამრიგად, როგორც აღნიშნულ დოკუმენტში მითითებული წელი, ისე მ. მაჩაბლის ცნობა, სრულიად შეესაბამება თიანეთის მაზრის უფროსის თბილისის გუბერნატორისადმი 1858 წელს გაგზავნილ პატაკში მოყვანილ თარიღს, რომლის მიხედვითაც ქისტების პირველი ნაკადის პანკისის ხეობაში ჩამოსახლება მოხდა და 1848 წელს.

ე. გუგუშვილის ცნობითაც, ქისტები პანკისის ხეობაში XIX საუკუნის 40-იან წლებში დამკვიდრებულან. ე. გუგუშვილი 1886 წელს ურნალ „მწყემსში“ წერდა: „ამ საუკუნის დასაწყისს ეს ხეობა ეკუთვნოდა თუშებს, მაგრამ 40 წლის წინათ თანანეთის მაზრის გამგებლის ნებართვით გადმოსახლებულან მთიელი ქისტები – სოფელ მაისტიდგან“ [20. 5].

მართალია, პანკისის ხეობაში პირველი ქისტური დიასპორა 1848 წელს შეიქმნა, მაგრამ დუი მთიანი ჩეჩენეთიდან საქართველოში შეიძლება გაცილებით უფრო ადრე წამოსულიყო. გადმოცემის თანახმად, რომელიც ს. ჩხენკელს დუის შვილიშვილის შვილის მაგაი დუიშვილისაგან ჩაწერია, მოსისხლეებს გამორიდებული დუი პირველად ერწოში მისულა, რომელიც არ მოსწონებია. აქედან ის ნაფარეულში წასულა, თუმცა ვერც იქ გაჩერებულა. ამის შემდეგ საცხოვრებლად პანკისის ხეობა აურჩევია. მის ირგვლივ, სადაც ახლა სოფელი დუისი მდებარეობს, დასახლებულან მთიანი ჩეჩენეთიდან გადმოსული სხვა ქისტებიც [119. 230].

როგორც გადმოცემებიდან ირკვევა, ახალი სამკვიდროს ძებნაში დუიმ გრძელი გზა გაიარა: მთიანი ჩეჩენეთი, ერწო, ნაფარეული და ბოლოს პანკისის ხეობა. ამ ვითარებაში, ბუნებრივია, საქმაოდ დიდი დრო გავიდოდა.

პანკისის ხეობაში ქისტების პირველი დასახლების აღმოცენების თარიღთან დაკავშირებით ზეპირგადმოცემები მრავალ ეჭვს წარმოშობენ.

დუი ციცხაშაშვილის პანკისში ჩამოსახლების მიზეზად თქმულება-გადმოცემები სისხლის აღების ადათს ასახელებენ. ზ. გულისაშვილის ცნობით, „ძველ სამშობლოში ესენი (დუისელები) მაისტელ თემად ყოფილან ცნობილნი, სხვა თემის ერთი კაცი შემოჰკვდომიათ და ეს თემი სისხლის ასაღებად მოჰხდომიათ. ორი მოსისხლე თემი ერთმანეთში ვერ მორიგებულა, მაისტელებს თორმეტი კაცი კიდევ სხვა მოუკლავთ და მძიმე სისხლის ვალი დასდებიათ უფრო ღონიერი თემისა... მაისტელებსაც მეტი ღონე აღარა ჰქონდათ, ან უნდა ეომნათ უფრო მძლავრ თემთან – ან არა და გამოსცლოდნენ. ამათ გამოცლა ირჩიეს, ჩუმად და საჩქაროდ დაანებეს თავიანთ სახლ-კარებს თავი და ჩამოვიდნენ პანკისის ხეობაში“ [116].

შესაძლოა, ეს ამბავი გარა თურმანაულის მიერ მაისტის გატეხის გამოძახილიც იყოს.

უნდა აღინიშნოს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ზეპირსიტყვიერი ტექსტები, მიგრირებული გვარების გადასახლების მიზეზად თითქმის ყოველთვის სისხლის აღების ადათს მიიჩნევენ. ასეთივე სიტუაციას ვხვდებით პანკისელი ქისტების ზეპირ გადმოცემებში.

სტეფანე ჩხერიმელი მაგაი დუიშვილის ნაამბობზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ „დუი შამილის ნაიბი ყოფილა“ [119. 230]. დაახლოებით იმავე აზრს ავითარებს შაქრო გულისაშვილი. იგი წერს: როდესაც ქისტები მთიანი ჩეჩენეთიდან ნამოსულან, „თვითონ შამილსაც კი არ ეთმობოდა ამათი წინამძღოლი დუი“ [116].

ს. ჩხერიმელი და შ. გულისაშვილი დუის ნაიბობას ძირითადად მის შთამომავალთა ზეპირი მოგონებების მიხედვით ამტკიცებენ. სინამდვილეში დუი ციცხაშაშვილი შამილის ნაიბი არასოდეს ყოფილა.

საქართველოში გადმოსახლებულ ვაინახთა ერთ-ერთი ჯგუფის წინამძღოლი და პანკისის ხეობაში პირველი ქისტური სოფლის დამაარსებელი დუი ციცხაშაშვილი გარდაცვალების შემდეგ, როგორც მოსალოდნელი იყო, შთამომავალთა და თანამემამულეთა მხრიდან განსაკუთრებული დიდებითა და პატივისცემით შეიმოსა. ზეპირგადმოცემებში მას მრავალი გმირობა და დამსახურება მიეწერება. თუმცა ოფიციალური დოკუმენტებით პანკისში გადმოსახლებული დუი მხოლოდ მამასახლისად იხსენიერა.

შამილის ნაიბი სინამდვილეში ყოფილა არა დუი ციცხაშაშვილი, არამედ ძუმსოელი უმა დუევი. ე. ბორჩაშვილისა და ლ. მარგოშვილის აზრით, დუი ციცხაშვილს მისი შთამომავლები სწორედ უმა დუევის დამსახურებას უნდა მიაწერდნენ. ე. ბორჩაშვილი და მ. ალდამოვი უმა დუევს ჩეჩენების რუსეთის წინააღმდეგ 1860 წლის აჯანყების ხელმძღვანელად მიიჩნევენ, რომელიც აჯანყების ჩაქრობის შემდეგ რუსებმა სმოლენსკში გადაასახლეს [13]. ლ. მარგოშვილის აზრით, „მამის გარდაცვალების შემდეგ დუის შვილმა იდამ გადაწყვიტა ესარგებლა სწორედ მისი დამსახურებით, რათა პენსიით უზრუნველეყო თავისი ოჯახი“ [131. 49]. ე. ბორჩაშვილისა და მ. ალდამოვის ვარაუდით, „იდა თავისი მამის ნაიბად გამოცხადებით ხაზს უსვამდა მამიდან

მოყოლებულ უფლებას მისი გვარის ქისტ ხალხზე მმართველობისა და თავისი მამასახლისობის კანონიერებას, ხელახალი არჩევის უფლებას“ [13].

ამრიგად, პანკისის ხეობაში პირველ ქისტურ დასახლებას საფუძველი დუი ციცხაშაშვილმა ჩაუყარა.

ჩეჩინეთიდან წამოსვლის წინ დუის, ბუნებრივია, გარკვეული წარმოდგენა ექნებოდა საქართველოში მიმდინარე პროცესებზე. მშვიდობიანობა, რომელიც საქართველოში დამყარდა, დუის შედარებით მოსვენებული ცხოვრების ილუზიას შეუქმნიდა. სისხლის აღების ადათს გამორიდებულ დუის იქ ნაცნობებიც უნდა ჰყოლოდა. XIX საუკუნის 20-იან წლებში, კამერალური აღნერის მონაცემებით, თუშ-ფშავ-ხევსურეთსა და თიანეთის სოფლებში საკმაოდ გვხვდება ცალკეული ქისტური ოჯახები. გარდა ამისა, კახეთში, პანკისის ხეობის სიახლოეს, ალაზნის მარცხენა მხარეს, სოფელ ხორბალოში იმ დროს უკვე კომპაქტურად ცხოვრობდნენ ქისტები.

1821 წლის აღნერით პანკისის ხეობის მახლობლად, სოფელ ხორბალოში, ქისტების თვრამეტი ოჯახი ცხოვრობდა [76. 302]. ზ. გულისაშვილის ცნობა, თითქოს ისინი ერეკლე მეფეს ჩამოესახლებინოს, არ არის სარწმუნო [116]. ზ. გულისაშვილი, როგორც ჩანს, ძირითადად, ხორბალოსა და მის ახლომახლო მოსახლე გაქართველებული ვაინახების შთამომავალთა ზეპირგადმოცემებს ემყარება. ზეპირსიტყვიერებაში კი ისტორიული ქრონილოგია დარღვეულია. ესა თუ ის მოვლენა თქმულებებში ხშირად რომელიმე ცნობილი მეფის მმართველობის ხანას მიეწერება ხოლმე. ფოლკლორული ტრადიციის შესაბამისად, ცალკეული პირები ცდილობენ, თავიანთი გვარის ჩამოსახლების თარიღი უფრო წინ გადასწიონ, ვიდრე ეს რეალურად უნდა ყოფილიყო. 1801–1802 წნ. მოსახლეობის აღნერის დოკუმენტების მიხედვით, სოფელ ხორბალოში სულ სამ კომლს უცხოვრია: ერთ სამეფო აზნაურსა და ორ ნაყიდ საბატონო გლეხს [15. 124]. ამდენად, ხორბალოში ქისტები 1803 წელზე ადრე ვერ დასახლდებოდნენ.

ხორბალოს შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის იენის უნივერსიტეტის პროფესორი, ბოტანიკოსი კარლ ჰაინრიხ ემილ კოხი, რომელმაც 1843–1844 წლებში იმოგზაურა კახეთში: „ჩრდილოეთით ვაკე აღბანეთის ველით (აღბანეთის ველი –

იგულისხმება ალვანის ველი ხ. მ.) თავდებოდა, სადაც მთის ტოტი მდინარის ნაპირამდის აღწევდა. ამ მთაზე რამდენიმე ძველი ციხესიმაგრე და ლარიბი სოფელი ბახტრიონი მოჩანდა. მის უკან ტაფობი ადგილი იყო, რომელიც თითქმის ყოველი მხრიდან მაღალი მთებით იყო გარშემორტყმული და კარგ სანახაობას წარმოადგენდა. ალაზნის ერთ მხარეზე სოფელი ხორბალო მდებარეობდა, სადაც ქისტების (უძველესი კავკასიური ტომის) ოცი ოჯახი ცხოვრობდა“ [40. 251–252].

ამრიგად, ირკვევა, რომ კახეთში ქისტების პირველი კომპაქტური დასახლება ხორბალოში ყოფილა. თუმცა მოგვიანებით, როდესაც პანკისის ხეობაში ქისტური დიასპორა შეიქმნა, ხორბალოებების ნაწილი თავის თანამოძმეებთან იქ გადავიდა საცხოვრებლად, ზოგიც გაქართველდა და სხვადასხვა ადგილებში გადასახლდა.

შეუძლებელია, დუი ციცხაშვილს, რომელიც თითქოს 1826 წლის ახლო ხანებში უნდა გადმოსულიყო მაისტიდან საქართველოში, კახეთსა და მის მთიანეთში მცხოვრები ქისტების შესახებ არაფერი სცოდნოდა, სავარაუდოა, რომ დუი, როგორც უცხო მხარეში წამოსული, მარტოხელა, მათგან გარკვეულ დახმარებასაც მოელოდა.

გადმოცემების მიხედვით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დუის, სანამ პანკისში დამკვიდრდებოდა, სხვადასხვა ადგილას უცხოვრია, კერძოდ, ერნოსა და ნაფარეულში [119. 230]. ამ დროის მანძილზე დუის მთიანი ჩეჩინეთიდან ეკონომიკურად და პოლიტიკურად შევიწროებული ქისტების საქართველოში გადმოსახლება უნდა მოემზადებინა. დუი ენერგიული და ავტორიტეტული პიროვნება იქნებოდა. სხვაგვარად იგი ვერ მოახერხებდა თანამემამულეთა დაყოლიებას და საქართველოში მათ სამუდამო ჩამოსახლებას. მანამდე ის აუცილებლად გაეცნობოდა ქართულ გარემოსა და ყოფას, აგრეთვე, პანკისის ხეობას და ალბათ, ქართულ ენასაც შეისწავლიდა. 1848 წელს პანკისის ხეობაში მუდმივი მცხოვრებლებით დასახლებული სოფლის დაარსება ერთბაშად ვერ მოხერხდებოდა. ჩემი აზრით, სოფლის დაარსებამდე დუი დიშნელი საკმაოდ რთულ და ხანგრძლივ მოსამზადებელ სამუშაოებს ჩაატარებდა. ის საქართველოში უფრო ადრე უნდა გადმოსახლებულიყო. დუის მიერ პანკისის ხეობაში ქისტების პირველი დასახლების შექმნა შემდგომში გაუადვილებდა მთიანი

ჩეჩინეთიდან საქართველოში გადმოსახლების მოსურნე ქისტებს გადაწყვეტილების მიღებაში. ბუნებრივია, შემდეგ წლებში პანკისში გადმოსულ სხვადასხვა თემის ქისტებს დუის მიერ გაკაფული გზა, მის მიერ „გაჭრილი ყამირი“ გაუადვილებდათ ადგილობრივ პირობებთან შეგუებას.

დუის ჩამომავლები დუიშვილებად დაეწერნენ, მის მიერ პანკისში დაარსებულ სოფელს კი ქისტებმა დუისოფელი (დუიდურთ) ან უბრალოდ დუისი უწოდეს.

## ქისტების ჩამოსახლება ჯოყოლა მაისტელის მეთაურობით

1854 წელს საქართველოში საცხოვრებლად მაისტიდან ქისტების მეორე ნაკადი გადმოვიდა. მათი წინამძღოლი ჯოყოლა დარქიზანაშვილი იყო. დუი ციცხაშაშვილისაგან განსხვავებით, ჯოყოლას შესახებ მის თანამედროვეთაგან უფრო მრავალფეროვანი ცნობები მოგვეპოვება.

1848 წლის ივლისში თიანეთის მაზრის სამოქალაქო საქმების კანცელარიის უფროსი ა. ზისერმანი, რომელიც იმ ხანად ხევსურეთის სოფელ მუცოში იმყოფებოდა, ჯოყოლამ სტუმრად თავისთან, მაისტში მიიწვია. ჯოყოლა შუამავლის, მუცოში გადმოსახლებულ ქისტ ლაპუროს მეშვეობით არწმუნებდა ზისერმანს, რომ შეეძლო დანდობოდა მის ვაჟკაცურ სიტყვას, სტუმრმასპანძლობის წმინდა კანონს და იმ დროს, როცა ჩეჩინეთ-დაღესტანში რუსეთის წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლები მძვინვარებდა, უშიშრად სწვეოდა მაისტში. ზისერმანი ჯოყოლას ყველაზე გაბედულ და პატივსაცემ მაისტელად მოიხსენიებს [130. 196].

ზისერმანს მაისტში მისვლამდე ჯოყოლა ორ ამხანაგთან ერთად გზაში მიეგება. ჯოყოლა მიესალმა საპატიო სტუმრას და მზადყოფნა განუცხადა თავისი მშობლიური კუთხის გასაცნობად. ზისერმანის ცნობით, ჯოყოლა მაშინ 30 წლის ტანადი მთიელი ყოფილა. მას ელვარე, თაფლისფერი თვალები და უღალი წვერი ჰქონია. გამოირჩეოდა ვაჟკაცური თვისებებითა და მოქნილობით [130. 198].

ჯოყოლამ ზისერმანს თავის მშობლიურ სოფელ ფუაღში განსაკუთრებული მასპინძლობა გაუწია. სიღარიბის მიუხედავად, მის პატივსაცემად დაკლეს ცხვარი. ვახშმობის შემდეგ ჯოყოლამ ბალალაიკაზე დაუკრა, მღეროდა და ცეკვავდა. ერთი სიტყვით ცდილობდა, მისთვის, როგორც სტუმრისთვის, განუზომელი სიხარული მიენიჭებინა. უჩვეულოდ ლალი და გულ-თბილი მასპინძლობით აღფრთოვანებულმა ზისერმანმა ჯოყოლას ძმადგაფიცვა შესთავაზა, რაზეც ის სიამოვნებით დასთანხმდა. ზისერმანმა ჯოყოლას რევოლვერი და სამი ვერცხლის ფული აჩუქა, ხოლო ქისტების წინამძლოლმა დაძმობილებულ მეფის მოხელეს საუკეთესო ხანჯალი უსახსოვრა [130. 199].

ზისერმანმა მაისტრში ფუაღის გარდა მოინახულა ფახილვო, ჯვარისსოფელი და ტუგა. იქ ყვალგან უკიდურესი სიღატაკე იგრძნობოდა. სოფლებში ზოგან იდგა ორსართულიანი საბრძოლო კოშკები, რომლის მეორე სართულზეც ადამიანები ცხოვრობდნენ, ხოლო პირველზე ინახავდნენ ძროხას, რამდენიმე ცხვარსა და თივის მარაგს.

სიღატაკითა და პოლიტიკურ-სარწმუნოებრივ ნიადაგზე შამილის მიურიდების თავდასხმებით შეწუხებული მაისტელები გამოსავალს ეძებდნენ. ჯოყოლას საუბრიდან ირკვევა, რომ მაისტი შამილს არ ემორჩილებოდა: ზისერმანს მასპინძელმა დაწვრილებით უამბო, თუ როგორ იცავდნენ მაისტელები იმამატისგან თავიანთ დამოუკიდებლობას, თუ როგორ განდევნეს მიურიდები, რომლებმაც მათ სოფელს მაჰმადიანობის განსამტკიცებლად შამილის ბრძანებით ალყა შემოარტყეს [130. 199].

აღსანიშნავია, რომ იმ დროს მთიელი ჩეჩენების დიდი ნაწილი ჯერ კიდევ არ იყო გამაჰმადიანებული და მეზობელ ხევსურებთან ერთად ისინი ჯვარ-ხატებს ლოცულობდნენ. დ. ხოუავის აზრით, მთიანი ჩეჩენეთის მოსახლეობა ეწინააღმდეგებოდა ჩეჩენეთ-დაღესტნის ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებას. ჩეჩენეთის მთიანეთის ზოგიერთი საზოგადოება შამილის ხელისუფლებას რუსეთის კოლონიალური პოლიტიკის ტრაგიკულ ალტერნატივად აღიქვამდა. პიროვნული და საზოგადოებრივი დამოუკიდებლობა ყველაზე მეტად მთიელმა ჩეჩენებმა შეინარჩუნეს, ამიტომაც შამილი, რომელიც დესპოტურად მართავდა დაღესტანს, იძულებული ხდებოდა დათმობაზე წასულიყო და წაკლებად შეხებოდა მათ წეს-ჩვეულებებს, ადგილობრივ მმართველობასა

და რნმენა-ნარმოდგენებს. ჰაზავათი მთიელი ჩეჩენებისთვის იყო მხოლოდ მიზეზი თავიანთი ტომობრივი თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად [139. 130]. უფროსი თაობის ქისტების აზრით, ჯოყოლა უფრო ქრისტიანი იყო, ვიდრე მაჰმადიანი.

მაისტრი ჩასულ ზისერმანს, როგორც ჩანს, შამილის პოლიტიკის მიმართ მთიელი ჩეჩენების განწყობილების შესწავლა პქონია მიზნად. თუმცა, მას ნინასწარ ისიც უნდა სცოდნოდა, რომ ჯოყოლა ერთგვარი სიმპათიით იყო განწყობილი ქრისტიანობის მიმართ, გამწვავებული ურთიერთობა ჰქონდა შამილთან და რუსეთის ხელისუფლებასთან საერთო ენის გამონახვასაც ცდილობდა. დ. ხოჭავი ჯოყოლას იმდროინდელი ჩეჩენური საზოგადოებრიობის ბრწყინვალე ნარმომადგენლად მიიჩნევს, რომელსაც არ სურდა დამორჩილებოდა არც რუსეთის მეფეს, არც თურქეთის სულთანს და არც იმამ შამილს [139. 132].

ჯოყოლა ზისერმანს საქართველოს შესახებაც ესაუბრა. ის უყვებოდა სტუმარს, თუ როგორ გადადიოდა მცირერიცხოვანი ჯგუფებით ალაზნის თავში სათარეშოდ, საიდანაც არაერთხელ ნამოუყვანია ქართველი ტყვეები [130. 199]. აქედან ირკვევა, რომ ჯოყოლას კახეთი და მისი მთიანეთი შესწავლილი ჰქონდა, ნინააღმდეგ შემთხვევაში ის ვერ მოაწყობდა იქ წვრილ-წვრილ თავდასხმებს.

ივანე ბუქურაულის ცნობითაც, ჯოყოლა ყოფილა „კაცი მამაცი და ლაშქრობის მოყვარე“ [16. 32]. ივანე ბუქურაული თავის წერილში „ტბათანიდან წოვათამდინ“ მოგვითხრობს ჯოყოლას ხელმძღვანელობით ქისტების შემოსევების შესახებ: „ერთხელ დიდი ჯარით გადმოსულიყო ბორბალოს მთაზე ალაზნის თავში და ერთ გორაკზე დამდგარიყო ბაირალებით. ამის შემდეგ გორაკს დაერქო „ჯოყალის გორა“. ისე უცბად და მოულოდნელად შემოსევია ჯოყალა ალაზნისთავს, რომ თუშებს ვერც კი გაეგოთ დროზედ. სანამ აქა-იქ მთებიდან თუშები შეიკრიბებოდნენ, ჯოყალას მოექუჩებინა რამდენიმე ათასი ცხვარი და ნაროვანის მთაზე გადაერქა ჩაჩანს. თუშებს ვერ მოესწროთ. ხელდახელ, ვინც იმ ჟამად ალაზნის თავში იმყოფებოდნენ, ისინი დაედევნენ, მოუჭრეს გზა, ჩასაფრებულებმა მოჰკლეს რამდენიმე ქისტი, მაგრამ მაინც ცხვრის დაყრევინება ვერ შეძლეს. გადიოდა დრო. ჯოყალა ხან ერთ ალაგას გამოჩნდებოდა, ხან მეორეში. სწრაფად და მოულოდნელად იტაცებდა ცხვარს“ [16. 32].

ჯოყოლას კახეთზე თავდასხმების შესახებ სტეფანე ჩხერიმელის ზეპირი გადმოცემები ჩაუწერია ჯოყოლოელი ექმ მუზიკაშვილისაგან. გადმოცემის მიხედვით, „როდესაც ჯოყოლა გაიზარდა, მოდიოდა საქართველოში, თავს ეცემოდა ხალხს, ართმევდა პირუტყვს და ზოგჯერ კიდეც ქურდობდა. ერთხელ საქართველოში ქურდობისას ჯოყოლას ასეთი შემთხვევა ჰქონია: ჯოყოლა და მისი ამხანაგები – ბუღაგა, სელირა, სასგარგა, ჰაშა, ბედირგა, თიაშეა და სხვები მისულან ბაწარის ძირში. აქ შეხვედრიათ ლეკები, რომალთაც ნაქურდალი ცხენები მიჰყავდათ. ამ ერთმანეთთან შეხვედრილ ქისტებსა და ლეკებს შორის გამართულა ბრძოლა. ბოლოს ლეკებს ცხენები დაუყრიათ და გაქცეულან. ჯოყოლა და მისი ამხანაგები ამის შემდეგ ნასულან და წიფლოვანში გაჩერებულან. მოსულა მუხლამდის თოვლი. აქიდან ბორბალოს უღელტეხილით საჩაჩნოში გადასულან“ [119. 232].

ჯოყოლასთვის, ისევე როგორც მთიან ჩეჩჩნეთში მცხოვრები დანარჩენი ქისტებისთვის, საქართველოში გადმოსახლება მიმზიდველი უნდა ყოფილიყო. კახეთის ბარაქიანი მიწა, ნოყიერი საძოვრები და მშვიდობიანი გარემო სამეურნეო დარგების განვითარებისთვის ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა, რაც მათ ნორმალურ ცხოვრებას უზრუნველყოფდა.

ივანე ბუქურაულის ცნობით, 1851 წელს ჯოყოლა რამდენიმე ქისტისა და ხევსურის თანხლებით ბორბალოს მთაზე მოსულა. იქიდან ალაზნისთავში თუშების მოურავ ივანე ცისკარიშვილთან საშუალოდ ხევსური მეგობრები გაუგზავნია. ივანე ცისკარიშვილს ჯოყოლასთან შერიგებაზე მზადყოფნა განუცხადებია. ის ქისტებს ამავდროულად მფარველობასა და მშვიდობიან თანაცხოვრებას ჰპირდებოდა.

გახარებული ჯოყოლა ქისტების თანხლებით ალაზნისთავში ჩამოსულა, სადაც თუშები ცისკარიშვილის თავკაცობით შეგროვილიყვნენ. თუშებს თავიანთი კავკასიელი მეზობლებისთვის მასპინძლობა გაუწევიათ: დაუგიათ ნაბდები, დაუკლავთ ცხვრები, ერთი სიტყვით, დიდი წვეულება გაუმართავთ. სასმელად მხოლოდ არაყი ჰქონიათ. ივანე ცისკარიშვილს ჯოყოლასთვის არყით საკავე ვერცხლის თასი შეუთავაზებია. ჯოყოლას უთქვამს: – თუ ივანე ცისკარიშვილი ძმად გამეფიცება, მივიღებ მაგ სასმელს, თუ არა და უარს ვაცხადებ პურმარილზეო [16. 33].

დაძმობილების შემდეგ ჯოყოლას ივანე ცისკარიშვილისათვის მოსვლის მიზეზი განუცხადებია. მას რუსეთის ხელისუფლებასთან შერიგება სურდა. ცისკარიშვილმა ჯოყოლას სურვილი თიანეთის მაზრის მზრუნველ ლევან ჩოლოყაშვილს შეატყობინა. ჯოყოლას შემორიგებით დაინტერესებული ყოფილა ადგილობრივი ხელისუფლებაც. ჯოყოლა ქისტების თანხლებით თიანეთში თვითონ გამოცხადებულა. როგორც ჩანს, ჯოყოლა რუსეთის ქვეშევრდომობის მიღებით ქისტების კახეთში გადმოსახლებისთვის მყარ ნიადაგს ამზადებდა.

1854 წლის 8 აგვისტოს ჯოყოლა მაისტელთა 36 ოჯახით დედანულიანად საზღვრისპირა სოფელ მუცოში გადმოსულა, სადაც მას თუშ-ფშავ-ხევსურეთის ოლქის უფროსი ლევან ჩოლოყაშვილი დახვედრია. 15 სექტემბერს მას კიდევ 18 ოჯახი გადმოუყვანია მაისტიდან. სულ 309 სული.

ე. ბორჩაშვილის აზრით, „ვეინახების გადმოსახლებით ადგილობრივ ხელისუფლებას სურდა წინასწარ უვნებელები ჩეჩენეთ-ინგუშეთის მთიანეთის მოსახლეობის შამილის მოძრაობისადმი მოსალოდნელი შეერთება; პანკისში ქისტების გადმოსახლებით კი თავიდან აეცილებინა დაღესტნელებისა და ვეინახების თავდასხმები საქართველოს ამ კუთხეში“ [14].

1856 წლის 13 თებერვალს თუშ-ფშავ-ხევსურეთის ოლქის უფროსი ლევან ჩოლოყაშვილი ხელისუფლების წარმომადგენლებს უდიდესი კმაყოფილებით მოახსენებდა საქართველოში ქისტების გადმოსახლების შესახებ. პატაკში ოლქის უფროსი ქისტების შემორიგებას საკუთარ დამსახურებას მიაწერდა: „1854 წელს მე შევძელი გადმომებირებინა ქისტების ბელადი ჯოყოლა დარქიზანაშვილი, რომელიც მანამდე მნიშვნელოვან ზარალს აყენებდა ჩემდამი რჩმუნებულ ოლქს და უფრო მეტად კი კახეთს; მან გადმოასახლა თავისი თანამოძმე 54 ოჯახი ჩვენს საზღვრებში. 1854 წლის 8 აგვისტოს ის გამოცხადდა ჩემთან სა-საზღვრო სოფელ მუცოში 36 ოჯახით, 15 სექტემბერს გადმოიყვანა კიდევ 18 ოჯახი. ქისტების ბელადი ჯოყოლა, რომელმაც წინა ხანებში ამდენი ზიანი მოგვაყენა, შამილის დაახლოებული პირებისაგან განაწყენებული, შეიქმნა ჩვენი დამცველი და მთელი თავისი შურისძიება და სისასტიკე წარმართა თავისი ყოფილი თანამოაზრების წინააღმდეგ“ [78. 5-6].

მუცოდან ქისტები, როგორც დოკუმენტებიდან ირკვევა, თიანეთში ჩამოუყვანიათ.

1854 წლის 15 ოქტომბრის ბრძანებულებით ქისტებს თუშ-ფშავ-ხევსურეთის ოლქის სახელმწიფო და საეკლესიო მიწებზე დასახლების უფლება ეძლეოდათ, მაგრამ დოკუმენტში მითითებული არ იყო, კონკრეტულად რომელ სოფლებში უნდა დამკვიდრებულიყვნენ ისინი [77. 1-5]. ამიტომ ქისტებისთვის საკარმიდამო მიწების გამოყოფის თაობაზე აღმასრულებელ ხელისუფლებაში ცხარე კამათი გაჩაღდა. დრო აღარ ითმენდა, ზამთარი ახლოვდებოდა, ხოლო ხალხი და მათი პირუტყვი საზამთრო საცხოვრებლის გარეშე იყო დარჩენილი.

თუშ-ფშავ-ხევსურეთის ოლქის უფროსმა თბილისის სამხედრო გუბერნატორს წერილობით მიმართა, რომ მაისტის საზოგადოებიდან მოსული ქისტები თიანეთის მახლობლად, სოფელ ზენამხარში დაესახლებინათ, სადაც ცხოვრობდა საეკლესიო გლეხთა 13 ოჯახი, გვარად სისაურები და უფრო ადრე გადმოსახლებულ ქისტა 7 ოჯახი [77. 1-5].

სოფელ ზენამხარში ქისტების ჩასახლების წინააღმდეგ გამოვიდა სახაზინო ქონების ექსპედიციის უფროსი. მისი აზრით, ზენამხარში ქისტები ადგილობრივ მოსახლეობას შეავინწროებდნენ და სამხედრო გუბერნატორს ურჩია, ქისტები თიანეთის მაზრის სხვადასხვა სოფლებში ჩაესახლებინათ [77. 1-5].

14 თებერვალს თავადი ჩოლოყაშვილი თბილისის სამხედრო გუბერნატორს გენერალ-ლეიტენანტ ანდრონიკოვს შეშფოთებული წერდა, რომ სახაზინო ექსპედიცია ახლადგადმოსახლებული ქისტებისთვის მამულების გამოყოფას აჭიანურებდა. თავადი შიშობდა, რომ ქისტები ვეღარ მოასწრებდნენ მიწების საგაზაფხულო დამუშავებას, სახელმწიფო უზრუნველყოფაზე კი ისინი მხოლოდ პირველი მოსავლის მიღებამდე უნდა ყოფილიყვნენ [77. 12].

22 თებერვალს შედგენილი დოკუმენტიდან ირკვევა, რომ ბოლოს და ბოლოს მთავრობა ქისტების 54 ოჯახისთვის ზენამხარში მიწების გასანაწილებლად მიწათმომწყობ გ. ვიგურს გზავნიდა. მაგრამ მიწების განაწილება არც ამჯერად მოხერხდა. ქისტების წინამდობლმა ჯოყოლამ ახლადგადმოსახლებულთათვის საცხოვრებლად პანკისის ხეობა მოითხოვა. მან იცოდა, რომ 1848 წლიდან იქ მაისტის საზოგადოებიდან წამოსული ქისტები ესახ-

ლნენ, ამიტომ თავშესაფრის გარეშე დარჩენილმა ვაინახებმაც თანატომელთა გვერდით დამკვიდრება ირჩიეს [79. 14].

ქისტების წინამდლოლი ჯოყოლა კარგად იცნობდა პანკისის ხეობის ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოს. რადგანაც იქ საცხოვრებლად ხელსაყრელი სამეურნეო პირობები არსებობდა, ქისტებისთვის პანკისში დასახლება უფრო მიმზიდველი უნდა ყოფილიყო.

თუშ-ფშავ-ხევსურეთის ოლქის უფროსმა პოლკოვნიკმა ლევან ჩოლოყაშვილმა ქისტების მოთხოვნას მხარი დაუჭირა. მიწათმომწყობ გ. ვიგურის თანხლებით ის თვითონ ჩავიდა პანკისის ხეობაში და ქისტების 54 ოჯახისთვის გაანაწილა მიწები [82. 20].

1855 წლის 4 აპრილს პანკისის ხეობაში, იქ სადაც ამჟამად სოფელი ჯოყოლო მდებარეობს, თბილისის სამხედრო გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებლის ნებართვით ქისტების 54 ოჯახი დასახლდა [77. 25]. სოფელს სახელად დაარქვეს Второе мирное поселение кистов. Первый Мирный аул ერქვა დღევანდელ დუისა.

გენერალ გუბერნატორ მურავიოვის ბრძანებით, როგორც პირველი მშვიდობიანი აულის მცხოვრებნი, რომლებიც პანკისის ხეობაში 1848 წელს დამკვიდრდნენ, ისე 1854 წელს გადმოსახლებული ქისტების 54 ოჯახი, ყველა თავისუფლდებოდა ყველანაირი გადასახადისგან [77. 25]. ამის მიზეზი იყო მათი უსახსრობა და მატერიალური გაჭირვება. ქისტებს ჯერ არ ჰქონდათ შექმნილი და ჩამოყალიბებული თავიანთი მეურნეობა. ისინი ყოველგვარ საარსებო წყაროს იყვნენ მოკლებულნი. ამას ემატებოდა უცხო გარემოც, რომელიც მათზე თავდაპირველად მაინც ალბათ დამთრგუნველად იმოქმედებდა. ქისტებს საკვებითა და აუცილებელი ნივთებით სახელმწიფო ამარავებდა. ყოველ სრულწლოვანს დაუნიშნეს ჯარისკაცის ულუფა, ხოლო არასრულწლოვანს – მისი ნახევარი [81. 30]. დაწესებული ნორმა მათ მოთხოვნილებას ოდნავადაც არ აკმაყოფილებდა.

ახალმოსახლეებს სახნავ-სათესი ფართობები აპრილის შუა რიცხვებში გამოუყვეს. მათ დაყამირებული მიწის მხოლოდ მცირე ფართობის დამუშავება მოასწრეს, ამიტომ პურეულის დათესვა დაუგვიანდათ, ხოლო ბოსტნეული კულტურების მოყვანა არ იცოდნენ. მთავრობამ ჩამოსახლებულებს 1 აგვისტომდე გა-

მოუყო სურსათი. 1 აგვისტოდან კი შეუწყვიტეს. ამას თან და-ერთო მოუსავლიანი წელი და ახალმოსახლე ქისტები უბედურ დღეში ჩაცვივდნენ.

თუშ-ფშავ-ხევსურეთის ოლქის ხელმძღვანელობა ადგილობრივ მთავრობას სთხოვდა, ქისტებისთვის კიდევ 3-5 თვით გამოეყოთ სურსათი, სანამ მოსავალს მიიღებდნენ. თხოვნა უშედეგოდ დარჩა. ახალმოსულებმა დახმარება ვერ მიიღეს. ქისტები ძძულებულნი გამხდარან პურის შესაძენად უკანასკნელი მუშა საქონელიც გაეყიდათ [78. 5].

უკიდურესად გაჭირვებულმა ქისტებმა ხუთკაციანი დეპუტაცია, რომელთა შორის იყო ჯოყოლას მამა დარქიზანა, თბილისში გაგზავნეს. ისინი ზემდგომი ორგანოებიდან სასწრაფო და გადაუდებელ დახმარებას ითხოვდნენ, მაგრამ ამაოდ [78. 5].

ერთ-ერთი გადმოცემის მიხედვით, როცა ჯოყოლამ ქისტები საცხოვრებლად პანკისში გადმოასახლა, მას თავისი გულთმისანი ძალლი არ გამოჰყოლია მაისტიდან. ერთხელაც ტუგიდან ქისტები ჩამოსულან პანკისში და ჯოყოლას თავისი ძალლი მოუკითხავს. მაისტიდან ჩამოსულებს უთქვამთ:

– აბა როგორ იქნება, სულ ყმუის და საჭმელს პირს არ აკარებსო.

ჯოყოლას უფიქრია: – ჩემი ძალლი არ წამოვიდა და მე აქ რაღა მინდაო, ამდგარა და წასულა მაისტში. „სტრაუნიკებს“ გაპეპარვია.

ქისტების წინამძღვანლ ჯოყოლა დარქიზანაშვილის პანკისის ხეობიდან წასვლა ახალმოსახლეთა მდგომარეობას კიდევ უფრო უნუგებოს ხდიდა. ივანე ბუქურაულის ცნობით, „ჯოყოლა შეიძყრეს ჩეჩინეთში და როგორც მოლალატე მიჰვარეს შამილის ვაჟს ყაზი-მაჰამას, რომელიც იმ დროს ჩეჩინეთს მართავდა. ყაზი-მაჰამას ბრძანებით ჯოყოლას თავი მოჰკვეთეს [16. 34].

სტეფანე ჩხენერელს ექო მუზიკაშვილისგან ჩაუწერია გადმოცემა, რომლის მიხედვით, „ქისტების გადმოსახლების შემდეგ ჯოყოლა კიდევ ეხმარებოდა შამილს და მოკლულ იქნა ომში სხვა ამხანაგებთან ერთად [119. 232]. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზეპირგადმოცემებში ესა თუ ის მომხდარი ამბავი, ხშირად რომელიმე ცნობილ ისტორიულ პიროვნებას უკავშირდება. პანკისელი ქისტების ცნობიერებაში გარკვეული დროის გასვლის შემდეგ შამილს უკვე კავკასიის თავისუფლებისთვის ბრძოლის სიმ-

ბოლოდ მიიჩნევდნენ, ამიტომ აზრი ჯოყოლას შამილის მომხრედ დაღუპვის შესახებ მათთვის უფრო სარწმუნო და მისაღები უნდა გამხდარიყო. სინამდვილეში, როგორც ეს ე. ბორჩაშვილმა გამოიკვლია, ჯოყოლა ფშავის უბნის უფროსის აღიხანოვის დავალებით 15 მილიციონერის თანხლებით 1855 წლის 14 ივლისს საქართველოს საზღვრის დაცვის მიზნით შამილის ერთ-ერთი რაზმის წინააღმდეგ საბრძოლველად გაგზავნეს. შამილის რაზმი, რომელიც ჩეჩენეთში მცხოვრები ქისტებით იყო დაკომპლექტებული, ალაზნისთავში თუშებზე თავდასხმას და მათი ცხვარძოხის გარეკვას აპირებდა. მოწინააღმდეგენი ერთმანეთს ქაჩის თავზე შეხვდნენ. ჯოყოლას მცირე ჯგუფი ხუთი საათის განმავლობაში 500 კაციან რაზმს უწევდა წინააღმდეგობას. შეტაკების დროს დაიღუპა მაისტის მამასახლისი და რაზმის უფროსი ჯოყოლა დარქიზანაშვილი, აგრეთვე მილიციელები: არდოტელი ხევსური ზვიად ლაგაზიშვილი, მათურელი ბახა მაჩურიშვილი და მაისტელი ბუგუ ბოძიშვილი. ჯოყოლა დასაფლავებულ იქნა მაისტში. ე. ბორჩარიშვილის აზრით, „ერთად დაღუპული ძმადნაფიცების ჯოყოლას და ზვიადის სახელები უწოდა ვაჟა-ფშაველამ „სტუმარ-მასპინძლის“ მთავარ გმირებს ჯოყოლას და ზვიადაურს“ [14].

ჯოყოლა დარქიზანაშვილი 1818 წელს დაბადებულა და 1855 წელს 37 წლის ასაკში დაღუპულა. შთამომავლობამ ჯოყოლას მიერ პანკისის ხეობაში დაარსებულ სოფელს მისი სახელი უწოდა.

ჯოყოლას უეცარმა დაღუპვამ პანკისის ხეობაში ახლადჩამოსახლებული, უმეთაუროდ დარჩენილი ქისტები საგონებელში ჩაყარა. ქისტების ადაპტაცია ახალ საცხოვრებელ გარემოსთან გაძნელდა. ისინი ბარის კლიმატურ პირობებს ვერ ეგუებოდნენ და ხშირად ავადმყობლები დარღვეულები მიმდინარე სამსახური, რომელიც მათ კავკასიის მეფისნაცვალმა დააკისრათ [78. 77].

უკიდურესმა სილატაკემ და შიმშილმა, წინამძღოლის დაკარგვამ, ძალმომრეობამ და მთავრობისაგან უყურადღებო დამოკიდებულებამ, ქისტებს ძველი სამშობლოს მიმართ ნოსტალგია გაუღვივა. ბევრი ფიქრის შემდეგ მათ მაისტში დაბრუნება გადაწყვიტეს. შესაძლოა, ადგილობრივ ხელისუფლებაზე გულგატებით შამილის მოძრაობასთან შეერთებაც ჰქონდათ გან-

ზრახული. ქისტებმა რამდენიმე დღის საგზალი მოიმზადეს. დანიშნულ ღამეს ყველასგან ფარულად და უხმაუროდ 54-მა ოჯახმა დედაწულიანად დატოვა პანკისი და გეზი ჩრდილოეთით, კავკასიონის მთებისკენ აიღო.

ქისტების გაქცევა 1855 წლის აგვისტოს ბოლო რიცხვებში ან სექტემბრის დამდეგს უნდა მომხდარიყო.

ხალხის ასეთი გადაადგილება მთავრობას არ გამოეპარებოდა, რადგან, როგორც ცნობილია, ქისტებზე მაშინ საგანგებო კონტროლი იყო დაწესებული.

ოფიციალური მონაცემებით, თავიანთი სამშობლოსკენ დარული ქისტების წინააღმდეგ მთავრობას შეიარაღებული რაზმი გამოუყვანია. გაქცეულებს ქოჩადალაში შუადღისას დასწევიან. ქისტებს შეიარაღებული რაზმი რომ დაუნახავთ, უსაფრთხოების მიზნით ცოლ-შვილი ზემოთ, მთებისკენ გაუშვიათ, ხოლო ვისაც იარაღის ტარება შეეძლო, მთავრობის გამოგზავნილი ასეულის-თვის წინააღმდეგობა გაუწევია. მთავრობის რაზმსა და ქისტებს შუადღიდან დაბინდებამდე უბრძოლიათ.

ივანე ბუქურაულის ცნობით, ქისტები პანკისის ხეობიდან ჯოყოლას სიცოცხლეშივე აყრილან და ისევ ჩეჩენეთში გადასულან. იგი წერს: „მოუსვენარი ქისტები აიყარნენ პანკისიდან და ჩეჩენეთში გადავიდნენ. თუშები დაედევნენ მათ უკან დასაპრუნებლად და დაეწივნენ წიფლოვნის ხევში. ქისტებმა თოფები დაუშინეს. შეტაკებაში მოიკლა ერთი თუში, გამოჩენილი ვაჟკაცი ელიზბარიძე, რომელსაც ვაჟკაცობით ვლადიმერის ორდენი ჰქონდა მიღებული და განათლება კი არა, ხელისმონტერა არ იცოდა. თუშებმა ვერა გააწყეს-რა და ქისტები გადავიდნენ“ [16. 34].

ზეპირ გადმოცემებზე დაყრდნობით, ივანე ბუქურაული აცხადებს, თითქოს თუშები ჯოყოლას სიკვდილის შემდეგ გადასულიყვნენ ჩეჩენეთში და ხელახლა გადმოესახლებინოთ ქისტები: „თუშები მაინც არ ისვენებდნენ, – წერს ი. ბუქურაული, – გადავიდნენ მეორედ და ისევ გადმოიყვანეს ქისტები“ [16. 34].

როგორც ირკვევა, პანკისიდან გაქცეული ქისტების 54 კომლიდან უკან მხოლოდ 34 ოჯახი დაუბრუნებიათ. მთავრობას მათი ჩასახლება თიანეთის მაზრის სხვადასხვა სოფელში გადაუწყვეტია [81. 31]. მაგრამ მოსახლეობის თხოვნით ისინი კვლავ პანკისის ხეობაში, იმავე ადგილზე დაასახლეს.

ს. ჩხერიმელის მიერ ჩანტერილი გადმოცემების მიხედვითაც, ქისტები პანკისიდან ჯოყოლას სიკვდილის შემდეგ გაქცეულან და თუშებს უკან მაშინვე დაუბრუნებიათ: როდესაც ქისტებს ჯოყოლას სიკვდილი შეუტყვიათ, უთქვამთ: „ჩვენი ჯოყოლა მოკლეს, ჩვენი მხარის დამჭერი აღარავინ არის, სჯობს ისევ ჩვენს ქვეყანაში წავიდეთო. ამდგარან და წასულან. წიფლოვანში მათ დასწევიან თუშები, რომელთაც უფიქრიათ: თუ ესენი თავის ქვეყანაში გავუშვით, იქიდან კიდევ არ მოგვასვენებენო. გამართულა ბრძოლა. დაუბრუნებიათ ქისტები და ისევ დაუსახლებიათ ჯოყოლოში, სადაც ახლაც ცხოვრობენ“ [119. 232].

საარქივო მონაცემებით ცნობილია, რომ 1858 წელს აღნიშნული 54 ოჯახიდან, პანკისში ცხოვრობდა 33.

გაქცეული ქისტების პანკისის ხეობაში დაბრუნების შემდეგ მეფის მთავრობამ მათ მიმართ საგანგებო ზომები მიიღო. გენერალ-გუბერნატორმა მურავიოვმა განკარგულება გასცა, თუ ქისტები თავიანთ სამშობლოში გაქცევას კვლავ შეეცდებოდნენ, ისინი დაესაჯათ და ახალციხის ან ალექსანდროპოლის მაზრაში გადაესახლებინათ [77. 25].

XIX საუკუნის პირველ ნახევარში მთიან ჩეჩენეთში მოსახლეობის ცალკეული ჯგუფები თავიანთ მამულებს ტოვებდნენ და ბედნიერი ცხოვრების საძებნელად საქართველოში მოდიოდნენ. ამის გამო, როგორც პანკისის ხეობაში, ისე კახეთის მთიანეთსა და მთისწინეთის სხვა სოფლებშიც გაჩნდა ქისტური მოსახლეობა. ტერიტორიული სიახლოვის გამო ქისტების მიგრაცია თუშეთშიც შეინიშნებოდა. 1858 წელს პანკისში, სოფელ ომალოს ტერიტორიაზე ჩეჩენეთიდან თუშეთში ადრე გადმოსული 49 ოჯახის დასახლება სურდათ [83. 301]. რადგანაც ამ პერიოდში უკვე დაწყებული იყო მთიელების ბარად ჩამოსახლების პროცესი, ხილდიპაროს საზოგადოებიდან თუშეთში მიგრირებული ქისტებიც თუშებთან ერთად აღვანში დამკვიდრებულან. 1863 წელს შედგენილი ერთ-ერთი საბუთიდან ირკვევა, რომ XIX საუკუნის 50-იან წლებში ქისტების 75 ოჯახი უკვე კარგა ხნის გადმოსახლებული ყოფილა მთიანი ჩეჩენეთიდან, კერძოდ, ხილდიპაროს საზოგადოებიდან. ისინი მართლმადიდებლურ ქრისტიანობაზე მონათლულან და აღვანში თუშებთან შეხიზულან. 1859 წელს აღვნიდან ქისტების 37 ოჯახი პანკისის ხეობაში, დღევანდელი ომალოს ტერიტორიაზე დაუსახლებიათ, ხოლო

ალვანში დარჩენილი ქისტების 40 ოჯახი საცხოვრებლად გადას-ვლას იქ 1864 წლის გაზაფხულისთვის აპირებდა [83. 328].

იმავე პერიოდში დაიწყო თუშ-ფშავ-ხევსურეთის ოლქის სოფლებში გაფანტული ქისტების პანკისში დამკვიდრების პროცესი, ისინი მთიანი ჩეჩინეთიდან კახეთში სხვადასხვა დროს იყვნენ მიგრირებულნი. როდესაც პანკისის ხეობაში გაჩნდა ქისტების კომპაქტური დასახლებები, მათაც იქ თანამოძმების გვერდით ცხოვრება ამჯობინეს.

სოფელ ხორბალოში მცხოვრები ქისტებიც უმთავრესად პანკისის ხეობაში გადავიდნენ საცხოვრებლად. ხორბალოში დღემდე არის შემორჩენილი ქისტების სასაფლაო და წმინდა გიორგის ეკლესია, სადაც ისინი ლოცულობდნენ. ისე რომ, ზოგიერთმა გვარმა მთიანი ჩეჩინეთიდან წამოსვლის შემდეგ პანკისში დასახლებამდე საცხოვრებელი ადგილი რამდენჯერმე გამოიცვალა.

თუშ-ფშავ-ხევსურეთის ოლქის სხვა სოფლებში დარჩენილი ქისტები, რომლებმაც პანკისში ცხოვრება არ ისურვეს, სულ მალე გაქართველდნენ. თუმცა ყოველ მათგანს დღემდე ახსოვს თავისი ქისტური წარმომავლობა.

პანკისის ხეობაში მოხდა ქისტების კონსოლიდაცია. რადგან ქისტები ხეობაში კომპაქტურად ცხოვრობდნენ, მათ დღემდე შეინარჩუნეს მშობლიური ენა, ადათები და ტრადიციები.

## ცალკეული გვარების მიგრაციის ამსახველი ქისტური ზეპირი ტექსტები

ოფიციალური მონაცემების გარდა, ქისტების პანკისში ჩა-მოსახლების შესახებ საინტერესო ცნობები არის დაცული მათ ფოლკლორში. ქისტურად ამბავს, თქმულებას, გადმოცემას ჰქვია დიდინარგ. ქისტები გატაცებით ყვებიან ძველ ამბებს, განსაკუთრებით თავიანთი წინაპრების შესახებ. ქისტურ ენაში მთქმელის, მთხობელის აღმნიშვნელი ტერმინია დიდცარხურ. ამგვარი გადმოცემები, როგორც მითოლოგიური შინაარსის ზეპირი ტექსტები, ზ. კიკნაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „შეიქმნა ტრადიციული საზოგადოების, გვარის, საერთო წარსულის ხსოვნის განსამტკიცებლად“ [36. 3]. ქისტების ამ ზეპირი მონათ-

ხრობის სიუჟეტში ზოგიერთი ეპიზოდი შეიძლება დაუჯერებელი მოგვეჩვენოს, მაგრამ ტრადიციულ საზოგადოებაში გაზრდილი მთხრობელისთვის იგი არის რეალურად მომხდარი ამბავი. ის ნამდვილია, რადგან რეალურ გეოგრაფიულ სივრცეში მომხდარ მოქმედებას ასახავს. მათვის წინაპარი, რომლის საკუთარ სახელსაც ისინი არ ივიწყებენ, და წინაპრების თავდაპირველი სამშობლოც – „დამოხკ“, რაც სიტყვა-სიტყვით მამების მინას აღნიშნავს, საკრალურ კატეგორიადა მიჩნეული. ამიტომაც ქისტები წინაპრების ისტორიას, როგორც რეალურად მომხდარ ამბავსა და სიწმინდეს, განსაკუთრებული მგზნებარებით გადასცემენ მომავალ თაობებს.

პანკისელი ქისტების ზეპირგადმოცემებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ჩეჩენეთის მაღალმთიანეთიდან საქართველოში მიგრაციის ამსახველ თქმულებებს. აღსანიშნავია, რომ იქ თითოეული გვარი დღემდე ინახავს ხსოვნას თავისი წინაპრის პანკისში გადმოსახლების შესახებ. ეს გადმოცემები ხშირად სრულქმნილი ტექსტებია, რომლებშიც განცხადებულია ტრადიციული თემის, გვაროვნული საზოგადოების ზეპირი ისტორია. მათი სიუჟეტი აგებულია ძირითადად ყოფით და საგმირო თავ-გადასავლებზე. ვაინახების მიგრაციის ამსახველ თქმულებებში აირეკლა ქისტი ხალხის ცნობიერება, წეს-ჩვეულებები, სოციალური მდგომარეობა და რელიგია. ამ თქმულებების მთავარი გმირი რეალურად არსებული პიროვნებაა, თუმცა ხალხურ გადმოცემებში იგი ხშირად გამითიურებულია და მითოლოგიური პერსონაჟის ფუნქციებიც კი მიეწერება. მათში თავს იჩენს ამ უანრისთვის დამახასიათებელი ნიშნები: შეკუმშული ისტორიული პერიოდი, ნამდვილად მომხდარი მოვლენების თანმიმდევრობისა და ქრონოლოგიის აღრევა.

მიგრაციის ამსახველი თქმულებების მთავარი პერსონაჟი ტოვებს მამაპაპეულ სახლ-კარს. ქისტურ ზეპირ ტექსტებში სამკვიდროდან აყრის ყველაზე გავრცელებული მოტივია სისხლის აღების ადათი. თქმულების გმირი გაურბის მოსისხლეებს და კავკასიონის მთების მიუვალ ბილიკებზე, დევნილობაში, ის, როგორც პიროვნება, იცდება და იზრდება. ზოგიერთი გადმოცემის მიხედვით, მთიანი ჩეჩენეთიდან დევნილი ჯერ თუშეთში, ან ხორბალოში სახლდება. იქ, ახალ გარემოში, გადის ადაპტაციას; ხდება ჯვრის, რელიგიური საყმოს წევრი; დებულობს რჯულს,

ნაცნობს, მაგრამ დავიწყებულ ქრისტიანობას; ეთაყვანება ჯვარ-ხატს. ის, როგორც ბედნიერების მაძიებელი რაინდი, ეზიარება ჭეშმარიტებას და ბოლოს აღმოაჩენს ახალ მინას, თავისი მოდგმის მშვიდობიან სამკვიდრებელს პანკისის ხეობაში. იქ ის საფუძველს უყრის ახალ საზოგადოებრივ ერთობას, ახალ გვარს, რომელიც მისი წინაპრის სახელისგან წარმოდგება.

ქისტების პანკისის ხეობაში მიგრაციის ამსახველი თითქმის ყველა გადმოცემის სიუჟეტს წარმოადგენს გზა. ეს არის გზა სსნისა თავდაპირველი სამშობლოდან აღთქმულ ქვეყნამდე, გზა წარსულიდან მომავლისკენ. თითოეულ მათგანში განდიდებულია მითიური, მიგრანტი წინაპარი. თქმულებებში დაგმობილია კაცისკვლა, ძალადობა, სჭივივის ჰუმანიზმი და ადამიანების სიყვარული, ლტოლვა მშვიდობიანი ცხოვრებისკენ.

ზეპირ გადმოცემებში მკაფიოდ არის შემორჩენილი ხსოვნა თავდაპირველი სამკვიდროს შესახებ, საიდანაც ამა თუ იმ გვარის წინაპარი ნათელი და ბედნიერი მომავლის საძებნელად წამოსულა.

გადმოცემების მიხედვით, ქისტებს პანკისის ხეობაში გადმოსახლებამდე მთიანი ჩეჩენეთის სხვადასხვა ადგილებში უცხოვრიათ. ესენია: მაისტი, დიშნი, მითხო, ხილდიპარო, ტერელო, დაი, ნაშხო, ექქი, გიეზხი, ჯაჩარო და, აგრეთვე, ლილლო.

გადმოცემების თანახმად, როგორც ზემოთ აღვნიშნე, პანკისის ხეობის პირველი ქისტი მაცხოვრებელი ყოფილა სისხლის აღების ნიადაგზე დიშნიდან წამოსული დუი ციცხაშაშვილი. ესქი დუიშვილის გადმოცემით, დუის ოთხი ვაჟი ჰყოლია: იდა, ხაასეი, ამაი და ბიექეი. ამაისა და ბიექეის შთამომავლობა დუის პაპის, ხენგის, პატივსაცემად ხანგოშვილების გვარს ატარებს. იდას და ხაასეის მოდგმამ კი დუის პატივსაცემად გვარად დუიშვილი აირჩია.

ხანგოშვილ-დუიშვილების გვარში შედის ალდამოვების შტოც. ისინი დუის ერთ-ერთი ქალიშვილის შთამომავლები არიან. მათი წინაპარი დაენათესავა დუის და მის გვარს შეეკედლა. ისინი, ისევე როგორც დუიშვილები და ხანგოშვილები, ერთიანდებიან ერთ საზოგადოებაში. ამგვარად, ხანგოშვილები, დუიშვილები და ალდამოვები ერთი გვარის წარმომადგენლები არიან. ისინი მტკიცედ იცავენ ერთი გვარის პრინციპს.

ესქი დუიშვილის გადმოცემით, დუის კიდევ ორი ძმა პყოლია, რომლებიც ჩეჩენეთში დარჩენილან. ისინი დუის პანკისელ შთა-მომავლებთან ნათესაობას აგრძელებენ.

ზოგიერთი გადმოცემით, დუი ციცხაშაშვილთან ერთად პანკისში მოსულა ბალაკაშვილების წინაპარი ბაჯიკ ბაჯა. ის მაისტერი ყოფილა. მაისტერების პანკისში გადმოსახლების შესახებ ასეთი გადმოცემა მიამბო 80 წლის დუისელმა უხუცესმა ვისერგი მუსას ძე ბალაკაშვილმა: „ჩვენი მოდგმა არის ნაშეოიდან. იქ ცხრა ძმას ერთად უცხოვრია. ისინი იყვნენ თუროუეჭინ კანთო – ხმალნატარი ბიჭები. გაყრილა ცხრა ძმა. როგორც ვაინახები იტყვიან, კერიაზე დანთებული ცეცხლი გაუნანილებიათ, გაუყვიათ საქონელი, ტერიტორიები და ქონება. ჩეჩენეთის კუთხეებს ამ ძმების სახელები დარქმევია. მეცხრე ძმა, ყველაზე უმცროსი, სახელად მაისტი, ქონების გაყოფით უკმაყოფილო დარჩენილა და განაწყენებულს უფროსი ძმებისთვის უთქვამს: – მე თქვენი აღარაფერი მინდა, მე ავალ მაღალ მთებში, მაისტში, სადაც სალი კლდეები და ყინულიანი მწვერვალებია, სადაც მხოლოდ არწივი ბუდობს და მგელი დაძრნის. ჩემს შთამომავლობას კი, სხვა თუ ვერაფერით, ნადირის ხორცითა და ქონით მაინც შევინახავო. აი, იქ, მაისტში, უცხოვრიათ ჩვენს წინაპრებს. ერთხელაც ისინი ღალდებს წაჲკიდებიან, არ დაუთმია არცერთს. მაისტელებს ღალდების ოთხი კაცი მოუკლავთ და ამის გამო პანკისში წამოსულან. აქ, დუისში, ჩვენი გვარისთვის ფუძე ბაჯიკ ბაჯას ჩაუყრია“.

ვისერგი ბალაკაშვილის გადმოცემით, დუის ბაჯიკ ბაჯასთვის უთქვამს: – შენ ალალმართალი, უცოდველი კაცი ხარ და ამ მინაზე მომავალმა რომ კარგად იცხოვროს, შენ ჩაყარე სოფლის საძირკველი, პირველი ბარი შენ დაჲკარიო.

სხვა ვერსიით ბალაკაშვილის წინაპარს მაისტის სოფელ წეწალოში უცხოვრია. იქიდან XIX საუკუნის პირველ ნახევარში სოფელ ხორბალოში მოსულა. ხორბალოდან კი დუისში დასახლებულა.

ამჟამად პანკისის ხეობაში რიცხობრივად ყველაზე დიდი და გავრცელებული მარგოშვილების გვარია. ისინი ძირითადად დუისში ცხოვრობენ. ეს გვარი სხვადასხვა წარმომავლობის ხალხს აერთიანებს და მასში ცალკეული შტოგვარები გამოიყოფა. ასე

მაგალითად, ბეხოაანები, შაბურაანები, მოსეკაანები და ექ-ვთიმეანები წარმოშობით მაისტელები არიან. მარგოშვილების გვარზე დაენერენ კილუანი, რომლებიც მთიელი ჩეჩინები არიან. ახიად მარგოშვილის გადმოცემით, პანკისის ხეობაში ცოტა მოგვიანებით მიგრირებული გიესხოველები და ტიერპუოველებიც (ტერელოველები) მარგოშვილების გვარში გაერთიანდნენ. მისივე ნაამბობით, გიესხოველი ქისტები ჯერ ჩეჩინეთის ბარში დასახლებულან, შემდეგ თიანეთში გადასულან საცხოვრებლად, იქიდან კი ბოლოს დუისში დამკვიდრებულან.

ბეხოაანები, შაბურაანები, ელაგაანები, მოსეკაანები და ექ-ვთიმეანები მაისტიდან ჯერ ხორბალოში ჩასახლებულან, ცოტა ხნის შემდეგ კი დუისში გადასულან საცხოვრებლად.

ქისტების საქართველოში ჩამოსახლების შესახებ შექმნილი თქმულება-გადმოცემები ერთი ტიპისაა, მაგრამ თითოეული მათგანის სიუჟეტში გვხვდება ისეთი მოტივებიც, რომლებიც პანკისის მიგრაციულ პროცესებზე არსებულ ცნობებს კიდევ უფრო ამდიდრებს და ამრავალფეროვნებს.

ისევე როგორც ქისტების მიგრაციასთან დაკავშირებული სხვა ზეპირი ტექსტები, მაისტიდან დუისში გადმოსახლებული გაურგაშვილების ფათერაკვიანი თავგადასავალიც მრავალ კითხვას წამოჭრის. ამ ჟანრისთვის დამახასიათებელი ჰეროიკული განწყობილება და მოქმედებათა სწრაფი განვითარება ისტორიის ბურუსში შეღწევის წყურვილს კიდევ უფრო ამძაფრებს:

გაურგაშვილების წინაპრებს ერთ ხანს თითქოს ჯარეგოშიც უცხოვრიათ. ჯარეგო მთიან ჩეჩინეთში, შატილის მახლობლად მდებარეობს. სოფლის სახელწოდება, რომელიც ჯვარიდან მომდინარეობს, ნათლად მიანიშნებს, რომ ქრისტიანული რელიგია ოდესლაც იქ მართლაც პატიობდა. მუსა გაურგაშვილის გადმოცემით, გაურგაშვილების წინაპრებს ჯარეგოში კაცი შემოკვდომიათ. ამის გამო სახლ-კარი დაზარალებულთათვის დაუთმიათ, თვითონ კი საცხოვრებლად ცვუროში მოუკიდიათ ფეხი: ერთ-ერთ ქორნილში თოფის გასროლის შედეგად შემთხვევით მაყარი მოუკლავთ. სისხლის აღების შიშით კვლავ აყრილან და ახლა მაისტში, სოფელ წექალოში დამკვიდრებულან. თქმულების თანახმად, სწორედ წექალოში უნდა დაბადებულიყო გაურგაშვილების მითიური წინაპარი – გაურგი. გაურგის ვაჟს დექის, გადმოცემის მიხედვით, ერთხანს ეშმაკიც ჰყოლია დაჭერილი,

რომელიც მათ ოჯახს ემსახურებოდა და ბარაქას მატებდა, თუმცა ბოლოს ეშმაკი გაქცევიათ. გაქცევის წინ კი მიუწყევ-ლებია: თქვენს გვარში ქუდოსანი ნურც დაბერდებაო!

წევალოდან გაურგის ერთ-ერთი შთამომავალი საქართვე-ლოში გადმოსულა და ხორბალოში დასახლებულა. მისი ძმა ღუზი კი წევალოში დარჩენილა. ერთხელ ღუზი ხორბალოში თავის ძმებთან სტუმრად ჩასულა, როდესაც უკან ბრუნდებოდა, გზაზე ხევსურებს რაღაც მიზეზის გამო მოუკლავთ. საქართველოში მცხოვრებ გაურგაშვილებს ღუზის მოკვლის ცნობა გაზაფხულ-ზედა შეუტყვიათ. ღუზის მაისტრი მცირეწლოვანი ვაჟი დარჩენია, სახელად ტუნგი. წასულან ღუზის ახლობლები მაისტრი. მისი ვაჟი კახეთში ჩამოუყვანიათ. როდესაც ტუნგი სრულ-წლოვანი გამხდარა, მამის მკვლელზე შურის საძიებლად ხევ-სურეთში წასულა. კიდეც მისულა იმ ხევსურის სახლთან, რო-მელსაც მისი მამა მოეკლა. მაგრამ შეცდომით ხევსურის ნაც-ვლად ეზოში მოსიარულე უდანაშაულო მითხოელი მწყემსი მოუკლავს. ტუნგი კვლავ საქართველოში წამოსულა. მითხოე-ლები კი შურისსაძიებლად ხევსურს მივარდნიან.

ბოლოს ღუზის მკვლელი ხევსური ტუნგისთან ჩამოსულა. ახლობლებს ტუნგისთვის უთქვამთ: – მამაშენის მკვლელია, მო-დი, სისხლი ავილოთო!

ტუნგის დაუშლია: – სტუმრის მოკვლა ვის გაუგიაო?

სტუმრისთვის მას ცხვარი დაუკლავს. გულთბილი მასპინ-ძლობა გაუწევია, საქისტოს მთამდე მიუცილებია და გამომ-შვიდობებისას უთქვამს: – ათი დღე საფრთხე არ გელის და მერე ვნახოთო.

ბოლოს, როგორც ამბობენ, ხევსურები და გაურგაშვილები მაინც შერიგებულან, მთის წეს-ადათების შესაბამისად ჩაუტა-რებიათ „ფჯუ თოუ“ და ტუნგისთვის კაცის თავში 60 ძროხა მი-უციათ.

ხორბალოში ცხოვრობდა ასევე მაისტიდან გადმოსახლე-ბული გაურგაშვილების მეორე შტო, რომელმაც სათავე დაუდო „დვანდე ნააყს“ ანუ დვანდეის შთამომავლობას.

დვანდეის შთამომავლების პანკისში დამკვიდრებას ზეპირი ტექსტი ქართველებთან მეგობრობას მიაწერს.

მუსა გაურგაშვილის გადმოცემით, ერთხელ ორ მატნელს, გვარად ხოხობაშვილსა და შათირიშვილს, ნადირობის დროს

ხორბალოში უპატრონოდ დატოვებული ორი პატარა ძმა უნახავთ. ხალხი შავ ჭირს გაუწყვეტია. თურმე მშეერი ბალლი მკვდარი დედის ძუძუს ნოვდა, ამის შემყურე მისი ძმა კი გულსაკლავად ტიროდა. ეს ბავშვები გაურგაშვილები ყოფილან.

მონადირეებს ძმები მატანში წამოუყვანიათ. როგორც ამბობენ, იმ დროს, ხოხობაშვილის სახლში თურმე 12 აკვანი ირწეოდა. ხოხობაშვილი და შათირიშვილი ხორბალოდან წამოყვანილ ობოლ ძმებს, დვანდის და ბათაგას, საკუთარი შვილებივით ზრდიდნენ.

მატნელებს საქონლისთვის ერთი საზამთრო ადგილი ჰქონიათ, სადაც, როგორც წესი, თივასაც ინახავდნენ. ერთხელ დვანდის და ბათაგას შემთხვევით იქ ცეცხლი გაუჩენიათ და ზამთრის მთელი მარაგი თივა დაუწვავთ.

გამწარებული მატნელები ბავშვების სასტიკად დასჯას მოითხოვდნენ. შათირიშვილსა და ხოხობაშვილს პატარა ძმები თანასოფლელთა რისხვისაგან დაუცავთ და ბავშვების მიერ ხალხისთვის მიყენებული ზარალიც აუნაზღაურებიათ.

როდესაც ძმები გაზრდილან, ხოხობაშვილს და შათირიშვილს უკითხავთ: – სად გინდათ, დასახლდეთ? ჩვენთან, მატანში იცხოვრებთ თუ თქვენს ხალხთან ერთად პანკისის ხეობაშიო?

ბიჭებმა ქისტებთან, პანკისში ცხოვრება ამჯობინეს.

მატნელებს იმაზეც უფიქრიათ, დუისში დასახლებულ ძმებს თავი როგორ ერჩინათ. ამიტომ დუისში ასულან და ორკილომეტრიანი სანისქვილე არხის გაჭრა გადაუწყვეტიათ. არხის გაჭრაზე 60 კაცი დაუსაქმებიათ.

მთხობელთა გადმოცემით, ხოხობაშვილი მთელს მატანში ყველაზე შემძლე და ჭკვიანი კაცი ყოფილა. მუშებისთვის მატნიდან დუისში ერთი ხარი და 60 საპალნე ღვინო აუტანია. ბოლოს გაუჭრიათ არხი და გაუკეთებიათ წისქვილი. პანკისში პირველი წისქვილი დვანდი და ბათაგა გაურგაშვილებისა ყოფილა. როგორც ამბობენ, სხვები წისქვილის გასაკეთებლად ნებართვას გაურგაშვილებისგან იღებდნენ. წისქვილიდან ძმებს კარგი შემოსავალი ჰქონიათ და გამდიდრებულან.


პანკისში დაქიშვილების სამი შტო ცხოვრობს. ისინი ხეობაში მთიანი ჩეჩინეთის სხვადასხვა კუთხიდან წამოსულან და, ამდენად, ერთმანეთის ბიძაშვილები არ არიან. გვარების უმრავლესობა, როგორც ცნობილია, საკუთარი სახელებისა და მეტ-

სახელებისგან წარმოიშვა. დაქა, ისევე როგორც დაადეი, ქის-ტებში მეტად გავრცელებული სახელი ყოფილა. დაქიშვილების სამივე შტოს წარმომადგენლებმა თავიანთ გვარს საფუძვლად საკუთარი სახელი დაქა დაუდეს.

დაქიშვილების ერთი შტო მაისტის სოფელ ტუგადან მომ-დინარეობს. საფიქრებელია, რომ ისინი ჯოყოლა დარქიზა-ნაშვილთან ერთად გადმოსახლდნენ პანკისის ხეობაში. ამჟამად დაქიშვილების ამ შტოდან მხოლოდ სეიდა დაქიშვილის ოჯახია დარჩენილი. ისინი ჯოყოლოდან ბირკიანში გადავიდნენ საც-ხოვრებლად.

ომალოში ცხოვრობს დაქიშვილების ორიოდე კომლი, ისინი წარმოშობით ხილდიჰაროელები არიან და ტუგელ დაქიშვილებს არ ენათესავებიან.

ჯოყოლოში სახლობენ დაქიშვილების მესამე შტოს წარ-მომადგენლები. ისინი თავდაპირველად ბალაკაშვილები ყოფი-ლან და მაისტში, სოფელ წეველხოში (წევალო) უცხოვრიათ. მათ XIX საუკუნის პირველ წახევარში მაისტი დაუტოვებიათ და საქართველოში, სოფელ ხორბალოში, დასახლებულან. როდესაც ბალაკაშვილები ხორბალოდან პანკისში გადმოსახლებულან, გვარში უთანხმოების გამო, ბალაკაშვილების ერთ-ერთ წარ-მომადგენელს გვარი გამოუცვლია, დაქიშვილად დაწერილა და იმ დროიდან მომდინარეობს დაქიშვილების მესამე შტო, რო-მელსაც ტურეის ჩამომავლებსაც ეძახიან. ისინი ჯოყოლოში შვიდ კომლამდე არიან. ჯოყოლოს დასავლეთით, სანისქვილე რუს გაღმა, ბალთაგორის მხარეს, ერთ ადგილს ახლაც „ტურეის ველები“ ჰქვია. როგორც ჩანს, იმ ტერიტორიას დაქიშვილების პაპა ტურეი ამუშავებდა.



როგორც ხამზათ ხერხიევმა მიამზო, ჯოულოლოში მცხოვრები მუთოშვილების წინაპარს, მუთივიებს, მაისტის მაღალმთან სოფელ ტუგაში უცხოვრია. ზოგიერთი გადმოცემით, მუთოშვილები ჯოულასთან ერთად გადმოსულან პანკისში საცხოვრებლად. სხვა ვერსიით, მას შემდეგ, რაც ჯოულამ პანკისში საცხოვრისი შეუქმნა ქისტებს, ისინიც იქ, მათ გვერდით, დასახლებულან.

მუთოშვილები და აჭიშვილები ერთ გვარში ერთიანდებიან. უსუფ აჭიშვილის გადმოცემით, აჭიშვილები სისხლ-მესისხლეობის წინადაგზე გადმოსულან ტუგადან ჯოულოლოში. აჭიშვილების განაყოფი გვარია მუზიკაშვილი. იმის გამო, რომ პაასეი აჭიშვილი ქაქუცა ჩილოყაშვილის შეფიცულთა რაზმში იყო და ბოლშევიკებს ებრძოდა, მისმა ბიძაშვილმა, ექომ, გვარი შეიცვალა. ექი აჭიშვილი რაიკომში მუშაობდა. არსებობდა იმის საშიშროება, რომ მას საბჭოთა ორგანოები სამსახურიდან გაათავისუფლებდნენ. ამიტომ ექი თავისი პაპის, მუუძიკის, პატივსაცემად მუზიკაშვილის გვარზე დაეწერა. მისი შთამომავლებიც დღეს მუზიკაშვილის გვარს ატარებენ. ამრიგად, ჯოულოლოში მცხოვრები მუთოშვილები, აჭიშვილები და მუზიკაშვილები ერთი გვარის ხალხია და ისინი მტკიცედ იცავენ ბიძაშვილობის წესადათს.

მუთოშვილების ნაწილი დარჩენილა მაისტში და ისინი იქ ხერხიევების გვარს ატარებდნენ. როგორც ხამზათ ხერხიევმა მიამზო, მათი ოჯახი მაისტიდან პანკისის ხეობაში XX საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს გადმოსულა საცხოვრებლად. ის ქის-

ტეპი, რომლებიც 30-იან წლებში ჩამოსახლდნენ პანკისში, მათ შორის ხერხიევებიც, 1944 წელს ჩეჩენებთან ერთად შუა აზიაში გადაასახლეს. ხამზათ ხერხიევი მაშინ 10 წლის ყოფილა. 1957 წელს, როცა გადასახლებიდან პანკისში დაბრუნდნენ, მათ თავიანთი სახლი ბირკიანში გაყიდული დახვედრიათ. ის სახლი, რომელიც ხერხიევებს გადასახლებამდე თუში მეგობრისგან ჰქონდათ ნაყიდი, მოგვიანებით სასამართლოს გადაწყვეტილებით დაიბრუნეს.

სოფელ ჯოყოლოში ცხოვრობს ბორძიკაშვილების რვა კომლი. როგორც სეიდა ბაფაის ძე ბორძიკაშვილმა მიამბო, მათი წინაპარი რაღაც მიზეზის გამო ღილლოდან მაისტის სოფელ ფუალში გადასულა საცხოვრებლად. ხოლო ფუალიდან ბორძიკაშვილები ჯოყოლასთან ერთად გადმოსახლებულან პანკისში. სეიდა ბორძიკაშვილის ცნობით, მათ წინაპარს სახელად ერქვა ბორძ და გვარიც მისი სახელიდან მომდინარეობს.

სოფელ ჯოყოლოში ცხოვრობს ხოლაგაშვილების ოთხი კომლი. მათი წინაპარი ჯოყოლა მაისტელთან ერთად ჩამოსახლებლა ტუგადან პანკისში. მაგრამ, ისა ხოლაგაშვილის ცნობით, სოფელში ერთხელ შავი ჭირი გაჩენილა და მათი გვარიდან ბევრი დახოცილა.

ხოლაგაშვილები საკობიანოშიც ცხოვრობენ. ზოგიერთი გადმოცემით, საკობიანოში მცხოვრები ხოლაგაშვილების წინაპარს ტუგაში კაცი შემოკვდომია, ნამოსულა და საკობიანოში დასახლებულა. მისი შთამომავლები ქრისტიანობასა და ფშაურ წეს-ადათებს მისდევენ. თუმცა ჯოყოლოელ და საკობიანოელ ხოლაგაშვილებს შორის, როგორც ისა ხოლაგაშვილმა მითხრა, ბიძაშვილობა დღემდე გრძელდება.

ხოლაგაშვილების გვარის განაყრები არიან ჯოყოლოელი თუშიშვილები. ამჟამად თუშიშვილების ორი კომლი ცხოვრობს სოფელ ჯოყოლოში. სარდალ აბასას ძე თუშიშვილის გადმოცემით, ხოლაგაშვილებისა და თუშიშვილების წინაპარს ერქვა ხეგი. ხეგის ჰყოლია ორი ვაჟი – ხოლაგა და თაუში. ჯოყოლოელი თუშიშვილებიც უწინ ხოლაგაშვილების გვარში შედიოდნენ, მაგრამ ერთხელ ხოლაგაშვილები თუშიშვილების რომელიდაც წინაპარს რაღაც ამბავზე თავდებად არ დაუდგნენ და ამის გამო გვარები გაყრილა.

როგორც სარდალ თუშიშვილმა მიამპო, მისი მამა, ალბასა, 1933 წელს გადმოსახლებულა მაისტის სოფელ ტუგადან ჯოყოლოში. გადმოსახლების მიზეზად ისინი მთის აუტანელ, მძიმე საყოფაცხოვრებო პირობებს ასახელებენ. ალბასა ჯერ მარტო ჩამოსულა პანკისში და იქ სამი წელი დარჩენილა. „მამაჩემი მაისტში რომ ამოვიდა, – მიყვება სარდალ თუშიშვილი, – თორმეტი წლის ვიქებოდი, კანფეტი და ტყბილეული ამოგვიტანა. ვეღარ ვიცანი, პანკისში გასუქებულა. გაოცებული ვუყურებდი. – წადი, რას მიყურებ, ცხვარი გარეკეო! – დამძახა. გავიფიქრე: – რას მეჩხუბება ეს სტუმრად მოსული კაცი-მეთქი. მამაჩემი ყვებოდა, თუ როგორ ბედნიერად ცხოვრობდა ხალხი პანკისში.

ალბასა თავისი ცოლით, ორი ქალიშვილითა და ვაჟით ჯოყოლოში გადმოსახლდა. 1943 წელს ჩეჩინებმა თუშების ცხვრის ფარა გაიტაცეს და მის დასაბრუნებლად მთავრობამ სადულა მარგოშვილი და ალბასა თუშიშვილი ჩეჩინეთში მიავლინა. მათ ცხვარი დაბრუნეს, მაგრამ ალბასა თუშიშვილი ზამთარში დროებით ტუგაში დარჩენილა, რადგან იქ დედა ჰყავდა მისახედი. ერთი სიტყვით, ალბასა იმ ზამთარს მაისტიდან აღარ წამოსულა. ამასობაში, 1944 წლის 23 თებერვალს, საბჭოთა მთავრობამ ჩეჩინები და ინგუშები შუა აზიაში გადაასახლა. ალბასაც ამ გადაასახლებაში მოყოლილა. ბოლოს 1957 წელს დაბრუნებულა იქიდან ჯოყოლოში.

ფათერაკებითა და გმირული თავგადასავლებით არის ალვილი ბორჩაშვილების გვარის ისტორია, რომლებიც პანკისის ხეობის სოფელ ჯოყოლოში სხვადასხვა წლებში ჩამოსახლებულან. მათ ხევსურეთში, კერძოდ, მუცოსა და ხონისჭალაშიც უცხოვრიათ, ამჟამად ისინი მრავლად არიან ჩეჩინეთსა და ინგუშეთშიც.

ბორჩაშვილები, თქმულებების მიხედვით, წარმოშობით ნაშ-ხოელებად ითვლებიან. ზოგიერთი ვერსიით, ჩეჩინების ყველა ტომი ნაშხოიდან არის გამოსული. ხოლო ბორჩაშვილები ნაშ-ხოელებად დარჩენილან. მათ წინაპრებს მთიან ჩეჩინეთში, ნაშ-ხოის სოფელ ხაიბახში უცხოვრიათ. ხაიბახში ახლაც დგას მაჟის ციხე-სიმაგრე, საიდანაც, გადმოცემების თანახმად, ბორჩაშვილების წინაპრები გამოსულან. როდესაც ძმები იყრებიან, – ჩეჩინები ამბობენ, – ცეცხლი გაინაწილესო.

ბორჩაშვილების წინაპრებს კერიაზე დანთებული ცეცხლი მაჟის ციხეში გაუყვიათ. მათ როგორლაც კაცი შემოკვდომიათ და სისხლის აღების ადათის გამო იქაურობას გამორიდებიან და თავშესაფარი ხილდიპაროში უპოვიათ.

ხილდიპაროში დიდხანს არ გაჩერებულან. ზოგიერთი გად-მოცემის მიხედვით, ხილდიპაროში სამ ძმას ბორჩას, გუნაშას და პოიძის ერთად უცხოვრიათ. სულ მალე ძმები იძულებული გამ-ხდარან ახალი თავშესაფარი მოეძებნათ. ბორჩა თავისი შვი-ლებით მაისტრში გადასულა.

იმ დროს ერთ-ერთი მაისტელი თურმე ციხე-კოშკს იშე-ნებდა. ზოგიერთი ვერსიით, ის დაქიშვილების წინაპარი უნდა ყოფილიყო. ამიტომ, ჩემი აზრით, ბორჩა მაისტის სოფელ წე-წალოში უნდა მოსულიყო. კოშკის მშენებლობის დროს ოსტატი მოულოდნელად ხარაჩოდან გადმოვარდნილა და უფსკრულში ჩაჩენილა. სულთმობრძავ თხატს სიკვდილის წინ რამდენიმე სიტყვის თქმა მოუსწორია: – შიმშილისგან თვალთ დამიბნელდა და გადმოვვარდიო.

რადგანაც ოსტატი შიმშილის გამო გადმოვარდა, მისი და-ლუპვისათვის მთელი პასუხისმგებლობა ციხე-კოშკის პატრონს დაეკისრა, რომელიც იმ დროისთვის საკმაოდ მდიდარი ყოფილა. მას ჰყოლია ცხენები, ბლომად საქონელი, სახნავ-სათესი მიწები, სათიბები და რამდენიმე წისქვილიც. დამნაშავეს პასუხი უნდა ეგო. მთიელებში კი მოქმედებდა კანონი: „სისხლი სისხლის წილ“, „ან, როგორც ქისტები ამბობენ, „ჭირ დელევჲ“, ფრა თაქ ბეჲდ“ – შერიგების შემთხვევაში კაცის თავში 63 ძროხა უნდა გადაეხა-დათ, რაც ძნელად ხერხდებოდა.

იმ კაცს, რომლისთვისაც ციხე-კოშკს აშენებდნენ და და-ნაშაული ბრალდებოდა, მხოლოდ ერთი ვაჟი ჰყოლია. მამას უნდოდა, რომ თავისი ერთადერთი ვაჟისთვის სისხლის აღების წიადაგზე სიკვდილის საფრთხე აეცილებინა. ამიტომ მან საკუ-თარი მიწები და საქონელი ბორჩას და მის შვილების დაუთმო, რომლებიც სანაცვლოდ ციხის პატრონის მიერ ჩადენილ და-ნაშაულზე აგებდნენ პასუხს, ანუ დაღუპულის სისხლი მათ უნდა ეზღოთ.

თავდაპირველად ბორჩას და მის შვილებს ბევრი უფიქრიათ, აელოთ თუ არა თავიანთ თავზე პასუხისმგებლობა; ბოლოს ამ ნაბიჯის გადადგმა გადაწყვიტეს: – თუ სანაცვლოდ ერთ კაცს

მოგვიყლავენ, სისხლი გასწორდება, დანარჩენები ცოცხლები დარჩებიან და მაისტში ცხოვრებას გააგრძელებენო.

ამგვარი გადაწყვეტილების მიღება მეტად სარისკო იყო, რადგან დაზარალებულებს შეიძლება ძალზე სწყენოდათ და ეფიქრათ: – ლაჩრები ხომ არ ვგონივართ, თითქოს ჩვენს გვარს სისხლის აღება არ შეუძლია და თავის თავზე მათ ნაცვლად პასუხისმგებლობას ბორჩანი ამიტომ იღებენო. ეს გარემოება მოსისხლეების მხრიდან შურისძიების წყურვილს კიდევ უფრო ამძაფრებდა.

ერთხელ ბორჩას უმცროსი ვაჟი სანადიროდ წასულა. ხეობის ერთ მხარეს თურმე ბორჩას შვილი ნადირობდა, მეორე მხარეს კი მოსისხლე, კოშკის მშენებლობისას დაღუპულის ვაჟი, რომელიც აგრეთვე მაისტელი ყოფილა. ისინი ერთმანეთს არ იცნობდნენ. ბორჩას ვაჟს ჯიხვი მოუკლავს და მეორე მონადირისთვის, როგორც ნადირობის წესი მოითხოვდა, ნანადირევი ძმურად გაუყიდა.

ერთმანეთი გაუცვნიათ. – თურმე მოსისხლეები ყოფილან!

ბორჩას ვაჟისთვის მოსისხლეს უკითხავს:

– რატომ გვაყენებთ უხერხულ მდგომარეობაში, რატომ იტ-ვირთეთ სხვის მაგივრად სისხლი? თქვენ რა, ლაჩრებად მიგაჩივართ, რომ სისხლის აღებაც არ შეგვიძლია?

ბორჩას ვაჟს მოუხსნია ხმალ-ხანჯალი და თოფი, იარაღი ძირს დაუყრია და მისთვის უთქვამს:

– თქვენს გვარზე ცუდი ნარმოდენა არასოდეს გვქონია და გთხოვ, ასე ნუ ფიქრობ! ჩვენ ჯერ ხაიპახს, ხოლო შემდეგ ხილდიპაროს გამოვერიდეთ. უმიწაწყლოდ დარჩენილებმა, საარ-სებო პირობები რომ გვერდიდა, მძიმე პასუხისმგებლობა ვიტ-ვირთეთ და გაბედული ნაბიჯი გადავდგით, რადგან, თუ ერთ კაცს მოგვიყლავდით, სისხლი გასწორდებოდა და დანარჩენები მაისტში ცხოვრებას მშვიდობიანად გააგრძელებდნენ. ახლა კი ჩემი სისხლი თქვენზე ალალი იყოსო!


ნადირობისას გაცნობილ მოსისხლეს ბორჩას ვაჟის საქცი-ელი ძალიან მოსწონებია და მეგობრულად უთქვამს:

– ჩვენი შეხვედრის შესახებ ნურავის ეტყვი. შესარიგებლად შუამავლები გამოგვიგზავნეთ და თან ის საქონელი გამოატანეთ, რაც კოშკის მეპატრონისგან მიგიღიათ. ოღონდ იმ საქონელში აუცილებლად ერიოს ის ერთი, ყველასგან გამორჩეული, თეთრი

ხარი და სისხლს გაპატიებთ. ეს საუბარი კი ჩვენ ორს შორის დარჩესო.

გახარებულ ბორჩას შესარიგებლად შუამავლები თავისი კუთვნილი საქონლით მიუგზავნია. მტრები შერიგებულან. მო-სისხლეს მირთმეული საქონლიდან მხოლოდ ის ერთი, თეთრი ხარი ამოურჩევნია. დანარჩენი კი, რადგან ახალმოშენენი იყვნენ, ბორჩას ოჯახისთვის დაუბრუნებია.

ბორჩა მაისტში XVIII საუკუნის მეორე ნახევარში უნდა და-სახლებულიყო. ბორჩას შთამომავლობა მაისტში გამრავლე-ბულა.




როგორც გადმოცემებიდან ირკვევა, ბორჩას სამი ვაჟი ჰყოლია: დაიბაქი, ბეგი და ნიქი. მათ შორის უმცროსი ყოფილა ნიქი. რადგან ბორჩას ჯალაბობას მაისტში დიდი მეურნეობა ჰქონდა, მათ ოჯახში მსახურებიც ჰყავდათ და, როგორც წესი,

შესაბამის გასამრჯელოსაც უხდიდნენ. მსახურებს შორის ყოფილა ხევსურის ლამაზი ქალი, რომელთანაც ნიქს სასიყვარულო რომანი გაუბამს. ქალი დაორსულებულა და ამბავიც გახმაურებულა. უმცროსი შვილის საქციელით ბორჩა განრისხებულა. გაბრაზებულან ნიქის უფროსი ძმებიც – დაიბაქი და ბეგი. ბოლოს უხუცესებმა ნიქის მამასა და ძმებს ურჩიეს, რომ წყენა და აღშფოთება ჩაექროთ: – თუ გოგო ეყოლა, გაათხოვებთ და წავაო, – უთქვამთ, – ხოლო თუ ბიჭი დაიბადება, თქვენი სისხლი იქნება და გვარს გააგრძელებსო.

ქისტები უკანონოდ დაბადებულ შვილს „პუეჯს“ ეძახიან. ნიქს ხევსურის ქალისგან ვაჟი შეეძინა და სახელად ჰორძი დაარქვა, რაც ქისტურად ფრინველს ნიშნავს. ჰორძის შთამომავლობაც საქმაოდ გამრავლებულა და ისინი ამჟამად პანკისის ხეობაშიც ცხოვრობენ.

პანკისის ხეობაში გადმოსახლდა ბორჩას მეორე ვაჟის – ბეგის მთელი შთამომავლობა:

ბეგის შვილიშვილთა შვილიშვილების საფლავები პანკისის ხეობაშია. მაგალითად, ბეგის შვილიშვილის, სახელად ბუგუს შვილიშვილის – ბულაგის ვაჟის – ნეედი ბორჩაშვილის საფლავი დღემდე არის დაცული სოფელში მდებარე ჯოყოლოელთა ძეველ სასაფლაოზე. ბეგის მეორე შვილიშვილის – ბორძოლგის შვილიშვილი – გუელაგის საფლავიც უკვე ჯოყოლოში გვხვდება. ასევე ბეგის შვილიშვილის – მაჯის შვილიშვილი – ეთიც სოფელში მდებარე ჯოყოლოელთა ძეველ სასაფლაოზე განისვენებს. ეს სასაფლაო სოფელ ჯოყოლოს შუაგულში მდებარეობს და მას მცირე ფართობი უკავია. საფლავებზე ვერტიკალურად აღმართულია საქმაოდ განიერი, ერთ მეტრზე მაღალი სიბი ქვები. ერთ-ერთ საფლავზე ჯვარიც იყო გამოსახული. როგორც ირკვევა, ეს სასაფლაო XIX საუკუნის მეორე ნახევარს განეკუთვნება.



ცხოვრობდნენ თუ არა გუელაგის, ნეედირისა და ეთის მამები – კააცი, ბულაგა და ბააცი პანკისის ხეობაში, მასალების უქონლობის გამო არ ვიცით. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ბორჩა მაისტრი XVIII საუკუნის მეორე ნახევარში დასახლდა, მაშინ გამოდის, რომ ნეედირი, რომლის საფლავიც უკვე ჯოყოლოშია და ბორჩას მეექვსე თაობას წარმოადგენს, პანკისის ხეობაში XIX საუკუნის მეორე ნახევარში უნდა მოსულიყო. სულაც შესაძლებელია, გუელაგის, ნეედერისა და ეთის მამები 1854 წელს მაისტიდან ჯოყოლას მიერ პანკისში გადმოსახლებულ 54 ოჯახს შორის ყოფილიყვნენ.

განსაკუთრებით საყურადღებოა გადმოცემები ბორჩას ერთეულთი ვაჟის დაიბაქის შთამომავალთა შესახებ. მათი ისტორია მდიდარია ყოფითი და სარწმუნოებრივი მოტივებით, მოულოდნელი თავგადასავლებით.

დაიბაქის შვილიშვილს ბოოლოთურს ჰყოლია ვაჟი ლომურო. ლომურო უიდენთან ერთად, რაღაც მიზეზის გამო, მაისტიდან ხევსურეთის სოფელ მუცოში გადასულა. ზოგიერთი ვერსიით, მაისტრი საცხოვრებელი ადგილი არ ჰყოფნიდათ. სხვა წყაროს მიხედვით, ის მაისტიდან მოსისხლეებს გამორიდებია.

მუცოში, რომელსაც ქისტები მასეს ეძახიან, შეთეკაურებისა და დაიაურების მეზობლად დასახლებულა ლომურო. იქ, შეთეკაურებისა და დაიაურების კოშკების გვერდით, დღემდე არის

შემორჩენილი იმავე ტიპის, მაგრამ საკმაოდ დაზიანებული კოშ-კი ბორჩაშვილებისა.

ხალხური ადათობრივი სამართალი, რომელიც თითქმის ერთნაირი ჰქონდათ ვაინახებსა და ქართველ მთიელებს, შესანიშნავად აწესრიგებდა სხვადასხვა ეთნიკური კუთვნილებისა და რელიგიური მრწაშის მქონე ადამიანთა მშვიდობიან თანაცხოვრებას. ლოომუროს ხევსურებთან მტკიცე მეგობრობა აკავშირებდა. ხევსურებმა ლოომუროს ქალი მიათხოვეს, საცხოვრებელი ადგილი, სათიბი და სახნავ-სათესი მიწაც გამოუყევეს. მუცოს დასავლეთით, ხონისჭალაში ერთ ადგილს დღესაც „ლოომუროს ყანებს“ ეძახიან.

უიდენი კი, რომელიც მუცოში ლოომუროსთან ერთად მოვიდა, ჩხუბი მოსვლია, თუ სხვა მიზეზით, ხევსურებს მოუკლავთ. ამის გამო, როგორც წესი, მისი მომკვლელი ხევსურები იქიდან აყრილან და მათი მიწები უიდენის ნათესავს, სოაიფ ბორჩაშვილს დარჩენია.


ლოომურო ბორჩას მეოთხე თაობად ითვლებოდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ბორჩა მაისტში XVIII საუკუნის მეორე ნახევარში დასახლდა, მაშინ ლოომურო მუცოში საცხოვრებლად XIX საუკუნის პირველ ნახევარში გადმოსულა. ლოომუროს კარგად იცნობდა თიანეთის მაზრის სამოქალაქო საქმეების კანცელარიის უფროსი ა. ზისერმანიც. ზისერმანი წერს: „მუცოში ცხოვრობდა რამდენიმე ქისტური ოჯახი, რომლებიც სისხლის მაძიებლებს გამორიდებოდნენ. ერთ-ერთი მათგანი იყო ლაბურო“ [130. 196]. ლაბურო და ლოომურო ერთი და იგივე პიროვნებაა, რადგან ბორჩაშვილების გვარიდან ეს სახელი იმ დროს სხვას არავის ერქვა, ხოლო მუცოში ბორჩაშვილების გარდა ქისტების სხვა გვარს არ უცხოვრია.

ლოომურო თან ახლდა ზისერმანს ტფილისშიც. ზისერმანმა ლოომურო, როგორც სანდო პიროვნება, მაისტში ჯოყოლა დარქიზანაშვილთან გაგზავნა, რათა მისგან მიწვევის თანხმობა მიეღო. 1848 წლის 18 ივლისს კი ლოომურო ზისერმანს ჯოყოლასთან შესახვედრად გაჰყვა მაისტში [130. 196].

როგორც მეფის მოხელესთან დაახლოებული პიროვნება, ლოომურო საკმაოდ ავტორიტეტული და პირადი ღირსებებით გამორჩეული ადამიანი იქნებოდა. ის პოპულარული ყოფილა

ხევსურებშიც. იგი დაკრძალულია მაღლა, მუცოში, ქისტები იმ ადგილს „ტადბერჩიეს“ უწოდებენ.

ლომუროს მუცოში ხევსური ქალისგან სამი ვაჟი შესძენია: შობურ, ბიექიე და ბოლოთურ. ბიექიეს ვაჟს ერქვა მუესაგი. მუესაგსაც, ისევე როგორც მის პაპას – ლომუროს და მამას – ბიექიეს, მუცოში უცხოვრია, თუმცა შემდეგ, რადგან მუცოს კოშკები მიუვალ კლდეზე იდგა, ისინი თანდათანობით დასავლეთით – ხონისჭალისკენ გადასულან საცხოვრებლად. მუესაგს შვიდი ვაჟი და ერთი გოგო ჰყოლია. ქალიშვილი პანკისში ქავთარაშვილზე გაუთხოვებია. მუესაგს შვიდი ვაჟიდან ერთ-ერთი მცირენლოვანი მუცოს წყალში დახრჩობია.



მუესაგს მითხოელი ცოლი ჰყოლია. იმ ქალის ძმები მეფის რუსეთის მთავრობას რაღაცის გამო დაუსჯია და გაუციმბირებია. წლები წლებს მისდევდა და მათი დაბრუნების იმედი ყველას გადაეწურა. ერთხელ მუესაგის ცოლს მუცოში მძინარე მდინარისთვის მიუსწორია. მთიელთა რწმენით, მდინარის წყალი ზოგჯერ წამიერად იძინებს. თუ დაძინებულ წყალს რამეს ჩაუთქვამ, აუცილებლად შესრულდება. მუესაგის ცოლს მძინარე მუცოს-წყალი რომ უნახავს, მუხლებზე დამხობილა და შეუთხოვია: ძმები დამიბრუნეო! უცბად იქაურობა ახმაურებულა, წყალი ამძრავებულა და შეშინებულ ქალს დაუყვირია: – ვაიო! სწორედ იმ ადგილას, მდინარეში, ცოტა ხნის შემდეგ მცირენლოვანი ვაჟი დახრჩობია. თუმცა მისი ძმები ყველასთვის მოულოდნელად ციმბირიდან დაბრუნებულან.

აღსანიშნავია, რომ ბორჩას შთამომავლები ქრისტიანულ რელიგიასთან შერწყმულ ხალხურ წეს-ადათებს მისდევდნენ. მეუსაგი პირველი ყოფილა, რომელსაც მაჰმადიანობა მიუღია. მუესაგი, გადმოცემების მიხედვით, XIX საუკუნის 80-იან წლებში გამაჰმადიანებულა. როგორც მთხოვბელები აღნიშნავენ, ის გარდაცვალებამდე 27 წლის მანძილზე ყოველ დღე მარხულობდა, იმ ერთი დღის გარდა, როცა მუსულმანები ბაირამობას ზეიმობდნენ.

ერთხელ მუესაგის თხოვნით, მისი უმცროსი ვაჟი ბოოდი და მათი ნათესავი სოაიფა ბორჩაშვილი მუცოდან ჩეჩენეთში, კერძოდ, ვედენობში ნასულან და იქიდან ვიღაც წმინდა მოხუცი ხონისჭალაში სტუმრად წამოუყვანიათ, ალბათ ოჯახის დასალოცად. მუცოში რომ შემოსულან, წმინდა მოხუცს ერთი ხანდაზმული ხევსური დაუნახავს, რომელიც თავისი სახლის წინ იჯდა. ნათელმხილველი შეჩერებულა და ხევსურისთვის ყურება დაუწყვია. ბოოდს და სოიფას გზა გაუგრძელებიათ. როცა მოხუცი წამოენიათ, უკითხავთ:

— რატომ უყურებდი, რატომ მიაქციე იმ ხევსურს განსაკუთრებული ყურადღებაო?

ნათელმხილველს უპასუხია:

— ის კაცი უეჭველად სამოთხეში მოხვდებაო.

ბოოდს და სოიფას გაკვირვებულებს წამოუძახიათ:

— როგორ, ის ხომ ქრისტიანია?

მოხუცს უთქვამს:

— მერე რა, რომ ქრისტიანია! როცა სხვებს უჭირდათ, ეგურიგებდა მშივრებს საჭმელ-სასმელსო. ის ღმერთის მოწონებული კაცია და გარდაცვალების შემდეგ პირდაპირ სამოთხეში წავა. ასეთი გზა ნეტავ ჩვენც გვქონდესო!

ხონისჭალაში რომ მისულან, თურმე ბავშვები თამაშობდნენ. ბორჩაშვილების ერთ-ერთ გოგონაზე – ქააბიზე უთქვამს: – ამას ქრისტიანთან უწერია ცხოვრებაო.

მართლაც, მოგვიანებით ერთი ოსი ჩამოსულა ხონისჭალაში, ოფიცერი ყოფილა და იმას გაჰყოლია ქააბი ცოლად.

როგორც ცნობილია, კავკასიის მაღალმთიანეთში დუხჭირი ცხოვრების გამო სხვადასხვა თემები საქონლის გასატაცებლად ერთმანეთს თავს ესხმოდნენ. გამონაკლისი არც მიღმახევი ყოფილა. საქონლის სამწყემსად მთიელები მუდამ კბილებამდე შე-

იარაღებულები დადიოდნენ. თუმცა ხიფათის თავიდან აცილებას ყოველთვის ვერ ახერხებდნენ. ერთხელ მუესაგის ვაჟი ჩოქა თავის 12 წლის შვილ – ვისითასთან ერთად დაქუების ფერ-დობებზე ცხვარს აძოვებდა. მოულოდნელად თუშების რაზმი დასცემიათ. ჩოქა და მისი ვაჟი ვისითა მოუკლავთ, 1200 ცხვარი და 40-მდე ცხენი კი კახეთისკენ გამოურეკავთ. ჩოქას ერთი უზარმაზარი კავკასიური ნაგაზი ჰყოლია. ერთგული დარაჯი თურმე მეკობრებს ცხვარს არ ანებებდა. ბოლოს გამტაცებ-ლებს ისიც მოუკლავთ. ქისტური ადათით კი ძალის მომკვლე-ლიც მკაცრად ისჯება და ეს დანაშაული თითქმის ადამიანის სისხლს უსწორდება.

ეს ამბავი 1919 წლის აგვისტოსში მომხდარა. მუესაგის და-ნარჩენი ვაჟები ძმისა და ძმისშვილის მოკვლამ საშინლად და-ამნუხრა. მათი მამიდა, ლომომუროს ქალიშვილი, თუშებზე ყოფილა გათხოვილი. მუესაგის ვაჟებს განსაკუთრებით ის აღელვებდათ, რომ თუშებმა ნათესაობა დაივინყეს და შემზარავი მკვლელობა ჩაიდინეს. უმცროსი ძმები სისხლის ასაღებად აღმსდგარან. უფროს ძმას მათვის უთქვამს:

– ჩვენ ახლა მაგათ ვერ გამოვეკიდებით, ჯერ მაგათვის არ გვცალია, ჩვენს მკვდრებს უნდა მივხედოთ, დავმარხოთ და შურს მერე ვიძიებთო.


დახოცილები დაუკრძალავთ. იმავე წლის სექტემბერში მუესაგის ვაჟები და მათი ახლობლები, სულ რვა კაცი, კავ-კასიონზე გადმოსულა, დამნაშავეებს ჩასაფრებიან და 13 კაცი მოუკლავთ. როგორც იტყვიან, სისხლი აუღიათ და ისევ უკან, მუცოში დაბრუნებულან.

**XX** საუკუნის 20-იანი წლებიდან ადგილ-მამულის სიმცირისა და მეკობრეთა ხშირი თავდასხმების გამო ბორჩაშვილებმა მუ-ცოდან პანკისში გადმოსახლება დაიწყეს.

მუცოს ჭალა მეკობრე-მოთარეშე რაზმების გასასავლელ დერეფნად გადაიქცა, ამიტომაც მუცოში სიცოცხლე ჩაკვდა.

1926 წელს მუესაგის უმცროსმა ვაჟმა ბოლოდიმ ხევსურეთი დატოვა და პანკისში გადმოსახლდა. მან მამული ბანარაზე იყიდა და იქ დაბინავდა, თუმცა რამდენიმე წლის შემდეგ ბანარა ნაკრძალად გადაკეთდა და ბოლოდიც პანკისის ჩრდილოეთით, ტოლოში გადავიდა საცხოვრებლად. 1944 წელს საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებით, ტოლოშის მცხოვრებლებიც,

როგორც ნაკლებად კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვ-  
რები მოსახლეობა, ქვემოთ, ბარში გადმოასახლეს. 1944 წლიდან  
ბოლოდი ჯოყოლოში დამკვიდრდა და იქ გარდაიცვალა. დღეს  
ჯოყოლოში მისი შთამომავლები განაგრძობენ ცხოვრებას.



მუჯესაგის მეორე ვაჟი ფრუშქიე 1927 წელს ცოლ-შვილით  
პანკისში გადმოსულა, თუმცა ცხვარ-ძროხა მუცოში ჰყოლია  
დატოვებული და ახლა მის ჩამოსარეკად ასულა, რომ იმ სა-  
ქონლით პანკისში საცხოვრებელი სახლი ეყიდა. ფრუშქიე მუ-  
ცოში უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა. თურმე წვერს იპარ-  
სავდა. მასთან მეგობარი ხევსური მისულა, ხელში რევოლვერი  
სჭერია.

— აი, რა ვიყიდე, ნახეო. — უთქვამს რევოლვერზე.

ფრუშქიე მოტრიალებულა, რევოლვერს მოულოდნელად  
მხრით შეხებია. იარაღი გავარდნილა და ფრუშქიე სასიკვდილოდ  
დაჭრილა. სანამ მოკვდებოდა, ანდერძის დატოვება მოუსწორია,  
თავის ახლობლებს სთხოვდა, ხევსურზე სისხლი არ აეღოთ.

მუჯესაგის შვიდი ვაჟიდან ხუთი ხევსურეთშია დაკრძალული  
ერთი — ითუმყალეში და უმცროსი, ბოლოდი, როგორც ვთქვით, —  
ჯოყოლოში.

მუცოში ხევსურები ერთ ადგილს „ენარს“ ეძახიან, უმე-  
ტესად იქ სახლობდნენ ბორჩაშვილები. ბორჩაშვილები ცხოვ-  
რობდნენ აგრეთვე მუცოდან ოდნავ მოშორებით, მის დასავ-  
ლეთით, ხონისნელის ხეობაში, სადაც შედარებით უკეთესი სა-  
მეურნეო პირობები იყო შექმნილი. მუცოშიც და ხონისჭალაშიც  
შემონახულია მაშინდელი ქისტური საფლავები. ისინი მარტივი

აგებულებისაა და ისევე როგორც ჯოყოლოში, სოფლის შუაგულში განთავსებულ XIX საუკუნის II ნახევრის დროინდელ საფლავებზე, იქაც მინაში ვერტიკალურად დასობილი, გრძელი, საკმაოდ ფართო ფიქალის ფილებია აღმართული.

ადგილობრივი ხევსურები და ბორჩაშვილები ხონეს ჯვარში რელიგიურ დღესასწაულებს ერთად ზეიმობდნენ. მე ვიცნობდი მუცოში დასახლებული პირველი ქისტის ლოომურო ბორჩაშვილის შთამომავალს, კერძოდ, ლოომუროს შვილიშვილის, სახელად ბათეის შვილიშვილს – დაადეი ფასქოშას ძე ბორჩაშვილს. ის მუცოდან ჯოყოლოში 25 წლის ასაკში გადმოსახლებულა. 1995 წელს, როდესაც დაადეის შევხვდი, ის უკვე 80 წელს იყო მიტანებული.

– ჩვენთან, მთაში, რჯული არ განსხვავდებოდა, – მითხრა მოხუცმა, – ქრისტიანი და მაჲმადიანი არ განირჩეოდაო [51. 23].

დაადეი იყო ლოომუროს მეორე შვილის შოობურის შვილიშვილის ფასქოშას ვაჟი: ლოომურო → შოობურ → ბათეი → ფასქოშ → დაადეი. დაადეის შვილებიც პანკისის ხეობაში ცხოვრობენ.

რაც შეეხება ლოომუროს მესამე ვაჟის ბოლოთურის შთამომავლებს, ისინი, ისევე როგორც მუცოსა და ხონეში მცხოვრები დანარჩენი ბორჩაშვილები, 1951 წელს პანკისის ხეობაში გადმოსახლეს, რადგან, როგორც ცნობილია, 1944 წლის ამბების შემდეგ საბჭოთა ხელისუფლება მთიელებს ვეღარ ენდობოდა. ბორჩაშვილები პანკისში ჩამოსახლებიდან ორიოდე წლის შემდეგ, კერძოდ, 1953 წელს, სისხლის აღების ნიადაგზე ჩეჩენეთში გადასახლდნენ. ბოლოთურის შთამომავლები ძირითადად მთიან ჩეჩენეთში, ითუმყალესა და შატოის რაიონებში დასახლდნენ. ალსანიშნავია ისიც, რომ იმავე პერიოდში, 1956 წლიდან ჩეჩენებმა და ინგუშებმა შუა აზიდან სამშობლოში დაბრუნება დაიწყეს.

ბორჩაშვილების წინაპრის – ბორჩას ძმას გუნაშა რქმევია. როგორც ცნობილია, ბორჩაშვილების წინაპარს ხაიბაზიდან მაისტრი მოსვლამდე ერთ ხანს ხილდიჰაროში უცხოვრია. ამ ფაქტს გუნაშაშვილების ამბავიც ადასტურებს. მათი გადმოცემით, ხილდიჰაროში სამ ძმას – გუნაშას, ბორჩას და ჰოიძის ერთად უცხოვრიათ. ჰყოლიათ გასათხოვარი დაც. ერთხელ ძმები სათიბად ყოფილან წასულები. დას, რომელიც იმ დროს 17-

18 წლის იქნებოდა, ძმებისათვის სადილი წაუდია. გოგონა შინ რომ ბრუნდებოდა, ერთ ჩეჩენს მისთვის შეურაცხოფა მიუყენებია. ძმებს საღამოთი სახლში ყველაფერი შეუტყვიათ. გაცეცხლებულ ბიჭებს იარაღი აუსხამთ და ის ჩეჩენი მოუკლავთ. ცხადია, ამას მოსისხლეები არ აპატიებდნენ. გუნაშა, ბორჩა და ჰოიძი ხილდიპაროდან აყრილან და თავშესაფრის საძებნელად საქართველოსკენ წამოსულან. მთქმელის შენიშვნით, ჩეჩინეთში მუსულმანობა ფეხს ახლად იკიდებდა და ისინი ჯერ კიდევ ნაწილობრივ ქრისტიანობასაც მისდევდნენ.

ბორჩას თავისი და წამოუყვანია და ხევსურეთის სოფელ მუცოში დამკვიდრებულა. თუმცა სხვა ვერსიით, ბორჩა მაისტმი დასახლებულა, ხოლო მუცოში მისი შვილიშვილის შვილი ლომურო გადავიდა საცხოვრებლად.

ჰოიძი ფშავში დასახლებულა. მთქმელებმა არ იციან, ჰოიძის შთამომავლობა ამჟამად რა გვარით იხსენიება. ნათესაური კავშირი მასთან სამუდამოდ დაუკარგავთ.

მესამე ძმას გუნაშას ბეჭებზე დიდი ნიშანი ჰქონია, მზესავით მომრგვალო ხალი და ამიტომაც დაურქმევიათ „გუნაშა“. როგორც ჩანს, გუნაშა ღვთისგან ნაწილიანი ყოფილა. ასეთებს განგება განსაკუთრებულ ხვედრს უმზადებს ხოლმე. გადმოცემების მიხედვით, ნაწილიანი ყოფილა ქართული ხალხური ბალადების ტრაგიკული გმირი თორლვა ძაგანიც, რომელსაც „მარჯვინივ მზე წერებულიყვა, მარცხისკენ – მთვარის ნალევი“.

გუნაშა მთიანი ჩეჩინეთიდან ქომიტოს მთაზე გადმოსულა და თუშეთში, სოფელ ჭეშოს განაპირას დაბინავებულა. როგორც ჩანს, სოფელმა თავდაპირველად თავის წევრად არ მიიღო, მაგრამ მთის ადათით, უარის თქმაც არ შეიძლებოდა. სამი წლის განმავლობაში სოფლისდან მოშორებით, სიპი ქვებით აგებულ ქობში უცხოვრია. იმ ადგილს თუშები დღესაც „კანთუას ნაბინავარს“ (კანთ – ქისტურად ბიჭი) ეძახიან. სამი წლის მანძილზე გუნაშა ხალხს ეხმარებოდა, საქონელს მწყემსავდა, შეუსწავლია ქართული ენაც. ამიტომ მთელი სოფლის ნებართვითა და მხარდაჭერით იგი წევთხორის წმინდა გიორგის ყმა გამხდარა. გუნაშას წევთხორის წმინდა გიორგისთვის შეუფიცავს: „ჩემი შვილები შვიდ შვილამდე შენი ყმები იქნებიან“. ამის შემდეგ ის თემის სრულუფლებიან წევრად ითვლებოდა. სოფელი ჭეშო მდებარეობს პირიქითა ალაზნის მარცხენა ნაპირზე. სოფლის

თავზე არის ნასოფლარი, რომელსაც წევთხორი ჰქვია. როგორც ჩანს, გუნაშა წევთხორში მოსულა. სოფელ ჭეშოს დასავლეთით აღმართულია ჭეშოს მთა, რომლის წვერზეც მდებარეობს წმინდა გიორგის ხატი. გუნაშას ცოლად აბალოიძის ქალი უთხოვია.

ვ. ბარდაველიძის ცნობით, წევთხორი აბალოიძების ყოფილი სოფელია [10. 42]. გუნაშა თურმე ბევრს შრომობდა და ცხოვრებაშიც დიდი იღბალი ჰქონია. მასზე ამბობენ, დავლათიანი კაცი იყოო. აბალოიძის ქალთან გუნაშას სამი ვაჟი შესძენია: ივანე, თედო და ალექსი. ძმები რომ გაყრილან, სამას-სამასი მარტო ჭედილა შეხვედრიათ. გუნაშას რემაში საუკეთესო ცხენები ირეოდნენ და დოლში თურმე სულ პირველები მოდიოდნენ. მთქმელები დღემდე წარმოაქმნან ხალხურ ლექსი, რომელიც ჭეშოს კვირაცხოვლობაზე დოლში გამარჯვებულ გუნაშაიძის „თეთრონს“ ეხება:

„გუნაშაიძის „თეთრონი“,  
მხედარიც გამოგეცვალა,  
შენი შევარდნის მუხლებმა  
უკან გასწირა სუყველა“.

გუნაშას შვილები – ივანე, თედო და ალექსი თუშებს გუნაშაიძებად მოუნათლავთ. ისინი თუშებს ალვანში ჩამოსახლებისას თან გამოჰყოლიან. ალვნიდან კი თანატომელებთან, პანკისის ხეობის სოფელ ომალოში გადასულან და იქ დასახლებულან. სანამ ცოლებს შეირთავდნენ, გუნაშაშვილებად დაწერილან.

სოფელ ომალოში, რომელიც პანკისის ხეობის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ალაზნის მარცხენა მხარეს მდებარეობს, ძირითადად ხილდიპაროდან გადმოსახლებული ქისტები ცხოვრობენ. თუმცა იქ ექიდან, ჯაჩაროდან, მითხოდან და მთიანი ჩეჩინეთის სხვა კუთხებიდან მიგრირებული ცალკეული გვარების წარმომადგენლებიც დასახლდნენ. ამ გვარების მიგრაციის ისტორია იმითაც არის საინტერესო, რომ მთიანი ჩეჩინეთიდან წამოსვლის შემდეგ ისინი წლების მანძილზე ცხოვრობდნენ თუშეთა და ალვანში, სადაც ქართულ გარემოში გადმოსახლებულმა ქისტებმა ერთგვარი ადაპტაცია გაიარეს. მას შემდეგ, რაც მათ ქართული ენა და წეს-ადათები შეითვისეს, ომალოში დამკვიდრდნენ.

ქისტი ფარეულიძების წინაპარს, ბარძაგს, ხილდიჰაროში უცხოვრია. მას კაცი შემოკვდომია და თუშეთში გადმოსულა, რამდენიმე წლის განმავლობაში თუშებთან ერთად უცხოვრია და ბოლოს თუშ ფარეულიძებს თავიანთ გვარში მიუღიათ.

სხვადასხვა მიზეზით თემიდან თემში გადასვლა და პიროვნების სხვა გვარის წევრად მიღება ხშირად ხდებოდა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის თემებსა და ვაინახურ თეიფებში. გვარში მიღებას რიტუალური ხასიათი ჰქონდა.

ამჟამად ფარეულიძების ორი შტო არსებობს – თუში ფარეულიძები და ბარძაგის შთამომავლები – ქისტი ფარეულიძები. ქისტ და თუშ ფარეულიძებს დღემდე ნათესაური ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან.

ომალოელი იმედაშვილები საქართველოში თავიანთ პირველ მიგრანტ წინაპრად ენდის ასახელებენ. გადმოცემების თანახმად, ენდის ხილდიჰაროს სოფელ პყიორში უცხოვრია. პყიორიდან მოსისხლებს გამორიდებია და თუშებთში, გომენრის ხეობის სოფელ გოგრულთაში დამდგარა მწყემსად. იქ ენდის სამი ვაჟი შესძენია: ყელი, იმედა და ხვთისო. გოგრულთაში შავი ჭირი გაჩენილა და ისინი ადგილობრივ თუშებთან ერთად კახეთში, ზემო ალვანში, სანებასთან დასახლებულან. ეელის თუშის ქალი შეურთავს ცოლად და სოფელი ლალისყური აურჩევია საცხოვრებლად. ეელის შთამომავლები მის პატივსაცემად ახლაც აღიაძების გვარს ატარებენ. როგორც ამბობენ, იმედა თვითონ ენდის მოუყვანია ომალოში. ენდის მესამე ვაჟი, ხვთისო, უშვილიშვილი გარდაცვლილა.

გოგრულთაში მისულ ენდის ქრისტიანობა მიუღია და მისი შთამომავლები, იმედაშვილებიცა და ალიაძეებიცა, დღემდე თაყვანს სცემენ გოგრულთის ხატს. ომალოში ამჟამად იმედაშვილების 9 კომლი ცხოვრობს.

იმედაშვილების გვარის განაყრები არიან ისახაშვილები. გადმოცემის თანახმად, ერთ კაცს, გვარად იმედაშვილს, მკვლელობა ბრალდებოდა. თავისი უდანაშაულობის დასამტკიცებლად, ხალხური ადათის მიხედვით, როგორც წესი, მას უნდა დაეფიცა, მაგრამ რაღაც მიზეზის გამო დაფიცებაზე უარი განუცხადებია. ამიტომ გვარის უხუცესებს მკვლელობაში ეჭვმიტანილი გვარიდან მოუკვეთიათ. რადგან მოკვეთილის პაპას ისაყა ერქვა, ისახაშვილად დაწერილა. ამდენად, იმედაშვილები და ისახაშ-

ვილები გვარგანაყრები არიან და ნათესაობას დღემდე აგრძელებენ.

ომალოელი წუნაშვილებიც ხილდიპაროდან არიან გადმოსულები პანკისში. შერიფ წუნაშვილის გადმოცემით, ხილდიპაროში ყოფილა ციხე-სიმაგრე „ტიულ“, სადაც წუნაშვილების მითიურ წინაპარს, წიუხარგს, უცხოვრია. წიუხარგს ჰყოლია სამი ვაჟი: წუნა, საგაშ და ვუავერგი. წუნა ხილდიპაროდან მოსისხლე მტრებს გამორიდებია და ომალოში მოსულა. საგაშის და ვუავერგის შთამომავლებთან კი კავშირი დაკარგულა. ამჟამად ომალოში წუნაშვილების 22 კომლი ცხოვრობს.

წუნაშვილები და ცუხურკაიძეები ერთი სახლის განაყრები ყოფილან. ცუხურკაიძეების გვარი, შერიფ წუნაშვილის გადმოცემით, წიუხარგიდან უნდა მომდინარეობდეს. ცუხურკაიძეები თუშებიც არიან. თუში ცუხურკაიძეების დიდი ნაწილი XX საუკუნის მეორე ნახევარში ბირკიანიდან ზემო ალვანში გადასახლდა.

ტოხოსაშვილების წინაპარს ცოსკარას ხილდიპაროს სოფელ საქანში უცხოვრია. როცა ცოსკარა ომალოში მოსულა, იქ უკვე სახლობდნენ ქისტები. ცოსკარას ძმები და ბიძაშვილები ხილდიპაროში დარჩენილან. ამჟამად ისინი გაციევის გვარს ატარებენ. ცოსკარას სამი ვაჟი ჰყოლია: ჩილა, ხანე და მახამა. ჩილო ტოხოსაშვილის ცნობით, ცოსკარას წინაპარს ტოხოსა ერქვა და ამიტომ მისმა შთამომავლებმა გვარად ტოხოსაშვილი აირჩიეს.

ტოხოსაშვილები ძირითადად ომალოში ცხოვრობენ. მათი ნაწილი XX საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს, თუშების პანკისიდან ალვანში გადასახლების შემდეგ, ბირკიანში გადავიდა საცხოვრებლად. ამჟამად ომალოსა და ბირკიანში ტოხოსაშვილების 20-მდე კომლი ცხოვრობს.

წარმოშობით ხილდიპაროელები არიან ომალოში მცხოვრები ფხაკალაშვილებიც. რაუდენ ფხაკალაშვილის გადმოცემით, „ფრანა“ ქისტურ ენაზე ჰქვია სოფელს, ხოლო „ფრანკელ“ – სოფლის ბოლოს. მისი აზრით, ამ კომპოზიტიდან უნდა მომდინარეობდეს ფხაკალაშვილების გვარი და ქართულ ენაზე სოფლის ბოლოში მცხოვრებს აღნიშნავს. თუმცა უფრო სარწმუნოა, რომ ამ გვარის საფუძველი იყოს, როგორც წესი, ანთროპონიმი „ფხაკალ“. ფხაკალაშვილები ომალოში XX საუკუნის 30-იან წლებში დასახლდნენ და იქ ამჟამად 5 კომლი ფხაკალაშვილი ცხოვრობს.

პირველი მსოფლიო ომის წლებში ხილდიჰაროდან ომალოში გადმოსახლებულა ამაშაშვილების წინაპარი. გადმოსახლების მთავარი მიზეზი მთის მძიმე საყოფაცხოვრებო პირობები ყოფილა.

ომალოელი ალხანაშვილების წინაპარი ალხან ხილდიჰაროდან ჯერ თუშებთან ერთად აღვანები ჩასახლებულა, აღვანიდან კი ომალოში წასულა და საბოლოოდ იქ დამკვიდრებულა. ზოგიერთი ვერსიით, ალხანაშვილები თავდაპირველად პანკისის ხეობის ჩრდილოეთით, მის მთან ნაწილში, სოფელ ჩხათანაში დასახლებულან და საქონელი მოუშენებიათ. იქ ახლაც არის მათი საცხოვრებელი ადგილები.

ამჟამად ომალოში ალხანაშვილების 40 კომლზე მეტი ცხოვრობს. მაგრამ ეს გვარი სხვადასხვა წარმოშობის ხალხს აერთიანებს. ალხანიშნავია, რომ ალხანაშვილები სილნაღის რაიონის სოფელ ანაგაშიც ცხოვრობენ. ზოგიერთი ცნობით, ალხანაშვილების ერთ-ერთი შტო ანაგიდან არის მოსული ომალოში, სხვა ვერსიით, ისინი პანკისიდან გადასულან ქიზიყში.

ხილდიჰაროდან ციხესაშვილების პანკისში გადმოსახლებას გადმოცემა განგების ნებას მიაწერს. ციხესაშვილების წინაპრებს ხილდიჰაროს სოფელ ჭანგში მძიმე პირობებში უცხოვრიათ. ეს სოფელი მთის მიუვალ, კლდოვან ფერდობზე ყოფილა გამენებული. ერთხელაც ციხესაშვილების წინაპარი თავის ცოლთან ერთად თურმე ჭვავს თესავდა. თან მცირენლოვანი შვილი ჰყოლიათ. ბიჭი კლდეზე რომ არ გადავარდნილიყო, დაუბამთ. როცა თესვას მორჩილან, ბავშვი ვეღარ უნახავთ. უძებნია ცოლქმარს შვილი, უძებნია და ვერსად უპოვნია. მათ უფიქრიათ, მგზავრებმა ხომ არ წაიყვანესო. მთელი ჩეჩენთი მოუკლიათ. ბოლოს ამ ბავშვის მამასა და მის ძმებს – ციხეშას, თუნქუსა და ნასიპას – ძებნა-ძებნაში პანკისამდე მიუღწევიათ. მაშინ პანკისის ხეობა ჯერ კიდევ ტყით ყოფილა დაფარული. ომალოდან ნაქერალისკენ მიმავალ ბილიკს აჰყოლიან და დალამებიათ. საქოს წყაროზე ღამე გაუთენებიათ. ცეცხლი დაუნთიათ, უვახშმიათ და სანამ დაიძინებდნენ, სამივეს თავიანთი ჯოხები მიწაში ჩაურჭვიათ. გათენებისას, წასვლა რომ დაუპირებიათ, რას ხედავენ, ჯოხი განედლებულა და მასზე ჩიტის ბუდეებია გაკეთებული. ძმებს უთქამთ: – ეს განგების ნიშანია, როგორც ჩანს, აქ უნდა მოვიწყოთ ბუდეები, აქ უნდა ვიცხოვროთო. მათ ხელი-

სუფლებისთვის დასახლების ნებართვა უთხოვიათ და ხილდი-ჰაროდან ომალოში გადმოსახლებულან. ალექსი ციხესაშვილის გადმოცემით, ციხეშა, თუნქუ და ნასიპა ერთი მამის შვილები ყოფილან. ციხეშას შთამომავლობა ციხესაშვილების გვარს ატა-რებს, თუნქუს მოდგმა – თურქოშვილების გვარს, ნასიპას შთა-მომავლები კი ნასიპაშვილებად დაეწერნენ. ეს გვარები დღემდე აგრძელებენ ნათესაობას და მათ შორის ქორწინება დაუშ-ვებელია. ამჟამად ისინი ომალოსა და ბირკიანში მოსახლეობენ.

სხვა ვერსიით ნასიპაშვილები არიან თუშები და ისინი თუ-შეთის სოფელ დართლოდან ჩამოსახლებულან ბირკიანში. ნა-სიპაშვილები ბირკიანში ყურის წმინდა გიორგის ეკლესიაში ლოცულობენ და მისდევენ ქრისტიანულ ტრადიციებს.

ხალხური ზეპირი ტექსტებიდანაც ნათლად ჩანს, რომ სოფე-ლი ომალო ძირითადად ხილდიჰაროელებით ყოფილა დასახ-ლებული, ხოლო ჯოყოლო და დუისი მაისტელებით. ამიტომაც ომალოელთა მეტყველება, რომელიც უფრო ახლოს დგას ჩეჩენურ ენასთან, განსხვავდება ჯოყოლოური და დუისური კილოსაგან.

ხილდიჰაროდან მიგრირებული ქისტების გარდა ომალოში ცხოვრობენ ცალკეული გვარები, რომლებიც გადმოსახლდნენ მთიანი ჩეჩენეთის სხვადასხვა ადგილებიდან. ესენია: ტერელო, ექეი, ჯაჩარო და მითხო.

როგორც ომალოელმა ტასო ლაზარეს ასულმა გორნაკაშ-ვილმა მიამბო, გორნაკაშვილების ნინაპრებს ტერელოში უცხოვ-რიათ, სოფელ გიეზახში. ტიერხურ ჩეჩენურ ენაზე ნიშნავს ტერ-ლოელს. გორნაკაშვილები ტერელოელები არიან. სამი ძმა ნამო-სულა ტერელოდან: თათა, ტუნგო და ზურაბი. ისინი ჯერ თუ-შეთის ომალოში დაბინავებულან. შემდეგ, თუშების დიდი გად-მოსახლების დროს, მათ გამოჰყოლიან და ზემო ალვანში დასახ-ლებულან. ტუნგომ და მისმა შთამომავლებმა სამუდამო საც-ხოვრებლად ზემო ალვანი აირჩიეს. თათა და ზურაბი კი ალ-ვნიდან ჯერ ყვარელწყალში ამოსულან; იქ გაუგიათ, რომ პან-კისის ომალოში ქისტები ცხოვრობენ და სულ მალე მათ გვერ-დით დასახლებულან. თათასა და ზურაბის შთამომავლები გვა-რად გორნაკაშვილები არიან. ზემო ალვანში მცხოვრები ტუნგოს შთამომავლები კი, რომლებიც ქრისტიანობასა და ქართულ წეს-ადათებს მისდევენ, ზოგი ტუნგოშვილის გვარს ატარებს, ზოგიც გორნაკაშვილად დაეწერა. თათას, ტუნგოსა და ზურაბის შთა-

მომავლები დღემდე აგრძელებენ ერთმანეთთან ნათესაობას. ტასო გორნაკაშვილის გადმოცემით, თათა 1935 წელს გარდაცვლილა და ომალოს ძველ სასაფლაოზე განისვენებს.

პანკისის ხეობაში ექვიდან გადმოსახლებული ორი გვარი ცხოვრობს – ცათიაშვილები და ქუშანაშვილები. მათი გადმოსახლების მიზეზად ზეპირი გადმოცემები მთის მძიმე კლიმატურ პირობებს ასახელებენ. ერთხელაც, მკის დროს, ექვები თოვლი მოსულა და მთელი ჭირნახული, მოსავალი, თოვლის ქვეშ მოყოლილა. ამის შემდეგ ცათიაშვილების წინაპარს, სახელად ფულგას, და ქუშანაშვილების წინაპარს, ქუშაგს, ერთსა და იმავე დროს ექვი დაუტოვებიათ და თუშეთში გადმოსულან. იქ მათ რამდენიმე წელი უცხოვრიათ. ფულგას თუშეთში ვაჟი შესძენია და დაურჩევია ცათიიშ. მალე ფულგა თუშეთში გარდაცვლილა და იქ დაუკრძალავთ. მთიდან ბარში გადმოსახლების დროს ქუშაგი და ცათიიშ თუშებს ალვანში გამოჰყოლიან და იქ დასახლებულან.

93 წლის უნუზ ქუშანაშვილის გადმოცემით, თუშეთან მრავალწლიანი ცხოვრების შედეგად ქუშაგი და ცათიიშ თავიანთი ოჯახებით უკვე ქართულ წეს-ადათებს მისდევდნენ. ცათიიშს ალვანში ორი ვაჟი შესძენია: ხვიტი და თუნქუ. ცათიიშს ბარის სიცხე ვერ აუტანია, ციებ-ცხელება დამართნია და მალევე გარდაცვლილა. ის იქვე, ზემო ალვანში დაუკრძალავთ.

ცათიიშის მოულოდნელმა გარდაცვალებამ არა მარტო და-ამწუხრა ექვიდან გადმოსახლებული ქისტები, არამედ შეაშფოთა კიდეც. მათ ალვანი დატოვეს და გეზი კვლავ თუშეთისკენ აიღეს.

უნუზ ქუშანაშვილის ცნობით, ცათიიშის ვაჟებს ხვიტის და თუნქუს, და ალბათ ქუშაგსაც, ლეჩურიდან ნაქერალზე გადასვლის დროს პანკისისკენ გადმოუხედავთ და ხორეჯოს ხეობა დაუნახავთ. მოსწონებიათ ის ადგილი თავისი მთებითა და ტყეველებით. როგორც აპმად ცათიაშვილმა მიამბო, „თუშეთისკენ მიმავლებს მეეწონათ ის ადგილი, იქ იყო მთაც, ველიც, ტყეც. უთქვამთ: – აქ ცხოვრება შეიძლება“.

ცათიაშვილებსა და ქუშანაშვილებს ხორეჯოში თავიანთი კუთვნილი საქონელი მოურეკავთ. როგორც მთაში იციან, სიპი ქვით, მშრალი წყობით, კირის გარეშე სახლები აუშენებიათ, სიპი ქვებითვე დაუხურავთ და ცხოვრება დაუზყიათ. ხორეჯოში მესაქონლეობის განვითარებისთვის საუკეთესო ბუნებრივი პი-

რობები არსებობდა. ოჯახები ეკონომიკურად გაძლიერებულან. ცათიაშვილები და ქუშანაშვილები გამრავლებულან: თუნქუს ხორეჯოში ცხრა ვაჟი და ოთხი ქალიშვილი შესძენია, ხოლო ხვიტის – ოთხი ვაჟი და ოთხი ქალი.

უნუზ ქუშანაშვილის გადმოცემით, თუნქუ (ფულგა – აპმად ცათიაშვილის ცნობით) იყო ცათიაშვილების, ხოლო ფუნჯა ქუშანაშვილების გვარის წინაპარი. ისინი ერთმანეთს არ ენათესავებოდნენ. მხოლოდ ერთი კუთხიდან, ექვიდან, იყვნენ პანკისში მოსულები.

ხორეჯოში ცათიაშვილები ამჟამად აღარ ცხოვრობენ. საბჭოთა ხელისუფლებამ ისინი, როგორც მთიელები, კოლმეურნეობების ჩამოყალიბების პერიოდში (ზოგიერთი ვერსიით მეორე მსოფლიო ომის წლებში) პანკისის ხეობის ბარის სოფლებში ჩამოასახლა. თუნქუს და ხვიტის შთამომავალთა უმრავლესობა ხორეჯოდან ხალანანში გადასახლდა, ზოგიც ქორთაბუდეში, ქორთაბუდიდან კი XX საუკუნის 50–60-იან წლებში ბირკიანსა და ძიბახევში დამკვიდრდნენ. ქუშანაშვილები კი ბირკიანში ჩამოსახლდნენ.

უნუზ ქუშანაშვილის ცნობით, ქუშანაშვილების გვარი, ისევე როგორც ქისტების უმრავლესობა, XX საუკუნის ბოლომდე ქრისტიანობას მისდევდა. ისინი ჯოყოლოს მარიამ ღვთისმმობლის ეკლესიაში ინათლებოდნენ, ინერდნენ ჯვარს, აგრეთვე სალოცავად მიდიოდნენ ბირკიანში, ყურის წმინდა გიორგის ხატში.

პანკისის ხეობაში ქუშანაშვილების მეორე შტო, მეორე ჩამომავლობაც ცხოვრობს. ექვიდან ხორეჯოში ჩამოსახლებულ ქუშანაშვილს თავისი ერთ-ერთი ქალიშვილი ჩეჩნეთში გაუთხოვებია. სიძე, რომელიც ხილდიპაროელი ყოფილა, სოფელ ჩამლიდან, მალევე გარდაცვლილა. დარჩენია მცირენლოგანი ვაჟი, სახელად ლეჩა. ქუშანაშვილებს ლეჩა დედასთან ერთად ჩეჩნეთიდან ხორეჯოში წამოუყვანიათ და ბავშვისთვის თავიანთი გვარი მიუციათ. ქუშანაშვილების მეორე შტოს ხილდიპაროელმა ლეჩამ დაუდო სათავე. ლეჩას მხოლოდ ერთი ვაჟი ჰყოლია – გიორგი. გიორგი მის დეიდაშვილს, პანკისის ხეობის იმდროინდელ მამასახლისს – ლაბო გუმაშვილს ჯოყოლოში, თავის მეზობლად, დაუსახლებია. გიორგის 11 ვაჟი და 9 ქალი შესძენია. ქუშანაშვილები ამჟამად ძიბახევში, ბირკიანსა და ჯოყოლოშიც მოსახლეობენ.

სხვადასხვა კუთხიდან მოსულ, სხვადასხვა წარმოშობის ხალხს აერთიანებს დუისში ქავთარაშვილების გვარი. ისინი იქ 140 კომლამდე იქნებიან. ქავთარაშვილების ძირითადი შტო ინგუშეთის სოფელ ექაუიდან წამოსულა და ისინი, როგორც მთი-ელები ამბობენ, ღილლური წარმოშობისანი არიან. მათი ჩამო-მავლები დუისში ამჟამად 50 კომლამდე ცხოვრობენ. რაც შე-ეხება დანარჩენ ქავთარაშვილებს, ისინი წარმოშობით სხვა გვა-რისანი არიან, მაგრამ დუისში მოსვლის შემდეგ განსაზღვრული წესისა და ადათის დაცვით ქავთარაშვილებს თავიანთ გვარში მიუღიათ.

სოფელი ექაუი, საიდანაც ქავთარაშვილების წინაპარი პან-კისში გადმოსახლებულა, ნაზრანის მახლობლად მდებარეობს. იქ სამ ძმას ქართოევებს უცხოვრიათ. ერთი ძმა, სახელად მუსა, პანკისის ხეობაში წამოსულა. ხოლო ორი ძმა კი ინგუშეთში დარჩენილა. მათი შთამომავლობა ინგუშეთში საკმაოდ გამრავ-ლებულა. ამჟამად იქ ქართოევების მთელი უბანია, სადაც მხო-ლოდ მათი გვარის ხალხი ცხოვრობს.

მუსა დუისში XIX საუკუნის II ნახევარში უნდა მოსულიყო. რადგან მუსამ მუდმივ საცხოვრებლად საქართველო აირჩია, თავისი გვარისთვის ქართული დაბოლოება მიუცია და ქავთა-რაშვილად დაწერილა.

1886 წლის მარტში აზნაურ კობიაშვილის ძალადობით შე-წუხებულ მუსა ქავთარაშვილს, რუსულ ენაზე დაწერილი საჩივ-რით მიუმართავს კავკასიის მხარის სამოქალაქო ნაწილის მთა-ვარმართებლისთვის, რომ დაუბრკოლებლად ესარგებლა ხა-ლაწნის მიწებით [75].

აღსანიშნავია ისიც, რომ თუ ინგუშეთში ქართოევების გვარია, მთიან ჩეჩენეთში, მითხოს საზოგადოებაში იყო თეიფი, რომალსაც ერქვა ქორათხოი. „ქორათხოი“ ვაინახური გვარისა და თეიფის ქართულ სამყაროსთან აშკარა სიახლოვეზე მიუთი-თებს. შესაძლოა, ქართოევების წინაპრები ოდესლაც საქართვე-ლოდან გადავიდნენ ჩეჩენეთ-ინგუშეთში.


ყაზბეგში მცხოვრები ქავთარაშვილები კი, როგორც ამბო-ბენ, ინგუში ქართოევების ჩამომავლები არიან. ირკვევა, რომ საქართველოდან ჩეჩენეთ-ინგუშეთში და იქიდან საქართველოში ხალხთა მიგრაცია საუკუნეების მანძილზე განუწყვეტლივ მიმ-დინარეობდა.

მუსას შვილს, ბათაყას, დუისში ორი ვაჟი შესძენია – ბაფეი და ადო. ბათაყა დიდძალი ქონების პატრონი ყოფილა. მას ჰყოლია ორი ათასი სული ცხვარი, უამრავი მსხვილფეხა პირუტყვი, ცხენი და სხვ.

ბათაყა ცალთვალა ყოფილა და მას „ბრუციან ბათაყას“ სახელით იცნობდნენ. ბათაყას თავისი ცხვრის გამოსაზამთრებლად ელდარში ოქროზე ვრცელი საძოვრები უყიდია. ნასყიდობის საბუთს მისი შთამომავლები დღემდე ინახავენ. სოლცა ქავთარაშვილის გადმოცემით, „ფულით გატენილ გუდას ბათაყა ბალიშად ხმარობდა“.

ბათაყა 107 წლის გარდაცვლილა. ის ხელგაშლილი და პურმარილიანი კაცი ყოფილა. დაჩაგრულ-დავრდომილები თურმეძალიან ეცოდებოდა და მათ სურსათით, ცხვრითა და ფულით ხშირად ეხმარებოდა.

ამრიგად, ბათაყას შთამომავალი ქავთარაშვილები ლალური წარმოშობის ქისტები არიან. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ქავთარაშვილების გვარი სხვადასხვა კუთხიდან მოსულ, სხვადასხვა ჩამომავლობის ხალხს აერთიანებს. ასე მაგალითად, XX საუკუნის დამდეგს ზემო აღვნიდან დუისში გადმოსულა თუგი ქავთარაძე, თან თავისი ვაჟი სახელად გიო და შვილიშვილი მათე წამოუყვანია. დუისში მათ ქავთარაშვილების გვარი მიუღიათ. თუგი წარმოშობით თუშეთის სოფელ ჭეშოდან



ყოფილა. მას კიდევ ორი ძმა ჰყოლია. რამაზ მათეს ძე ქავთარაშვილის ცნობით, თუგის ერთი ძმა დარჩენილა ჭეშობი, მეორე კი სტეფანენმინდაში წასულა და იქ დასახლებულა. თუგი 1882

წელს დაბადებულა. თუგის მეორე ძმის შთამომავლები ამჟამად ზემო ალვანში ცხოვრობენ.

ჯაჩიაროდან პანკისის ხეობაში რამდენიმე გვარია გადმოსული. ღუზარაულები სისხლის აღების ადათის გამო ჯაჩიაროდან მოსისხლეებს გამორიდებიან და თუშეთის სოფელ გირევში მოსულან. იქიდან ჯერ ზემო ალვანში დასახლებულან, მაგრამ ბარის სიცხე ვერ აუტანიათ და პანკისის ხეობა აურჩევიათ საცხოვრებლად. ღუზარაულების გვარიდან პირველი მირზა დასახლებულა ომალოში, ზოგიც ბირკიანში, თუშების მეზობლად, დაბინავებულა. ვახტანგ ჰუნაის ძე ღუზარაულის ცნობით, ღუზარაულთა ის ნაწილი, რომელიც ომალოში ცხოვრობს, ქისტურ წეს-ადათებს იცავს, ხოლო ბირკიანში ჩასახლებული ღუზარაულები ქართულ ტრადიციებს მისდევენ. ბირკიანელი ღუზარაულები გა-დასახლდნენ.

ჯაჩიაროდან თუშეთში მოსვლის შემდეგ ღუზარაულები თაყვანს სცემენ ჰელოს ხატს. ამჟამად ღუზარაულებს ჰელოს ხატის ნიში გადმოტანილი აქვთ ზემო ალვანში. ქართველ და ქისტ ღუზარაულებს ერთმანეთთან ნათესაური კავშირი არ დაუკარგავთ.

კუშტანაშვილების წინაპარიც, ღუზარაულების მსგავსად, ჯაჩიაროდან თუშეთის სოფელ გირევში გადასულა საცხოვრებლად. იქ თუშის ქალი შეურთავს ცოლად. მოგვიანებით ის პანკისის ომალოში დასახლებულა და გამრავლებულა. ამჟამად ომალოში 25 კომლი კუშტანაშვილი ცხოვრობს.

საქართველოსა და ჩეჩენეთის მთიანეთში მიმდინარე მიგრაციულ, ეთნიკურ და რელიგიურ პროცესებზე მეტად საყურადღებო ცნობებს გვაწვდის ღანიშაშვილების გვარის ანდრეზი.

პანკისის ხეობაში, კერძოდ, ბირკიანსა და ომალოში, ამჟამად ღანიშაშვილების ორი შტო ცხოვრობს. მათ სხვადასხვა წარმოშობა აქვთ. ღანიშაშვილების უმრავლესობა პანკისის ხეობაში მთიანი ჩეჩენეთიდან, კერძოდ, ჯაჩიაროდან გადმოსახლებულა. ჯაჩიარო და ექვემდებარებული მთიან ჩეჩენეთში ხილდიჰაროს მახლობლად მდებარეობს.

ღანიშაშვილების წინაპრებს, სანამ ჯაჩიაროში დასახლდებოდნენ, ჯერ დაიში უცხოვრიათ. დაის ხეობაც მთიან ჩეჩენეთში მდებარეობს. არსენ ღანიშაშვილის გადმოცემით, მათი გვარის

ერთი კაცი ყოფილა ტანდაბალი, მეტად ავი და ბოროტი, სახელად ცჯასაგი. ცჯასაგს დაიში სხვა გვარის კაცი მოუკლავს. იმ დროს, – არსენ ლანიშაშვილის ცნობით, – თუ კაცს მოკლავდნენ, მკვლელის გვარი ტოვებდა მთელ ქონებას: კარმიდამოს, მამულს, ავლადიდებას, ბოლოს საცხოვრებელი ადგილიდან იყრებოდნენ და სამკვიდრებელს იცვლიდნენ. ისინი ჯაჩაროში გადასულან. ჯაჩაროშიც ცჯასაგს კაცი მოუკლავს. ლანიშაშვილების წინაპრები კვლავ აყრილან, მაგრამ ცჯასაგისთვის ჩადენილი დანაშაული აღარ უპატიებიათ და მისთვის თვითონვე გამოუტანიათ სასიკვდილო განაჩენი.

„ჯაჩაროდან პირველი მოუსაგი წამოსული თუშეთში, – მიამბო არსენ ლანიშაშვილმა, – რომელ სოფელში არ ვიცი. ცხვარში რო ვიყავი, ლანიშაანთ ციხეაო, – ამბობდნენ. ჯვარბოსელი რო არი თუშეთში, სოფელი, იმის პირდაპირ დგას ნაციხერები, იქ არის“.

მოუსაგს თუშეთში ქრისტიანობა მიუღია, შეუთვისებია ქართული ენა და წეს-ადათები. იქიდან ლანიშაშვილების წინაპარი პანკისის ხეობის სოფელ ომალოში ჩამოსულა. მას ლანიშა რქმევია და ჯაჩაროდან წამოსული ლანიშაშვილების გვარიც მისი სახელისგან მომდინარეობს. მათ თიანელ და ილტოს ხეობაში მცხოვრებ ლანიშაშვილებთან ნათესაობა არ აკავშირებთ. არსენ ლანიშაშვილის ცნობით, ომალოში ერთად მოსულან ლანიშა და მისი ძმა გიკო. ამრიგად, ჯაჩაროდან ომალოში გადმოსულ ლანიშაშვილების შტოს მათ დაუდეს სათავე. ამჟამად მათი გვარის სულ რვა კომლი ცხოვრობს პანკისის ხეობაში: ხუთი ომალოში და სამი ბირკიანში. ბირკიანში ლანიშაშვილები **XX** საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს, თუშებისგან ამ სოფლის დაცლის შემდეგ გადავიდნენ საცხოვრებლად.

ლანიშაშვილები პანკისი ხეობაში ჩამოსახლების შემდეგ, ისევე როგორც ქისტების უმრავლესობა, ქრისტიანულ წეს-ჩვეულებებს მისდევდნენ. არსენ ლანიშაშვილმა ჩემთან საუბარში აღნიშნა: – ადრე, ჩემს ახალგაზრდობაში, ომალოში 3-4 კაცი იყო მაპმადიანი, დანარჩენები ხატში ლოცულობდნენო.

ლანიშაშვილების მეორე შტოს ერთ-ერთი ნარმომადგენელი თიანეთიდან წამოსულა და პანკისის ომალოში დამკვიდრებულა. იქ დღეს მათი შთამომავლებიც განაგრძობენ ცხოვრებას. მათ წინაპარს თავდაპირველად მითხოში უცხოვრია.

პანკისის ხეობის გარდა ამ შტოს წარმომადგენელი ღანიშაშვილები ამჟამად მოსახლეობენ თიანეთის სოფლებში, ილტოს ხეობაში, ახმეტასა და სხვა ადგილებში.

ლეილა მარგოშვილის ცნობით, ღანიშაშვილების წინაპარი, ვინმე დაადა, მთიანი ჩერჩეთიდან, კერძოდ მაისტიდან, სისხლმესისხლეობის გამო თავისი ოჯახით ფშავში წამოსულა და სოფელ უძილაურთაში დაბინავებულა [55. 45].

სხვა ვერსიით, ღანიშაშვილების წინაპარი, რომელსაც სამი მცირენლოვანი ვაჟი ჰყოლია, მოთხოში მოუკლავთ, ალბათ სისხლის აღების ნიადაგზე. მტრები მის შთამომავლებსაც თურმე დაწილებით ემუქრებოდნენ, ამიტომ საბრალო დედას – დეშის, თავისი ობლები – თაჩო, ომა და ღანიშა მითხოდან ფშავის სოფელ უძილაურთაში წამოუყვანია. დედა კოპალის ხატს შევედრებია, რამდენადაც ქალს ხატთან მიახლოების უფლება ჰქონდა, იმ მანძილზე მისულა და ვაჟები თავისი ხელით კოპალას ხატისთვის შეუგორებია. თან უთქვამს: – დალოცვილო, გმირო კოპალაო, გადამირჩინე ბავშვები და შვილით შვილამდე შენი ყმები იქნებიანო. ლ. მარგოშვილის ცნობით, „ხატში გარევის დროს ბავშვებისთვის თმები შეუჭრიათ და იქვე ხატის გვერდით იფნის ხის ფუღუროში ჩაუდვიათ. იმ დღიდან დაადას ჩამომავლობამ კოპალას ხატში დაიწყო სიარული. როცა თაჩო, ომანა და ღანიშა წამოზრდილან სოფელ უძილაურთადან წამოსულან ჩაბანოში და ტყის ძირში დაბინავებულან, რის შემდეგაც ამ ადგილსაც ღანიშანები უწოდეს. აქ დამკვიდრების შემდეგ ღანიშა წასულა მოთხოში, წამოულია ერთი დიდი ქვა, შეულოცავს სამი ცხვრის სისხლით (სამი ძმის სახელზე) და ახლად აშენებულ სალოცავ „იარდას“ კედელში ჩაუტანებია. შემდგომ ეს სალოცავი დანგრეულა, მაგრამ მის ადგილზე თამარ ღანიშაშვილს თავად აუგია იმავე სახელწოდების ნიში“ [55. 45–46]. აღსანიშნავია, რომ ღანიშაანთ თამარი ხატის განთქმული მსახური ყოფილა. მასთან საკურთხებლად და რჩევის მისაღებად მთის ხეობებიდან აუარებელი ხალხი მიდიოდა.

სხვა ვერსიით, თაჩო და ომა რომ გაზრდილან, სხვადასხვა ადგილას წასულან საცხოვრებლად. მათი შთამომავლები რა გვარისანი არიან, ან სად დამკვიდრდნენ დღეისთვის უცნობია. უძილაურთაში დარჩენილა მესამე ძმა ღანიშა. მას სამი ვაჟი შესძენია. ერთი წასულა ხევსურეთში და ღანიშაურების გვარს

დაუდო საფუძველი. როგორც ამბობენ, მას გორშელმის ხეობაში, სოფელ წადუში უცხოვრია. ხევსური ღანიშაურების გვარმა XX საუკუნის 60-იან წლებამდე მოაღწია. XX საუკუნის 60-იან წლებში ფოლკლორისტ გიორგი ჯაფარიძეს ბარისახოს სკოლა-ინტერნატში მოსწავლე მარინა ღანიშაურისგან გამოცანები ჩაუწერია. როგორც ირკვევა, ის გოგონა ყოფილა ღანიშაურების ერთ-ერთი უკანასკნელი წარმომადგენელი, თუმცა ღანიშაურები ერთ დროს ძალიან შეძლებულად ცხოვრობდნენ, რაც მეტად ამპარტავნული ტონით არის გადმოცემული ხალხურ ლექსში:

„ხევსური ამბობს, ღანიშა:  
– კაცი ვერ მჯობის ბარისა,  
ჩარგალში მაქვის მამული,  
სამოცი ულელ ხარისა!“.

ღანიშას მეორე ვაჟი თუშეთში გადასულა და მისი შთამო-მავლები ღაზიაიძებად დაწერილან. ხოლო ღანიშას მესამე ვაჟის მოდგმა უძილაურთადან ივრის ხეობაში გადასულა და გოჯი-აანების ახლოს სოფელი ღანიშაანები დაუარსებია. ერთ დროს იქ თურმე ღანიშაშვილების 45 კომლს უცხოვრია. მოგვიანებით ისინი თიანეთის სოფლებში, ახმეტაში, ილტოსა და პანკისის ხეობებში, თბილისასა და სხვა ადგილებში გაფანტულან.

ღანიშაშვილებს ძლიერ სწამდათ კოპალას სალოცავი. ილ-ტოს ხეობის სოფელ ჭართალაში გადასულმა ღანიშაშვილებმა ივრის ხეობიდან კოპალას ნიში გადაიტანეს.

როგორც წესი, რელიგიურ დღესასწაულებზე თითოეულ გვარს ხატში თავ-თავისი კუთვნილი ადგილი აქვს მიჩენილი, სადაც სახატო სუფრა იშლება. ღანიშაშვილების ადგილი კოპა-ლას ნიშთან ყველაზე ახლოს მდებარეობს, რაც მათ ხატისგან რჩეულობაზე მიუთითებს. ღანიშაშვილები ხატის მსახურები ყოფილან.

ტრადიციულად კოპალას ყმები თავიანთ სალოცავს ერთი და მეტი წლის კურატებს ცოცხლად სწირავდნენ, ამიტომ კოპალას ბლომად ჰყავდა კურატები. ჭართალაში კოპალას ნიშის სი-ახლოვეს დღემდე არის შემორჩენილი საბერო და საკურატე. ღა-

ნიშაშვილები კოპალას კურატებს უკლავდნენ. ალ. ოჩიაური წერს, რომ, ხალხის რწმენით, კოპალას თვითონ ჩაუბარებია ღანიშაანებისთვის თავისი კურატები და ღანიშაშვილები ხატში დასტურ-ხევისბრობდნენ კიდეც [70. 125].

როგორც მთხრობელები აღნიშნავენ, თიანეთიდან პანკისის ხეობაში გადასულ ღანიშაშვილს ომალოელი ქისტი ქალი შეურთავს და იქ დამკვიდრებულა. მას მამა-პაპის სალოცავი არ დავიწყებია და კოპალას ნიში ომალოში გადაუტანია.

სხვადასხვა სოფლებში გაფანტულ ღანიშაშვილებს დღემდე ახსოვთ თავიანთი წარმომავლობა. ისინი ხშირად იკრიბებიან ივრის ხეობაში და კოპალას სადიდებლად საერთო რელიგიურ დღესასწაულს, იხინჭობას აღნიშნავენ.

მითხოდან გადმოსახლებული ქისტები პანკისის ხეობის თითქმის ყველა სოფელში ცხოვრობენ.


გუმაშვილები, ალბუთაშვილები, მახაურები და ცისკარაშვილები ერთი წარმოშობის ქისტები, ტომით მითხოელები არიან. ისინი, როგორც ამბობენ, ერთი დედ-მამისგან მოდიან და მათ წინაპრებს მითხოში, სოფელ ქომალხოსა და ბასთში უცხოვრიათ. ამიტომ გუმაშვილები, ალბუთაშვილები, მახაურები და ცისკარაშვილები წარმოშობით როგორც ბასთელებად, ასევე ქომალხოელებადაც ითვლებიან.

მითხო, რომელსაც ვაინახები მელხისტს ეძახიან, უშუალოდ ხევსურეთს, შატილის მხარეს ესაზღვრება.

გადმოცემების მიხედვით, გუმაშვილების, ალბუთაშვილების, მახაურებისა და ცისკარაშვილების წინარების პანკისის ხეობაში დამკვიდრება ერთბაშად არ მომხდარა.

ცისკარაშვილების წინაპარი, როგორც გადმოცემებიდან ირკვევა, მთიანი ჩეჩინეთიდან პირდაპირ პანკისის ხეობაში დასახლებულა. ზოგიერთი ვერსიით, ცისკარაშვილის წინაპარი ცოსკარა ბასთიდან მოსისხლე მტრებს გამორიდებია. ერთ-ერთი გადმოცემის თანახმად, ცოსკარა მამით ობოლი ყოფილა და ის

დედასა და უმცროს ძმასთან ერთად ცხოვრობდა ბასტში. მას ბასტში ჰქონია მამის დანატოვარი სახნავ-სათესი მიწები და სათიპები. ცოსკარა პატიოსნად შრომობდა, მისდევდა მიწათ-მოქმედებას, ძირითადად კი მესაქონლეობას. მაგრამ მტრები და მოშურნები ობოლს მოსვენებას არ აძლევდნენ. ქეიხოს შთა-მომავლებმა მისი დაჩაგვრა მოინდომეს.



ერთ საღამოს ცოსკარამ თავის სათიპში ანთებული ცეცხლი დაინახა. თურმე ქეიხოს ვაჟებს, ორ ძმას, თავიანთი ცხვარი ცისკარას ადგილ-მამულში მიერეკათ. ცისკარა მისულა და უთხოვია, რომ ცხვარი სხვაგან გაერეკათ. მაგრამ ქეიხოს ვაჟებს ცოსკარასთვის დაცინვა დაუწყიათ. ცოსკარას დამცირება ვერ აუტანია და ჩეუბი ატეხილა. ამ ჩეუბში ცისკარას ორივე ძმა შემოაკვდა.

შექმნილი ვითარებიდან სხვა გამოსავალი არ იყო და ცოსკარას მითხო დაუტოვებია, ის ხილდიპაროს მთებში გადასულა, ბოლოს თავშესაფარი მაისტის სოფელ ფუალში უპოვნია. ცოსკარას მოსისხლეებს შეუტყვიათ მისი ადგილსამყოფელის შესახებ. ცოსკარა იძულებული გამხდარა მაისტიც დაეტოვებინა. მას ტუგელები და ფუალელები დახმარებიან და საქართველოში, პანკისის ხეობაში გადმოუყვანიათ. შესაძლოა, ცოსკარა ჯოყოლას მეთაურობით პანკისში გადმოსახლებულ მაისტელებსაც გამოჰყვა. ცისკარაშვილების გვარი პანკისში გადმოსახლების დღიდან, ისევე როგორც ქისტების უმრავლესობა, ქრისტიანულ წესადათებს იცავდა, აღნიშნავდა ბალთაგორობას, კვირაცხოვლობას, ალავერდობასა და სხვა რელიგიურ დღესასწაულებს.

რაც შეეხება გუმაშვილების წინაპარს, ის მითხოდან ჯერ თუშეთში გადმოსულა. იქ მას ვაჟი შესძენია, სახელად ამაშა. ამაშა თუშეთიდან ალვანში ჩასულა, სადაც ის თუშ ქალზე დაქორწინებულა და ვაჟი ჰყოლიათ, დაურქმევიათ გუმა. გუმას ალვანში შეუტყვია, რომ ხორბალოში მისი ბიძაშვილები ცხოვრობდნენ, კერძოდ, ალბუთას შთამომავლები, რომლებიც მითხოდან ჯერ ფშავში დასახლებულან, შემდეგ თიანეთში და ბოლოს ხორბალოში. მამის გარდაცვალების შემდეგ გუმა წასულა ხორბალოში და თავის ნათესავ ალბუთაშვილს შეხვედრია. ბოლოს, იქ, მასთან ახლოს დასახლებულა. გუმას შესძენია ერთი ვაჟი ჰასანა. ჰასანას პირველი ცოლისგან ჰყოლია ორი ვაჟი: ხვიტი და ქაიხოსრო (ქასა), ხოლო მეორე ცოლისგან – ცუნკური. ხვიტის და ქაიხოსროს ბევრი ცხვარი ჰყოლიათ. ერთხელ ისინი თავიანთი ცხვრის ფარით პანკისის ხეობაში ასულან, ჯოყოლოს განაპირას დამდგარან და ცხვარს აძოვებდნენ. ჯოყოლოელები ხვიტის და ქაიხოსროს წინააღმდეგ აღმსდგარან: – ჩვენს კუთვნილ ტერიტორიაზე ცხვარს რატომ აძოვებთო!

ჯოყოლოში მცხოვრებ ცისკარაშვილებს შეუტყვიათ, რომ ხორბალოდან ამოსული ხვიტი და ქაიხოსრო, რომლებსაც ჯოყოლოელები დარეოდნენ და გაყრას უპირებდნენ, მათი ბიძაშვილები ყოფილან. ამიტომ ისინი თანასოფლელთა რისხვისაგან დაუცავთ. ცისკარაშვილებმა მათ ხორბალოდან პანკისში გადმოსახლებაც ურჩიეს.

ხვიტი და ქაიხოსრო სოფელ ჯოყოლოს ბოლოში დასახლებულან. ამჟამად იქ გუმაშვილების უბანია. ქაიხოსრო 1892 წელს

გარდაცვლილა. ქაიხოსროს საფლავის ქვაზე ჯვარი იყო გამოსახული, რომელიც 1999 წელს ამოტებეს. წარწერა კი კვლავაც იყითხება: „აქ განისვენებს ქაიხოსრო ჰასანას ძე გუმაშვილი. წამკითხველო, შენდობა მაღირსე“.


ჰასანას მესამე ვაჟი – ცუნკური ხორბალოდან დუისში გადმოსულა, სადაც მის დედეულებს უცხოვრიათ. დუისელი გუმაშვილები ცუნკურის შთამომავლები არიან.

ალბუთას შთამომავლების ნაწილი ხორბალოდან პანკისის ხეობაში გადასახლდა, ნაწილიც კახეთის სხვა სოფლებში. დუისელი ნაციშვილები წარმოშობით ალბუთაშვილების შთამომავლები არიან. ისინი, როგორც აღვნიშნეთ, მათხოდან ჯერ ხორბალოში, ხოლო შემდეგ ხორბალოდან დუისში გადმოსახლებულან. რუთი ალბუთაშვილი დუისში ნაციშვილების გვარში მიუღიათ და ნაციშვილად დაწერილა. ის მაშინ ჯერ კიდევ ქრისტიანობას აღიარებდა. მისთვის ძორძი ბორჩაშვილს ქალიშვილი მიუთხოვებია. ამის შემდეგ რუთი დუისის მეჩეთში მისულა, მაჰმადიანობა მიუღია და ამ რელიგიის ერთგული მიმდევარი გამხდარა.

როგორც ქისტები ამბობენ, ცისკარაშვილების, გუმაშვილებისა და ალბუთაშვილების განაყრები არიან მახაურები. მახაურების კერა თავდაპირველად მითხოს სოფელ ქომალხოში დანთებულა. იქ მათ ერთ დროს ბედნიერად უცხოვრიათ, მაგრამ რაღაც მიზეზით კაცი შემოკვდომიათ. სისხლის აღების ადათის გამო ქომალხო დაუტოვებიათ და საცხოვრებლად მაისტის სოფელ ფუაღში გადასულან. იქ ისინი ფუაღის ხატს – „ფუაღ წივს“ ეთაყვანნენ და განსაზღვრული წეს-ადათების შესრულების შემდეგ მაისტის საზოგადოების წევრები გახდნენ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მაისტი მიუვალ მთებსა და კლდეებშია მოქცეული, ამიტომ ცხოვრება იქ ძალიან ჭირდა. მახაურებმა ახალი საცხოვრებლის ძებნა დაიწყეს. ზოგიერთი ვერსიით, მახაურების ერთი ძმა ფუაღდან საცხოვრებლად ხევში წასულა, მეორე – ფშავში და მესამე – პანკისის ხეობაში.

ხვთისო მახაურის ნაამბობის მიხედვით, შობა დილა ყო-  
ფილა, 7 იანვარი, როცა მუსა მახაური მუხლამდე თოვლში გო-  
გოლაურთის თემის მფარველი სალოცავის – თავარმონამის  
კარზე ფეხშიშველა მისულა და ლოცვა-ვედრებით შეხვეწნია: –  
ოლონდ ჩემი გვარი გაამრავლე და ჩემი შთამომავლები ყოველ  
შობა დილას საკლავს დაგიკლავენ და სანთელს დაგინთებენ.  
თან ხატის კარზე დიდი ქვა დაუდგამს. იმ ქვას დღესაც მუსას  
ქვას ეძახიან და რელიგიური დღესასწაულის დროს მასზე სახა-  
ტო სუფრას შლიან. იმ დროიდან მოყოლებული მუსა მახაურის  
შთამომავლები ფშავში გოგოლაურთ თემის ხატის ყმები არიან  
და დღემდე ერთგულად ასრულებენ წინაპრის დანადებს: ყოველ  
შობა დილას მახაურებს ხატში მორიგეობით მიჰყავთ შესანირავი  
მოზვერი, ცხვარი, ქადა-სანთელი, საერთო ძღვენი და თავარ-  
მონამეს შესთხოვენ მფარველობას, ყოველ შობა დილას ისინი  
თავარმონამის კარზე მუსა მახაურის დადებულ პირობას და მის  
განვლილ გზას იმეორებენ.




ალსანიშნავია, რომ ფშაველ მახაურებში არის მეორე შტოც. მათ ბერის ჩამომავლებს ეძახიან. როგორც ტრისტან მახაურმა მიამზო, ბერი მახაური კახეთიდან გოგოლაურთის თავარმონამეში შობა დილას ოოვლში ფეხშიშველი მისულა და ხატს შევეღრებია: – გვარი გამიმრავლე და ჩემი შთამომავლები ყოველ

შობა დილას შენს კარზე საღვთო ძღვნით მოვლენო. ისევე როგორც მუსას მოდგმა, ბერის შთამომავლებიც დღემდე ღრმა რწმენით ასრულებენ სალოცავისთვის დადებულ პირობას.

მახაურების ორივე მოდგმა გოგოლაურთის თავარმოწამის მფარველობის ქვეშ ცხოვრობს. ისინი დროთა მანძილზე გამრავლდნენ და ამჟამად ძირითადად ფშავის სოფელ გომეწარში ცხოვრობენ, აგრეთვე გომბორში, ახმეტასა და ქვემო ქედში.

გადმოცემების მიხედვით, XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში ფუალიდან დეენიშ მახაური პანკისში გადმოსახლებულა და ჯოყოლოში დამკვიდრებულა. დეენიშ მახაურის შთამომავლები რატომდაც ცისკარაშვილების გვარზე დაწერილან, თუმცა ყოველმა მათგანმა კარგად იცის თავისი წარმომავლობა.



მახაურებს ფუალში თავიანთი ციხე-კოშკები ჰქონიათ. პანკისში გადმოსახლებულ დეენიშ მახაურის შთამომავლებს თავდაპირველ სამშობლოსთან კავშირი დღემდე არ გაუწყვეტიათ. ისინი თავიანთ მფარველ სალოცავად ფუალის ხატს – „ფუალ წიგ-ს“ აღიარებდნენ.

მეულლის გარდაცვალების შემდეგ დეენიშ მახაურს მეორე ცოლი მაისტიდან წამოუყვანია. უკვე ხანდაზმულს მასთან გოგონა შესძენია, სახელად ასიპათი დაურქმევიათ. როდესაც დეენიში გარდაცვლილა, მისი ცოლი ქისტური ადათის მიხედვით

თავის სამშობლოში, მაისტრში დაბრუნებულა, ხოლო ასიპათი პანკისის ხეობაში იზრდებოდა. ბოოდის ვაჟი ვისერგი (ღერენიშის შვილიშვილი) თავის მამიდა ასიპათზე მხოლოდ ერთი წლით ყოფილა უფროსი. როდესაც ვისერგი 17 წლის გამხდარა, 1943 წლის შემოდგომაზე, ასიპათი მაისტრში დედის სანახავად წაუყვანია.

ვისერგის იმ ზამთარს ასიპათი მაისტრში დაუტოვებია, დედასთან, თვითონ კი კვლავ საქართველოში წამოსულა. თან დაუბარებია მათვის, რომ გაზაფხულზე ჩავიდოდა და ასიპათს პანკისში ჩამოიყვანდა.

როგორც ცნობილია, 1944 წლის 23 თებერვალს ჩეჩინები და ინგუშები საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებით შუა აზიის ტრამალებში გადაასახლეს. როდესაც გაზაფხულზე თოვლი დადნა, ვისერგი მაისტრი გადასულა, მაგრამ ასიპათი იქ აღარ დახვედრია, ისიც დეპორტირებულთა შორის მოხვედრილა და შუა აზიაში გადაესახლებინათ.

ვისერგი პანკისში შენუხებული წამოსულა.

მახაურებს ენათესავებიან ომალოში მცხოვრები მუხაურები. ფაქტობრივად ეს ერთი გვარია. მახაურების გვარში ვაჟს სახელად ხშირად არქმევდნენ მუხოს. შესაძლოა, აქედანაც გავრცელდა მუხაური. მახამა მუხაური XX საუკუნის I წახევარში მთიანი ჩეჩინეთიდან პანკისის ომალოში გადმოსახლებულა და დღეს იქ მისი შთამომავლები ცხოვრობენ.

მახაურები მრავლად არიან ჩეჩინეთშიც.

ნარმოშობით მითხოვები არიან შუა ხალაწანში მცხოვრები სვიაკაურები. მითხოვდან XX საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს პანკისის ხეობაში გადმოსახლდა თავბოლთ სვიაკაური. დანარჩენი სვიაკაურები მითხოვდან ბამუთში გადასახლდნენ. სვიაკაურები მრავლად არიან ჩეჩინეთში. თუმცა, მას შემდეგ, რაც რუსეთის სამხედრო ავიაციამ XX საუკუნის 90-იან წლებში მიწასთან გაასწორა ბამუთი, სვიაკაურები ინგუშეთში გადავიდნენ საცხოვრებლად.

თავბოლთ სვიაკაური მითხოვდან მარტოდმარტო წამოსულა პანკისის ხეობაში. როგორც გადმოცემებიდან ირკვევა, მას ახლო ურთიერთობა ჰქონია მითხოს მეზობლად მცხოვრებ ქართველ მთიელებთან, კერძოდ, ხევსურებთან. თუმცა ზოგჯერ მეგობრულ ურთიერთობას მტრული დამოკიდებულება ცვლიდა.

ერთხელ, რა მიზეზით უცნობია, ერთ ხევსურს თავბოლთ სვიაკაურის ძმა მოუკლავს. იმ დროს თავბოლთი მცირენლოვანი ყოფილა. როცა მოზრდილა, გაუგია მკვლელის ვინაობა, მისი ადგილსამყოფელი და, ადათის თანახმად, ძმის მკვლელის სისხლი აუღია. ამის შემდეგ თავბოლთ სვიაკაურს მითხოში აღარ დაედგომებოდა; ხევსურებს დაუბრკოლებლად შეეძლოთ მითხოში გადასვლა და თავბოლთის მოკვლა.

თავბოლთი თავშესაფრის საძებნელად პანკისის ხეობაში წამოსულა. მაშინ ის პანკისში არავის იცნობდა. ჯოყოლოში საღამო ხანს მოსულა. სოფლელებისთვის უკითხავს, ვისთან შეიძლებოდა მეგობრობა და ოჯახში სტუმრად მისვლა.

შემდეგ თავბოლთმა გამოიკითხა პანკისის ამბები და აღმოჩნდა, რომ ხეობაში მის ნათესავებსაც უცხოვრიათ. ნათესავების დახმარებით მან ცოლი შეირთო, შუა ხალანანში დასახლდა და გამრავლდა. სვიაკაურები საკმაოდ მრავლად არიან ჩეჩინეთში. მათი განაყოფი გვარი ჩეჩინეთში არის თათარაშვილი. სვიაკაურების ამ შტომ თავისი გვარის სახელწოდებად აირჩია ახლო წინაპრის – თათარას სახელი. აღსანიშნავია, რომ თათარა საკმაოდ გავრცელებული სახელია ჩეჩინებში. ამდენად, ზოგიერთი სვიაკაური თათარაშვილად დაეწერა. როგორც ამბობენ, იმ ჩეჩინებს, რომელთა გვარიც „შვილზე“ ბოლოვდებოდა, შუა აზიიდან უკან აპრუნებდნენ. ალბათ ამიტომაც აირჩია სვიაკაურების ნაწილმა გვარად თათარაშვილი. ისინი მითხოელი ჩეჩინები არიან და ჩვეულებრივ ბიძაშვილობენ ჩეჩინეთსა და პანკისში მცხოვრებ სვიაკაურებთან.

პანკისის ხეობაში ლეკური წარმოშობის ხალხიც ცხოვრობს, რომლებიც დიდი ხანია ასიმილირდნენ ქისტებში. ზოგიერთი გადმოცემით, ომალოელი ანდალაშვილების წინაპარს ანდალა რქმევია. ის შამილის მოღვაწეობის პერიოდში სისხლის აღების ნიადაგზე დაღესტნიდან წამოსულა და თუშეთში დასახლებულა. იქ მას ცოლად თუშის ქალი შეურთავს. ანდალა თუშეთიდან ჯერ ხორბალოში ჩამოსულა, ხორბალოდან კი პანკისში გადასულა და სამუდამოდ ომალოში დამკვიდრებულა.

ქისტების პანკისის ხეობაში ჩამოსახლების შემდეგ მათ გვერდით თოთო-ოროლა ქართველიც დამკვიდრდა. ისინი იქ ქისტებზე დაქორწინდნენ, შეისწავლეს ქისტური ენა და მათი წეს-ადათები. ბ. გამყრელიძეს თავის ნაშრომში ომალოელ ყაბილ

წინწალაშვილის ნაამბობი მოჰყავს, რომლის მიხედვით, ისინი წარმოშობით ქიზიყელები ყოფილან. ადრე მის მამას პანკისის ხეობაში ქიზიყიდან ღორის კოლტი გადმოჰყავდა, შემდეგ კი ყაბილი ომალოში ქისტის ოჯახს დაესიძა და ცხოვრება გარემოს შესაბამისად ახლებურად მოუწყვია [18. 42].

დუისში მატნელი სარქისაშვილი დასახლებულა, რომელიც შემდეგ დუიშვილების გვარში მიუღიათ და დუიშვილებად დანერილან. კოტორაშვილები და მღებრიშვილები ჯოყოლოში ასევე მატნიდან გადმოსულან საცხოვრებლად, ხოლო გონაშვილები – ქიზიყიდან.

ჯოყოლოში მცხოვრები ცხადაძეების წინაპარს თიანეთის მაზრაში უმუშავია. ის იმერეთიდან, კერძოდ, თერჯოლიდან ყოფილა წამოსული. ჰყოლია ორი ვაჟი და ოთხი ქალიშვილი. ვაჟებს სასულიერო განათლება მიუღიათ და სემინარის დამთავრების შემდეგ ერთი ჯოყოლოს ეკლესიაში გაუმწესებიათ მღვდლად, ხოლო მეორე – მატანში. ჯოყოლოს ეკლესის მღვდელი ვასო ცხადაძე ახალგაზრდა გარდაცვლილა. ამჟამად ჯოყოლოში ცხადაძეების ოთხი კომლი ცხოვრობს. ისინი ვასო ცხადაძის შთამომავლები არიან.

დუისსა და ომალოში სახლობს ბექაურების რამდენიმე კომლი. მათი პაპა ალექსი ბექაური გუდამაყრიდან წამოსულა და ომალოში იმედაშვილებთან მწყემსად უმუშავია. შემდეგ მათი ქალი მოსწონებია, მოუტაცია და დროებით ისევ გუდამაყარში გადასულა საცხოვრებლად. ბოლოს მაინც პანკისში დაბრუნებულა და ომალოში დასახლებულა. ალექსი ბექაურს სამი ვაჟი შესძენია: შაქრო, ივანე და ვასილი. ივანესა და ვასილს ვაჟები არ ჰყოლია, ხოლო შაქროს, რომელიც საცხოვრებლად შირაქში გადასულა, 5 ვაჟი შესძენია. მათგან ერთი, რობერტი, დუისში დასახლდა, ხოლო მეორე – სოლიკო – ომალოში. ისინი ამჟამად იქ თავიანთი ოჯახებით განაგრძობენ ცხოვრებას.

სოფელ ომალოში ცხოვრობს ალდამიძეების სამი ოჯახი. ისინი წარმოშობით ქართველები არიან.

ოდესალაც ქისტურ სოფლებში დამკვიდრებული ქართველები ხანგრძლივი დროის მანძილზე მთლიანად შეესისხლხორცნენ ქისტურ გარემოს. ეს ორმხრივი პროცესი იყო: ქართულ სოფლებში ჩასახლებულ ვაინახთა შთამომავლები დიდი ხანია მშობ-

ლიურ ენად ქართულ ენას აღიარებენ და ქართულ წეს-ჩვეულებებს მისდევენ.

მიგრაციული პროცესები XX საუკუნეში თვით პანკისის ხეობის შიგნითაც მიმდინარეობდა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პანკისის მთიანი სოფლებიდან კოლექტივიზაციის წლებში მთავრობამ მოსახლეობა აყარა და პანკისის ხეობის ბარის ნაწილში ჩაასახლა.

XX საუკუნის 60-იან წლებში ბირკიანი თუშებისგან დაიცალა და იქ ალაზნის გალმა მდებარე ომალოდან ქისტების მრავალი ოჯახი გადმოვიდა საცხოვრებლად. მათ თუშებისგან შეისყიდეს ბინები, კარ-მიდამო და იქ დასახლდნენ. იმ დროს ბირკიანისა და ომალოს შემაერთებელი ხიდი ჯერ კიდევ არ იყო ალაზანზე გადებული. ომალოელები ძნელად უკავშირდებოდნენ რაიონულ ცენტრს, ბირკიანიდან კი უფრო მოსახერხებელი იყო ახმეტასა და თელავში წასვლა. ამიტომ მრავალმა ომალოელმა ბირკიანი აირჩია საცხოვრებლად.

მრავალფეროვანია პანკისის ხეობაში სხვადასხვა გვარების მიგრაციის ამსახველი თქმულება-გადმოცემები. ბევრი მნიშვნელოვანი ამბავი, რასაკვირველია, დაიკარგა და სამუდამოდ გაქრა ხალხის სხოვნიდან. ნაწილმაც ფრაგმენტების სახით მოაღწია ჩვენამდე. მაგრამ იმ თქმულებებიდან, რაც ხალხის მეხსიერებამ შემოგვინახა, გარკვეული წარმოდგენა გვექმნება პანკისელი ქისტების სულიერ ფასეულობებზე, მათ რწმენა-წარმოდგენებსა და წეს-ჩვეულებებზე, აგრეთვე ვგებულობთ, თუ როგორ ეყრებოდა საფუძველი ქისტების ახალ საზოგადოებრივ ერთობას.

პანკისელმა ქისტებმა გვარები ქართული დაბოლოებებით მიიღეს. მათი გვარები რამდენიმე გამონაკლისის გარდა, – შვილზე ბოლოვდება; სამი გვარი – ურზე მთავრდება: მახაური, ღუზარაული, სვიაკაური; სამი გვარი – ძე ბოლოსართით: ფარეულიძე, ცხადაძე, ალდამიძე; სამიც – რუსული დაბოლოებით – ვი: ალდამოვი, ეზიგოვი, ფაშაევი.

ლ. მარგოშვილის ცნობით, XIX საუკუნეში ჩამოსახლებული ქისტები პანკისის ხეობაში თავდაპირველად გვაროვნული პრინციპით დასახლდნენ [131. 56]. ერთ უბანში ცხოვრობდნენ გუმაშვილები, მეორე უბანში – ბორჩაშვილები, მესამეში – ქავთარაშვილები და ა.შ. რადგან ქისტებს მთიან ჩეჩენეთში გვაროვნული

ტიპის დასახლებები ჰქონდათ, ამიტომ ახალ გარემოშიც მათ უბნების განაწილების ტრადიციული სტრუქტურა გადმოიღეს.

პანკისის ხეობაში სოფლების დაყოფა რელიგიური პრინცი-პითაც მოხდა. ომალოელი და ჯოყოლოელი ქისტები მეფის რუ-სეთის მმართველობის პერიოდში და ნანილობრივ მერეც ქრის-ტიანულ წეს-ადათებს მისდევდნენ, ხოლო დუისელები მაჰმა-დიანურ რელიგიას აღიარებდნენ.

1999 წლის ოქტომბერში პანკისის ხეობას ჩეჩენეთიდან 10 ათასამდე დევნილი მოაწყდა, ძირითადად ქალები, ბავშვები და მოხუცები. რუსეთის ავიაციის მიერ განუწყვეტელი დაბომბვის პირობებში მათ გამოიარეს მთის ვინჩო ხეობები, შატილის მხა-რეს საქართველოს სახელმწიფო საზღვარი გადმოლახეს და კავ-კასიონის უღელტეხილებით პანკისის ხეობას მოაშურეს.

დევნილთა დიდი ნაწილი რამდენიმე წლის შემდეგ სხვადასხვა ქვეყნებში გადასახლდა. 2004 წლის მაისში პანკისის ხეობაში 2000-მდე ჩეჩენეთიდან დევნილი იმყოფებოდა.

## **ქართველი მთიელების მიგრაცია პანკისის ხეობაში**

XVI საუკუნეში ლევან კახთა მეფეს თუშებისა და ფშავლე-ბისათვის პანკისის ხეობაში ცხვრისა და საქონლის გამოზამთრე-ბის, დაყენებისა და გატარების ნებართვა მიუცია. თუშებს ლევან მეფის საგანგებო სიგელიც კი ჰქონიათ. იმ დროიდან მოყო-ლებული ფშაველი მესაქონლები შემიღებობით ყოველწლი-ურად პანკისის ხეობაში გადმოდიოდნენ და საქონელს იქ აზამ-თრებდნენ. გაზაფხულზე კი მთელი თავისი ოჯახითა და საქონ-ლით კვლავ უკანა ფშავში თავიანთ მუდმივ საცხოვრებელ ად-გილს უბრუნდებოდნენ. ფშავლებს პანკისის ჩრდილოეთით, ხა-დორში, ქოჩადალაში, ლამაზურსა და ბანარაზე საქონლის გა-მოსაზამთრებელი ბაზები ჰქონდათ მოწყობილი. ბ. გამყრელიძის ცნობით, „ფშავლებს საზამთრო ბინების მოსაწყობად ადგილები ეჭირათ პანკისის ხეობის ქვედა წელშიც, თითქმის მის შესას-ვლელ ნაწილში, ბახტრიონელების მიერ დაკავებული ადგილების მოსაზღვრედ. ამ ადგილებში ფშავლები ძველთაგანვე ჩამოდი-ოდნენ ყოველწლიურად და საქონელს აზამთრებდნენ. ბევრი მათგანი სეზონურად ოჯახებითაც კი ცხოვრობდა იქ, მაგრამ

სახელმწიფო მინაზე მათ სამინატონქმედო სამუშაოების წარმოების უფლება არ ჰქონდათ, საამისოდ კერძო მფლობელებისგან უნდა დაექირავებინათ ადგილები“ [18. 41].

1860 წლის გაზაფხულიდან ფშავლებსაც დაუწყიათ პანკისის ხეობაში ადგილების დამუშავება, რასაც ბახტრიონელების უკმაყოფილება გამოუწვევია. ბახტრიონელები თავს პანკისის უძეველესი მოსახლეობის მემკვიდრეებად თვლიდნენ. როგორც ბ. გამყრელიძე აღნიშნავს, „თუშებს, ბახტრიონელებსა და ფშავლებს შორის მინაზე ატეხილი დავის გამო სათანადო სახელმწიფო ორგანოებს საჭიროდ მიუჩინებიათ თბილისის სამოქალაქო გუბერნიაში შეეტანათ წინადადება, რათა მათვის დაენესებინათ მტკიცე საზღვრები“ [18. 41]. საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო არქივში დაცულ ერთ-ერთ საბუთში აღნიშნულია, რომ „ფშავლებს მთაში ადგილების ნაკლებობის გამო არ შეუძლოთ ზამთრობით საქონლის გამოკვება. ამიტომ ქართველმა მეფეებმა მათ პანკისის ხეობაში გადასცეს სახელმწიფო მინების ნაწილი. აქედან მოყოლებული 1861 წლამდე, ამ საბუთის შედგენამდე, ფშავლები შეუზღუდავად ცხოვრობდნენ მეფე გიორგის მიერ ბოძებულ ადგილებზე [83. 294].

თუშებს ზაფხულის ბოლოს მთიდან ცხვარი პანკისში ჩამოჰყავდათ. იქ, ბირკიანში, მათ ცხვრის გასაჩერებელი ბაზა ჰქონდათ, სადაც, ხანგრძლივი მგზავრობის შემდეგ, ცხვარს ასვენებდნენ, პარსავდნენ და ზამთრის საძოვრებზე – ალვანსა და კახეთის სხვა ადგილებში ერეკებოდნენ, ხოლო გაზაფხულზე იქიდან თუშეთის საზაფხულო იალაღებზე აპყავდათ.

რადგან XIX საუკუნემდე პანკისის ხეობას დაღესტნელი ფეოდალების მხრიდან ყოველდღიური თავდასხმის საფრთხე ემუქრებოდა, თუშებსა და ფშავლებს იქ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი არ ჰქონიათ და არც კომპაქტური დასახლება შეუქმნიათ. მას შემდეგ, რაც პანკისის ხეობაში ქისტური დიასპორა გაჩნდა და შამილის იმამატიც განადგურდა, ჩრდილოეთ კავკასიიდან მთიელების თავდასხმის საშიშროებამ იკლო. ამიტომაც XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან ფშავლებმა და თუშებმა პანკისის ხეობაში დამკვიდრება დაიწყეს.

კამერალური აღწერის მიხედვით ცნობილია, რომ 1860 წელს პანკისის ხეობაში გაჩნდა ფშავლების პირველი სოფელი ყვარელ-ნყალი, სადაც ორ ოჯახს უცხოვრია, სულ – 6 კაცს და 7 ქალს.

[86. 1–24]. ამის შემდეგ მთიდან ჩამოსახლებული ფშავლების რიცხვი ყვარელწლიურად იზრდებოდა.

სოფელი ყვარელწლიურალი ზღვის დონიდან 620 მეტრზე, ახმე-ტიდან 17 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს. მას აღმოსავ-ლეთიდან ქისტების სოფელი დუისი ესაზღვრება. ყვარელწლიურალში ფშავლები ჯერ ქვემოთ, მდინარე ალაზნის მახლობლად დასახ-ლებულან. ლევან ცხვირაშვილის გადმოცემით, ყვარელწლიურალში ერთ-ერთი პირველები ძმები, თათარა და პაპა ცხვირაშვილები მოსულან. იქ, დღევანდელი ყვარელწლიურალში სამხრეთ-დასავლე-თით, მინდორში, მდინარე ალაზნის ახლოს, სამეთვალყურეო კოშკი ჰქონიათ. როგორც ამბობენ, აქედან მომდინარეობს ყვა-რელწლის მეორე სახელწოდება – „კოშკები“. რადგან ალაზანმა ხშირად იცოდა ადიდება, მოსახლეობა თანდათან ზემოთ, დღე-ვანდელ ყვარელწლიურალში, ასულა საცხოვრებლად.

პანკისის ხეობაში ფშაველთა მიგრაციის საკითხი საფუძ-ვლიანად გამოიკვლია რ. თოფჩიშვილმა. დოკუმენტურ წყარო-ებზე დაყრდნობით ზუსტად მიუთითა, თუ ფშავის თემებიდან რომელი გვარები გადმოსახლდნენ, ახსნა მიგრაციის მიზეზები და გაარკვია მათი ჩამოსახლების თარიღები [29. 38–40].

ფშავლების ჩამოსახლების უმთავრესი მიზეზი მათი მცირე-მინიანობა იყო. ხოლო XVIII საუკუნეში ადგილობრივი მოსახ-ლეობისგან პანკისის ხეობის დაცარიელება იქ ფშაველთა მიგ-რაციისათვის ხელშემწყობ პირობებს ქმნიდა.

1860 წელს ყვარელწლიურალში უკანაფშავიდან წელაურების ორი კომლი გადმოსახლებულა. 1862 წელს კი იქ ახალიდან და წითე-ლაურთ თემიდან 8 გვარის ხალხი მოსულა საცხოვრებლად: კულალალაშვილებისა და ჭოლიკიშვილების გვარიდან ორ-ორი კომლი და გულბათაშვილების, სალირაშვილების, თედოშვილე-ბის, ბურკვაშვილებისა და გამიაშვილების თითო კომლი.

უკანა ფშავიდან ყვარელწლიულს 1863 წელს მანგიაშვილები და ქაჩლიშვილები შეემატნენ. 1867 წელს – როსტევანიშვილები და ჩეკურიშვილები, 1869 წელს – ტალაშვილები და გორელაშვილე-ბი, 1870 წელს კი – კარატიელი და ბუტულაშვილი.

რ. თოფჩიშვილის ცნობით, „უშუალოდ ფშავის გარდა, 1860–1870-იან წლებში ფშავლები ყვარელწლიურალში გადმოსახლებულან ერთ-თიანეთის სოფლებიდანაც: ვეძათხევიდან – ჩეკურიშვილი; ჭიოტაანთკარიდან – გულბათაშვილი, პაპიაშვილი, ხინვაშვილი;

არტნიდან – პაპიაშვილი, ზენამხრიდან – ამარზაშვილი“ [29. 38]. როგორც რ. თოფჩიშვილი აღნიშნავს „ზემოთ ჩამოთვლილ გვარებს გარდა XIX საუკუნის II ნახევარში ყვარელნყალში ჩამოსახლდა ციგროშვილი ნაკვალესავიდან, დადალაური – კორსავიდან, კვირიკაშვილი, ზურაბაული და ალბუთაშვილი – თიანეთიდან. ჯაბანიშვილი, აპრილაშვილი და ბუნაშვილი – უკანაფშავიდან, მოკვერაშვილი, გამრეკელაშვილი და ქურციკაშვილი – ახალიდან“ [29. 38].

ამავე პერიოდში, XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან პანკისის ხეობის ჩრდილოეთ მთაგორიან ნაწილში, კერძოდ ბანარაზე, ხადორსა და ძიბახევში, ფშავლების დროებით საზამთრო ბაზების ადგილზე მათი მუდმივი საცხოვრებელი დასახლებები გაჩნდა.

ხადორში ფშავის სოფელ ნაკვალესავიდან ჩამოსახლებულან ბაიდაურები. გოდერძაულთ თემის ფშავლები, გვარად ბურკაშვილები და მაშვინიაშვილები ხადორში ივრის ხეობის ზემო წელზე მდებარე სოფელ ყაფრიდან გადმოსულან. ხოლო ყაფარში მათი წინაპრები ახალიდან იყვნენ მოსულები. XIX საუკუნის 70-იან წლებში ყაფრიდან ხადორში გადმოსახლებულან ცხვირაშვილებიც. მურლვაშვილები კი ხევსურეთიდან, სოფელ არდოტიდან უნდა გადმოსულიყვნენ. ბაიდაურები ხადორში მოსულები იყვნენ ფშავის სოფელ ნაკვალესავიდან. იმავე პერიოდში ხადორში დამკვიდრებულან უკანაფშაველი ჩონთაშვილები, ბახნიაშვილები და მამიაურები. საქართველოს გასაბჭოებამდე ხადორში 20 კომლს უცხოვრია.

ბანარაში სოფელ ყაფრიდან გადმოსახლებულან გოდერძაულთ თემის ფშავლები: ბურკაშვილები და მაშვინიაშვილები. დაახლოებით ანალოგიური გზა განვლეს ლაგაზაურებმა. ისინი ახალიდან ჯერ ყაფარში გადმოსულან. ახადი წყალგამყოფი ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე, არაგვის ხეობის აუზში მდებარეობს, ხოლო ყაფარი – ივრის ხეობის ზემო წელზე, მის სათავეში. ყაფრიდან ლაგაზაურები ბანარაში გადასახლებულან. ბანარაში დამკვიდრებულან გამიაშვილები.

ძიბახევში უკანაფშავიდან გადმოსულან ჯველაურები. მალე იქ უკანაფშავის სხვადასხვა თემებიდანაც გადმოსახლებულან. ღუბიანურები ძიბახევში ხაიშოდან გადმოსულან. ობოლა რქმევია იმ კაცს, რომელიც ხაიშოდან ძიბახევში მოსულა. მას ტყე

გაუჯაგავს, ადგილი ბუჩქნარისგან გაუთავისუფლებია და სახლი აუშენებია. ღუბიანურები წონკოლაურებთან, ხადილაშვილებსა და მარწყვაშვილებთან ერთად ერთი თემის წევრები, მუქოს ღვთისმშობლის ხატის ყმები არიან.

1936 წლიდან, კოლექტივიზაციის პერიოდში, ძიბახევიდან მასიურად ჩამოასახლეს ბაყილოვანში ფშავლები. მათი სახლები კი ქისტებმა შეიძინეს.

ამდენად, XIX საუკუნის 60–70-იან წლებში პანკისის ხეობაში ფშავლების მიგრაციამ ფართო მასშტაბები მიიღო.

ბანარაზე, ხადორსა და ძიბახევში ფშავლების დასახლება არ იყო მრავალრიცხოვანი. ისინი ძირითადად, როგორც წესი, მე-საქონლეობას მისდევდნენ, მოჰყავდათ აგრეთვე ხორბალი, ქერი და სიმინდი. ისინი თაყვანს სცემდნენ სპეროზის წმინდა გიორგის და სალოცავად სპეროზის მთის წვერზე ადიოდნენ. აღსანიშნავია, რომ იგი არ წარმოადგენდა ფშავლების მიერ გადმოტანილ ნიშს, არამედ ის პანკისის წინარე მოსახლეობის სალოცავად ითვლებოდა და მას სცემდნენ თაყვანს. ხადორში, ბანარასა და ძიბახევში ჩამოასახლებულმა ფშავლებმა პანკისელების რელიგიური ტრადიციები გააგრძელეს.

ფშავლებს ხადორში, ბანარასა და ძიბახევში კომპაქტურად დიდხანს არ უცხოვრიათ. საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ ფშავლები თანდათან პანკისის ხეობის ქვემო წელზე, ყვარელწყალში, საკობიანოსა და ბაყილოვანში გადმოსახლდნენ. იმის გამო, რომ XX საუკუნის 30-იან წლებში შეიქმნა ბანარის სახელმწიფო ნაკრძალი, იქ მცხოვრები გამიაშვილები, სოხურაშვილები, ბურკვაშვილები და მაშვნიაშვილები საკობიანოში ჩამოასახლდნენ. საკობიანოში 1924 წელს ბანარიდან პირველი ლაგაზაური გადმოსახლებულა. საკობიანოს პირველი მოსახლე სწორედ ლაგაზაური ყოფილა.

საკობიანოში მცხოვრები უკანაფშაველი ჯველაურები ძიბახევიდან არიან გადმოსულები. ბაიდაურები და ცხვირაშვილები ხადორიდან. ივრის ხეობის ზემო წელის სოფელ ბათხისხევიდან გადმოსახლებულან საკობიანოში გარაშვილები.

პანკისის ხეობის ფშავლებით დასახლებულ სოფლებში, კერძოდ, საკობიანოში, კუწახტასა და ყვარელწყალში ცხოვრობენ უკანაფშავიდან გადმოსული დავითაშვილები, ბიბინაშვილები, ბობლიაშვილები და სოხურაშვილები. მთხობელთა გადმოცე-

მით, მათ საერთო წინაპარი ჰყოლიათ. როგორც საკობიანოელმა მინდია ბიბინაშვილმა (დაბად. 1963 წ.) მიამბო, ისინი უკანაფ-შავის სოფელ ელიაგზაში მცხოვრებ დავით დავითაშვილისგან გამრავლებულან. დავით დავითაშვილს ჰყოლია მეუღლე, მაგრამ მათ თურმე შვილი არ უჩნდებოდათ. ერთხელაც ელიაგზაში ასულა ალვანელი წვერიაიძის ქვრივი, ქმრის სიკვდილის შემდეგ ალბათ სამუშაოს საძებნელად. დავით დავითაშვილის ცოლს მისთვის გამოუკითხავს ვინაობა და სადაურობა. ალვნელ ქვრივს მოყვოლია თავისი სიდუხჭირის შესახებ, უთქვამს, რომ ქმარი გარდაცვლია და არსებობისათვის სამუშაოს საძებნელად ელი-აგზაში მოსულა. დავით დავითაშვილის ცოლს შესცოდებია ღა-რიბი, მარტოხელა ქალი და უთხოვია, – ჩემი ქმრის ცოლი გახ-დიო. თან დაუმატებია: – ჩვენ შვილი არ გვყავს და იქნებ შვილიც გეყოლოთ, არ მინდა ჩემი ქმარი უშვილძიროდ წავიდეს ამქვეყ-ნიდან, მეც ვეყოლები ჩემს ქმარს ცოლად და შენც იყავი იმისი ცოლიო.

მისულა საწყალი ქალი დავით დავითაშვილის ოჯახში, სადაც მისთვის თავშესაფარი მიუციათ და ლუკმაპური გაუჩენიათ. ერ-თი სიტყვით, იმ პაპა დავითს ალვანელი ქალისგან ვაჟი გასჩენია და თავისი სახელი დავითი დაურქმევია. ამგვარად დაბადებულა მეორე დავით დავითაშვილი, რომლისგანაც მოდიან ბიბინაშ-ვილები, დავითაშვილები, ბობლიაშვილები და სოხურაშვილები. მინდია ბიბინაშვილის ცნობით, თითქოს ის ქალი ფეხმძიმე მო-სულიყოს ალვნიდან. ასე იყო თუ ისე, ზუსტად არავინ იცის, თუმცა წვერიაიძის ქვრივის ვაჟი დავით დავითაშვილი გაზ-რდილა, დაქორწინებულა და 4 შვილი ჰყოლია. მამის ტრადიცია არც მას მოუშლია და ერთი ვაჟისთვის დავითი დაურქმევია, მეორისთვის ბიბინა, მესამისთვის – ბობლია და მეოთხისთვის – სოხურა.

ძმები რომ გაზრდილან, უთქვამთ, გავიყაროთო. მართლაც, ისინი გაყრილან და ძმებს გვარებად თავიანთი სახელები აურ-ჩევიათ. დავითისგან მოდიან დავითაშვილები, ბიბინასგან – ბი-ბინაშვილები, ბობლიასგან – ბობლიაშვილები, სოხურასგან – სო-ხურაშვილები. თუმცა, ალ. ოჩიაურის ცნობით, უკანაფშავში ბობლიაშვილი მოსულა თუშეთიდან. „ჩაღმა თუში გამოხიზნულა კაცის კვლის გამო და უკანაფშავის თემს შეხიზვნია. იმათაც ჯერ ისე მიუღიათ როგორც ამანათი, მერე ხატს მისი ყმობა უთხოვია

და დაყმობია. გამხდარა თემის წევრი და ღებულობდა თემის ყველა საჭიროოფო საკითხებში მონაწილეობას. ბობლიაშვილები წყაროსთაულს ემსახურებოდნენ დასტურობით, ზღვნით და სანთლით. ისინი გარდა ხევისბრობისა, ყველა მოვალეობას ასრულებდნენ. ხევისბრობა კი მათ არ მოუდიოდათ. სოხურაშვილების გვარში კი თავხევისბრებიც იყვნენ“ [70. 293].

ალსანიშნავია, რომ ფშავში გვარებს დაუბრკოლებლად იცვლიდნენ, რაც მათ მეზობელ ხევსურეთში იშვიათად ხდებოდა და ძალიან იცავდნენ ძველ გვარს. დავითის ჩამომავალი დავითაშვილები, ბიბინაშვილები, ბობლიაშვილები და სოხურაშვილები ერთი ხატის – წყაროსთაველის ყმები არიან და ამ გვარებს შორის ქორნინება დაუშვებელია. როგორც ერთი კერიიდან გამოსული გვარიშვილების წარმომადგენლები, ისინი ხელს უმართავენ, პატრონობენ ერთმანეთს და მტკიცედ აგრძელებენ დღესაც ბიძაშვილობას.

პანკისის ფშაურ სოფლებში ცხოვრობენ დავითაშვილების სხვა გვარის წარმომადგენლებიც. ისინი აონის ხატის ყმანი არიან და უკანაფშაველ დავითაშვილებს არ ენათესავებიან. ბობლიაშვილების გვარშიც არიან სხვადასხვა შტოს წარმომადგენლები. არიან ფშაველი ბობლიაშვილები და თუში ბობლიაშვილები.

ბოლშევკური რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლების მოწინააღმდეგე ძალები – შეთქმულები და აჯანყებულები – პანკისის ხეობის ზემო წელის სოფლებს აფარებდნენ თავს, რომელიც მტრისთვის შედარებით მიუვალი იყო, ამიტომ მთავრობა ხალხს იქიდან იძულებით ასახლებდა. პანკისის ჩრდილოეთით, ალაზნის ზემო წელზე ფშაური სოფლების არსებობას გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა საკოლმეურნეო მოძრაობამ. მოსახლეობა ბარის სოფლებში ძალით ჩამოჰყავდათ და კოლმეურნეობებში აერთიანებდნენ.

ამრიგად, საკობიანოში, რომელიც ფაქტობრივად 1924 წელს შეიქმნა, ძირითადად გოდერძაულთ და უკანაფშაველთ თემების ფშავლები მოსახლეობენ, რომლებიც იქ XX საუკუნის 20-იანი წლების ბოლოსა და 30-იან წლებში ჩამოსახლდნენ, უმეტესად პანკისის ხეობის ზემო წელის სოფლებიდან, ბანარიდან, ხადორიდან და ძიბახევიდან. 1926 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით, ხადორში 55 ადამიანს უცხოვრია, ბანარაში – 41-ს,

ძიბახევში კი – 61-ს. შესაბამისად ხადორსა და ძიბახევში ყოფილა 18–18 კომლი, ხოლო ტოლოშაში 13 კომლი.

ფშავლები დასახლდნენ ხევისჭალაშიც. ხევისჭალა კურტა-ნაძეულისწყლის ხეობაში მდებარეობს. კურტანაძეულისწყალი მატნის აღმოსავლეთით აღაზანს უერთდება და იქიდან იწყება პანკისის ხეობა. ხევისჭალის შემოგარენში დღემდე შემორჩა ფეოდალის ციხედარბაზის ნანგრევები, ეკლესიათა და სხვა-დასხვა ნაგებობათა ნაშთები. აღსანიშნავია, რომ მარილისის მინაწყლის ნახევარი, ახლანდელი ხევისჭალის ტერიტორია, კახე-თის მეფეებს ოდესადაც ლაშარის ჯვრისთვის შეუწირავთ [97. 287], ნანილიც მატანს შეუერთდა. ხევისჭალის დაცარიელების შემდეგ იმ მიწებს თანდათან ფშავლები ითვისებდნენ და XIX საუკუნის მეორე ნახევარში იქ უკანა ფშავიდან და ივრის ხე-ობიდან გადმოსახლებული ფშავლები დამკვიდრდნენ. XIX სა-უკუნის 70-იან წლებში გოგოლაურთ თემის ფშავლები მგელი-აშვილები ზემო თიანეთის სოფელ ლახატოდან ხევისჭალაში გადმოსახლებულან, ახადიდან კი პატარაშვილები. 1924 წლის შემდეგ ეს გვარები საკობიანოში გადავიდნენ. ასევე ხევისჭალი-დან გადასულან საცხოვრებლად საკობიანოში გოდერძაულთ თემის ფშავლები, გვარად ხავაზურაშვილები. ხევისჭალაში კი ისინი მიგრირებულნი იყვნენ ივრის ხეობის ზემო წელის სოფ-ლებიდან – ყაფრიდან და მგელათციხიდან. მოგვიანებით ჩოფი-კაშვილების ერთი კომლი ზემო ხალაწნიდან საკობიანოში გადა-სულა საცხოვრებლად.

პანკისის ხეობის სოფელ ზემო ხალაწნი XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში თიანეთის სოფელ ალო-ტიდან გოდერძაულთ თემის ფშავლები გადმოსახლებულან. სო-ფელ ალტოში მათი წინაპრები XIX საუკუნის შუა წლებში ჩა-სახლებულან. რ. თოფჩიშვილი სავსებით სამართლიანად შენიშ-ნავს, რომ მთის მოსახლეობა ბარში გადმოსახლებისას შუალე-დურ რგოლს, საფეხურს გადიოდა და ისინი ხშირად ჯერ მთის-ნინეთში სახლდებოდნენ, შემდეგ – ბარში [29. 38].

ზემო ხალაწნი ალოტიდან მოსულან ჩოფიკაშვილები. ისი-ნი ძირად მოხევეები არიან. ჩოფიკაშვილები სტეფანწმინდიდან სისხლის აღების ნიადაგზე ჯერ ხევსურეთში გადასახლებულან, იქიდან კი ალოტში. ზემო ხალაწნი ალოტიდან მოსული ჩი-ტაშვილები ძირად ხევსურები არიან. მათ უწინ არდოტში უც-

ხოვრიათ [29. 38]. გოდერძაულთ თემის ფშავლებს პატარაშვილებსა და თილილაურებს ჯერ ივრის ხეობის ზემო წელის სოფელ მგელათციხეში უცხოვრიათ, შემდეგ ალოტში გადასულან, ალოტიდან კი ზემო ხალაწანში.

ფშავლები დუისის დასავლეთით, დედისფერულშიც დასახლდნენ. დედისფერული შუა საუკუნეებში, როგორც ჩანს, საკმაოდ მოზრდილი სოფელი ყოფილა, რომელიც ორ უბნად ყოფილა გაყოფილი. ქვემო უბანში უწინ საფერავი ჰქონიათ გაშენებული. ამ ჯიშის გაველურებული ვაზის ნაშთები იქ დღემდე არის შემორჩენილი.

დედისფერულში ბალ-ვენახები და კაკლის კორომები შაპაბასის შემოსევის დროს მტრებს გაუჩეხიათ, ხოლო მოსახლეობა ტყვედ წაუყვანიათ, რის შემდეგაც სოფელი გაუკაცრიელებულა.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში იქ ფშავლები დამკვიდრებულან, გოდერძაულთ თემის წევრები. გვარად ბურკვაშვილები და დედიაშვილები ივრის ხეობის ზემო წელიდან გადმოსახლებულან; ჯველაურები და გოგნელაშვილები – უკანაფშავიდან; ქეშიკაშვილები, ჭიჩოელი ფშავლები, არტნიდან; ქორეულაშვილები – თიანეთის სოფელ კორსავიდან; დედისფერულში ივრის ხეობიდან გადმოსულან აგრეთვე ცხვირაშვილები და ალბუთაშვილები; ძირად ხევსური თორლვაშვილები არდოტიდან ჯერ ალოტში ჩამოსულან და შემდეგ იქიდან დედისფერულში დამკვიდრებულან.

ამრიგად, ყვარელწყლელი სალუქაურები, ზემო ხალაწნელი ჩიტაშვილები და დედისფერულში მცხოვრები თორლვაშვილები ხევსურეთის სოფელ არდოტიდან გადმოსახლებულან და, როგორც ამბობენ, ისინი ერთი მამის განაყრები ყოფილან. თორლვას, სალუქას და ჩიტას მამას არდოტში კაცი შემოკვდომია და სისხლის აღების ადათის გამო სოფელს გამორიდებია, შემდეგ თიანეთში მისულა და აონის ხატისთვის თავისი მოდგმა შეუხვერებია: – გადამირჩინე და გამიმრავლეო. ერთ ხანს თიანეთის სოფელ ალოტში უცხოვრიათ. შემდეგ სალუქას შთამომავლები ყვარელწყალში დასახლებულან, ჩიტასი – ზემო ხალაწანში, თორლვასი კი დედისფერულში. არდოტის ჯვრიდან მათ დედისფერულში სალოცავის ნიში გადმოუტანიათ, – ნაკურთხი სამი ბროლის ქვა და რელიგიურ დღესასწაულზე, რომელსაც დატიობას ეძახიან და ხალარჯობის მეორე შაბათს იმართება, თავი-

ანთ მოდგმას ავედრებენ. დავით სალუქაურის გადმოცემით, ისინი იქ არდოტის წმინდა გიორგი – დედა დვთისმშობლის სახელზე ლოცულობენ, უფრო ხშირად კი სალოცავ ნიშს არდოტის სომხოზ წმინდა გიორგის სახელით მოიხსენიებენ [30. №27921].

რ. თოფჩიშვილის ცნობით, ბაყილოვანში პირველად თიანე-თის სოფელ ხაიშოდან გადმოსახლებულა წოწკოლაურთ თემის ფშაველი, ვინმე იოსებ ღუბიანური [29. 39]. XX საუკუნის 40-იან წლებში ხადორიდან ბაყილოვანში უკანაფშაველი მურღვაშვილები და წინუაშვილები ჩამოსულან. XX საუკუნის 10-იან წლებში უკანაფშავიდან მოსულან წელაურები. თიანეთის სოფელ ჩეკურაანთგორიდან გადმოსახლებულან ახადელი ფშავლები გორელაშვილები და კულალაძაშვილები. ჭიჩოელი ტვირთაშვილები არტნიდან გადმოსულან. რ. თოფჩიშვილის ცნობით, XX საუკუნის 40-იან წლებში ივრის ხეობის ზემო წელის სოფელ ყვარიდან ბაყილოვანში ჩამოსახლებულან გაბიდოურთ თემის ფშავლები – ციხელაშვილები და კოჭლაშვილები [29. 39].

საკობიანოსა და ყვარელწყალს შორის ფშავლებმა, გვარად გოგოლაურებმა, თორლვაშვილებმა, გორელაშვილებმა, პატარაშვილებმა, ბობლიაშვილებმა, მოკვერაშვილებმა, ჯაბანიშვილებმა, გურასპაულებმა და გამიაშვილებმა სოფელი კუნახტა დააარსეს. მოგვიანებით მატნიდან ვალაშვილები გადასულან საცხოვრებლად.

კუნახტელები ივნისში ლომისობას ზეიმობენ. ფშავლები ქვემო კუნახტაში დასახლდნენ, სადაც ამჟამად 20 კომლია. ხოლო ზემო კუნახტაში ძირითადად ოსები მოსახლეობენ. 1989 წელს იქ 40 კომლს უცხოვრია. ამჟამად 15 კომლამდე იქნება.

როგორც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, ასევე ჩეჩენეთ-ინგუშეთშიც, ყოველი ჩამომავლობა მამებად არის დაყოფილი. თითოეული ჩამომავლობა თავის გვარს ატარებს. ხევსურები და ქისტები გვარს ტრადიციულად არ იცვლიდნენ, ძალიან იცავდნენ და ინარჩუნებდნენ თავიანთ ძველ გვარს, ხოლო ფშავში სხვადასხვა ჩამომავლობის თითოეული მამიშვილობა ხშირად ცალ-ცალკე გვარს ატარებს. ამან განაპირობა პანკისში ჩამოსახლებულ ფშავლებში გვარების სიმრავლე. ალ. ოჩიაური წერდა: „ფშავში ადვილად იციან გვარების გამოცვლა. მაგალითად, სოფელ უძილაურთაში ბიძაშვილთაშვილები ცალკე თავთავის გვარს ატარებენ – კოჭლიშვილს ერთები და მეორენი –

მადურაშვილს. ისე კი ერთიმეორეს თავის ჯალაფთ ეძახიან“ [70. 292]. თუმცა სისხლის აღებისა და სხვა ადათობრივი წესების დარღვევის დროს ქისტებსა და ხევსურებშიც ხდებოდა გვარის გამოცვლა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოს სახელმწიფოებრივი დაქუცმაცებულობის, სრული ქაოსისა და ეკონომიკური კატასტროფის საფრთხე დაემუქრა. 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან, მას შემდეგ, რაც პანკისი კრიმინალური ბანდების სათარიშო გახდა, ხეობის ფშაურ სოფლებში შობადობა განსაკუთრებულად დაეცა და მოსახლეობამ კლება დაიწყო. ასე მაგალითად, ყვარელწყალში თუ 1989 წელს 320 ფშაველი ცხოვრობდა, 2002 წელს მათი რიცხვი 242-მდე შემცირდა. საკობინოში მოსახლეობის რაოდენობა 689-დან 553-მდე დაეცა. დედისფერულში 1989 წელს 70 სული, 37 კაცი და 33 ქალი ცხოვრობდა, 2002 წელს კი იქ სულ 43 ადამიანილა დარჩა, 24 კაცი და 19 ქალი. XX საუკუნის 90-იან წლებში ნაწილობრივ დაიცალა სოფლელი ხევისჭალაც.

პანკისის ხეობის ფშაური სოფლები საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე მონოეთნიკური იყო. XX საუკუნის 90-იანი წლებიდან ზემო ხალანანსა და ყვარელწყალში ქისტებმა დაიწყეს ჩასახლება და ამჟამად იქ უკვე ეთნიკურად შერეული მოსახლეობაა.

თუმებს პანკისის ხეობაში ოდითგანვე ვრცელი ადგილები ეკუთვნოდათ. რადგან პანკისი თუშეთიდან საზამთრო საძოვრებზე მიმავალ დერეფანში მდებარეობდა, თუმებს საზამთრო სადგომი ჰქონიათ არა მხოლოდ ალვანის ველზე, არამედ მთისწინეთში, კერძოდ, პანკისის ხეობაში, ბირკიანის ველზე. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ბირკიანს თუშები იყენებდნენ ტბათანის იალაზზე ალვნის ველიდან ცხვრის ასარეკად და ჩამოსარეკად. იქ ისინი ცხვარს ასვენებდნენ, პარსავდნენ და გასამგზავრებლად ამზადებდნენ. ბირკიანისა და ალვნის ველის სადგომები თუშების ყველა საზოგადოების ცხოვრებაში ისეთ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა, რომ მ. მაჩაბელის აზრით, ამ ბაზების გარეშე თუშური მეცხვარეობა ასეთ მაღალ დონეზე ვერ განვითარდებოდა [132. 418].

ბირკიანი მდებარეობს მდინარე ალაზნის მარჯვენა ნაპირზე, ჯოყოლოს ჩრდილოეთით, ზღვის დონიდან 800 მეტრ სიმაღლეზე, ახმეტიდან დაშორებულია 23 კილომეტრით.

მას შემდეგ რაც პანკისის ხეობაში მშვიდობა დამყარდა და იქ ქისტებისა და ფშავლების კომპაქტური დასახლებები გაჩნდა, თუშებმაც ბირკიანში დამკვიდრება დაიწყეს. XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან ბირკიანში იერი შეიცვალა, თანდათან ცხვრის გასაჩერებელი ადგილის მნიშვნელობა დაკარგა და სოფელს და-ემსგავსა. მ. მაჩაბლის ცნობით, XIX საუკუნის 80-იანი წლების შუახანებისთვის იქ უკვე ოცამდე კარმიდამო იყო, სადაც თუ-შების 30 კომლი ცხოვრობდა [132. 419]. მათი დიდი ნაწილი თა-ვიანთი ოჯახებითა და ცხვრით ზაფხულობით თუშეთში გადა-დიოდა. მ. მაჩაბელი აღნიშნავდა, რომ ბევრად უკეთესი იქნე-ბოდა, თუ შეჩერდებოდა პანკისში თუშების მიგრაცია და ბირ-კიანის ჯერ კიდევ დაუსახლებელ ადგილებს მხოლოდ ცხვრის გასაჩერებელ სადგომად გამოიყენებდნენ [132. 419]. მიუხედავად ამისა, თუშების ჩამოსახლება გრძელდებოდა და მალე ბირკიანი საკმაოდ მოზრდილ სოფლად გადაიქცა. ბირკიანში თუშების სხვადასხვა გვარი დასახლდა: ცუხურკაიძე, ფარეულიძე, აშაძე, ბათირაშვილი, დინგაშვილი, ქააძე, იუკურიძე, ნასიპაშვილი, იქაძე, ხუტიძე, ბორძიძიძე და სხვა.

როგორც ცნობილია, თუშეთი ოთხ საზოგადოებად იყოფა: პირიქითი, გომენარი, ჩაღმა და წოვათა. ბირკიანში ძირითადად პირიქითის ხეობიდან, დართლოდან და სხვა სოფლებიდან ჩამო-სახლებული თუშები ცხოვრობდნენ. იქ ესახლა აგრეთვე წოვა-თუშების რამდენიმე კომლიც.

ბირკიანში თუშების ჩამოსახლების შემდეგ დამკვიდრებუ-ლან ქისტებიც. ბირველად იქ პანკისის ხეობის ჩრდილოეთით, ალაზნის ზემო წელზე მდებარე სოფლებიდან, ხორეჯოდან და ჩხათანიდან, ცათიაშვილები და ქუშანაშვილები გადმოსულან საცხოვრებლად, რომლებსაც მანამდე მთიან ჩეჩნეთში, კერძოდ, ექში უცხოვრიათ. ხორეჯოსა და ჩხათანაში ქისტების რამდე-ნიმე ოჯახი ესახლა, ისინი ძირითადად მესაქონლეობასა და მო-ნადირეობას მისდევდნენ. ხორეჯო და ჩხათანა განთავსებულია მდინარე ალაზნის ზემო ხეობაში, მის მარცხენა კალთაზე, მდი-ნარე ხორეჯისწყლის მარჯვენა მხარეზე.

ბირკიანი და ომალო ერთმანეთის მოპირდაპირედ ალაზნის გაღმა-გამოღმა არის გაშენებული.

XX საუკუნის 50-იან წლებში ბირკიანში 50 კომლამდე ქარ-თველსა და ქისტების ათ ოჯახს უცხოვრია. ადგილობრივი მცხოვ-

რებლების გადმოცემით, მათ ერთმანეთთან მეტად მეგობრული დამოკიდებულება ჰქონიათ. ისინი ერთად ეწეოდნენ შრომის ულელს, ჭირსა და ლხინში თანადგომა სცოდნიათ. იქ მრავლად ყოფილა შერეული ოჯახები. XX საუკუნის 60-იან წლებში თუშები ბირკი-ანიდან ზემო ალვანში გადასახლდნენ. მათი კარმიდამოები კი ქისტებმა შეისყიდეს. ბირკიანიდან თუშთა გადასახლების ერთ-ერთი მიზეზი, როგორც ამბობენ, ისიც გახდა, რომ ზემო ალვნის საბჭოთა მეურნეობა ბირკიანის კოლმეურნეობაზე გაცილებით მდიდარი იყო, თანაც ზემო ალვანში გლეხებს შრომა დღეებს ფულით უნაზღაურებდნენ. ამრიგად მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების იმედით ისინი ზემო ალვანში გადასახლდნენ, სადაც უკვე იყო თუშების კომპაქტური დასახლება. ამჟამად ბირკიანში თუშების რამდენიმე ოჯახილა ცხოვრობს: თუში ფარეულიძეების ორი კომლი, ცუხურკაიძეებისა და ბათირაშვილების თითო კომლი და აგრეთვე ნასიპაშვილების ერთი კომლი. ბათირაშვილები და ფარეულიძეები ახლა უკვე ქისტურ წეს-ადათებსა და მაჰმადიანურ რელიგიას მისდევენ. ბირკიანში მცხოვრები თუში ცუხურკაიძეები ბოლო დრომდე ქრისტიანულ რელიგიას აღიარებდნენ. ქრისტიანობა ბირკიანში თუშმა ნასიპაშვილებმა შეინარჩუნეს. ნასიპაშვილები ბირკიანში დართლოდან ჩამოსახლებულან. ბირკიანელ ქისტებს ზემო ალვანში გადასახლებულ თუშებთან დღემდე არ დაუკარგავთ მეგობრობა და მისვლა-მოსვლა.

თუშების ნასვლის შემდეგ ბირკიანის მოსახლეობა კიდევ უფრო გაიზარდა, სხვა გვარებიც შეემატა და მათმა რაოდენობამ, 2002 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით, 900 სულს მიაღწია.

## თუშების მიზრაცია პანკისის ხეობაში

1900–1903 წლებში ქისტებითა და ქართველი მთიელებით, კერძოდ, ფშავლებითა და თუშებით დასახლებულ პანკისის ხეობას ოსი ახალმოშენებიც შეემატენენ. ისინი იქ ძირითადად შიდა ქართლის მთიანეთიდან გადმოსახლდნენ.

რუსეთის მთავრობამ და სინოდმა ოსებს ნებართვა მისცა გადასულიყვნენ შიდა ქართლიდან და დასახლებულიყვნენ სახაზინო და საეკლესიო მიწებზე.

ბატონიშვილის გაუქმებამ ახალი ბიძგი მისცა შიდა ქართლი-დან ოსების გადასახლებას აღმოსავლეთ საქართველოს სხვა-დასხვა რაიონებში. XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან 1914 წლამდე შეიქმნა ოსების ძლიერი კომპაქტური დასახლებები ქარ-თლსა და კახეთში [134. 146–147].

ოსების ნაწილი სახლდებოდა სახაზინო მიწებზე, ზოგი ადგილობრივი მემამულისაგან იჯარით იღებდა მინას, ხოლო ზოგიც კერძო საკუთრებაში ყიდულობდა მიწის ნაკვეთებს. ოსმა გლეხებმა, რომლებმაც იჯარით აიღეს ან იყიდეს მემამულებისგან ტყიანი ნაკვეთები, მოკლე ხანში იმ ადგილზე ბალვენახები გააშენეს [134. 146–147].

პანკისის ხეობაში ოსები პირველად 1900 წელს გამოჩნდნენ. დღევანდელი ჯავის მიდამოებში შუა საუკუნეებიდან დამკვიდრებული ოსები ცალკეულ გვარებად ცხოვრობდნენ. იქ, მთაში, მათ საკმაოდ განვითარებული ჰქონდათ მეცხოველეობა. სამაგიეროდ სახნავ-სათესი ფართობი არ ჰყოფნიდათ და საჭირო რაოდენობის მარცვლეული ვერ მოჰყავდათ. შოთა შავლობოვის გადმოცემით, პანკისელ ოსებს დღემდე აქვთ შემორჩენილი ასეთი ჩევეულება: როდესაც ოს კაცს ხელებზე ბევრ წყალს ასხამენ, იძახის: „ხორ! ხორ! ხორ!“ სიტყვა „ხორ“ ოსურ ენაზე ჰქვია მარცვლეულს, რომლითაც მთის მოსახლეობა ვერ ძღებოდა. ხელებზე ჭარბად დასხმული წყლის დროს ნატრულობდნენ, მარცვლეულიც ამდენი იყოსო.

ამრიგად, მთის სოფლებში უმინობით შეწუხებულმა ოსების ნაწილმა ნაყოფიერი სავარგულებისა და საცხოვრებელი ტერიტორიების ძებნა დაიწყო.

პანკისის ხეობაში, ალაზნის მარჯვენა მხარეს, ქისტებისა და ქართველების რამდენიმე სოფელი გაშენდა, ხოლო გაღმა, ალაზნის მარცხენა მხარეს, ხეობის ჩრდილოეთი ნაწილში, მხოლოდ ქისტების ერთადერთი სოფელი ომალო მდებარეობდა. დანარჩენ ტერიტორიაზე კი, რომელიც ბევრად უფრო ნაყოფიერი იყო, არავინ ცხოვრობდა. თუმცა, ქისტი ჩობანის ცნობით, ამ მიწების მესაკუთრენი იმ დროისათვის ქართველი დიდებულები ყოფილან.

ოსები ძირითადად ალაზნის მარცხენა მხარეს დასახლდნენ და რამდენიმე სოფელი ააღორძინეს: დუმასტური, ქვემო ხალანანი, წინუბანი და ქორეთი, ხოლო ოდნავ მოგვიანებით პან-

კისის ხეობის ქვემო წელზე, წინაუბნის პირდაპირ, ალაზნის მარჯვენა მხარეს – სოფელი კუნახტა.

პანკისის ხეობაში ოსები პირველად დღევანდელი დუმას-ტურის ტერიტორიაზე დასახლდნენ. დუმასტური მდინარე ალაზნის მარცხენა მხარეს, სოფელ ჯოყოლოს გაღმა მდებარეობს, ზღვის დონიდან 700 მეტრზე, ახმეტიდან 24 კილომეტრის დაშორებით.

დუმასტურში ჩამოსულ მიგრანტებს იქ დახვდათ გაველურებული ვაზი, ბარდეკალგადავლილი ნამოსახლარები, ნამარნალები და ნასაყდრალები, დუმასტურის განაპირას, მის დასავლეთით, მთის ფერდობის ძირში კი ფეოდალის რეზიდენციის ნანგრევები. ტერიტორია თითქმის სულ წიფლის ტყით ყოფილა დაფარული.

1900 წელს ლიახვის ხეობიდან დუმასტურში ჩასახლების თაობაზე მოსალაპარაკებლად 12 გვარის თითო წარმომადგენელი ჩამოვიდა: ცხოვრებოვი, ქასოვი, შავლოხოვი, გასიევი, ჯიოევი, ვანიევი, ქოზაევი, კაბისოვი, ყოჩიევი, ბათიევი, თედეევი და გერგაევი. მათი სოფლები ჯავის რაიონში იყო: გუცთა, მორგო, კასთავი, სხლები, ბილურთა და სხვ.

მ. ალბუთაშვილის ცნობით, ჯავის საზოგადოებიდან გადმოსახლებულ ოსებს ცისკაროვისგან 855 დესტინა გაუტეხავი მთაჭალა 20 წლით იჯარით აულიათ [107]. ქისტი ჩობანი არ აკონკრეტებს, თუ რომელ ტერიტორიაზე საუბარი, მაგრამ მთლიანი პუბლიკაციის შინაარსიდან ირკვევა, რომ ავტორი დუმასტურში ოსების მიგრაციას უნდა გულისხმობდეს.

საიჯარო ხელშეკრულების მიხედვით, ახალმოშენებს ძვირფასი ხის, მაგალითად, მუხა-კაკლის მასალის სხვაგან გაყიდვა არ შეეძლოთ. მემამულეს იჯარით გაცემული ტყითა და ოთხი დღის საუკეთესო სახნავი მინით თავისუფალი სარგებლობის უფლება ჰქონდა. მოიჯარები ვალდებულებას იღებდნენ, თუ მემამულე მოისურვებდა, იჯარით გაცემულ ტერიტორიაზე მის-თვის სახლი აეშენებინათ. 26 კომლს, რომელიც იქ დასახლებას აპირებდა, მინის მესაკუთრისათვის წელიწადში 90 თუმანი უნდა ეხადა [107]. ქისტი ჩობანი გაკვირვებული წერდა: „გვიკვირს, როგორ გადაიხდიან მოიჯარენი ყოველწლობით იმდენ ზღვა ფულს, თუ კი ტყითაც იმაზე მეტად ვერ ისარგებლებენ? ან იმოდენა როდის უნდა გაამინდვრონ, რომ მოჭარბებული მამული

მეზობლებზედ საღალოდ გასცენ და იქიდან მაინც წელი მოიმაგრონ?“ [107].

როგორც ჩანს, ოს ახალმოშენებს დუმასტურის ტერიტორია საცხოვრებლად იმდენად მოსწონებიათ, რომ ასეთი მძიმე საიჯარო ხელშეკრულების შესასრულებლად თანხმობა განუცხადებიათ.

ოსები პანკისში ურმებით მოვიდნენ. ჯავის ხეობიდან წამოიყვანეს ძროხები, თხები, ცოტა ცხვარი და გამწევი ძალა. თან წამოუღიათ საოჯახო ნივთები და სამუშაო იარაღები, ძირითადად ცული, ბირდაბირი, თოხი, ნამგალი და სხვა წვრილმანი.

პირველ რიგში მათ წიფლოვანი ვაკე გაჩეხეს და დაახლოებით 25 ჰექტარი მინა სახნავად აქციეს. წიფლის ძვირფასი ხე-ტყე კი ცეცხლს მისცეს და ნაცრად აქციეს. მომდევნო წელს აითვისეს პატარა უბე, სადაც ძველ დროში ხალხს უცხოვრია, და აგრეთვე ურთანაულის უბე, რომელსაც ოსები ქომს ეძახიან, სულ 10–12 ჰექტარი.

ლიახვის ხეობიდან გადმოსული 12 გვარის 26 თუ, ზოგიერთი მონაცემით, 36 კომლისათვის სამოსახლოები წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით დღევანდელი დუმასტურის ტერიტორიაზე, აღლაზნის მარჯვენა მაღალ ნაპირთან გამოუყვიათ და გზის ორივე მხარეს სწორ მნიშვნელობიათ. იქ თავდაპირველად ჯერ მამაკაცები მოსულან და ერთი წლის შემდეგ პანკისში ცოლ-შვილიც ჩამოუყვანიათ.

1903 წელს დუმასტურს კვლავ ენვივნენ ჯავის ხეობიდან ჩამოსახლების მსურველები: მაკოვების გვარიდან ორი კაცი, ხოლო ხარებოვების, სანაკოვებისა და შავლოხოვების გვარიდან თითო კაცი. მათ დუმასტურიდან 1,5 კილომეტრის დაშორებით ტერიტორია გამოუყვეს და ეს ხუთი ოჯახი იქ დასახლდა. იმ ადგილს პატარა დუმასტური დაერქვა, რომელსაც აგრეთვე ბანიზას ეძახდნენ. შ. შავლოხოვის აზრით, ეს ტერმინი გვარიდან მომდინარეობს და იქ უნინ კახელებს უცხოვრიათ. როგორც ჩანს, ისინი მევენახობას მისდევდნენ, რადგან ირგვლივ მაჯის სიმსხო ვაზი ყოფილა გაველურებული.

ქისტი ჩობანის ცნობით, ოსებმა ტყე-ჯაგისაგან გაკაფული ადგილები მოხნეს, მათ სიმინდი და ხორბალი დათესეს და უხვი მოსავალიც მიიღეს [107]. ისინი, როგორც მთიელები, მესაქონ-

ლეობას მისდევდნენ, მაგრამ პანკისში ჩამოსახლების დღიდან ხელი მიჰყვეს მიწათმოქმედებასაც.

ოსებმა დუმასტურში საცხოვრებლად ხის მიწურები გაიკეთეს. ბინის სიგრძე 8–10 მეტრი ყოფილა, სიგანე კი 6–7 მეტრი. მიწურს, როგორც წესი, ფანჯრები არ ჰქონდა. კარები ჩარჩოზე პრიმიტიულად ეკიდა, კარების სიმაღლე ისე იყო გათვალისწინებული, რომ ღორი არ გადამხტარიყო, ან 7–8 წლის ასაკამდე ბავშვი არ გადასულიყო.

ბინის შუაში ქვით მოპირკეთებული კერა იყო, სადაც შუაცეცხლს ანთებდნენ, ხოლო მის თავზე გაკეთებული ჰქონდათ კვამლის გასასვლელი, ე.ნ. ერდო. შუაში ეკიდა ჯაჭვი, რომელზედაც თუჯის ან სპილენძის ქვაბს ამაგრებდნენ და საკვებს ხარშავდნენ.

სანამ ოონეებს შემოიღებდნენ, როგორც ამბობენ, 1926–1927 წლებამდე, პურს გახურებულ ნაცარში აცხობდნენ.

თავდაპირველად ახალჩამოსახლებულებს ეზოები შემოლობილი არ ჰქონიათ. დუმასტურელები არაყს ომალოსა და დუმასტურის გამყოფ ხევთან ხდიდნენ. იქ ყრიდნენ საარყე ხილს კასრებში, იქვე ორი კვირის განმავლობაში აფუებდნენ, იქვე, ღია ცის ქვეშ ტოვებდნენ არყის სახდელ სპილენძის ქვაბს, გეჯას და თურმე არც არავინ იპარავდა.

5–10 წლის განმავლობაში ოსები ეკონომიკურად ცოტა მოძლავრებულან და ხის ფიცრული ბინების მშენებლობა დაუწყიათ. ამისთვის მათ საგანგებოდ რაჭველი ხელოსნები მოუწვევიათ, რომელთა ოსტატობასაც კარგად იცნობდნენ კუდაროს ხეობიდან ჩამოსახლებული ოსები. დასავლეთ საქართველოდან პანკისის ხეობაში სახლების ასაშენებლად ქისტების მიერ მოწვეული იმერელი ხელოსნები ჯერ კიდევ XIX საუკუნის 70-იან წლებში უნახავს გუსტავ რადეს [136. 320]. იმ დროს პანკისის ხეობაში სახლებს ხისგან აკეთებდნენ.

XX საუკუნის დამდეგისთვის, როცა ოსები პანკისის ხეობაში სახლდებოდნენ, ქართველები და ქისტები, როგორც უფრო ადრე მოსულები, ეკონომიკურად გაცილებით შეძლებულად ცხოვრობდნენ. ზაქარია გულისაშვილი ჯერ კიდევ 1887 წელს გაზეთ „ივერიაში“ აღნიშნავდა, რომ „სახლები კრამიტებითა აქვთ ფშავლებს დახურული და შეძლებით გაცილებითა სჯობიან სხვა მოსახლეებს“ [116]. სოფელ დუისის შესახებ კი წერდა: „ეხლა იქ

მაისტელების კოხტა სოფელია, კრამიტით დახურული სუფთა ფიცრულებით“ [116].

წინუბანში ოსები 1902-1903 წლებში ჩამოსახლდნენ ჯავის მიდამოებიდან. წინუბანში ძირითადად შემდეგი გვარები მოვიდნენ: ქოჩიშვილები, ქელებაშვილები, წარიტოვები, ცხოვრებოვები, ხუგაშვილები, ქოზაშვილები, ბესთაევები და სხვები.

წინუბანი მდებარეობს ალაზნის მარცხენა მხარეს. დუისის გაღმა, მის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ფიჩხოვნის მიმართულებით. ახმეტიდან დაშორებულია 16 კილომეტრით. წინუბანი ზღვის დონიდან 580 მეტრზე მდებარეობს. პანკისის ხეობის წინუბანი მოხსენებულია ჯერ კიდევ XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის მოსახლეობის აღნერის დავთრებში. იქ მაშინ საზვერელ სალთხუცის ყმებს უცხოვრიათ, ძირითადად რამინაშვილებს, აგრეთვე ცენტერაძეს, ხატის მეზღვნეს – გვარად ქურციკიძეს, გიორგი მღვდელსა და სხვებს.

ჩამოსახლების დროს წინუბანში ოსებს დახვდათ გაუვალი ტყე და ბუჩქნარი. სანამ წყაროს წყლებს გაიყვანდნენ, ისევე როგორც პანკისის ხეობის სხვა სოფლებში, ისინიც სასმელად ალაზნის წყალს იყენებდნენ.

ქვემო ხალანანში ბითიევები და ცხოვრებოვები წონის ხეობიდან ჩამოსახლდნენ. ხოლო ხუგაევები, ნინიევები და ნარტყყოვები კუდაროდან. როგორც ჩანს, ის ტერიტორია მაშინ კობიაშვილებს ეკუთვნოდათ. ქისტი ჩიბანი 1902 წელს გაზეთ „ივერიაში“ წერდა: „ყველა მამულებზედ კარგი და გლეხკაცისთვის ყველაფრით ხელსაყრელი კობიაშვილის მამულია. იგი მდებარეობს ზედ ალაზნის პირად, დუისოფლის პირდაპირ. სოფელსა და მამულს შუაზედ მხოლოდ მდინარე ჩამოუდის. მამული შეიცავს 252 დესეტინას, რომლის სამი ნანილი, შეიძლება სულ მცირე ხანში მინდვრად აქციოს კაცმა. აქეთ-იქიდან საზღვრავს ორი ტყიანი პატარა გორა, სადაც თითო-ოროლა მსხვილი სახერხი ხე მოიპოვება, – დანარჩენი სულ ჭალა-ფერდობებია, ზოგი უკვე გამინდვრებულია და ზოგიც უბრალო ჯაგ-ფიჩხნარი, ტყით დაფარული, რომელიც სათქმელს შრომას არ მოსთხოვენ კაცს გასამინდვრებლად“ [107]. ქისტი ჩიბანის ცნობით, 1899 წელს ამ ტერიტორიის ყიდვა დუისელ ქისტებს სდომებიათ. კობიაშვილთან 800 თუმნად კიდეც მორიგებულან და მისთვის 10 თუმანი, როგორც „ბე“ მიუციათ. მაგრამ დუისელებს თავი მი-

უნებებიათ. ხანგრძლივი ყოფილის შემდეგ უთქვამთ: – გზის მაჩვენებელი არავინ გვყავს, ვაი თუ ჩვენი საქმე კარგად ვერ წავიყვანოთ და ამხელა თანხაც დაგვეკარგოსო“ [107].

კობიაშვილის მამული ბოლოს ტფილისელ სომებს, გვარად კეპინოვს, უყიდია. „დარჩენენ ჩვენი ქისტები პირში ჩალაგამოვ-ლებულები, – წერს ქისტი ჩობანი, – ახლა სომებს შეევაჭრენ, მაგრამ სომებმა 800 კი არა 1000 მანეთი დაუფასა. ეხლა ბევრს იცემენ თავში, მაგრამ რაღა გაეწყობა. ეს ადგილიც ისევ ოსებმა სინჯეს და 12 ასი თუმანი შეაძლიერს. მაგრამ ახალმა პატრონმა 13 ას თუმნად დაუფასა“ [107]. როგორც ჩანს, ოსებმა ეს მამულები საკმაოდ ძვირად, მაგრამ მაინც შეისყიდეს.

1900 წლიდან პანკისის ხეობაში პეტრიაშვილისგან ანდრონი-კაშვილის მიერ ნაყიდ მამულშიც ოსები დასახლებულან. ქისტი ჩობანის ცნობით, „ანდრონიკაშვილმაც თავის მამულში, რო-მელიც პეტრიაშვილებისგან გადაეცა, ეს მეორე წელია იჯარით გასცა გორის მაზრიდან გადმოსახლებულ ოსებზე 205 დესეტინა ტყიანი მთა-ბარი 24 წლით, წელინადში 45 თუმნად. ოსებს ბატონისაგან ყოველგვარი უფლება მინიჭებული აქვთ. ამას-თანავე მამული ადვილი გასაჩება-გასანმენდია. ჭალებში მსხვილი სახერხი ან ისე უბრალო გამოუსადეგარი ხე ბევრი არ არის, გარდა მაღლა გორებისა, ასე რომ თითქმის სულ შიშველა, ნორჩი ტყეა. რაც უნდა მსხვილი ხე იყოს, ორად ან სამად გადაჭრილს, უღელი ხარი მაინც გაათრევს“ [107].

შუა ხალანანში ჯერ ქოზაშვილები და გაბარაშვილები და-სახლებულან, მაგრამ შემდეგ ის ტერიტორიები ქისტებს, გვარად ცათიაშვილებს დაუკავებიათ. ქოზაშვილები და გაბარაშვილები კი ოსიაურსა და ინგეთს შორის ნაკალოვარში გადასულან საც-ხოვრებლად.

ქორეთის დასახლება 1903 წელს დაწყებულა. ოსები ქო-რეთში წელ-წელა, 1903, 1904, 1905 და 1906 წლებში დამკვიდ-რებულან. ისინი ძირითადად ჯავისა და ქარელის რაიონის სოფ-ლებიდან გადმოსახლებულან. ესენი ყოფილან ბაგაურები, თე-დეშვილები, ქოზაშვილები, გაბარაშვილები, ლოხიშვილები, ნარ-ტყოშვილები, ყოჩიშვილები და სხვები. ქორეთში შუა ხალან-ნიდან მოგვიანებით კაბისაშვილები გადმოსახლებულან, აგრეთ-ვე ქოქოშვილებისა და ბაგაურების ნაწილი.

ქორეთი ალაზნის მარცხენა მხარეს, ზღვის დონიდან 580 მეტრზე მდებარეობს. ახმეტიდან დაშორებულია 12 კილომეტ-რით. ქორეთის მიდამოებში პანკისის ხეობა უკვე საგრძნობლად ფართოვდება.

ოსებს ჩამოსახლების პერიოდში იქ გაუვალი ძეძვნარი და ულრანი ტყე დახვედრიათ. ისინი თავდაპირველად დღევანდელი ქორეთის ქვედა მხარეს, ყაინაურის ხევის მარცხენა მხარეს დასახლებულან. წინათ იმ ხევში დიდი წყალი მოდიოდა, მაგრამ როცა ტყე-ჯაგი გაუკაფავთ, წყალს დაუკლია და ახლა ზაფხუ-ლობით შრება კიდეც. ირგვლივ ჭაობი ყოფილა, ამიტომ მო-სახლეობას ხშირად მალარია უჩნდებოდა. ოსები ჩამოსვლის დღიდან მუხლჩაუხრელად შრომობდნენ. ძეძვისა და ბუჩქე-ბისაგან გაათავისუფლეს ტერიტორიები და მინდვრებად აქციეს. ჭაობებში გაიყვანეს არხები და ამოაშრეს. ალაზნისკენ ქორეთის პირმზითი ნანილი, ყაინაურის ხევის მარჯვენა მხარე, თუშების კუთვნილებაში რჩებოდა. იმ ადგილს ოსები ახლაც სათუმოს ეძახიან. კოლექტივიზაციის წლებში სოფლის თავკაცებმა რა-იონის ხელმძღვანელებს სთხოვეს, რომ ბახტრიონის მხარეს ქორეთის კუთვნილი მინის ფართობი ალვნელებისთვის გადა-ეცათ, ხოლო თუშების ტერიტორიები, ყაინაურის ხევის მარ-ჯვენა მხარე – ქორეთელებისთვის. რადგან ტერიტორიების გაცვლა ორივე მხარისათვის ხელსაყრელი იყო, რაიონის ხელ-მძღვანელობამ ეს თხოვნა შეასრულა. ამიტომაც 1934–1935 წლებში ქორეთის მოსახლეობამ ყაინაურის ხევის მარჯვენა მხა-რეს დაიწყო გადმოსახლება. ამგვარად შეიქმნა ორი უბანი. ძვე-ლად, შუა საუკუნეებში, ის ადგილები მეტად მჭიდროდ ყოფილა დასახლებული. ქორეთელები როდესაც ხნავენ, მინიდან ახლაც ქვევრებისა და სხვადასხვა ჭურჭლის ნამტვრევები ამოდის. ქო-რეთის ირგვლივ, მთის ფერდობებზე, მოჩანს ძველი ნამოსახ-ლარები, სხვადასხვა სოფლებთან დამაკავშირებელი ისტორი-ული გზების ნაკვალევი.

შ. შავლოხოვის ცნობით, პანკისის ხეობაში ხუგაევები, ზა-სეშვილები, ნანიშვილები, ნარტყოშვილები, ყაჩმაზაშვილები, თამაზაშვილები და ზოგიერთი სხვა გვარები კუდაროს ხეობი-დან გადმოსახლდნენ. რაც შეეხება ქვემო კუნახტის ოსებს, რომ-ლებიც პანკისის ხეობის ქვემო წელზე, ალაზნის მარჯვენა მხა-

რეს დამკვიდრდნენ, შიდა ქართლის მთიანეთიდან გადმოსახლდნენ. მათი ნათესავები იქ ახლაც ცხოვრობენ.

მართალია, პანკისის ხეობაში ოსების კომპაქტური დასახლებები 1900-1903 წლებში შეიქმნა, მაგრამ ოსების ცალკეული ოჯახების ჩამოსახლება მომდევნო წლებშიც გრძელდებოდა.

ოსებმა ის ადგილები, სადაც დასახლდნენ, დაუღალავი შრომით სულ მაღლ ბაღნარად აქციეს.

1991 წლიდან ოსების გარკვეულმა ნაწილმა პანკისის ხეობა დატოვა; უმეტესობა რუსეთის ფედერაციაში – ვლადიკავკაზია და სხვა ქალაქებში გადასახლდა. მიგრაციული პროცესები ძირითადად საბჭოთა კავშირის დაშლამ განაპირობა. მას შემდეგ, რაც გაუქმდა კოლმეურნეობები და დაიკეტა ფაბრიკა-ქარხები, მოსახლეობის დიდი ნაწილი უმუშევარი აღმოჩნდა. ამიტომ ვისაც სად უხერხდებოდა, ბედის საძებნელად იქ მიდიოდა. ასე მაგალითად, პანკისის ქისტური მოსახლეობა, უმთავრესად მამაკაცები, ჩეჩინეთსა და ინგუშეთში წავიდნენ სამუშაოდ. გაჭირვებისა და სილატაკის შედეგად ემიგრირდა ქართული მოსახლეობის დიდი ნაწილიც.

ოსებს, როგორც ცნობილია, ქართველებთან უძველესი დროიდან ყველაზე მჭიდრო ნათესაურ-მეგობრული დამოკიდებულება ჰქონდა. მაგრამ მესამე ძალის ჩარევის შედეგად ეს კავშირები წყდებოდა და ამ ორ მოძმე ხალხს შორის ზოგჯერ ურთიერთობა უკიდურესად მძაფრდებოდა.

რუსეთის მიერ თავსმოხვეულმა პოლიტიკამ განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა პანკისელი ოსები და საერთოდ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ფარგლებს გარეთ მცხოვრები 100 ათასი მშვიდობიანი ოსი მოქალაქე, რომლებსაც შესისხლხორცებული ჰქონდათ ქართული ენა, ქართული კულტურა და ქართული წეს-ადათები.

1992 წლიდან საქართველო მოიცვა კრიმინალური ბანდების თარეშმა, რომლებიც ერთნაირად ძარცვავდნენ როგორც ქართველებს, ასევე სხვა ეთნიკური წარმომავლობის ხალხებს. პანკისის ხეობიდან ოსებმა წასვლა დაიწყეს. 1992–1993 წლებში ოსების ნაწილი გადასახლდა პანკისის ხეობიდან, თუმცა თითქმის ყველას მუდმივი საცხოვრებელი კვლავ პანკისში ჰქონდა. განსაკუთრებით მძიმე და უსაშველო გახდა პანკისელი ოსების ყოფა 1999–2002 წლებში, როდესაც მთავრობის უმოქმედობის

გამო ხეობაში თავი მოიყარეს სხვადასხვა კუთხიდან მოსულმა კრიმინალებმა, საერთაშორისო ტერორისტებმა და „ბოევიკებ-მა“. მშვიდობიანი მოსახლეობის ძარცვა-გლეჯა ყოველდღიურ მოვლენად გადაიქცა. მოიშალა მეურნეობა. ეკონომიკური გა-ჭირვების გამო ოსების დიდი ნაწილი იძულებული გახდა და-ეტოვებინა პანკისის ხეობა. ისინი გულისტყივილითა და ცრემ-ლიანი თვალებით ემშვიდობებოდნენ წლების მანძილზე მოვ-ლილ-ნაპატრონებ სახლ-კარს.

პანკისის ხეობიდან ოსები საქართველოში შექმნილი სო-ციალ-ეკონომიკური მიზეზების გამო წავიდნენ.

თუ როგორ შეიცვალა დემოგრაფიული სიტუაცია ბოლო 15 წლის მანძილზე პანკისელ ოსებში, ამის თვალსაჩინო სურათს წარმოგვიდგენს 1989 და 2002 წლების მოსახლეობის აღწერის მონაცემები:

პანკისი ხეო-ბის ოსების დასახლებული სოფლები	წელი	მოსახლეობის რაოდენობა	მათ შორის		ძირითადი ეროვნებები		
			კაცი	ქალი	ოსი	ჩეჩენი	ქისტი
დუმასტური	1989	304	147	157	304	–	–
დუმასტური	2002	231	116	115	127	–	67
ქვემო ხალაწანი	1989	204	108	96	204	–	–
ქვემო ხალაწანი	2002	122	66	56	26	–	92
ქორეთი	1989	348	180	168	348	–	–
ქორეთი	2002	125	59	66	115	–	–
წინუბანი	1989	388	195	193	388	–	–
წინუბანი	2002	264	135	129	–	42	203

ქართველი მთიელების, ოსებისა და ქისტების, როგორც კავკასიის მაღალმთიანეთის მკვიდრი მოსახლეობის ცხოვრების სტილი, ეკონომიკური მდგომარეობა და სამეურნეო ტრადიციები ძალიან ჰგავდა ერთმანეთს. მათ პანკისის ხეობაში გადმოსახლებამდე მიწების სიმცირის გამო მძიმე ეკონომიკურ პი-

რობებში უხდებოდათ ცხოვრება და ამიტომ ვარგისი მიწის ახალ ნაკვეთებს ეძებდნენ.

პანკისის ხეობაში მთიელთა ჩამოსახლება სახელმწიფოს ინ-ტერესებშიც შედიოდა, ამიტომ მთავრობა ხელს უწყობდა მიგ-რაციულ პროცესებს.

თქმულება-გადმოცემები პანკისის ხეობაში მთიელთა მიგ-რაციის ერთ-ერთ მიზეზად ხალხური სამართლის ნორმებს, კერძოდ მესისხლეობას ასახელებს.

ქისტები და ოსები პანკისის ხეობაში სრულიად განსხვა-ვებულ გარემოში მოხვდნენ და ადგილობრივ პირობებთან ადაპ-ტაცია უმტკივნეულოდ არ მომხდარა. მათი პანკისში დამკვიდ-რების პროცესი მძიმე და ხანგრძლივი იყო. ყველა ვერ უძლებდა ასეთ გამოცდას და ზოგი უკან ბრუნდებოდა.

მიუხედავად ამისა, XX საუკუნის დამდეგს პანკისის ხეობაში უკვე 23 სოფელი არსებობდა. ქისტებით დასახლებული იყო 6 სოფელი: დუისი, ჯოყოლო, ომალო, ხორაჯო, ჩხათანა და ქორ-თაბუდე. ოსებიც 6 სოფელში ცხოვრობდნენ: ქორეთში, ქვემო კუნახტაში, წინუბანში, დიდ დუმასტურში, პატარა დუმასტურსა და ქვემო ხალანანში. 200-მდე ქართველი სახლობდა ბირკაანში. გარდა ამისა კიდევ 9 სოფელი შექმნეს პანკისში ქართველმა მთიელებმა: ყვარელნყალი, ზემო კუნახტა, საკობიანო, ხევის-ჭალა, დედისფერული, ძიბახევი, ხადორი, ტოლოშა, ბანარა და ზემო ხალანანი. მოგვიანებით ქართველები დასახლდნენ ბაყი-ლოვანშიც.

1926 წლის მონაცემებით პანკისის ხეობაში ცხოვრობდა 2000-მდე ქისტი, 1222 ოსი და 1362 ქართველი.

პანკისის ხეობის მუდმივი მოსახლეობა		
1926 წლის აღწერის მიხედვით		
სოფლის დასახელება	კომლთა რაოდენობა	სულთა რაოდენობა
ქორეთი	58	282
დუისი	305	1130
ყვარელწყალი	86	359
ზემო კუნახტა	15	54
საკობიანო	50	117
ქვემო კუნახტა	9	50
წინუბანი	70	353
დედისფერული	32	132
ხევისჭალა	48	161
ჩხათანა	6	21
ჯოყოლო	96	333
ხორაჯო	12	54
ბირკიანი	63	240
ხადორი	18	55
ომალო	80	329
ტოლოშა	13	41
დიდი დუმასტური	53	345
პატარა დუმასტური	5	33
ქვემო ხალაწანი	23	159
ზემო ხალაწანი	27	122
ძიბახევი	18	61
ქორთაბუდე	3	15

## განახლებელი სემბა

### სოფლების აღორძინება პანკისში

XIX საუკუნის შუა ნულებში, როდესაც პანკისში ქისტები და ქართველი მთიელები დასახლდნენ, ხეობა გაუვალი ტყითა და ჯაგნარით იყო დაფარული.

ტყეებს შორის აქა-იქ პატარ-პატარა მდელოები მოჩანდა, სადაც თუშები მთიდან საზამთროდ ჩამორეკილ ცხვარს აძოვებდნენ.

აღსანიშნავია, რომ პანკისის ხეობაში ჩამოსახლებულმა მთიელებმა თავიანთი ახალი საცხოვრისი ყველგან ძველი სოფლების მახლობლად განათავსეს. მძიმე იყო მათთვის უცხო გარემოსთან შეგუება, უძნელდებოდათ ახალი ცხოვრების დაწყება, განსაკუთრებით ვაინახებს. ქისტი ახალმოშენების პანკისის ხეობაში დამკვიდრებას უხუცესი ქისტი, 1874 წელს დაბადებული დავით გოგიას ძე მარგოშვილი, ამგვარად გადმოგვცემს: „ამ ადგილას იყო უღრანი ტყე და დავიწყეთ ცხოვრება. გავაკეთეთ მიწაში სახლები. არ გვქონდა კრამიტი და ისე უბრალოდ გადავხურეთ. არ გვქონდა აგური, ამიტომ მიწაშივე ამოვთხარეთ სახლები. მოგვქონდა ცეცხლი და ისე ვანთებდით. არა გვქონდა ბუხარი და ღუმელი. არ ვიცოდით, როგორ გვეცხოვრა. მერე დავიწყეთ სიმინდის მარგლით თესვა. მიწაში დავარტყამდით მარგალს, შიგ თითო სიმინდის მარცვალს ვაგდებდით და ასე ვთესავდით. არ გვქონდა გუთანი და საერთოდ – არაფერი“ [30. № 12997].

როგორც ცნობილია, მთიელები თავდაპირველ სამშობლოში ძირითადად მესაქონლეობას მისდევდნენ. პანკისის ხეობის ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო კი მიწათმოქმედების საშუალებასაც იძლეოდა.

პანკისის ხეობაში ჩამოსახლებულ მთიელებს სოფლის მეურნეობის სხვადასხვა კულტურების მოყვანა-შესწავლაში მეზობლად, ახმეტის შემოგარენში მცხოვრები ქართველები დაეხ-

მარნენ. დავით მარგოშვილის გადმოცემით, „ქართველმა ხალხმა გაიგო, რომ ჩვენ აქეთ უცხოვრობდით და ძალიან გვიჭირდა. ჩვენ ქართველ ხალხთან დავმეგობრდით. გადავიღეთ მათი წესები. დიდი მეგობრები ვიყავით და ვართ კიდეც“ [30. №12997].

ჩამოსახლების პირველ წლებში, როგორც ვხედავთ, ვაინა-ხებმა მრავალი ტანჯვა-წამება იწვნიეს: შინაური საქონელი ბევრი არ ჰყავდათ. თავის გამოსაკვებად საჭირო გახდა დაყამირებული მიწის დამუშავება და მოსავლის მოყვანა. დიდი ხნის მანძილზე დაუმუშავებელი მიწა ტყესა და ბუჩქნარს დაეფარა.

ამრიგად, ჩამოსახლებულმა მთიელებმა პირველ რიგში ნა-სოფლარების სიახლოეს ტყე და ბარდ-ეკალი გაკაფეს, ჯაგ-ნარისაგან გათავისუფლებულ ტერიტორიას კი როგორც საც-ხოვრებლად, ისე სახნავ-სათესადაც იყენებდნენ. ამგვარად და-მუშავებულ ფართობს მფლობელის სახელი ერქმეოდა. ასე გაჩნდა ახოები: ძევთ ახო, ხოხორაა ახო, გოგიაა ახო, ქაა ახო, ლააზარ ახო, ოსია ახო, ბევსარ ახო; ეზოები: ბეთიგ ქართ – ბეთიგის ეზო, მიხაკო ქართ – მიხაკოს ეზო; ნაკვეთები: იესი დააყ – იესის ნაკვეთი, იდეა დააყ – იდეის ნაკვეთი; ნაჯაგები: თულაა ნაჯიგ – თულას ნაჯაგი (ნაკაფი); ყანები: ჩუოფან წააშ – ჩოფანას ყანა, ხელილ წააშ – ხელილას ყანა, მიხო წააშ – მიხოს ყანა. ტყისგან გამოთავისუფლებულ ადგილებში ცხვრის დასა-ყენებელი ფარეხები და საქონლის გომურები ააშენეს; იმ ადგი-ლის სახელწოდებები დღემდეა შემორჩენილი: სოსია ფარახაშ – სოსის ფარეხები, ძაძი გომურუო – ძაძის გომური და სხვ.

ფშავლებით დასახლებულ სოფელ ყვარელწყალშიც მრავალ ადგილს ახოს თავდაპირველი გამჭრელისა და მფლობელის სახელი აქვს შერჩენილი. ასეთებია: ჯლუთათ ახო, მიხეილთ ახო, სალუქაურთ ახო, ოქრუათ ახო, ქისტიანთ ახო, შამილთ ახო და სხვ. ანალოგიურ ვითარებას ვხვდებით ოსებით დასახლებული სოფლების შემოგარენშიც, სადაც ახოების სახელწოდებები კონ-კრეტული პიროვნებისადმი მათ კუთვნილებას გამოხატავს. მაგ., შაქროს ახო, ვაზნოს ახო, ლადის ახო, ფიდოს ახო და სხვა. პანკისის სოფლებში არ არის ოჯახი, რომელმაც თავისი წი-ნაპრის მიერ ჩამოსახლების პირველ წლებში გაჭრილი ახო არ გვიჩვენოს. როგორც დავით მარგოშვილი ყვება, ახალმოსულებს მატანსა და ახლომახლო სოფლებში მცხოვრები კახელები და-

ეხმარნენ, მათგან შეუთვისებიათ მიწის დამუშავებისა და ბოსტნეული კულტურების მოყვანის ტექნოლოგია.

რადგან მთიელებს ხეობა დაუსახლებელი დახვდათ, მათ ახოს გაჭრაც ყოველგვარი ნებართვის გარეშე, სტიქიურად შეეძლოთ. ამის შემდეგ დამუშავებული ნაკვეთი მათ პირად მფლობელობაში ექცეოდა. სხვადასხვა წყაროს ცნობით, ამგვარი ვითარება მხოლოდ პირველ ხანებში უნდა ყოფილიყო და ისიც მოსული მოსახლეობის სიმცირით თუ აიხსნება, თანაც ხვნა-თესვას მაშინ ყველა არ მისდევდა. მოგვიანებით, როცა პანკისის ხეობაში მიწათმოქმედება მეურნეობის წამყვანი დარგი გახდა და მთიელთა მიგრაციამ მასიური ხასიათი მიიღო, სახელმწიფო ახოების გაჭრა შეზღუდა და მიწათმფლობელობაზე კონტროლი გაამგაცრა.

მოახალშენები პანკისის ხეობის სამეურნეო პირობების შესახებ თავდაპირველ სამშობლოში უმინობით შენუხებულ მოძმეულსაც ატყობინებდნენ. პანკისის ნოყიერი მიწის ხვავი და ბარაქა მაღალმთიანეთში უგზოობითა და სილარიბით შენუხებულ ბევრ ოჯახს იზიდავდა. ხეობაში მოსახლეობის რაოდენობა თანდათან იზრდებოდა.

აღსანიშნავია, რომ ქართველ ხალხთან ქისტების კულტურულ-ეკონომიკურ ინტეგრაციაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ქრისტიანულმა რელიგიამ. როგორც ცნობილია, ქართველი მთიელები, კერძოდ, ფშავლები ოდითგანვე მისდევდნენ ჯვარსატების რწმენას. ქისტების ნაწილი მთიანი ჩერჩეთიდან გადმოსახლების პერიოდში თაყვანს სცემდა თავისი თემის მფარველ სალოცავებს. ისინი სინკრეტული რწმენა-წარმოდგენების მიმდევარნი იყვნენ, რაც ქრისტიანული და ქრისტიანობამდელი რწმენა წარმოდგენების ერთგვარ ნაზავს წარმოადგენდა. იყვნენ ისლამის მიმდევრებიც, თუმცა მათ შორის ვერ ნახავდით არაბული ენისა და ყურანის მცოდნე პირებს, შესაბამისად არ ჰყავდათ მოლებიც.

1866 წელს ჯოყოლოელი ქისტები ალზანში ქრისტიანულად მოინათლნენ, ქალებს და კაცებს ქრისტიანული სახელები დაარქვეს და ქრისტიანული ადათები დაუწესეს. დუისელები თავიდანვე უფრო მაჟმადიანობას მისდევდნენ, თუმცა მათ შორისაც იყვნენ ქრისტიანული რელიგიისა და ადგილობრივი რწმენის მიმდევრები. ომალოელი ქისტებიც ჯოყოლოელთა მსგავსად

ქრისტიანობას აღიარებდნენ. XIX ს-ის 80-იან წლებში პანკისის ხეობის მოსახლეობა ჩამოსახლებული ქართველი მთიელებისა და ქისტების გამო კიდევ უფრო გაიზარდა. ქრისტიანული რელიგიის მიმდევართა რაოდენობის ზრდამ განაპირობა პანკისის ხეობაში ეკლესიის აშენების საჭიროება. 1887 წელს ჯოყოლოს შუაგულში აშენდა მარიამ ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია. აღსანიშნავია, რომ ამ ეკლესიაში დაარსების დღიდან ღვთისმსახურებას თითქმის სულ ქისტური წარმოშობის მღვდლები ასრულებდნენ.

XIX საუკუნის 70–80-იან წლებში შეძლებითა და ეკონომიკური მდგომარეობით დაწინაურდნენ ფშავლები. ისინი, როგორც ჩანს, მეურნეობის სხვადასხვა დარგს მისდევდნენ, კერძოდ მესაქონლეობას, მეცხვარეობას, მეფუტკრეობას. მათ ჰყავდათ შინაური ფრინველიც. 1887 წელს ზ. გულისაშვილი პანკისელი ფშავლების შესახებ წერდა: „ნაოხარი მინდვრები სახნავად გადაუქცევიათ, ეზოები უზარმაზარი მუხის მესრებით შემოუტლუდავთ და ამ ვაკე კარ-მიდამოებზედ უდარდელად ძოვენ ამათი ცხენის ჯოგები და მშვენიერი ჭრელი ფურები. აგრეთვე ბლომადა ჰყავთ ფშაველებს ცხვარიც... ბევრ ფშაველს ფუტკარიცა ჰყავს; ინდაურების ხრო ხრო გაგიკირდება ყველას ეზოში. სახლები კრამიტითა აქვთ ფშავლებს დახურული და შეძლებით გაცილებითა სჯობიან სხვა მოსახლეებს“ [116].

ადგილობრივ პირობებთან ადაპტაცია ყველაზე მეტად ქისტებს გაუჭირდათ. ფიზიკური შრომის მთელი სიმძიმე ქისტ ქალებს დააწვათ მხრებზე. მამაკაცთა უმრავლესობას, ისევე როგორც თავის სამშობლოში, აქაც მეკობრეობა და მონადირეობა იზიდავდა. პანკისელი ქისტების საქმიანობის შესახებ ზ. გულისაშვილი 1887 წელს წერდა: „პანკისში დღესაც ქისტი დედაკაცი ხნავს, თესავს, მკის, შეშა მოაქვს, თელავს და ყიდის ქუდებს, ნაბდებს, ქსოვს ქმრისთვის შალს; კაცი კი უსაქმოდ დაყიალობს, რადგან კანონით ხელი შეკრული აქვს, რომ იარაღით თულაობასა და ქურდობას მიჰყვეს“ [116].

მ. ალბუთაშვილიც არ უარყოფს, რომ ქისტი მამაკაცები პანკისში ჩამოსახლების პირველ ხანებში ფიზიკურ შრომას ერი-დებოდნენ. ისინი მთელ დღეს სალაყბოზე ატარებდნენ. მოხუცები ყველოდნენ ძველ თავგადასავლებს, ზოგს აქებდნენ, ზოგს დასცინოდნენ, თან სიმინდის ჩალაში გახვეულ თამბაქოს ენე-

ოდნენ. იმ დროს ჯეილები ყურს უგდებდნენ და მათ ქცევა-ლაპარაკს ითვისებდნენ. მათე ალბუთაშვილი იხსენებს: „ეხლაც ბევრს ახსოვს აქაური მოძღვრის შენიშვნა, რომელმაც ნახა სალაყბოზე მსხდარი ქისტები და უთხრა: „ხო, შვილო, ისხედით და წიეთ პაპიროსები, კახეთში კალოები თქვენთვის ილენებაო“. ასე უბრალოდ ნათქვამი ბევრს გულში ჩარჩა“ [1. 128]. მ. ალბუთაშვილის გადმოცემით, ქისტებს მოძღვრის რჩევა მოენონათ და ფიზიკურ შრომას მიჰყვნენ.

პანკისის ხეობაში მიწების ნაწილი სახელმწიფოს და ნაწილიც თავადაზნაურთა საკუთრებაში იყო მოქცეული. როგორც სახელმწიფო, ასევე მემამულებიც ექსპლუატაციას უწევდნენ ადგილობრივ გლეხებს. მაგალითად, ფშაველ მეცხვარეებს ტყის პირას ცხვრის გამოკვების საშუალებას არ აძლევდნენ და ამის გამო ისინი იძულებულნი ხდებოდნენ ზამთრობით ფარები შირაქში გაერეკათ. ამასთან დაკავშირებით ზ. გულისაშვილი წერდა: „ბლომადა ჰყავთ ფშაველებს ცხვარიც, მაგრამ წელს „ლესნიჩს“ აღარ დაუყენებია და შირაქში გაურეკიათ. ამაზე ესენი ძალიან წუხდნენ; აქ უქარო ადგილია და ტყეების ქუდურში ძალიან საცხვრო ადგილია ზამთარში, მინდვრები ცოტაა, მაგრამ ნაოხრებში ხშირი მაყვალია გაბმული ბალახით სავსე, რო დასთოვლის, ცხვარი რბილად ძვრების შიგ და კარგად იკვებება“ [116].

კამერალური აღნერის დავთრების მიხედვით ირკვევა, რომ პანკისში ჩასახლებულ მთიელებს სახელმწიფო გლეხის სტატუსი ჰქონდათ მიკუთვნებული, თუმცა ტყითა და სახნავ-სათესი მიწებით სარგებლობის საკითხში ისინი მძიმე მდგომარეობაში ყოფილან ჩაყენებული. კავკასიაში სამოქალაქო ნაწილის მთავარმართებლის კანცელარიის ფონდის საქმეებში აღმოჩნდა ერთი საინტერესო საბუთი, რომელშიც მითითებულია პანკისის ხეობაში ახალმოშენეთათვის მიწათსარგებლობის საკითხში მიცემული შეღავათისა და მათი მეურნეობის ხასიათზე, ადგილობრივ მემამულესთან უთანხმოება და ა.შ. [117].

დოკუმენტიდან ირკვევა, რომ მემამულე კობიევს უკანონოდ მიუთვისებია დუისელი ქისტების სარგებლობაში მყოფი სახნავ-სათესი მიწები და ტყე, რომელიც ხალაწნის მიდამოებში მდებარეობდა. კობიევის მხრივ ძალადობისაგან დაცვის მიზნით დონდო თუნაშვილს, მუსა ქავთარაშვილსა და პინჩო ბახაშვილს რუსულ ენაზე დაწერილი საჩივრით მიუმართავთ კავკასიის მხა-

რის სამოქალაქო ნაწილის მთავარმართებლისათვის. თხოვნა-განცხადება 1886 წლის მარტით თარიღდება. დოკუმენტში დუ-ისელი გლეხები აღნიშნავენ, რომ პანკისში ჩამოსახლების დღიდან ქისტები ყოველთვის მშვიდობიანად და დაუპრკოლებ-ლად სარგებლობდნენ თიანეთის მაზრის ხალაწნად წოდებული ადგილის ტყითა და სახნავ-სათესი მიწებით. მიუხედავად ამისა, 1885 წლის ნოემბერში აზნაური მიხეილ კობიევი წინ აღდგომია ქისტების საზოგადოების მიერ ამ ტყითა და მიწებით სარგებ-ლობის უფლებას. ქისტი გლეხები სოხოვდნენ კავკასიის ხელი-სუფლებას, რომ სანამ მიწების საკითხის შესახებ სათანადო გადაწყვეტილებას გამოიტანდა თიანეთის სამაზრო სასამარ-თლო, ადმინისტრაციულად ჩარეულიყო საქმეში და დროებით დაეცვა ისინი კობიევის მხრივ შევიწროებისაგან [75].

როგორც ცნობილია, კობიაშვილები შუა საუკუნეებიდან მოყოლებული პანკისის ხეობაში ვრცელ მამულებსა და ყმებს ფლობდნენ. პანკისის დაცლისა და გაპარტახების შემდეგ ისინი თავიანთ მამულებს ველარ უვლიდნენ. მაგრამ როდესაც ხეობაში სიცოცხლე აღორძინდა და სამეურნეო საქმიანობისათვის შესა-ფერისი პირობები გაჩნდა, მათ თავიანთი მეურნეობის აღდგენა დაიწყეს. დუისელ გლეხებს კი ვერ წარმოედგინათ, თუ დაუმუშა-ვებელ-დაყამირებულ და ჯაგნარად ქცეულ ხალაწნის მიწას მათ ჩამოსახლებამდე სხვა პატრონი ეყოლებოდა. ამ ნიადაგზე წარ-მოიშვა კონფლიქტი ქისტ ახალმოშენებსა და აზნაურ მ. კობი-აშვილს შორის. რადგან ხალაწნი დუისელი გლეხების მიერ სახნავ-სათესად გაკაფული ახოები ძველთაგან კობიაშვილებს ეკუთვნოდათ, თიანეთის სამაზრო სასამართლომ ქისტ ახალმო-შენებს უარი უთხრა თხოვნაზე. აქედან გამომდინარე, ზ. შვე-ლიძე ფიქრობს, რომ პანკისის ხეობაში ჩამოსახლებული ქისტები ტყითა და სახნავ-სათესი მიწებით სარგებლობის საკითხში ხი-ზანი გლეხების მდგომარეობაში ყოფილან ჩაყენებული [117]. ხიზანი გლეხების სარგებლობაში მყოფი მიწის წართმევა მიწის მფლობელის სურვილზე იყო დამოკიდებული. მიწის საკითხში კანონი არ იცავდა ხიზნების ინტერესებს. პანკისელი ქისტები კი არ ყოფილან ხიზნები და ამა თუ იმ მემამულისადმი შეკედ-ლებული გლეხები. მაგრამ მათ, როგორც სახელმწიფო გლეხებს, მხოლოდ სახელმწიფოს კუთვნილი მიწების დამუშავება შეე-ლოთ. როდესაც ხალაწნის მამულებს ძველი პატრონი გამო-

უჩნდა, დუისელ ქისტებს უარი ეთქვათ კერძომფლობელობაში არსებული ხალაწნის მიწებით სარგებლობაზე.

პანკისის ხეობაში მთიელების ჩამოსახლების შემდეგ, სულ მალე, კერძოდ 1864 წელს, გამოცხადდა საგლეხო რეფორმა. მიწა ყიდვა-გაყიდვის ობიექტი გახდა. მაგრამ რადგან პანკისის ნაყოფიერი მიწები შემამულეთა კუთვნილება იყო, ახალმოშენებს უჭირდათ მისი შეძენა და უმიწოდ დარჩენილი ოჯახები მატერიალურ გაჭირვებას განიცდიდნენ. საგლეხო რეფორმის შემდეგ ხეობაში მინათსარგებლობის ფორმებიც თანდათან შეიცვალა. რადგან ტყე სახელმწიფოს ეკუთვნოდა, ახოს აღების მსურველს სახელმწიფოს სასარგებლოდ გარკვეული თანხა უნდა გადაეხადა [18. 43–44]. მ. მაჩაბლის ცნობით, ახო ოჯახის საკომლო-მემკვიდრეობით სარგებლობაში რჩებოდა დროებით, 15 წლის განმავლობაში, სანამ ოჯახი მასზე დახარჯულ შრომას აინაზღაურებდა. ამის შემდეგ ახოც, სხვა ფართობებთან ერთად, სასოფლო ფონდებში გადადიოდა და პერიოდულ გადანაწილებაში ექცეოდა [132. 376]. მიწის განაწილების დროს მხედველობაში არ იღებდნენ ოჯახის სულად შემადგენლობას. 1905 წლიდან სახელმწიფო ხელისუფლებას მოსახლეობისთვის ახოების უსასყიდლო გაჯაგვის ნება დაურთავს. ამ კანონით ახო მიიჩნიეს ოჯახის ხელშეუხებელ საკუთრებად, ხოლო მიწების პერიოდულ გადანაწილებას საფუძვლად დაუდეს ოჯახის ქუდოსანთა რაოდენობა, რაც უკვე რამდენადმე ამსუბუქებდა მრავალსულიანი ოჯახის მდგომარეობას [31. 161]. პანკისის ხეობაში ჩამოსახლებული მთიელები, როგორც ტრადიციით მესაქონლე ხალხი, თავდაპირველად ხვნა-თესვას ნაკლებად მისდევდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც გუთანს ყველამ ხელი მოჰკიდა, აღმოჩნდა, რომ მიწების დიდი ნაწილი მემამულებს ეკუთვნოდათ, ხოლო პანკისის ხეობაში ალაზნის მარჯვენა მხარეს მდებარე ტერიტორია ცხვრის გასატარებლად და დასაყენებლად თუშებს საკუთრებაში მთავრობისგან ჰქონდა დამტკიცებული. როგორც ზ. გულისაშვილი აღნიშნავს, პანკისის ხეობაში „მთავრობას ყველა თუშისთვის მიუზომნია ვეება ადგილი, სადაც მთაზე ავლისა და ჩამოვლის დროს ისინი საქონელს აყენებდნენ და აძოვებდნენ“ [116].

რადგან ქისტებს სახნავი მიწები საკმარისი არ ჰქონდათ, ამიტომ მათ თუშების კუთვნილ მამულებში დაიწყეს სიმინდის თესვა. განაწყენებული თუშები თავიანთ საქონელს სიმინდის

ყანებში ერეკებოდნენ და ქისტების მიერ მოვლილ ნაკვეთებს აოხრებდნენ. რუსული მმართველობა ზომებს არ ღებულობდა შექმნილი სიტუაციის მოსაგვარებლად. ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს ხელისუფლება თუშებსა და ჩამოსახლებულ ქისტებს შორის განვებდა ურთიერთობას.

არსებულ ვითარებაზე 1887 წელს ზ. გულისაშვილი წერდა: „ბოლოს დროს ქისტებმაც მოჰკიდეს გუთანს ხელი და რადგან სახნავები არა ჰქონდათ, თუშების მამულებს დაუწყეს სიმინდით თესვა. თუშებმა არ მოინონეს ეს და ყოველ წელს ერეკებოდნენ, მაგრამ ქისტები არ იშლიდნენ. წელს კი თურმე მთაშივე მოილაპარაკეს თუშებმა და მოსდეს საქონელი ქისტების სიმინდებს... სოფლეურად ხვენნა იწყეს, – ხალხიც არა დროს ქვის გულისა არაა – აჩუქეს წლეულობით მოსავალი“ [116].

ჯოყოლოს აღმოსავლეთით, ალაზნის პირას, 60 დესეტი-ნამდე ფართობის მინა მთავრობას თუშებისთვის ჰქონდა დამტკიცებული, სადაც მომთაბარეობის დროს თუშები ცხვარძოხსას ასვენებდნენ [105]. ადგილობრივი სატყეო მეურნეობის უფროსმა ჯოყოლოს დასავლეთით განთავსებულ ფართობზე უმინობით შეწუხებულ ქისტებს რამდენიმე დღიური მინის მოხვნის ნებართვა მისცა. თუშები იმ ნაკვეთებსაც თავიანთ საკუთრებად აცხადებდნენ. რადგან იქ ადრე უღრანი ტყე და გაუვალი ჭალა ყოფილა, ქისტები თვლიდნენ, რომ მინის ეს ფართობი თუშებისთვის საჭირო აღარ იქნებოდა. ამიტომაც მას შემდეგ, რაც ადგილობრივი სატყეო მეურნეობის უფროსმა მათ მინის დამუშავების ნებართვა მისცა, ჯოყოლოელებმა მიწები მოხნეს და ხორბალი დათესეს. მაგრამ ეს მიწები თუშებსა და ქისტებს შორის განუწყვეტელი დავის საგანი გახდა.

პანკისის ხეობაში სოფლის მეურნეობის განვითარებას მინათსარგებლობისთვის თითოეულ კომლზე დაწესებული მაღალი გადასახადებიც აფერხებდა.

ოჯახის ეკონომიკური შესაძლებლობა ძირითადად დამოკიდებული იყო სახნავი ნაკვეთების მოცულობასა და მუშა საქონლის რაოდენობაზე. გამნევი ძალის უკმარისობის გამო ოჯახი ხშირად იძულებული ხდებოდა, მინა დასამუშავებლად მიეცა მუშა საქონლით უზრუნველყოფილი ოჯახისთვის.

მთიან ჩეჩენთში ქისტები მინის სიმცირისა და არახელსაყრელი ბუნებრივი პირობების გამო მინათმოქმედებას ნაკლებად

მისდევდნენ. რადგან ქისტებმა ბალჩეული კულტურის მოყვანა მეზობელი კახელებისგან ისწავლეს, ამიტომ ისინი ბოსტნეულს ქართული სახელწოდებებით იცნობენ. ამჟამად პანკისში მება-ლეობა-მებოსტნეობა კარგად არის განვითარებული და ბოსტნე-ული კულტურის მოყვანით, ძირითადად, ქალები არიან დაკავებულნი. ლ. მარგოშვილის ცნობით, დიასახლისი, რომელსაც ბოსტნეულის ბალი მოუვლელი აქვს, მეზობლებში ავტორიტეტით არ სარგებლობს [131. 109].

შუა საუკუნეებში პანკისის ხეობაში ვრცელი ხეხილის ბალები ყოფილა გაშენებული, რის შესახებაც ვახუშტი ბატონიშვილიც მიუთითებდა: „წეობა პანკისისა არს ვენახოვანი, ხილიანი – დაბალნი“ [3. 102]. აღსანიშნავია ისიც, რომ XIX საუკუნეში ჩასახლებულ მთიელებს პანკისში მხოლოდ გაველურებული ხეხილის ნარჩენებილა დახვდათ. მეფის რუსეთის მმართველობის პერიოდში პანკისის მოსახლეობა მეხილეობას არ მისდევდა, რადგან მათ მთაში ამის ტრადიცია არ ჰქონდათ. მეხილეობა პანკისის ხეობაში, ძირითადად, საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ განვითარდა. თუმცა ქალები ტყის ნაყოფსა და კენკრას ოდითგანვე ყოველწლიურად აგროვებდნენ. ისინი მოკრეფილ ხილს ახმობდნენ, ადუღებდნენ და მისგან არაყს ხდიდნენ.

როგორც ცნობილია, პანკისის ხეობა მეტად მდიდარია ტყით: წაბლით, მუხით, კაკლის კორომებით. ჩამოსახლებულმა მთიელებმა თავდაპირველად არ იცოდნენ ხე-ტყის დამუშავება და ხის ძვირფას ჯიშებს დაუდევრად ანადგურებდნენ. ამის გამო ქისტი ჩიბანი სინანულით აღნიშნავდა: „სანამ ხალხი კაკლის ხის ღირსებას შეიტყობდა, არავინ დასდევდა და კაკლებს საკუურედ ჩალის ფასად ჰყიდნენ. ჩარჩები ბრიყვ ხალხს ამ სიტყვებით ატყუებდნენ: „კაცო! მე ერთი მუშტის ტოლა კუური უნდა გამოვიხეხო და ნავიღო, დანარჩენი მორებად და შეშად, მთელი კაკლის ხე, თქვენ არა გრჩებათ?“ ჩემს პატარაობას სოფლელებს ერთი კაკლის კუური, რომელიც რატო 80–100 ფუთი არ გამოვიდოდა, ჩარჩებმა 15 მანეთად გამოსტყუეს“ [113. 434].

მოგვიანებით, XX ს-ის დამდეგს, ხეობაში, ბირკიანის ახლოს, თავადმა რ. ჩოლოყაშვილმა ხის სახერხი საამქრო გახსნა და პანკისის ხეობიდან ხის მასალის გატანამ ფართო ხასიათი მიიღო. თუმცა, უგზოობა მაინც აფერხებდა საამქროს მუშაობას.

პანკისის ხეობაში საირიგაციო სისტემა შესანიშნავად იყო მოწყობილი. XIX საუკუნის 70-იან წლებში ბირკიანის, ჯოყოლოს, დუისისა და ყვარელწყლის მცხოვრებლებმა აღადგინეს უძველესი სარწყავი არხი, რომელიც, დ. მუსხელიშვილის აზრით, პანკისის ხეობაში შეუ საუკუნეებიდან არსებოდა [133. 145]. მართლაც, ის ბუნებრივად წამოსულ პატარა მდინარეს უფრო ჰეგავს, ვიდრე ხელოვნურად გაჭრილ არხს. არხი იწყება ბანარის ხეობის სიახლოვეს, ბირკიანის ზემოთ, მიუყვება აღაზნის მარჯვენა მხარეს, სოფელ ქორეთის პირდაპირ კი კვლავ ალაზანს უერთდება. ეს არხი აღაზნის მარჯვენა მხარეს განლაგებული სოფლების წისქვილებსაც უზრუნველყოფს წყლით და გამოიყენება ბოსტნების სარწყავადაც. დუისელებსა და ჯოყოლოელებს თავიანთი აღაზნისპირა მიწების მოსარწყავად გვალვების დროს პატარა არხების საშუალებითაც შემოჰყავთ წყალი აღაზნიდან.

შეუ საუკუნეების პანკისის ხეობაში სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული დარგი მევენახეობა-მეღვინეობა იყო. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან მის ადგილს მესაქონლეობა იკავებს.

თუშური მეცხვარეობის გავლენით პანკისის მოსახლეობამ მაღლე ცხვრის მოშენება დაიწყო. თუშებმა, რომლებიც მომთაბარეობას მისდევდნენ, XIX საუკუნის მეორე ნახევარში პანკისში დასახლებაც დაიწყეს.

ნაქერალა-დიდგვერდის იალალი იყო თუშეთის ყველა საზოგადოების სარგებლობაში და ის მდებარეობდა კახეთის საზამთრო საძოვრებზე გამავალ დერეფანში. თუშებს ჰქონდათ საზამთრო სადგომი არა მხოლოდ ალვნის ველზე, რომელიც მათ კახეთის მეფემ უწყალობა, არამედ მთისწინა სადგურიც ბირკიანში, დაახლოებით 100 დესეტინა მინა. ბირკიანს თუშები იყენებდნენ ტბათანის იალაზზე ალვნის ველიდან ცხვრის ასარეკად და ჩამოსარეკად. ბირკიანში ისინი ცხვარს ასვენებდნენ, კრეჭდნენ და ა.შ. მ. მაჩაბლის აზრით, ბირკიანისა და ალვნის ველის სადგური თუშების ყველა საზოგადოების ცხოვრებაში უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობდა. მათ გარეშე თუშეთში მეცხვარეობა ამ დონეზე ვერ განვითარდებოდა [132. 418].

XIX საუკუნის 80-იანი წლებისთვის ბირკიანმა დაკარგა ცხვრის გასაჩერებელი სადგურის მნიშვნელობა და თანდათან სოფელს დაემსგავსა. მ. მაჩაბლის ცნობით, იმ დროისთვის ბირ-

კიანში უკვე იყო ოცამდე კარ-მიდამო, სადაც 30-მდე კომლი თუში ცხოვრობდა. მათი დიდი ნაწილი, ისევე როგორც ალვნის მცხოვრებლები, ზაფხულობით მთა-თუშეთში მიდიოდა.

ბირკიანში ძირითადად ლარიბი და ხელმოკლე თუშები და-სახლებულან. ზ. გულისამვილის ცნობით, „აქ ღატაკ თუშებს მოსახლეობა დაუწყვიათ და რადგან შეშა მაინც უსასყიდლოდა აქვთ, ცხოვრობენ ვაი-ვაგლახით ცარიელა ქუმელზე. ღატაკი და უსაქონლო თუში მე ამის მეტად არ მინახავს, რადგან წოვა და ჩალმა თუშები ალვანის მინდორზე ცხოვრობენ მდიდრად“ [116]. მ. მაჩაბლის აზრით, უკეთესი იქნებოდა, თუ ბირკიანში შეჩერ-დებოდა თუშების დასახლება და დარჩენილ დაუსახლებელ ადგილებს გამოიყენებდნენ მხოლოდ ცხვრის სადგომად [132. 415]. თუმცა ბირკიანში თუშების დასახლების პროცესი ამის შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერდა.

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში პანკისის ხეობაში უკვე კარგად იყო განვითარებული მეცხვარეობა. გაჩ-ნდა ისეთი ოჯახებიც, რომელთაც რამდენიმე ასეული ან ათასი სული ცხვარი ჰყავდათ და მათი ოჯახის ეკონომიკაც ძირითადად მეცხვარეობაზე იყო დამყარებული. პანკისელი ქისტები თავი-ანთ საქონელსა და ცხვარს ხეობის მაღლა მდებარე იალადებზე აძოვებდნენ, კერძოდ, ჩხათანაზე, ჭიქაურაზე, ფურთკალოზე, ორწვერსა და ნაქერალა-დიდგვერდის საძოვრებზე. მაგრამ მ. მაჩაბლის ცნობით, პანკისელებს ჩხუბი მოსდიოდათ თუშებთან, რომლებიც არ აღიარებდნენ მათ უფლებას ესარგებლათ ნაქე-რალა-დიდგვერდის საძოვრებით [132. 416]. მ. მაჩაბელი წერს: „თუშებმა თავის მხრივ მე მითხრეს, რომ პანკისელები საძოვ-რებზე ადიან ქურდულად და იმით სარგებლობენ, რის უფლებაც მათ, როგორც ჩამოსახლებულებს, არა აქვთ“ [132. 416]. თუშები პანკისელებისგან მაღალ გადასახადს მოითხოვდნენ. ამის გამო პანკისელი ფშავლები თავიანთ ცხვარს ზაფხულობით უკანა ფშავის მთებში მწყემსავდნენ, ხოლო ზამთრობით – შირაქში.

პანკისის ხეობაში მთიელებს მესაქონლეობის გასავითა-რებლად შესანიშნავი პირობები დახვდათ, განსაკუთრებით მის ჩრდილოეთ, მთიან ნაწილში. პანარაში, ტოლოშაში, ხადორში, ჩხათანაში, ხორაჯოსა და ქორთაბუდეში მცხოვრები მთიელების ძირითადად საქმიანობას კვლავ მესაქონლეობა წარმოადგენდა.

ამ სოფლებს ხელსაყრელი პირობები ჰქონდათ იმ მხრივაც, რომ ისინი არ იხდიდნენ სახელმწიფო გადასახადებს. როგორც მ. მაჩაბელი წერს, ხორაჯოსა და ჩხათანის მოსახლეობა არასოდეს შეუყვანიათ კამერალურ აღწერილობაში და მათგან არასოდეს არ მოუთხოვიათ რაიმე სახის ბეგარა-გადასახადები [132. 333]. ქისტი ჩობანი აღნიშნავს, რომ ხორაჯოს მთა რთული რელიეფით ხასიათდებოდა, საიდანაც ზოგჯერ იჩენებოდა საქონელი. ამ ნაკლის მიუხედავად, ხეობის მცხოვრებლები იმ ადგილებს – თუნქოს სათიპებს, გაბიდას გორს, ხორაჯოს, ჩხათანას, ჭიქაურას, ნაქერალასა და დიყიანს – იყენებდნენ საბალახედ, სათიბად, ცხვრისა და ძროხის საძოვრებად. ქისტებს ხორაჯოსა და ნაქერალში ძირითადად ცხვარი აჸყავდათ, ხოლო ნაქერალასა და დიყიანში – ძროხა [113. 106]. მეცხვარეები და მესაქონლეები საბალახე გადასახადს უხდიდნენ სათანადო სახელმწიფო უწყებას. თუმცა ეს სოფლები XIX საუკუნის 40–50-იან წლებში მოსახლეობისგან დაიცალა და მათი ტერიტორიები სათიბ-საძოვრებად იქნა გამოყენებული.

მ. მაჩაბლის ცნობით, უკვე XIX საუკუნის 80-იანი წლების დამდეგისათვის პანკისის ხეობაში თითოეულ კომლს საშუალოდ 23 სული ცხვარი ჰყავდა. იყო ოჯახები, რომელთა ფარები 1000 და მეტ სულ ცხვარს ითვლიდა [132. 460].

ქისტებში მდიდარი მეცხვარე ყოფილა ბათაყა ქავთარაშვილი. სოლცა ქავთარაშვილის გადმოცემით, რადგან ბათაყას ერთი თვალი დაზიანებული ჰქონდა, მას „ბრუციან ბათაყას“ ეძახდნენ. ბათაყა 2000 სული ცხვრისა და დიდალი ქონების პატრონი ყოფილა. ფულით გატენილ გუდას ბათაყა ბალიშად ხმარობდაო. – ამბობდნენ მასზე. ცხვრის გამოსაზამთრებლად ბათაყას ოქროთი შეუსყიდას საძოვრები ელდარში. კომუნისტების მოსვლის შემდეგ ეს ადგილები ზემო ალვის კოლმეურნეობისთვის გადაუციათ, სადაც მოგვიანებით ვენახებიც გაუშენებიათ.

პანკისის ხეობაში ძირითადად თუშურ ცხვარს აშენებდნენ, რადგან მას გრძელი და რბილი ბენვი აქვს და საქსოვადაც საუკეთესო მასალად ითვლება. სწორედ თუშური ცხვრის მატყლი-საგან ამზადებდნენ ქისტები ფეხზე ამოსაცმელ ჩითებს, აგრეთვე ქუდებს, ნაბდებსა და ხურჯინებს.

შუა საუკუნეებში ხეობაში განვითარებული ყოფილა მელო-რეობა, რასაც პანკისის შესახებ ვახუშტის ცნობებიც ადას-

ტურქებს: „პირუტყვნი მრავალ, გარნა ლორი უმრავლეს“ [3. 102]. პანკისის ხეობაში ჩამოსახლების შემდეგ ფშავლებმა ბაწარასა და ხადორის შემოგარენში ლორის მოშენება დაიწყეს და იქ მალე მეღორეობის ფერმებიც გაჩნდა, თუმცა ფშავლებს პანკისის ხეობაში ჩამოსახლებამდე მაღალმთიანეთში ტრადიციით ლორის ხორცის ჭამა ეკრძალებოდათ. თვითმხილველთა გადმოცემით, მეორე მსოფლიო ომამდე და მის შემდეგაც პანკისში ქისტების გარკვეული ნაწილიც მისდევდა მეღორეობას. წაბლი, პანტა, მაჟალო, რკო და წიფელი, რომლითაც მდიდარია პანკისის ტყეები, მეღორეობის განვითარებისთვის ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა.

დუისელი სოლცა მოჩუყას ძე ქავთარაშვილის ცნობით, ჯოყოლოში მეორე მსოფლიო ომის შემდეგაც ქრისტიანულ სარწმუნოებას მისდევდნენ, ლორების ფერმებს აშენებდნენ და ლორები სოფელშიც დაუდიოდათ. შემდეგ, როდესაც მაჟმადიანობამ მტკიცედ მოიკიდა ფეხი, მოლები წინ აღუდგნენ თანასოფლელებს, აუკრძალეს ლორის მოშენება და, ბოლოს, საერთოდ მოასპობინეს. მაჟმადიანები თანასოფლელების ლორებს ტყვიებს ესროდნენ, მინდორში უხოცავდნენ. ამრიგად, მაჟმადიანური რელიგიის პროპაგანდის გამო XX საუკუნის 60-იანი წლებიდან ქისტები მეღორეობას აღარ მისდევენ.

პანკისის ხეობის სოფლებში სახლებს ყოველგვარი დაგეგმარების გარეშე, უწესრიგოდ აშენებდნენ. შესაბამისად ქუჩებიც იყო ვიწრო და მიხვეულ-მოხვეული. ხეობაზე გადიოდა მოუნესრიგებელი საურმე გზები.

ახლადჩამოსახლებულ მთიელებში ხშირი იყო სიკვდილიანობა, განსაკუთრებით ბავშვებში. არცთუ იშვიათად იფეთქებდა ხოლმე მოულოდნელი ეპიდემიები. ყივანახველამ მრავალი ბავშვის სიცოცხლე შეიწირა. პანკისელებს ჰყავდათ ექიმი, მაგრამ საჭირო მედიკამენტებით ხეობა არ მარაგდებოდა. მოსახლეობას ხშირად სამედიცინო დახმარებას უწევდა ჯოყოლოს ლვთისმშობლის ეკლესის მღვდელი მათე ალბუთაშვილი. ხეობის მოძღვარს მრავალი მძიმე ავადმყოფი გადაურჩენია. ასე მაგალითად, 1902 წელს ჯოყოლოელ ელდარ დაქიშვილის ქალს რევოლვერი გავარდნია და მძიმედ დაჭრილა. ადგილობრივ ექიმს ავადმყოფის მორჩენის იმედი გადაუწურია. ბოლოს ისევ მღვდელს, მამა მათე ალბუთაშვილს მოუკიდია მისთვის ხელი. თურმე მოძღვარს წყლუ-

ლისა და ჭრილობის რჩენა-წამლობა ჩამომავლობით მოსდგამდა. მამა მათეს დაქიშვილების ქალი განუკურნავს, თუმცა ავადმყოფს ტყვია მუცელში დარჩენია [108].

ხალხს განსაკუთრებით ზამთრობით უჭირდა. იმ დროს არა თუ ადამიანების, ხშირად ხეობაში საქონლის საკვებიც კი არ იშვებოდა. პანკისელები თივისა და ფუჩეჩის საყიდლად კახე-თის სოფლებში მიდიოდნენ, სადაც ერთი ურემი ბზე 10 მანეთი, ხოლო ერთი კონა ფუჩეჩი 10 კაპიკი ღირდა, თივა კი ხშირად არც ჰყოფნიდათ საქონლის გამოსაკვებად [111].

პანკისის მოსახლეობას განსაკუთრებულ ზარალს აყენებდა ქურდობა-ყაჩალობა. მოპარული საქონელი ქურდებს ჩეჩინეთში გადაჰყავდათ. 1902 წელს ამასთან დაკავშირებით ქისტი ჩობანი წერდა: „ისე უშიშრად და უსინდისოდ გადაუდით პირიქითს, რომ არავის ერიდებიან. თუ შეხვდნენ მგზავრს, კიდეც ტუქსავენ და ამ სიტყვებით აშინებენ: „ლორო, ახლოს არ მოხვიდე, თორემ მოგკლავთო“. ან კი ვის შეუძლია ხმა გასცეს, როდესაც ხედავენ ბერდანის თოფებით შეიარაღებულება!“ [109].

1902 წლის 13 ოქტომბერს ერთი სოფლიდან 7 ცხენი მოუპარავთ, მეორე სოფლიდან – 7 ხარი. მარტო 1902 წელს ხუთი თვის განმავლობაში ქურდებს პანკისიდან ორმოცამდე ცხენი გადაუყვანიათ ჩეჩინეთში [109].

მათე ალბუთაშვილის ცნობით, 1904 წლის 26 აგვისტოს, დღისით – მზისით, ორ საათზე, მუნუხევზე დროებით მცხოვრები ორი ფშაველის, ქურციკა გოგნელაშვილისა და სვიმონა ბეკურაულის მწყემს-საქონელს ოცამდე მეკობრე დასცემია.

ყაჩალებს მწყემსებისთვის თოფები დაუშენიათ. შეშინებული მწყემსები ბინებისკენ გაქცეულან და ყაჩალებს ორმოცამდე სული საქონელი, რვა მსუქანი ხარი და დანარჩენი მეწველი ძროხა, მშვიდად გაურეკიათ. პატრონებს მალე შეუტყვიათ და დასდევნებიან. მაგრამ ორი კაცი ოც შეიარაღებულთან რას გახდებოდა, ამასობაში დაღამებულა და თავი მიუნებებიათ. „ორი მოზვერი, – წერს ქისტი ჩობანი, – რომლებიც სიმსუქნისგან გალექებულნი იყვნენ, ვეღარ ეტარებინათ, ისინილა მოიყვანეს“ [113].

როგორც ჩანს, ქურციკა გოგნელაშვილისა და სვიმონა ბეკურაულის საქონელი ყაჩალებმა ჩეჩინეთში გადარეკეს.

მთიდან მომავალი თუშები ბილიკებზე ხშირად ხვდებოდნენ ყაჩაღ-მეკობრეებს, რომლებიც მოპარული საქონლითა და ცხე-ნებით ჩეჩენეთისკენ მიემართებოდნენ. ქურდ-მეკობრეთა მძარ-ცველური რეიდებისგან ყველაზე მეტად სწორედ თუში მეც-ხვარები ზარალდებოდნენ. ქისტი ჩობანი 1902 წელს გაზეთ „ივერიაში“ წერდა: „ერთმა თუშმა, დაო ჯოჯიშვილმა, გვითხრა: ცხვარი რომ ჩამოდიოდა მთიდან, ტბათანაში (თუშების სა-აგარაკო მთა) ერთ ქოხში დავმალე ქუმლიანი გუდა; ცხვარი რომ საძოვრად მივაპრუნ-მოვაპრუნე, ისევ ქოხისკენ გავნიე გუდისთვის, მაგრამ შორიდანვე შევნიშნე ქოხის გვერდით ატუ-ზული ორი ყაჩაღი; დამინახეს თუ არა, მომაძახეს: „ახლო ნუ მოხეალ, შე ლორო, თორემ მოგვლავთო“. მე მშვიდად ჩემი გუდა მოვთხოვე, რომელიც იქიდან გადმომიგდეს. რომ გამოვსცილდი, ტყიდან ვუთვალთვალე. ქისტები გაუდგნენ გზას ნაპარავი სა-ქონლით და მთის ბილიკზე რომ გამნკრივდნენ, ათამდე რჩეული ხარი დავთვალე. პირიქითისკენ შემხვდა კიდევ რამდენიმე გზობა, ზოგი საქონლისა და ზოგიც ცხენებისაო“ [109].

ძარცვა-გლეჯის აღსაკვეთად ხელისუფლება ზომებს არ ღებულობდა, ამიტომ პანკისი ზოგჯერ პირადი ანგარიშსწორების სარბიელიც ხდებოდა, განსაკუთრებით თუშების მხრიდან, თუმცა ხეობაში სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობისა და რელიგიური აღმსარებლობის მქონე ხალხებს შორის ცალკეული ოჯახური კონფლიქტები ეროვნულ დაპირისპირებაში არასდროს გადაზრდილა.

ხელისუფლების მხრიდან უყურადღებობით აღშფოთებული ქისტი ჩობანი 1903 წლის თებერვალში წერდა: „სხვას რომ ყველას თავი დავანებოთ, მთელ ხეობას, სადაც ოთხასამდე კომ-ლი მცხოვრებელია, ერთი დალაქიც არა ჰყავს, რომ კაცმა თავი ან წვერი მოიპარსოს. ქისტები ხანჯლებით პარსავენ ერთმანეთს თავებს“ [112].

XIX საუკუნის ბოლოსათვის პანკისის ხეობის სოფლებში უკვე აღარავინ ცხოვრობდა მინურში და თითქმის ყველა ოჯახს თავისი ფიცრული სახლი ჰქონდა. მაგრამ ქურდობა-ყაჩაღობა ხეობაში სამეურნეო ცხოვრების განვითარებას ხელს უშლიდა. პანკისი მთავრობის მზრუნველობის მიღმა იყო დარჩენილი. მას ადგილობრივი მოსახლეობა მხოლოდ განსაკუთრებული შემ-თხვევების დროს ახსენდებოდა. ხელისუფლებისაგან განსხვა-

ვებით ქართული საზოგადოებრიობა დიდ ყურადღებას იჩენდა პანკისის ხეობისადმი. ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი ცდილობდნენ მოსახლეობაში გაევრცელებინათ წერა-კითხვა, განათლება, იღვნოდნენ ხეობის კულტურული აღორ-ძინებისათვის.

პანკისის ხეობის მოსახლეობის კულტურულ ინტეგრაციაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ადგილობრივ ქისჭ მოსახლე-ობაში ქრისტიანული სარმატუნოების აღდგენამ. ქრისტიანულ წეს-ადათებს იცავდნენ ხეობაში ჩამოსახლებული ქართველი მთიელებიც.

1892 წლის იანვარში კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების სკოლათა ინსპექტორის, ეპისკოპოს ლეონიდეს თაოსნობით ჯოყოლოში გაიხსნა დაწყებითი სკოლა. სკოლის შენობა იყო ფიცრული. 1893 წლიდან ჯოყოლოს დაწყებით სკო-ლაში ასწავლიდა მღვდელი მათე ალბუთაშვილი.

1897 წელს ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების სკო-ლათა ინსპექტორმა ეპისკოპოსმა კირიონმა იშუამდგომლა „საზოგადოების“ წინაშე, რომ პანკისში აეშენებინათ ქვიტკირის შენობა სკოლისათვის. ქრისტიანობის აღმდგენმა საზოგადოებამ სკოლის მშენებლობისთვის გამოყო 1400 მანეთი.

1897 წელს ჯოყოლოში აშენდა ქვიტკირის ხუთოთახიანი სასკოლო შენობა. ის კრამიტით იყო დახურული. სკოლა ახალ შენობაში საზეიმოდ გაიხსნა 1898 წლის ოქტომბერში.

პანკისის ხეობაში მოსახლეობის სწავლა-განათლებაზე მზრუნველობას იჩენდა კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენი სა-ზოგადოება, სკოლების ინსპექტორი არქიმანდრიტი ლეონიდი, ევტიხი მამინაშვილი, ეპისკოპოსი კირიონი (1917 წლიდან სა-ქართველოს კათალიკოს-პატრიარქი კირიონ II). სკოლაში ისწავ-ლებოდა საღვთო რჯული, ქართული და რუსული ენები, ანგა-რიში და სიმღერა-გალობა. სწავლება მიმდინარეობდა ოქტომ-ბრიდან აპრილამდე. დანარჩენ თვეებში ბავშვები მშობლებს სა-ოჯახო-სამეურნეო საქმეებში ეხმარებოდნენ და სკოლაში ვერ დადიოდნენ.

1894 წელს სოფელ ჯოყოლოს დაწყებით სკოლაში მასწავ-ლებლად დაინიშნა ნიკო კურდღელაშვილი, რომელიც იქ მათე ალბუთაშვილთან ერთად ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. მანამდე კი ნ. კურდღელაშვილი თანამშრომლობდა ილია ჭავ-

ჭავაძის გაზეთ „ივერიაში“. ნ. კურდლელაშვილის მეგობრები იყვნენ ილია ჭავჭავაძე, ვაჟა-ფშაველა, ბაჩანა, იროდიონ ევ-დოშვილი, ივანე ბუქურაული და სხვები. თ. ბაინდურაშვილის ცნობით, „სწორედ ვაჟა-ფშაველა ყოფილა მისი პანკისში მასწავლებლად წამოსვლის ერთ-ერთი ინიციატორი და ხელის შემწყობი, რადგანაც ვაჟას დიდი ურთიერთობა ჰქონდა პანკისელ ფშავლებთან“ [8].

1895 წლის სექტემბერში ნ. კურდლელაშვილს ჯოყოლოს სკოლასთან გაუხსნია ბიბლიოთეკა. მან 1896 წლის 10 იანვარს გაზეთ „ივერიაში“ გამოაქვეყნა წერილი, რომელშიც მადლობას უხდის იაკობ გოგებაშვილს, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას და პირადად ილია ჭავჭავაძეს პანკისის ხეობაზე მზრუნველობისა და ბიბლიოთეკის ლიტერატურით მომარაგების გამო: „ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით გულითადი მადლობა გამოვუცხადო ღრმად პატივცემულ პედაგოგს იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილს, რომელმაც ჩემ მიერ დაარსებულ ბიბლიოთეკას პანკისის სკოლისას შემოსწირა ყველა თავისი თხზულებანი და აგრეთვე სამის მანეთის სხვა ქართული წიგნები. მადლობას ვუხდი „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“, რომელმაც შემოსწირა ერთის თუმანის ქართული წიგნები. ბ-ნ კალანდაძეს, რომელმაც შემოსწირა ხუთის მანეთის ქართული წიგნები. ქართული წიგნის გამომცემლობა „ამხანაგობას“, რომელმაც შემოსწირა მოთხოვნა „აივენგო“ და ბაჩანას ლექსები. აგრეთვე გულითადს მადლობას ვუძღვნი პატივცემულს რედაქტორს გაზ. „ივერიისას“, რომელმაც უფასოდ დაუთმო ზემოხსენებულს ბიბლიოთეკას თავისი გაზეთი“ [41].

1902 წელს ჯოყოლოს ბიბლიოთეკაში იყო 900-მდე რუსული და ქართული წიგნი, რომლებსაც დიდი ხალისით კითხულობდა წერა-კითხვის მცოდნე ხალხი. წიგნებს ცოდნის შესაფერისად აძლევდა მკითხველს მღვდელი მათე ალბუთაშვილი.

ალსანიშნავია, რომ დღევანდელი ახმეტის რაიონის ტერიტორიაზე ეს იყო პირველი ბიბლიოთეკა.

ჯოყოლოს სკოლაში 1902 წელს ორმოცამდე ვაჟი და ოთხი გოგონა სწავლობდა, სულ ქისტები, მაპმადიანებიც და ქრისტიანებიც.

სკოლის დაარსების დღიდან მამა მათე მოსწავლეებს უსასყიდლოდ ასწავლიდა. ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოება

საგნების მასწავლებელს წელიწადში 360 მანეთს უხდიდა, ხოლო საღვთო რჯულის მასწავლებელს – 100 მანეთს.

მთის სკოლების ინსპექტორის ევტიხი მამინაიშვილის დავალებით 1902 წლის 26 მაისს ჯოულოს სკოლაში ბავშვების გამოსაცდელად ჩასულა დეკანოზი მ. მ. ხელაშვილი.

სოფლის მღვდლისა და სკოლის მასწავლებლის თხოვნით მშობლებმა თავიანთი შვილები მინდორში სამუშაოდ აღარ გაგზავნეს და მეორე დღეს მოსწავლები სკოლაში შეიკრიბნენ. ქისტი ჩობანის ცნობით, „მიუხედავად იმისა, რომ შეგირდები თითქმის ერთი თვის სწავლას თავდანებებულნი იყენენ და ზოგი გუთანზე, ზოგი ცხვარში, ძროხასა და სხვა ამისთანა საქმეზე იყო გართული, მაინც გამომცდელებს ყველა კითხვაზე შესაფერისად მიუგეს“ [106].

გამოცდის დამთავრების შემდეგ დეკანოზს რჩევა-დარიგება მიუცია ბავშვებისთვის. რადგან სკოლაში ახლად მისულ ბავშვებს ქართული არ ესმოდათ და მათ საღვთო რჯულის მასწავლებელი ქისტურ ენაზე უთარგმნიდა. დეკანოზმა შეგირდებს პატარა წიგნებიც დაურიგა.

როგორც ჩანს, მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდეგნელი საზოგადოების სკოლების ინსპექტორი პანკისის ხეობაში მცხოვრები ბავშვების სწავლა-აღზრდის მიმართ განსაკუთრებულ ყურადღებასა და მზრუნველობას იჩენდა.

1913 წელს სოფელ ყვარელწყალში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ინიციატივით აშენდა სკოლის შენობა, რომელსაც ჩრდილოეთის მხარეს ახლაც აქვთ შემორჩენილი წარწერა ამშენებლის სახელისა და გვარის აღმნიშვნელი – „იოსებ ქისტიშვილი. 1913 წელი“. მას შემდეგ ყვარელწყლის სკოლა დღემდე ამ შენობაშია მოთავსებული. 1913 წელს ყვარელწყალში სკოლასთან დაარსდა ბიბლიოთეკაც. ამ სკოლაში მოღვაწეობდა პედაგოგი ნიკოლოზ როსტომაშვილი, რომელმაც თავისი დაუღალავი შრომით ადგილობრივ მოსახლეობაში დიდი ავტორიტეტი მოიხვეჭა.

ვაჟა-ფშაველა და ბაჩანა ხშირად ჩადიოდნენ პანკისის ხეობაში. ვაჟას ყვარელწყალში, გორელაშვილების ოჯახში, ბავშვიც მოუნათლავს. გადმოცემის თანახმად, იგი სიკვდილამდე ერთი წლით ადრეც ჩასულა ამ სოფელში. მ. ღანიშაშვილს ყვარელწყლელი 96 წლის მოხუც გიორგი (კუდული) ამირანაშვი-

ლისგან ვაჟა-ფშაველაზე ასეთი მოგონება ჩაუწერია: „სკოლაში შვიდი წლისა მივედი. მაშინ დუისშიც არ იყო სკოლა. ჩვენს სოფელში კი ახალგახსნილი იყო. თურმე ვაჟა შესთანხმებია თიანეთის მაზრის ხელმძღვანელობას და მათი ნებართვით გაუხსნია სკოლა. სკოლაში ხშირად ჩამოდიოდა ვაჟა. გამოცდების დროს მოჰყვებოდა შემმოწმებელს. ჩვენს კლასს დაესწრო გამოცდაზე. ოცზე მეტნი ვიყავით. მე უპასუხე მასწავლებელს, უცებ ვაჟამ გამაჩერა და მითხრა: ლექსები თუ იციო. „მე ლექს ვილაპარაკე წიგნიდან“... ვაჟა ყველგან დადიოდა, სადაც ფშავლები ცხოვრობდნენ: ლაფანყურში, ილტოს ხეობაზე, შირაქში, პანკისში. ყველაზე ხშირად ყვარელნყალში მოდიოდა. ვაჟა ლექსობას ფშავლებისაგანა სწავლობდა, საცა გაიგონებდა, რო მოლექსეა, სიტყვის მომჭრელიო, იქ იყო [114. 182].

აღსანიშნავია, რომ ყვარელწყლელთა ზეპირ გადმოცემებში, მათი სკოლის დაარსება, სოფლისთვის სახელის დარქმევა და სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები – ყველაფერი ვაჟა-ფშაველას სახელთანაა დაკავშირებული.

როგორც სხვადასხვა წყაროებიდან ირკვევა, ქართველმა საზოგადო მოღვაწეებმა და ინტელიგენციის წარმომადგენლებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს პანკისის კულტურულ-ეკონომიკურ აღორძინებაში.

ამრიგად, პირველი მსოფლიო ომისა და ოქტომბრის შეიარაღებული გადატრიალების წინ პანკისი საქართველოს მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეგიონი გახდა. რამდენიმე ათეული წლის მანძილზე იქ მეურნეობის მრავალი დარგი აღორძინდა.

1900–1913 წლებში ძველი ნასახლარების სიახლოეს კიდევ აშენდა რამდენიმე ახალი სოფელი: დუმასტური, წინუბანი, ქორეთი, კუნაცხა, ხალანანი და სხვა. ხეობის მოსახლეობამ 3000-ს მიაღწია. მათე აღმუთაშვილი ოსების, ქისტებისა და ქართველი მთიელების შესახებ აღნიშნავდა, რომ ეს ხალხები ერთმანეთისგან განირჩევიან მხოლოდ ენითა და რელიგიით, ხოლო კულტურითა და საქმიანობით ერთნი არიანო [1. 82].

პანკისის ხეობაში აღმშენებლობით საქმიანობას პირველმა მსოფლიო ომმა შეუშალა ხელი.

პირველ მსოფლიო ომში პანკისის ხეობაში მცხოვრები ქისტები, ოსები და ქართველებიც მონაწილეობდნენ. დღესაც იხსე-

ნებენ ქისტები თოი ფარეულიძეს, რომელმაც არნახული გმი-  
რობა გამოიჩინა ავსტრია-უნგრეთის ფრონტზე.

1918–1921 წლებში პანკისელმა ქისტებმა აქტიურად დაუჭი-  
რეს მხარი დამოუკიდებელ საქართველოს მთავრობას. პანკისის  
ხეობაში იდგა ეროვნული გვარდიის ერთ-ერთი ნაწილიც.

## გადმოცემები ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის პანკისელ „შეფიცულთა“ შესახებ

1921 წელს ბოლშევიკურმა რუსეთმა საქართველო დაიპყრო.  
კომუნისტური რეჟიმის დამყარების პირველ წლებში საბჭოთა  
ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლებმა განსაკუთრებით  
ფართო და მასობრივი ხასიათი მიიღო.

საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას წითელი  
რუსეთის წინააღმდეგ 1921–1925 წლებში ხელმძღვანელობდა  
თავადი, მეფის არმიის პოლკოვნიკი ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩო-  
ლოყაშვილი.

დოკუმენტური ცნობები ქაქუცა ჩოლოყაშვილის შესახებ  
ძირითადად ემიგრანტულმა ლიტერატურამ დაგვიტოვა. 1981  
წელს სან-ფრანცისკოში დაიბეჭდა ალექსანდრე სულხანიშვილის  
„მოგონებები შეფიცულთა რაზმზე“. საფრანგეთში მცხოვრები  
ქართველი ემიგრანტის, ელიზბარ მაყაშვილის მემუარული ჟან-  
რის თხზულება „ჩემი თავგადასავალი“ კი, რომელიც 1921–924  
წლებში საქართველოში მიმდინარე ტრაგიკულ მოვლენებს ეხე-  
ბა, დღემდე არ გამოქვეყნებულა.

1921 წლიდან მოყოლებული, მთელი 70 წლის მანძილზე, სა-  
ქართველოში აკრძალული იყო ქაქუცას შესახებ ყოველგვარი სა-  
უბარი. მიუხედავად ამისა, ხალხის მახსოვრობამ დღემდე შე-  
მოინახა ქაქუცას ბობოქარი და ტრაგიკული ცხოვრების შესახებ  
მნიშვნელოვანი გადმოცემები. ამ ზეპირ ტექსტებში ზოგი რამ  
შეიძლება გაზვიადებული მოგვეჩენოს, მაგრამ თითოეულ მათ-  
განს გააჩინა სინამდვილის პრეტენზია, რაც მთავარია, ქაქუცას  
შესახებ შექმნილ თქმულება-გადმოცემებს საფუძვლად უდევს  
ლეგენდარული გმირისადმი ხალხის ღრმა სიყვარული.

საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ საქართველოს დამო-  
უკიდებლობისათვის მებრძოლი ძალები ქაქუცა ჩოლოყაშვილის

მეთაურობით პანკისის ხეობაში შეიკრიბნენ და 1921 წლის ზაფხულში ჩამოაყალიბეს „შეფიცულთა რაზმი“. მათ პანკისის ხეობის ჩრდილოეთით, შუაგულ ტყეში, მოაწყვეს ბაზა და იქ რამდენიმე თვის განმავლობაში იმყოფებოდნენ. „შეფიცულებს“ შეკრების ბაზად პანკისის ხეობა შემთხვევით არ შეურჩევიათ. ქაქუცა მატნელი თავადი იყო, მატანი კი უშუალოდ პანკის ემეზობლება. ქისტური სოფლები დიდ მხარდაჭერას უწევდნენ და ყველანაირად ეხმარებოდნენ აჯანყებულებს. როგორც ცნობილია, პანკისის ხეობაზე გადის ჩრდილოეთ კავკასიაში გადასასვლელი ერთ-ერთი უმთავრესი გზა-ბილიკი. ქაქუცა ჩოლოყაშვილს სურდა, ამ გზით დაკავშირებოდა პირიქითა ხევსურეთს, იქიდან კი, ჩეჩენთა და ინგუშეთს. მას სურდა, რუსეთის წინააღმდეგ დაერაზმა კავკასიის სხვადასხვა ხალხები.

პანკისელმა ქისტებმა წითელი არმიის ნაწილების წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობა ჯერ კიდევ 1921 წელს მიიღეს, როდესაც ბოლშევიკები თელავისკენ მიიწევდნენ. ე. მაყაშვილის ცნობით, ბოლშევიკების ჯარის წინააღმდეგ საბრძოლველად „კახეთის ყველა კუთხიდან აწყდებოდნენ მოხალისეები. პანკისელი ქისტებიც დაძრულიყვნენ, „ალა ილახის“ ხმაზე თავით ფეხებამდე შეიარაღებულნი ჩამოსულიყვნენ საბრძოლველად“ [58. 28].

როდესაც ეროვნული გვარდია წითელი არმიის წინააღმდეგ ბრძოლაში დამარცხდა, ქისტებმა, ისევე როგორც სხვა ქართველმა მთიელებმა, იარაღის დაყრაზე უარი განაცხადეს და თავიანთი ცხენ-იარაღით სახლებისკენ გასწიეს. თუმცა იარაღის ტარების უფლება მაშინ მხოლოდ პარტიულებს ჰქონდათ.

ბოლშევიკების თვალში პანკისელი ქისტები ცუდი რეპუტაციით სარგებლობდნენ. მათ ყაჩაღებისა და მძარცველების სახელი ჰქონდათ და ხელისუფლებას წინააღმდეგობას უწევდნენ. თოფი მათთვის სავალდებულო ნივთს წარმოადგენდა და თექვსმეტი წლიდან სამოცდაათი წლის ასაკამდე ყველა და-ატარებდა [58. 89].

პანკისის ბაზაზე „შეფიცულებს“ ნელ-ნელა ემატებოდნენ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ძალები.

ბოლშევიკები ყველა უფრო აპატიმრებდნენ. პანკისში დასახლებული სომეხი მედუქნე კარაპეტა და მისი დახლიდარი ტიგრანაც დაეჭირათ. ე. მაყაშვილის ცნობით, შეფიცულებს მათ-

გან პაპიროსი და თუთუნი ეყიდათ და მათთან კავშირი ბრალ-დებოდათ. დაპატიმრებული კარაპეტა თურმე ამბობდა: „ვახ, ამიშენდა ოჯახი! ვიღა მოუვლის ჩემს დუქანს, ნალდად ქისტები გამიძარცვავენ უპატრონოდ დატოვებულს“ [58. 48].

შეფიცულებს დიდ დახმარებას უწევდნენ პანკისელი ფშავ-ლებიც. ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეფიცულთა რაზმის წევრი გახდა ახალგაზრდა ფშაველი პოეტი მიხა ხელაშვილი. ის ფშავის სოფელ ახადში დაიბადა. იყო დიაკვანი. ბოლშევიკები დევნიდნენ ეკლესიის მსახურებს. კომუნისტურმა ძალმომრეობამ მიხა ხე-ლაშვილი პანკისში, ქაქუცა ჩოლოყაშვილთან მიიყვანა. მიხა ხე-ლაშვილს პანკისელ ფშავლებში ნათესავებიც ჰყავდა, რომლებიც სურსათ-სანოვავაით ეხმარებოდნენ შეფიცულებს. მიხა ხელაშ-ვილმა ბევრი ლექსი სწორედ პანკისის ხეობაში, შეფიცულებთან ყოფნის პერიოდში დაწერა.

ფშავლებისა და ქისტებისაგან განსხვავებული პოზიცია დაიკავეს პანკისელმა ოსებმა. ისინი, თანამედროვეთა გადმო-ცემით, თითქმის ერთსულოვნად საბჭოთა ხელისუფლებას უჭერდნენ მხარს. ისევე როგორც ჩრდილოეთ ოსეთში, ჯავის რაიონის სოფლებშიც ძლიერი იყო ბოლშევიკების პროპაგანდა. ნითელი პროპაგანდა პანკისელ ოსებშიც ვრცელდებოდა.

საქართველოს დამოუკიდებლობის მომხრე ქისტებისა და ჩოლოყაშვილის „შეფიცულთა“ რაზმის წინააღმდეგ ბოლშევი-კები ხშირად პანკისელ ოსებს იყენებდნენ. 1926 წელს პანკისის ხეობაში მასწავლებლად მივლინებულ ელიზბარ მაყაშვილს საბ-ჭოთა რესიმით უკმაყოფილო ლევან (კაც) ფარეულიძემ უთხრა: „— კომუნისტს მთელ ქისტებში მარტო სამ კაცს ვიცნობ. ოსები თითქმის ყველა პარტიულია, ყველა შეიარაღებულია. ყველა მთავრობაშია“ [58. 93]. პრორუსულად განწყობილ ოსებს საქარ-თველოს დამოუკიდებლობის მომხრე ძალები სძულდათ. პანკი-სის ხეობაში დაბანაკებულ აჯანყებულებს და მათ მოკავშირეებს ადგილობრივი, ცალკეული ოსები ხშირად აბეზღებდნენ „ჩე-კაში“. „ჩეკისტები“ სასტიკად უსწორდებოდნენ მოწინააღმდეგე ძალებს. ბოლშევიკებმა პანკისის ხეობის სულიერი მოძღვარი, ქისტური წარმოშობის მღვდელი, მათე ალბუთაშვილიც და-აპატიმრეს. ლეილა მარგოშვილს თავის წიგნში მოჰყავს მათე ალბუთაშვილის ავტობიოგრაფიული ჩანაწერი: „ახლად შემო-სულ ბოლშევიკებთან ჩემმა მრევლმა – ოსებმა – დამწამეს კონ-

ტრრევოლუციონერობა. ოსეპს ეჩივლათ რევკომში. პანკისში რომ რუსი სალდათები გაუგებრობით ვიღაც ჩეჩჩელმა ქისტ-მოლამ დახოცა, ოსებმა ის მე დამაბრალეს. განცხადება მიეცათ, ხალხი აჯანყაო, იმაზე დახოცეს რუსი სალდათებიო და და-მატუსალეს” [56. 158]. უდანაშაულო მათე ალბუთაშვილმა ექვსი თვე ორთაჭალის ციხეში გაატარა. ბოლშევიკების ამგვარი ქმე-დება მოსახლეობის წინააღმდეგობას კიდევ უფრო აძლიერებდა. შეფიცულთა რაზმი თანდათან იზრდებოდა.

ქაქუცა ჩილოყაშვილმა 1922 წელს ალექსანდრე სულხანიშვილი რუსეთის წინააღმდეგ ჩეჩჩების ასაჯანყებლად მითხოსა და ჯარებოში გაგზავნა. ალექსანდრე სულხანიშვილი ჯარებოში დიდი პატივით მიიღეს, შემდეგ კი, საქართველოში წამოსას-ვლელად ალექსანდრე სულხანიშვილმა სთხოვა ჯარებოელებს, რომ მისთვის მეგზურად პანკისიდან გადმოსული ქისტი მო-ექცებნათ. შემოდგომობით ჩეჩჩეთში მუდამ გადადიოდნენ პან-კისელი ქისტები. ალექსანდრე სულხანიშვილს სულ მაღლ მო-უნახეს ქისტი მეგზურები. ერთი მათგანი მისი თანამებრძოლისა და ძმადნაფიცის, ომალოელი დათიკო ფარეულიძის ბიძაშვილი აღმოჩნდა [89. 51].

პანკისში ალექსანდრე სულხანიშვილი 1922 წლის სექტემ-ბერში დაბრუნდა და მაშინვე შეხვდა თავის ძმადნაფიცს, და-თიკო ფარეულიძეს, რომელსაც ჯერ კიდევ შეეძლო სოფელში ლეგალურად ცხოვრება.

1922 წლის ხევსურეთის აჯანყების ჩახშობის შემდეგ ჩე-კისტები „შეფიცულებს“ სასტიკად დევნიდნენ, ხელისუფლებას ყოველ მაზრაში გამოყვანილი ჰყავდა მდევარი. სექტემბერში ჩეჩჩეთიდან დაბრუნებულმა ალ. სულხანიშვილმა დეკემბერში ძლივს შეატყობინა ქაქუცა ჩილოყაშვილს თავისი ადგილსამ-ყოფელი.

ალექსანდრე სულხანიშვილს ძალიან გაუძნელდა პანკისის ტყეებში სამი თვე მარტოდმარტო ხეტიალი. თუმცა ღამით თითო-ოროლა საათით ხშირად ჩადიოდა მეგობრებთან პანკისის სოფლებში და მერე კვლავ ტყეში ბრუნდებოდა, სადაც ერთი ღამაზი წაბლის ქვეშ იძინებდა ხოლმე.

1922 წლის ნოემბერში პანკისში ალ. სულხანიშვილთან მი-ვიდა ხევსურეთის აჯანყების დროს დაჭრილი „შეფიცული“ შა-ლიკო კანდელაკი. ახლა უკვე ორნი იყვნენ. მაღლ მათ შეუერ-

თდათ ომალოელი ქისტი დათიკო ფარეულიძე, მას როგორც ახლადშემორიგებულს, კომუნისტები აღმაცერად უყურებდნენ და სახლშიც აღარ დაედგომებოდა. აღ. სულხანიშვილის ცნობით, „ის ოცდათხუთმეტი წლის მაგარი ვაჟკაცი იყო და ამასთანავე საუკეთესო მსროლელიც.“

სამწუხაროდ, სულ მალე დათიკო ავად გახდა. მაღალი სიცხე ჰქონდა. როგორც იყო, მოახერხეს და პანკისიდან ფერშალი ამოიყვანეს, რომლისგანაც გაიგეს, რომ მას მუცლის ტიფი სჭირდა. ამ ამბავმა „შეფიცულები“ ძლიერ შეაშფოთა. რანაირად უნდა მოევლოთ ტყეში ავადმყოფისათვის, როდესაც მუხლებამდე თოვლი იღო და სიცივე ძვალ-რბილში ატანდა?

კლდის ძირში ერთი მაგარი, ვაკე ადგილი გამოძებნეს და ავადმყოფს იქ გაუშალეს ლოგინი, მაღლიდან კარვის პატარა ჩარდახი წამოახურეს და წინაც კარგი ცეცხლი დაუნთეს. საკვებს დათიკოს ძმა, ლანიშა, უზიდავდათ. ალექსანდრე სულ-ხანიშვილი ავადმყოფს წითელ ლობიოს უხარშავდა, მერე მას მარილში წურავდა და ამ წვენს ასმევდა. საბედნიეროდ, სიცხემ ნელ-ნელა დაუკლო და ავადმყოფი გამოკეთდა. 21 დეკემბერს ქაქუცასგან გაგზავნილი კაცი მიუვიდათ. მას ალექსანდრე სულ-ხანიშვილი, დათიკო ფარეულიძე და შალიკო კანდელაკი შეფიცულების ბინაზე უნდა მიეყვანა. დათიკო ცხენზე შესვეს, დანარჩენები წინ და უკან მიჰყვებოდნენ. ძალიან სახიფათო იყო ამ გზაზე სიარული, რადგან შეიძლება მილიციას წასწყომოდნენ, მაგრამ შეფიცულები ამისთვისაც მზად იყვნენ. ისინი მშვიდობით მივიღნენ ქაქუცას რაზმთან. მათ მატნის თავზე, მთაწმინდის ტყეებში დაედოთ ბინა [89. 59].

ხევსურეთის აჯანყების შემდეგ ქაქუცას იმედი ჰქონდა, ჩეჩენეთ-ინგუშეთი ჯარს მიაშველებდა და გაერთიანებული ძალით ბოლშევიკებს საქართველოდან განდევნიდნენ, მაგრამ იქიდან შემოუთვალეს: ადრეული ზაფხული რომ იყოს, ქუდზე კაცი გამოვიდოდა, ეხლა კი ისეთი დროა, ვერ გამოვალთო. პანკისელი „შეფიცულების“ აზრით, ამის შემდეგ ქაქუცამ გამარჯვების იმედი დაკარგა.

ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეფიცულთა რაზმიდან ყველაზე ხანდაზმული ჰასეეი (არსენა) აჭიშვილი გარდაიცვალა 1994 წელს. ის პანკისის ხეობაში, სოფელ ჯოყოლოში ცხოვრობდა. ჰასეეი შეფიცულებს ხევსურეთის აჯანყების ჩახშობის შემდეგ,

1922 წლის შემოდგომაზე შეუერთდა, როდესაც წითლებთან დამარცხებული ქაქუცა ჩოლოყაშვილი თავისი რაზმით პანკისის ხეობაში დაბრუნდა. მომდევნო ორი წლის მანძილზე, ქაქუცას საფრანგეთში წასვლამდე, ჰაასეი გვერდიდან არ მოშორებია შეფიცულებს.

ჰაასეის გადმოცემით, ერთ ღამეს შეფიცულები სოფელ ომალოს თავზე, ნაქერალის ტყეში, დაბანაკებულან. მგელი მისტანებიათ. შეფიცულებს იარაღი მოუმარჯვიათ სასროლად, მაგრამ ქაქუცას დაუშლია: – ცოდოა, ეგეც ჩემისავით არის, მარტო კომუნისტები გაძარცვეთ და დახოცეოთ [72].

ქაქუცას საფრანგეთში წასვლის შემდეგ ჰაასეის მასზე აღარაფერი სმენია, თუმცა ჰაასეი იგონებს: „ერთხელ ლოგინში ვინექი და ჩოლოყაშვილის ხმა შემომესმა, ის ამბობდა:

„დებო, იტირეთ, იტირეთ,  
ცრემლი დალვარეთ ჩემზედაო“.

გამოვილვიძე და თურმე სიზმარი ყოფილა... ეეჲ, ვაიმე, ტიალო დროო, მიდის და მიდის“ [72].

ქაქუცას საფრანგეთში წასვლის შემდეგ ჰაასეი საბჭოთა მთავრობამ შეირიგა, თუმცა საბჭოთა ორგანოებს მთელი 70 წლის მანძილზე არ შეუწყვეტიათ მის ოჯახზე თვალთვალი.

ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმში ერთ-ერთი შეფიცულთაგანი იყო ომალოელი ქისტი მაპამეტა იმედაშვილი, მეტსახელად ქოსა. ის სინამდვილეშიც ქოსა ყოფილა. ელიზბარ მაყაშვილი მას თავის მეგობრად იხსენიებს. ქოსა ძველი და თავის დროზე განთქმული აბრაგიც ყოფილა, ბევრი მხარე ჰქონია მოვლილი, ცოტცოტა რუსულსაც ამტვრევდა. ბოლშევიკების შემოსვლის შემდეგ თხუთმეტამდე ქისტით ტყეში გაჭრილიყო და ქაქუცას რაზმს შეერთებოდა. შემდეგში დანარჩენებთან ერთად მთავრობას შერიგებოდა, მაგრამ დიდი სიფრთხილით იქცეოდა, რადგან ხელისუფლებას მაინცდამაინც არ ენდობოდა.

ქაქუცას რაზმში განსაკუთრებით მრავლად ომალოელი ქისტები ყოფილან. ელიზბარ მაყაშვილმა თავის მოგონებებში ფრაგმენტულად შემოგვინახა მათი სახელები: „ქოსა ომალოელი იყო. მის მეგობრებსაც ყველას სათითაოდ ვიცნობდი: დათიკო ფარეულიძე, ლანიშა, მიტო, ჩილა და სხვები. თითოეული მათგანის

თავზე მთელ დავიდარაბას გადაეარა და რაღაც სასწაულად გა-დარჩენდა სიკვდილს. გრძელი გამოვა მათი ამბის მოყოლა. ყველა ისინი მთავრობასთან შერიგებულები იყვნენ, მაგრამ თავიანთ სოფელს იშვიათად სცილდებოდნენ და მუდამ მზად იყვნენ რაიმე სახიფათო დროს ტყეს შეჰქარებოდნენ“ [58. 100].

პანკისელი ოსების დიდი ნაწილი სულ სხვაგვარად უყურებ-და საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს. მათი აზრით, ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეფიცულთა რაზმის წევრები, ყველანი, ბანდიტები და კონტრრევოლუციონერები იყვნენ.

ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმელებთან პანკისელი ოსების ურთიერთობის შესახებ 2003 წელს საყურადღებო ცნობები მომაწოდა დუმასტურელმა უხუცესმა შოთა შავლოხოვმა. მამამისი – ილიკო შავლოხოვი მეოცე საუკუნის ოციან წლებში ჯერ თიანეთის, ხოლო შემდეგ ახმეტის სათემო პარტიული კომიტეტის პირველ მდივნად მუშაობდა. ილიკო შავლოხოვს, როგორც იმ კუთხის პარტიულ თავკაცს, მთავრობისაგან თურმე პანკისელი „შეფიცულების“ ხელისუფლებასთან შერიგებაც დაევალა.

როგორც ჩანს, ილიკო შავლოხოვი მეტად ავტორიტეტული პიროვნება ყოფილა კომუნისტებშიც და პანკისის მოსახლეობაშიც. ერთხელ ქოსა მახამას შოთა შავლოხოვისთვის უთქამს: თიანეთიდან პანკისში მიმავალი ილიკო რამდენჯერმე მიზანში მყავდა ამოღებული, უნდა მომეკლა, როგორც ბოლშევიკი, მაგრამ მისი გაკეთებული ბევრი სიკეთე და კაიკაცობა გამხსენებია, დავფიქრებულვარ და თოფისთვის სასხლეტი აღარ გამომიკრავს.

ილიკო შავლოხოვი აქტიურ მონაწილეობას იღებდა დაპირისპირებული ძალების შერიგებაშიც. კერძოდ, მან ქოსა მახამას დაჯგუფების, შოთა შავლოხოვის ცნობით, 37 ხოლო ელიზბარ მაყაშვილის მოგონებების მიხედვით, 15 კაცი ხელისუფლებასთან შეარიგა. როგორც შოთა შავლოხოვმა მითხო, 1922 წლის გაზაფხულზე ილიკომ გავლენიანი ქისტი უხუცესები მიუგზავნა „შეფიცულებს“. უხუცესებმა დაარწმუნეს ისინი, რომ ილიკო არ უღალატებდათ და შემორიგების შემთხვევაში ყველას თავის სახლში დააბრუნებდა. აჯანყებულები მოლაპარაკებაზე დათანხმდნენ. შეხვედრის ადგილად დათქვეს სოფელ ჯოყოლოს დასავლეთით – ჭობიოს ტყე. 1922 წლის 14 მარტს, დღის 12 საათზე, ჭობიოს ხატის მახლობლად, ასწლოვანი მუხების ქვეშ, თავი

მოიყარეს ქისტმა უხუცესებმა, იქ იყო ქოსა მახამაც. შოთა შავლოხოვის ცნობით, ქოსა მახამას თხილის ჯოხი მოუთხოვია. მას ჯოხის ერთი ბოლო მიწაზე დაუდია, მეორე ყურთან მიუტანია და უთქვამს: – ილიკოს ფეხის ხმა მესმის, ეხლა საკობიანოს ფშას გამოსცდაო“. მართლაც, 15 წუთის შემდეგ ილიკო შავლოხოვი თავისი წაბლისფერი იორღა ცხენით ჯოყოლოს ბოლოსთან გამოჩენილა. ჭობიოსთან ქისტი უხუცესები დახვედრიან. ცხენი დუმასტურელ ახალგაზრდას, გიგი ცხოვრებოვს ჩამოურთმევია. ქისტებს ილიკო განზე გაუყვანიათ და ქოსა მახამასთან შეუხვედრებიათ. ქოსას მიუძახებია: – ღალატი არ იყოსო! ილიკოს დაუფიცავს, რომ არ უდალატებდათ და ქოსა მახამასთვის უთქვამს: – შენი ჯგუფის წევრები შემახვედრე, გავესაუბრები და ამის შემდეგ თუ არ შეურიგდებით ხელისუფლებას, თქვენი ნება იყოსო!

შოთა შავლოხოვი გადმოგვცემს: „მართლაც, ჭობიოში დაბანაკებული 37 კონტრევოლუციონერი ბანდიტი შეხვდა ილიკო შავლოხოვს. ისინი ადრევე იცნობდნენ ერთმანეთს. მოლაპარაკება ორ საათს გაგრძელდა. ილიკო შავლოხოვმა პირობები გააცნო, ესაუბრა მათ სოციალიზმისა და კომუნისტების პროგრამის შესახებ. ბოლოს შერიგებაზე შეთანხმებულან. ილიკომ შერიგების ფურცლები ყველას სათითაოდ დაურიგა და ბანდიტები სახლებში გაუშვა“.

ალსანიშნავია, რომ ეს შერიგება მთლად მტკიცე არ ყოფილა. შემორიგებულებს ჩეკისტები უთვალთვალებდნენ და დამშვიდებული ცხოვრების სამუალებას არ აძლევდნენ. ერთი სიტყვით, ზოგიერთი მათგანი იძულებული გამხდარა ისევ ტყეში გასულიყო. მაგალითად, ომალოელი დათიკო ფარეულიძე კომუნისტებმა ჯერ თითქოს შემოირიგეს, მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ ის კვლავ „შეფიცულთა“ რაზმს დაუბრუნდა, რადგან მას დევნიდნენ. ჰაასეი აჭიშვილის ცნობით, მოგვიანებით დათიკო ფარეულიძე გადაუსახლებიათ, საიდანაც ის ცოცხალი აღარ დაბრუნებულა.

ქაქუცა ჩოლოყაშვილის საქართველოდან წასვლის შესახებ კი ჰაასეი ასეთ ამბავს იხსენებს. ერთხელ ომალოს ტყეში დაბინავებულ ქაქუცასთან ერთი კაცი მისულა და უთქვამს: „დატოვე ომალო, თორემ სოფელს ააოხრებენო“ [72]. ქაქუცა თავისი შეფიცულთა რაზმით წასულა, თუმცა წასვლის წინ დუისში,

ერთ-ერთ ოჯახში, ქისტებს მისთვის დიდი გამოსამშვიდობებელი ნადიმი მოუწყვიათ. ამის შემდეგ ქაქუცამ შეფიცულებთან ერთად დატოვა საქართველო და საფრანგეთს შეაფარა თავი.

## კომუნისტური რეჟიმის დამყარება და კოლექტივიზაცია პანკისის ხეობაში

ბოლშევკიკებმა საქართველოს ტირანიის მძიმე უღელი და-ადგეს. ჩეკისტები განსაკუთრებული სისასტიკით ფეოდალური ოჯახის წევრებს ეპყრობოდნენ. ქართული ფეოდალური ელიტის ერთ-ერთი ბრნყინვალე წარმომადგენელი იყო ელიზბარ მაყაშ-ვილი, რომელმაც თავის თავზე იწვნია XX საუკუნის 20-იან წლებში ბოლშევკური რეჟიმის მთელი სისასტიკე. ჩეკისტებმა მამა და ძმა დაუხვრიტეს, ოჯახი დაუნგრიეს, თვითონ კი, სრულიად ახალგაზრდა, რამდენჯერმე სასწაულებრივად გადაურჩა დახვრეტას.

ელიზბარ მაყაშვილი 1905 წლის 26 მაისს დაიბადა სოფელ იყალთოში. მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამ. 16 წლის ელიზბარმა საბრძოლო ნათლობა 1921 წელს ბოლშევკიკების წინააღმდეგ ბრძოლაში მიიღო. 1922–1928 წლებში მონაწილეობდა წითელი ოკუპაციის წინააღმდეგ გამართულ პარტიზანულ ბრძოლებსა და არალეგალურ მუშაობაში.

ელიზბარ მაყაშვილმა ცხოვრების დიდი ნაწილი სამშობლო-დან შორს, საფრანგეთში, ემიგრაციაში გაატარა. მან შემოგვინახა შესანიშნავი მოგონებები თავისი მძიმე, ფათერაკებით აღსავსე ცხოვრების შესახებ, რომელიც გადაჯაჭვული იყო იმ-დროინდელი საქართველოს ტანჯულ ყოფასთან [58].

ელიზბარი ქაქუცა ჩილოყაშვილთან შეფიცული იყო, ოლონდ უშუალოდ მის რაზმში არ იბრძოდა. მისთვის და მისი ძმა ბიძინასთვის ქაქუცას უთქვამს: – „თქვენც რომ ტყეში წამოხვიდეთ, უზურგოდ რა მეშველებაო“. ასე რომ, ელიზბარს და მის ძმას სახიფათო საქმე დაევალათ: მეკავშირეობა და ტყეში გასულ შეფიცულთა მომარაგება სანოვაგითა და ტყვია-წამლით.

1925 წლისათვის ბოლშევკიკებმა საბოლოოდ გატეხეს აჯანყებულთა შეიარაღებული წინააღმდეგობა: ზოგი დააპატიმრეს,

ზოგი დახვრიტეს, ზოგი გადაასახლეს, ზოგიც სამუდამოდ გადაიხვენა უცხოეთში. დარჩენილებს კი საბჭოთა ძალოვანი ორგანოები უთვალთვალებდნენ და მათ ოჯახებს ავიწროებდნენ. კომუნისტები თავადაზნაურთა წარმომადგენლებს სამსახურსაც არ აძლევდნენ. მაგრამ რადგან დაბალ ფენებში წერა-კითხვის მცოდნე ძნელად მოიძებნებოდა, ამიტომ მათ სკოლებში მასწავლებლებად ამუშავებდნენ.

ელიზბარ მაყაშვილმაც გადაწყვიტა მასწავლებლად ემუშავა. მან სთხოვა განათლების სამაზრო განყოფილების გამგეს, რომ რომელიმე სოფელში მასწავლებლად დაენიშნათ. მართლაც, ახლობლის დახმარებით 1925 წელს ის პანკისის ხეობის სოფელ ჯოყოლოში მიავლინეს.

საბჭოთა ხელისუფლების თვალში პანკისის ხეობა, როგორც მთავრობასთან დაპირისპირებული კუთხე, ცუდი რეპუტაციით სარგებლობდა. ელიზბარ მაყაშვილის შესახებ განათლების განყოფილების გამგეს აგდებულად უთქვამს: – „იმ ყაჩაღების ბუდეში მაინც არავის უნდა წასვლა და თუ სურს, იქ წავიდეს, ჩვენ სხვა ადგილი არა გვაქვს“ [58. 89].

ელიზბარ მაყაშვილი სულ ერთი წელი მუშაობდა პანკისის ხეობაში მასწავლებლად. მისი მოგონებები წარმოადგენს ძვირფას წყაროს XX საუკუნის 20-იანი წლების პანკისის ხეობის გასაცნობად.

იმ დროს პანკისში დიდი არეულობა, ქაოსი და დაპირისპირება სუფევდა. ახმეტიდან ჯოყოლოში ფეხით მიმავალ ე. მაყაშვილს გზაში დასძინებოდა. „სიზმრებში ვიყავი, რომ ვიღაცის ხელის შეხება ვიგრძენი და თვალები გავახილე. – იგონებს ე. მაყაშვილი. – ჩემს წინ ვიღაც შეიარაღებული კაცი იღგა. „ე, მეგობარო, აქ სად დაგძინები? ადექი. იქნებ არ იცი, სადა ხარ, რა ქვეყანაში და რა დროში? აქ ვიღაც მოგკლავს“ [58. 89].

ბოლშევიკური რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლ მაყაშვილების ოჯახს ქისტების დიდი ნაწილი კარგად იცნობდა და დიდ პატივს სცემდა მათ ვაჟკაცობას, გამბედაობას, სამშობლოსთვის თავგანწირვას. როდესაც ჯოყოლოს გზაზე შემთხვევით გაცნობილ ლევან (კაც) ფარეულიძეს ელიზბარ მაყაშვილმა თავისი ვინაობა გაუმხილა, ქისტმა შეიცხადა: – „აბა ბაბა! გიორგის შვილი ხარ? ღმერთის მადლმა, ვიცნობდი მამაშენს და შენს ძმას ბიძოს; აი დედასა, კარგია, რომ შენ მაინც ცოცხალი ხარ“ [58. 89].

ჯოყოლოში ელიზბარ მაყაშვილი პატარა ქისტებს დიდი სიყვარულით ასწავლიდა წერა-კითხვას, ქართულ ენას, მათემატიკას, საღამობით კი მის სახლში ხშირად იერიბებოდნენ ახალგაზრდა ქისტები. ელიზბარი მათ სხვადასხვა თხზულებებს უკითხავდა. ქისტებს განსაკუთრებით ყაზბეგის მოთხოვნები მოსწონდათ.

ერთხელ თურმე ქისტები ბაირამობისთვის ემზადებოდნენ. ყველა დანესებულებას კი ნაბრძანები ჰქონდა, რომ არავითარი რელიგიური დღესასწაული არ ეუქმათ და ყველგან გაეგრძელებინათ ჩვეულებრივი მუშაობა.

ბრძანება და დადგენილება ერთი იყო, შესრულება – მეორე. ელიზბარმა იცოდა, რომ იმ დღეს არც ერთი ბავშვი სკოლაში არ მივიდოდა, ამას მაინცდამაინც არ დარდობდა, არც დიდ პროპაგანდას ეწეოდა მის წინააღმდეგ.

ბაირამობის დღეს სკოლის ეზოში დიდი ნადიმი გამართულა. კარგა ქეიფში ყოფილან შესულები, რომ ეტლის ხმა და ეუვნის წერიალი გაუგიათ. ერთი სიტყვით, სამაზრო აღმასკომის და განათლების კომისარიატის წარმომადგენლები თავზე წამოსდგომიან. ელიზბარ მაყაშვილს ცოტა არ იყოს ელდა სცემია, მაგრამ ნასვამს იხტიბარი არ გაუტეხია, ფეხზე ამდგარა და ხელისუფლების წარმომადგენლებს მიჰებებია. მათ ჯერ კარგად უქეიფიათ და მერე ერთს ელიზბარისათვის გაჯავრებით უთქვამს:

– თქვენ გახურებულ ქეიფში ხართ და სკოლას კი კლიტე ადევს.

– ბოდიშს ვიხდი, მაგრამ შეუძლებელი იყო დღეს მეცადინეობა – უპასუხია მაყაშვილს.

– საბჭოთა ხელისუფლებაში სიტყვა „შეუძლებელი“ დიდი ხანია მოისპო, – შეაწყვეტინეს მკვახედ. – ფრთხილად, მოქალაქე მაყაშვილო, თუ არ გინდათ, რომ თქვენს ქცევას ცუდი შედეგები მოჰყვეს. თქვენ საბჭოთა მოსამსახურედ და პროფესიული კავშირის წევრად ითვლებით, თქვენი წარსული ცოტა არ იყოს ბევრია. ეს არის პირველი პირადი გაფრთხილება, წერილობითაც მიიღებთ ოფიციალურად, და შემდეგისთვის ვნახავთ“ [58. 103].

ელიზბარ მაყაშვილი აღარ შეპასუხებია. მართლაც, მათი წასვლიდან სამი დღის შემდეგ მან მიიღო ოფიციალური გაფრთხილება.

ერთხელ მაზრიდან კომისია სწვევია, სკოლა დაუთვალი-ერებიათ, ბავშვები გამოუკითხავთ და ძალიან კმაყოფილები დარჩენილან. ახალი ბრძანება მოუტანიათ მისთვის, იქ უნდა გაეხსნათ წერა-კითხვის უცოდინართა სალიკვიდაციო სკოლა, სადაც ზრდასრული ქისტები შეისწავლიდნენ წერა-კითხვას. მაგრამ ეს არც ისე ადვილი აღმოჩნდა, როგორც მათ ეგონათ. სამუშაოს შემდეგ სახლში მისულ მამაკაცებს სკოლისთვის არ ეცალათ და ორი-სამი კაცი თუ ესწრებოდა გაკვეთილებს. მანდილოსნებზე კი ლაპარაკიც ზედმეტი იყო. როგორც ე. მაყაშვილი აღნიშნავს, „მამაკაცებში გარევა და უცხო ადამიანებთან ლაპარაკი მათ ტრადიციაში არ ენერათ და ვერავითარი ხელი-სუფლება ამას ვერ აიძულებდათ“ [58. 101].

ე. მაყაშვილი თავის მოგონებებში ქისტების წეს-ჩვეულებებსაც აღგვიწერს. ქისტებმა მასზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინეს. დიდი ხნის შემდეგ საფრანგეთში მყოფი ე. მაყაშვილი თავის მოგონებებში წერდა: „ლალად ცხოვრობდნენ ქისტები. ბუნებას თავისუფლება შეეყვარებინა მათთვის... მიყვარდა ეს ლალი ხალხი, მიყვარდა მათი ბუნებრივი სიამაყე და გულახ-დილობა. ხშირი იყო ლამღამობით თოფის სროლა, ყიუინი და ძალ-ლების ყეფა. ამას ჩვენ უკვე მივეჩვით და ვიცოდით, რომ ალბათ დანიშნულმა, რომელმაც ვერ შეძლო თავისი დანიშნულის შესყიდვა, ეს უკანასკნელი მოიტაცა“ [58. 97].

ელიზბარ მაყაშვილის მოგონებები პანკისის ხეობაზე არის პირუთვნელი, მართალი და ღრმა ცოდნით დაწერილი ორი-გინალური მემუარული უანრის თხზულება. მასში ავტორი გვე-საუბრება ქისტების წეს-ჩვეულებებსა და მათი ცხოვრების ყა-იდაზე. როგორც ელიზბარ მაყაშვილის მემუარებიდან და პირადი წერილებიდან ირკვევა, ის კარგად იცნობდა ქისტების ბუნებას, მათ ფსიქოლოგიას.

ელიზბარ მაყაშვილმა თავისი კეთილშობილებით, რაინდული თვისებებით ნარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ქისტებზე.

საბჭოთა ხელისუფლებისგან დევნილი ახალგაზრდა თავადი 1928 წელს ემიგრაციაში წავიდა და მთელი ცხოვრება საფრანგეთში გაატარა. სიცოცხლის ბოლომდე ის საფრანგეთიდან წერილებს უგზავნიდა ნაცნობ ქისტებს. ელიზბარ მაყაშვილი მისი თაობის ქისტებს სიკვდილამდე არ დავიწყებიათ და ხშირად დიდი სიყვარულით იხსენებდნენ.

საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო არქივში აღმოჩნდა რამდენიმე საყურადღებო დოკუმენტი, საიდანაც ირკვევა, რომ XX საუკუნის 20-იან წლებში პანკისის ხეობაში საქართველოს დამოუკიდებლობის მომხრე ძალებსა და ადგილობრივ ბოლშევიკებს შორის უკიდურესად გამწვავდა ურთიერთობა. ქისტებსა და ოსებს შორის პოლიტიკურ ნიადაგზე წარმოშობილმა კონფლიქტმა თითქმის ეთნიკური დაპირისპირების სახე მიიღო.

თავდაპირველად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საბჭოთა ხელისუფლებას უმთავრესად ოსური მოსახლეობა უჭერდა მხარს. თ. ბაინდურაშვილის გადმოცემით, ოსების მოწინავე და გავლენიანი კომუნისტი დუმასტურელი ილიკო შავლოხოვი 1921 წელს პარტიულ კურსებზე მოსკოვშიც კი გაუგზავნიათ, სადაც მას საშუალება მისცემია მოესმინა ლენინისთვის [7].

1921 წელს, საქართველოს გასაბჭოებისთანავე, სოფელ დუმასტურში შექმნილა კომუნისტური პარტიის უჯრედი. მისი ერთ-ერთი წევრი ყოფილა ვინმე ვლადიმერ შავლოხოვი. 1925 წელს ვლადიმერ შავლოხოვს თელავის პარტიული კომიტეტისადმი განცხადებით მიუმართავს, საიდანაც ირკვევა, რომ 1924 წლის ერთ-ერთ ღამეს, როდესაც საბჭოთა ხელისუფლების მოწინააღმდეგე ძალები პანკისში იყვნენ შეკრებილნი, დუმასტურში მისულა სამაზრო მილიცია და ბოლშევიკი თავკაცები. ჩეკისტებს დუმასტურელებისთვის უთქვამთ: – ჩვენ მოვედით ბანდიტების დასახოცად და თქვენ, როგორც პარტიული ამხანაგები, უნდა დაგვეხმაროთ. ოსები დახმარებიან. მათ შორის ყოფილა ვლადიმერ შავლოხოვიც. შეტაკება მომხდარა პანკისის ხეობაში საბჭოთა ხელისუფლების მომხრე და მოწინააღმდეგე ძალებს შორის. ვლადიმერ შავლოხოვი თავის განცხადებაში აღნიშნავს: „ამ ბრძოლაში მოვკალით ერთი ბანდიტი, ეროვნებით ქისტი. ამის შემდეგ ხმა გაავრცელეს, ვითომდა მე მოვკალი ის ყაჩალი. როგორც ვიცით, ქისტების ადათ-წესია, სისხლს არავის შეარჩენენ, რადაც არ უნდა დაუჯდეს. ასე რომ, მას შემდეგ მე დამდევენ ქისტები და მოკვლას მიპირებენ. ამისათვის, გთხოვთ, შეხვიდეთ ჩემს მდგომარეობაში და ვიდრე არ გაუბედურებულა ჩემი ოჯახი, მომცენ ჩემი პირადი საქმეები, რომ წავიდე აქედან და სადმე შევაფარო თავი. იმედია, შემისრულებთ ამ თხოვნას და გამონახავთ რაიმე საშუალებას“ [88. 6].

ქისტებსა და ოსებს შორის დაპირისპირების აღმოსაფხვრელად ხელისუფლებას კომისია შეუქმნია. კომისიამ რა მუშაობა გასწია, უცნობია. 1926 წელს სიტუაციის გასარკვევად პანკისის ხეობაში თვით ფილიპე მახარაძე ჩასულა.

პანკისელი ოსები ჩიოდნენ: – მთავრობამ ქისტი ბანდიტები დახოცა. ქისტები კი ჩვენ გვაბრალებენ და იმ ბანდიტების სისხლს ჩვენგან იღებენ. თუ ამ საქმეში დანაშაული მიგვიძლვის, პასუხი მთავრობამ მოგვთხოვოს და არა ქისტებმა [88. 11].

ოსები ქისტებისგან თავს დაჩაგრულად გრძნობდნენ და მთავრობისგან დამნაშავეთა დასჯას მოითხოვდნენ.

ვლადიმერ შავლოხოვის განცხადებიდან ისიც ირკვევა, რომ ყველაზე დიდი დაპირისპირება შეფიცულებსა და ბოლშევიკებს შორის 1924 წელს ყოფილა. ვლ. შავლოხოვი წერს: „1924 წელი იყო სრული არეულობისა და ბანდიტობის წელი. პანკისის ხეობა იმ დროს ნარმოადგენდა ბანდიტების ბუდეს“ [88. 6].

ხელისუფლებამ მომჩივან ოსებს სიმშვიდისაკენ მოუწოდა და მათ ქისტებთან შერიგებაში შუამდგომლობას შეჰქირდა. ამის შემდეგ კომისიამ, რომელსაც ფილიპე მახარაძე თავმჯდომარეობდა, შეკრებილებს სთხოვა, შეეწყვიტათ მომხდარ უსიამოვნებაზე კამათი. ფილიპე მახარაძე იქიდან თბილისში წასულა და თან 15 ქისტი ბავშვი წაუყვანია მთიელთა საბავშვო სახლში სასწავლებლად.

პანკისში კონფლიქტი ამით არ ჩამცხრალა. 1927 წელს ოქტომბრის გადატრიალების ათი წლისთავისადმი მიძღვნილ ზე-იმზე სოფელ ჯოყოლოში სიტყვით გამოსულა დუმასტურელი ოსი სოფრონ შავლოხოვი. მას უსაუბრია პანკისის ხეობის მძიმე პოლიტიკურ ვითარებაზე და მთავრობისგან მოუთხოვია უსაფრთხოების გარანტიები, დამნაშავეთა დასჯა და იმ ძალების დაპატიმრება, რომლებიც საბჭოთა წყობილებას ეპრძოდნენ [88. 3]. რევოლუციის ათი წლისთავზე სიტყვით გამოსვლის გამო სოფრონ შავლოხოვს საბჭოთა ხელისუფლების მოწინააღმდეგები დაემუქრნენ.

ზ. ქირიას აზრით, რადგან ეროვნებათშორის უსაფრთხოებას იმ პერიოდში საბჭოთა რეჟიმის ე.ნ. ეროვნული პოლიტიკა განსაზღვრავდა, უმართავი მდგომარეობა ხშირად ეთნოკონფლიქტებითა და სისხლისლვრით მთავრდებოდა [104. 57].

ამრიგად, XX საუკუნის 20-იანი წლების ბოლომდე პანკისის ხეობაში სიტუაცია კვლავ უკიდურესად დაძაბული რჩებოდა. საბჭოთა რეჟიმს პანკისში ეროვნებათშორის ურთიერთობების მოწესრიგება გაუძნელდა. მან მხოლოდ 20-იანი წლების ბოლოს შეძლო ხალხის შეიარაღებული წინააღმდეგობის გატეხა.

საბჭოთა ხელისუფლებამ ძალაუფლების ხელში აღებისთანავე სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა რელიგიის მსახურთ. ბოლშევიკებისგან დევნილი ჯოყოლოს ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის მღვდელი, მამა მათე ალბუთაშვილი იძულებული გახდა პანკისის ხეობა დაეტოვებინა. ბოლშევიკებს ის ერთ ხანს ციხეშიც ჰყავდათ დაპატიმრებული.

1924 წელს დღევანდელი ახმეტის რაიონი, მათ შორის პანკისის ხეობა, თიანეთის მაზრისაგან გამოყვეს და თელავის რაიონს შეუერთეს. ამ ცვლილებასთან დაკავშირებით დუმასტურელი ილიკო შავლობოვი თიანეთიდან გადმოიყვანეს ახმეტაში სათემო პარტიული კომიტეტის პირველ მდივნად. 1926 წელს ოსებით დასახლებულ სოფლებში – დუმასტურში, ქორეთში, ფიჩოვანსა და არგობში ილიკო შავლობოვის ინიციატივით აშენდა დაწყებითი სკოლის შენობები, თითო სამ-სამ ოთახიანი. ილიკოს ვაჟის, შოთა შავლობოვის აზრით, იმის გამო, რომ ილიკომ, როგორც ეროვნებით ოსმა, სკოლები მხოლოდ ოსებით დასახლებულ სოფლებში ააშენა, მას 1927 წლის დეკემბერში კომუნისტური პარტიის თელავის რაიონულმა კომიტეტმა ნაციონალისტობა დასწამა და 1928 წლის იანვარში კომუნისტური პარტიის რიგებიდან გარიცხა, აგრეთვე, გაათავისუფლა დაკავებული თანამდებობიდან.

იმავე წელს გვიან შემოდგომაზე, როცა დუმასტურში მინდვრის მოსავალი დააბინავეს, ილიკო შავლობოვი, მისი ძმა დიმიტრი და მათი ერთგული მეზობელი ოსები მამისონის უღელტეხილით ჩრდილოეთ ოსეთში გადავიდნენ და სადონის მაღაროში დაიწყეს მუშაობა. ილიკო შავლობოვი იქაც მალე დაწინაურდა. ერთი წლის მუშაობის შემდეგ ის მაღაროს მუშათა პროფკავშირის თავმჯდომარედ აირჩიეს.

ილიკო შავლობოვი პანკისის ხეობაში 1933 წელს დაპრუნდა და მაშინვე დანიშნეს თელავის რაიაღმასკომის ინსტრუქტორად.

შოთა შავლობოვის ცნობით, ერთხელ კომუნისტური პარტიის თელავის რაიკომის პირველ მდივანს, გვარად კარანაძეს,

ერთ-ერთ ნადიმზე ყოფნის დროს პარტიის რაიონული ბიუროს სხვა წევრების თანდასწრებით შეუთავაზებია იღიკო შავლოხოვისთვის, რომ ოსი მოსახლეობა აეჯანყებინა საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ. იღოკოსთვის, როგორც მტკიცე კომუნისტისთვის, კარანაძის წინადადება მიუღებელი ყოფილა და, შოთა შავლოხოვის გადმოცემით, ამის გამო სამსახურიც დაუტოვებია. კომუნისტური პარტიის თელავის რაიონული ბიუროს წევრების-თვის კი 1936 წელს ერთიანად მოუსვიათ ხელი და ყველანი დაუბატიმრებიათ, როგორც ტროცკისტები.

ამრიგად, XX საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს, მას შემდეგ, რაც საბჭოთა მთავრობამ სხვადასხვა საშუალებით შეძლო მოწინააღმდეგე ძალების დამარცხება, ხელისუფლებამ პანკისის ხეობაში თავისი პროგრამის განხორციელება დაიწყო.

გაუქმდა მამასახლისობის ინსტიტუტი.

პანკისის ხეობის სოფლები გაერთიანდა ჯოყოლოს სასოფლო საბჭოში. სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს კი გაცილებით დიდი უფლებები მიენიჭა.

1924 წელს დაარსდა სოფელი საკობიანო. იქ ფშავლები ძირითადად ტოლოშოდან, ბანარიდან და ხადორიდან გადმოსახლდნენ. ხადორში, ტოლოშასა და ბანარაში ფშავლები მეტად ღარიბულად ცხოვრობდნენ. ამ სოფლებთან დაკავშირება მხოლოდ ბილიკებით იყო შესაძლებელი. ისინი ყორეებით ანუ ქვის მშრალი წყობით აშენებულ მიწისიატაკიან სახლებში ცხოვრობდნენ. სახლებს არ ჰქონდა ფანჯრები, თბებოდნენ შუაცეცხლით. ზოგიერთი სახლის კუთხეში მრგვლად მიშენებული იყო საკვამური. ზამთარში საქონელიც ბინაში შემოჰყავდათ.

1929 წლის შემოდგომიდან დაიწყო სასოფლო-სამეურნეო არტელების ჩამოყალიბება. თელავის მაზრიდან პანკისის ხეობაში მოვლინებული და ადგილზე მყოფი კომუნისტები მოსახლეობაში არტელების უპირატესობისა და მასში გაერთიანების აუცილებლობაზე სისტემატურ აგიტაციას ეწეოდნენ. მცირე საკარმოდამო ნაკვეთების გარდა, ხეობის სავარგულები მთლიანად არტელებში გააერთიანეს. გლეხებს ჩამოართვეს სანარმოო საშუალებები, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი: გუთნები, ფარცხები, ურმები და ყოველივე ამას თავი მოუყარეს კანტორის ეზოში. ისედაც გაჭირვებულ გლეხობას საქონელიც ჩამოართვეს. პირუტყვი მოსახლეთა შედარებით დიდ სადგომებში შერე-

კეს და იქ მიუჩინეს მომვლელები. თ. ბაინდურაშვილის ცნობით, „იმის გამო, რომ პარტიული ხელმძღვანელები თავისი შეხედულების მიხედვით აერთიანებდნენ პირუტყვს არტელებში, ამიტომ თითქმის ყველა გლეხი კლავდა 1-2 სულ მსხვილფეხას ოჯახში ხორცად გამოყენებისათვის, ამის შედეგად რაიონში არსებული მსხვილფეხა პირუტყვის თითქმის 10–15% 1930 წლის 1 იანვრამდე დაიკლა. არტელში გაერთიანებული საქონლის დიდი ნაწილი კი მოუვლელობისა და საკვებისა ნაკლებობისაგან 1930 წლის იანვარ-თებერვალში დაეცა. განსაკუთრებით დიდი ზარალი განიცადა ცხვარმა. ცხვრის სულადობა თითქმის განახევრდა“ [7. 50].

ხეობაში სასოფლო-სამეურნეო არტელების შესაქმნელად წინასწარ არ ჩატარებულა მოსამზადებელი სამუშაოები. არ არსებობდა არც პროგრამა და არც დებულება იმის შესახებ, თუ როგორ გაერთიანებულიყო მიწა და ინვენტარი არტელებში, როგორ აღერიცხათ პირუტყვი და მისთვის როგორ მოევლოთ. საბუღალტრო აღრიცხვა არ წარმოებდა. არავინ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. თ. ბაინდურაშვილის ცნობით, „სოფლის მეურნეობა კატასტროფის წინაშე იდგა. საგაზაფხულო თესვა ახლოვდებოდა. არავითარი სამზადისი არ მიმდინარეობდა. არ იყო თესლი. მუშა პირუტყვი მოუვლელობისაგან გახდა, ნაწილი დაიხოცა. თითქმის შეწყდა რძის წარმოება. არაფერი კეთდებოდა ცხვრის დოლის ჩასატარებლად“ [7. 51].

კოლექტივიზაციის პროცესი შედარებით წარმატებით დუმასტურში დაიწყო. 1930 წელს კოლექტივში 12 ოჯახი გაერთიანდა. ყველაზე უმიწო და საწყალი გლეხები თავკაცებად დანიშნეს: გოგლექსი – ალექსი გიგას ძე ცხოვრებოვი კოლმეურნეობის თავმჯდომარე გახდა, მოანგარიშე კი სტეფანე ჯაბიევი.

1932 წელს დუმასტურის მთელი მოსახლეობა განევრიანდა კოლმეურნეობაში, გარდა ცნობილი ილოკო შავლოხოვის ოჯახისა. ილიკო შავლოხოვი იმ დროს უკვე კომუნისტური პარტიის რიგებიდან იყო გარიცხული და რაიონიდან წასული. ამიტომ ხელისუფლება მას ეჭვის თვალით უყურებდა. ასეთ ოჯახებს, როგორც წესი, კოლმეურნეობაში არ ღებულობდნენ და მძიმე შრომით მოწეულ მოსავალს ართმევდნენ, მათ ქონებას კონფისაციას უკეთებდნენ.

საბჭოთა რეჟიმის თვით მგზნებარე თაყვანისმცემელმა, ილიკოს ვაჟმა, 80 წელს მიღწეულმა შოთა შავლოხოვმა 2003

წელს მიამპო იმის შესახებ, თუ როგორ სასტიკად ილახებოდა კოლექტივიზაციის წლებში ადამიანის ელემენტარული უფლებები, თუ როგორ ავინროებდნენ ადგილობრივი კომუნისტები საბჭოთა ხელისუფლების ერთგულებაში ეჭვმიტანილ ოჯახებს: „ძალიან კარგად მახსოვს, – ყვება შოთა შავლოხოვი, – 1932 წელს დედაჩემს დუმასტურის განაპირას, წიფლოვანში, საშემოდგომო ხორბალი ეთესა, ხორბალი მომკილი იყო და სახლში გასალენად უნდა წამოგვეღო. წავედით ურმით. ერთ მხარეზე ხარი მურეშა გვება, მეორე მხარეზე – ფურკამეჩი მელანო. დედაჩემს თან გრძელი, უქარქაშო, უტარო ხანჯალი წამოეღო. ძალიან მიკვირდა, რაში სჭირდებოდა ქალს იარაღი. წიფლიანში წამკალის დადებაზე დედაჩემს ვასო თედეევი და კუტუნა დაეხმარნენ, გამოყოლა კი ვერ გაბედეს. მათ იცოდნენ, რომ ხელმძღვანელობა ჩვენთვის ხორბლის ჩამორთმევას და კოლმეურნეობის კალოზე მის ჩამოცლას აპირებდა. სწორედ, წიფლიანის ხევიდან რომ ამოვედით, იქ, სადაც წასაკირალებია, დაგხვედა კოლმეურნეობის თავკაცობა. თუ ხორბალს ჩამოგვართმევდნენ, ჩვენ ზამთარში შიმშილით დავიხოცებოდით. როგორც კი ურემი გაგვაჩერებინეს, დედაჩემმა ურმის ძნიდან ამოაძრო ხანჯალი და ოსურ ენაზე დაიმუქრა: „აბა, წინ დამიდგეს, ვინც კაი ბიჭია!“

კოლმეურნეობების ჩამოყალიბების პროცესში მრავალი უსამართლობა ხდებოდა. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში იყვნენ შეძლებული გლეხები. მათ ოჯახში აღარაფერს უტოვებდნენ, ყველაფერი სასოფლო-სამეურნეო არტელში მიჰქონდათ.

რადგანაც კოლექტივიზაცია დუმასტურში შედარებით წარმატებულად მიმდინარეობდა, რაიონულმა ხელმძღვანელობამ ორი დუმასტურელი კოლმეურნე, რუსული ენის მცოდნე ნიკალა შავლოხოვი და კობილა გერგაული, სტავროპოლის მხარეში მიავლინა. მათ იქ დუმასტურის კოლმეურნეობისთვის განსაკუთრებული ჯიშის 16 ძროხა და ერთი ბუდა გამოატანეს, რომელიც ადგილობრივი მდიდარი გლეხებისთვის ჩამოერთმიათ. შოთა შავლოხოვი იგონებს: „ნამდვილად შესანიშნავი ჯიშის პირუტყვი ჩამოიყავანეს. მათ სანახავად თითქმის მთელი ხეობის მოსახლეობა მოდიოდა“.

მიუხედავად იმისა, რომ დუმასტურის კოლმეურნეობა მონინავედ ითვლებოდა, საერთო საკუთრებას გლეხები მაინც გულგრილად და უყურადღებოდ ეკიდებოდნენ. 1935 წლის 21

იანვარს თელავის რაიონული გაზეთი „კოლმეურნის ხმა“ წერდა: „დუმასტურის კოლმეურნეობის ხელმძღვანელმა ამხანაგებმა შემოდგომის ხვნა-თესვის შემდეგ სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი უპატრონოდ სადღაც მიყარ-მოყარეს და დღესაც არ იციან, სად აქვთ, ან რა ბედი ეწვია კოლმეურნეობის 13 გუთანს, 6 კავს, 6 კავის სახნისს, თოკებს, ტომრებს და სხვა“.

დუმასტურში კოლმეურნეობა 1935 წლიდან გაძლიერდა. მოსახლეობისთვის ჩამორთმეული საქონლის ხარჯზე კოლმეურნეობის მეცხოველეობის სულადობა საგრძნობლად გაიზარდა. მსხვილფეხა პირუტყვი 350 სულს შეადგენდა, მათ შორის ხარი და კამეჩი 90 სულს. აღსანიშნავია, რომ იმ პერიოდში უპირატესობა ენიჭებოდა გამწევ ძალას. კომიურნეობას ასევე ჰყავდა 2200 სული ცხვარი და თხა, ცხენი – 18 სული.

1935 წელს დუმასტურის კოლმეურნეობა დაჯილდოვდა საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ქების სიგელით. მინიან ჩარჩოში ჩასმული დუმასტურელი კოლმეურნების ქების სიგელი დიდხანს იყო გაკრული სოფლის კანტორის კედელზე.

დუმასტურელი ოსები ხალისით მუშაობდნენ საკოლმეურნეო მინდვრებში. ყოველმა ბრიგადამ მორიგეობა დააწესა, თუ რომელ დღეს რომელი კოლმეურნის ოჯახი მოამზადებდა საფილს. სადილის მომზადებაშიც სოციალისტური შეჯიბრება გამოცხადდა. მოსავლის აღების პერიოდში კოლმეურნეობის თოთოეული ბრიგადის სადილობა დღესასწაულს ჰყავდა.

XX საუკუნის 40–50-იან წლებამდე ხეობაში ძირითადი ტრანსპორტი იყო ურემი. ხეობიდან რაიონულ ცენტრში გადაადგილება უფრო მოსახერხებელი რომ ყოფილიყო, აკეთებდნენ ოთხთვლიან ე.ნ. ფურგუნს, რომელშიც ცხენები იყო შებმული. პანკისის მოსახლეობა ამგვარი ოთხთვლიანი ფურგუნებით მიდიოდა ალავერდში, თეთრ გიორგში, აგრეთვე თელავში, საიდანაც მატარებლით თბილისში შეიძლებოდა გამგზავრება.

ხეობის მოსახლეობა სამგზავროდ იყენებდა აგრეთვე ორთვლიან ეტლს, რომელსაც პანკისელები ლილეინკას ეძახდნენ. ლილეინკა ფაიტონს ჰყავდა. XX საუკუნის 30-იან წლებში პანკისის ხეობაში მელილეინკე იყო მოჩუყა ადოს ძე ქავთარაშვილი. მოჩუყას ლილეინკით მგზავრები ხეობიდან ახმეტასა და თელავში გადაჰყავდა.

XX საუკუნის 30-იან წლებში მდინარე ილტოზე ააგეს ხიდი და რაიონულ ცენტრთან დაკავშირება უფრო გაადვილდა. იმავე პერიოდში ახმეტაში აუშენებიათ დიდი სახერხი ქარხანა. მოჩუ-ყას ლილეინკაში ჩაუსხამს ხეობის უხუცესები, რომლებიც მა-ტანს არ იყვნენ გაცილებულები და ისინი ახმეტაში გაუსე-ირნებია. მოხუცებს ხიდი და სახერხი ქარხანა უნახავთ. თურმე გაოცებულები უყურებდნენ, როგორ იხერხებოდა უზარმაზარი ხეები.

1942 წელს მოჩუყა მეორე მსოფლიო ომში გაიწვიეს. ის ქერჩში იბრძოდა და იქ უგზოუკვლოდ დაიკარგა.

კოლექტივიზაციამ განსაკუთრებით დააზარალა პანკისის ხეობის მთის სოფლები: ბაწარა, ტოლოშა, ხადორი და, აგრეთვე, ძიბახევი, სადაც ძირითადად ფშავლები ცხოვრობდნენ. რადგან კოლმეურნეობების შექმნა უგზოობის გამო იქ გარკვეულ სირ-თულეს ქმნიდა, საბჭოთა ხელისუფლების ადგილობრივი წარ-მომადგენლები ადგნენ და 1936 წელს ისინი საკობიანოსა და ბაყილოვანში ჩამოასახლეს.

დარო ჯველაურის გადმოცემით, კოლექტივიზაციის წლებში ხადორი მოსახლეობისგან თითქმის მთლიანად დაიცალა. თუმცა მათ მთასთან კავშირი არ გაუწყვეტიათ. ზაფხულობით ისინი ხადორში ადიოდნენ, ზამთარს კი ბაყილოვანში ატარებდნენ. ხა-დორში ძირითადად ცხვარ-ძროხა აჰყავდათ. ბარში ჩამოსახლე-ბამდე ხადორელები მთაში კარტოფილის უხვ მოსავალს იღებ-დნენ. მათ იმდენი ლობიო მოჰყავდათ, რომ კალოზე ცხენებით ლენავდნენ. ხადორელთა უმრავლესობას 5–6 სული ხარი ჰყავდა. ხარებით ისინი მიწას ამუშავებდნენ. ხორბალი სიცივის გამო იქ შემოსვლას ვერ ასწრებდა, ამიტომ მის ნაცვლად ქერსა და სვილს თესავდნენ. ხადორლებს მოჰყავდათ, აგრეთვე ადრეულა ჯიშის წითელი სიმინდი, რომელიც მთის პირობებში უხვ მო-სავალს იძლეოდა. ხადორში ძლიერ ყოფილა განვითარებული მეფუტკრეობაც. ბარში ჩამოსახლებამდე, მიხეილ ღუბიანურის გადმოცემით, ზოგიერთ ფშაველს რამდენიმე ათასი სული ცხვა-რიც კი ჰყოლია.

ქურსიკა ღუბიანურის ოჯახს, სანამ ბაყილოვანში გად-მოასახლებდნენ, სხვა ფშაველებთან ერთად ძიბახევში უცხოვ-რია. XX საუკუნის 30-იან წლებში ძიბახევში ქისტების სამიოდე კომლიც ცხოვრობდა, რომლებიც ძირითადად ქართულ ადათებ-

სა და ქრისტიანულ წეს-ჩვეულებებს მისდევდა. როგორც ფშავები ყვებიან, ისინი ქისტებთან ერთად შრომობდნენ, ხატობაზე ერთად დადიოდნენ, მეგობრულად ცხოვრობდნენ და მეზობლობდნენ. ხვთისო გამიხარდის ძე ჯველაურმა მიამბო: „ქისტები ძიბახევში ჩვენს ენაზე ლაპარაკობდნენ, ძმურად ვიყავით ერთმანეთთან და სანამ არ გავიზარდე, არც კი ვიცოდი, თუ ისინი ქისტები იყვნენ“.

„ – ბარში ჩამოსახლების შემდეგ, – მიყვება ხადორში დაბადებული და გაზრდილი დარო ჯველაური, – ბევრი თივა აღარ გვჭირდებოდა, რადგან მთავრობაშ პირუტყვის დიდი ნაწილი ჩამოგვართვა. ამიტომ ხადორზე ბალახს აღარ ვთიბავდით. კომუნისტებმა კოლმეურნეობების ჩამოყალიბების დროს გაგვატყავეს. კოლმეურნეობაში სულ 50 ხარი იყო, ორმოცდაათივე გლეხებს ჩამოართვეს. ვისაც ხარი არ ჰყავდა, აყიდვინეს და ის შეაყვანინეს კოლექტივში. საქონელი ორ ძროხასა და ათ ცხვარზე მეტი არ უნდა გვყოლოდა. ერბოს, ხორცსა და კვერცხს გვაწერდნენ. ერთ ძროხაზე წელინადში სამი კილო ერბო უნდა ჩაგვებარებინა მთავრობისთვის, აგრეთვე 40 კილოგრამი ხორცი, 60 კვერცხი. ობლიგაციების შესაძენად ყოველწლიურად 500 მანეთს გვახდევინებდნენ. თითოეულ სულ ძროხასა და ცხვარზე გადასახადს გვინესებდნენ. გადასახადები იყო ყველაფერზე. ვინც ვერ გადაიხდიდა, მთავრობის წარმომადგენლებს მათი სახლებიდან ფარდაგები, საწოლები და სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნივთები ძალით გაჰქონდათ. ზოგჯერ ძროხებიც კი მიჰყავდათ“.

პანკისის ხეობის სოფლებში კოლექტივიზაციის პროცესი რთულად მიმდინარეობდა. დღევანდელი ახმეტის რიონის ტერიტორიაზე ყველაზე გვიან კოლმეურნეობები სწორედ იქ შეიქმნა, აგრეთვე, სოფელ მატანში. ხალხს არ უნდოდა თავისი პირუტყვისა და სახნავ-სათესი მიწების სასოფლო-სამეურნეო არტელში გაერთიანება. მაგრამ საბჭოთა ხელისუფლება თავისი მიზნების განსახორციელებლად ხალხის ნება-სურვილს არ ითვალისწინებდა. 1934 წლის შემოდგომიდან 1935 წლის გაზაფხულამდე პანკისის ხეობის სოფლებში, რომლებიც ჯოყოლოს სასოფლო საბჭოში შედიოდნენ, საგაზაფხულო თესვის მოახლოებასთან დაკავშირებით და კომუნისტური ხელისუფლების დავალებით დაჩქარებული ტემპით რამდენიმე კოლმეურნეობა შე-

იქმნა. 1935 წლის შემოდგომისთვის ჯოყოლოს სასოფლო საბჭოში, რომელსაც გიორგი ბაბუევი ხელმძღვანელობდა, უკვე 17 ახალი კოლმეურნეობა ჩამოყალიბდა. კოლმეურნეობებს კომუნისტი ბელადების სახელები და საბჭოთა იდეოლოგიასთან დაკავშირებული ტერმინები დაარქვეს. ასე მაგალითად, სოფელ ომალოში იყო ორი კოლმეურნეობა: „ახალი ომალო“ და „ბერიას სახელობის კოლმეურნეობა“, დედისფერულში – „კიროვის სახელობის“, საკობიანოში – „პირველი მაისის სახელობის“; „ბერიას სახელობის“ იყო აგრეთვე წინუბნისა და ქვემო ხალანის კოლმეურნეობები, დუმასტურის – „ოქტომბრის რევოლუციის სახელობის“, ბირკიანის კოლმეურნეობას ერქვა „გლეხის სინათლე“, დუისში ორი კოლმეურნეობა ჩამოყალიბდა: „წითელი პანკისი“ და „ვოროშილოვის სახელობის“. ორი კოლმეურნეობა იყო სოფელ ჯოყოლოშიც: კოსარევისა და შვერნიკის სახელობის კოლმეურნეობები. გამონაკლისი იყო ყვარელწყლის კოლმეურნეობა, რომელიც ვაჟა-ფშაველას სახელს ატარებდა.

ამრიგად, 1935 წლის შემოდგომისათვის პანკისის ხეობა, რომელიც ჯოყოლოს სასოფლო საბჭოში შედიოდა, მთლიან კოლექტივიზაციაქმნილ საბჭოდ გადაიქცა.

პანკისის ხეობის კოლმეურნეობებში XX საუკუნის 30-იან წლებში ძირითადად მემინდვრეობა და მესაქონლეობა დაინირგა. ჯოყოლოს სასოფლო საბჭოს საკოლმეურნეო ფართობზე XX საუკუნის 30-იან წლებში საერთოდ არ იყო ვენახები, არც საკოლმეურნეო ფართობზე და არც კერძო სექტორზე.

კოლმეურნეობების ჩამოყალიბებისთანავე სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს ე.ნ. კულაკურ ელემენტებს. პანკისის ხეობაში ხალხი ღარიბად ცხოვრობდა, ამიტომ ხელისუფლებას გასაკულაკებელი ცოტა ეგულებოდა. ვისაც მოჯამაგირე ჰყავდა, აციმბირებდნენ ან შუა აზიაში ასახლებდნენ. დუისიდან დავით მარგოშვილი გააკულაკეს. მას ბევრი ცხვარი ჰყავდა, ცხვარი ჩამოართვეს და თვითონ კი ყაზახეთში გადაასახლეს.

სვთისო გამიხარდის ძე ჯველაურის გადმოცემით, 30-იან წლებში ქვეყანაში ხშირი იყო გაკულაკების შემთხვევები, მაგრამ ხადორში სულ ღარიბები ცხოვრობდნენ, და, ამდენად, გასაკულაკებელიც არავინ იყო. მათ ოჯახში თურმე ერთი ობოლი, მამიაურების ბავშვი იზრდებოდა, შვიდი წელი უცხოვრია მათ

სახლში. მთავრობას ის ბიჭი მოჯამაგირედ ჩაუთვლია და ამიტომ გამიხარდი ჯველაურის ოჯახს გაკულაკებას უპირებდნენ.

პანკისის მოსახლეობას ინფორმაცია არ ჰქონდა ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე. ხეობაში პრესა არ ვრცელდებოდა, ერთადერთ საინფორმაციო სამუალებას ქუჩაში დაყენებული ხმა-მაღლა მოლაპარაკე რადიო წარმოადგენდა. მთელ ხეობაში ორი რადიო დაემონტაჟებინათ, მაგრამ ორივე თვეების მანძილზე უმოქმედოდ იყო გაჩერებული.

დუმასტურის ოქტომბრის სახელობის კოლმეურნეობაში 1937 წლის შემოდგომაზე, მოსავლის განაწილების წინ, კოლმეურნებს არ გააცნეს მათ მიერ გამომუშავებული შრომადლეების რაოდენობა, რასაც მოჰყვა მშრომელთა უკაყოფილება. ადამ გასიევს 88 შრომადლეზე დააკლეს პროდუქტები და ფული.

ერთი სიტყვით, ხალხი საკოლმეურნეო მინდვრებში ათენადამებდა, ოფლს ღვრიდა და ხშირად იმ მიზერულ გასამრჯელოსაც არ იღებდა. მშრომელებს ატყუებდნენ, აკლებდნენ შრომადლეებს, ართმევდნენ ნაოფლარს და წლიდან წლამდე მთელ ოჯახს ულუკმაპუროდ ტოვებდნენ.

დედისფერულის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში 1935 წლის შემოდგომაზე, როგორც გაზითი „კოლმეურნის ხმა“ (№95 (348)) იუწყება, მოსავლის განაწილების დროს, გლეხებს არ დაუჯამებიათ შრომადლეები. მათ არც ინსტრუქტორ-ბუღალტერს მოუცადეს და არც რაიმინგანის უფროსს. თავიანთი მოწეული სიმინდის განაწილება იქვე მინდორშივე დაიწყეს: – „ეს მე, ეგ შენ, ის მიხოს.“ ასე ისმოდა მინდორში სალამომდე. სალამოს კი დარჩენილი ცოტაოდენი სიმინდი კოლმეურნეობის ბეღელში ჩაყარეს. როდესაც რაიონიდან პარტიული ხელმძღვანელები მივიდნენ და ჰკითხეს, ჩვენს დაუკითხავად, მოანგარიშის გარეშე, რატომ გაინაწილეთო, გლეხებმა მკვახედ უპასუხეს: – ჩვენ მოანგარიშე არ გვჭირდება, ჩვენს ნაშრომს ასეც კარგად ვინაწილებთო.

კოლმეურნეობებისთვის ზემოდან მიცემული გეგმები ხშირად არ სრულდებოდა. გლეხები გულგრილად ეპყრობოდნენ საკოლმეურნეო ქონებას. კოლმეურნეობის კუთვნილ მუშა პირუტყვს დროზე არ აძლევდნენ საკვებს, წყალსა და მარილს. ხშირად კოლმეურნეობის საქონელი ღამე გარეთ, ღია ცის ქვეშ რჩებოდა, საქონელი ცივდებოდა და იხოცებოდა.

კოლმეურნეობებს კი ჰქონდათ სამუშაო ინვენტარის შესანახი ფარდულები, მაგრამ გუთნები და სხვა იარაღები აქა-იქ ეყარა, რის გამოც ინვენტარი წვიმისაგან იუანგებოდა და ფუჭ-დებოდა. 1939 წელს საკობიანოს პირველი მაისის კოლმეურნეობაში, როდესაც ხალხი შიმშილობდა, დაუდევრობის შედეგად დალპა 400 კგ სიმინდი. იმავე კოლმეურნეობაში არტელის თავ-მჯდომარემ და საწყობის გამგემ შეცდომაში შეიყვანა მოანგარიშე. გაანაწილეს მეტი პროდუქტი, ვიდრე სინამდვილეში ჰქონდათ. ამის შედეგად 11 კოლმეურნეს ერთი მარცვალი სიმინდიც კი არ მიუღია. ფონდების გამოყოფაზე კი თავი არავის შეუწუხებია.

ნინუბნის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის გამგეობა უდარდელად მოეკიდა ხეხილის ნარგავის მოვლას. არც ნაკვეთები შემოლობეს და არც ნიადაგი გაუფხვიერეს. ხეხილის ნარგავს პირუტყვი ანადგურებდა. ერთ თვეში გახმა 60 ძირი. კოლმეურნეობის თავმჯდომარე კი რიხიანად აცხადებდა: „ხეხილის მოვლისათვის ჯერ არ მცალია, მაგას რომ ვუპატრონო, სხვა გეგმები ჩამომრჩება და გამლანდავენო.“

არც ზემო კუნახტის ყანები იყო შემოლობილი. პირუტყვი ყანებში შედიოდა და მოსავალს ანადგურებდა. გლეხები პირად სარგებლობაში მყოფ ცხენებს ყანის ნაპირებში აბამდნენ. ცხენები ეშვებოდნენ და მოსავალს ანადგურებდნენ.

ქვემო ხალანის ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის სასაქონლო ფერმაში 1938 წელს სულ 4 სული dროხა ჰყავდათ. მაგრამ იმის გამო, რომ მათზე განსაკუთრებული მომვლელი მიმაგრებული არ იყო, dროხის რძე იკარგებოდა. გარდა ამისა, არტელის ხელმძღვანელმა თვითნებურად დაკლა კოლმეურნეობის კუთვნილი ბორილა.

კოლმეურნეობის საერთო კრებებს გლეხები აბუჩად იგდებდნენ და მას კოლმეურნეთა მხოლოდ 50% თუ ესწრებოდა. ოქმებში კი წერდნენ, კრებას ესწრება წევრთა უმრავლესობაო.

დუისის კოლმეურნეობას „წითელ პანკისს“ 1938 წელს ჰქონდა და 26 ურემი. მაგრამ უხეირო მოპყრობისა და მოუვლელობის გამო გაფუჭდა 18 ურემი, რომელიც უპატრონოდ მიაგდეს. კოლმეურნეობის სახსრებით აშენებული სამი სასიმინდე დალპა და ჩაიქცა.

პარტიული ხელმძღვანელობა, რომელიც რაიონში იყო მოკალათებული, არაფრად აგდებდა კოლმეურნეთა საქმიან წინა-დადებებს. მაგალითად, დუისელებმა მრავალჯერ მოითხოვეს კრამიტისა და კირის გამოწვის, აგრეთვე სხვა საწარმოთა აშენების ნებართვა. მაგრამ ამას ყურადღება არავინ მიაქცია.

დუმასტურში ხუთი წლის მანძილზე მუშაობდა მშვენივრად მოწყობილი საბავშვო ბალი. 1936 წელს კი რატომლაც დახურეს. კოლმეურნეობის საერთო კრებამ რამდენჯერმე აღძრა შუამ-დგომლობა რაიმინგანის და განათლების განყოფილების წინაშე, მაგრამ ბაგა-ბალში მუშაობა მაინც არ განახლდა.

სოფელ დუმასტურის კოლმეურნეობას ჰქონდა კრამიტის დამამზადებელი ქარხანა, რომელიც საკმაოდ დიდ შემოსავალს იძლეოდა. როგორც „კოლმეურნის ხმა“ (№82, (556)) გვამცნობს, მარტო 1936 წელს ქარხანაში დამზადდა 8950 ცალი კრამიტი, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა კოლმეურნეთა შემოსავალი. მაგრამ მომდევნო 1937 წელს ის უპატრონოდ მიაგდეს და დაინგრა.

პანკისის ხეობის ირგვლივ უამრავი წყაროები მოჩუხჩუხებს, მოსახლეობას კი სასმელი წყალი ენატრებოდა. სოფელ საკობიანოს ზემო უბნის მოსახლეობამ მრავალჯერ მიმართა სასოფლო საბჭოს, რომ წყაროს გამოყვანაში დახმარებოდა. სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ელიოზ გუმაშვილი გულწრფელად დაჰპირდათ: – დაიწყეთ, ხელს შეგიწყობთ, დაგეხმარებითო. მაგრამ ამაოდ. დაპირება დაპირებად დარჩა. რაიონიდან ცნობა მიიღეს, – ცემენტი არა გვაქსო.

დუმასტურის სამხრეთ-აღმოსავლეთით საოცრად გემრიელი და ცივი წყაროს წყალი გადმოდიოდა, მაგრამ მის კეთილ-მოწყობაზე და მისასვლელი გზის შეკეთებაზე არავინ ზრუნავდა.

ხალხი წლიდან წლამდე საკოლმეურნეო მინდვრებში კაპიკების საფასურად ოფლს ღვრიდა, მოსავალი მოჰყავდა, სოფლების კეთილმოწყობაზე კი არავინ ზრუნავდა. მთავარი ამოცანა პარტიისგან დავალებული გეგმების შესრულება იყო. სოფლის გზები კი შესაკეთებელი რჩებოდა. გლეხებს მძიმე საყოფაცხოვრებო პირობებში უხდებოდათ მუშაობა.

სოფელ ჯოყოლოში გაიხსნა პურის საცხობი, რომელიც ემსახურებოდა როგორც ჯოყოლოს, ისე მახლობელი სოფლების

მცხოვრებლებს. იქ ცუდი ხარისხის პური ცხვებოდა, რაც ხალხის გულისწყრომას იწვევდა.

პანკისის ხეობაში ადგილობრივი კოლმეურნების გარდა შრომით საქმიანობას საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მოვლინებული სპეციალისტებიც ენეოდნენ. ისინი მთავრობის განკარგულებით იყვნენ გამოგზავნილნი, რის გამოც თვეების მანძილზე წყდებოდნენ თავიანთ ოჯახებს და მხოლოდ კუთვნილი მცირე ხელფასით ირჩენდნენ თავს; სამაგიროდ, პარტიულ დავალებებს ერთგულად და თავდადებით ასრულებდნენ. ჯოყოლოს აგროტექნიკოსი ვანო ჩხეტიანი 1935 წლის სექტემბერში აღმფოთებული იყო რაიონულ ხელმძღვანელობაზე, რომელიც კუთვნილ ხელფასს არ აძლევდა. გაზეთ „კოლმეურნის ხმაში“ (№86 (339)) ვკითხულობთ: „უკვე შესრულდა ხუთი თვე, რაც არ მიმიღია ხელფასი, – აცხადებდა ვანო ჩხეტიანი, – ვმუშაობ აგროტექნიკოსად ჯოყოლოს საბჭოში. მე ადგილობრივი მცხოვრები არა ვარ, ყველაფრის ყიდვა მიხდება ბაზარზე. ხელფასის თავის დროზე მოუცემლობა გავლენას ახდენს ჩემს ნორმალურ და ნაყოფიერ მუშაობაზე. გარდა ამისა, არ მიმიღია 1934 წლის ობლიგაციები. როდესაც ამის შესახებ მივმართავ რაიმიწგანს – ფინგანში მაგზავნიან, ფინგანიდან მინგანში: ასე მანვალებენ იმ საქმეზე, რომელიც ყოველგვარი ბიუროკრატული მოპყრობის გარეშე და დროზე შეიძლება მოგვარდეს.“

კოლმეურნებისა და კომპერატივებში დასაქმებული მუშა-მოსამსახურები აგდებით ეკიდებოდნენ ე.წ. საერთო-სახალხო საკუთრებას. ყველა ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი წაეგლიჯა „საერთო ქონებიდან“. ჯოყოლოს კომპერაციის მუშაქებმა სახელმწიფო ქონების დატაცება ნელ-ნელა დაიწყეს. ჯერ იყო და თითქოს არასწორი ალრიცხვის გამო 431 მანეთის ქონება „მოტეხეს“. ჯოყოლოში იმ დროს მელორეობის ფერმები ჰქონდათ. კომპერაციის მუშაკებმა გადამალეს ორი დიდი ღორი, ორი ბურვაკი და 12 ფრთა ქათამი. მაგალითად, ჯოყოლოს განყოფილებიდან ვინმე სამსონ შიუკაშვილზე გასცეს 10 სული ღორი, ნოქარ ყარალაშვილზე ერთი ღორი, ნიკო ებიტაშვილზე ერთი სული ღორი. „მებრძოლის“ ფსევდონიმით „კოლმეურნის ხმაში“ (№51) გამოქვეყნებულ წერილში, ავტორი დამნაშავეების სასტიკ დასჯას მოითხოვდა. ამგვარი პათოსი დამახასიათებელი იყო **XX საუკუნის 30-იანი წლების წითელი პრესის** თვის.

სამსახურის ხელმძღვანელები და პარტიული აქტივისტები გაღატაკებულ მშრომელებს აიძულებდნენ, რომ ავია ლატარიის ბილეთები შეეძინათ. ჯოყოლოს სასოფლო საბჭოში 1934 წლის იანვარში 550 მანეთის ლირებულების ავია ლატარიის ბილეთები დარიგდა. მისი გავრცელება მიმდინარეობდა კომუნისტური ლოზუნგით: „არც ერთი კომკავშირელი და უპარტიო ახალგაზრდა ლატბილეთის გარეშე“.

მასწავლებლებს კუთვნილ ხელფასს საკვები ულუფით უნაზღაურებდნენ. ხმირად, თვეების მანძილზე, კუთვნილ პროდუქტებსაც არ აძლევდნენ. 1934 წელს პანკისის ხეობის მასწავლებლებმა სექტემბრის და ოქტომბრის თვეების კუთვნილი ნორმები: პური, შაქარი, საპონი და სხვა ნივთები დეკემბერში მიიღეს, ხოლო ზოგიერთ მასწავლებელს მაისის შემდეგ საერთოდ არ ჰქონდა მიღებული გასამრჯელო. ასე გრძელდებოდა თვეებისა და წლების მანძილზე.

1933–1934 სასწავლო წელს პანკისის ხეობის სკოლები სრულიად მოუმზადებელნი შეხვდნენ. ხელმძღვანელ ორგანოებს არ უფიქრიათ სწავლის დასაწყებად სასკოლო შენობები მოემზადებინათ და მოსწავლეებისთვის ნორმალური პირობები შეექმნათ. მთელ ხეობაში სწავლა რამდენიმე კვირის დაგვიანებით დაიწყო, ისიც სრულიად შეუფერებელ შენობებში. სწავლებისთვის გამოსადეგი იყო მხოლოდ სამი სოფლის სკოლის შენობა: დუმასტურის, ყვარელწყლის და ჯოყოლოსი. დანარჩენ სკოლებში მეცადინეობის ჩატარება თითქმის შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგან ფანჯრებს მინები ჩამტვრეული ჰქონდა, თოახებში კი ბნელოდა და ციოდა.

არც ერთი სკოლა არ იყო უზრუნველყოფილი ინვენტარით, სასწავლო ნივთებით, სასწავლო გეგმებით და სათბობი მასალით. სკოლების 50%-ს არ ჰქონდა სამუშაო პროგრამა და სასწავლო ცხრილები, არ გააჩნდათ სახელმძღვანელოები, ძალზე სუსტი იყო პედაგერსონალიც.

დუისისა და ხალაწნის მოსახლეობამ გადაწყვიტა თავიანთი ბავშვებისთვის თვითონ აეშენებინათ სკოლები. დუისსა და ხალაწანში სკოლების მშენებლობა 1932 წელს დაიწყო. ჯოყოლოს სასოფლო საბჭომ, რომელშიც მთელი ხეობის სოფლები შედიოდა, გამოყო კომისიები, რომლებიც დადიოდნენ ოჯახებში და

სრული ნებაყოფლობის საფუძველზე აგროვებდნენ თანხებს სკოლების მშენებლობისთვის.

1939 წელს დუისში გაიხსნა საშუალო სკოლა.

1939 წლის ივნისში კრემლში მოეწყო მასწავლებელთა მიღება და მათი დაჯილდოება. თელავის რაიონიდან გაიგზავნა ორი პედაგოგი, მათ შორის ბირკიანის დაწყებითი სკოლის მასწავლებელი ფიდო ლევანის ძე აბულაძე. ფ. აბულაძე დააჯილდოვეს მედლით „შრომითი მამაცობისათვის“.

გატარებული ღონისძიებები შედეგს არ იძლეოდა. ბავშვებს არ ჰქონდათ ცოდნის შეძენის ნორმალური პირობები. საკოლმეურნეო სამუშაოებზე 10–12 წლის ბავშვები გაჰყავდათ. მათი მუშაობა უნაყოფო იყო კოლმეურნეობისთვის, მოსწავლეები კი ცდებოდნენ მეცადინეობას.

XX საუკუნის 30-იანი წლების პანკისის ხეობისთვის დამახასიათებელი იყო კულტურისა და განათლების დაბალი დონე, მძიმე საყოფაცხოვრებო პირობები, სრული სიღატაკე; ამ ვითარებაში დაიწყო მეორე მსოფლიო ომი, რომელშიც 1941 წელს საბჭოთა კავშირიც ჩაება.

## პანკისის ხეობა მეორე მსოფლიო ომისა და ჩეჩენ-ინგუშთა დეპორტაციის წლებში

„აქ ყველა სახლი ისე გამოსჩანს,  
როგორც არნივის დაცლილი ბუდე“.  
გაბრიელ ჯაბუშანური

1941 წელს საბჭოთა კავშირი მეორე მსოფლიო ომში ჩაება. განსაკუთრებით აქტიური მონაწილეობა მიიღო ამ ომში ქართველმა ხალხმა.

მოსახლეობის 1939 წლის საკავშირო აღწერის მიხედვით, პანკისის ხეობის მოსახლეობა შეადგენდა 5707 სულს. იქიდან

3396 ცხოვრობდა დუისის სასოფლო საბჭოს სოფლებში, ხოლო 2311 ჯოყოლოს სასოფლო საბჭოს სოფლებში.

ხეობიდან ომში გაიწვიეს 584 მამაკაცი, მათ შორის 450 კაცმა მონაწილეობა მიიღო საბრძოლო ოპერაციებში, იქიდან მხოლოდ 9-ს ჰქონდა ოფიცრის წოდება.

პანკისის ხეობა ადამიანური რესურსებით მეტად დაზარალდა. იქაც საყოველთაო მობილიზაცია გამოცხადდა, რაც შესაბამის სტატისტიკურ მონაცემებშიც აისახა.

დუისის სასოფლო საბჭოს სოფლები	მოსახლ. რაოდენ.	ომში გაიწვ.	ომიდან დაბრუნდა	დაიღუპა ან დაიკარგა
დუისი	1420	82	59	23
ქორეთი	341	49	29	20
წინუბანი	428	51	30	21
საკობიანო	381	64	42	22
კუნახტა	137	19	14	5
ყვარელწყალი	405	52	29	26
დედისფერული	122	9	6	3
სულ ჯოყოლოს სასოფლო საბჭოს სოფლები	მოსახლ. რაოდენ. 1939 წ.	322 ომში გაიწვ.	209 ომიდან დაბრუნდა	113 დაიღუპა ან დაიკარგა
ჯოყოლო	460	14	5	9
ბირკიანი	313	10	6	4
ომალო	482	20	12	8
დუმასტური	417	77	43	34
ქვემო ხალაწანი	223	32	18	14
შუა ხალაწანი	77	8	3	5
ზემო ხალაწანი	147	11	6	5
<b>სულ</b>	<b>2311</b>	<b>172</b>	<b>93</b>	<b>79</b>

ქორეთელი ვლადიმერ ბაგაური ასე იგონებს მეორე მსოფლიო ომის წლებში თავის თანასოფლელთა შრომით საქმიანობას: „დაცარიელდა ჩვენი სოფელი მხიარული და დიდი ენერგიის

მქონე ახალგაზრდებისგან. ქორეთი დარჩა მოხუცებისა და ბავშვების ამარა. ისინი დიდი ენთუზიაზმით შეუდგნენ ყველა სახის სამუშაოს შესრულებას, დაუღალავად შრომობდნენ ბიჭები და გოგონები. მიღებულ შემოსავალს ისინი დროულად აპინავებდნენ. დღევანდელ დღეს ამ გადასახედიდან რომ ვაკვირდებით მაშინდელ ყოფას, წარმოუდგენლად გვერვენება ასეთი კოლო-სალური სამუშაოს შესრულება უმწეო მოხუცებისა და ბავშვების ხელით“.

პანკისის ხეობიდან ომში გაწვეული 584 კაციდან სხვადასხვა ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდა 233 მებრძოლი.

ომის პერიოდში ძლიერ შემცირდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება. რაც კოლმეურნეობებში იქმნებოდა, მთლიანად სახელმწიფოს ბარდებოდა. მოსახლეობას მხოლოდ საკარმიდამოდან მიღებული შემოსავალი რჩებოდა. რადგან გლეხების პირად სარგებლობაში ე. წ. საკარმიდამო მამულს ძალზე მცირე ფართობი ეკავა, ხალხს იქ მოწეული მოსავალი ზამთრამდეც არ ყოფნიდა.

განსაკუთრებული გმირობა გამოიჩინა მეორე მსოფლიო ომში პირველმა ქისტმა ოფიცერმა მაჟით ხანგოშვილმა და პირველმა ქისტმა მფრინავმა მახმად (მიხეილ) კოსტას ძე მარგოშვილმა.

დუისელი დათიკო (თათარა) დუიშვილი მეორე მსოფლიო ომში ფაშისტებთან ბრძოლაში ტყვედ ჩავარდა და იტალიის ტყვეთა ბანაკში აღმოჩნდა. სამშობლოში მას დარჩა მშობლები, მეუღლე, შვილი. მან ვეღარ შეძლო მეორე მსოფლიო ომის დამთვრების შემდეგ საქართველოში დაბრუნდება. დათიკო დუიშვილმა ცხოვრების დარჩენილი წლები საფრანგეთში გაატარა და იქ გარდაიცვალა.

პანკისის ხეობიდან მეორე მსოფლიო ომში გაწვეული 584 კაციდან ბრძოლებში დაიღუპა ან უგზო-უკვლოდ დაკარგა თითქმის ნახევარი – 254 კაცი.

რამდენიმე ათეული წლის შემდეგ პანკისის მოსახლეობამ სოფელ დუისის დასავლეთით, დაბალ გორაზე, მემორიალი ააშენა, სადაც ისინი ყოველი წლის 9 მაისს მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ხსოვნის აღსანიშნავად მართავდნენ სხვადასხვა ღონისძიებებს, დოლს, კონცერტსა და სპორტულ შეჯიბრებებს.

მეორე მსოფლიო ომის წლებში, კერძოდ, 1944 წლის 23 თებერვალს, ჩეჩენ და ინგუშ ხალხს თავს დაატყდა გაუგონარი ტრაგედია. იმ დროს, როცა ათასობით ჩეჩენი და ინგუში გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ იბრძოდა, საბჭოთა მთავრობამ მთელ ვაინას ხალხს ბრალი დასდო სამშობლოს ღალატში და ისინი საქონლისთვის განკუთვნილი ვაგონებით შუა აზიის ტრამალებში გადაასახლა.

1944 წლის მარტში საბჭოთა მთავრობას დაგეგმილი ჰქონდა აგრეთვე პანკისელი ქისტების შუა აზიაში გადასახლება. ორი თვის მანძილზე პანკისელი ქისტები სამკვიდროდან აყრის შემაძრნუნებელი მოლოდინით ცხოვრობდნენ. თითოეულ ოჯახს მომზადებული ჰქონდა ქუმელი, საგზალი და სხვა საჭირო ნივთები შორეული მგზავრობისათვის. ისინი ყოველ დამით ელოდებოდნენ სამხედრო რაზმების თავდასხმას და შუა აზიაში გადასახლებას. ორი თვის მანძილზე ხეობაში შიშმა და სიჩუმემ დაისადგურა.

ზოგიერთი ცნობით, პანკისელ ქისტებს დიდი დახმარება გაუწია სოფელ მატნის მაშინდელმა მოსახლეობამ. მათ დადებითად დაახასიათეს მეზობელი ვაინახები.

სხვა ვერსიით, თელავის რაიონულმა ხელმძღვანელობამ მთავრობის წინაშე პანკისელი ქისტების შრომითი მიღწევების შესახებ ვრცელი ანგარიში წარადგინა, რომ ისინი გეგმებს გადაჭარბებით ასრულებდნენ. ადგილობრივი ხელისუფლებაც, როგორც ჩანს, ცდილობდა უდანაშაულო ხალხის გადარჩენას. უთქვამთ, ქისტები ქართველები არიან, ჩვენთან ცხოვრობენ, ჩვენი გვარები აქვთ, ჩვენი ხალხია, არ გაასახლოთ.

ქართველი ხალხის ძალისხმევით ქისტები 1944 წელს, მართლაც, გადაურჩნენ დეპორტაციას. თუმცა ზოგიერთი პანკისელი ქისტი მაინც მოხვდა გადასახლებაში.

როგორც ცნობილია, პანკისელ ქისტებს ყოველთვის ხშირი მისვლა-მოსვლა ჰქონდათ ჩეჩენეთში. ის პანკისელი ქისტები, რომლებიც 1944 წლის 23 თებერვალს სტუმრად ან სამუშაოდ ჩეჩენეთში იმყოფებოდნენ, შუა აზიაში გადაასახლეს. ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ალბას თუშიშვილი, ასიპათ მახაური და სხვები.

დეპორტირებულთა შორის აღმოჩნდა სოფელ ჯოყოლოს ერთ-ერთი უხუცესი ვისერგი მუთოშვილი, რომელიც ჯერ მა-

ისტიდან ჩამოუყვანიათ პანკისში, შემდეგ მთავრობის წარმომადგენლებს მოტყუებით თელავში დაუბარებიათ: – მამულებს მოგცემთ, უნდა დაგასახლოთო. ვისერგი ციხეში ჩაუსვამთ, იქიდან კი შუა აზიაში გადაუსახლებიათ.

შუა აზიაში გადასახლეს აგრეთვე XX საუკუნის 30-იან წლებში მთიანი ჩეჩენეთიდან პანკისის ხეობაში მიგრირებული ქისტებიც, ანუ ის ოჯახები, რომლებიც ახლადჩამოსახლებულნი იყვნენ საქართველოში.

ერთ-ერთი მათგანი იყო ხერხიერი ივან ბარაში 1934 წელს დაბადებულმა ხამზათ ხერხის ძე ხერხიერმა მიამბო, მისი მშობლები მაისტის სოფელ ტუგადან XX საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს გადმოსულან პანკისში და ბანარაში დასახლებულან. ტუგაში მათ სამსართულიან კოშკებში უცხოვრიათ. 1944 წლის გაზაფხულზე ხერხიერებთან ბანარაზე მისულან საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლები და უთქვამთ: – ადგილ-მამულებს მოგიზომავთო. ისინი მოტყუებით ჩაუყვანიათ თელავში და დაუპატიმრებიათ. მთავრობის წარმომადგენლებმა ხერხიერების ქონებას კონფისკაცია ჩაუტარეს, ყველაფერი ჩამოართვეს, მათი საქონელი კი კოლმეურნეობის ფერმაში შერეკეს. ამის შემდეგ მთავრობამ ხერხიერის ოჯახი საქონლისთვის განკუთვნილი ვაგონით ყაზახეთში, ჯამბულის ოლქში გადასახლა, იქ, სადაც ჩეჩენები და ინგუშები ჰყავდათ დეპორტირებული. მაშინ ხამზათ ხერხიერი ათი წლის ყოფილა.

თუმცა იმ ვაინახებს, რომელთა გვარებსაც ჰქონდათ ქართული დაბოლოება „-შვილი“ ან „-ძე“, მალევე მისცეს სამშობლოში დაბრუნების ნებართვა. ჩეჩენი სვიაკაურების ერთ-ერთი შტოს, თათარაშვილების გვარის წარმომადგენლებმა ამ სამუალებით დააღნიეს თავი დეპორტაციას.

ჩეჩენებისა და ინგუშების შუა აზიაში გადასახლების შემდეგ თავისუფლებისმოყვარე ვაინახთა რამდენიმე ჯგუფმა თავი შეაფარა ჩეჩენეთ-ინგუშეთის, ფშავ-ხევსურეთისა და თუშეთის მიუვალ მთებს. ამბოხებულ ვაინახთა რაზმებს, რომლებსაც ხელისუფლება ოფიციალურად „ბანდიტურ დაჯგუფებებს“ უწოდებდა, თავ-თავისი წინამძღოლი ჰყავდა: იბი ალხასტი, აპმად ხუჩბაროვი, ჰიდრის მაგომედოვი და სხვები. ისინი ხშირად შეიარაღებულ წინააღმდეგობას უწევდნენ КГБ-სა და საბჭოთა მილიციის რაზმებს.

ქართველი მთიელები ხელისუფლებისგან ფარულად ეხმარებოდნენ ამბოხებულ ვაინახებს. მოგვიანებით სწორედ ეს გახდა ხევსურების ბარში მასობრივი ჩამოსახლების ერთ-ერთი მიზეზი. მთავრობა მთის ხალხს უკვე აღარ ენდობოდა. დ. ხოჯაევის ცნობით, „ქართველმა მთიელებმა ფშავ-ხევსურეთის ჯვარ-ხატებში უდანაშაულოდ დასჯილი ჩეჩინებისა და ინგუშების სახელზე აღავლინეს ლოცვა-სავედრებელი. ქართველმა ხალხმა ხელი-სუფლებას არ მისცა საშუალება გადაესახლებინათ შუა აზიაში ჩეჩინი ქისტები, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობენ“. [138. 21].

ოფიციოზის განცხადებით, დიდი ზარალი მიაყენა წითელი არმიის ნაწილებს ეგრეთ წოდებილმა „ჰიდრისის“ ბანდამ, რომლებიც ჩეჩინეთ-ინგუშეთიდან იყვნენ გადმოსულები და თავს ალაზნის ხეობაში აფარებდნენ. ისინი 1944 წლიდან 1953 წლამდე მოქმედებდნენ. მათი ძირითადი ნანილი შეპყრობილი და დახოცილი იქნა, დანარჩენები კი შემოირიგა შინაგან საქმეთა სამინისტრომ 1953 წელს.

ამბოხებულ ჩეჩინებსა და ინგუშებს განსაკუთრებით თანაუგრძნობდნენ პანკისელი ქისტები. ამბოხებულებმა იცოდნენ პანკისელი ქისტების ამგვარი განწყობილების შესახებ და ალბათ ამ მიზეზით ხელისუფლებისგან დევნილმა იბი ალხასტის რაზმელებმა 1948 წელს პანკისის ხეობაში გამოზამთრება გადაწყვიტეს.

ქისტების მონათხოვობის მიხედვით, ამბოხებულები ომალოს ჩრდილოეთით, მუნჯევში დაპინავებულან. მუნჯევში გარეშე პირთათვის მოფარებულ ადგილს წარმოადგენს, გარდა ამისა, სოფელთან ახლოს მდებარეობს და ადვილი იქნებოდა იქიდან ამბოხებულთა სურსათ-სანოვაგით მომარაგება. მთავრობას უკვე ჰქონდა ინფორმაცია ხევსურეთის სოფელ ანდაქიდან კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე იბი ალხასტის რამდენიმეკაციანი რაზმის გადმოსვლის შესახებ. ამიტომ უშიშროების სამსახურმა ბირკიანში საგუშაგო მოაწყო.

პანკისელი ქისტები ჩეჩინი ამბოხებულებისადმი აშკარა მხარდაჭერას ვერ ბედავდნენ, რადგან მათ 1953 წლამდე, სტალინის გარდაცვალებამდე, მუდამდღე ჰქონდათ შუა აზიაში გადასახლების შიში.

ნადირობის დროს, ზამთარში, ვიღაცას დათოვლილ ტყეში იპი ალხასტის რაზმის ადგილსამყოფელი უნახავს. როგორც ქისტები ამბობენ, იპი ალხასტის დაჯგუფების წევრები დაას-მინეს. თუმცა ძალოვნებმა მათი შეპყრობა მაინც ვერ მოახერხეს. ერთგულმა ქისტებმა დროულად შეატყობინეს იპი ალხასტს, რომ ისინი გაცემულები იყვნენ და ცოტა ხანში მათზე თავდასხმა მზადდებოდა. უამინდობისა და დიდთოვლობის მიუხედავად, იპი ალხასტის რაზმმა სასწრაფოდ დატოვა მუწუხევი და ხევსუ-რეთში გადასასვლელად გეზი კვლავ ჩრდილოეთისკენ აიღო. მათ იმდენად სწრაფად დატოვეს ბანაკი, რომ პროდუქტების წალებაც ვერ მოახერხეს. როდესაც იქ მილიციელები მისულან, ხებზე გასაშრობად ჩამოკიდებული აუარებელი ხორცი უნახავთ. რო-გორც ჩანს, დევნილი მებრძოლები საქონლის ხორცს ახმობდნენ, ყალს აკეთებდნენ და იმით იკვებებოდნენ. თვითმხილველთა ცნობით, მილიციელებს შვიდი ცხენით ჩამოუზიდავთ ის ხორცი სოფელში.

შუა ზამთარში, მძიმე კლიმატურ პირობებში, დიდთოვლო-ბასა და უამინდობაში კავკასიონის ქედზე გადასვლა თითქმის შეუძლებელია. იპი ალხასტის რაზმმა ანდაქში გადასვლის მეტად სახიფათო გადაწყვეტილება მიიღო, მაგრამ მათ სხვა არჩევანი არ ჰქონდათ. მდევარი ფეხდაფეხ მისდევდათ. თოვლზე კი მკაფიოდ ჩანდა მათი ნაკვალევი.

ირაკლი დაქიშვილის გადმოცემით, პანკისის ჩრდილოეთით, ქოჩადლის ხეობა ჩეკისტებით გაივსო. მათ დავალებული ჰქონ-დათ იპი ალხასტის რაზმის დაპატიმრება ან განადგურება. ვე-რავინ წარმოიდგენდა, თუ მაშინ, დიდთოვლობასა და უამინდო-ბაში, ვინმე კავკასიონის ციცაბო მთაგრეხილს გადალახავდა. დევნილებს თოვლი მხრებამდე სწვდებოდათ. ისინი მოთმინებით გადადიოდნენ ზვავებსა და კლდოვან ფერდობებზე. ყველაზე გავრცელებული ცნობის თანახმად, თოვლში რომ არ ჩაფლო-ბილიყვნენ და მათი ნაკვალევი არ ენახათ, იპი ალხასტის რაზ-მელები თოვლზე ნაბდებს ყრიდნენ და ნაბდებზე გადადიოდნენ. მათ შეუძლებელი შეძლეს, თოვლში, ყინვასა და ქარში კავ-კასიონი გადალახეს, ანდაქშიც მშვიდობით ჩავიდნენ.

პანკისში თავმოყრილმა მილიციის ბრიგადებმა დევნილები ვერ გაანადგურეს. უფრო მეტიც, ბრძანების მიუხედავად, ისინი უამინდობის გამო კავკასიონზეც ვერ გადავიდნენ.

იმ ზამთარს ჩრდილოეთ კავკასიაში, კერძოდ, შატილსა და არჭილოში უშიშროების სამსახურის რამდენიმე ქვედანაყოფი ჩეჩენ ამბოხებულთა წინააღმდეგ რეიდებს აწყობდა. 1949 წლის იანვარში ახმეტიდან რადიოკავშირით შატილში სწორედ მათ ეცნობათ იბი ალხასტის რაზმის პანკისიდან ანდაქში გადასვლის შესახებ.

ანდაქის მთაზე, ზღვის დონიდან 2500 მეტრზე მაღლა, ხევ-სურების საზამთრო ბინები იყო მოწყობილი და იქ ადგილობრივი მცხოვრებლები თავიანთ საქონელს აზამთრებდნენ.

ანდაქელი ზვიადაურები და არდოტელი მურლუევები კარგად იცნობდნენ იბი ალხასტის დაჯგუფების წევრებს. იბი ალხასტი თავის მეტროლებთან ერთად არაერთხელ ყოფილა სტუმრად ზვიადაურებისა და მურლუევების ოჯახებში. ახლაც მათ უმასპინძლეს.

როცა იბი ალხასტი პანკისიდან ანდაქში გადასულა, ირაკლი გუმაშვილი მას შაბურა ზვიადაურის ოჯახში ვახშამზე შეხვედრია. იბი სიმშვიდეს ინარჩუნებდა და საერთოდ არ ღელავდა. არც მის რაზმელებს ეტყობოდათ მღელვარება. თუმცა რა იცოდნენ, რომ უკიდურესად დამძიმებული სიტუაცია მათ სიცოცხლეს საბედისწერო მომავალთან, სიკვდილთან აახლოვებდა. ჯგუფის წევრებმა იქ, ზვიადაურების ოჯახში შეიტყვეს, რომ არდოტის-ნელისა და ანდაქისწყლის ხეობებში, ყოველ 200 მეტრში, საბჭოთა ძალოვნებს საგუშაგოები ჰქონდათ მოწყობილი და მათზე ნადირობდნენ. იმ დამეს იბი ალხასტი და ირაკლი გუმაშვილი მთის ადათ-წესებისა და რიტუალების დაცვით ძმად გაიფიცნენ.

შუაღამით თოვა დაწყებულა. ეს საუკეთესო დრო იყო. თოვლი მათ ნაკვალევს ნაშლიდა. იბი ალხასტს გაცილებაზე ყველასთვის უარი უთქვამს და თავისი რაზმით ახალი თავშესაფრის საძებნელად წასულა.

როგორც ჩანს, ისინი ზვიადაურების სამთო სახლიდან მოშორებით, ერთ ნაბინავარში დამდგარან.

დილით მიდამო ახალ თოვლს დაეფარა. იქაურობას წითელ-რაზმელები მოედნენ. ჩხრეკდნენ ყველაფერს. არავითარი კვალი. მილიციელები უკან გამობრუნებას აპირებდნენ. ერთს ქვა უსვრია ძველი ქოხისთვის. იქიდან ვიღაცას გამოუხედავს და ჩეკისტებს იბი ალხასტის რაზმელები უცვნიათ. გამართულა

ბრძოლა. საბჭოთა ძალოვნებმა იბი ალხასტის დაჯგუფების წევრები ყველანი ადგილზე გაანადგურეს.

იმავე დღეს ქისტების მასპინძელმა შაბურა არაბულმა თოფით თავი მოიკლა...

იბი ალხასტისა და მის რაზმელებს თავები დააჭრეს და მათი მოქრილი თავები გროზნოში (სხვა ვერსიით თბილისში) თავიანთ უფროსებთან ჩაიტანეს.

იბი ალხასტის რაზმიდან მხოლოდ ერთი, მუსა ხუნარიკოვი გადარჩა ცოცხალი. ის წინა ლამით ხონეში ბორჩაშვილებთან ჩასულიყო სტუმრად.

როგორც ცნობილია, ქისტი ბორჩაშვილები ხევსურეთში, კერძოდ, ჯერ მუცოსა და შემდეგ ხონეში ცხოვრობდნენ. 1944 წელს ისინი დეპორტაციას გადაურჩნენ. მაგრამ მთავრობას საფუძვლიანი ეჭვი ჰქონდა, რომ ხონეში მცხოვრები ქისტები ჩეჩენეთისა და ხევსურეთის მთებში შეხიზნულ ამბოხებულებს დახმარებას უწევდნენ. 1951 წელს ბორჩაშვილები, სულ 46 კაცი, ხონედან ოჯახებით ერთიანად აყარეს და ჯერ შატილში, ბენიური კოშკის გომურში ჩაკეტეს და შემდეგ შორეულ გზას გაუყენეს ყველანი: ბისანა, ლამურო, სალამბექი, შამილი, მოსე, ჯარაფი და სხვები, რომლებიც ამავდროულად ქართველებს ენათესავებოდნენ. მაგ., ლამურო ბორჩაშვილი შატილელი ჭინჭარაულების დისწული იყო.

შატილელმა და მუცოელმა ხევსურებმა ძლიერ განიცადეს მეზობელი ბორჩაშვილების ხონედან აყრა. ჩვენამდე მოაღწია შატილელი ქალის მზექალა (ჩორქე) აბას ასულ ჭინჭარაულის გამოთქმულმა ტრადიციულმა ლექსმა, რომელშიც ავტორი ბალადისთვის დამახასიათებელი ემოციური განწყობილებით გადმოგვცემს ანიოკებული ქისტების შეუპოვრობასა და საბრძოლო შემართებას:

„ეტყვიან ბურკულუასა: – ძმაო, გვიჭირე მხარია,

უნდა გავიდათ ველადა, ციხის გავტეხათ კარია,

მაუკლათ ლეიტერნატი, ზარიძეს დაგსცნათ ცანია,

უნდა ჩავიდათ მითხოსა, დავლახოთ მთა და ბარია.“

ბისანამ, ბიჯითას მამამ, მთას შამაავლო თვალია:

„– სამუდმოდ გამოგესალმე, გუროვ, დაგწერა ჯვარია!“

გალმართეს სარუსეთოდა ბორჩაშვილების გვარია!“.

ბისანას სიტყვები, „გუროვ, დაგწერა ჯვარია“, მიუთითებს როგორც ტექსტის ავტორის, ასევე ამ ლექს-ბალადის პერსონაჟთა – ბორჩაშვილების – ქრისტიანულ აღმსარებლობაზე. ცნობილია, რომ ხონეში მცხოვრები ბორჩაშვილები ჯვარ-ხატებს ემსახურებოდნენ და ჯერ კიდევ ქრისტიანულ წეს-ჩვეულებებს მისდევდნენ.

ქართველი დედის, ჩორეხის, მიერ გამოთქმული ეს საკმაოდ ვრცელი გოდება თუ სევდიანი ამოძახილი დღემდე ზეპირად ახსოვთ ამ ამბის მომსწრე ქისტებს.

ამ ლექსის ფრაგმენტების ჩაწერიდან მცირე ხნის შემდეგ (1.XII.1995 წ.) მივაკვლიერ აღნიშნული ბალადის ავტორ-მთქმელს, შატილში მცხოვრებ 77 წლის მზექალა (ჩორეხ) აბაის ასულ ჭინჭარაულს, რომლისგანაც ჩავიწერე ლექსის სრული ვარიანტი.

ბალადის მიხედვით, ხევსური ქალი ამხნევებს უსამართლოდ დასჯილ მეზობელ ქისტებს და თავგანწირული ბრძოლისაკენ მოუწოდებს:

„...არ გასტყდათ, ბორჩაშვილებო, ერთ სხვას უჭირეთ მხარია,  
თუ სად ვინ დასჩით ცოცხალი, აიღით საომარია,  
გეედით გრანიცაზედა, გალალეთ რუსის ჯარია!“

ეს ვრცელი ტექსტი ხევსურული ტრადიციული ლექსის მსგავსად ბოლოვდება. დასასრულს ავტორ-მთქმელი მზექალა (ჩორეხი) ჭინჭარაული გადმოგვცემს თავის სევდიან განწყობილებას, თანაგრძნობას უცხადებს ქისტებს და სალამბექ ბორჩაშვილისგან ჩონგურს ითხოვს ლექსის გამოთქმის საზღაურად:

„არც მე ვარ კარგი გულითა, ა მაგის მალექსარია,  
მარწედ ვარ შანუხებული, სუ ცრემლით ჩამამთვალია,  
სალექსოდ გამამიგზავნეთ, რაც ლექსის შასადარია,  
სალამბექაის ჩანგურსა ხმა ედოს როგორც ზარია!“

როგორც მზექალამ მიამბო, ამ ლექსის გამოთქმის გამო მოგვიანებით სალამბექ ბორჩაშვილმა, მართლაც, აჩუქა მას თავისი ჩონგური. სალამბექი, რომელიც სხვა ქისტებთან ერთად გადაასახლეს ხონედან, მზექალას გადმოცემით, მისი პაპის შინშის, შატილელი როსტომ ჭინჭარაულის დისწული იყო.

იზნაურ ბორჩაშვილის ცნობით, მუცო-ხონეში მცხოვრები ბორჩაშვილები 1951 წელს ჯერ პანკისში ჩაასახლეს, შემდეგ ისინი იქიდან თანდათან ჩეჩინეთში გადასახლდნენ, ზოგიერთი ითუმ-ყალეს მახლობლად, ჯაჩიაროი-ექქში დასახლდა, ზოგიც შატოში. რადგან ბორჩაშვილები იქ კოლმეურნეობაში არ განევრიანდნენ, მთავრობამ 1967 წელს ისინი სუნჯის რაიონის სოფელ ნესტოროვკაში გადასახლა, ზოგი სერნოვოდსკში და ზოგიც ურუს-მართანის რაიონში. ასე ეპყრობოდა საბჭოთა ხელისუფლება არა მარტო ცალკეულ ადამიანებს, არამედ მთელ საგვარეულოებსა და ხალხებს. ბორჩაშვილები ყველაზე მრავლად ნესტოროვკაში ცხოვრობენ. ჩეჩინეთ-ინგუშეთის გაყოფის შემდეგ ნესტოროვკა ინგუშეთის შემადგენლობაში აღმოჩნდა.

მეორე მსოფლიო ომმა და ჩეჩინ-ინგუში ხალხის შუა აზიაში დეპორტაციამ მკაფიოდ გვიჩვენა, თუ როგორ არის სხვადასხვა ადამიანებისა და მთელი ხალხების ბედი ერთმანეთზე გადაჭაჭული. ამ ორმა ტრაგედიამ კიდევ უფრო დააახლოვა პანკისის ხეობაში მცხოვრები ქისტები ქართველებთან. მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებით, ჰუმანიზმის პრინციპების ერთგულებით, ტოლერანტობით შესაძლებელია არა მხოლოდ ცალკეული ადამიანების, არამედ მთელი ხალხების, მათი ტრადიციებისა და კულტურის გადარჩენა. ჩეჩინებისა და ინგუშების დეპორტაციის წლებში ქართველმა ხალხმა თანადგომისა და ერთგულების ნამდვილი მაგალითი უჩვენა ქართველ ვაინახებს – პანკისელ ქისტებს.

## პანკისი ემიგრანტთა პირად წერილებში

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დასავლეთ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში დარჩენილი ქართველი ემიგრანტებისთვის სამშობლოს კარები სამუდამოდ დაიკეტა. ეს იყო უკვე ემიგრანტთა მეორე ტალღა საქართველოს გასაბჭოების შემდეგ.

მეორე მსოფლიო ომის მონაწილე დუისელი დათიკო (თათარა) დუიშვილი სამუდამოდ საფრანგეთში დარჩა საცხოვრებლად. ის ბედისწერამ საფრანგეთში შეახვედრა პანკისზე უზომოდ შეყვარებულ ქართველ თავადს, ელიზბარ მაყაშვილს.

დათიკო დუიშვილმა ელიზბარს ბავშვობა და პანკისი გაახსენა.

ელიზბარ მაყაშვილისა და დათიკო დუიშვილის ევროპაში გატარებული წლებისა და პანკისელ ქისტებთან მათი შემდგომი ურთიერთობის შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის ჩემ მიერ პანკისის ხეობაში მოძიებული ზოგიერთი პირადი წერილი, რომლებიც დათიკო დუიშვილსა და ელიზბარ მაყაშვილს საფრანგეთიდან გამოუგზავნიათ ჯოყოლოში მცხოვრებ ვისერგი მუთოშვილისთვის.

ვისერგი მუთოშვილი და ელიზბარ მაყაშვილი თანატოლები იყვნენ. ისინი 1926 წელს ჯოყოლოში დამეგობრდნენ, როდესაც ელიზბარი იქ მასწავლებლად მიავლინეს. ვისერგი ბიწალას ძე მუთოშვილი საბჭოთა პერიოდში დუისისა და ჯოყოლოს სასოფლო საბჭოების თავმჯდომარედ მუშაობდა. თანამედროვე-ები მას მეტად დადებით პიროვნებად ახასიათებენ, როგორც სტუმართმოყვარე, გულისხმიერ ადამიანს. ვისერგი მეტად ხელ-გაშლილი, მოქეიფე და კარგი მოსაუბრე ყოფილა. ის ძველებურ მოდას მისდევდა, აპრეხილ ულვაშებს ატარებდა და მეგობრებიც სიყვარულით „ულვაშას“ ეძახდნენ.

1926 წლის შემდეგ, მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე, ვისერგი მუთოშვილს ელიზბარ მაყაშვილის შესახებ არაფერი სმენია. მათ შორის რკინის ფარდა იყო ჩამოშვებული. 1978 წელს კი მან საფრანგეთში გადახვეწილ დათიკო (თათარა) დუიშვილისგან მოულოდნელი ამბავი შეიტყო. ის წერდა:

„ჩემო ვისერგი, შენ ალბათ გახსოვს ელიზბარ მაყაშვილი, ძველად ჯოყოლოში მასწავლებლად მუშაობდა, ისიც აქ არის, ჩემთან, ის ძველ ხალხს ყველას იცნობს, შენც კარგად ახსოვხარ, მე მას ვუთხარი შენი წერილის მიღების შესახებ და ძალიან გაუხარდა. დიდ მოკითხვას გითვლის“ (9. IV. 1978).

დათიკო, იგივე თათარა, დუიშვილი 1941 წელს მეორე მსოფლიო ომში გაიწვიეს. ომში ნასვლის წინ ის დაქორწინებულა და ქალიშვილიც შესძენია, სახელად თამარი. მძიმე დღეები გადაიტანა დათიკო დუიშვილმა: მრავალი ბრძოლა, სიკვდილის პირისპირ ყურება, ტყვეობა; ომი დამთავრდა და ის, ევროპისთვის სრულიად უცხო კაცი, იტალიაში მოხვედრილა. იმ დროს იტალიაში საშინელი სიღატაკე და შიმშილი მძვინვარებდა. დათიკო დუიშვილი რომის ქუჩებში დილიდან საღამომდე მშიერი

დაეხეტებოდა. ბოლოს ის იძულებული გამხდარა დაეტოვებინა იტალია, მაგრამ მას არცერთი ქვეყანა არ ღებულობდა. ერთხელაც რომიდან ფეხით წასულა, ბევრი უხეტიალია და საფრანგეთში შეპარულა. ფრანგული ენის უცოდინარი, უცხო და უსაბუთო, პარიზი აღმოჩნდა. რადგანაც საბუთები არ ჰქონდა, საფრანგეთის პოლიციამ დააპატიმრა. მოუყვანიათ მისთვის თარჯიმანი და დათიკოსაც მოუყოლია თავისი თავგადასავალი. საფრანგეთის ხელისუფლება თანაგრძნობით მოპყრობია გაჭირვებაში ჩავარდნილ უცხოელს. მათ დათიკო დუიშვილი ქალაქ მონპელიეში „რენოს“ ავტომობილების ქარხანაში გაუგზავნიათ, სადაც 40 ათასი მუშა მუშაობდა და უამრავ ავტომობილს უშეებდნენ. მონპელიეში დათიკო დაქორწინებულა. შეურთავს შესანიშნავი როსტოკოველი რუსი ემიგრანტი ექიმი ქალი ლუდა და ვაჟიც შესძენია.

„ხომ იცი ჩემი ამბავი, – წერდა დათიკო ვისერგის, – ძველად მოუსვენარი და მოჩეუბარი ვიყავი, პირველად აქაც გავაგრძელე ასეთი ქცევა. აქ ცხოვრობს ყველა რჯულის ხალხი, განსაკუთრებით ბევრია არაბი. ფრანგებს მაგათი ეშინიათ, მე კი მთელი არაბები დავიმორჩილე და მეძახიან არაბების კონსულს. ერთ არაბს საკვეხად ჰქონდა: – დათიკომ ხელი ჩამომართვაო! ეხლა, ძმაო ვისერგი, ჩემო კეთილო, მომწერე წერილი, მოკითხვა ყველა ნათესავს და მთელი პანკისის ხეობის მოსახლეობას. შეიძლება ჯოყოლოში ბევრი არ მიცნობს, მაგრამ მაინც მოკითხვა ჯოყოლოს მცხოვრებლებს“ (9. IV. 78.)

მართალია, საფრანგეთში გადახვენილ ემიგრანტებს მატერიალურად არ უჭირდათ და, პირიქით, გაცილებით უკეთესადაც კი ცხოვრობდნენ, ვიდრე მათი თანამოძმები საქართველოში, მაგრამ მათ სამშობლოზე დარდი და ფიქრი არ განელებიათ. დათიკო დიუშვილი ერთ-ერთი წერილით ვისერგის ატყობინებს:

„შენ ვერ წარმოიდგენ, როგორ გვახარებს საქართველოდან წერილის მიღება, აქ 4-5 ქართველი ვართ, რომელიმე ჩვენთაგანი წერილს რომ მიიღებს, ერთმანეთს ვახარებთ ხოლმე და არის სმა. ვსვამთ ამ წერილის გამომგზავნის და მერე ყველა იქ მცხოვრებთა სადლეგრძელოს. ამ წერილს 4 დღის დაგვიანებით ვწერ, ვინაიდან ეს ოთხი დღე სულ გაბმული ქეიფი გვქონდა, აღდგომის დღესასწაულის აღსანიშნავად. ამიტომ ელიზბარიც არ მინახავს. დავურეკე ტელეფონით აღდგომის მისალოცად, მაგრამ თურმე

ჩასულა თავის ქალიშვილთან აღდგომის დღესასწაულის აღსა-  
ნიშნავად“.

დათიკო დუიშვილი იყო პანკისში „ბარის პირველი დამ-  
კვრელის“, დუი დიშნელის შვილიშვილის, ჩუფალის ვაჟი. დუის  
ვაჟს ერქვა იდა, იდას შვილი კი იყო ჩუფალი. ჩუფალს სამი ვაჟი  
ჰყავდა: შაბეი, დათიკო (თათარა) და მათე. საფრანგეთში მყოფ  
დათიკო დუიშვილს პანკისიდან მოსული წერილები უქარვებდა  
დარდსა და მწუხარებას. ხშირად წერილები ადრესატამდე ვერ  
აღწევდა. დათიკო დიდი ხნის მანძილზე ვერ ღებულობდა ქალიშ-  
ვილის, ძმისა და ძმისშვილების წერილებს. ერთ-ერთ წერილში  
დათიკო ასე ოცნებობს: „ახ, ჩემო საყვარელო ვისერგი, ნეტავი  
ერთხელ კიდევ შეგვახვედრა და ის ძველი ანწლის არაყი ერთად  
დაგვალევინა. არ ვიცი, შეიძლება მოვესწროთ ამასაც. მე გინდაც  
იმ წუთში მოვკვდე, არაფერს ვინაღვლებდი... ხომ იცი სამ-  
შობლოს მიტოვება ასე ადვილი არ არის, მე ამდენი ხანია დავ-  
კარგე სამშობლო და ახლაც მისი სიყვარული ღვივის ჩემს  
გულში, ძალიან ძნელია სამშობლოს დავიწყება“ (19.XII.80 წ.).

ერთხელ დათიკო დუიშვილი მონპელიეში ჩასულ ქართული  
ხალხური ანსამბლის კონცერტს დასწრებია. ფოლკლორულმა  
გუნდმა უცხოეთში გადახვეწილს სამშობლო გაუცოცხლა. ამას-  
თან დაკავშირებით დათიკო ვისერგის წერდა: „ამ ჩვენს ქალაქში  
იყო მომღერალ-მოცეკვავეთა გუნდი ქალაქ რუსთავიდან (ალ-  
ბათ, ანსამბლი „რუსთავი“. ხ.მ.), ძალიან დიდი სპექტაკლი აჩვე-  
ნეს. ფრანგები გადაირივნენ. ყველა იძახდა, ამისთანა კონცერტი  
არ გვინახავსო. კონცერტი რომ დამთავრდა, მათთან დავრჩი,  
დავლიეთ. ძალიან კარგი ბიჭები და გოგონები იყვნენ. მე მგონია,  
რამდენიმე წლით მომიმატეს სიცოცხლე“ (5. IV. 1982 წ.).

უცხოეთში გადახვეწილი ემიგრანტებისთვის საყვარელი  
სამშობლოს კარებს საბჭოური ბოქლომი ედო და მათთვის სა-  
ქართველოს საზღვრები სამუდამოდ იყო ჩაკეტილი. სამშობლოს  
ნახვას მონატრებული დათიკო დუიშვილი მწუხარებით წერდა:  
„შეიძლება დრო მოვიდეს და მეც მეღირსოს პანკისის ხეობაში  
გავლა და თქვენთან ერთად დროის გატარება. ოლონდ ეგ მოხ-  
დებოდეს, ღმერთმა ეს ნატვრა ამისრულოს და მერე სიკვდილის  
აღარ მეშინია“ (8. VIII. 1978 წ.).

სამშობლოსგან სამუდამოდ დაშორებას, ახლობლების ავად-  
მყოფობას, წერილის დაგვიანებას, საფრანგეთში მყოფი მეგობ-

რების გარდაცვალებას, ყველაფერს უკვე განსაკუთრებული სიმ-ნარით განიცდიდა დათიკო დუიშვილი. ერთ-ერთ წერილში ის ვისერგის მიმართავს: „ახ, ჩემო საყვარელო ძმაო ვისერგი, ძალიან მწყინს, რომ შენ ჭრილობები გაქვს და ავადმყოფობ, რას იზამ, გაივლის. თუმცა ჩვენ ახალგაზრდები აღარა ვართ. შენ ჩემზე უფ-როსი ხარ. მე მომავალ 13 ოქტომბერს ვამთავრებ 68 წელს, მაგრამ თავს ისე ვგრძნობ, როგორც 28 წლის კაცი... ჩემო ვისერგი, ვინც თავის ქვეყანაში და თავისიანებში კვდება, ეს იმდენად მძიმე არ არის, როგორც უცხო ქვეყანაში სიკვდილი. აქ რომ ჩამოვედი ერთი ორმოცი ქართველი ვიყავით, ეხლა კი რვა კაცი დავრჩით. ამდენი ხალხის დასაფლავებას დავესწარი“ (1. X. 1983 წ.).

დათიკო დუიშვილის წერილებიდან იმასაც ვგებულობთ, თუ როგორ აუხდა მას პანკისელი მისანი ქალის საბედისწერო წი-ნასწარმეტყველება. დათიკო ომში რომ გაუწვევიათ, თავზარ-დაცემული დედამისი საქვეყნოდ განთქმული მკურნალის, ჯო-ყოლოელ იოს მისან ცოლთან – ქალებისთან მისულა და შვილის მომავალზე უთხოვნია მისნობა. ვისერგისთან გაგზავნილ წე-რილში ამ ამბავს დათიკოც იხსენებს: „განგებამ ასეთი ბედი მარ-გუნა, ჩემო ვისერგი. შენ ხომ გახსოვს ჯოყოლოელი იოს ცოლი – ქალები, ჩვენ ნათესავად გვეკუთვნოდა. ის მკითხაობდა. ომი რომ დაიწყო, დედამ ჩემზე აკითხვინა. ქალების დედაჩემისთვის უთქვამს: დათიკო ამ ომში არ მოკვდება, მაგრამ შვიდ სახელ-მწიფოს შემოვლისო. ეს დედაჩემმა რომ მითხრა, სიცილით ვუ-პასუხე: – შენი ქალები სულელია-მეთქი. ის თურმე მართალი ყო-ფილა. ქალები მხოლოდ იმაში შეცდა, რომ თქვა – შვიდ ქვეყანას შემოვლისო. მე შვიდი კი არა, ჩემო ვისერგი, ჩვიდმეტი სახელ-მწიფო შემოვიარე...“ (11.XI.1985 წ.).

დათიკო დუიშვილის წერილებიდან ირკვევა, რომ მას კარგად სცოდნია ქართული ენა. მისი წერილები დაწერილია ლამაზად, უშეცდომოდ, მდიდარი ქართული ლექსიკის გამოყენებით. დათიკო ცდილობდა არ დაევიწყა თავისი მშობლიური ქისტური ენაც. ერთ-ერთ წერილში ის ვისერგის მიმართავს: „მე ჯერ ქისტური არ დამ-ვიწყებია, მიუხედავად იმისა, რომ მე უკვე 40 წელიწადზე მეტია ქისტურად არავისთან მიღაპარაკია. თუმცა როცა ვწევარ, ან მარტო ვარ, ვვარჯიშობ ქისტურ ენაში, ვითომ ვინმეს ველაპა-რაკები და ჩემს ნათქვამზე ქისტურად პასუხს თვითონ მე ვაძლევ.

ასე გავიდა 40 წელინადზე მეტი. იქნებ ჩამოვიდე როგორმე, მინდა ქისტურად გესაუბროთ!“ (17.XI.1983 წ.).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვისერგიმ ნახევარი საუკუნის ფუმილის შემდეგ დათიკო დუიშვილისგან შეიტყო ელიზარ მაყაშვილის საფრანგეთში მოღვაწეობის შესახებ: „ელიზარი მწერალი კაცია, – წერდა დათიკო ვისერგის, – ბევრი მოთხრობები აქვს დანერილი, მათ შორის „მადშეფიცულნი“, რომელიც პანკისელი ქისტებისა და ქართველების მეგობრობას ასახავს. სწორედ ამ მოთხრობის მთავარი გმირია ვისერგი. მოთხრობაში გამოყვანილია ჯოყოლოს იმდროინდელი მოსახლეობა. ის ეხლა კიდევ ერთ თხზულებაზე მუშაობს, რომელიც ასევე ქისტებს ეხება. ფრანგებს უნდათ, ელიზარ მაყაშვილის მოთხრობის მიხედვით, გადაიღონ ფილმი „მადშეფიცულნი“.

როგორც ჩანს, სიჭაბუკის წლებში პანკისელ შეფიცულებთან მეგობრობამ ელიზარზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. შეფიცულთა თემას ელიზარ მაყაშვილი სიცოცხლის ბოლომდე უტრიალებდა. როდესაც საფრანგეთში ქისტი ემიგრანტი დათიკო დუიშვილი გაიცნო, მაშინვე დაუმეგობრდა, პანკისელ ძველ ნაცნობებსაც მისი მეშვეობით დაუკავშირდა. ელიზარის შესახებ დათიკო დუიშვილი საფრანგეთიდან ვისერგის წერდა: „ელიზართან დავრჩები ერთი-ორი კვირა. ძალიან უნდა, რომ ცოტა ხანს მაინც მასთან ვიყო. ვისერგი, ის მოხარულია, რომ შენ დაგიკავშირდა. ალბათ, ნარმოდგენაც არა გაქვს, ელიზარს როგორ უყვარს ქისტები. თავისი ოცნებებით ის სულ ქისტებშია. მისი აზრით, ქისტებისთანა ვაჟკაცური და სტუმართმოყვარე ხალხი მსოფლიოში არ არსებობს. მას ძალიან უხარია, რომ ქისტებს კიდევ ახსოვთ ელიზარი. ელიზარი, მართლაც, ძალიან კარგი კაცია – ვაჟკაცი, ნამუსიანი. თუმცა ცოტა დამიბერდა: 26 მაისს შეუსრულდა 80 წელი. ცოტა ფეხები ღალატობს, სიარული უჭირს“ (12.VI.1985 წ.).

80 წლის ასაკს მიღწეული ელიზარ მაყაშვილი თვითონაც ხალისითა და სიყვარულით უგზავნიდა ვისერგის საფრანგეთიდან წერილებს, რომლებშიც ის ქართველებისა და ქისტების მეგობრობაზე ესაუბრებოდა, იხსენებდა თავის პანკისელ მეგობრებს, ქისტ შეფიცულებს: დათიკო ფარულიძეს, ლევან (კაც) ფარეულიძეს, ქოსა იმედაშვილს, ზაქრო ანდალაშვილს, ჰაასეი (არსენა) აჭიშვილსა და სხვებს. ერთ-ერთ წერილში ელიზარი ვისერგის

წერდა: „არ დაივინყო, რომ პანკისის ხეობა იყო მთელი კახეთის წინამორბედი, მოწინავე დამცველი. წოვა თუშებთან თქვენი ნათესაობა ურყევია. აიღე ენა, ქისტური და წოვა თუშური, ძალიან ჰგვანან ერთმანეთს. ამბობენ, ვითომ მტრობა ჰქონდათ თუშებსა და ქისტებს. ეს ტყუილია. მათ შორის მტრობის ჩამოგდება რუსეთის იმპერიას სურდა, რომელიც მუდამ ცდილობდა ქართველი ტომების ერთმანეთზე გადაკიდებას. მე დიდი ხანია ვიცნობდი ქისტებს. სოფელ ახმეტაში ვარ გაზრდილი და ხშირი მიმოსვლა მქონდა პანკისში. ჩემო ვისერგი, გადაეცი მამაშვილური მოკითხვა ჩემს ყველაზე ნებიერ ზელიმხანს და ყველას, ვისაც ვიცნობ და მიცნობენ. მაპამეტა (ქოსა) იმედაშვილის ვაჟსაც უთხარი, რომ მისი მამა ჩემი ძმადნაფიცი იყო. ჩემი ძმადნაფიცები იყვნენ აგრეთვე ომალოელი ლევანი (კაცი) და ჯოულოელი თიჩი. ძალიან მიხარია, რომ არ დაგვინებიათ თქვენი ყოფილი მასწავლებელი და თქვენი ერთგული მეგობარი ელიზბარი“ (17.X.1983 წ.).

ელიზბარ მაყაშვილის მოგონებები პანკისზე და დათიკო დუიშვილის საფრანგეთიდან გამოგზავნილი წერილები ნათელ წარმოდგენას გვიქმნის პანკისის ხეობაში XX საუკუნეში მიმდინარე სოციალ-პოლიტიკურ პროცესებსა და ქართველ ხალხთან ქისტების კულტურულ-ეკონომიკურ ინტეგრაციაზე.

დათიკო დუიშვილის პირადი წერილებიდან მკაფიოდ ჩანს, რომ პანკისელმა ქისტებმა შეითვისეს ქართული კულტურა, ენა და წეს-ჩვეულებები. ქართულ კულტურულ სივრცესთან ადაპტაციას პანკისელი ქისტებისთვის პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა.

## პანკისის ხეობა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ (1945-1990 წწ.)

ჯერ კიდევ ომი დამთავრებული არ იყო, რომ 1945 წლის იანვარში მთავრობის მიერ მიღებულ იქნა დადგენილება თელავის რაიონიდან ახმეტის რაიონის ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად გამოყოფის შესახებ.

1945 წლს ახმეტაში დაიწყო ადმინისტრაციული შენობისა და კულტურის სახლის მშენებლობა, თელავიდან ელექტროხაზის

გამოყვანა. 1946 წლის ზაფხულის ბოლოს კომუნისტური პარტიის რაიონული კომიტეტიც და რაიონული საბჭოს აღმასკომიც უკვე ახალ შენობაში მოთავსდა. აენთო პირველი ელექტროსინათლეც.

1945 წლიდან დღემდე პანკისის ხეობის სოფლები ახმეტის რაიონში შედიან.

30-იან წლებში მთავრობამ პანკისის ხეობის მთიან სოფლებში კოლექტივიზაციის გატარება მხოლოდ ნაწილობრივ შეძლო. იქ ჯერ კიდევ ძლიერი იყო კერძო სექტორი. უგზოობის გამო საბჭოთა ხელისუფლებას უძნელდებოდა მთიანი სოფლების ადმინისტრირება. ის მთის მოსახლეობას ნაკლებად ენდობოდა. ამიტომ მთავრობამ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პანკისის მთიანი სოფლებიდან ხალხი პანკისის ხეობის ბარის სოფლებში ჩაასახლა. ამრიგად, პანკისის ხეობის მთიანი სოფლები, ტოლოშა, ბანარა, ხალხი, ხორევი, ჩხათანა და ქორთაბუდე – XX საუკუნის 50-იან წლებში მოსახლეობისგან მთლიანად დაიცალა.

ომის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლებამ დაიწყო ადგილობრივი კადრების ცვლა. ხეობაში ყველაზე მაღალი თანამდებობა იყო სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეობა. 1945 წელს ჯოყოლოს სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეობიდან გაათავისუფლეს ელიოზ ლაბოს ძე გუმაშვილი. ელიოზ გუმაშვილს განსაკუთრებული დამსახურება მიუძლოდა პანკისის ხეობაში სოფლის მეურნეობის განვითარებასა და კოლექტივიზაციაში. პანკისის ხეობიდან პირველი უმაღლესი განათლება ფაქტობრივად მან მიიღო. ელიოზ გუმაშვილმა დაამთავრა სტალინის სახელობის უნივერსიტეტი ზორვეტერინარის სპეციალობით და პანკისში დაბრუნდა. მისი მონაწილეობითა და უშუალო ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა რამდენიმე კოლმეურნეობა, მათ შორის ჯოყოლოს შვერნიკისა და კოსარევის სახელობის კოლმეურნეობები. 1936 წელს, 27 წლის ასაკში, ელიოზ გუმაშვილი დუისის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა. მან თავი გამოიჩინა როგორც კარგმა მეურნემ და ორგანიზატორმა. თავისი ჭკუისა და მოხერხებულობის წყალობით ელიოზმა მშვიდობიანად შემოირიგა ის ძალები, რომლებიც ხელისუფლების წინააღმდეგ გამოდიოდნენ. 1940 წელს მინვეული იყო მოსკოვში სასოფლო-სამეურნეო მიღწევების გამოფენაზე. ამასობაში დაიწყო მეორე მსოფლიო ომი.

ელიოზ გუმაშვილმა ომის დროს ობლიგაციებში საკუთარი მონა-გები, საკმაოდ სოლიდური თანხა – 150 ათასი მანეთი ჩარიცხა ომის ფონდში. ომის პერიოდში, წლების მანძილზე, მისი ხელ-მძღვანელობით პანკისის ხეობას გარდამავალი წითელი დროშა ეკავა. როცა 1944 წელს დაისვა პანკისელი ქისტების შუა აზიაში დეპორტაციის საკითხი, თელავის რაიონის ხელმძღვანელობამ აღძრა შუამდგომლობა ხელისუფლების წინაშე, რომ ქისტები არ გაესახლებინათ. ისინი ჩაბმულნი იყვნენ სოციალისტური შრო-მის ფერხულში, ელიოზ გუმაშვილის თავკაცობით გეგმებს გადა-ჭარბებით ასრულებდნენ, ქართულ ენაზე იღებდნენ განათ-ლებას, ხელისუფლების მოთხოვნებს სრულად აკმაყოფილებ-დნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში საბჭოთა ხელისუფლება ქის-ტებს გადაასახლებდა. ერთი სიტყვით, ელიოზ გუმაშვილს დიდი წვლილი მიუძღვოდა პანკისის ხეობის გადარჩენა-განვითარე-ბაში. 1944 წელს ის გადაიყვანეს ჯოყოლოს სასოფლო საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე. მაგრამ მთავრობა ქვეყნისათვის თავ-დადებულ მოღვაწეებს ამაგს ბოლომდე არ უფასებდა. საბჭოთა ხელისუფლება უმაღურად მოეპყრო ელიოზ გუმაშვილსაც. 1945 წელს ის გაათავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან.

ადგილობრივი ხელმძღვანელი კადრების ხშირი ცვლა კიდევ უფრო მეტ დეზორგანიზაციას იწვევდა და აფერხებდა მეურნე-ობის განვითარებას.

მაგალითად, 1949 წელს დუისის კოლმეურნეობას სიმინდის მოსავალი 247 ჰექტარ ფართობზე უნდა მიეღო. 10 ოქტომ-ბრისთვის აღებული ჰქონდათ მხოლოდ 60 ჰექტარზე. კოლმე-ურნები ყანაში განგებ ტოვებდენ მოსამტვრევ ტაროებს და სი-მინდის ჩალის აღების დროს დარჩენილ ტაროებს თვითონ ითვი-სებდნენ.

კოლმეურნები იმდენად ცოტა გასამრჯელოს იღებდნენ, რომ იძულებულნი ხდებოდნენ „საერთო ქონებიდან“ საკუთარი ნაოფლარი მოეპარათ.

1949 წელს საკობიანოს კოლმეურნეობამ ხორბლის მოსავ-ლის გეგმა ნახევრადაც ვერ შეასრულა. დაუმუშავებელ ფარ-თობზე მეტი მოსავლის მიღება შეუძლებელი იყო, რადგან იქ ჯერ კიდევ ხარ-კამერით ხნავდნენ მიწებს.

ქორეთის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის მეფ-რინველეობის ფერმაში 1953 წელს 500 ფრთა ფრინველის ნაც-

ვლად ჰყავდათ 102 ფრთა. საინკუპატორო სადგურიდან გამოყანილი 400 ფრთა წინილიდან ვერცერთი შეინარჩუნეს.

დუმასტურის ოქტომბრის რევოლუციის სახელობის კოლმეურნეობაში 1952 წელს ჰყავდათ 400 ფრთა ფრინველი. როგორც „კოლმეურნის ხმა“ (№7 (262) იუნის ბა, იმავე წელს გამოაჩეკინეს 364 ფრთა წინილა, 155 ფრთა იხვის და 286 ფრთა ინდაურის ჭუკი. დაუდევრობით შეინარჩუნეს მხოლოდ 78 ფრთა წინილა და ინდაურის სამი ჭუკი. აღნიშნული ფრინველების საკვებად კი გასარჯეს 8722 კილოგრამი მარცვალი. აღსანიშნავია, რომ პანკისის ხეობის კოლმეურნეობებს მეფრინველებიდან შემოსავალი საერთოდ არ ჰქონდათ, დანახარჯები კი იყო.

როგორც წესი, ყველა კოლმეურნეობაში მშრომელებს ეკარგებოდათ შრომადლები, რის მიხედვითაც ხდებოდა შრომის ანაზღაურება. იყო შემთხვევები, როცა კოლმეურნეთა 3-4 თვის გამომუშავებული შრომადლები აღმრიცხველის მიერ არ იყო გადატანილი უწყისებსა და შრომის წიგნაკებში. ამიტომ კოლმეურნეებმა ხშირად არ იცოდნენ რამდენი შრომადლე ჰქონდათ გამომუშავებული და რა გასამრჯელო ეკუთვნოდათ.

პანკისის ხეობის კოლმეურნეობებში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი არ იყო უზრუნველყოფილი საჭირო რაოდენობის ბინებით. ამიტომ საქონელს კერძო ბინებში აზამთრებდნენ და ბინების მფლობელებს თვეში ორ სულზე სამ შრომადლეს უწერდნენ.

პანკისის ხეობის ყველა კოლმეურნეობას ჰქონდა ოთხი სახის ფერმა: მსხვილფეხა რქოსანის, ცხვრის, ლორისა და ქათმის. გარდა დუისის კოლმეურნეობებისა, ისინი მელორეობას არ მისდევდნენ. სოფელ ჯოყოლოში მელორეობის ფერმები XX საუკუნის 50-იან წლებამდე არსებობდა. შემდეგ, დუისელთა გავლენით, თანდათან ლორების მოშენება შეწყვიტეს.

1951 წელს ჯოყოლოს შვერნიკის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ფიდო აბულაძემ საერთო კრებისა და გამგეობის დადგენილების გარეშე უფასოდ გასცა ჯოყოლოს რვანლიანი სკოლის შენობისათვის 5300 ცალი აგური. ასევე გაჭირვებულ კოლმეურნეებზე გაასესხა 4000 ცალი აგური. თვითნებური გადაწყვეტილების მიღების გამო ლვანლმოსილი თავმჯდომარე ფიდო აბულაძე სამსახურიდან მოხსნეს. კომუნისტური პარტიის ახმეტის რაიკომის გაზეთ „გამარჯვებაში“ (№36. 291)

წერდნენ: „სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების დარღვევისათვის დამნაშავემ პასუხი უნდა აგოს“. როგორც ჩანს, ადგილობრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელებს დამოუკიდებლად გადაწვეტილების მიღების გამო სამსახურიდან აძევებდნენ.

XX საუკუნის 50-იანი წლებიდან პანკისის ხეობის კოლმეურნეობებმა დაიწყეს აუთვისებელი მიწების სახნავ-სათესად გამოყენება. საჭირო იყო ჯაგნარისაგან დაყამირებული მიწის განმენდა, რაც მეტად შრომატევად საქმეს წარმოადგენდა. მით უფრო, რომ მაშინ თითქმის ყველანაირი სამუშაო ხელით სრულდებოდა. მთელ ხეობას მხოლოდ ერთი-ორი ტრაქტორი ემსახურებოდა. 1951 წელს ყვარელწყლის ვაჟა-ფშაველას სახელობის კოლმეურნეობამ აითვისა 5 ჰექტარი ახალი მიწა, რომელზედაც საშემოდგომო კულტურები დაითესა. 50-60-იან წლებში პანკისის კოლმეურნეობები წმენდნენ ისეთ ადგილებს, რომელიც ჯაგითა და ბურქით იყო დაფარული და მას სახნავ-სათესად იყენებდნენ. ახალი მიწების ათვისებამ საგრძნობლად გაზარდა პანკისის ხეობის კოლმეურნეობების შემოსავალი. საუკუნეების მანძილზე დასვენებული მიწა უხვ მოსავალს იძლეოდა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ახალი მიწების ათვისება ნელა მიმდინარეობა. მაგალითად, 1952 წელს ომალოს ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობას გეგმის მიხედვით 10 ჰექტარი ახალი მიწა უნდა დაემუშავებინა, მაგრამ მათ ეს ვერ შეძლეს.

XX საუკუნის 50-იან წლებიდან პანკისის ხეობაში მეურნეობის წამყვანი დარგი კვლავ მეცხოველეობა იყო. მისგან მიღებული შემოსავალი სჭარბობდა ყველა სხვა დარგებიდან მიღებულ შემოსავალს. პანკისის კოლმეურნეობებს საქონელი ზაფხულში დიდგვერდის, ჭიქაურის მთებში ჰყავდათ, ხოლო ზამთარში შირაქის საზამთრო საძოვარზე. 50-იანი წლებიდან გაიზარდა მემინდვრეობის ხვედრითი წილიც.

როგორც ცნობილია, შუა საუკუნეების პანკისის ხეობაში მაღალ დონეზე იყო განვითარებული მევენახეობა-მელვინეობა. იქ ყველა ნასოფლარის სიახლოვეს დღესაც გვხვდება გაველურებული ვაზი, სანახლები, მარნები და ქვევრები. მას შემდეგ, რაც პანკისი XVIII საუკუნის შუა წლებში მოსახლეობისგან დაიცალა, ხეობაში მევენახეობა-მელვინეობის ტრადიციაც დავიწყებას მიეცა.

**XX** საუკუნის 50-იანი წლებიდან პანკისის კოლმეურნეობებმა გადაწყვიტეს ხეობაში მევენახეობის აღორძინება. ვაზის გაშენება, მისი მოვლა-პატრონობა მთიელი ხალხისათვის არცთუ ისე ადვილი იყო.

1951–52 წლებში საკობიანოს კოლმეურნეობამ ვაზი ჩაყარა. 1953 წელს მათ ვენახში წარმატებით ჩაატარეს საგაზაფხულო სამუშაოები, რიგთაშორის ხვნა, ძირების გამობარვა, მსხმოიარე 5 ჰექტარი ვაზი გადაიყვანეს შპალერზე, ჩქარი ტემპით შეიტანეს ორგანული და მინერალური სასუქები; ახალი ვაზისთვის მოამზადეს 13000 ჭიგო. ამასთან სრულ წესრიგში ჰქონდათ შაბი-ამნის შესასხურებელი აპარატები, ვაზის მაკრატლები და სხვა ინვენტარი.

ვაზის გაშენება უფრო გაძნელდა ქისტებით დასახლებულ სოფლებში. დუისის კოლმეურნეობამ 1952 წელს სამი ჰექტარი ვენახი გააშენა. თავდაპირველად ვაზის გამენების იდეამ დიდი კმაყოფილება გამოიწვია ქისტებში და კოლმეურნეობებიც დიდი მონდომებით მუშაობდნენ. მაგრამ ერთი წლის შემდეგ კოლმეურნეობის გამგეობამ რატომლაც აზრი შეიცვალა, ზედმეტად მიიჩნია ვენახის საჭიროება და ახლადგამენებული ვენახი უპატრონოდ მიატოვა. იქ თავისუფლად დადიოდა პირუტყვი, რომელიც ვაზს უმოწყალოდ ანადგურებდა.

ხელისუფლებამ დაინახა, რომ ვაზის კულტურის განვითარებისათვის პანკისის ხეობაში შესანიშნავი ბუნებრივი პირობები არსებობდა. გარდა ამისა, მევენახეობა დიდ მოგებასა და შემოსავალს აძლევდა კოლმეურნეობებს. ამიტომ 50-იანი წლების ბოლოსა და 60-იანი წლების დასაწყისში პანკისის ხეობაში დაიწყო ვაზის გაშენება.

1965 წელს მსხმოიარე ვენახებს დუისის კოლმეურნეობაში 21 ჰექტარი ფართობი ეკავა, ხოლო ჯოყოლოში 2 ჰექტარი. მსხმოიარე ვენახები გაპიროვნებული იყო მევენახეებზე და მოვლითაც კარგად უვლიდნენ. გაზეთ „ბახტრიონის“ (№3 (1633) ცნობით, დუისის კოლმეურნეობაში გაპიროვნებულ ვაზს ყველაზე კარგად უვლიდა მხცოვანი კოლმეურნე დუბაი მარგოშვილი.

დუისა და ჯოყოლოში გაშენებულ ვენახებს ნაკლიც ჰქონდა. ისინი ვენახებს დაუფესვიანებელი რქით აშენებდნენ, რის გამოც ურნყავ ადგილზე ვაზი ხშირად ხმებოდა.

ვენახის ფართობის გადიდების მიზნით, დუმასტურის კოლ-მეურნეობამ 4 ჰექტარზე ახალი ვენახი გააშენა. ვენახის გასაშენებლად მათ გამოიყენეს ნამყენი რქა, რაც ვაზის გამძლეობას ერთოორად ზრდიდა.

1966 წელს საკობიანოს კოლმეურნეობის ვენახებს 66 ჰექტარი ფართობი ეკავა. მათ შორის მსხმოიარე იყო 35 ჰექტარი. 1965 წელს კიდევ 10 ჰექტარზე გააშენეს ვაზი. იმ წელს კოლმეურნეობებმა ყურძნის დაბალი მოსავალი მიიღეს, იმის ნახევარი, რასაც ელოდებოდნენ. ყურძნის დაბალი მოსავალი გამოწვეული იყო ცუდი კლიმატური პირობებით, კერძოდ სეტყვით, რაც ხშირად აზარალებდა ხოლმე მევენახებს.

1966 წლის 31 მაისს გაზეთ „ბახტრიონში“ (№63) კორეს-პონდენტი წერდა: „უკანასკნელ ხანს დუისელმა კოლმეურნებმა გულით შეიყვარეს ვაზი. კოლმეურნეობის 42 ჰექტარი ვენახიდან ყოველი ჰექტარი საუკეთესოდაა მოვლილი. ვენახის მოვლაში აქტიურობს №5 ბრიგადა, რომელსაც კომუნისტი ვ. ბალაკაშვილი ხელმძღვანელობს. ბრიგადაში 50-მდე მუშახელია გაერთიანებული. ბრიგადა იოლად ძლიერს ვენახის ყველა სამუშაოებს“.

მევენახეობა პანკისის ყველა სოფელში წარმატებით არ ვითარდებოდა. გაზეთ „ბახტრიონში“ (№82) ცნობით, 1966 წელს ხალანის კოლმეურნეობის ზოგიერთ ბრიგადაში ვენახების ნაწილი არ მუშავდებოდა. წესების დარღვევით ჩატარდა მწვანე ოპერაციები. ვენახების უმეტესობა ან შპალერის გარეშე იყო დატოვებული, ან ერთი-ორი წვერი მავთულის ანაბარა, რის გამოცვაზი მიწაზე ერთხმებოდა. ეს იმ დროს, როცა კოლმეურნეობის საწყობში ჰქონდათ 530 კილოგრამი მავთული. ვენახების დიდი ნაწილი იყო მეჩერი, მის შესავსებად კი ზომებს არ იღებდნენ. მოუვლელობის შედეგად ხალანის ვენახები მასიურად დაავადდა ჭრაქით.

60-იანი წლებიდან პანკისის ხეობის კოლმეურნეობებს გარკვეული წარმატებები ჰქონდათ მემინდვრეობის დარგში. 60-იანი წლების ბოლოს სოფელ ქორეთის სიმინდის ყანებს 170 ჰექტარი ფართობი ეკავა. ქორეთელები სიმინდის უხვი მოსავლის მიღების ოსტატებად ითვლებოდნენ და ამიტომაც მათ ხშირად ფულად პრემიებსაც აძლევდნენ. სიმინდს, როგორც წესი, ორჯერ თოხავდნენ, თოხვის წინ კი მინერალური სასუქები შეჰქონდათ. მიუხედავად იმისა, რომ ქორეთელებს სიმინდი მეტ-

წილად გორებსა და ფერდობებზე ეთესათ, ისინი მაინც უხვ მოსავალს იღებდნენ.

60-იანი წლებიდან პანკისის ხეობის კოლმეურნეობებში ხელით შრომა ნაწილობრივ შეცვალა ტექნიკამ. იქ უკვე მიწას უმეტესად ტრაქტორებით ხნავდნენ, ხოლო თავთავიანი კულტურების გარკვეულ ფართობს კომბაინით იღებდნენ.

თუმცა XX ს-ის 60-იან წლებში პანკისის კოლმეურნეობებში თავთავიან კულტურებს 100–150 ჰექტარ ფართობზე ყოველ-წლიურად ჯერ კიდევ ხელით მკიდნენ.

60-იან წლებში პანკისის ზოგიერთი სოფლის კოლმეურნეობამ დაიწყო მზესუმზირის მოყვანა. გაზეთ „ბახტრიონის“ (№36) ცნობით, 1965 წლის სექტემბერში დუმასტურის კოლმეურნეობამ 7,5 ჰექტრიდან მიიღო 68,5 ცენტნერი მზესუმზირის მოსავალი.

მეცხვარეობა რომ შემოსავლიანი დარგია, კარგად იცოდა პანკისის მოსახლეობამ. 60-იანი წლებიდან გაიზარდა ცხვრის სულადობა, შემცირდა პირუტყვის დაცემა.

დუისის კოლმეურნეობას 1965 წელს გეგმით გათვალისწინებული 2500 ცხვრის ნაცვლად 2800 სულამდე ცხვარი ჰყავდა. მეცხვარეობის ბრიგადებს შორის გამოირჩეოდა ს. მარგოშვილის ბრიგადა. ბრიგადამ კარგად გაართვა თავი ცხვრის გამოზამთრებასა და მიღებული ნამატის შენარჩუნებას. 500 დედაცხვრიდან, მიუხედავად ცუდი ამინდებისა, ბრიგადამ მიიღო და უკლებლივ შეინარჩუნა 400 ბატკანი. ბრიგადის მიღწევად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ 1965 წელს ადგილი არ ჰქონია პირუტყვის დაცემის არცერთ შემთხვევას.

პანკისის ხეობის ზოგიერთ კოლმეურნეობაში კარგად იყო განვითარებული მელორეობაც. მაგალითად, 1965 წელს ხალანნის სასოფლო-სამეურნეო არტელმა სახელმწიფოს მიჰყიდა 10 ცენტნერი ღორის ხორცი.

60-იანი წლების დამდეგს ელექტროენერგია შევიდა პანკისის თითქმის ყველა სოფელში. ოდნავ მოვიანებით ომალოში, ბირკიანსა და ძიბახევშიც. თითქმის ყველა სოფელში იყო დაწყებითი, რვანლიანი ან საშუალო სკოლები. ჯოყოლოში ფუნქციონირებდა საავადმყოფო. 1965 წელს ომალოში დაიწყო სკოლისა და კლუბის მშენებლობა. დუისის კლუბში კეთილმოწყობის მიზ-

ნით დაიდგა 200 ცალი გრეხილი სკამი. სოფელ დუისში აშენდა სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების შესანახი ფარდული.

ნარმატების მიუხედავად იყო სერიოზული ხარვეზებიც. მოსახლეობა გაცილებით მეტს შრომობდა, ვიდრე უნაზღაურებდნენ, ანუ ნაშრომის ანაზღაურება მათ მიერ განეულ შრომას არ შეესაბამებოდა. სოფლების კეთილმოსაწყობად ბევრი არაფერი კეთდებოდა.

60-იან წლებში დუმასტურისა და ომალოს მოსახლეობა გაერთიანებული იყო ერთ კოლმეურნეობაში. ორივე სოფელში ცხოვრობდა 300-მდე ოჯახი. ხალხი თავდადებით შრომობდა, მაგრამ მათი სოფლების კეთილმოწყობაზე ნაკლებად ზრუნავდნენ. არც დუმასტურში და არც ომალოში არ იყო მაღაზია. ამ სოფლის მცხოვრებლებს პირველი მოთხოვნილების საგნების შესაძენად სხვა სოფლის მაღაზიებში უხდებოდათ ნასვლა.

როდესაც ჯოყოლოს საავადმყოფოს დასათვალიერებლად რაიონის ჯანდაცვის განყოფილების მუშაკები მივიღნენ, აღმოჩნდა, რომ საავადმყოფოს მენიუში 21 დასახელების პროდუქტი იყო აღნიშნული. მაგრამ ყველი, კარაქი, ხორცი, რძე და კვერცხი არ ჰქონდათ. საავადმყოფოში საჭმელს ხორცის კონსერვებით აკეთებდნენ, ისიც პანკისში, სადაც ხორცის შოვნა არც თუ ისე ძნელია.

სამზარეულო მეტად პატარა იყო, კედლები ჩაშავებული, რომელზედაც სახურავიდან ჩამოსული წვიმის კვალი ემჩინოდა.

თუმცა, გაზეთ „ბახტრიონის“ (№32) ცნობით, სისუფთავე საავადმყოფოში იდეალური იყო და ავადმყოფები მეტად ემადლიერებოდნენ ექიმს – ლამარა ბორჩაშვილს.

1957 წელს ქორეთელმა კოლმეურნეებმა საკუთარი სახ-სრებით გაიყვანეს რადიოქსელი, რომელიც 1963 წელს სინათლის ხაზის გაყვანასთან დაკავშირებით თურმე მოუშლიათ. სოფელმა რომ ელექტრომუქი მიიღო, ძალიან კარგია, მაგრამ რადიოკვანდის აღდგენაზე აღარავინ ფიქრობდა.

1964 წლის შემოდგომაზე საკობიანოში თიანეთის მე-3 საგზაო-საექსპლოატაციო კანტორამ ააშენა კაპიტალური ხიდი, რომელიც რამდენიმე თვეში დაინგრა. მის მშენებლობაზე უამრავი ცემენტი გაიხარჯა. ბურჯები ამოუყვანიათ და შიგ რკინის არმატურა არ ჩაუტანებიათ. უარმატურო, უხარისხოდ ნაგები ხიდიც დაშლილა და დანგრეულა.

**XX** საუკუნის 60-იან წლებში პანკისის ხეობაში მნიშვნელოვნად ამაღლდა განათლების დონე.

წლების განმავლობაში თავდადებით ემსახურა ახალგაზრდა თაობის აღზრდის დიდ და საპატიო საქმეს იუსუფ მარგოშვილი. **XX** საუკუნის 30-იან წლებში მან აქტიური მონაწილეობა მიიღო დუისის საშუალო სკოლის მშენებლობაში. განათლების დარგში ხანგრძლივი და უმნიკვლევი მუშაობისთვის 1949 წლის 2 მარტს საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დააჯილდოვა მედლით „შრომითი მამაცობისთვის“. 1961 წელს ჩეჩენეთინგუშეთის გამომცემლობამ გამოსცა იუსუფ მარგოშვილის თარგმანების კრებული სახელწოდებით „რჩეული“. წიგნში შესულია აღ. ყაზბეგის „მამის მევლელი“, „ციცია“ და „ელისო“. 1972 წელს უსუფ ადოს ძე მარგოშვილს საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება მიენიჭა. ამჟამად დუისის საშუალო სკოლა იუსუფ მარგოშვილის სახელს ატარებს.

დუისის საშუალო სკოლაში ერთად სწავლობდნენ ქისტების, ოსების, აგრეთვე, თუშებისა და ფშავლების ბავშვები. მათ შორის მეგობრობას ადრეული ასაკიდან ეყრებოდა საფუძველი.

დუისელ ქისტს, სოფელში შესანიშნავ მევენახედ ცნობილ დუბაი მარგოშვილსა და მის მეუღლეს, ძუდაშას, მხოლოდ ხელის მოწერა ეხერხებოდათ... ოჯახში კი ექვსი შვილი გაზარდეს უმაღლესი განათლებით. იმათგან ოთხი ქალიშვილი დუისის საშუალო სკოლაში ასწავლიდა: ოლია – სკოლის დირექტორი, ქიმიის სპეციალისტი, ძარეი – ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა, თინა – ისტორიას, ისმი – დაწყებითი კლასის პედაგოგი იყო. მათმა ძმამ, ვისერგიმ, სამედიცინო ინსტიტუტი დაამთავრა.

პანკისის ხეობაში **XX** საუკუნის 60-იან წლებში ერთიორად გაიზარდა იმ პირთა რიცხვი, რომლებსაც უმაღლესი განათლება ჰქონდა მიღებული. ბევრი მათგანი ახმეტის რაიონში სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მუშაობდა. მათ შორის იყო დუისელი გიორგი (ჟორა) მაჩალიკაშვილი.

გ. მაჩალიკაშვილმა 1952 წელს დაამთავრა ზოვეტერინარული ინსტიტუტი და მუშაობა სიღნაღმი, თუშერი ცხვრის სახელმწიფო ჯიშსაშენის უფროს სპეციალისტად დაიწყო. შემდეგ იგი ამავე დაწესებულების დირექტორი გახდა. სხვადასხვა დროს მუშაობდა პარტიის ახმეტის რაიონმის სასოფლო-სამე-

ურნეო განყოფილების გამგედ და ალვნის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის მთავარ ზოოტექნიკოსად. 1959 წლიდან ის ახმეტაში „კარაქმრენვს“ ჩაუდგა სათავეში. გიორგი მაჩალიკაშვილის ხელმძღვანელობით „კარაქმრენვი“ წლების მანძილზე გეგმებს გადაჭარბებით ასრულებდა. 1965 წელს „კარაქმრენვმა“ ზეგეგ-მით კიდევ 20 ტონაზე მეტი ქარხნული ყველი, სულგუნი და კარაქი გამოუშვა.

1965 წელს დაიწყო ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის მშენებლობა. ზემო ალაზნის სარწყავი სისტემა წყალს მიიღებდა მდინარე ალაზნიდან სოფელ დუისთან, რის გამოც განზრახული იყო ამ ზონაში კაშლის აგება სათანადო წყალმიმღები ნაგებობებით. აქედან მაგისტრალური არხი მოუვლიდა სოფელ მატანს, გადაკვეთდა მდინარე ილტოს, გაივლიდა ახმეტას და თელავ-გურჯაანის მიმართულებით წავიდოდა.

სწორედ ამ პერიოდში შეიქმნა სიმღერა, რომლის ავტორიც ახმეტის სიმღერის გუნდის მონაწილე ა. ექვთიმიშვილი იყო:

„შენ, ალაზანო, სად მიხვალ,  
შენს ჭკვაზე ალარ გატარებ,  
პანკისის თავში ჩაგკეტავთ,  
მატაზე გადმოგატარებთ“.

1966 წლიდან ზემო ალაზნის სარწყავი არხის მშენებლობა პრაქტიკულად დაიწყო. პროექტის ღირებულება 84 მილიონ მანეთს აჭარბებდა.

სოფელ დუისის ბოლოს, მდინარე ალაზანზე, 1974 წელს აშენდა წყალმიმღები ნაგებობების კვანძი. აქედან იწყება მაგისტრალური არხი. კვანძის დანიშნულებაა რკინის ფარდებით შეაგუბოს მდინარე და წყალი გადაიყვანოს მაგისტრალურ არხში.

მაგისტრალური არხი თავდაპირველად მიემართება აღმოსავლეთიდან დასავლეთით, დუისიდან საკობიანო-მატნისაკენ, მდინარე ილტოს გადაკვეთამდე და ამის შემდეგ მიმართულებას იღებს აღმოსავლეთით. ახმეტას კვეთს და თითქმის ცივგომბორის ქედის პარალელურად მიემართება გურჯაანის რაიონის ფაფრის ხევამდე. არხის სიგრძე 78 კილომეტრია [7. 181].

სარწყავი სისტემის მთავარი და გამანაწილებელი არხები მოაპირკეთეს ბეტონით, რამაც დიდად შეამცირა წყლის დანა-

კარგები. მშენებლობის დროს ააგეს მრავალი სახის რთული ჰიდროტექნიკური ნაგებობა, გაიყვანეს, აგრეთვე, წყალშემკრებები და საკოლექტორო-სადრენაჟო ქსელი.

მაგისტრალური არხის მშენებლობაზე პანკისის ხეობიდან მრავალი ადამიანი დასაქმდა, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა მათი შემოსავალი. საერთოდ, XX საუკუნის 60-იანი წლებიდან ერთიორად ამაღლდა პანკისის ხეობის მოსახლეობის მატერიალური ცხოვრების დონე.

1968 წელს პანკისის ხეობის სხვადასხვა კოლმეურნეობების ბაზაზე შეიქმნა პანკისის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა. ამ დროიდან მევენახეობა ერთ-ერთი წამყვანი დარგი გახდა პანკისის ხეობაში, რამაც მნიშვნელოვანი მოგება მისცა, როგორც სახელმწიფოს, ისე ხალხს. მანამდე მშრომელებს გასამრჯელოს ნატურით უხდიდნენ, ახლა უკვე ისინი ფულად ანაზღაურებას იღებდნენ. რეფორმის შემდეგ წვრილ-წვრილი კოლმეურნეობები გაერთიანდა ერთ მსხვილ მეურნეობაში და უფრო ეფექტური გახდა მისი მართვაც. თუმცა ამბობენ, რომ კოლმეურნეობები-დან უფრო მეტ შემოსავალს ღებულობდნენ მშრომელები. იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც კოლმეურნეობები უფრო მოსწონდათ [56. 213].

საბჭოთა მეურნეობის ჩამოყალიბების შემდეგ სოფელ ქორეთში 120 ჰექტარ ფართობზე გააშენეს ვაზი, 10 ჰექტარზე ხეხილი, 2 ჰექტარ ფართობზე ფურცელი, დანარჩენ ფართობზე კი ითესებოდა სიმინდი, ხორბალი, ქერი, ლობიო და ბოსტნეული.

სოფელში აშენდა ახალი საწყობ-საშრობი. ქორეთის ზვრებში ყოველწლიურად იკრიფებოდა მინიმუმ 600 ტონა ყურძენი, 80-100 ტონა ხილი, 80-90 ტონა საზამთრო, 200 ტონა სიმინდი, ამდენივე რაოდენობის ხორბალი და ა.შ. სოფლის ბოლოს აშენდა მელორეობის ფერმა, სადაც ხან 600, ხან კი 800 სული ჯიშიანი ღორი იზრდებოდა და ბარდებოდა სახელმწიფოს. სოფელში დუმასტურის წყალსადენიდან გამოიყვანეს სასმელი წყალი. ისე რომ, ქორეთის თითქმის ყველა ოჯახში სასმელი წყლის ცალკე წერტილი დააყენეს. სოფელში აშენდა მაღაზია, ფუნქციონირებდა საბავშვო ბაღი. მდინარე ალაზანზე გაიდო 145 მეტრი სიგრძის კაპიტალური ხიდი, რომელიც ქალაქსაც კი დაამშენებდა, გაამაგრეს მდინარე ალაზნის ნაპირები, რამაც ერთგვარად გააღამაზა ქორეთი, გარემონტდა შიდა გზები, ხევებზე

გაკეთდა ხიდები და კოლექტორები; სოფელში ფუნქციონირებდა საკუთარი სახსრებით გაკეთებული ორთვლიანი წისქვილი, რომლის ქვებიც ყარაბაღიდან მოიტანეს. მოსახლეობის სახსრებით ჩადგეს სახერხი ქარხანა.

პანკისის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელობა დაკომპლექტდა უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო განათლების მქონე პირებით. ერთ-ერთი მათგანი იყო დუისელი სოლცა მოჩუყას ძე ქავთარაშვილი. მან 1957 წელს დაამთავრა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ეკონომიკა-ორგანიზაციის ფაკულტეტი, ეკონომისტის სპეციალობით. მუშაობა დაიწყო ახმეტაში, „საქსასოფლტექნიკში“ ეკონომისტად. 1975 წლიდან საბჭოთა მეურნეობების დაშლამდე მუშაობდა პანკისის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში მომარაგების უფროსად. მისი მეუღლე, ასმათ შავხალას ასული მარგოშვილი კი მუშაობდა ამავე მეურნეობის უფროს ბუღალტრად.

ხეობაში გაიზარდა უმაღლესი განათლების მიღების მსურველთა რიცხვი. ახალგაზრდობის დიდი ნაწილი სწავლას საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში აგრძელებდა, ნაწილიც ჩეჩენეთ-ინგუშეთსა და რუსეთის სხვადასხვა ინსტიტუტებში. ბოლო ათწლეულებში განსაკუთრებით ამაღლდა განათლების დონე პანკისელ ქისტებში. პანკისის ხეობიდან აღიზარდა რამდენიმე მეცნიერებათა დოქტორი: ლეილა მარგოშვილი, ელდარ ბორჩაშვილი, როსტომ ფარეულიძე, ლაბაზ გუმაშვილი.

XX საუკუნის 60–70-იანი წლებიდან პანკისის ხეობამ საგრძნობლად შეიცვალა იერი. აშენდა კაპიტალური ორსართულიანი სახლები, რომლებსაც დიდი აივნები ამშვენებს. პანკისში ძირითადად იმავე ტიპის სახლები შენდებოდა, როგორიც დამახასიათებელი იყო კახეთის სხვა სოფლების არქიტექტურისთვის. ქისტურ სოფლებში სახლის წინ, ეზოში, დამატებით აშენებდნენ კეთილმოწყობილ სათავსოს, სადაც სურსათ-სანოვაგეს ინახავენ, საჭმელს ამზადებენ და მთელი დღის განმავლობაში ფუსფუსებენ. ხეობაში უკვე მრავალ ოჯახს გაუჩნდა ძვირფასი ავეჯისა და ავტომობილის შეძენის საშუალება. თითქმის ყველა ეზოს აქვს ქვიტკირის ღობე და რკინის ჭიშკარი. ეზოებს ვაზის ხეივანი ამშვენებთ. ეზოებში გაშენებულია აგრეთვე ყვავილნარი. ქისტები სასმელ წყალს ძირითადად ეზოში გამართული ჭიდან იღებენ. ეზოს გვერდით ყველა ოჯახს აქვს ბოსტანი, სა-

დაც ყოველდღიური მოხმარების ბოსტნეული მოჰყავთ. ქისტების კარ-მიდამოები ყურადღებას იქცევს იდეალური სისუფთავით, რაც ქისტი ქალების განსაკუთრებულ შრომისმოყვარეობასა და გემოვნებაზე მიუთითებს.

სოფლის გზებზე დაიგო ასფალტი, ხოლო ორდობები ქვიშით მოასწორეს. აშენდა კეთილმოწყობილი ადმინისტრაციული შენობები, კულტურის სახლები, სპორტული მოედნები, მაღაზიები, ამბულატორიები, საავადმყოფო, უნივერმაღი და სხვა.

**XX** საუკუნის 80-იანი წლების ბოლოსათვის ადგილობრივი მოსახლეობის დაუღალავი შრომის შედეგად პანკისის ხეობა საქართველოს ერთ-ერთ ულამაზეს და მოვლილ-ნაპატრონებ კუთხედ გადაიქცა. იქ სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობისა და რელიგიური მიმდინარეობის წარმომადგენლებს შორის ეთნიკურ და რელიგიურ ნიადაგზე არ მომხდარა არცერთი უსიამოვნო ფაქტი. ქისტები, ოსები და ქართველები ცხოვრობდნენ მეგობრულად. ისინი ერთად სწავლობდნენ, ერთად შრომობდნენ და, როგორც თვითონ ამბობენ, ჭირი და ლხინიც განუყოფელი ჰქონდათ. პანკისის ხეობა სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობისა და რელიგიური მრწამსის მქონე საზოგადოებათა მეგობრული თანაცხოვრების შთამბეჭდავ ნიმუშს წარმოადგენდა.

## პანკისის ხეობა პოსტსაბჭოურ პერიოდში

გასული საუკუნის 80-იან წლებში საქართველოში იფეთქა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ საბჭოთა კავშირიდან გამოყოფის მოთხოვნით. საბჭოთა ჯარების მიერ 1989 წლის 9 აპრილის ღამეს თბილისში მშვიდობიანი მომიტინგების დახოცვამ კიდევ უფრო გაამწვავა ვითარება და ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენის მოთხოვნით შეუქცევადი გახადა.

ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას რუსეთის ნაქეზებით აფხაზებისა და ოსების ნაწილი მტრულად შეხვდა. სამწუხაროდ, რუსეთმა შეძლო აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში კონფლიქტის ესკალაცია.

პანკისელმა ქისტებმა, ისევე როგორც 1918–1921 წლებში, ახლაც აქტიურად დაუჭირეს მხარი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას. პანკისის ხეობიდან ეროვნულ მოძრაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს მათე ციხესაშვილმა, უორა მაჩალიკაშვილმა, ომარ ხანგოშვილმა, რამაზ გუმაშვილმა და სხვებმა. პანკისელმა ქისტებმა შეინარჩუნეს ქართველი ხალხის ერთგულება და საქართველოს სიყვარული. უფრო მეტიც, ზოგიერთმა მათგანმა მონაწილეობაც მიიღო საქართველოს ერთიანობისთვის გამართულ ბრძოლებში, რომელიც ფაქტობრივად წარმოადგენდა რუსეთ-საქართველოს ომს.

უფრო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ საქართველოს რესპუბლიკაში მცხოვრები ოსები.

სანგრძლივი დროის მანძილზე ოსები შეეზარდნენ და შეესისხლხორცნენ ქართულ გარემოს. ისინი ქართულ წეს-ადათებს მისდევდნენ და მეორე მშობლიურ ენად ქართულს აღიარებდნენ. საქართველოს ყველა კუთხეში იყო და ახლაც მრავლად არის ქართულ-ოსური შერეული ოჯახები. სანამ რუსეთი ჩაერეოდა ქართულ-ოსურ ურთიერთობებში, ამ ხალხებს შორის არ მომხდარა არცერთი უსიამოვნო ფაქტი. მაგრამ სწორედ მაშინ, როგორც კი საქართველო რუსეთისგან დამოუკიდებლად არსებობას დააპირებდა, რუსეთის ხელისუფლება თავისი პოლიტიკური მიზნებისთვის იყენებდა ცხინვალის რეგიონში მოქმედ სეპარატისტულ ძალებს.

ზოგიერთი პანკისელი ოსი ხშირად აღშფოთებით იგონებს 1991–1992 წლებს და საყვედურს გამოთქვამს, რომ იმ დროს მათ სოფლებს პანკისში თითქოს საგანგებოდ არ მიეწოდებოდა გამომცხვარი პური, ხელისუფლების დავალებით იქ არ შეჰქონდათ ფქვილი. პანკისის ხეობის ოსურ სოფლებში, სადაც სულ ქართული სკოლები იყო (ქორეთსა და ნინუბანში რვანლიანი, დუმასტურში საშუალო სკოლა), მასწავლებლებს თითქოს არ აძლევდნენ კუთვნილ ხელფასს. მათი აზრით, მსგავსი ლონისძიებები შეგნებულად ტარდებოდა, რათა ოსები აყრილიყვნენ საქართველოს ტერიტორიიდან და ვლადიკავკაზში წასულიყვნენ.

რუსეთისგან თავსმოხვეული ქართულ-ოსური კონფლიქტის ფონზე მცირე უსიამოვნებაც კი, როგორც საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ასევე პანკისის ხეობაში მცხოვრებ ოსებშიც, დიდი ეჭვისა და აღშფოთების მიზეზი ხდებოდა.

გავიხსენოთ, განა ასეთივე უბედურება არ დაატყდა საქართველოს მთელ მოსახლეობას? თუნდაც მათ მეზობლად მცხოვრებ ქისტებსა და ქართველ მთიელებს. აღარსად ენთებოდა ელექტროსინათლე, არ იყო გაზი, არ ცხვებოდა პური. დაცარიელდა ბაზრები და მაღაზიები, დაიკეტა ფაბრიკა-ქარხნები, ინტელიგენცია არ იღებდა ხელფასს. ქვეყანა ქაოსში და ძარცვა-გლეჯამ მოიცვა. ერთადერთი კანონი იყო ტყვია. სამართალი იარაღის უღარუნითა და ტყვიების ზუზუნის თანხლებით ირჩეოდა.

სწორედ ამ მიზეზით და ეკონომიკური გაჭირვების გამო საქართველო დატოვა ასიათასობით მშრომელმა ადამიანმა და ბედის საძებნელად სხვადასხვა ქვეყნებს შეაფარა თავი.

პანკისის ხეობაში მოსახლეობა ძირითადად დასაქმებული იყო მევენახეობის მეურნეობაში, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გაუქმდა და გაპარტახდა. გაიძარცვა და დაინგრა ადგილობრივი ფერმები, სადაც მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი იყო დასაქმებული. რაიონის ფაბრიკა-ქარხნები გაჩერდა, რაიონულმა სანარმოებმა და ორგანიზაციებმა მუშაობა შეწყვიტეს, მოიშალა ინფრასტრუქტურა. ამდენად, პანკისის ხეობაში ხალხი უმუშევრი დარჩა. მოსახლეობის დიდ ნაწილს საკუთარი მეურნეობის აღსადგენად საჭირო თანხებიც არ აღმოაჩნდა.

სულ მალე პანკისის ხეობა დატოვა ქისტებისა და ოსების ნაწილმა. ქისტი მამაკაცები ჩეჩენეთ-ინგუშეთში სეზონურად მუშაობდნენ, ძირითადად მშენებლობაზე და იქ გამომუშავებული ხელფასით არჩენდნენ თავიანთ ოჯახებს პანკისში. ქისტებმა მეზობელ მატანსა და პანკისის ხეობის სოფლებში უმუშევრად დარჩენილ ქართველებსაც გაუმართეს ხელი და ბევრი მათგანი ჩეჩენეთ-ინგუშეთში დაასაქმეს.

პანკისელი ოსები კი, ძირითადად ახალგაზრდები, უკეთესი ცხოვრების მოსაწყობად ვლადიკავკაზში გადავიდნენ.

1995 წელს პანკისის ხეობის ოსურ სოფლებში: დუმასტურში, ქვემო ხალანანში, ნინუბანში, ქორეთსა და ზემო კუნახტაში – ჩვეულებრივ ცხოვრობდნენ ოსები. მართალია, მრავალი პანკისელი ოსი ვლადიკავკაზში იყო გადასული, მაგრამ მუდმივი საცხოვრებელი ბინა მათ ჯერ კიდევ პანკისში ჰქონდათ. 1998 წლამდე მიგრაციის მიზეზით პანკისის ოსურ სოფლებში სახლები

მასობრივად არ გაყიდულა, თუმცა მდგომარეობა იქ მაინც უნუ-  
გეშო იყო.

ზოგიერთ ოსურ სოფელში დაიხურა სკოლაც. მაგალითად,  
სოფელ ქორეთში დადუმდა რვაწლიანი სკოლა. სტადიონი, სა-  
იდანაც მოსწავლეთა აღტაცებული ყიჯინი ისმოდა, დღეს ღო-  
რების, ხბორებისა და ცხვრების საძოვრადაა გადაქცეული.  
ხანდარმა შთანთქა 200 ადგილიანი ქორეთის კლუბის შენობა,  
რომელიც გაწყობილი იყო უმაღლესი ხარისხის ინვენტარით,  
მასთან ერთად დაინვა სოფლის ბიბლიოთეკა, სადაც 7000 ცალი  
წიგნი, ძირითადად მხატვრული ლიტერატურა ინახებოდა. დალ-  
პა და მწყობრიდან გამოვიდა საექთნო პუნქტი თავისი ინვენ-  
ტარით. კერძო პირებზე გაიყიდა საბავშვო ბალის შენობა, წის-  
ქვილი და სახერხი ქარხანა. სოფლის მაღაზია მიჰყიდეს გერ-  
მანელ მღვდლებს, რომლებმაც იქ ახალი სამოციქულო კათო-  
ლიკური ეკლესია გახსნეს; განადგურდა რადიოქსელი; ნანილ-  
ნაწილ დაგლიჯეს და ბოძებიანად გაყიდეს ავტომატური ტელე-  
ფონის ხაზი, დალპა ელექტროქსელის ბოძები, მწყობრიდან გა-  
მოვიდა მაღალი ძაბვის ხაზი, რის გამოც თითქმის ათ წელზე მეტ  
ხანს სინათლე არ ჰქონდა სოფელ ქორეთს.

დაახლოებით იგივე პროცესები მიმდინარეობდა პანკისის  
ხეობის ქისტურ სოფლებში. სამუშაოს შოვნის მიზნით ჩეჩინეთ-  
ინგუშეთში ქისტების დროებითმა მიგრაციამ საყოველთაო ხა-  
სიათი მიიღო. მაგრამ 1994 წლის ნოემბერში რუსეთსა და ჩეჩ-  
ნეთს შორის დაწყებულმა ომმა პანკისელი ქისტების ცხოვრება  
არსებითად შეცვალა.

1995–1996 წლებში ჩეჩინეთმა პრეზიდენტ ჯოპარ დუდაევის  
მეთაურობით რუსეთთან ომში გარკვეულ წარმატებებს მიაღწია.  
1996 წლის აპრილში, მართალია, რუსეთმა შეძლო პრეზიდენტ  
ჯოპარ დუდაევის ფიზიკური ლიკვიდაცია, მაგრამ 1997 წლიდან  
ჩეჩინეთი ფაქტობრივად რუსეთისგან დამოუკიდებელ ქვეყნად  
მოიაზრებოდა. რუსეთმა ჩეჩინეთიდან გაიყვანა ყველა სამხედრო  
შენაერთი.

ჩეჩინეთში მიმდინარე სისხლისმღვრელ ბრძოლებს განსა-  
კუთრებით მწვავედ განიცდიდნენ პანკისელი ქისტები. ამ ომში  
მონაწილეობას იღებდნენ პანკისელი ქისტებიც. რუსეთ-ჩეჩ-  
ნეთის ომის ქარცეცხლი თითოეული პანკისელი ქისტის ოჯახში  
იგრძნობოდა. ჩეჩინეთის მიერ პირველ ომში მოპოვებულმა გა-

მარჯვებამ ეიფორიაში ჩააგდო როგორც ჩეჩენები, ასევე პანკისელი ქისტები. დროებით მიღწეულმა წარმატებებმა თავბრუდაახვია, სიცხიზლე დააკარგვინა თავისუფლებისმაძიებელ ვაინახებს.

1997 წლის იანვარში საყოველთაო არჩევნების გზით ჩეჩენეთის პრეზიდენტი გახდა ასლან მასხადოვი, რომელიც იმავე წლის ზაფხულში საქართველოსა და პანკისის ხეობას ესტუმრა.

ჩეჩენეთში თითქოს დადგა ნანატრი მშვიდობა, მაგრამ 1997 წლიდან ჩეჩენეთში განსაკუთრებით გაძლიერდა ისლამის რადიკალური მიმდინარეობა ვაჟაბიზმი. ის ახლო აღმოსავლეთის არაბული ქვეყნებიდან რუსეთ-ჩეჩენეთის ომში მონაწილე მუსლიმთა საბრძოლო ბრიგადებმა შემოიტანეს. ვაჟაბისტებს სურდათ ჩეჩენეთის გამოცხადება ისლამურ რესპუბლიკად და ქვეყნის შარიათის კანონებით მართვა, რასაც ნაწილობრივ მიაღწიეს კიდეც. ჩეჩენეთი შეუ საუკუნეებს დაუბრუნდა. ვაჟაბიზმი ჩეჩენეთში იმდენად გაძლიერდა, რომ პრეზიდენტი ასლან მასხადოვი 1998 წელს იძულებული გახდა, ანგარიში გაეწია მათი მოთხოვნებისთვის. მართალია, ჩეჩენეთი თითქმის სამი წლის მანძილზე რუსეთისგან დამოუკიდებელი იყო, მაგრამ ის სახელმწიფოდ მაინც ვერ ჩამოყალიბდა. 1997–1999 წლებში ჩეჩენეთი საყოველთაო არეულობამ დაქაოსმა წალეკა, რაც რუსეთის ფაქტორითაც იყო გამოწვეული. უკანონობამ, ქაოსმა და არეულობამ საქართველოს იმდროინდელი ხელისუფლების უუნარობითა და წაყრუებით ჩეჩენეთიდან პანკისში გადმოინაცვლა. იმ დროისათვის პანკისის ხეობაში უკვე დიდხალი საპრძოლო იარალი და ნარკოტიკი დაგროვდა. ხეობაში დაიწყო ადამიანებითა და ნარკოტიკებით ვაჭრობა. ექსპერტები ამ ყველაფერს პანკისში მოქმედ მსხვილ ისლამისტურ-ვაჟაბიტურ დაჯუფებებს და ამ დაჯუფებებთან მიტმასნილ კრიმინალებს მიაწერდნენ.

თუ 1998 წელს პანკისის ხეობაში თითოოროლა ვაჟაბისტი იყო, 1999 წლის ზაფხულში ის უკვე ორგანიზებულ დაჯგუფებას წარმოადგენდა. თავდაპირველად ვაჟაბიზმი დუისსა და ბირკიანში გავრცელდა, შემდეგ ის პანკისის ხეობის ყველა ქისტურ სოფელში გაბატონდა. განსაკუთრებით პოპულარული გახდა ეს მიმდინარეობა ახალგაზრდებში.

იმ ქვეყნებში, სადაც მკვეთრად იცვლება საზოგადოებრივი ფორმაცია, ხალხი ეძებს სხვა ალტერნატივას. ვაინახებში ეს ალტერნატივა ისლამური ფუნდამენტალიზმი აღმოჩნდა.

კავკასიელი ვაჰაბისტები ძირითადად აღიარებენ დოგმებს, რომლებიც ასახულია ყურანში, როგორც ალაპის სიტყვასა და, აგრეთვე, მუჰამედის გამონათქვამებში. ვაჰაბისტები მკვეთრად ილაშქრებენ ჩრდილოკავკასიელ მუსულმანებში და მკვიდრებული წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ. ვაჰაბისტები განსაკუთრებით უარყოფითად არიან განწყობილნი კავკასიურ წეს-ჩვეულებებთან შერწყმული ტრადიციული სუფიზმის მიმართ, აგრეთვე მთიელ მაჰმადიანებში გავრცელებულ წმინდანთა თაყვანისცემის კულტთან. შეიხთა თაყვანისცემას, წმინდა შეიხთა საფლავების მონახულებას და მრავალ სხვა ელემენტს ვაჰაბისტები კერპთაყვანისმცემლობად მიიჩნევენ. ვაჰაბისტები ურწმუნებაში დებენ ბრალს ყველა იმ მუსულმანს, რომლებიც არ იზიარებენ მათ შეხედულებებს.

ვაჰაბიზმის იდეოლოგები ჭეშმარიტ მუსულმანებს რწმენის-თვის ბრძოლისაკენ, ანუ ჯიჰადში მონაწილეობისაკენ მოუწოდებენ. მათი აზრით, ჯიჰადმა უკვე მიიღო ისლამის მტრების წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლის ფორმა. ვაჰაბიზმი ჩეჩენთსა და პანკისის ხეობაში რადიკალურ-ფუნდამენტალისტური იდეებითა და ელემენტებით შეივსრ.

ჩეჩენთში და შემდეგ პანკისის ხეობაში ვაჰაბისტები თემებად ანუ ჯამაათებად ტერიტორიული პრინციპით განაწილდნენ. თითოეულ თემს, ჯამაათს, სათავეში ედგა ემირი. ემირი იქ ხელმძღვანელობდა როგორც რელიგიურ, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებას. განსაკუთრებით ექსტრემისტულად განწყობილმა ვაჰაბისტებმა შექმნეს გასამხედროებული დაჯგუფებები.

1999 წელს ფართო მასშტაბით დაიწყო პანკისის ხეობის ე.ნ. „არაბიზაცია“, ადგილობრივი ქისტი ახალგაზრდობის მოქცევა ვაჰაბიზმის იდეოლოგიის გავლენის ქვეშ. პანკისის ხეობიდან ყოველწლიურად მიჰყავდათ ნიჭიერი მოსწავლეები საუდის არაბეთის ისლამისტურ სკოლებში, სადაც მათ შესანიშნავ ყოფით პირობებს უქმნიდნენ. უმუშევრად დარჩენილი ახალგაზრდობა კი შედიოდა ჩეჩენთის ისლამურ ფორმირებათა რიგებში, რომლებსაც, როგორც აღვნიშნეთ, ძირითადად იორდანიელი ხატაბი და ჩეჩენი შამილ ბასაევი ხელმძღვანელობდნენ.

სხვადასხვა ორგანიზაციები და ცალკეული პირები არაბული ქვეყნებიდან კერძო ფონდების საშუალებით მოქმედებდნენ და ვაჰაბისტებს აფინანსებდნენ, რის შედეგადაც პანკისის ხეობაში გაიზარდა მოსახლეობის, განსაკუთრებით ახალგაზრდობის, ლტოლვა ე.წ. „არაბიზაციისაკენ“. ზოგიერთებს იმის რწმენაც კი გაუჩნდათ, რომ ისინი, ვინც პანკისის ხეობაში ჩამოსულ არაბებს ხელით შეეხებოდნენ, ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე „შეაბიჯებდნენ“ სამოთხეში. ერთმა ქისტმა ახალგაზრდამ ჩემთან საუბარში გამოთქვა სურვილი, როგორმე დაემტკიცებინა თავისი გვარის არაბული წარმომავლობა.

პანკისში ვაჰაბისტები დაუპირისპირდნენ ტრადიციული ისლამის წარმომადგენლებს.

– ჩვენ უნდა მოგვისმინოთ, – უცხადებდნენ ვაჰაბისტები ტრადიციული ისლამის მიმდევრებს, – თქვენ, მოხუცებს, არ გაგეგხბათ ყურანისა და მუჰამედის გამონათქვამების მინშვნელობა, არ იცით არაბული ენა. ხოლო ჩვენ ისლამი არაბეთის უნივერსიტეტში შევისწავლეთ და ამიტომ უნდა დაგვემორჩილოთ.

სოფელ დუისში მოქმედებდა ერთი საუკუნის წინ აშენებული მეჩეთი, სადაც ტრადიციული ისლამის მიმდევარი ქისტები იკრიბებოდნენ და ლოცულობდნენ. ტრადიციული ისლამის მიმდევრებმა ვაჰაბისტებს ბრალი დასდეს უფროსების უპატივ-ცემულობაში და ისინი მეჩეთში არ შეუშვეს. თუმცა საზღვარგარეთის კერძო ფონდების საშუალებით ვაჰაბისტებმა პანკისის ხეობის სხვადასხვა სოფლებში 1999–2000 წლებში ოთხი ახალი მეჩეთი ააშენეს. მათ გახსნეს არაბულ-ისლამური კერძო სკოლები, რომლებშიც ვაჰაბიზმის დოგმატით ხდებოდა მომავალი თაობის აღზრდა.

1999 წლის სექტემბერში დაიწყო რუსეთ-ჩეჩენეთის ე.წ. მეორე ომი, რომელიც განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა. განუწყვეტელი დაბომბვების შედეგად ჩეჩენეთში განადგურდა ყველაფერი, რაც პირველი ომის ქარცეცხლს გადაურჩა. ყოველდღიურად უამრავი ადამიანი იღუპებოდა. მოსახლეობის დიდი ნაწილი ინგუშეთში გადავიდა, ნაწილიც არღუნის ხეობით საქართველოს საზღვარს მოადგა.

ზოგიერთი ცნობით, იმ დროისთვის პანკისის ხეობაში დევნილთა რაოდენობამ ადგილობრივ მოსახლეობას გადააჭარბა.

პანკისელმა ქისტებმა ჩვეული სტუმარმასპინძლობა გამოიჩინეს და დევნილი ჩეჩენები გულთბილად მიიღეს. სანამ დევნილთა ახალი ჯგუფი პანკისში ჩამოვიდოდა, ქისტები წინასწარ თანხმდებოდნენ, თუ ვის ოჯახში რამდენი ჩეჩენი უნდა მოეთავსებინათ. სოფელ ომალოში ერთმა ოჯახმა 50-მდე დევნილი შეითარა, ძირითადად ქალები და ბავშვები. სოფელ ჯოყოლოში ზაურ გუმაშვილმა თავის სახლში 18 ლტოლვილი მიიღო: ქალები, კაცები, მოხუცები, ბავშვები. ამას ემატებოდა მისი ოჯახის ხუთი წევრი. პანკისელი ქისტების თითქმის ყველა ოჯახში ცხოვრობდნენ ჩეჩენეთიდან დევნილები.

ჩეჩენმა დევნილებმა პანკისში შემოიტანეს თავიანთი წეს-ჩვეულებები და ადათები. აღმოჩნდა, რომ პანკისელი ქისტების ცხოვრების სტილი მკვეთრად განსხვავდებოდა ჩეჩენების ყოფის-გან. პანკისელი ქისტები კულტურის დონით ჩეჩენებზე გაცილებით მაღლა იდგნენ. მიუხედავად ამისა, ჩეჩენებმა ქისტებზე სერიოზული გავლენა მოახდინეს. პანკისის ხეობაში ჩეჩენი ლტოლვილების შემძეგ მაჰმადიანური რელიგია განსაკუთრებით განმტკიცდა და გაძლიერდა.

პანკისის ხეობის ქისტურ სოფლებში დღისით ქუჩებში უჩვეულოდ ბევრი ხალხი ირეოდა. 2000 წელს კიდევ უფრო გაიზარდა იქ თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობა. 2000 წლის ოქტომბერში კავკასიონზე რამდენიმე ათეული თუ უფრო მეტი შეიარაღებული „ბოევიკი“ გადმოვიდა. ხევსურეთიდან კი შეიარაღებულმა მებრძოლებმა თავისუფლად შეაღწიეს პანკისის ხეობაში.

სულ მაღლე მათ არაბი, თურქი, ავღანელი, პაკისტანელი და სხვა ქვეყნის მოჯაპედები დაემატენენ. პანკისში მრავლად იყვნენ მუსულმანური კერძო ფონდების წარმომადგენლებიც, რომლებიც ჯიპადს აფინანსებდნენ.

კრიმინალები საქონელს იტაცებდნენ ალვნიდან, თიანეთიდან, დუშეთიდან, უკანაფშავიდან, ლალისყურიდან, მატნიდან, ილტოს ხეობიდან და საიდან აღარ!

ქისტების სიტყვებით რომ ვთქვათ, პანკისი შუა საუკუნეების სტამბოლის მონათა ბაზარს დაემსგავსა. კრიმინალებს მძევლად აყვანილი ადამიანები ხეობაში შეჰყავდათ, ისინი ადამიანებს ყიდულობდნენ და ყიდიდნენ.

„ბოევიკებსა“ და მოჯაჭედებს პანკისის ხეობის ყველა კუთხში სასროლი პოლიგონები ჰქონდათ მოწყობილი, სადაც ისინი ყოველდღიურად ვარჯიშობდნენ, ისროდნენ, აფეთქებდნენ. ირგვლივ საშინელი, გამაყრუებელი კაკაფონია და გრუხუნი ისმოდა. წვრთნები მიმდინარეობდა არა მარტო ბანარაზე, ტოლოშასა და თორლვას ციხეზე, არამედ სოფლებშიც. სოლცა ქავთარაშვილის გადმოცემით, ერთხელ „ბოევიკები“ დუისიდან ალაზნის გაღმა, ხალაზნის მიმართულებით ნიშანში ესროდნენ. სოლცას ვერ მოუტმენია, მისულა მათთან და უთქვამს:

– რას აკეთებთ, ხალხო, ვინ ხართ, საიდან ხართ? სოფლები ტყეში შვინდსა და ზიმარტლს (ზღმარტლს) კრეფენ, სადუმიზნებთო?

ერთი „ბოევიკი“ წამოხტომია, ინგუში.

– შენ თვითონ ვინ ხარ, რა გინდაო? – უთქვამს უხეშად მოხუცისთვის.

– რაც მინდა, მე გიჩვენებო! – უპასუხია სოლცას და შეხლაშემოხლა დაწყებულა. ბოლოს შეუწყვეტიათ იქ სროლები.

სოფლებში უამრავი არაბი ირეოდა. პანკისელები გაოცებულები უყურებდნენ ჩალმებით თავდაბურულ, აღმოსავლურ ხალათებში გამოწყობილ წვერმოშვებულ უცხოელებს. ხეობაში მომრავლდნენ ჩადრიანი ქალებიც.

პანკისის მოსახლეობას თავი სიზმარში ეგონა. ხალხი აყრასა და სხვაგან გადასახლებას აპირებდა. შექმნილ ვითარებაში ყველაზე მძიმე მდგომარეობაში პანკისის ხეობაში მცხოვრები ოსები და ქართველი მთიელები აღმოჩნდნენ. მათ სოფლებში ძარცვა და ყაჩაღობა უკვე დღისით, მზისით, ყველას თვალწინ ხდებოდა. ოსებმა აყრა დაიწყეს პანკისის ხეობიდან, სადაც მათ ზუსტად ერთი საუკუნე იცხოვრეს. 2001 წელს ოსებისგან მთლიანად დაიცალა სოფელი ნინუბანი, სადაც ქისტები დასახლდნენ და ჩეჩენები დაბანავდნენ. ნინუბანში დაიდო ბინა ჩეჩენმა საველე მეთაურმა რუსლან გელაევმაც. ჩეჩენ ბოევიკთა მეორე ბაზა ქვემო ხალანანში განთავსდა. ქვემო ხალანანში ოსების ნაცხოვრებ სახლში დაბინავდნენ ჩეჩენეთიდან გადმოსული ძმები ახმადოვები, რომლებსაც ქისტები პანკისის ხეობაში არეულობისა და თავსდატეხილი უბედურების მიზეზად მიიჩნევდნენ. ოსების მესამე სოფელ დუმასტურშიც ბოევიკები ირეოდნენ.

1989 წლის მოსახლეობის აღნერის მიხედვით, სოფელ დუ-  
მასტურში ცხოვრობდა 304 სული, ყველა ეროვნებით ოსი. 2002  
წლისთვის დემოგრაფიული სიტუაცია საგრძნობლად შეიცვალა.  
სოფელში იყო 231 მოსახლე. მათ შორის 127 ოსი და 67 ქისტი.  
1989 წელს ქვემო ხალანანში ცხოვრობდა ოსი ეროვნების 204  
ადამიანი. 2002 წელს მოსახლეობა იქ უკვე საგრძნობლად იყო  
შემცირებული. ქვემო ხალანანში დაფიქსირდა 122 მცხოვრები.  
მათ შორის 92 ქისტი და 26 ოსი. წინუპანში, პანკისის ხეობის  
ყველაზე დიდ ოსურ სოფელში, 1989 წელს ცხოვრობდა 388  
სული, ყველა ეროვნებით ოსი. 2002 წლისთვის წინუპანში არც-  
ერთი ოსი აღარ დარჩა. იქ ცხოვრობდა 203 მოსახლე, ყველა ვა-  
ინახური წარმოშობის. ქისტ მოსახლეობაში შენარჩუნებული მა-  
ლალი შობადობაც ლოგიკურად იწვევდა დემოგრაფიული სიტუ-  
აციის ამგვარ ცვალებადობას.

ჩეჩენი „ბოევიკების“ შემოსვლა რუსეთის მხრიდან იყო პრო-  
ვოცირებული. არსებობდა ვერსია, რომ „ფეხსახეს“ სპეცგეგმით  
ხდებოდა პანკისის ხეობაში იარაღის უკონტროლო გადინება,  
რითაც იქ მიმოფანტული ჩეჩენები და არაბები შეაიარალეს. რო-  
გორც მოვლენების განვითარებამ ცხადყო, საქართველოს სპეც-  
სამსახურები ამისათვის მზად არ აღმოჩნდნენ. გაზეთმა „ალიამ“  
2001 წლის ნოემბერში პანკისის ხეობის ერთ-ერთი პატივცე-  
მული პირის ინტერვიუ გამოაქვეყნა, სადაც იგი რუსების მიერ  
შპიონების და პროვოკატორების შეგზავნაზე საუბრობდა. მო-  
სახლეობამ რამდენიმე პიროვნება დააკავა, რომლებიც წმინდა  
არაბულით საუბრობდნენ, გარეგნობითაც არაბებს ჰგვანდნენ,  
მაგრამ რუსები კი აღმოჩნდნენ [45].

სასო ხანგოშვილის ცნობით, პანკისის ხეობაში იყვნენ მო-  
ჯაპედებს ამოფარებული უცხოეთის დაზვერვის წარმომად-  
გენლები, რომელთა ნაწილიც შემდგომ გამოვლინდა ბოევიკების  
მიერ და ლიკვიდირებული იქნენ [121. 565].

საქმეში ჩახედულმა პირებმა კარგად იციან, რომ თვით  
გელაევმა, ბასაევმა და ბევრმა სხვა ჩეჩენმა საველე მეთაურმა  
საბრძოლო ნათლობა პოდმოსკოვიეს სასწავლო ბაზებში მიიღო,  
მერე რუსეთის თაოსნობით, ისინი აფხაზ სეპარატისტებთან  
ერთად საქართველოს მთლიანობის წინააღმდეგ იბრძოდნენ,  
ახლა კი მათი გამოყენება პანკისის ხეობაში სურდათ.

ჯიპადის მომხრე არაბებმა პანკისის ხეობაში 1999 წლიდან დაიწყეს თავმოყრა და ინტერნეტის საშუალებით აგროვებდნენ ჩეჩენეთის ომისთვის მოხალისეებს, რომლებიც პანკისის ხეობაში წვრთნის შემდეგ გადადიოდნენ „ისლამურ ბრიგადაში“. ქვემო ხალაწნის ქუჩებში, როცა იქ 2001 წლის 12 ნოემბერს ფოლკლორული ტექსტების ჩასაწერად ჩავედი, იარაღასხმული, კომუფლიაჟში გამოწყობილი წვერმოშვებული „ბოევიკები“ და მოჯაპედები ირეოდნენ, რომლებიც ცივი, უნდო და ეჭვიანი მზერით იყურებოდნენ. მათ შორის აღმოსავლურ-არაბული იერის მეომრებიც ირეოდნენ. ამბობენ, რომ იქ იყვნენ ზანგი მოჯაპედებიც. მართალია, ხალაწნაში ადრეც ვიყავი ნამყოფი, მაგრამ, როდესაც სოფელში შევედი, თავი უცხო და პირქუშ სახელმწიფოში ვიგრძენი. ქვემო ხალაწნის კულტურის სახლში ფოლკლორული ტექსტების ჩაწერის დროს „ბოევიკებმა“ და მოჯაპედებმა ჩვენზე თავდასხმა მოაწყვეს. ნაცნობმა ქისტებმა ხიფათი თავიდან აგვაცილეს.

საქართველოს სპეცსამსახურები ხეობაში ოპერაციის დაწყებას და „ბოევიკებთან“ შეტაკებას ერიდებოდნენ. ამ სიტუაციით კარგად ისარგებლეს კრიმინალებმა და თავიანთი მფარველების დახმარებით, იარაღისა და ადამიანთა გატაცების ბიზნესი მშვენივრად ააწყვეს.

ქორეთის მკვიდრი ვლადიმერ ბაგაური პანკისის ხეობაში შექმნილი მდგომარეობის გამო 2000 წელს დაუფარავად აკრიტიკებდა საქართველოს ხელისუფლებას: „ჯოჯოხეთს ერთი მუგუზზალი აკლდა და ისიც შეუკეთესო. ასე დამართა მთავრობამ პანკისის ხეობას. აქ შემოიყვანეს აუარებელი ლტოლვილები, ხოლო შემდეგ „ბოევიკთა“ რაზმები. ავტომატებით შეიარაღებული კრიმინალები დაძრნიან დღისით თუ ლამით ქუჩებში, მინდვრებში, ტყეებში და იტაცებენ, იპარავენ, ძარცვავენ ყველას და ყველაფერს. ისინი არ ერიდებიან არც დიდს, არც პატარას, არც მოხუცს, არც ახალგაზრდას, არც კაცს და არც ქალს. ადამიანებს მოუსპეს ცხოვრებისა და არსებობის საშუალება. ხალხს არა აქვს პენსია, არა აქვს ხელფასი და თუ ვინმე რამეს მოიქონიებს, ანდა იყოლიებს, სიკვდილის ბანდები იმასაც ართმევენ. არსაიდან საშველი არ არის. ამის გამოა, რომ ოსურ სოფლებში ხალხი აღარ დარჩა. აქ დარჩენილი ოსური მოსახ-

ლეობის 80% მოხუცები და შრომისუნარდაკარგულები შეადგენენ, რომელთაც შიმშილით სიკვდილი ემუქრებათ“.

პანკისის ხეობაში გახშირდა მკვლელობები. მკვლელობები ხდებოდა სულ უბრალო მიზეზითაც. მაგალითად, 2002 წლის 31 ივლისს, დილით, ლტოლვოლმა ინგუშმა დუისელი ტაქსის მძღოლის ბალაკაშვილის მანქანა დაიქირავა და ომალოში წაყვანა სთხოვა. მძღოლის თქმით, კლიენტს თან მოკლე ავტომატი ჰქონდა. იგი ძალიან ნერვიულობდა, ჩქარობდა და ბალაკაშვილსაც გამუდმებით აჩქარებდა.

დუისიდან ომალოში მიმავალმა მგზავრმა გზად ნაცნობი ჩეჩენები ნაიყვანა. ისინი გზაზე გამრეკელაშვილის მანქანას ნამოენივნენ. ბალაკაშვილმა გამრეკელაშვილის მანქანას გვერდი ვერ აუარა. ინგუში იგინებოდა: – რა არის, დამცინისო? შემდეგ ავტომატი ფანჯრიდან გადაყო და გამრეკელაშვილის მიმართულებით ისროლა. ტყვიამ უკანა ფანჯრის მინის ზედა კუთხეში გაიარა, თუნუქზე ასხლტა და გამრეკელაშვილს თავში მოხვდა. ჭრილობა საიკვდილო აღმოჩნდა და გამრეკელაშვილი ადგილზევე დაიღუპა...

პანკისში დაიწყო მრავალსაუკუნეგამოვლილი ქრისტიანული კულტურის ძეგლების ნგრევა. კრიმინალებმა ააფეთქეს ბალთაგორის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია, სადაც ხეობის მთელი მოსახლეობა აღდგომას ზეიმობდა, შეურაცხვეს ყვარელწყლის ხატსალოცავები, საძირკვლამდე მოანგრიეს ჭობიოსა და ბალთაგორის ხატის ნიშები, დააზიანეს ბირკიანის კვირაცხოვლის ხატის ნიში, მოსპეს შუა საუკუნეების ქრისტიანული კულტურის ძეგლი თორლვას ციხის კომპლექსში.

1999–2002 წლებში პანკისის ხეობაში გაიფურჩქნა ნარკობიზნესი. ნარკოტიკებით ვაჭრობამ მოიცვა არა მარტო ქისტური, არამედ პანკისის ხეობის ყველა სოფელი. ნარკოტიკები იყიდებოდა ყველგან: ქუჩაში, სკოლასთან, ბაზარში, ხიდთან, დღისით-მზისით, ნებისმიერ დროს. ნარკოტიკებს ყიდულობდნენ ლარით, დოლარით, რუსულ ფულზე, ნატურით და ნისიადაც! ვინც ვალსა და საფასურს ვერ იხდიდა, ის მძევლად მიჰყავდათ. ამის შემდეგ უკვე იწყებოდა ტყვეობა და ტყვეებით ვაჭრობა. იქ იყვნენ უდანაშაულო ტყვეებიც, რომლებსაც ფულის გამოძალვის მიზნით იტაცებდნენ.

2000 წლის აგვისტოში პანკისის ხეობაში გაიტაცეს მსოფლიო წითელი ჯვრის საზოგადოების თანამშრომლები, რომელთა შორის იყვნენ ქალებიც. საქართველოს ხელისუფლება და თვით ქვეყნის მაშინდელი პრეზიდენტი ძლიერ შეაშფოთა ამ გარემოებამ. უცხოელი მოქალაქეების მძღვლად აყვანა განსაკუთრებით უარყოფითად მოქმედებდა საქართველოს საერთაშორისო ავტორიტეტზე. ედუარდ შევარდნაძემ წერილითაც მიმართა პანკისის მოსახლეობას და ჩეჩენეთიდან ჩამოსულ დევნილებს, რომ ყველა ღონე ესმარათ მძღვლების გასათავისუფლებლად. ამჯერად კრიმინალები დათმობაზე წავიდნენ და საერთაშორისო ორგანიზაციის უცხოელი თანამშრომლები ტყვეობიდან გაათავისუფლეს.

ხელისუფლებამ დამნაშავეები არ დასაჯა. დაუსჯელობამ პანკისის ხეობაში ახალი ბიძგი მისცა ტყვეებით ვაჭრობას.

პანკისის ცნობილ ტყვეებს შორის ყველაზე მძიმე და ხანგრძლივი წამება დაატყდათ თავს ესპანელ ბიზნესმენებსა და ქართველ სასულიერო პირებს.

ესპანელი ბიზნესმენები ფრანცისკო როდრიგესი და ხოსე ანტონიო ტრუმინიო საქართველოში 2000 წელს გამოჩნდნენ. მაშინდელი პრესის მასალების მიხედვით, ისინი თბილისში მოქმედ ესპანურ-ქართულ კომერციულ ფირმა „გეომადერაში“ თანამშრომლობდნენ. ეს კომპანია ხე-ტყუითა და მარმარილოთი ვაჭრობდა. როდრიგესის თქმით, ვიღაცამ მას თბილისში 400-კარატიანი ბრილიანტებით მორთული, უნიკალური და უძველესი სამკაულის 250 ათას დოლარად შოვნა შესთავაზა. როდრიგესი დაარწმუნეს, რომ, მართალია, ფასი საეჭვოდ დაბალია, მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ, რომ არეული დროის გამო, საქართველოში „მრავალი ძვირფასი ნივთი იაფად იყიდება“. როდრიგესმა გარიგებაში მონაწილეობა ხოსე ანტონიო ტრუმინიოს დაავალა. ტრუმინიოს მადრიდში შვიდი საიუველირო მაღაზია ჰქონდა და ძვირფას ნივთებს მთელს მსოფლიოში დაეძებდა.

ბიზნესმენები საქართველოში ჩამოვიდნენ, თუმცა მათ თბილისში შეპირებული სამკაული არ დახვდათ. 2000 წლის 30 ნოემბერს ისინი აეროპორტის გზაზე, როგორც ამბობენ, ჩეჩენებმა გაიტაცეს და გამოსასყიდად შვიდი მილიონი დოლარი მოითხოვეს.

როგორც ფრანცისკო როდრიგესმა მოგვიანებით განაცხადა, მისი და ხოსე ანტონიო ტრუმინიოს გატაცება შეუძლებელი იქნებოდა, კომპანია „გეომადერას“ ერთ-ერთ პარტნიორს ისინი „ხაფანგში რომ არ მოემწყვდია“. რუსული პრესის („ნოვოე ვრემია“) მიხედვით, ბიზნესმენი მის ვინაობას არ ასახელებს, რადგანაც უშუალო მტკიცებულებები არ გააჩნია და მისი მხრიდან შურისძიების ეშინოდა.

ესპანელი ბიზნესმენების გატაცების გამო საქართველო ლა-მის ტერორისტული ქვეყნების შავ სიაში მოხვდა.

ფრანცისკო როდრიგესისა და ხოსე ანტონიო ტრუმინიოს გატაცებამ მთელი ესპანეთი ააწრიალა. ქართველმა ძალოვნებმა თითქოს ტყვეებს ვერ მიაგნეს და დახმარებისთვის პანკისელ ავტორიტეტს, ვეფხვია მარგოშვილს მიმართეს, რომელმაც განაცხადა, რომ გატაცებაში მონაწილეობას არ მიუღია და საქმეში არ ჩაერეოდა.

ესპანეთიდან ტყვეების საქმეზე ხშირად ჩამოდიოდნენ ოფიციალური თუ კერძო პირები. ისინი ტყვეების გამოსასყიდად ფულსაც იხდიდნენ. მაშინდელი პრესის მასალების მიხედვით, მათ გადაიხადეს 50000, ხან 300000 ამერიკული დოლარი, თუმცა, როგორც გაზეთები წერდნენ, ფული დანიშნულების ადგილზე, გამტაცებლებამდე ვერ აღწევდა.

გამტაცებლებს მძვლების საფასურად ფული სჭირდებოდათ და თავის დასაზღვევად ტყვეებს ადგილი შეუცვალეს. ისინი, როგორც ამბობენ, პანკისის ჩრდილოეთით, ბანარის ნაკრძალში სპეციალურად აშენებულ ქოში გადაუმალავთ.

2001 წლის 11 დეკემბერს გაზეთ „ალიაში“ პანკისში გატაცებული ესპანელების შესახებ საინტერესო სტატია გამოაქვეყნა თამარ ლომიშვილმა. თ. ლომიშვილის ცნობით, გამტაცებლებთან მოლაპარაკება ერთ ხანს ჩეჩენ საველე მეთაურ ბილოევს დაევალა. მოლაპარაკებების შემდეგ ტყვეების გამოსასყიდად ბილოევს პანკისელი ავტორიტეტებისთვის 2 მილიონი დოლარი უნდა ჩაებარებინა. ტყვეების გათავისუფლების ეს ცდა მარცხით დამთავრდა. შემდეგ, იმავე წყაროს ცნობით, ჩეჩენი ბიზნესმენი, შამსუდინი ანარმოებდა გამტაცებლებთან მოლაპარაკებებს. მას თურმე ისეთი შუამავლის პოვნა დაევალა, რომელიც ტყვეებს ნაკლებ თანხაში გამოისყიდიდა. ამით გარკვეული წრე დაინტე-

რესდა, რათა ტყვეების გამოსახსნელი ფულიდან თვითონაც მეტი დარჩენოდა [44].

გამტაცებლებმა ეს გეგმა გაშიფრეს. ზოგიერთი ცნობით, გატაცებულ ესპანელებს საქართველოს სპეცსამსახურის ყოფილი თანამშრომელი, ერთ-ერთი პანკისელი ავტორიტეტი კარგა ხანს ინახავდა. მან გატაცებულთა ოჯახის მხრიდან ტყვეების გამოსახსნელად გადახდილი თანხიდან მიზერი მიიღო. გაზეთ „ალიას“ ცნობით, განაწყენებულმა ავტორიტეტმა ესპანელები ჩეჩინებს 800000 დოლარად მიჰყიდა [44]. დაიწყო ხელახალი წრიალი, საქმე კარუსელივით ტრიალებდა. სიტუაციის მართვა ჩეჩინებმა დაიწყეს. დრო გადიოდა. ესპანელები კვლავ მძიმე ტყვეობაში რჩებოდნენ. როცა ბიზნესმენების გათავისუფლებაზე ლამის ყველამ ხელი ჩაიქნია, საქმეში ფრანცისკო როდ-რიგესის მეუღლე როსა მარკონა ჩაერთო. მან ესპანეთისა და საქართველოს ხელისუფლება „უმოქმედობასა და არაკომპეტენტურობაში“ დაადანაშაულა. ამის შემდეგ მადრიდში მას უმაღლესი დონის მიღება მოუწყვეს. თბილისში ესპანელმა მაღალ-ჩინოსნებმა სიარულს მოუხშირეს. თავად როსა მარკონა საქართველოში არაერთხელ ჩამოვიდა და გამტაცებლებთან პირდაპირ მოლაპარაკებებსაც არ შეუშინდა.

გამტაცებლებმა როდრიგესის ცოლს შეუთვალეს: „თქვენ მიერ გადახდილი თანხა ვიღაცამ შეჭამა და თუ მილიონ დოლარს არ გადაიხდით, ამათ თავებს გამოგიგზავნითო.“

როსა მარკონამ უპასუხა: – ჩემი ქმარი და მისი კომპანიონი არც ისე მდიდრები არიან, როგორც თქვენ მიიჩნევთო.

იმ დროს პანკისის ხეობაში რამდენიმე გახმაურებული მკვლელობა მოხდა (2001 წლის 16 ოქტომბერს ვეფხია მარგოშვილის აფეთქება). პანკისში კრიმინალურ დაჯგუფებებს შორის სიტუაცია საგრძნობლად დაიძაბა.

ფრანცისკო როდრიგეს კაბალმა და ხოსე ანტონიო ტრუმინიო გომესმა ერთ წელზე მეტი ტყვეობაში გაატარეს. ისინი პანკისის ხეობაში მძევლებად იმყოფებოდნენ 2000 წლის 30 ნოემბრიდან 2001 წლის 8 დეკემბრამდე.

როსა მარკონასა და გატაცებულთა სხვა ნათესავების განცხადებით, ფრანცისკო როდრიგესისა და ხოსე ტრუმინიოს შინ დაბრუნებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა თბილისში ესპანეთის საპატიო კონსულმა მარიამ ბაგრატიონმა, იგივე მარია პას

ბაგრატიონ დე ბავიერა-ი-ბორბონმა. მარიამ ბაგრატიონი ესპანეთის ამჟამინდელი მეფის ხუან კარლოსის დედაა. ის საქართველოს ბოლო მეფის უშუალო მემკვიდრის, ირაკლი ბაგრატიონის ქალიშვილია. რუსულ გაზეთ „ნოვოე ვრემიას“ ცნობით, „მარიამ ბაგრატიონმა მძევლების გასათავისუფლებლად მთელი თავისი კავშირები და გავლენა გამოიყენა და საქმეც წარმატებით დააგვირგვინა. ესპანელი ტყვეებიც სწორედ მას უმადლიან გათავისუფლებას“.

გათავისუფლებიდან 9 დღის შემდეგ, 2001 წლის 17 დეკემბერს, მადრიდში ყოფილი მძევლები ესპანეთის უშიშროებისა და შინაგან საქმეთა მინისტრების თანდასწრებით ესპანელმა გამომძიებელმა დაკითხა. ყოფილმა მძევალმა თავის ჩვენებაში ასე დაახასიათა მაშინდელი პანკისის ხეობა: „პანკისი სხვა ქვეყანაა, რომელსაც არ ჰყავს არც პრეზიდენტი და არც სხვა მმართველი. პანკისში არიან მუსულმანები, ქართველი ბანდიტები, აზერბაიჯანელები, ქისტები, ჩეჩენები და სხვები. იქ, სადაც ჩვენ ვიმყოფებოდით, ნარკოტიკებს ამზადებდნენ... იარაღში ცვლიდნენ. დანამდვილებით ვიცით, რომ პანკისის ხეობაში კარგად ორგანიზებული მაფია მოქმედებს, ჩეხენი გამტაცებლები ამ ორგანიზაციის რიგითი წევრები იყვნენ“ [103].

ფრანცისკო როდრიგესსა და ხოსე ანტონიო ტრუმინიოს ეს თავისუფლება, ტყვეობაში გატარებული ტანჯვა-წამების გარდა, როგორც ჩანს, დიდძალი თანხაც დაუჯდათ.

ჯერ კიდევ ესპანელი ბიზნესმენები ტყვეობიდან გათავისუფლებულნი არ იყვნენ, როცა 2001 წლის ნოემბერში თუშეთში განდეგილად მცხოვრები ქართველი ბერები პანკისის ხეობაში გაიტაცეს და გამტაცებლებმა მათ გასათავისუფლებლად 2 მილიონი დოლარი მოითხოვეს. ქართველი სასულიერო პირების გატაცება პანკისის ხეობაში 1999–2002 წლების კრიმინალურ ისტორიებს შორის ყველაზე აღმაშფოთებელი მოვლენა იყო. ადამიანებით ვაჭრობა იქ უკვე ყოველგვარ ზღვარს გადასცდა. სასულიერო პირების გატაცებამ მოსახლეობა განსაკუთრებით შეაშფოთა. განრისხებულები ხელისუფლებისგან შეიარაღებას და კრიმინალების მიმართ შურისძიებას მოითხოვდნენ. აღელვებული მოსახლეობა ძალოვნებმა დააწყნარეს, გატაცებულების პოვნას და გამტაცებელთა დასჯას დაპირდნენ.

პანკისში გატაცებული სასულიერო პირების სკანდალური თავგადასავალი 1997 წელს დაიწყო, როცა მათ ეკლესიის მსოფლიო საბჭოდან საქართველოს საპატრიარქოს გამოსვლა მოითხოვეს. ეკლესიიდან განდეგილები სხვადასხვა ჯგუფებად დაიყვნენ, საქართველოს სხვადასხვა კუთხეს მიაშურეს და სამონასტრო ცხოვრება დაიწყეს. თ. ლომიშვილის ცნობით, „პანკისში გატაცებულ განდეგილთა ეს ჯგუფი ოთხი სასულიერო პირისგან შედგებოდა: მამა ბასილი (მაჩიტაძე), მამა კახბიევი-ხაჩიძე, მორჩილები – ქავთარაშვილი და თელაველი, რომლის სახელი და გვარი უცნობია“ [43]. ისინი, როგორც ამბობენ, განდეგილთა სხვა ჯგუფისგან განსხვავებით, საპატრიარქოს კრიტიკას უფრო მოკრძალებულნი იყვნენ და ეკლესიასთვის მათ პატრიარქისთვის პატიებაც უთხოვნიათ, მაგრამ, როგორც ჩანს, სასულიერო პირებმა მაინც განცალკევებით ყოფნა ამჯობინეს.

განდეგილ ბერებს სამონასტრო მოღვაწეობისთვის თუშეთი, კერძოდ საჯიხევის მთა აურჩევიათ. იქ, მთის კლდოვან ფერ-დობზე, პატარა გამოქვაბული უფრო ღრმად გამოუთხრიათ, კლდეში ოთახები გაუკეთებიათ და სამონასტრო ცხოვრება დაუწყვიათ. როგორც თ. ლომიშვილი გაზირ „ალიაში“ იუწყება, „განდეგილები ჩვეულებრივი მონასტრული ცხოვრებით ცხოვრობდნენ, ლოცულობდნენ და მარხულობდნენ. თავს მინათმოქმედებით ირჩენდნენ. განდეგილებმა საჯიხევის მთა ერთი მითიური ამბის გამო აირჩიეს. თურმე, დღესაც, მიუვალ, საკრალურ ადგილზე სიკვდილის წინ ჯიხვები მიდიან და სიცოცხლის უკანასკნელ წუთებს იქ ატარებენ. მონასტერი მიუდგომელია. იქ მხოლოდ მონადირეები და ბილიკზე გამვლელები თუ მოხვდებოდნენ. განდეგილებთან ხშირად სტუმრობდნენ ქისტები, ჩეჩები და თუშები. სასულიერო პირები ხალხს ეხმარებოდნენ და მოსახლეობაშიც დიდი პატივისცემით სარგებლობდნენ.“

ერთ ზამთარს განდეგილებს 16 გაყინული ჩეჩენი მიადგა. სიცივისგან გათოშილები გაათბეს და დააპურეს. ერთმა განდეგილებს უთხრა, რომ გზაზე გაყინული ძმა დატოვა, რადგან ეგონა, სიცივისგან გარდაიცვალა და დაუძლურებულმა მისი ტარება ველარ შეძლო. განდეგილებმა მიტოვებული ჩეჩინის ძებნა დაიწყეს. როგორც იქნა, თოვლში გონდაკარგული ლტოლვილი

იპოვეს, გამოქვაბულში წაიყვანეს, უმკურნალეს და სიკვდილს გადაარჩინეს [43].

ბერები მოიტაცეს 2001 წლის ნოემბრის დამდეგს, ყოველ შემთხვევაში 2001 წლის 15 ნოემბერს, როდესაც საჯიხოის მთის ფერდობზე მდებარე მონასტერში ბერების ახლობლები მათ სანახავად ჩავიდნენ, განდეგილად მცხოვრები სასულიერო პირები იქ არ დახვედრიათ.

როგორც ამბობენ, ბერები მოიტაცეს მათთვის სრულიად უცნობმა პირებმა, თვალახვეული ატარებს მანქანებით, ყველანი ერთ ოთახში ჰყავდათ დატყვევებული, თვალებახვეულებს აჭ-მევდნენ პურს და ასმევდნენ წყალს.

ფაქტია, გამტაცებლები ბერების გამოსასყიდ ფულს ითხოვ-დნენ. მათ გამოსასყიდი ფული საპატრიარქოსთვის არ მოუთ-ხოვიათ. თუმცა საპატრიარქოს შესაძლებლობაც რომ ჰქონოდა, ალბათ ამ ფულს არ გადაიხდიდა, რადგან გამოსასყიდის გადახდის შემთხვევაში კრიმინალები საქართველოში დაერეოდნენ სასული-ერო პირებს და მოიტაცებდნენ. თანაც გატაცებული ბერები ფაქ-ტობრივად საპატრიარქოდან გამდგარნი იყვნენ.

2001 წლის 3 დეკემბერს გატაცებული ოთხი სასულიერო პირიდან სამი გაათავისუფლეს იმ პირობით, რომ მძევლად და-ტოვებული მამა ბასილის (მაჩიტაძის) დასახსნელად მისი ახ-ლობლები, ნათესავები და მრევლი კრიმინალებს 2 მილიონ დო-ლარს გადაუხდიდნენ. ნარმოუდგენელია, კრიმინალებს არ ცოდ-ნოდათ, რომ 2 მილიონს ვერავინ გადაიხდიდა მოტაცებული ბერების გამოსახსნელად.

გამტაცებლებმა მამა ბასილის გამოსახსნელი თანხის მი-ტანის უკანასკნელ ვადად 2001 წლის 3 დეკემბერი, ორშაბათი დღე დაუთქვეს. რა თქმა უნდა, ვერც მრევლმა და ვერც ახ-ლობლებმა ამ თანხის შეგროვება ვერ შეძლეს.

მიუხედავად იმისა, რომ პანკისის ხეობიდან მოტაცებული ბერები საპატრიარქოსგან განდგომილი იყვნენ, ქართული ეკ-ლესია მათ მაინც საკუთარ ძმებად და ეკლესის ნაწილად მოიაზრებდა. ია დანელიას ცნობით, 2001 წლის დეკემბრის დამ-დეგს „სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ის დავალებით პანკისის ხეობაში მოლაპარაკებებზე მამა ტა-რიელი და მამა ექვთიმე მიავლინეს“ [25].

მამა ექვთიმე და მამა ტარიელი სიტუაციის გასაცნობად თელავში, ომალოსა და ახმეტაში ჩასულან. საუბარიც ჰქონიათ იქაურ ავტორიტეტებთან. მათი აზრით, სამართალდამცველები ყველაზე ნაკლებად ფლობდნენ სიტუაციას, ხოლო გამტაცებელთა პირობები, მიზნები და ამოცანები სრულიად გაურკვეველი რჩებოდა. საბოლოოდ საპატრიარქოს ჩარევამ, ტყვეობიდან გაეთავისუფლებინათ მამა ბასილ მაჩიტაძე, შედეგი არ გამოიღო.

იმ პერიოდში განდეგილი სასულიერო პირების გატაცების შესახებ საქართველოში უამრავი ჭორი გავრცელდა. ქართული საზოგადოებრიობისთვის ბოლომდე უცნობი დარჩა ეს ფატალური ისტორია, რა მოხდა სინამდვილეში?

უფრო დიდი აუიოტაჟი მოჰყვა 2002 წლის 18 ივნისს ინგლისელი ბანკირის პიტერ შოუს გატაცებას. საზღვარგარეთის პრესამ მეორე დღესვე საქართველოს განგსტერების ქვეყანა უწოდა. პიტერ შოუ თბილისში 1996 წელს ჩამოვიდა. ის ევროკავშირის პროექტის მმართველი იყო. მოგვიანებით მან თავად ჩამოაყალიბა „აგრო ბიზნეს ბანკი“, რომლის პრეზიდენტიც თვითონ გახდა. 2002 წლის 19 ივნისს პიტერ შოუს საქართველო უწდა დაეტოვებინა, თუმცა 18 ივნისს თავდასხმელებმა ის თბილისიდან, კერძოდ იოსებიძის ქუჩიდან გაიტაცეს.

პიტერ შოუ 2002 წლის ნოემბერში გაათავისუფლეს ტყვეობიდან. „ტყვეობის დროს, – იგონებს პიტერ შოუ, – ორმოში ვიჯექი და ჯაჭვით ვიყავი დაბმული. გადაადგილების დროსაც ჯაჭვით გადავყავდი... ჩემი გათავისუფლების დღეს ოთხი კაცი მოვიდა. გამიყვანეს პატარა გზაზე. დავინახე, რომ ერთ-ერთმა მათგანმა იარაღი ამოიღო და სროლა დაიწყო. ერთ-ერთი დაეცა, ხოლო სამი გაიქცა. დაახლობით ნახევარი საათი ბუჩქებში ვიყავი დამალული. შემდეგ ვისაც ესროლეს, იმას მივუახლოვდი და ვნახე, რომ მკვდარი იყო. საშინელი შიში დამეუფლა. გავიქეცი. საოცრად დავიბენი. საით მივდიოდი, არ ვიცოდი. შემდეგ შუქნიშანი დავინახე და იქით ნავედი... ქართველი ჯარისკაცების ბანაკში აღმოვჩნდი... პირადად გამტაცებლებს ჩემთვის მოხსოვნები არ ნაუყენებიათ. ალბათ, გამოსასყიდი უნდოდათ, თუმცა ეს ჩემთვის არავის უთქვამს“ [48].

პანკისის ქისტურ სოფლებში ყოველი კვირის ბოლოს უხუცესთა საბჭოს ინიციატივით ხეობის საჭირობოროტო საკითხებზე ყრილობა იმართებოდა. უხუცესთა საბჭო პანკისის ხეობაში

კომუნისტური მმართველობის დროსაც და მანამდეც არსებობდა, მაგრამ ის უფრო გააქტიურდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, როცა სახელმწიფოს იურისდიქცია ხეობაში შესუსტდა. 2000–2004 წლებში უხუცესთა საბჭოს ხელმძღვანელობდა სულეიმან გუმაშვილი, მის მოადგილედ კი დაინიშნა სოლცა ქავთარაშვილი.

ქისტი უხუცესების ინიციატივით პანკისში ჩამოყალიბდა 150-კაციანი სახალხო რაზმი. თითოეულ გვარს უნდა გამოეყვანა 5–5 კაცი, რომლებიც ლამით იმორიგეობდნენ. თავდაპირველად ეფექტური იყო მათი მორიგეობა, მაგრამ მაღლე სახალხო რაზმელებიც გაურიგდნენ კრიმინალებს და ზოგიერთები ბანდიტებსაც შეეკვრნენ. როდესაც უხუცესები ლამით მათ შესამოწმებლად მიდიოდნენ, მორიგეები ერთმანეთს მობილური ტელეფონების საშუალებით ატყობინებდნენ და კრიმინალები ადგილს იცვლიდნენ. ქურდობა და ნარკოტიკებით ვაჭრობა კვლავ გრძელდებოდა. ერთი სიტყვით, ამ რაზმმა შედეგი არ გამოიღო. ბოლოს უხუცესებს ყველაზე ერთგული და სანდო ახალგაზრდებისგან 25-კაციანი მობილური ჯგუფი შეუქმნიათ და ამ რაზმის საშუალებით ცდილობდნენ წესრიგის აღდგენას. მათ ხელმძღვანელობას უწევდა უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე სოლცა ქავთარაშვილი.

სოლცა ქავთარაშვილმა ერთ დუისელ ახალგაზრდას თიანეთიდან მოპარული 16 სული ძროხა ჩამოართვა, რათა ნამდვილი პატრონისთვის დაებრუნებინა. განაწყენებულ ახალგაზრდას ჩხუბი დაუწყვია სოლცასთვის და უთქვამს:

– მოპარულ საქონელში ფული მქონდა გადახდილიო.

მან დღისით-მზისით დუისში, შარაგზაზე, ხალხის თვალწინ, საკუთარ მანქანაში რევოლვერი ესროლა სოლცას. მოხუცს საბედნიეროდ ტყვია ასცდა. შემდეგ ხალხი მისულა სოლცასთან, მუხლმოდრეკით უთხოვნიათ:

– აპატიე, ნასვამი იყოო.

უხუცესები კრიმინალებს ურჩევდნენ:

– შეემვით ქურდობასა და ნარკოტიკებით ვაჭრობას, თორემ ბოლოს ნახავთ, ცხვირპირიდან ძმრად ამოგადენენო.

უცხოელ ბოევიკებს ტრაქტორით რადიოდანადგარი აუტანიათ ქვემო ხალანის მთაზე დასამონტაჟებლად. სოლცას მთელი სოფელი გამოუყვანია და რადიოგადამცემი დაუშლევინებია.

ბოლოს მეგობრებს შეუთვლიათ სოლცასთვის:

– სოლცა, თავი დაანებე ბრძოლას! გვეცოდები. გაბედულად რომ იქცევი, ოჯახს აგინიოკებენ, ოჯახის ცოდვაში ნუ ჩადგები, კრიმინალები უკან დაგდევენ, გითვალთვალებენო.

2001 წლის 27 ნოემბერს, 21 საათსა და 50 წუთზე, რუსეთმა პანკისის ხეობის დაბომბვა დაიწყო. პირველი იერიში დაახლოებით 15 წუთი გაგრძელდა. დაბომბვა 22 საათსა და 15 წუთზე კვლავ განახლდა. ოფიციალური წყაროს ცნობით, პანკის „სუ-25“ ტიპის თვითმფრინავები ბომბავდნენ. ოთხი საათის განმავლობაში თვითმფრინავებმა და შვეულმფრენებმა პანკის, ხეობის დასახლებული პუნქტების მიმდებარე მთებსა და საძოვრებს 5-ჯერ შეუტიერ.

პანკისში გამაყრუებელი აფეთქებების ხმა ისმოდა, აფეთქებებისას ცა ნათდებოდა. მთელი ხეობა შავ კვამლში გაეხვია. პანკისში რუსეთის დესანტის გადმოსხმას წუთი წუთზე ელოდებოდნენ. ხეობის ქისტური სოფლების მოსახლეობამ დუისში იწყო თავმოყრა და შეიარაღება. შეიკრიბა ყველა, დიდი თუ პატარა, ქისტები და ჩეჩენი ლტოლვილებიც. ბავშვები იარაღის საშოვნელად გარბოდნენ და მამაკაცებს უერთდებოდნენ.

მთელი ხეობა პანკიამ მოიცვა. მოულოდნელად ხმა გავარდა, რომ რუსები პანკისის სოფლებს დილის ხუთი საათისთვის შეუტევდნენ. უხუცესებმა სოფლებში ხალხი დაგზავნეს და ყველანი გააფრთხილეს. ქალებმა, ბავშვებმა და მოხუცებმა ხეობის დატოვება დაიწყეს.

საბედნიეროდ, იმ დროს პანკისის ხეობის სოფლებს ელექტროენერგია არ მიეწოდებოდა. სინათლის შემთხვევაში ალბათ სოფლები თვითმფრინავების სამიზნე გახდებოდა. ძირითადად ტბათანის მიდამოები დაიბომბა. მაშინ მთებზე უკვე დიდი თოვლი იდო და იქ აღარავინ იმყოფებოდა. ამჯერად პანკისის ხეობის შემოგარენის დაბომბვა უმსხვერპლოდ დასრულდა.

პანკისის ხეობაში ცხოვრება გაუსაძლისი გახდა. სოფელი მაღლოს თავკაცი ვისერგი ალხანაშვილი აღშფოთებული აცხადებდა: „ვერ გაგვიგია, ჩეენ საქართველოს არ ვეკუთვნით? პანკისი ხელისუფლებისთვის საქართველოს ტერიტორია არ არის? ჩვენ საქართველოს მოქალაქეები არ ვართ? ჩვენ აფხაზებივით და ოსებივით დამოუკიდებლობას და საქართველოსგან გამოყოფას ხომ არ მოვითხოვთ? ჩვენ მოვითხოვთ, რომ არ მოგვწყვი-

ტოს ხელისუფლებამ საქართველოს! ჩვენ ქართველებთან ერთად ცხოვრება გვინდა და არავისთან შეკედლება არ გვჭირდება!“ [42].

უკვე მთელი მსოფლიოსთვის გახდა ცნობილი, რომ პანკისის ხეობაში თავს აფარებდნენ რუსეთის მიერ ტერორისტებად მონათლული ჩეჩენი „ბოევიკები“ და არაბი მოჯაპედები. ვისერგი ალბანაშვილის ცნობით, „ვაჰაბიტებს და არაბებს დიდი დაფინანსება, დიდი ფული აქვთ. შემოაქვთ ჰუმანიტარული დახმარებები, ტანისამოსი, საკვები და ამით მშიერ ხალხს ყიდულობენ. არაბებმა ყველა სოფელში დაიქირავეს სახლები და არაბული სკოლები გახსნეს მუსლიმანური ცოდნის შეძენის საბაბით. ბავშვებს დაურიგეს ტანისაცმელი, წიგნები, რვეულები. სკოლებს მისცეს სკამები, მაგიდები, ყველაფერი უფასოდ. წარმოიდგინეთ, გაჭირვებულმა ხალხმა შვილები გამოიყვანა ქართული სკოლიდან და არაბულ სკოლაში შეიყვანა. უჭირს ხალხს და სადაც ნაკლები ხარჯი ნახა, ბავშვიც იქ მიაბარა. მერე კიდევ, გოგონებს არაბული წესით ჩადრი ჩამოაფარებინეს. ბავშვებს მარტო თვალები უჩანთ. რომ დაინახოთ, რას გვანან, შეგეშინდებათ. არაბეთში ჩადრით იმიტომ დადიან ქალები, რომ მზემ არ დაუწვათ სახე. აქ რა საჭიროა ჩადრი? დაამახინჯეს ბავშვები. ვინ არის ჩვენი მშველელი და გადამრჩენი? შველა გვჭირდება, ქართული ენა წაგვართვეს. რაც შეეხება ვაჰაბისტებს, ისინი აშენებენ უზარმაზარ მეჩეთებს. არავის არაფერს ეკითხებიან, არც კანონი აინტერესებთ, არც არაფერი. ჩვენ მეჩეთების აშენების წინააღმდეგი ვართ. მერე რა, რომ მუსლიმანები ვართ? რა საჭიროა ამდენი სასახლესავით მეჩეთი? ჩვენი წინაპრები ქრისტიანები იყვნენ და ჩვენც ქრისტიანულ დღესასწაულებს აღვნიშნავთ... გვართმევენ ქართულ ენას, ქართულ სარწმუნოებას და გვიშველეთ!“ [42].

2002 წლის აგვისტოში რუსეთმა კვლავ განაახლა პანკისის შემოგარენის დაბომბვა. 5 აგვისტოს რუსეთის მიერ განხორციელებული დაბომბვის პარალელურად პუტინის ხელისუფლება პანკისის ხეობაში სპეცოპერაციის ჩატარებისა და საქართველოს ტერორისტებისგან განმენდის ექსკლუზიურ უფლებას მოიხსოვდა. რუსეთის მთავარსარდლობამ საქართველოს ტერიტორიაზე შემოსაჭრელად მზადებაც დაიწყო.

10 აგვისტოს რუსეთმა საქართველოს დაბომბვა განაგრძო. ცხინვალის მხრიდან შემოწრენილი რუსეთის სამხედრო თვითმფრინავების სამიზნე კვლავ პანკისის ხეობის მიმდებარე ტერიტორიები გახდა. პუტინის თანაშემწე აცხადებდა, რომ პანკისის ხეობა რუსეთის უსაფრთხოებისთვის საშიშროებას წარმოადგენდა. რუსეთი კვლავაც გამოხატავდა პანკისში შეჭრის სურვილს. პრეზიდენტმა პუტინმა საქართველოს მთვრობა ჩეჩენი „ბოევიკების“ საზღვარზე გატარების გამო გააკრიტიკა, თუმცა ეს მებრძოლები თავის დროზე რუსეთის ხელშეწყობით გადმოვიდნენ საქართველოში. რუსეთის პრეზიდენტმა მამაცობისთვის ორდენით ის მწყემსი დაჯილდოვა, რომელმაც მათ მესაზღვრეულს საქართველოს საზღვრიდან ჩეჩენების გადასვლა შეატყობინა.

23 აგვისტოს, გამთენისას, 5 საათსა და 15 წუთზე, რუსეთმა ილტოსა და პანარის ხეობების დაბომბვა დაიწყო. დაბომბვა 45 წუთს გრძელდებოდა. აფეთქებების ცეცხლი ახმეტაშიც მოჩანდა, ხოლო გრუსუნი თელავშიც ისმოდა. პანკისა და შიშის დასათესად, როცა ხალხს მშვიდად ეძინა, რუსეთმა მოულოდნელი თავდასხმა განახორციელა. ილტოს ხეობის ზემო წელზე მდებარე პატარა სოფელ ბუხრებში დაბომბვას მოჰყვა მსხვერპლიც. თვითმფრინავებმა იქ რიყეზე მიმავალ ორ „ზილს“ შეუტიეს. ამ ავტომობილებით გურამ ოტიაშვილი, მისი შვილი და შვილიშვილები სოფელ მატნიდან ილტოს ხეობის სიღრმეში შეშის საჭრელად მიდიოდნენ. პირველი თუ მეორე აფეთქების ტალღამ მანქანების საქარე მინები ჩამოტვრია და სალონში მსხდომნი დააშავა. ოტიაშვილები მანქანიდან ჩამოხტნენ და ირგვლივ გარშემორტყმულ ჭალაში გაუჩინარდნენ. საუბედუროდ, მათ შორის უხუცესი, გურამ ოტიაშვილი, მოულოდნელობისაგან დაიბნა და „ზილის“ ქვეშ შეძვრა. მორიგი 500 კილოგრამის საავიაციო ბომბი მანქანიდან ათ მეტრში აფეთქდა. მოხუცი პაერის ტალღასა და ცეცხლის მოქმედების არეში მოხვდა. იგი დაიღუპა. გურამ ოტიაშვილმა, სამწუხაროდ, არ იცოდა, რომ თავდამსხმელების სამიზნე სწორედ სატვირთო მანქანები იყვნენ. რუს მფრინავებს ისინი აღბათ ილტოს ხეობაში თავმოყრილი ჩეჩენი მებრძოლების კუთვნილება ეგონათ და მათ განადგურებას ცდილობდნენ.

პანკისის უხუცესთა საბჭო და ადგილობრივი მშვიდობიანი მოსახლეობა უკვე დაუინებით მოითხოვდა ხეობაში საქართველოს შინაგანი ჯარების შეყვანას.

2002 წლის 25 აგვისტოს საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ პანკისის ხეობის გარშემო ოფიციალურად დაიწყო სამეთაურო-საშტაბო სწავლებები „კახეთი 2002“, ხოლო შინაგანი ჯარები ხეობის სიღრმეში განლაგდნენ. 25 აგვისტოს რომ არ დაწყებულიყო პანკისში შინაგანი ჯარების ქვედანაყოფების გადანაცვლება, შეიძლება მოსკოვს ხეობაში მნიშვნელოვანი ტაქტიკური დესანტი გადაესხა.

პანკისის კრიზისთან დაკავშირებით 2002 წლის 26 აგვისტოს საქართველოს ამერიკის შეერთებული შტატებიდან სენატორები ჯონ მაკეინი და ფრედ ტომოფსონი ესტუმრნენ. მეორე დღეს, 27 აგვისტოს თბილისში ჩამოვიდა ევროპაში ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის მოადგილე დიტერ შტოკმანი. სტუმრებმა მოსკოვის გასაგონად კიდევ ერთხელ განაცხადეს, რომ სპეცოპერაციას პანკისის ხეობაში საქართველო საკუთარი ძალებით ჩაატარებდა.

ზამთრის დადგომამდე, სანამ მთებსა და უღელტეხილზე ჩამოთოვდა, ჩეჩენ მებრძოლთა თითქმის მთელმა უმრავლესობამ საქართველო დატოვა. სპეცოპერაცია პანკისის ხეობაში ძირითადად უსისხლოდ დამთავრდა, თუ არ ჩავთვლით მცირე შეტაკებას „ახმადოვების“ ჯგუფთან.

როგორც ირკვევა, „ბოევიკებმა“ ისე სწრაფად დატოვეს ხეობა, რომ მათ იარაღის მნიშვნელოვანი ნაწილის წალებაც ვერ მოასწრეს. მაგალითად, 2002 წლის 10–11 ნოემბერს საქართველოს სპეცსამსახურებმა ჯოყოლოს დასავლეთით, ჭობითს ტყეში, აღმოაჩინეს დიდძალი იარაღი; თერმული ჭურვები, გადასატანი საზენიტო დანადგარები, ტყვიამფრქვევები, ე.ნ. ფოგოტი, ტროტილი, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი და სხვა.

ოპერაციის წარმატებით დაგვირგვინებაში დიდი როლი ითამაშა ადგილობრივმა მოსახლეობამ. ხეობის უხუცესებმა და ახალგაზრდობის დიდმა ნაწილმა ნათლად დაინახა ის საშიშროება, რომელიც პანკისსა და მთელ საქართველოს დაემუქრა კრიმინალების თარეშით, სხვადასხვა ქვეყნის მებრძოლების იქ ყოფნით. პანკისელები გაგებით მოეკიდნენ საქართველოს ხელი-

სუფლების ძალისხმევას და ადგილობრივი მოსახლეობის აქტიური მონაწილეობით ხეობაში მშვიდობა დამყარდა.

2003 წლიდან საგრძნობი ცვლილებები მოხდა პანკისელთა ცხოვრებაში. ხეობას დაეტყო სიმშვიდე, საერთოდ აიღავგმა ხალხის ძარცვა-გლეჯა, შენყდა კრიმინალთა პარპაში, წავიდნენ „ბოევიკები“, წარკოტიკების გამსაღებლები გაუჩინარდნენ; ჩეჩენეთიდან დევნილმა მშვიდობიანმა მოსახლეობამ დაიწყო სამშობლოში დაბრუნება, ზოგმაც ევროპისა და აზიის ქვეყნებს შეაფარა თავი. 2006 წლის ბოლოსთვის პანკისში ჩეჩენ დევნილთა მხოლოდ მცირე ნაწილიდა რჩებოდა. ჩეჩენურ-არაბული გავლენა ადგილობრივ მოსახლეობაზე შესუსტდა: ვაჰაბისტებმა წვერი გაიპარსეს, ხოლო ქალებმა ჩადრები მოიხსნეს. ქისტები, ოსები და ქართველი მთიელები მშვიდობიან ცხოვრებასა და შრომით საქმიანობას დაუბრუნდნენ.

**მუდმივი მოსახლეობა 2002 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით**

პანკაზის ხეობა	სულ	მთვ. შემჩნ.		ძირითადი ურთიერთებები, %				ძირითადი ურთიერთებები, %			
		კაცი	ქალი	ჭაროვები	ჭანები	წესები	ოსი	ჭაროვები	ჭანები	წესები	ოსი
ჯოვოლი	1228	596	632	79	13			970	160		
ბირკანი	910	466	444	93				846			
ომილო	1221	617	604	97				1184			
დაბაბუტენი	231	116	115	29		55		67		127	
ჟევონ ბალაწანი	122	66	56	75	21			92		26	
შუა ხალაწანი	189	95	94	96				181			
ზემო ხალაწანი	125	59	66	26	71			33	89		
დუის	4103	1936	2167	78	19			3200	780		
დაცისტერული (კალაბინი)	43	24	19	98				42			
ყვარლებული	299	142	157	81	16			242	48		
კუწახა	103	44	59	74				23	76		24
საკონიანი	564	277	287	98				553			
ბაყოლოვანი	81	39	42	100				81			
ხევსებადი	34	20	14	100				34			
ჭორიი	125	59	66					92			115
წინუანი	264	135	129		77	16				203	42

\* – კარსკლავით აღნიშვნულია პიროვნებური სიყვალე

**მუდმივი მოსახლეობა 1989 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით**

პანკაზის ხეობა	სულ	მთვ. შემჩნ.		ძირითადი ურთიერთებები				ძირითადი ურთიერთებები, ობი			
		კაცი	ქალი	ჭაროვები	ჭანები	წესები	ოსი	ჭაროვები	ჭანები	წესები	ოსი
ჯოვოლი	783	371	412	*							
ბირკანი	726	362	364	*							
ომილო	839	394	445	45	54			378	453		
დაბაბუტენი	304	147	157								
ჟევონ ბალაწანი	204	108	96								
შუა ხალაწანი	171	84	87	39	60			67	103		
ზემო ხალაწანი	104	52	52	27	65			28	68		
დუის	2772	1314	1458	24	74			665	2051		
დაცისტერული (კალაბინი)	70	37	33	*							
ყვარლებული	320	163	157	*							
კუწახა	89	39	50	*							
საკონიანი	689	314	375	*							
ბაყოლოვანი	52	29	23	*							
ხევსებადი	348	180	168					*			
ჭორიი	348	180	168					*			
წინუანი	388	195	193								

\* – კარსკლავით აღნიშვნულია პიროვნებური სიყვალე

### ტრადიციული საზოგადოებები პანკისის ხეობაში და

### მათი ზეპირსიტყვიერი კულტურა

XIX საუკუნის შუა წლებიდან პანკისის ხეობაში ჩამოსახლებულმა მთიელებმა თან მოიტანეს თავიანთი ტრადიციები, რიტუალები, ზეპირსიტყვიერი ტექსტები და ხეობას ახალი სიცოცხლე შთაბერეს.

მთიელებით დასახლებულ პანკისის ხეობაში, მართალია, ფრაგმენტების სახით, მაგრამ ჩვენს დრომდე მოაღწია ტრადიციულმა საზოგადოებებმა. იქ მცხოვრები ქისტების, ოსებისა და ქართველი მთიელების ყოველდღიურ ცხოვრებაში კვლავაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ტრადიციული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი წეს-ჩვეულებები, როგორიცაა თემური და გვაროვნული ინსტიტუტები, კულტმსახურების წლიური რიტუალური ციკლი, ხალხური ადათობრივი სამართალი და სხვ.

მახსოვრობა თავდაპირველი სამშობლოდან გამოსვლისა, საერთო ადათობრივი სამართალი, რჯული, მსგავსი ტრადიციები, სამეურნეო ყოფა, ენა და გეოგრაფიული გარემო ერთ ორგანიზაციად ადულაბებდა უცხო ადგილზე დანერგილ საზოგადოებას. ამ პრინციპით მოხდა პანკისის ხეობაში მთიანი ჩეჩენეთიდან გადმოსახლებულ ვაინახთა კონსოლიდაცია. იგივე შეიძლება ითქვას პანკისის ხეობაში ჯავის რაიონის სოფლებიდან გადმოსახლებულ ოსებზე. ახალმა გეოგრაფიულმა გარემომ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა პანკისის მთელ მოსახლეობაზე, რამაც დასაბამი მისცა ახალი მითოსის წარმოშობას. ჩამოსახლებულ მთიელებს ყოველ ფეხის ნაბიჯზე ხვდებოდათ წინარე მოსახლეობის დანატოვარი, გარდასულ საუკუნეებში შექმნილი მატერიალური კულტურის ძეგლთა ფრაგმენტები: ციხე-კოშკების, დარბაზების, ეკლესია-მონასტრების, მარნებისა და ნასოფლარების იდუმალი ნაშთები. პანკისის ხეობაში მრავალი ზეპირი გადმოცემის წარ-

მოშობა წარსულის ნაშთთა მისტიკური ხილვით გამოწვეულმა შთაბეჭდილებამ განაპირობა.

შეუა საუკუნეების ნანგრევებით მოფენილი უმშვენიერესი ლანდშაფტის გარდა რა კულტურა ერგოთ მემკვიდრეობით საუკუნეების მანძილზე პანკისში მცხოვრები ძველი ეთნოსისგან იქ ჩამოსახლებულ მთიელებს? მიგრანტებს პანკისის ხეობაში დახვდათ ტოპონიმები, ყველაზე სიცოცხლისუნარიანი სახელები დედამიწის ზურგზე. ხეობის გეოგრაფიულ სახელთა უდიდესი ნანილი პანკისის ხეობაში ძველად მცხოვრები ეთნოსის მიერ არის შექმნილი და ამ ტოპონიმთა ცოდნა, ცალკეულ ზეპირ-სიტყვიერ ტექსტებთან ერთად, მიგრირებულმა მოსახლეობამ მემკვიდრეობით მიიღო.

### „ამირანიანის“ ე. წ. პანკისური ვარიანტი

ამირანის ეპოსის ერთ-ერთი დღემდე მოღწეული ვარიანტი, ისევე როგორც ტოპონიმები, ზეპირი გზით გადაეცა მოგვიანებით პანკისის ხეობაში მოსულ მოსახლეობას. ყოველ შემთხვევაში, იმ დროს, როცა ხეობაში მთიელები სახლდებოდნენ, ჯერ კიდევ მოიძებნებოდა ამირანის თქმულების ზოგიერთი ვერსიის ზეპირი მცოდნე. გადმოცემის ტექსტი კახელი მჭედელ-მასწავლებლისგან, ვინმე გასიევისგან ჩაუნერიათ და ივი 1890 წელს კავკასიის სასწავლო ოლქის სამმართველოს პერიოდულ კრებულში რუსულ ენაზე გამოუქვეყნებიათ.

ამ ვერსიის მიხედვით, ამირანი ღმერთს შეკამათებია, დედამიწაზე ყველაფერი რიგზე არ არის მონყობილიო. ღმერთს სასკელად საყორნის კლდეზე მიუჯაჭვავს და მისი გულის საკორტნელად ყორნები მიუსევია, ამიტომაც დაურქმევიათ იმ ადგილისათვის საყორნის მთა. თოვლში გახვეული საყორნის მთა პანკისის ხეობის ჩრდილოეთით მდებარეობს. სპეროზის მთასთან, რომელიც პანკისის ხეობას გადმოჰყურებს, გვხვდება ტოპონიმი „ამირანის კუჭი“, თითქოს, გადმოცემის თანახმად, იმ კლდეზე ყოფილიყოს ამირანი მიჯაჭვული.

„ამირანიანის“ ფრაგმენტების გავრცელების გეოგრაფიაზე გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ეპოსში ასახული ტოპონიმები

და ტექსტის დიალექტი. თქმულების ის ვარიანტი, რომელიც საყორნის მთასთან არის დაკავშირებული, პანკისის ხეობაში უნდა შექმნილიყო. სამწუხაროდ, შეუძლებელია ამ ნარატივის დიალექტის შესახებ მსჯელობა, რადგან ის რუსულ ენაზე გამოქვეყნდა. ეპოსის ფრაგმენტებში საქართველოს იმ კუთხეების გეოგრაფიული გარემოც აისახა, სადაც არსებობდა ზეპირი ხსოვნა ამირაზე.

ერთ-ერთი ცნობის მიხედვით, ამირანის ამბით დაინტერესებული სპარსეთის მეფე დარიოსი და ალექსანდრე მაკედონელიც კი მოსულან პანკისის ხეობაში, საყორნის მთის ძირას [129. 47].

ივანე ცისკარიშვილი 1846 წელს გაზეთ „Кавказ“-ში აღნიშნავდა, რომ, კახელებისა თუშების რწმენით, ამირანი პანკისის ხეობის ერთ-ერთ მყინვარზეაო მიჯაჭვული [137].

„ამირანიანის“ ე. ნ. პანკისური ფრაგმენტი ხალხური ეპიკური შემოქმედების საერთო ქართველურ ტრადიციას ემყარება და მას ზუსტი ანალოგიები დაეძებნება ამირანის თქმულების მესხურ და მოხეურ ვერსიებთან [118. 346].

ხალხური ტექსტის ეს ფრაგმენტი ამირანის ეპოსის ერთგვარ ეპილოგს წარმოადგენს:

საყორნის მთის სიახლოვეს ერთი გლეხი დაიარებოდა. უცებდაინახა, რომ მთებმა გაიწიეს და გამოჩნდა მიჯაჭვული ამირანი. იგი ცდილობდა თავისი უზარმაზარი ხმლის მითრევას, რომელიც იქვე, შორიახლოს იდო, მაგრამ ამაოდ, ამირანი ხმალს ვერ სწვდებოდა.

ამირანმა, გლეხი რომ დაინახა, მას დახმარება სთხოვა. გლეხს შეეცოდა გოლიათი და მიუახლოვდა. ამირანი კაცს არნებულებდა, რომ იგი დავრდომილთა და დაჩაგრულთა ქომაგი იყო. მან გლეხის ჩანთიდან პური ამოილო, რომელსაც ხელი მოუჭირა. პურიდან სისხლი და ოფლი წამოვიდა:

— საბრალოებო! — შეჰყვირა ამირანმა — ასეთ პურს როგორ ჭამთ?

— აბა, შენ როგორ პურს ჭამ? — კითხვა შეუბრუნა გლეხმა.

— აი, ასეთს — უპასუხა ამირანმა, აიღო თავისი პური და მისგან რძე გამოწურა.

გლეხი გაოცდა.

– მე თუ გავთავისუფლდი, – განაგრძო საუბარი ამირანმა, – მაშინ ოფლიან და სისხლიან პურს ქვეყანაზე აღარავინ შეჭამს.

– მე გიშველი! – წამოიძახა გლეხმა.

– თუ გსურს დამეხმარო, – უთხრა ამირანმა, – მაშინ ხმალსა და ჩემს შორის გაწექი, ხმლის ტარს ჩაეჭიდე, მოგწევ და ასე შესაძლოა ხელთ ვიგდოთ ხმალი.

მოსულმა თხოვნა შეუსრულა, მაგრამ, როგორც კი ამირანმა მოსწია, გლეხმა ტკივილებს ვეღარ გაუძლო და ძლიერ აყირდა.

– წადი ახლავე, – უთხრა ამირანმა გლეხს, – და შინიდან უმძრახად ჯაჭვი წამომიღე, მიაბი ამ ხმალს და მერე მე და-ვითრევო.

გლეხი შინისკენ ისარივით გავარდა. დუმილით ჯაჭვი მხრებზე გადაიკიდა. უკვე საყორნის მთისკენ აპირებდა წას-ვლას, რომ კართან ცოლს შეეჩეხა. ცოლმა ქმარს წყევლა და ჯაჭვის წართმევა დაუწყო. კაცი ცოლისგან თავს უბრად იცავდა და გასასვლელისკენ იწევდა. ქმრის მდუმარებამ ცოლი კიდევ უფრო მეტად გაააჩხსლა. ჯაჭვსჩაჭიდებული ქალი უკიოდა:

– სახლში ეს ერთადერთი ნივთილა დაგვრჩა და არაფრის გულისთვის ამის წალებაც გინდა?

– აღარ შემეშვები, ალქაჯო! – იღრიალა ბოლოს კაცმა და ისე ძლიერ მოისროლა აბეზარი ცოლი, რომ ქალი ზღურბლს იქით დაცა.

გლეხი საყორნის მთასთან სირბილით მივიდა, ძლივსლა სუნთქვავდა. მაგრამ, სამწუხაროდ, გოლიათი ვეღარ წახა, რადგან მან დუმილის ალქმა დაარღვია. საყორნის მთის კლდეები შე-ერთებულიყვნენ.

კაცობრიობა ისევ სისხლიანი და ოფლიანი პურის ამარა დარჩა, ხოლო ამირანი ქალებზე ძალიან გაბრაზდა [129. 47–49].

„ამირანიანის“ ამ ფრაგმენტში ტექსტის შემნახველი საზო-გადოების ქრისტიანული ცნობიერებაა ასახული. ხალხი, რომელ-მაც ეს გადმოცემა შეინახა, თანაგრძნობით ეკიდება მიჯაჭვულ გმირს. მას არ ემეტება ამირანი სამუდამო სატანჯველისთვის და წუხს, როცა „ევამ კიდევ ერთხელ აცდუნა ადამი,“ როცა გმირს განგების წყალობით მინიჭებული გათავისუფლების ერთ-ერთი თუ ერთადერთი შანსი ადამიანმა წაართვა. ზ. კიკნაძის აზრით, „სანამ ადამიანი ასეთია, როგორც ის გლეხი, რომელიც არღვევს ალქმას, მანამ ამირანი მიჯაჭვული იქნება, ამირანი სწორედ

იმიტომ არის მიჯაჭვული, რომ კაცთა მოდგმა არ არის სრულ-ყოფილი. ამირანის მიჯაჭვულობა ადამიანთა სისუსტითა არის განპირობებული. სანამ არსებობს შესაძლებლობა იმისა, რომ კაცთა მოდგმაში ირლვეოდეს აღთქმა და ფიცი, ამირანიც მიჯაჭვული იქნება და ის ვერასოდეს დაიხსნის თავს ბორკილებისგან [39. 36].

## ენობრივი სიტუაცია პანკისის ხეობაში

პანკისის ხეობაში მთიელთა ჩამოსახლების შემდეგ ენობრივი სიტუაცია საგრძნობლად შეიცვალა. თუ XIX საუკუნეებდე პანკისის მოსახლეობა ქართულ ენაზე მეტყველებდა, XIX საუკუნის შუა წლებიდან იქ ჩამოსახლდნენ კავკასიის მთელი ხალხები და გარჩდა ჩეჩენური და ოსური ენები. პანკისის ხეობა ერთ-ერთი საინტერესო ლინგვისტური რეგიონია. იქ დასტურდება: ქართული ენის თუშური და ფშაური დიალექტები, ჩეჩენური ენის ქისტური დიალექტი, აგრეთვე ოსური ენა.

ბოლო წლებში მიმდინარე სოციალ-პოლიტიკური პროცესების შედეგად პანკისის ხეობის ეთნიკურ-ლინგვისტიკური რუკა მეტ-ნაკლებად შეიცვალა. ოსებისგან ნაწილობრივ დაიცალა დუმასტური და ქვემო ხალაწანი. მათ თითქმის მთლიანად დატოვეს წინუბანი. ქართველი მთიელებისგან დაცლილ ბირკიანსა და ძიბახევში XX საუკუნის 60-იანი წლებიდან დასახლდნენ ქისტები. 1999–2001 წლებში სოფელი წინუბანი ქისტებით შეივსო. ისინი დასახლდნენ აგრეთვე დუმასტურში, ქვემო ხალაწანსა და ნაწილობრივ კვარელნყალშიც.

პანკისის ხეობის ქისტებით, ოსებითა და ქართველი მთიელებით დასახლებული სოფლები, მართალია, ცალკეულ საზოგადოებებს წარმოადგენენ, მაგრამ საერთო სამეურნეო შრომასა და კულტურული განვითარების პროცესში, მეფის რუსეთის მმართველობისა და საბჭოთა ხელისუფლების წლებში ხდებოდა ამ ხალხების ძლიერი ინტეგრაცია და მოქალაქეობრივი ცნობიერების ჩამოყალიბება. ხეობაში ჩამოსახლების დღიდანვე მათ შორის საურთიერთო ენა გახდა ქართული.

ქისტებმა ქართული, -შვილზე და -ძე-ზე დაბოლოებული გვარები მიიღეს. ასევე მოიქცა მოგვიანებით ოსთა ნაწილიც.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში პანკისელი ქისტები, ოსები და ქართველი მთიელები ერთ სკოლაში სწავლობდნენ. ისინი განათლებას ახლაც ქართულ ენაზე ღებულობენ და ქართულ კულტურაზე იზრდებიან. კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა დაწესებულებებში გაშლილ შრომით პროცესში ითვისებდნენ ქართულ მეტყველებას. ამდენად ოსები და ქისტები მშობლიურ ენასთან ერთად ფლობენ ქართულს. მათ ყოფაში ძლიერ იგრძნობა ქართული მატერიალური და სულიერი კულტურის გავლენა. ხშირი იყო შერეული ქორწინებები. ოჯახებში ლაპარაკობენ მშობლიური ენისა და ქართულის შერევით მიღებულ კილოზე.

ხანგრძლივი თანაცხოვრების პირობებში მთიანი ჩეჩინეთის სხვადასხვა სოფლებიდან პანკისის ხეობაში გადმოსახლებულ ვაინახთა მეტყველებაში თანდათან ჩამოყალიბდა ჩეჩინური ენის ქისტური დიალექტი. ამრიგად, პანკისელი ქისტების მეტყველება ხეობაში მათი ჩამოსახლების შემდეგ საგრძნობლად შეიცვალა. ქისტური დიალექტი იმდენად განსხვავდება ჩეჩინურისგან, რომ ზოგჯერ რუსული ენის არმცოდნე ქისტს უჭირს ჩეჩინური საუბრის გაგება. ჩეჩინები, როგორც წესი, თითქმის ყველა წინადადებაში რუსული ენიდან შესულ ბარბარიზმებს იყენებენ, რაც ქისტური მეტყველებისთვის ნაკლებად არის დამახასიათებელი. სამაგიეროდ, ქისტურში ქართულიდან ბევრი ნასესხები სიტყვებია. მეცნიერთა აზრით, ქისტურმა დიალექტმა შეინარჩუნა არქაული ფორმებიც.

ჩეჩინურ-ინგუშურ ზმნებში იმის გაგება, თუ რომელი პირი ასრულებს ზმნაში გამოხატულ მოქმედებას, მხოლოდ პირის ნაცვალსახელით არის შესაძლებელი. ქართულში ამ ფუნქციას სუბიექტური და ობიექტური პირის ნიშნები ასრულებენ. ქართული ენის გავლენით ქისტურ დიალექტში პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელები ხშირად სუფიქსებად იქცევიან და ზმნის ბოლოში იკავებენ ადგილს. სუფიქსებადქცეულ პირის ნაცვალსახელებს კი ორმაგი მისია აკისრია: ისინი ასრულებენ როგორც პირის ნაცვალსახელის ფუნქციას, ისე სუბიექტური პირისა და რიცხვის ნიშნებსაც გამოხატავენ. ჩეჩინური ზმნა კი, როგორც

წესი, პირის ნიშნებს არ იცნობს. ჩეჩინურში უღლება კლასოვანია, ქართულში – პიროვანი.

ზმნის მარტივი ფორმები:

**სო** ვოლა (მე მოვდივარ) → ვოლას

**ძო** ვოლა (შენ მოდიხარ) → ვოლაძ

**თხო** ბოლა (ჩვენ მოვდივართ) → ბოლათხ

**შუ** ბოლა (თქვენ მოდიხართ) → ბოლაშ

ზმნის რთული ფორმები

**სო** ლოვძუშ ვა (მე ვთამაშობ) → ლოვძუშ ვას

**ძო** ლოვძუშ ვა (შენ თამაშობ) → ლოვძუშ ვაძ

**თხო** ლოვძუშ ბა (ჩვენ ვთამაშობთ) → ლოვძუშ ბათხ

**შუ** ლოვძუშ ბა (თქვენ თამაშობთ) → ლოვძუშ ბაშ

როდესაც ქისტები მეტყველებაში აქ წარმოდგენილ, ზმნის მეორე, ახალ, ფორმებს იყენებენ, ჩეჩინებისა და ინგუშებისთვის ქისტების მიერ ნინადადებაში გამოთქმული აზრი გაუგებარი ხდება. ქისტურ დიალექტში ზმნის მესამე პირს კი, არც მხოლობით და არც მრავლობით რიცხვში ამგვარი ფორმები არ მოეპოვება. ამიტომ ზმნას მესამე პირში აუცილებლად უნდა ახლდეს მხოლობით რიცხვში მესამე პირის ნაცვალსახელი **აზ**, ხოლო მრავლობითში – **ოუშ**.

**აზ** ლოვძა – ის თამაშობს.

**ოუშ** ლოვძა – ისინი თამაშობენ.

ქართული ენის გავლენით ქისტურ დიალექტში გარდამავალ ზმნებთან ზოგჯერ პირის ნაცვალსახელი და ხანაც კლასის მაჩვენებელი იქცევა ობიექტური პირის ნიშნად:

ცუა ლოვძავო **სო** (ის მათამაშებს მე) → ცუა ლოვძავოს

ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში მამრობითი კლასის მაჩვენებელი **ვ** და მდედრობითი კლასის აღმნიშვნელი **მ** მიუთითებს, ობიექტური პირი ქალია თუ კაცი:

აას ლოვძა **ვ** – მე ვათამაშებ მას (გოგონას)

აას ლოვძა**მ** – მე ვათამაშებ მას (ვაჟს).

ახალ გარემოში შეიცვალა ქისტური დიალექტის სინტაქსიც. ქისტურ დიალექტში ქართული ენის გავლენით შეიქმნა სხვა-დასხვა სახის რთული ქვეწყობილი წინადადებები, რომლებსაც ჩეჩინური ენა თითქმის არ იცნობს.

ამრიგად, ქართულმა ენამ ქისტურ დიალექტზე განსაკუთ-რებული გავლენა მოახდინა. ქისტურმა დიალექტმა ქართული ენიდან მანამდე უცნობი გრამატიკული კატეგორიები და ფორ-მები შეითვისა.

სამწუხაროდ, პანკისელი ოსების დიალექტი მონოგრაფი-ულად შესწავლილი არ არის. თუმცა, როგორც ირკვევა, ოსების პანკისში ცხოვრების ერთი საუკუნის მანძილზე მათ მეტყვე-ლებას განსაკუთრებული ცვლილება არ განუცდია.

რადგან ოსური და ქისტური მეტყველება მშობლიური ენე-ბიდან მოწყვეტის პირობებში დამოუკიდებლად ვითარდებოდა, მათში შემორჩა არქაული ენობრივი მოვლენები.

პანკისში დამკვიდრების დღიდან იქ მოსახლე ქისტებისა და ოსების ლექსიკური ფონდი საგრძნობლად გამდიდრდა. ოსებმა და ქისტებმა ქართული ენიდან ძირითადად ის ტერმინოლოგია შეითვისეს, რომელიც მათ მეტყველებაში პანკისში ჩამოსახ-ლებამდე არ იყო, კერძოდ, სასოფლო-სამეურნეო, პოლიტიკური, იურიდიული, სასწავლო-სამეცნიერო ტერმინოლოგიის დიდი ნა-ნილი პანკისელი ქისტებისა და ოსების მეტყველებაში უშუალოდ ქართული ენიდან ან მისი გავლენით დამკვიდრდა.

ჩრდილოეთ კავკასიაში მოსახლე ოსებისა და ჩეჩინების ენებში აღნიშული ლექსიკური ფონდი რუსული ტერმინოლო-გიით შეივსო. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში მცხოვ-რებმა ქისტებმა და ოსებმა უფრო სუფთად შეინახეს მშობლიური ენა და ტრადიციები, ვიდრე ჩეჩინებმა და ოსებმა ჩრდილოეთ კავკასიაში.

ქისტურში უშუალოდ ქართული ენიდან ნასესხები ან ქარ-თული ენის გავლენით შეთვისებული სასოფლო-სამეურნეო ტერმინებია: კოლექტივ, მეურნეობა, საწყობ, ქუჩა, ეზო, უბან, შესვენება, ყარაულ, დამლაგებელ, მანქან, მძღურლ, ბოსტან, ბაალ, შენობა, მეშოკ, კალათა, სინათლ, დენ, აარს და სხვ.

იურიდიული: საჩივარ, განაჩენ, ბრალდებულ, პატიმარ, დამ-ნაშავე, მუხლ, დებულებ, ოქმ, განცხადებ, არჩევნებიეშ, გამ-გეობ, სხდომა, კრება, საბჭო, თავმჯდომარ და სხვ.

მთიან ჩეჩენეთში, საიდანაც ქისტები გადმოსახლდნენ პანკისის ხეობაში, სკოლები არ არსებობდა. ამიტომ მათ მეტყველებაში სასკოლო-სასწავლო ტერმინოლოგია მთლიანად ქართული ენიდან იქნა ნასესხები, როგორიცაა: სკუოლ, მერხ, კლას, დაფა, მონაფე, რვეულ, წიგნ, მორიგე, კლასის ხელმძღვანელები, მასწავლებელ, ორგანიზატორ, სახელმძღვანელურ, კალამ, ფანქარ, პასტ, დლიურ, სასწავლო ნაწილ, დავალებ, არდადეგებიები, ფურცელ, ქეედალდ, სავარჯიშო, ამოცანა, მაგალით.

როგორც ცნობილია, თავდაპირველ სამშობლოში ქისტები ძირითადად მესაქონლეობას მისდევდნენ. მებალეობა-მეხილეობას ისინი საქართველოში ეზიარნენ. ამიტომ ხილ-ბოსტნეულისა და სხვადასხვა მცენარეების აღმნიშვნელი ლექსიკაც ქართულია: აატამ, ლელო, ცხალ (მსხალი), წაბალ, ხეხილ, ვაზ, ბაალ, თუთ, ნუეს, კიტრ, კუამასტ, პამინდორ, წუენალ (მწვანილი), რიანდ, რეპან, წინაკ, ლუებიე, ბადრიჯან, კართუეფელ, ჯუნჯალ, ბუალაკ, სტაფილო, ჭარხალ, ქინდ და სხვ.

ქართულიდან არის შესული ქისტურ ენაში ზოგიერთი იმ საკვების სახელწოდება, რომელსაც ისინი პანკისში ჩამოსახლებამდე არ ამზადებდნენ, მაგ.: წვენ, კამპოტ, მაწონ, საწებელაა, აჯიკაა და ა. შ.

საინტერესოა, აგრეთვე, ქართული ენიდან შესული ტანსაცმლის აღმნიშვნელი ლექსიკა: კაბ, საროჩკ, პერანგ, ნასკ, კოსტუმ, პიჯაკ, კურტკ, მაიკ. ქართულიდანაა ნასესხები: ბიძაა, დეიდაა, მამიდაა, დედაა, მამაა, პაპაა, ბაბოო, დიასახლის.

კვირის დღეების სახელწოდებები ვაინახურ ენებში ქართული გზით შესულა: ორშაბათი-უორშუოთ, პარასკევი-პეერასკ, შაბათი-შუოთ, კვირა-კირა.

გარდა ამისა ქართულ და ჩეჩენურ ენებში დასტურდება უამრავი ლექსიკური ერთეული, რომელთაც საერთო ძირები მოეპოვებათ. ეს გარემოება ნათლად წარმოაჩენს ქართულ-ვაინახური ურთიერთობების მრავალსაუკუნოვან ტრადიციას.

პანკისის ხეობაში ჩამოსახლების დღიდან იქ მცხოვრებ სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობის ხალხებს შორის საურთიერთო საშუალებას ქართული ენა წარმოადგენდა. ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე პანკისელთა ქართულმა მეტყველებამ თავისებური სახე მიიღო, რომელიც ქართული ენის კახურ დიალექტს დაეფუძნა. პანკისელი ქისტების ქართულ მეტყველე-

ბაში ჩეჩინური ენის გავლენით ჭარბობს გრძელი ხმოვნები, გვხვდება როგორც მთისა და ბარის მეტყველებისათვის დამა- ხასიათებელი ფორმების კონტამინაცია, აგრეთვე საკუთრივ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის დიალექტთა თავისებუ- რებანიც, როგორიცაა: გვინდას, უნცროსი, ლიშანი, ვალიშნე, შამაარტყ, გვაქვის, ჰეიდავ, დაგვალირებენ, ცოტანა, მტერმ და სხვ. პანკისის ხეობაში მოსახლე ეთნოსებს შორის საურთიერთო ენა, რომელიც განსხვავდება ქართული სალიტერატურო ენი- საგან, წარმოადგენს ქართული ენის ერთგვარ „პანკისურ თქმას“. მის ჩამოყალიბებაზე, როგორც ჩანს, ძლიერი გავლენა მოუხდენია კახურ, თუშურ და ფშაურ დიალექტს, ქისტური და ოსური ენების თავისებურებებს. მშობლიური ენის გავლენით ქისტები ხმოვნებს გრძლად წარმოთქვამენ. მაგ., მატანი- >მატანი, ატამი- >აატამი, ბიძა- >ბიძაა, ნაზრანი- >ნაზრაანი, ბალი- >ბაალი. მშობლიური ენის გავლენა იგრძნობა ოსების ქარ- თულ მეტყველებაზეც. ამრიგად, ენობრივი თავისებურებების გათვალისწინებით პანკისის ხეობაში მცხოვრები ხალხების სა- ურთიერთო ქართულ მეტყველებას შეიძლება ვუწოდოთ პანკი- სური კოინე.

პანკისურ კოინეზე დაფიქსირებულია ზეპირსიტყვიერი მა- სალა, რომლის ერთი ნაწილი ინახება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორისტიკის კათედრის არქივში. აღნიშ- ნული ხალხური ტექსტები ჩანსერილია პანკისში მცხოვრები ქარ- თველი მთიელებისაგან, კერძოდ, თუშებისა და ფშავლებისაგან, აგრეთვე ქისტი და ოსი მთქმელებისაგან. აქვე ალსანიშნავია ისიც, რომ პოსტსაბჭოთა პერიოდში ქართული ენის სწავლების დონე პანკისის ხეობის სკოლებში მკვეთრად დაეცა. ხეობის კარჩაკეტილობის გამო ადგილობრივმა ოსმა და ქისტმა ახალ- გაზრდებმა უფრო ცუდად იციან ქართული ენა, ვიდრე საბჭოთა წყობილების წლებში აღზრდილმა მათმა მშობლებმა. XX სა- უკუნის ბოლოს ქვეყნის სავალალო მდგომარეობამ და ეკონო- მიკურმა სიდუხჭირემ ხეობის ენობრივ სიტუაციაზეც იქონია გავლენა. კულტურული ინტეგრაციის თვალსაზრისით პანკისში იმ დროს სახელმწიფოს მხრიდანაც არაფერი გაკეთებულა. აღ- ნიშნული ფაქტორი კი ბევრ სხვა მიზეზეთან ერთად ხელს უშ- ლიდა პანკისის ხეობაში საერთო მოქალაქეობრივი ცნობიერების ჩამოყალიბებას.

## **ჯვარ-ხატებთან დაკავშირებული გადმოცემები და რიტუალები**

საცხოვრებელი ადგილის შეცვლამ, პანკისში ჩამოსახლებამ, ქისტების, ოსების, აგრეთვე ფშავლებისა და თუშების ყოფით კულტურასა და ზეპირსიტყვიერებაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა. მათ ფოლკლორულ რეპერტუარში ზოგიერთი ჟანრი საერთოდ გაქრა. მაგალითად, პანკისელი ფშავლების ზეპირ-გადმოცემებში ღვთისშვილებისა და დევ-კერპთა ბრძოლის ამ-სახველი სიუჟეტები თითქმის დავიწყებას მიეცა.

ძველმა გეოგრაფიულმა გარემომ, იმ ლანდშაფტმა, სადაც ჯვარმა დაიკავა დევების ნაბინავარი და თავისი საყმო შექმნა, პანკისში, ახალ მინაზე დანერგილ საზოგადოებაზე, მეტ-ნაკლებად დაკარგა საკრალური ზემოქმედება. ამიტომაც ის ან-დრეზები, რომლებიც დაკავშირებული იყო თავდაპირველ სამ-შობლოსთან, საყმოების დაარსებასა და კულტის გენეზისთან, ზეპირმა მეხსიერებამ ნაკლებად ან თითქმის ვერ შემოინახა. მიუხედავად ამისა, პანკისში ჩამოსახლებულ მთიელთა ყოველ-დღიური ცხოვრება კვლავაც მითოსურ ცნობიერებას ემყარება. მაგალითად, ყოველ პანკისელ ფშაველს კარგად ახსოვს თავისი გვარის წარმომავლობა და ყოველ წელს თუ არა, სიცოცხლეში ერთხელ მაინც მიდის უკანა ფშავში თავისი თემის მფარველი ჯვარ-ხატის კარზე საღვთო ძლვნით, შესანირავი კურატით, ცხვრით, ქადა-სანთლით, რათა იქ ეზიაროს მამა-პაპათა რჯულს. შვილის, ოჯახის ახალი წევრის ხატში რიტუალურ გაყ-ვანას, რაც ჯვრის მფარველობის ქვეშ მის საყმოში გაწევ-რიანებასაც გულისხმობს, ფშავლები განსაკუთრებული სინმინ-დითა და გულმოდგინებით ასრულებენ. წმინდა დღეს, საკრა-ლურ ადგილზე მფარველ ჯვართან რიტუალური ზიარების შემ-დეგ, პიროვნება, როგორც საყმოს სრულუფლებიანი წევრი, პა-სუხისმგებელია ჯვრისა და ჯვრის ხელკაცთა მიერ დადგენილი რჯულის ზეპირი კანონების წინაშე.

ადგილობრივმა გარემომ გადმოსახლებულ მთიელებში სა-თავე დაუდო ახალი მითოსის ალმოცენებას. ქრისტიანული ძეგ-ლების ნანგრევებით მოფენილმა ხეობამ, როგორც ჩანს, გან-საკუთრებული ზემოქმედება მოახდინა მოსულ მოსახლეობაზე.

რადგან ქრისტიანული ძეგლების ნანგრევებს მთიელთათვის ოდითგანვე ჰქონდა საკრალური ღირებულება, ამიტომაც ქის-ტებმა, ოსებმა და ქართველმა მთიელებმა პანკისში ჩამოსახლებისთანავე დაიწყეს წმინდა ადგილების თაყვანისცემა. სიძველის მადლითა და იდუმალებით შემოსილი საყდრები მთიელთა მიერ აღქმული იქნა, როგორც აბსოლუტური სიწმინდე.

ზოგიერთ ეკლესიას, რომლის სახელწოდებაც აღარავის ახსოვდა, მთიელებმა თავიანთი ჯვარ-ხატების სახელები და-არქეს და იქ ოდესლაც შეწყვეტილი ღვთისმსახურება განაახლეს. მაგრამ ეს სალოცავი უკვე აერთიანებდა არა რომელიმე გვარს, ან თემს, არამედ მთელ იმ საზოგადოებას, რომელმაც სოფელში სიცოცხლე აღადგინა. მაგალითად, ბირკიანში სხვა-დასხვა თემის თუშები და ქისტები საღვთო ძლვით ერთად მი-დიოდნენ და დღესასწაულობდნენ ყურის წმინდა გიორგის, ღვთისმშობლისა და კვირაცხოვლის სალოცავებში. ბირკიანე-ლები გიორგობას ამჟამად ყურეში ზეიმობენ. ყურეში არის თუ-შების სასაფლაოც. როგორც ირკვევა, პანკისის ძველი მოსახ-ლეობა გიორგობას ცქვიტაძის მთაზე აღმართულ ეკლესიაში აღნიშნავდა. მოგვიანებით, სიშორის გამო ბირკიანელმა თუშებმა წმინდა გიორგის ნიში იქიდან სოფლის სიახლოვეს, ცქვიტაძის ყურეში, ძველ ეკლესიასთან გადმოიტანეს და 23 ნოემბერს იქ ზეიმობენ გიორგობას. ძველი საყდრის გვერდით გადმოჩუქრებუ-სებს ცივი წყარო, რომელზეც ამბობენ, – თამარ მეფის გა-მოყვანილიაო. ცქვიტაძის მთიდან ჩამოტანილ ნიშს თუშებმა და ქისტებმა ყურის წმინდა გიორგი დაარქვეს. გიორგობის გარდა ბირკიანელები აღდგომის სწორზე კვირაცხოვლობას აღნიშნავ-დნენ. ანალოგიური სიტუაცია იყო ქისტებით დასახლებულ ომა-ლოსა და ჯოყოლოში, აგრეთვე ფშაურ და ოსურ სოფლებში. თუმცა სოფელ დუმასტურში რამდენიმე გვარს ერთი საერთო სალოცავი ნიში ჰქონდა. ეს ნიშები მათ გადმოსახლებისას ჯავის რაიონის სოფლებიდან გადმოიტანეს. გასიევებს, ჯილვებს, ბითიევებს, ქოქოევებსა და მაკოევებს დუმასტურის აღმოსავ-ლეთით, მაღალ მთაზე, ჰქონდათ ასეთი ნიში და მას გუფ-თაფუარს უნიდებდნენ. სოფლის ქვემოთ იყო ყოჩიევების სა-ლოცავი კასთავი, რომელსაც, როგორც გვარის მფარველ სიწ-მინდეს, ყოშითიუარი ერქვა. ცხოვრებოვების სალოცავ ნიშს კი ბილურთა და სხლები უნდეს. აღსანიშნავია, რომ გუფთა, მორ-

გო, კასთავი, ბილურთა და სხლები ლიახვის ხეობის ოსებით დასხლებული სოფლების სახელწოდებებია, საიდანაც მცირემინიანობით შენუხებული ოსები პანკისის ხეობაში გადმოსახლდნენ. ამრიგად, დუმასტურში ჩამოსახლებულმა ოსებმა დანგრეულ და მიტოვებულ ძველ ქართულ ქრისტიანულ ეკლესიებთან წინა საცხოვრისიდან წამოღებული სალოცავების ნიშები დაარსეს და იმ სოფლების სახელწოდებები შეარქვეს.

პანკისის ხეობაში მიგრირებული მოსახლეობის მიერ თავდაპირველი სამშობლოდან გადმოტანილი წმინდა ნიშები ძირითადად ერთი თემის ან სულაც ერთი გვარის სალოცავს წარმოადგენდა.

პანკისში ფშავლებით დასახლებულ ყველა სოფლის სიახლოვეს გვხვდება მთიდან, ფშაველთა წინარე საცხოვრისიდან გადმოტანილი ხატის ნიშები. ნიში არის დაახლოებით ერთი მეტრი სიმაღლის პატარა ნაგებობა და მას აშენებენ თავდაპირველი საცხოვრისის ხატიდან წამოღებული ქვებითა და სიპებით. მისი აშენების შემდეგ მას ხევისბერი განათლავდა და აკურთხებდა, რის შემდეგაც ნიშზე გადმოდიოდა თემის მფარველი ხატის თავდაპირველი სინმინდე. საკულტო რიტუალის დროს ნიშებთან ხევისბრები და მლოცველები სერავენ ქადებს, სწირავენ ცხვარსა და საქონელს, ანთებენ სანთლებს.

სოფელ ბაყილოვანში ფშავიდან ჩამოიტანეს „კოტია წმინდა გიორგის“ ნიში. იქ წითელაურთ თემის ფშავლები ლოცულობენ: გამიამვილები, გულბათაშვილები, ჭოლიკიშვილები, მამვნიაშვილები, მირულიშვილები, ცოგოშვილები და სხვ. კოტიობა ბაყილოვანში ივლისის ბოლო ორშაბათს იმართება. ჩვეულებრივ იკვლება საკლავი, ინთება სანთლები, იქრება ქადები, ილოცება ხევისბრები და შემდეგ იწყება ქეიფი. პანკისის ხეობაში სათემო და საგვარო ნიშებთან რელიგიურ დღესასწაულებზე უკვე მთელი სოფელი იყრის თავს, ამიტომ ამ ნიშებმა თანდათან საერთო სასოფლო სამლოცველოების ფუნქცია შეიძინეს.

პანკისის ხეობაში ჩასახლებულმა ფშავლებმა თან წაიღეს თავიანთი სამეურნეო და საკულტო ტრადიციები. მიგრანტთა შორის იყვნენ ხევისბრები და ძველი ადათების მცოდნე რჯულის კაცები. ისინი ახალ საცხოვრებელ ადგილზეც აგრძელებდნენ ტრადიციულ ყოფა-ცხოვრებას. მაგალითად, წითელაურთ თემის მთავარ სალოცავში, კოტია წმინდა გიორგის ხატში ყოფილა

ხევისბერი ქავთარა ჩიაშვილი, ამ ხატს იმ დროს ორი ათასი სული ცხვარი და თავისი მწყემსავბი ჰყოლია. ქავთარა ხშირად იყო ცხვარში და მწყემსავდა წმინდა გიორგის ფარებს. როგორც ამბობენ, მას წინასწარ სცოდნია, თუ რომელ ღამეს მოვიდოდა წმინდა გიორგი ცხვრის დასათვალიერებლად. ას. ოჩიაური ხევისბერი ქავთარა ჩიაშვილის შესახებ წერს: „ეს ხევისბერი ბოლოს პანკისში მოკვდა და მკვდარს თურმე ციდან სვეტი ედგა. ის რომ გაასვენეს, სვეტიც თან მიჰყებოდა და საფლავიდან რომ მინა მიაყარეს, სვეტი მაშინ გაქრაო“ [70. 295].

შიდა ქართლის მთიანეთიდან ქვემო კუნახტაში ჩამოსახლებულმა ოსებმა მთიულეთიდან ლომისის ნიში გადმოიტანეს და საბრძანისი კუნახტაში ძველი ნაკლესიარის სიახლოვეს მიუჩინეს. ლომისობას ერთად დღესასწაულობენ კუნახტაში მცხოვრები ფშავლები და ოსები. ისინი ერთად აღავლენენ საკულტო რიტუალებს წმინდა ელიასა და ადგილის დედის ხატშიც. ანალოგიური სიტუაცია იყო ბირკიანში, სადაც ქისტები და თუშები აღდგომის სწორს ერთად ზემობდნენ კვირაცხოვლობას. კვირაცხოვლის ნიში თუშებმა დართლოდან გადმოიტანეს ბირკიანში.

ნიშებს ძირითადად სოფლების სიახლოვეს აფუძნებდნენ. მაგრამ საკობიანოში მცხოვრები ფშავლების სამლოცველო ნიშები, ადგილის დედა – ღვთისმშობელი, აონის ხატი და სხვ. სოფლიდან შორს, საკობიანოს ჩრდილო-დასავლეთით, მაღალი მთის ტყიან ნაწილშია დაბრძანებული.

ნიშების გადმოტანის ტრადიცია წესად ჰქონდათ ქისტებ-საც. დუისში მაისტიდან გადმოსახლებულმა ქისტებმა მდინარე ალაზნის სანაპიროსთან, წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის ნანგრევებთან გადმოიტანეს თავიანთი სათემო სალოცავის ნიში, რომელსაც მაისტალას უწოდებდნენ. მოგვიანებით ეს ნაგებობა ადიდებულმა ალაზანმა შთანთქა. ლ. მარგოშვილის ცნობით, „ძველი ტრადიციით დუისელები დღესაც აქ იხდიან სოფლის საერთო თუ რელიგიურ დღესასწაულებს. იკვლება პირუტყვი და სათითაოდ ყველა ოჯახზე ნაწილდება. გვალვიან ამინდში აქ ტარდებოდა გუთნის მდინარეში გატანის რიტუალი“ [56. 44].

თიანეთიდან პანკისის ხეობაში ფარეულიძეზე გათხოვილმა ღანიშაშვილების ქალმა ძველი საცხოვრისიდან თან წამოილ

კოპალას ნიში და იქ, ომალოს თავში, ერთ ლამაზ ადგილზე და-  
აფუძნა.

ქისტებს წესად ჰქონდათ თავდაპირველ სამშობლოში, მთიან  
ჩეჩენეთში, ასვლა და იქ სათემო ჯვარ-ხატების თაყვანისცემა.  
მათ იქ, სალოცავში, მიჰყავდათ ხატისთვის შეთქმული კურატი,  
ქადები და სხვ. ხატს ქისტურად ჰქვია „წივ“. მაგალითად,  
მახაურების მფარველი სალოცავი მაისტრი (მაისტრი ისინი მით-  
ხოდან მესისხლეობის გამო გადავიდნენ) იყო ფუალის ხატი –  
„ფუალ წივ“. პანკისში ჩამოსახლებული მახაურები თავს ვალ-  
დებულად თვლიდნენ, თუნდაც ერთხელ ასულიყვნენ შვილების  
თანხლებით ფუალის ხატში, რათა მათ შთამომავლებს არ და-  
ვიწყებოდათ მამების სამშობლო (დაიმოხქ) და არ მოკლებოდათ  
წინაპართა სალოცავის მფარველობა. ხატში მიჰყავდათ შესა-  
ნირავი კურატი და მიჰქონდათ საღვთო ძღვენი.

ლელა მიხეილის ასულმა მახაურმა მიამბო, რომ მის პაპას,  
ბოლოდის, თავისი ერთი ვაჟი ვისერგი 6 წლისა წაუყვანია მთიან  
ჩეჩენეთში, ფულას ხატში, ხოლო მეორე, 3 წლის მიხეილი,  
ხურჯინში ჩაუსვამს და ისე მიუყვანია წინაპართა სალოცავში.  
„ჩემს ბავშვობაში, – ყველა ლელა მახაური, – მახსოვს, გვყავდა  
ფუალის ხატისთვის შეთქმული კურატი. რაღაც მიზეზით ჩვე-  
ნები ველარ წავიდნენ მაისტრი და აქ, ჯოყოლოში, დაკლეს  
ფუალის ხატის სახელზე შესაწირავი კურატი.

პანკისელი მახაურები ფუალის ხატს, როგორც წესი, წყა-  
ლობასა და მფარველობას შესთხოვდნენ. წინათ იქ ჰყოლიათ  
ხუცეს-ხევისბერები და ქართველი მთიელების მსგავსად ეთაყ-  
ვანებოდნენ ჯვარ-ხატს.

საგვარეულო და სათემო ნიშების გარდა, პანკისის თითქმის  
ყველა სოფელში გვხვდება საერთო სასოფლო სალოცავები, სა-  
დაც რელიგიურ დღესასწაულზე სოფლის მთელი მოსახლეობა  
იკრიბება. ასეთი რელიგიური ცენტრები ყველა სოფელში შუა  
საუკუნეების ქრისტიანული ეკლესიების ნანგრევებთან ან მათ  
სიახლოეს განუთავსებით და მლოცველები საკულტო რი-  
ტუალს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში დამკვიდრე-  
ბული რელიგიური წესების მიხედვით წარმართავენ.

დუმასტურში ასეთი საერთო სასოფლო სალოცავი არის  
მთავარანგელოზი, რომელიც სოფლის აღმოსავლეთით, შუა  
საუკუნეების ციხე-დარბაზის ტერიტორიაზე მდებარეობს. დღე-

სასწაული 22 ნოემბერის საღამოს მთავარანგელოზის ეკლესიასთან იწყებოდა და ადგილობრივი ოსები ორ დღეს ზე-იმობდნენ.

ქორეთელი ოსები გიორგობას წმინდა თევდორეს სახელობის ეკლესიის ნანგრევებთან აღნიშნავენ. ამ დღესასწაულზე მთელი სოფლის მოსახლეობა იკრიბება. გიორგობის გარდა, ქორეთელი ოსები წმინდა თევდორეს ეკლესიაში წელიწადის სხვადასხვა დროს გვარების მიხედვით იხდიან საღვთოს. ამ დროს ერთი კონკრეტული გვარის წარმომადგენლები იკრიბებიან, ღვთის სახელზე სწირავენ საკლავს. საღვთოს ჯერ წმინდა თევდორეს ეკლესიაში აკურთხებენ, იქ ლოცულობენ, სუფრა კი იჯახში იშლება. ოსები საღვთო სუფრისთვის, სხვა ყველაფერთან ერთად, აუცილებლად ადუღებენ ლუდს, აცხობენ ხაბიზგინებს...

ყვარელნყლელი ფშავლების სასოფლო სალოცავებია ნაყორა და სვეტები. ნაყორა და სვეტები შუა საუკუნეების ქრისტიანული ძეგლების ნანგრევებს ჰქვია. მათი ძველი სახელწოდებების მცოდნე აღარავინ დარჩა და ადგილობრივი მცხოვრებნიც ამ სახელით მოიხსენიებენ. პანკისის ხეობის მოსახლეობა განსაკუთრებული ზარზეიმით აღნიშნავს აღდგომას, კვირაცხოვლობას, ღვთისმშობლობასა და წმინდა გიორგობას. ყვარელნყლელი ფშავლები აღდგომას სოფლის ზემოთ, ადგილის დედა-სვეტებში ზეიმობენ. ამჟამად იქ ძველი ეკლესიის ნანგრევები და ორი სვეტია შემორჩენილი. ადგილობრივ მცხოვრებლებში გავრცელებული გადმოცემის მიხედვით, იმ ადგილას წინათ მონასტერი ყოფილა. აღდგომის მესამე დღეს, სამშაბათს, ყვარელნყლელი შუა საუკუნეების ძეგლის ნანგრევებთან, ნაყორაზე, წმინდა სამების დღესასწაულს ზეიმობენ. მლოცველები ნაყორაზე პირველად მოგებულ ბორბლას, ზვარას, სწირავენ. აღდგომიდან ერთი კვირის შემდეგ ყვარელნყლელი კვირათ-გორზე ადიან და კვირაცხოვლობას აღნიშნავენ.

ომალოელი ქისტების სასოფლო სალოცავია წმინდა გიორგის ხატი. იქ, სოფლის თავში, ხატის ტერიტორიაზე, ფრაგმენტების სახით შემორჩენილია ქვიტკირის ძველი ეკლესიის სქელი კედლები, საწახელი და სხვ. უნდა აღინიშნოს, რომ პანკისის ხეობაში თითქმის ყველა ქრისტიანული ძეგლის სიახლოესე გვხვდება საწახელი და ქვევრები. იქ, როგორც ჩანს, სარი-

ტუალო ზედაშეს აყენებდნენ და მას საკრალური დანიშნულება ჰქონდა.

ომალოელთა მეორე სასოფლო სალოცავი ღვთისმშობელი (თუშოლი) სოფლის შუაში, ასწლოვან მუხასთან მდებარეობს. მის დაარსებას გადმოცემა თამარ მეფეს მიაწერს. ომალოელები აღდგომის სწორზე კვირაცხოვლობას ზეიმობდნენ. ისევე როგორც სხვაგან, კვირაცხოვლის ხატთანაც, სოფლის განაპირას, კარგად შეიმჩნევა ადრინდელი შენობა-ნაგებობების კვალი, ეკლესიის ნაშთები.

ჯოყოლოელთა სასოფლო სალოცავებია ბალთაგორის წმინდა გიორგი, ჭობიოს ხატი (*ჭუები წიუ*) და ღვთისმშობელი. ბალთაგორის ხატში სხვა სოფლებიდანაც მიღიან სალოცავად. ბალთაგორის სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს სოფელი დედისფერული. დედისფერულში მცხოვრები ფშავლები პანკისში ჩამოსახლების დღიდან ბალთაგორის წმინდა გიორგის ხატში ლოცულობენ და იქ სხვადასხვა რელიგიურ დღესასწაულებს აღნიშნავენ. ბალთაგორში ორი სალოცავია, ერთი არის ნიშის მსგავსი სამლოცველო და მეორე პატარა ეკლესია, რომელიც ექვსი წლის წინ დააგრიეს. იქვე ახლოს დგას სათვალთვალო კოშკი. ბალთაგორის ხატში ჯოყოლოელები აღდგომას ზეიმობენ, აღდგომას ქისტურად პეტია აქსუ, რომელიც აღდგომის იველი ქართული სახელწოდებიდან – აღვსებიდან მომდინარეობს, ხევსურები აღდგომას ახლაც აქვსებას ეძახიან. ჯოყოლოელები აღდგომის „აქსუს“ მეორე დღეს – ორშაბათს, სოფლის დასავლეთით, ჭობიოს ხატში დღესასწაულობენ, აღდგომის სწორზე კი, სოფლის ეკლესიაში აღნიშნავენ კვირაცხოვლობას.

ხატ-სალოცავებში გამართულ რელიგიურ რიტუალებში თითქმის ხეობის მთელი მოსახლეობა მონაწილეობს. რელიგიურ რიტუალს ფშავლებში ხევისბრები, ქისტებსა და ოსებში კი მოწმინდარი უხუცესები უძღვებიან: ისინი ამწყალობლებენ მლოცველების საღვთოს, სწირავდნენ მათ მიერ მოყვანილ საკლავს, ანთებდნენ სანთლებს, სერავდნენ ქადებსა და სხვ. ხატობაში მლოცველები გვარების მიხედვით სხდებიან. იქ იმართება ქეიფი, ცეკვა-სიმღერა და გადალოცვები: ხონჩაზე დაწყობილ ხორცს, ქადებსა და სასმელს მლოცველები ერთმანეთს უგზავნიან. პანკისელი მთიელების ხატობები დიდად არ განსხვავდება აღმო-

სავლეთ საქართველოს მთიანეთის სხვადასხვა „საყმოების“ ხატობებისგან.

ვაინაზურ ენებში რელიგიის კულტთან დაკავშირებული ტერმინები ქართულია ან ქართული გზით არის შესული, რომლებიც იქ ქრისტიანობის გავრცელების პერიოდში, IX-X საუკუნეებში დამკვიდრდა და პანკისელი ქისტებისთვის თავდაპირველ სამშობლოშიც კარგად იყო ცნობილი. ესენია: „აწსუ“ – აღდგომა, „ჯუარ“ – ჯვარი, „სენთალ“ – სანთელი, „მუოზლარ“ – მღვდელი, „მარქს“ – მარქსა და სხვა მრავალი.

სალოცავში რელიგიური რიტუალის მონაწილე ქისტი ხატში მისულ მეზღვნეს ქართველი მთიელების მსგავსად ლოცავს და ესალმება:

–ხამ ხილბაშ (წყალობათ)!

–დაალ ხამ ბუალბაშ (ღმერთი იყოს თქვენი მწყალობელი)!

ნითელ პარასკევს ქისტები კვერცხებს ღებავენ და კვირა დღეს კი ბალთაგორის ხატში ერთმანეთს ულოცავენ აღდგომას.

–ქერისტ ღეთთან (ქრისტე აღსდგა)!

–ბოყყალ ბაყ მა და (ჭეშმარიტად)!

ხატისგან დაჭერილს ქისტურად ჰქვია „ნევ ჯამ ბეჭვინ“. თუ ვინმე ავად გახდებოდა, მის სახელზე სხვადასხვა ხატს შეუთქვამდნენ. ხელში იქერდნენ მანდილს, რომელზედაც იდაყვით გადაზომავდნენ, რამდენიც გადასცდებოდა, იმის მიხედვით იგებდნენ, თუ რომელმა ხატმა დაიჭირა ავადმყოფი. შემდეგ იმ ხატში სამხევნროს სწირავდნენ და მთარველობას ევედრებოდნენ. თუ ხატისთვის სამხევნრო ჰქონდათ შეთქმული, ასეთ შემთხვევაში ხატში ძლვით მისვლა ნებისმიერ დროს შეიძლებოდა. სოფელ ომალოში ერთ კაცს, ხარება ფარეულიძეს, კოპალას სალოცავისთვის კურატი შეუთქვამს, მაგრამ მეორე მსოფლიო ომი დაწყებულა და წესის შესრულება ვეღარ მოუსწრია. გასულა დრო. ოთხი წლის შემდეგ ეს კაცი ომიდან უვნებელი დაბრუნებულა, მაგრამ შეთქმული კურატის შენირვას რატომდაც აგვიანებდა.

ერთ დღეს ხატისთვის შეთქმული ხარი საბალახოდ აღარ წასულა და შიგ შუა ეზოში დაწოლილა. ხარი სრულიად ჯანმრთელი ყოფილა, მაგრამ ფეხზე ვეღარ წამოუყენებიათ. ბოლოს ერთ მცოდნე კაცს პატრონებისთვის უკითხავს:

–ეგ ხარი რომელიმე ხატისთვის ხომ არ შეგითქვამთო?

– როგორ არა, კოპალას ხატს შევუთქვითო. – უპასუხიათ.  
– მაშინ ყელზე თეთრი ლენტი შეაბითო, – მიუცია რჩევა იმ  
მოხუცს.

მართლაც შეუბამთ ყელზე თეთრი ლენტი. ხარი მაშინვე წა-  
მომდგარა, პირდაპირ კოპალას ხატისკენ წასულა და იქ ხატის  
ეზოში დაწოლილა.

რაღა ექნათ, ამდგარან და როგორც წესი და რიგი მოით-  
ხოვდა, გამოუცხვიათ ქადები, დაუნთიათ სანთლები და კურატი  
ხატისთვის შეუწირავთ.

პანკისის ხეობაში მცხოვრებ ფშავლებს დღემდე წესად აქვთ  
საფურე ძროხების ხატ-სალოცავებისადმი „ასახელება“. ისინი  
საფურე ძროხებს არქმევენ ხახმატას და ხვთიშობელას. ძროხა  
„ხახმატა“ შეთქმულია ხახმატის ჯვრისთვის და მას სწირავენ.  
ხახმატის ჯვარს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში მცხოვ-  
რები მთიელები საქონლის გამრავლებასა და ნაწველ-ნადღვების  
ბარაქიანობას შესთხოვენ. ხახმატის ჯვრის ნიშები მრავლად  
არის ერთ-თიანეთში მიგრირებულ მთიელთა სოფლებში. საკო-  
ბიანოში მცხოვრებმა ნანა ბიბინაშვილმა მიამბო: „დედაჩემი  
სოფელ ლიშოდან არის გამოთხოვილი საკობიანოში, ლიშოში  
აქვთ ხახმატის ჯვრის ნიში და საფურე ძროხა „ხახმატას“ იქ  
სწირავენ“.

ძროხა „ხვთიშობელა“, როგორც წესი, ასახელებულია ადგი-  
ლის დედა-ღვთისმშობლის სახელზე და მას ღვთისმშობლის  
ხატში კლავენ.

პირველად მოგებულ ბორბლას ჰქვია ზვარა. ზვარა შე-  
იძლება იყოს დედალიც და მამალიც. მთიელები დედალ ზვარას  
არქმევენ ხახმატას ან ხვთიშობელას. ზვარას შენახვა და გაყიდვა  
არ შეიძლება, მას მხოლოდ ხატისთვის შესანირავად ინახავენ და  
სალოცავში კლავენ. ზვარას სახლში დაკვლაც შეიძლება, მაგრამ  
მხოლოდ საკულტო რიტუალების თანხლებით. ისინი ანთებენ  
სანთელს, ზვარას ამწყალობლებენ და ხატის სახელზე კლავენ.

აღსანიშნავია, რომ პანკისელი ქისტები ახლაც საფურე ძრო-  
ხას ხშირად ხახმატას არქმევენ. როგორც ჩანს, ქისტები მაჲ-  
მადიანური რწმენის გაძლიერებამდე თაყვანს სცემდნენ ხახმა-  
ტის ჯვარს.

პანკისის ხეობაში არეულობის წლებში (2000–2002 წწ.) ვი-  
ღაც ქისტს სხვა ძროხებთან ერთ-ერთი საკობიანოელის

გომურიდან ხახმატის ჯვრის სახელზე ასახელებული საფურე ძროხა, „ხახმატა“, მოუპარავს და დუისში ე.წ. „მგლების უბანში“ მიუყვანია. მოპარული ძროხები ქურდს გომურში შეურეკავს, მხოლოდ ხახმატა გამოჰქცევია. დილით რომ წასულან საკობიანოები დუისისკენ ძროხების მოსაძენად, ხახმატა ყვარელნების ბოლოზე, ხიდთან, ბლავილით მოჰქებიათ. საკობიანოში ამბობდნენ: – ხახმატა ხახმატის ჯვარმა იხსნაო.

ხახმატის ჯვარს, რომელიც კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრეთი ფერდობის ძირში მდებარეობს, მრავალი მითოლოგიური გადმოცემა უკავშირდება.

როგორც ცნობილია, ხახმატის ჯვარს თაყვანს სცემენ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სხვადასხვა თემის მთიელები. მთიან ჩეჩენეთში ხევსურეთის თემების მეზობლად მცხოვრები ქისტები გამაჰმადიანების შემდეგაც საღვთო ძღვნითა და შესანირავით მიდიოდნენ ხახმატის ჯვარში და განაგრძობდნენ წინაპართა მიერ დამკვიდრებულ საკულტო რიტუალების აღვლენის ტრადიციას. ხევსური ხუცესები ხახმატის ჯვარს, ხახმატის წმინდა გიორგის, სადიდებლებში „რჯულიან-ურჯულოთ სალოცავად“ მოიხსენიებენ: „...შენ გადიდას ღმერთმა, წაწმატის ჯვარო, გიორგი ნაღორმშვენიერო, ნაღორევს მებურთვალო, ხელო სამძიმარო, იმის მოდე-მომხრენო, წმელეთზე ჭმის მტეხო, რჯულიან-ურჯულოთ სალოცაო, ქაჯავეთის გამტეხო, დიდოეთის გამძეგრაო, მარიგის ხთისაგან მალოცვილი გაქვ ცის კიდურში შამაძახილის გაგონებაი, მეხვენურის შახვენებაი-დ' დახმარებაი“ [126. 40].

როგორც ირკვევა, ხახმატის ჯვარი წარმოადგენდა კავკასიელი მთიელების ქრისტიანულ რელიგიურ ცენტრს და ხახმატის ჯვარს ქისტები, როგორც ხევსურეთის მეზობელ თეიფებში მცხოვრები მთიელები, პანკისში ჩამოსახლებამდე, თავდაპირველ სამშობლოშიც ეთაყვანებოდნენ.

ისევე როგორც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის საყმოები, მთიანი ჩეჩენეთ-ინგუშეთის თეიფებიც ჯვარ-ხატებს ემსახურებოდნენ. ამიტომ ვფიქრობ, პანკისელი ქისტები ჯვარ-ხატთა სადიდებლად აღვლენილ საკრალურ ტექსტებს თავდაპირველ სამშობლოშიც იცნობდნენ. ქისტური საკულტო ტექსტები თუშ-ფშავ-ხევსურული სალოცავ-სავედრებლების ანალოგიური უნდა ყოფილიყო. მეხსიერებამ ამ ტექსტების მხოლოდ

ფრაგმენტებილა შემოგვინახა. პანკისის ხეობის ხატ-სალოცავებში ქისტები წმინდანთა სალოცავ-სავედრებელს შემდეგნაირად წარმოთქვამენ: „ვეძინ დეულ, დაალ ჭუილლინ ვდედ წიუ, ჯო ლაადალაჯ, ყიხეთამ ბილ, ლააძარ დადააწყალ, მეერჩ ლუ-ელეილეთხ ჯამ, ბიუქქ, ტერ ბააჯალ!“ (მაღალო ღმერთო, ღმერთის შექმნილო, დიდო ხატო, შენ დამეჩმარე, შემინყალე, ავად-მყოფობა მომაშორე, მშვიდობით გვატარე. ხატისგან შერისხვას აგვარიდე).

ვაინაზურ ენებზე ღმერთს ჰქვია დეულ, ხატს – წიუ (წივ). ქისტების წარმოდგენით, ხატი (წიუ) არის როგორც მფარველი წმინდანი, ისე ღვთაებრივი ძალის ანაბეჭდი მიწაზე, წმინდა, საკრალური ადგილი. პანკისში ჩამოსახლებულ მთიელებს, მათ უხუცესებსა და მამამთავრებს აღმოაჩნდათ უნარი, ხეობაში ჩვეულებრივი ტერიტორიებისგან განეხსვავებინათ ღვთისგან შემოხაზული საკრალური ადგილები, როგორც სიწმინდე და ერთგვარი ღვთაებრივი ნაკრძალი. ამიტომაც ქისტები მფარველ ხატებსა და საკრალურ ადგილებს ლოცვებში ღმერთისგან შექმნილს უწოდებენ: – „დაალ ჭუილლინ, ვდედ წიუ“ (ღმერთის შექმნილო, დიდო ხატო). ჩამოსახლებულებზე ღვთაებრივ ზემოქმედებას მოახდენდა წინარე მოსახლეობის მიერ ღვთის სა-დიდებლად აგებულ ეკლესიათა ნანგრევები. ამიტომაც პანკისელ მთიელებმი, კერძოდ, ქისტებში, ოსებსა და ფშავლებში ქრისტიანულ ეკლესიათა ნანგრევები სიძველისა და თავისი საკრალური დანიშნულების გამო აღიქმება აბსოლუტურ სიწმინდედ, ხატის ადგილად.

საკულტო ტექსტების მიხედვით, ხატი ქისტებისთვის არის „წმინდა“, „დიდი“, „მაღალი“, „დიდებული“, რომელსაც ისინი მფარველობასა და დახმარებას შესთხოვენ, ავადმყოფების განკურნებასა და საქონლის გამრავლებას ევედრებიან: „ვეძ წმინდა გიორგი, ჯო ლაადალაჯ, მასსოუ ბაალიხ, ყა ლორბილაჯ თხო, კერგ ვითელაჯ ვოოცურგ ჭუალლალაჯ, დახნი დაებილაჯ, ლა-ძარახ მა ჭუერიილაჯ!“ (დიდო წმინდაო გიორგი, შენ დაგვეხმარე, დაგვიცავი ყველა უბედურებისაგან. ვინც ვართ დაგვარჩინე, გაგვამრავლე, არ არსებული შექმნი, საქონელი გვიმრავლე, ავადმყოფობით ნუ შეგვაშინებ!“).

ისევე როგორც ქართველ მთიელებსა და ოსებს, ქისტებსაც სწამდათ, რომ სალოცავ ადგილზე, წმინდანის პატივსაცემად გაღებული სამსახური ხელწმინდა კაცის, როგორც საზოგადოების ღმერთთან შუამავლის, კურთხევით მივიდოდა ღვთის კარზე, ხატში მას უნდა გაესერა ქადა და დაენთო სანთელი. რელიგიურ რიტუალებს ოსებში მუდამ ასაკოვანი მამაკაცი უძღვება. დღესასწაულის დამთავრების შემდეგ პანკისელი ოსები მლოცველებს შორის რიგის მიხედვით ასახელებენ პასუხისმგებელ პირს, რომელიც შემდგომ წელს მოამზადებს საღვთოს. მომზადებაში იგულისხმება, პირველ რიგში, ლუდის მოდულება, არყის გამოხდა, საკლავის შეძენა და სხვ. ხევისბრობისა და ხატის ხელკაცთა საკრალური ინსტიტუტი ქისტებში თანდათან დავიწყებას მიეცა. პანკისელ ფშავლებში კი საკულტო რიტუალებს დღემდე ხუცეს-ხევისბრები უძღვებიან, ისინი აღავლენენ ჯვარ-ხატთა სადიდებლებს. თუმცა პანკისის ხატ-ნიშებში კულტმსახურთა მიერ წარმოთქმულ სალოცავ – სავედრობლებში დარღვეულია საკულტო ტექსტის ე. ნ. „ტრადიციული კანონიკურობა“, მასში იგრძნობა ხევისბრის ინდივიდუალური შემოქმედება, ცალკეული ფრაზებითა და გამოთქმებით ტრადიციულ ტექსტში თვითნებური ჩარევა. ბუნებრივია, მთიელთა პანკისის ხეობაში ჩამოსახლების შემდეგ მათ რელიგიურ რიტუალებში ბევრი რამ შეიცვალა. მაგალითად, ფშავში ქალები საკრალურ ადგილებთან ახლოს არ მიდიან. პანკისში კი ფშაველი ქალები ხატს ოთხი-ხუთი მეტრით უახლოვდებიან. ამგვარი ცვლილებები რელიგიურმა რიტუალებმა თანდათან განიცადეს.

დუმასტურელი ოსები პანკისში გადმოტანილ საკულტო ნიშებს სალოცავ-სავედრობლებში წინა საცხოვრისის სახელებით მოიხსენიებენ: „გუფთაუვარ“, „მორგოსუვარ“. როგორც ცნობილია, გუფთა და მორგო ჯავის რაიონის სოფლებია, საიდანაც ოსები პანკისის ხეობაში გადმოსახლდნენ. ოსები გუფთაუვარს და მორგოუვარს მფარველობას შესთხოვენ: „გუფთაუვარ, ბახუსვენებარ, გვიშველე დაგვეხმარე! მორგოსუვარ, ანდარ, გუფთასუვარ, ბახოსეან, ხუს’ კანაგნი ნუ“.

პანკისელი ოსები, აგრეთვე, თაყვანს სცემენ ვასთირჯის, რომელიც, მათი რწმენით, მამაკაცთა და მგზავრთა მფარველია; ვასთირჯი ეხმარება გაჭირვებულებს, დავრდომილებს, ავადმყოფებს. პანკისელი ოსების რწმენით, ვასთირჯი თეთრწვერა,

თეთრ ცხენზე ამხედრებული წმინდანია, რომელიც ელვის სის-ნრაფით უვლის დედამიწას. სხვა ვერსიით, ვასთირჯი სამფეხიანი ფრთოსანი რაშით მგზავრობს და მუდამ მზად არის ადამიანთა დასახმარებლად. მას გარდასახვის უნარიც აქვს, მხვნელთან მხვნე-ლად გადაიქცევა, მწყემსთან-მწყემსად და ა.შ. უფალთან ყველაზე ახლოს ვასთირჯი იმყოფება. ის ადამიანის შუამავალია ღმერთთან. პანკისელი ოსები თავიანთ ოჯახებს ვასთირჯის ავედრებენ. სთხო-ვენ, ოჯახიდან გასული, შორსნასული შვილები შინ მშვიდობით დაუბრუნოს და მათი ცხოვრება უკეთესად წარმართოს:

— მაღალო ვასთირჯი, თეთრრაშიანო, დიდო და ძლიერო, შენი ფრთების ქვეშ ამყოფე ჩემი შვილები, ავი საქმე არიდე, შინ მშვიდობით დააბრუნე!

ოსი კაცი ასე ილოცება: — ღვთისა და ვასთირჯის წყალობა არ მოგვლებოდესო!

ოსური პურ-მარილიც ღვთისა და ვასთირჯის ხსენებით წყება და ვასთირჯის სადიდებლით მთავრდება. სტუმარსაც გზას ვასთირჯის სახელით ულოცავენ.

ძველად, სანამ მთიელები პანკისში ჩამოსახლდებოდნენ, მთელი ხეობის მთავარი სალოცავი უნდა ყოფილიყო სპეროზის წმინდა გიორგი, რომელიც, გადმოცემის თანახმად, ოდესალაც პანკისის ჩრდილოეთით, სპეროზის მაღალი მთის წვერზე დაბრძანებულა. პანკისელი მოხუცების ცნობით, სპეროზის წმინდა გიორგი ფშავლებმა კი არ გადმოიტანეს თავიანთი წინარე საცხოვრისიდან, არამედ უძველესი დროიდანვე იქ, სპეროზის წვერზე, ყოფილა დაფუძნებული. გადმოცემების მიხედვით, სანამ თათარი გაანადგურებდა საქართველოს, ხალხი მაშინაც იქ ადიოდა სალოცავად, სპეროზის წვერზე, „წმინდა გიორგში“. ამდენად, პანკისის ხეობაში წინათ მოსახლე ქართულ ეთნოსს სპეროზის წმინდა გიორგის მფარველობის ქვეშ უცხოვრია. ამჟამად სპეროზის წმინდა გიორგის ხატში ფშავლები ლოცულობენ. მათ პანკისში ჩამოსახლების შემდეგ სპეროზის წვერიდან წმინდა გიორგის ნიში ხადორში ჩამოიტანეს და წმინდანს იქ სცემენ თაყვანს, სწირავენ ძლვენს და ლოცულობენ.

პანკისის უძველესი მოსახლეობის საერთო სალოცავი უნდა ყოფილიყო, აგრეთვე, წმინდა ელია, რომელიც ნაქერალის მაღალ მთაზე არის დაბრძანებული. როგორც ჩანს, მლოცველები იქ საღვთო ძლვით სავედრებლად 20 ივლისს (ახ. სტ. 2 აგვისტოს)

ადიოდნენ. წმინდა ელიას ისინი ამინდის მფარველობას შეს-თხოვდნენ. პანკისის ხეობაში ძველი მოსახლეობის გაქრობის შემდეგ ნაქერალაზე წმინდა ელიას თაყვანისცემა და იქ სა-კულტო რიტუალების შესრულება თუშებმა და ქისტებმა გა-ნაგრძეს.

XIX საუკუნის ბოლოდან მთელი ხეობის ტრადიციული სა-ზოგადოებების სულიერი გამაერთიანებლის მისია ჯოყოლოს ღვთისმშობლის ეკლესიამ იტვირთა. ჯოყოლოს ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია 1887 წელს ააშენეს და 1888 წლის 18 იან-ვარს საზეიმოდ აკურთხეს. იქიდან მოყოლებული XX საუკუნის 20-იან წლებამდე ჯოყოლოს ღვთისმშობლის ეკლესიაში ღვთის-მსახურებას თითქმის სულ ქისტური წარმოშობის მღვდლები ას-რულებდნენ. ოსები, ფშავლები და ქისტები იქ ინათლებოდნენ და ჯვარსაც იქ იწერდნენ. როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ 1866 წელს ქისტების დიდი ნაწილი ქრისტიანულად მოინათლა. სო-ფელ ჯოყოლოში ეკლესიის აშენების საჭიროება მთელ ხეობაში ქრისტიანი მოსახლეობის მომრავლებამ განაპირობა.

ჯოყოლოელები და პანკისის ხეობის სხვა სოფლების მცხოვ-რებლები ღვთისმშობლის ეკლესიაში აღდგომის სწორ კვირას კვირაცხოვლობას ზეიმობენ. ეკლესიასთან ჩვეულებრივ იმარ-თებოდა ღამისთევა, მსხვერპლშენირვა, სანთლების ანთება, ქე-იფი და ცეკვა-სიმღერა.

1921 წელს ბოლშევიკებმა ჯოყოლოს ღვთისმშობლის ეკლე-სის მღვდელს მათე ალბუთაშვილს ღვთისმსახურება შეაწყვე-ტინეს და ხეობა დაატოვებნეს. ტირანიითა და დესპოტური მმარ-თველობით გამორჩეულ 30-იან წლებში ჯოყოლოში ცხოვრობ-დნენ ჩვეულებრივი, რიგითი ადამიანები, რომლებიც სასოებით ინახავდნენ ღვთის სიყვარულს და დიდი რისკის ფასად სხვებსაც უფლის გზისკენ მიუთითებდნენ. ჯოყოლოელი ქინიაზ მუთოშ-ვილი თურმე ცხენზეამხედრებული, ფეხზემდგარი, ზარის რეკ-ვით დადიოდა სოფლებში და ხალხს მოუწოდებდა: – ინამეთ ქრისტეო!

საყოველთაო ურნმუნოების ეპოქაში, ვინც ღმერთს ემსახუ-რებოდა, ხატს სანთელს უნთებდა, დასცინოდნენ. ქინიაზის ასულმა მარიკო მუთოშვილმა მიამბო: სკოლაში რომ დავდი-ოდით, მამაჩემს ჩვენ, შვილებიც, ვეუბნებოდით: – სირცხვილია,

მამი, სანთლებს ნუ დაანთებ, ხატში სიარულს თავი დაანებე, დაგვცინიან!

მამამ გვიპასუხა:

– მიხარია, რომ დამცინიან. დაე, ღვთის გამო დამცინონო!

ქინიაზ მუთომვილი ქრისტიანული წესით დაუმარხავთ.

XX საუკუნის 20–30-იან წლებში ჯოყოლოში ქრისტიანულ სარწმუნოებას ემსახურებოდნენ სასულიერო პირები სიმონ და ქიშვილი და პავლე ბორჩაშვილი. ხელისუფლების მხრიდან რეპ-რესიებისა და ქრისტიანობის დევნის მიუხედავად, ისინი სოფელში მაინც ანაფორით დადიოდნენ და ღვთისმსახურებას ეწეოდნენ. სიმონ დაქიშვილი უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა. ერთხელ თურმე სიმონ დაქიშვილი და პავლე ბორჩაშვილი დუმასტურიდან ჯოყოლოში მოდიოდნენ. გზად ალაზანზე უნდა გადმოსულიყვნენ. მაშინ მდინარეზე ხიდები არ იყო და სიმონ დაქიშვილი ადიდებულ ალაზანში დაიხრჩო.

რადგან კომუნისტები იმ დროს სასულიერო პირებს სასტიკად დევნიდნენ, პავლე ბორჩაშვილმა ჯოყოლო დატოვა და თელავში გადავიდა საცხოვრებლად. მოგვიანებით პავლე ბორჩაშვილიც ადიდებულ ალაზანში დაიხრჩო.

XX საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს ჯოყოლოს ეკლესია მთავრობამ აბანოდ გადააკეთა, თუმცა ადგილობრივი მოსახლეობა მას მაინც სინმინდედ აღიქვამდა. მეორე მსოფლიო ომში განვეული ქისტები ფრონტზე წასვლის წინ იქ იბანებოდნენ და სწავლით, რომ მტრის ტყვია მათ ვეღარაფერს დააკლებდა. უფრო მოგვიანებით ეკლესია კოლმეურნეობის საწყობად გადააკეთეს. ამის შემდეგ ჯოყოლოს მოსახლეობაში ქრისტიანული რწმენა თანდათან ჩაქრა და მისი ადგილი ისლამმა დაიკავა.

XX საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს ჯოყოლოს ეკლესიდან ორ ახალგაზრდას ჯვარი მოუხსნია და ჭობიოს მხარეს, სანის-ქვილე რუს სიახლოვეს გადაუგდია. ადგილობრივი ქისტების თხრობით, იმავე ღამეს საშინელი ქარიშხალი ამოვარდნილა, ეკლესიის სიახლოვეს უზარმაზარი ხეები დაუგლეჯია, ეკლესიას კი არაფერი მოსვლია. ხალხმა ბუნების მრისხანება ღვთის ნიშნად მიიჩნია. ამიტომ გადაგდებული ჯვარი სასწრაფოდ მოძებნეს და კვლავ ეკლესიაზე აღმართეს. ღვთის სასწაულით შეძრნუნებულ ქისტებს ჯოყოლოს ღვთისმშობლის ეკლესიასთან მოსანანი-ებელი საღვთოც გადაუხდიათ.

1998 წელს ჯოყოლოს ღვთისმშობლის ეკლესიას რესტავრაცია ჩაუტარდა და ამჟამად მას ადგილობრივი ქრისტიანი ვლადიმერ ცხადაძე უვლის.

პანკისის ხეობაში გადმოსახლებული მთიელები, როგორც ზემოთ აღვნიშნე, არ ივიწყებდნენ თემის მფარველ სალოცავებს და წინა საცხოვრისში ჯვარ-ხატთა მოსალოცად საღვთო ძღვნით მიღიოდნენ.

ქისტების ნაწილი, როგორც ცნობილია, პანკისში ხორბალოდან გადმოსახლდა. სოფელი ხორბალო ალაზნის მარცხენა მხარეს, პანკისის ხეობის შესასვლელში მდებარეობს. ხორბალოში არის ქისტების ძველი სასაფლაოც. ხორბალოდან გადმოსახლებული ქისტები თაყვანს სცემდნენ ხორბალოს წმინდა გიორგის ხატს. სამლოცველო, მართალია, სიძველისგან დანგრეულია, მაგრამ მას აშკარად გამოკვეთილი ეკლესიის ფორმა აქვს. ხორბალოს წმინდა გიორგი ოდნავ შემაღლებულ ტყიან ბორცვზე მდებარეობს.

როგორც აბდულა გუმაშვილმა მიამბო, მთელს პანკისში განთქმული ექიმბაში და ჩინებული დოსტაქარი იო გუმაშვილი ერთხელ თურმე ჯოყოლოდან ხორბალოს წმინდა გიორგის ხატში წასულა სალოცავად. თან შესანირავად მიჰყავდა კურატი, რომელიც ურემზე ჰყოლია გამობმული. როდესაც ხორბალოს-თან ალაზანში გასულა, უცებ ხარი დამფრთხალა, გაუწყვეტია თოვი, გაქცეულა და დაკარგულა. იო დალონებულა: – წმინდა გიორგისთვის უნდა შემენირა და ეხლა რაღა ვქნაო? იოს კურატის გარდა ხატში შესანირავად ქათმები მიჰყავდა, ქადები, სანთლები და პურმარილი მიჰქონდა. გაუვლია მინდორი, ასულა იო ტყეში, სალოცავთან და რას ხედავს, გაქცეული კურატი ხატის შესასვლელთან მდგარა. ის აღარსად წასულა, თვითონვე დაწოლილა ხარი და ასე შეუწირავთ წმინდა გიორგისთვის.

თუ რაღაც მიზეზის გამო რომელიმე ოჯახი ვერ მოახერხებდა ხატში წასვლას, სახლში მაინც დაილოცებოდნენ, ხატს მფარველობასა და პატივებას შესთხოვდნენ.

პანკისში მცხოვრები ქისტები, ოსები და ფშავლები თავიანთი მფარველი ჯვარ-ხატების გარდა თაყვანს სცემენ კახეთის წმინდა სალოცავებს – ალავერდსა და თეთრ გიორგის, სადაც რელიგიურ რიტუალებზე ხშირად მთელი კვირაც კი რჩებოდნენ.

პანკისელი მთიელები ძველი ეკლესიების ნანგრევებს, მათ შემოგარენს, ხატებისა და ნიშების საბრძანისს, როგორც წესი, წმინდა, საკრალურ ადგილებად მიიჩნევენ და იქ ხის მოჭრა სასტიკად ეკრძალებათ. ამიტომაც პანკისის ხეობაში ძველი ეკლესიების ნანგრევებისა და ნიშების სიახლოვეს ყველგან გვხვდება უზარმაზარი მუხები, იფნები და სხვა წმინდა ხეები. წმინდა მინიდან ამოზრდილ ხეს, როგორც ცისა და მინის, ღვთაებრივისა და ხორციელის დამაკავშირებელ ღერძს, ადგილობრივი მოსახლეობა უფრთხილდებოდა და ეთაყვანებოდა. მას, როგორც სიწმინდეს, საკრალურის გამოხატულებას, ფერადი ნაჭრებითაც რთავდნენ. დუმასტურელი ოსების სასოფლო სალოცავი მთავარანგელოზი, რომელიც შეუ საუკუნეების ქართული გრანდიოზული ციხე-კომპლექსის ტერიტორიაზე მდებარეობს, ათასნლოვანი ბზებითა და სხვა ხეებით არის დაფარული. ის ტერიტორია მიგრირებული მოსახლეობის მიერ წმინდა ადგილად იყო მიჩნეული, ამიტომ იქ ბზებიცა და სხვა ხეებიც დღემდე დაცულია. ბირკიანში, ცქვიტაძის ყურეში, წმინდა გიორგის სალოცავის ახლოს, დგას ერთი ასწლოვანი ხე, რომელსაც ღვთისმშობლის ხეს ეძახიან და მლოცველები სანთლებს ანთებენ. მსგავს რიტუალს ვხვდებით პანკისის ხეობის სხვა ხატ-სალოცავებშიც. ამრიგად, პანკისში მცხოვრებმა ფშავლებმა, ქისტებმა და ოსებმა დღემდე შეინარჩუნეს წმინდა ადგილების მიმართ განსაკუთრებული სიყვარული, რწმენა და შიში. ისინი უფრთხილდებიან ძველი ეკლესიების ნანგრევებს, პატივისცემით ეპყრობიან ხატებსა და წმინდა ნიშებს. მის გარშემო არ ჭრიან ხეებს, რადგან ღვთის სასჯელის ეშინიათ.

ერთი კაცი ბირკიანში, წმინდა გიორგის ხატის მახლობლად ხეზე ასულა და საქონლისთვის ტოტები მოუკავავს. მთხოვნელთა გადმოცემით, წმინდა გიორგის ის კაცი იმავე ლამეს ლოგინად ჩაუგდია. დასნეულებული ხატს შევედრებია და სიკვდილს ასე გადარჩენილა. ერთ მოხუცს ბალთაგორში, სალოცავის მახლობლად, კაკალი მოუჭრია და ხატს მისთვის თვალები დაუთხრია. სამ კაცს ბალთაგორის ხატის ტერიტორიიდან ქვევრები ამოუთხრია და შინ წაუღიათ. ორი მაშინვე მომკვდარა. მესამეს კი, შეშინებულს, წაღებული ქვევრები ვედრებით უკან დაუბრუნებია, – ხატმა არ დამსაჯოსო.

**XX** საუკუნის ბოლოს ხეობაში ჩეჩენი ლტოლვილების შემოსვლისა და პანკისელ ქისტებში მაჰმადიანური რწმენის გაძლიერების შედეგად წმინდა ადგილების მიმართ მოკრძალება შენელდა. უფრო მეტიც, 2001 წელს უცნობმა პირებმა ააფეთქეს ბალთაგორის წმინდა გიორგის ეკლესია. იმავე წელს მთლიანად მიწასთან მოასწორეს ჭობიოს ხატი (ჭუები წიუ), რომელიც მანამდე ერთი მეტრი სიმაღლის ძველი ეკლესის ნანგრევს ნარმოადგენდა. დაზიანდა სხვა ნიშებიც. ადგილობრივი მცხოვრებლების თქმით, ხეობაში ჩეჩენი ლტოლვილების შემოსვლის შემდეგ ქისტები ერიდებიან ქრისტიანულ ხატ-სალოცავებში სიარულს. ქრისტიანული წეს-ადათების მიმდევარ ქისტებს, რატომლაც რცხვენიათ ჩეჩენი ლტოლვილების და ამიტომ, მათ რომ არ დაინახონ, დღესასწაულებზე ქალები ბავშების თანხლებით დილით ადრე მიდიან სანთლების დასანთებად ხატში.

**XX** საუკუნის ბოლოს პანკისელ ქისტებში ვაჰაბიზმის გავრცელებამ მათ ყოველდღიურ ყოფაში მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია. აიკრძალა ალკოჰოლური სასმელების სმა და სიგარეტის მოწევა. მეორე მხრივ, ისლამის გაძლიერებამ ხეობაში შემოიტანა კარჩაკეტილობა და უნდობლობა, რომელიც საერთოდ უცხო იყო ქისტების ტრადიციული საზოგადოების-თვის. შეიცვალა ადამიანებს შორის ურთიერთდამოკიდებულებაც, ქისტურ ენაში საბოლოოდ დამკვიდრდა ლმერთის სახელი ალაპი, თუმცა მანამდე ისინი უფრო ლმერთ დელას მიმართავდნენ. შეიცვალა მისალმების ფორმაც. ისევე როგორც ხევსურეთში, ქისტებშიც დამხვდური ესალმებოდა მოსულს. მისალმების ეს ფორმა მთის საზოგადოებების ტრადიციულ ყოფასთან არის დაკავშირებული. მთიელები მოწინებასა და პატივისცემას გამოხატავდნენ გარედან, ხშირად მტრული და სახიფათო გარემოდან მოსულის მიმართ. დამხვდურები მოსულს ფეხზე უდგებოდნენ და ესალმებოდნენ:

– მარჩ ვოლილ (მშვიდობით „მოგვიხვედ“)!

მოსული პასუხობდა:

– მარჩალ ხილდ (მშვიდობით იყავ, „დამხვდი“)!

უკანასკნელ წლებში პანკისელ ქისტებში მისალმების არაბულ-მაჰმადიანური ფორმა დამკვიდრდა. მოსული ესალმება დამხვდურს:

– ასსალამ ალეიქუმ!

– ვა ალეიქუმ სალამ!

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ პანკისის ხეობაში ტრა-დიციული რელიგიური მიმდინარეობების გვერდით თანდათან დამკვიდრდა სხვადასხვა სექტები და მოძღვრებები. 1998–1999 წლებიდან პანკისელ ქისტებში ფართოდ გავრცელდა ვაჟაბიზმი. ფშავლებში ზოგიერთი იეჰოვას მოწმე, ორმოცდაათიანელი და ბაპტისტი გახდა. ქორეთელი ოსები კი ახალ სამოციქულო ეკლესიაში გაწევრიანდნენ.

ახალი სამოციქულო ეკლესის გერმანელი მისიონერები ქორეთში 2000 წელს გამოჩნდნენ. მათ ჯერ ბინა დაიქირავეს სოფელში და იქ იკრიბებოდნენ. შემდეგ შეისყიდეს მაღაზიის შენობა, მას მიაშენეს ერთი ოთახი, სადაც მღვდელმსახურნი წირვის დაწყებამდე შედიოდნენ.

სოფლის მოსახლეობა მათ თავიანთი წესებით დანათლეს: გასანათლს აჩიქებენ, მერე ნათლობის სიტყვებს ამეორებინებენ, ჯვარს უკეთებენ და წყლით ნათლავენ.

პარასკეობით, დღის 4–5 საათზე, გერმანელი მისიონერები ქორეთში ღვთისმსახურებას ატარებენ. სასულიერო პირებს ჩვეულებრივი კოსტიუმები აცვიათ. წირვა ერთ საათს გრძელდება. დარბაზის თავში სასულიერო პირებისთვის დგას დიდი კათედრა. მიმდინარეობის წევრები სკამებზე სხედან და მღვდელმსახურს უსმენენ. მის ქადაგებას გერმანული ენიდან თარჯიმანი ქართულ ენაზე თარგმნის. მღვდელი ძირითადად კომენტარებს უკეთებს სახარების სხვადასხვა ეპიზოდებს. იქვე დგას ორლანი. წირვის დროს ორლანი უკრავს. ახალი სამოციქულო ეკლესის წარმომადგენლებმა ქორეთში ჩამოიყვანეს მგალობლებიც.

ამჟამად მთელი სოფლის მოსახლეობა ახალი სამოციქულო ეკლესის მრევლია. თვითონ ეკლესიაში 100-მდე სკამია, თუმცა წირვაზე 100 კაცი ვერასდროს იკრიბება, რადგან ზოგი მწყემსია და ცხვარს უვლის, ზოგს კი თავისი საქმე აქვს. ასე რომ, წირვას მხოლოდ 30–40 მიმდევარი ესწრება.

ახალი სამოციქულო ეკლესია პატივისცემით ეპყრობა სხვების რწმენას. ქორეთელი ოსები, მართალია, ახალი სამოციქულო ეკლესის მიმდევრები გახდნენ, მაგრამ ტრადიციულ ქრისტიანულ რიტუალებს კვლავ იცავენ. წმინდა თევზორესა და მარიამ ღვთისმშობლის ეკლესის ნანგრევებთან ისინი კვლავ იხდიან

საღვთოს, აღნიშნავენ გიორგობასა და სხვა ტრადიციულ რელი-  
გიურ დღესასწაულებს.

## ქიხტური შელოცვები და მაგიური რიტუალები

პანკისელი ქისტების ზეპირსიტყვიერებაში მნიშვნელოვანი  
ადგილი უკავია მაგიურ ტექსტებსა და ჯადოსნური შინაარსის  
სიტყვიერ ფორმულებს, რომლებიც გამოიყენება სხვადასხვა  
საგნებით ადამიანებსა და ბუნების ძალებზე ზემოქმედების  
მოსახდენად.

ქისტური ხალხური მაგიური ტექსტებიდან ჩვენ განვიხი-  
ლავთ შელოცვებსა და ბუნების ძალებისადმი აღვლენილ სავედ-  
რებლებს. ამ ტიპის ტექსტებს სხვადასხვა რწმენა-წარმოდგე-  
ნები უდევს საფუძვლად და ძირითადად სინკრეტული ხასიათი-  
საა. ჯადოსნური ფორმულების წარმოთქმითა და მაგიური რი-  
ტუალების შესრულებით, როგორც წესი, ცდილობდნენ ავად-  
მყოფის სხეულიდან შიშის, ავი თვალისაგან მიყენებული ზიანისა  
და სხვადასხვა დაავადებების გამოდევნას, აგრეთვე წვიმის  
მოყვანას, უხვი მოსავლის მოწევას და ბოროტი ძალების და-  
მარცხებას.

შელოცვა ფოლკლორის ერთ-ერთ არქაულ უანრად არის  
მიჩნეული, რომელშიც სიტყვას სულიერ და უსულო საგნებზე  
მაგიური ზემოქმედების მნიშვნელობა ენიჭება. შელოცვებში  
სჭვივის ადამიანის მიერ წარმოთქმული სიტყვის ყოვლისშემ-  
ლეობის რწმენა. ეს ტექსტები ჯადოსნური შინაარსისაა და მი-  
მართულია სხვადასხვა ძალებისა და მავნე სულების ნინა-  
აღმდეგ.

პანკისელი ქისტების ზეპირსიტყვიერი ფონდიდან შელოც-  
ვები და მაგიური ლექს-სიმღერები, ისევე როგორც ფოლკლორის  
სხვა უანრები, საინტერესო მასალებს გვაწვდიან ამ ხალხის  
სულიერი და ყოფითი კულტურის გასაცნობად.

ქისტურად შელოცვას ჰქვია **ბაჯარ ლოუც**. ამდენად, ქის-  
ტები შელოცვებისა და ბუნების ძალებისადმი აღვლენილი სა-  
დიდებლების აღმნიშვნელად ქართული ენის გავლენით იყენებენ  
ტერმინს **ლოუც**, რაც ჩვეულებრივ ლოცვასაც აღნიშნავს.

მაგია ხშირად დაკავშირებულია ქისტების საოჯახო-საყოფაცოვრებო სფეროსთან და სამეურნეო საქმიანობასთან. აქედან გამომდინარე, ქისტური შელოცვები დანიშნულების მიხედვით სხვადასხვა ხასიათისაა, მაგრამ ძირითადად ორი სახისაა: ა) სამკურნალო; ბ) სამეურნეო. ქისტურ ზეპირსიტყვიერებაში ცნობილია თვალის შელოცვა, გულის შელოცვა, თვალნაცემის შელოცვა, შელოცვა მგლის პირის შესაკრავად და სხვ.

შელოცვები იმ მხრივაც არის მნიშვნელოვანი, რომ ამ ტექსტებიდან ჩანს სხვადასხვა სარწმუნოებრივი დანაშრევების კვალი ქისტების რელიგიურ ცნობიერებაზე, მათ ზეპირსიტყვიერებაზე წარმართულ შეხედულებებთან ერთად ქრისტიანული და მაჰმადიანური რელიგიის გავლენა.

მაგალითად, ქისტურ გულის შელოცვის ტექსტში მოხსენებულია დედა მარიამი:

დუაგ, დაუოათ ჯე მეთოგიუ,  
ჯუონ ჰუმა ხირ დააც,  
დეელა ლეედერგ ვა,  
ნაან მარიე ლეედერგ ა! [30. №30050].

გულო, ჩადექ საგულეში,  
შენ არავინ არაფერს გიზამს,  
ღმერთი გიშველის,  
ნაან მარიე ლეედერგ ა!

**ნაან მარიემ**, შესაძლოა, მაჰმადიანური რელიგიის გავლენითაც იყოს დამკვიდრებული ქისტურ შელოცვებში, რადგან ყურანში ლვთისმშობელს, ისევე როგორც სხვა ქისტურ ხალხურ ტექსტებში, **მარიემი** ჰქვია. ქართულ შელოცვებში ლვთისმშობლის ხშირად სსენება გვაფიქრებინებს, რომ მსგავსი ჟანრის ქისტურ ტექსტებში დედა მარიამი ქრისტიანული რწმენის გავლენით უნდა იყოს დამკვიდრებული. ქისტების რელიგიურ ცნობიერებაში ქრისტესა და ქრისტიანული წმინდანების ყოვლის-შემძლეობის რწმენის შესახებ საინტერესო სურათს გვიშლის ქისტური შელოცვები. საერთოდ შელოცვებში ძალიან ხშირია ქრისტესა და ქრისტიანული წმინდანების სსენება, რომლებიც მაშველ და მკურნალ ძალებად ითვლებიან. ზოგჯერ ქისტი შემლოცველი წმინდანის ან ქრისტეს პირით ემუქრება მავნე ძალებს:

„ქრისტევ, შეჲკარ პირი მგლისა,  
ნადირისა, ხელი ქურდისა“... [30. №30053].

ქართული შელოცვები ხშირად ქრისტიანული სამების ხსე-ნებით იწყება, ხოლო ზოგიერთი ქისტური შელოცვა, შესაბა-მისად, ალაპისადმი მიმართვით. ი. გაგულაშვილის აზრით, ამ-გვარი დასაწყისი „მითითება იყო იმის შესახებ, რომ ეს ლოცვა ღვთიური ძალისაა, ამდენად, წმინდაა და მისი ცოდნა ღვთიური ნიჭით თუ ძალით მომადლებულ პირთა ხვედრია“ [17. 122].

მგლის პირის შესაკრავი ქისტური მაგიური ტექსტი მაჰმა-დიანური ლოცვა-ფორმულით იწყება:

„ბისმილაპი რაჯმანი რაჯიმი.  
ეკენია, ბეკენია, ბეკის ხატი სანაფია,  
აღადღადი, მაღადღადი, კარსა ჭიბურკელსა,  
ქრისტევ, შეჰკარ პირი მგლისა“... [30. №30053].

მგლის პირის შესაკრავი ტექსტი პანკისელი ქისტების ზე-პირსიტყვიერ ფონდში ქართული შელოცვებიდან არის შესული, ოღონდ ამ უანრის ქართული ტექსტების უმრავლესობა, რო-გორც წესი, ქრისტიანული სამების ხსენებით იწყება, რაც სა-სულიერო ლიტერატურის გავლენით აიხსნება:

„სახელი სახელითა, სულითა წმინდითა.  
ეკენია, ბეკენია, ბეკენს ხატი ასვენია.  
შიგნით ჯაჭვი, გარეთ ხმალი –  
ეშმაკისა მადევარი“ [102. 237].

ქისტების რეპერტუარში ქართული ფოლკლორიდან შესულ მგლის პირის შესაკრავის დასაწყისში ქრისტიანული ლოცვითი ფორმულა ხელოვნურად არის შეცვლილი მაჰმადიანური ტექს-ტით. ქრისტიანულ და მაჰმადიანურ სიმბოლოთა თანხვედრა ქისტების ფოლკლორში გამოწვეულია მათი ორრწმენიანობით. ქისტების ნაწილი, როგორც ცნობილია, ჯერ ქრისტიანული სარ-წმუნოების აღმსარებლები იყვნენ, ხოლო შემდეგ მაჰმადიანური რელიგიის მიმდევრები გახდნენ. აღსანიშნავია ისიც, რომ ორ-რწმენიანობის კვალი დამახასიათებელია არა მხოლოდ ქისტური შელოცვებისათვის, არამედ მთელი მათი ზეპირსიტყვიერები-სათვის. მაჰმადიანურმა რწმენამ ქისტურ შელოცვებში ქრისტია-ნული ელემენტები და საუკუნეების მანძილზე განმტკიცებული რწმენა-შეხედულებები ვერ ამოშალა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, შელოცვების, როგორც ზეპირ-სიტყვიერების უანრის წარმოშობა, უძველეს პერიოდს უკავშირ-დება და მის წარმოშობას, ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ანი-მისტური მსოფლმხედველობა უდევს საფუძვლად. შელოცვებში ქრისტიანული და მაჰმადიანური სიმბოლოების გამოყენება გვი-ანდელი მოვლენა და მათ წარმართული ელემენტების ადგილი დაიკავეს.

ქისტურ შელოცვებში, გარდა დასაწყისის ლოცვითი ფორ-მულებისა, ისევე როგორც საერთოდ ამ უანრის ტექსტებისათვის არის დამახასიათებელი, გვხვდება დასასრულის ფორმულები. დასასრულის ფორმულები სხვადასხვა ხასიათისაა. ზოგიერთი ტექსტი ღვთისადმი აღვლენილი ლოცვის მსგავსად „ამინით“ მთავრდება, ზოგიც – ღვთიური ძალისა და წმინდანის ხსენებით: მაგ., „ლოცვა ჩემი, რგება ღვთისა. ამინ“ [30. №30051]. „დეელა ლეედერგ ვა, ნაან მარიემ ლეედერგ და“ (ლმერთი გიშველის, დედა მარიემ გიშველის) [30. №30050]. ქისტური შელოცვების დასასრულის ფორმულებად გვხვდება ქართული ხალხური ტექსტებიდან ზეპირი გზით შესული სხვა კალკებიც. მაგ., „ას ინ ლოუც ჯაი ნეენ ტაარსაან ჯონოლ ხილ ჯუონ“ (ჩემი აღვლენილი ლოცვა დედის ძუძუსავით შეგერგოს) [30. №30051].

არის ისეთი შელოცვებიც, რომლებიც წყევლით, გადაფურ-თხებითა და სულის შებერვით მთავრდება:

„ფუი ეშმაკს, ფუი ეშმაკს, ფუი ეშმაკს.

ლოცვა ჩემი, რგება ღვთისა. ამინ“ [30. №30051].

შელოცვის ძირითადი ტექსტი ამ დასაწყისისა და დასას-რულის ფორმულებს შორის როგორც ყდაში, ისეა ჩასმული. ეს გამოთქმები შელოცვებს „პროლოგისა“ და „ეპილოგის“ მაგივ-რობას უწევენ. ამ ფორმულებს ტექსტის შინაარსთან არაფერი აკავშირებთ. ამდენად, შესაძლებელია, ისინი შელოცვის ტექ-სტებს გვიანდელ პერიოდშიც დაემატა.

ჯ. ბარდაველიძის აზრით, „შელოცვა არც პროზაა პირდა-პირი გაგებით და არც ლექსი, იგი სპეციფიკური უანრია, რო-მელიც განსაზღვრულია სპეციალური ფუნქციითა და შესრუ-ლების წესით“ [11. 333]. შელოცვებისათვის უმთავრესად დამახა-სიათებელია რიტმი. თუმცა აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ქის-

ტური შელოცვა ცხრამარცვლიანი სალექსო საზომით არის გაწყობილი. სტრიქონების ბოლოს ზოგჯერ შთაბეჭდილების გასაძლიერებლად გვხვდება მსგავსი სიტყვების გამეორება, ხანაც, მართალია, ღარიბი, მაგრამ მსგავს ბგერათა რაოდენობის მიხედვით აგებული რითმები, რომლებიც ამავე დროს აკეთილ-ხმოვანებენ მაგიურ ფორმულებს:

„დუაგ, დუაგ, სიევ წიერინ ჯო?“  
„ჯუნახარჩ ეეწიე წიერინ ჯო?“  
„ლეთიხარჩ თიეწარგიე წიერინ ჯო?“  
„გუოჩ სეგ ბერგიე წიერინ ჯო?“  
[30. №30050].

გულო, გულო, რამ შეგაშინა?  
ტყის ნადირმა შეგაშინა?  
მიწაზე გველის სრიალმა  
შეგაშინა?  
ბოროტი კაცის თვალმა შეგაშინა?

ამ შელოცვის მეორე და მესამე სტრიქონში გვხვდება თავ-რითმებიც (ჯუნახარჩ, ლეთიხარჩ), რომლებიც პოეტურად კიდევ უფრო ორგანიზებულს ხდის ტექსტს. ქისტურ შელოცვებში, ისევე როგორც ამ ტიპის სხვა ტექსტებში, გვხვდება კატა-ლექტიკური და ჰიპერკატალექტიკური ტაეპები.

შელოცვის ტექსტებს განსაკუთრებულ მუსიკალობას ანიჭებს ალიტერაციები. ალიტერაციები ძირითადად ხმამაღლა წარმოსათქმები შელოცვებისათვის არის დამახასიათებელი. ისინი ხშირად ფორმალურ მსგავსებაზე აგებულ სიტყვა-ფრაზების თამაშში, ე.წ. კალამბურ თქმებში გვხვდება. კალამბური თქმებისა და გაუგებარი სიტყვა-ფრაზების, ანუ აპრაკადაბრების გამოყენებას მგლის პირის შესაკრავ ტექსტში, ისევე როგორც სხვა შელოცვებში, მაგიური დატვირთვა უნდა ჰქონოდა:

„ეკენია, ბეკენია, ბეკის ხატი სანაფია,  
ალადლადი, მალადლადი, კარსა ჭიბურკელასა“

[30. №30053].

ანალოგიურ პოეტურ ხერხს ვხვდებით ქისტური თვალის შელოცვის ტექსტში, რომელშიც ჩართული ქართული სიტყვები ქართული ენის არმცოდნე ქისტი შემლოცველისათვის, როგორც ჩანს, აპრაკადაბრებად არის მიჩნეული.

„თვალ მინდ იყო, ზონდ იყო, ბონდ იყო.  
ონცურენცა, ონფურენცა, სიყრიყე“

[30. №30051].

ქისტურ შელოცვებში ხშირად გამოყენებულია მიმართვის ფორმა. ი. გაგულაშვილის აზრით, „ისინი წარმართულ ღვთა-ებათა თუ რომელიმე ღვთიური ძალისადმი მიმართვის ტრან-სფორმირებულ ნაშთებს წარმოადგენენ“ [17. 124]. ერთ-ერთ მა-გიურ ტექსტში შემლოცველი ქრისტეს ევედრება, დაიცვას გა-რეთ დარჩენილი საქონელი, შეკრას მგლის პირი და ქურდის ხელი:

„ქრისტევ, შეჰეარ პირი მგლისა,  
ნადირისა, ხელი ქ'ურდისა“ [30. №30053].

ზოგიერთ შელოცვაში მთქმელი შეშინებულ გულს მიმარ-თავს, შიშის მიზეზს ეკითხება და ბოლოს ღვთიური ძალების მოხმობით მის დამშვიდებას ფსიქიკური ზემოქმედებით ცდი-ლობს. ამ შელოცვაში ფსიქოთერაპიის საწყისები ვლინდება:

„დუაგ, დუაგ, სიევ წიერიინ ჯო?  
ჯუნახარჩ ეგრიგვიერიინ ჯო?  
ლეთიხარჩ თიევარგიე იერიიინ ჯო?  
გუოჩ სევ ბერგვიე წიერიინ ჯო?  
დაურათ ჯე მეთოგიე,  
ჯუონ ჯუმა ხირ დააც,  
დეელა ლეედერგ ვა,  
გულო, გულო, რამ შეგაშინა?  
ტყის ნადირმა შეგაშინა?  
მიწაზე გველის სრიალმა შეგაშინა?  
ბოროტი კაცის თვალმა შეგაშინა?  
გულო ჩადექ საგულები,  
შენ არავინ არაფერს გიზამს,  
ღმერთი გიშველის,

ნაან მარიემ ლეედერგ ა! [30. №30050]. დედა მარიამი გიშველის!“

ამავე შელოცვაში ჩამოთვლილია ყველა ის ობიექტი, რო-მელთა მიზეზითაც შეიძლება გამოწვეული იყოს შიში. ჩამოთ-ვლის ხერხი ხშირად გამოიყენება შელოცვის განდევნა-დაში-ნების ფორმულებით გადმოცემისას. განდევნა-დაშინებისა და წყევლის მაგიური ფორმულებით საკმაოდ მდიდარია თვალის შელოცვის ქისტური ტექსტი:

„ეუერჯ კორუნალ კარჯლაილ,  
კეი კიგ ხილლა ტიეჭვებილ,  
ჯუონ ხილლ ბურგ.  
ხი მიეღლ დუედე  
დუაძლაილ ხიც,  
ხი ბუხიერ ხილდა,  
ნი მიეჲლ წოვიილ ნარაც ბოროვილ,

ქა - კაოყარახ ბორძიილ,  
არა ეეგინახ ბიეთიშ,  
ლამ-ძორძიი ბაილპა,  
ის ლამ ტეჭიშქ ბაილპა,  
ჯუანა ხილლა სიინა, ნიე-ლურჯ  
ბურგ

ვუა ქუულ ბაილპა!“ [30. №30061].

შავ ნახშირზე მეტად გაშავდეს,  
თეთრი თვალივით გახდეს და გასკედეს  
შენზე მოსული ავი თვალი.  
მდინარე სადამდეც მიდის,  
ნყალს გაჰყვეს,  
ნყლის ფსეურზე დარჩეს.  
ცეცხლი სანამ ანთია, ცეცხლში  
დაიწვას.

ნაცარ-ნალვერდალად იქცეს,  
გარეთ გავიდეს დამწვარი,  
ქარიშხალში მოიქცეს,  
ცხრა მთას იქით გადავარდეს,  
შენზედ მოსული ლურჯი, წითელი-  
ჭროლა თვალი

და აგბედად მოსული.

შელოცვებში წყევლის მაგიურ ფორმულებს განსაკუთრებული ფუნქცია აკისრია. ზოგიერთ ტექსტში თავისი სიტყვის ზემოქმედების ძალაში დაჯერებული ქისტი შემლოცველი მბრძანებლური ტონითა და წყევლით მიმართავს დაავადების ძალას, ხოლო ზოგან ღვთაებრივ და წმინდა ძალებს იშველიებს დაავადების განსადევნად:

„ხილლარ მალეიქიშ ლოხიე დუესან,

ლეთთარა შეიხიშ,  
ვეეშქა-ბეხქანა ჯუანა ხილლა ბურგ!“

[30. №30061].

ციდან დაბლა ჩამოსულან

ანგელოზები,

მთელი ქვეყნიერების შეიხები,

შენზე მოსული თვალის

გასადევნად შეყრილიყნენ.

შელოცვები უმეტესად მაგიური რიტუალების თანხლებით სრულდება. მაგალითად, თვალის შელოცვის დროს შემლოცველი დგამს პატარა ჯამით წყალს, რომელშიც ჩასხმულია „უმძრახად“ აღებული წყალი. ასეთი წყლის აღებამდე დილით ხმა არავის უნდა გასცენ. შემლოცველი წყლიან ჯამში ყრის შავ ნახშირს, ხელში იღებს შავტარიან დანას და იწყებს შელოცვას. შავტარიან

დანას ავადმყოფს თავზე სამჯერ შემოატარებს, ხოლო წყალს სახეზე ასხურებს.

ქისტი შემლოცველი მაგიური ქმედებების თანხლებით წარმოთქვამს შელოცვას მგლის პირის შესაკრავად: როცა ღამით საქონელი გარეთ დარჩებათ, ხანჯალს შეკრავენ, რომ არ გაიხსნას, ხანჯალს კი ქარქაშში უკუღმა დებენ. თუ სამი dროხა დარჩათ გარეთ, დავუშვათ, წაბლა, ნიშა და პარასკევა, სამივეს სახელზე შეულოცვავენ მგლის პირის შესაკრავად; შელოცვილ დუქარდს ან ხანჯალს სახლის გარეთ, ეზოში ჩამოკიდებენ, რადგან იქ, მთვარის შუქზე, მათი რწმენით, მას უფრო მეტი ძალა აქვს. მთქმელის ცნობით, ეს შელოცვა ძალიან ძველია, წინაპრებისაგან გადმოცემული [30. №30053].

პანკისელი ქისტების ზეპირსიტყვიერებაში შელოცვების გარდა ყურადღებას იქცევს ბუნების სხვადასხვა ძალებისადმი აღვლენილი სალოცავ-სავედრებლები და მაგიური ტექსტები, რომლებიც გალობითა და რიტმული მოძრაობით კოლექტიურად სრულდება. ეს ტექსტები სინკრეტული ხასიათისაა. მასში აღვლენილია ხვეწნა-ვედრება სასურველი ამინდის, კერძოდ, წვიმის მოსაყვანად ცა-ღრუბლის გამგებელ ხელასა და ღმერთ – დელასადმი. როგორც ცნობილია, პანკისელი ქისტების სამეურნეო საქმიანობაში მნიშვნელოვანი ადგილი მიწათმოქმედებას უკავია. მიწათმოქმედების წარმართვა კი ბევრად იყო დამოკიდებული ამინდზე. პანკისელი ქისტების საწესო ტექსტებში ჩანს ამინდის ღვთაებისადმი რწმენის გადმონაშთი. რიტუალი წინაათ სოფლის ეკლესიაში იწყებოდა. დედაკაცები ღმერთს შესთხოვდნენ წყალობას, რათა სიბრალულით მოეხედა ცოდვილთათვის, დაეცვა თავის მიერ შექმნილი ადამიანები, ფრინველები, საქონელი და დაეწვიმებინა ხმელეთისათვის.

ძლიერი გვალვებით შენუხებული სოფლელები შეგროვილი ფულით ყიდულობენ ღვთისადმი შესანირ ცხვარსა და საქონელს. დედაკაცები მას დანიშნულ დღეს ალაზნის მარჯვენა ნაპირზე, სოფლის სიახლოვეს, საგანგებოდ შერჩეულ ადგილას ღვთის სახელზე აკვლევინებენ. ეს არის კოლექტიური საღვთო, რომელსაც ქისტურად ჰქვია სააფ. დაკლული საქონლის ხორცს მთლიანად ღარიბებს, ავადმყოფებს, ქვრივ-ობლებსა და მარტოხელა ადამიანებს უნანილებენ. შემდეგ გუთანი გაჰყავთ ალაზანში, რომელზედაც სვამენ მართალსა და უდანაშაულო ქალს. ქალები

ერთმანეთს ყრიან წყალში და ასველებენ, თან ცა-ლრუბლების გამგებელ სფელასა და ლმერთ დელას წვიმის მოსვლას შეს-თხოვენ:

„დოღა ღუაღითალ, ვა სეელა,  
ქააშ ჯეყყითალ, ვა დელა,  
სეენ სუნგულ ქა ბაჯითალ,  
ვა სეელა,  
ბერძან ცერგალ პორ უაღითალ,  
ვა დელა“ [30. №30062].

წვიმა დააწვიმე შენ, სფელა,  
ყანები ააბიბინე შენ, დელა,  
სავსე თავთავები გააკეთებინე  
შენ, სფელა,  
მგლის კბილის მარცვალი  
გააკეთებინე შენ, დელა.

როგორც ვხედავთ, ამ სიტუაციაში, რომელსაც წმინდა მაგიური დანიშნულება ჰქონდა, აშკარად ჩანს დრამის ჩანასახი. გ. ჭელიძის აზრით, ამგვარი მაგიური რიტუალების შესრულება ხელს უწყობდა განსახოვნებულ მოქმედებათა წარმოშობას, მონაწილეებს უმუშავებდა გარდასახვის, როლის შესრულების, სიტყვის, სიმღერის საჯაროდ წარმოთქმის უნარ-ჩვევებს, მაყუ-რებელზე ზემოქმედების იმპულსებს [120. 134].

„წყლის მოხვნა“, როგორც გ. ჭელიძე ფიქრობს, მოტივირებულია „სიმპატიური მაგიის“ კანონით, მიწის გამანაყოფიერებელი წვიმის გამოწვევის მიზნით. ქალებისადმი წყლის შესხმა-დასველება უნდა ყოფილიყო სქესობრივი განაყოფიერების იმი-ტაცია, ხოლო ქალის წყალში ჩაგდება – „დახრჩობა“ – ტაროსის ღვთაებისადმი ადამიანის მსხვერპლშენირვის მაგიური ინსცენირება [120. 131].

გარდა აღნიშნულისა, ამინდის ღვთაების მოსამადლიერებლად წვიმის გამოწვევის მიზნით ქისტები ასრულებენ სხვა-დასხვა მაგიურ მისტერიებს. ისინი სოფლის ძველი სასაფლაოდან დიდი ხვეწნა-ვედრებით იღებენ წყალში დამხრჩვალ ან მართალ და წმინდა კაცის საფლავიდან მიწას. როგორც მიცვალებულის სულს, ასევე ლმერთის შესთხოვენ პატივებას გარდაცვლილის საფლავიდან მიწის აღების გამო. მაგალითად, დიდი გვალვის დროს ჯოყოლოში მცხოვრები ქისტები მიწას იღებენ ალაზანში დამხვრჩალ სოფლის გარდაცვლილი მღვდლის პავლებორჩაშვილის საფლავიდან და შესთხოვენ:

„პავლე, დეელ შიედვე ჯ,  
თხომთ ყიხიეთამ ბიერ,  
ჯა ქოშუდერ ლაათ იუც,  
ბექქენ თხო, ბიექქ მაბილალაჯ,  
ჯო ლეედაჩ, დეელე ლეედაჩ,  
ფეიხამარიძ ლეედაჩ,  
უსთააზიძ ლეედაჩ,  
ცა ყიხიეთამ, ცა ხირბარ თიეკ;  
ო ლათთა, ოხ ფუხდაჯარ და,  
დოღ დიებ ბოხგათხ,  
დეელიერა შუ სინუაბქარ ჯა!“  
[30. 30062].

„პავლე, ღმერთისაგან,  
ჩვენი შეწყალების გამო,  
შენი საფლავიდან მიწის ასალებად  
მოვედ,  
გვაპატიე, ბრალს ნუ დაგვდებ,  
შენ რომ დაგვეხმარო,  
ღმერთი რომ დაგვეხმაროს,  
ნინასწარმეტყველები რომ  
დაგვეხმარნენ,  
მოძღვრები რომ დაგვეხმარნენ,  
ერთი შეწყალება ხომ იქნება-თქო;  
ამ მიწას ჩვენ უკან დავაბრუნებთ,  
წვიმის სათხოვნელად მიგვაქვს,  
ღვთისგან და თქვენი სულებისგან“. .

წყალში დამხრჩვალი ადამიანის საფლავიდან იმიტომ მიაქვთ  
მიწა, რომ ეს მიცვალებული ერთგვარად წყლისადმი მსხვერ-  
პლადშენირულს უნდა განსახიერებდეს და, ქისტების რწმენით,  
წვიმის მოსაყვანად მისი საფლავიდან აღებულ მიწასაც უფრო  
მეტი ძალა ექნებოდა. ეს რწმენა ჯერ კიდევ იმ დროიდან უნდა  
იღებდეს სათავეს, როცა ამინდის ღმერთს ქურუმები გულის  
მოსაგებად ადამიანებს მსხვერპლად სწირავდნენ.

წვიმის სავედრებელ მისტერიას ქალები ასრულებენ. მათ  
ჰყავთ წინამძღოლი, რომელსაც ქისტები თამდას ანუ თავქალს  
ეძახიან. გარდა აღნიშნულისა, თამდა ხელმძღვანელობს მიცვა-  
ლებულთა გაპატიოსნებას, მისთვის ტანსაცმლის შეკერვას და  
სხვა საწესო რიტუალებს. ჩვენი პანკისში ყოფნის პერიოდში ჯო-  
ყოლოელი მორწმუნე ქალების თამდა იყო 1932 წელს დაბადებუ-  
ლი ძარგო ბათაკას ასული ბალაკაშვილი. ეს რიტუალებიც მან  
გამაცნო.

რიტუალის მონაწილე ქისტი ქალები საფლავიდან აღებულ  
მიწას ცისფერ ნაჭერში საგულდაგულოდ ახვევენ და კრავენ,  
რომ არ დაიფანტოს. მავთულზე გამობმულ ცისფერ ნაჭერში  
გახვეულ მიწას უშვებენ ალაზანში, მეორე ბოლოს კი დიდ ქვაზე  
ამაგრებენ, რომ მდინარემ არ წაიღოს. მას შემდეგ, რაც მიწა

ალაზანში დასველდება, ქისტების რწმენით, ციდან წვიმა წამოვა. ნაჭრის ფერი სიმბოლურად ცაზე მიანიშნებს და ცა-ღრუბელთა გამგებლის პატივსაცემად უნდა იყოს შერჩეული. წვიმის მოსვლის შემდეგ, ქისტები ალაზნიდან ცისფერ ნაჭერში გახვეულ მინას იღებენ და ისევ მიცვალებულის საფლავზე ყრიან, თან ლოცვითა და გალობით მადლობას უხდიან მიცვალებულის სულს წვიმის მოყვანისათვის.

ანალოგიურ რიტუალს ქისტი მამაკაცებიც ასრულებენ, მაგრამ ისინი ძველისძველი საფლავიდან იღებენ არა მინას, არამედ უშუალოდ მიცვალებულის ძვლებს. მავთულზე გამობმულ ძვლებს ისინი ალაზანში ჰკიდებენ და ღმერთს წვიმის მოსვლას შესთხოვენ. წვიმის შემდეგ ძვლები ისევ უკან მიაქვთ და საფლავში მარხავენ.

ქისტები წვიმის მოსაყვანად კიდევ ერთ მაგიურ ხერხს მიმართავენ. მინაზე აგროვებენ ჭიანჭველებს, შემდეგ თითოეულ მათგანს ქალის თმებით გამოკვანძავენ და ხეზე დაკიდებენ. თან ღმერთსა და ფეიხამბერებს წვიმის მოსვლას ევედრებიან. ქისტების რწმენით, ილიაზ ფეიხამბერი, იგივე ილია წინასწარმეტყველი, ითვლება წყლის და წვიმის მფარველ ფეიხამბერად. ელია-წვიმის მომყვანის რწმენა ქართული ხალხური ცნობიერებიდან იღებს სათავეს და ამ გზით უნდა იყოს შესული ქისტურ მისტერიებში. როგორც ცნობილია, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში წვიმის მოსაყვანად დღემდე იმართება „ლაზარობისა“ და „ელიაობის“ სახელით ცნობილი რიტუალები. ქართული ხალხური ტექსტების მიხედვითაც, ამინდის მფარველ წმინდანად ილია წინასწარმეტყველი ითვლება. გარდა ამისა, შესაძლებელია, ვაინასხებში ჭექა-ქუხილის ღვთაების აღმნიშვნელი ტერმინი „სიელა“ ქართული ელიას გავლენითაც იყოს დამკვიდრებული.

პანკისელი ქისტების ფოლკლორი მდიდარია შელოცვებითა და სხვა მაგიური ზეპირი ძეგლებით. ეს ტექსტები, რომლებიც საიდუმლო ცოდნის სფეროს განეკუთვნება, ძნელი მოსაპოვებელია. მთქმელები შიშობენ, რომ მათ მიერ წარმოთქმული ტექსტი დაკარგავს სიტყვის მაგიურ ძალას და ამიტომაც შელოცვებს ისინი ხშირად ჩურჩულითა და ბუტბუტით ასრულებენ. შელოცვები და სხვა მაგიური ზეპირსიტყვიერი ტექსტები, როგორც წესი, დიდი მხატვრული ღირებულებით არ გამოიჩინიან და არც ესთეტიკური ფუნქცია გააჩინიათ. თუმცა ამ ძეგლებიდან,

რომლებიც გარკვეულ საგნებსა და ძალებზე ზემოქმედების საიდუმლო ცოდნას შეიცავენ, ჩვენ ვეცნობით ქისტურ რწმენა-ნარმოდგენებში სხვადასხვა დანიშნულებისა და სხვადასხვა ეპოქის სარწმუნოებრივ დანაშრევებს, ვარკვევთ ქართულ მი-თოსურ ცნობიერებასთან მის კავშირსა და ურთიერთგავლენას.

## პანკისის განძის ანდრეზი

პანკისელთა ზეპირსიტყვიერებაში მეტად პოპულარულია ანდრეზი თორლვას ციხის განძისა და მისი მცველი დემონის შესახებ.

თორლვას ციხის თქმულება მსოფლიო ეპოსისთვის კარგად ცნობილ განძისა და მისი მცველი დემონის საინტერესო სიუჟეტს იმეორებს. გარდა ამისა, მას საგულისხმო ანალოგიები მოეძებ-ნება ქართველთა პირველი მეფის – ფარნავაზის მითოსურ თავ-გადასავალთან.

თორლვას ციხე, მეცნიერებაში საყოველთაოდ გაზიარებული აზრის თანახმად, შუა საუკუნეებში პანკისის ერისთავთა რეზი-დენციას წარმოადგენდა. იგი პანკისის ხეობის აღმოსავლეთით, სოფელ ხალანის თავზე, სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ადგილზე აუგიათ.

ციხე-სიმაგრეს, რომელიც შთამბეჭდავი სიმაღლიდან პან-კის-მაჭარეულის ხეობებს გადმოჰყურებს, ალაზნის ხეობიდან ჩრდილოეთ კავკასიაში გადასასვლელი გზების გაკონტროლე-ბისა და მისი თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების ფუნქცია ენიჭებოდა.

ციხე-სიმაგრის სახელწოდება მე-13 საუკუნის პანკისის ცნობილ ერისთავს, საქართველოში მონღოლთა ბატონობის პე-რიოდის მოღვაწეს – თორლვას უკავშირდება. ქართულ ზეპირსი-ტყვიერებაში საგმირო ლექსების მთელი ციკლი ეძღვნება თორ-ლვას. ზოგიერთი მკვლევარი ხალხური ლექსების გმირ თორ-ლვასა და პანკისის ერისთავ თორლვას შორის საგულისხმო კავ-შირს ხედავს [59]. თორლვა პანკელი „ქართლის ცხოვრების“ ქრონიკებიდან თავისი ბობოქარი, მაგრამ იდუმალებით მოცული თავგადასასვლით იქცევს ჩვენს ყურადღებას. ჯერ იყო და მონ-

ღოლთა წინააღმდეგ კოხტაგორის შეთქმულებაში მიიღო მონაწილეობა, მერე ხელისუფლებას განუდგა და პანკისის საერისთავოს დაუმორჩილებლობა გამოაცხადა. ზოგიერთი ცნობით, მონღოლი დედოფლის, ჯიქთა ხათუნისა და მესტუმრე ჯიქურის ბრძანებით კლდიდან ისროლეს და მოკლეს [93. 231].

პანკისის ერისთავის ცხოვრების მიმართ საიდუმლოებრივ დამოკიდებულებას ისიც აძლიერებს, რომ თორლვა პანკელის მკვლელობის ყველა მონაწილესა თუ ორგანიზაციორს ღვთის საშინელი რისხვა დაატყვდა თავს.

პანკისის ციხესიმაგრეს შუა საუკუნეების მრავალი იდუმალი მკვლელობა, სისხლისმღვრელი ბრძოლა და ფეოდალური ინტრიგა უკავშირდება. ამ მიზეზებმა განაპირობა თორლვას ციხესიმაგრის შესახებ მითოლოგიური გადმოცემების წარმოშობა.

რას მოგვითხრობს მითი პანკისის განძის შესახებ?

ერთი მონადირე მთელი დღე პანკისის ტყეებში დაეხეტებოდა. ხელმოცარული შინ დაბრუნებას აპირებდა, როცა საოცრად ლამაზმა ირემმა გადაურბინა. მონადირემ სტყორცნა ისარი და დაჭრა ირემი. მაგრამ დაჭრილი ცხოველი გაჰქიცევია და მონადირეც სისხლის კვალს გაჰყოლია. ირემი თორლვას ციხეგალაგანში შესულა და უეცრად კვალიც დაკარგულა. მონადირეს უძებნია და ამ ძებნაში ნანგრევებთან ძველი გვირაბით ქვემოთ ჩასულა და იქ, სარდაფის მსგავს ბნელ ოთახში, მოხვედრილა. დაჭრილი ნადირი ვერ უპოვნია. სიბნელეში ხეტიალის დროს რაღაც უცნაურ საგანს შესჯახებია. დააკვირდა და რას ხედავს, სულ ოქრო და ძვირფასი თვლებია. განძის ნახვით გაოგნებული დახრილა და რამდენიმე ბლუჯა ოქრო გუდაში ჩაუყრია. წამოდგომისას ზემოთ ამოუხედავს და მოულოდნებლობისგან კინაღამ გაგიუბულა. თავზე გველი თუ საშინელი გარეგნობის ხმალამოწვდილი გოლიათი წამოსდგომოდა. მონადირეს ერთი შეულრიალია და შიშისგან თმააბურძგნული იქით გაქცეულა, საითაც გასასვლელი ეგულებოდა. მაგრამ თურმე უარესი განსაცდელი ელოდა: ახლა ხანჯლისფრთხებიანი, ვეებერთელა, რაღაც არწივის მსგავსი ფრინველი თუ გველი მისკენ სისინითა და უღარუნით გამოქანებულა. კაცს გუდა დაუგდია, პირჯვარი გადაუწერია, ღმერთი უხსესებია და გასასვლელიც გამოჩენილა. დაზაფრული და ელდანაკურავი მონადირე კიბეებზე ოთხით ამოსულა. სამშვიდობოს რომ გამოუღწევია, ჩასასვლელიც გამ-

ქრალა. ამის გამო ჩვენში ამბობენ: „თუ განდი თვითონ არ გეძლევის, არც შენ შეგერგება და არც შენს გვარსო“ [30. №30014].

ხალხური ეპოსის სიუჟეტში მონადირის მიერ დაჭრილი ირმის დევნისა და მათ იდუმალ სამყაროში მოხვედრის მოტივი მოქმედების ექსპრესიული განვითარების ერთ-ერთ ცნობილ მხატვრულ ხერხს წარმოადგენს. იგი მსმენელსა თუ მკითხველს უწევებულო და მისტიური თავგადასავლების მოლოდინით განაწყობს. მონადირე ხალხურ ტექსტებში იდუმალ სამყაროში შეღწევის უნარით არის დაჯილდოვებული. თქმულებაში მოხსენებული განდი შესაძლოა თორლვას ციხესთან დაკავშირებულ რომელიმე ისტორიულ მოვლენას ასახავდეს. მართლაც, ცნობილია, რომ მე-16-17 საუკუნეებში თორლვას ციხე კახეთის მეფეების განძთსაფარს წარმოადგენდა.

მე-17 საუკუნის სპარსელი ისტორიკოსის ისქანდერ მუნშის ცნობით, შაჰ-აბასის ერთ-ერთი ლაშქრობის მიზანი თორლვას ციხეში შეფარებული კახეთის მეფის თეიმურაზ პირველის შეპყრობა და იქ გადამალული სამეფო საგანძუროს დაუფლება იყო [61. 86]. როგორც ჩანს, ქართველებმა ციხე-სიმაგრიდან განძის გატანა ვერ მოასწრეს და დამპყრობლებს ხელში დიდალი საგანძურო ჩავარდნიათ. შაჰ-აბას პირველის ლაშქრობის მონაწილე ისქანდერ მუნში წერს: „ციხის ალაფში იყო, სხვათა შორის, ძვირფასი თვლებით მოოჭვილი, მარგალიტებით და იაგუნდით შემკული ერთი გვირგვინი, რომლითაც შეიხი და მეთაური ქრისტიანებისა, ალავერდის ეკლესიის წინამძღვარი, ქრისტიანების წმინდა დღეებსა და დიდ დღესასწაულებზე თავს შეიმკობს ხოლმე. იგი ხსენებულ ტაძარში ქრისტიანთა რჯულის წესით სწირავს და მასთან ქრისტიანები წარმატებას და კურთხევას ეძიებენ. იუველირებმა ის ხუთას შაჰურ ერაყულ თუმნად შეაფასეს“ [61. 86].

ისქანდერ მუნში იმასაც გვაცნობებს, რომ შაჰ-აბასმა „საქართველოში აღებული დავლიდან ძვირფასი თვლებით შემკული გვირგვინი, რომელიც თარაღას ციხეში ხაუვარდათ ყიზილბაშებს და სხვა საჩუქრებთან და მისართმეველთან ერთად თურქეთის სულთანს გაუგზავნა“ [61. 86].

ადსანიშნავია, რომ კახეთის მეფეებს თორლვას ციხეში სასტიკი საპყრობილე ჰქონდათ მოწყობილი. იქ, როგორც წესი, სახელმწიფოსთვის განსაკუთრებით საშიშ დამნაშავეებს ამ-

წყვდევდნენ. მე-16 საუკუნის ბოლოს, ექვსი თვის მანძილზე, თორლვას ციხის საპყრობილები იტანჯებოდა კახელი უფლის-ნული გიორგი [93. 382]. მანამდე კი მისმა მამამ, ალექსანდრე მეორემ (1578–1605) თორლვას ციხესთან გამართულ ბრძოლაში თავისი ნახევარძმები, ელიმირზონ და ხოსრო-მირზა, დაამარცხა და ძმისწულებთან ერთად სიკვდილით დასაჯა [93. 515].

თორლვას ციხის განძისა და მისი მცველი დემონის ანდრეზი რომელიღაც ისტორიული მოვლენის გამითიურებულ ვერსიას უნდა წარმოადგენდეს.

თორლვას ციხის განძის ანდრეზის პირველი ნაწილი თითქმის ფარნავაზის ნადირობის ისტორიას იმეორებს.

დაჭრილმა ირემმა ორივე მონადირე განძთან მიიყვანა.

ირემი და განძი მითოლოგიური სიმბოლოებია.

ირემი თავისი ცისკენ აპყრობილი რქებით სკნელთა დამა-კავშირებელი სიმბოლოა. ქართულ ზღაპარში „მიწა თავისას მო-ითხოვს“ მარადიული სიცოცხლის მაძიებელი ჭაბუკი ხვდება ირემს, რომლის რქებიც ცას სწვდება.

დაჭრილი ირემი ფარნავაზსაც და პანკისელ მონადირესაც მისტიურ სამყაროში ჩამალულ განძთან აკავშირებს. ზ. კიკანაძის აზრით, „ფარნავაზი ვერ მიაგნებდა განძს, თუ ერთი გარემოება არა: მზემ არა მხოლოდ იხსნა ფარნავაზი, არამედ, მზის ცვარის ცხებით თავის ბუნებას აზიარა“ [35. 116]. მზემ სიზმარში, ხოლო ირემმა და ოქრომ ცხადში ფარნავაზი მეფობას აზიარა.

განძი არ არის ტყვეობაში. ის მხოლოდ საფარველშია. მას დემონი იცავს და არა ატყვევებს. მაგრამ განძი მპოვნელს ყო-ველთვის როდი ეკუთვნის. პანკისური გადმოცემა გვაფრთხი-ლებს: „თუ განძი თვითონ არ გეძლევის, არც შენ შეგერგება და არც შენს გვარს“ [30. №30014].

პანკისელი მონადირისა და თორლვას ციხის განძის თქმუ-ლების მეორე ნაწილის ანალოგიურ მოტივს ვხვდებით კ. გ. იუნ-გის მიერ გამოქვეყნებულ სიზმრებში. ერთ-ერთ მითოლოგიურ სიზმარში გვხვდება სიუჟეტი ესპანეთის ქალაქ ტოლედოს დიდი საყდრის ქვეშ ჩამარხული განძის შესახებ: „ტოლედოს დიდი საყდრის ქვეშ წყლით სავსე დარანია, რომელიც მიწის ქვეშ მდინარე ტახოს უკავშირდება, ქალაქს რომ გარს ერტყმის. ეს დარანი პატარა ჩაბნელებული ალაგია. წყალში ვეებერთელა გველია, რომელსაც თვალები ძვირფასი ქვებით უბრნყინავს.

იქვე მახლობლად ოქროს თასია, რომელშიც ოქროსავე ხანჯალი დევს. ეს ხანჯალი ტოლედოს გასაღებია, და მისი მფლობელი ქალაქის ბატონ-პატრონია... იქ ჩასულს თავზიარდამცემი გველის წინაშე თავდაჭერა ღალატობს, ტკივილითა და შიშით შე-პყრობილი, შეჰყვირებს და ისევ მაღლა მიცოცავს, ისე რომ ხანჯალი არ აუღია. ამიტომ ის ტოლედოს ვერ დაიკავებს“ [32. 140].

სილრმეში ჩამარხულ განძს უმრავლეს შემთხვევაში გველი ან დრაკონი იცავს. განძი ძალზე იდუმალი ბუნებისაა. იუნგის მიერ გამოქვეყნებულ სიზმარში განძი ოქროს თასია შიგ მოთავსებული ხანჯლითურთ. იუნგის აზრით, განძის ხელში ჩასაგდებად დრაკონი უნდა დამარცხდეს [32. 145]. მაგრამ განძი მპოვნელს ყოველთვის როდი ეკუთვნის. ქართველთა პირველ მეფეს, ფარნავაზს, ჰქონდა ხილვა, ჰქონდა კურთხევა. ის არ არის უზურპატორი. ფარნავაზი სამეფოდ იყო განწესებული და, როგორც კანონიერი მფლობელი, ზ. კიკანაძის აზრით, ღვთიურ ძალთა ნებითა და დასტურით ეპატრონება საგანძურს. განძი ქურდსა და მპარავს რომ არ ჩაუვარდეს ხელში, მას საფარველი ადევს და დემონი იცავს.

თორლვას ციხის განძის მპოვნელი დაჯილდოვებულია იდუმალების სამყაროში შელწევის ისეთივე უნარით, როგორც ის პანკისელი მონადირე, რომელმაც, თქმულების მიხედვით, საყორნის მთაზე, გამოქვაბულში, ნახა მიჯაჭვული ამირანი [129. 47-49]. თუმცა მონადირე ყოველთვის როდი აღწევს მიზანს: სურვილისა და მცდელობის მიუხედავად, პანკისელი მონადირე ვერ ათავისუფლებს ამირანს, ვერც თორლვას ციხის ქვეშ ჩამარხულ ოქროს ეუფლება იგი, რადგან არც ერთს ჰქონდა მიჯაჭვული ამირანის ხსნისა და არც მეორეს – ნაპოვნი განძის დაუფლების კურთხევა.

## **პანკისელი ქისტების სამგლოვიარო ტექსტები და რიტუალები**

დროთა განმავლობაში პანკისელი ქისტების ყოფაში გლოვის მრავალფეროვანი წესები და ტრადიციები ჩამოყალიბდა. პანკისელი ქისტების სამგლოვიარო ტექსტებისა და რიტუალების მრავალფეროვნება ძირითადად მაპმადიანური და ქრისტიანული რელიგიური წარმოდგენების სინკრეტიზმა, მიგრაციულმა პრო-

ცესებმა და ქართული კულტურის ძლიერმა გავლენამ განაპირობა.

გლოვა მიცვალებულის გაპატიოსნების ერთ-ერთი აუცილებელი თანმხლები ატრიბუტია. პანკისელ ქისტებში ადამიანის სიკვდილით გამოწვეული გლოვა შედგება სხვადასხვა ყოფითი პლასტებისაგან, რომელთა შორის საყურადღებოა გლოვის სიტყვიერი გამოთქმები: ხმით დატირება ანუ ექლხარ, ბუხაზ, მისამძიმრება – ქრდამბარ, მიცვალებულის სულის სამწყალობნოდ ღვთისადმი აღვლენილი საგალობლები – ნააზმ, ძიქარი, აგრეთვე ეპიტაფიები და სხვ.

მიცვალებულს ქისტები ერთი ან ორი დღე-დამის განმავლობაში სახლში, მისთვის საგანგებოდ გამოყოფილ დიდ ოთახში ათავსებენ, სადაც ჭირისუფლები და სამძიმრის სათქმელად მოსული მოტირალი ქალები სხდებიან. მიცვალებულს ოთახის შუაგულში წინასწარ მომზადებულ ხალიჩით დაფარულ ტახტზე ასვენებენ. მიცვალებულსაც ზემოდან სუდარას აფარებენ. ამ ბოლო დროს, რაც პანკისელ ქისტებში ისლამი გაძლიერდა, მიზანშეწონილი გახდა მწვანე სუდარა.

ტახტის გარშემო რამდენიმე მწკრივად შემორიგებული არის სკამები. წინა რიგში ძირითადად ჭირისუფლები სხდებიან, ხოლო მომდევნო რიგებს ნათესავები და სამძიმრის სათქმელად მისული ქალები იკავებენ.

მიცვალებულის ახლობლები იცვამენ შავებს. წინათ შავებს ჩეჩენეთ-ინგუშეთშიც ატარებდნენ. პანკისელი ქისტები გლოვის ნიშნად შავ ტანსაცმელს იცვამდნენ როგორც მეფის რუსეთის, ისე საბჭოთა მმართველობის პერიოდში. ზოგიერთები, განსაკუთრებით შვილმკვდარი დედები, შავებს სიკვდილამდეც ატარებენ. ისევე როგორც ქართველებში, ქისტებშიც შავების ჩაცმა უმეტესად მიღებული იყო ერთ წლამდე. ზოგიერთები შავებს ორმოცამდე ატარებენ, ზოგიც 5–10 წლის განმავლობაში. ეს დამოკიდებულია სიკვდილის მოტივზე, მიცვალებულის ასაკზე, ავტორიტეტსა და ჭირისუფალთან მის ურთიერთობაზე. შავების ჩაცმას ქისტურად „ერჯა ბუხაზ“ ჰქვია. თუმცა ამ ბოლო დროს, პანკისის ხეობაში ჩეჩენი ლტოლვილების შემოსვლისა და მაჰმადიანური რწმენის გაძლიერების შემდეგ მიცვალებულზე შავებს თითქმის აღარ იცვამენ.

ქისტები, ისევე როგორც ქართველები, მიცვალებულს დღი-სით დასტირიან. მზის ჩასვლის შემდეგ ტირილი აღარ შეიძლება, ამბობენ, – მიცვალებულის სული წუხდება. თუ დასაქორნი-ნებელი ვაჟი გარდაიცვალა და ოჯახი უძეოდ დარჩა, მაშინ ახლობლები თავს ვეღარ იკავებენ და ღამითაც ტირიან უდროოდ დაღუპულს, მის განვლილ დღეებსა და მწარე ხვედრზე გოდებენ.

ღამით მიცვალებულს დასამარხავად ამზადებენ. გამთენი-ისას, სანამ ციდან ცისკრის ვარსკვლავი გაქრება, მიცვალებულს სპეციალურ ტახტზე აპანავებენ. გასაპანებელი ტახტი, ისევე როგორც მიცვალებულის საფლავზე გადასასავენებელი საკაცე – ლაამი, ხორცის მოსახარში ქვაბები და საქელებო ჭურჭელი, მთელი სოფლის საკუთრებაა და ჭირისუფალი მასში ფულს არ იხდის. ეს ნივთები სპეციალურ ფარდულში ინახება. ზოგჯერ ეს ნაგებობა სასაფლაოზეა.

გარდაცვლილ მამაკაცს მამაკაცები აბანავებენ, ხოლო ქალს – ქალები. მიცვალებულის გაბანვა და შემოსვა რიტუალური ხასიათისაა და მას ტრადიციების მცოდნე მორნმუნე მაჰმა-დიანები ასრულებენ. მიცვალებულის გაბანვისა და შემოსვი-სათვის ჭირისუფლები მათ გარკვეულ გასამრჯელოს უხდიან. მიცვალებულისთვის ტანსაცმლის შეკერვა – მომზადება მორ-ნმუნე ქალების წინამდლოლს, თამდას ევალება. 2004 წელს ამ საქმეს სოფელ ჯოვოლოში 72 წლის ძარღო ბათაკას ასული ბალაკაშვილი უძღვებოდა. „ყველაზე კარგად მე ვიცოდი მიც-ვალებულისთვის წესის აგება და ჩემზე უფროსმა, დედის, ბებიის ტოლმა ქალებმა დამაკისრეს ამ რიტუალის შესრულება“. – მითხრა ძარღო ბალაკაშვილმა.

სოფელ დუისში მიცვალებულის გაპატიოსნებას ალცანეი ხანგოშვილი ხელმძღვანელობს.

მიცვალებულის გასაპატიოსნებლად და მისთვის ტანსაც-მლის შესაკერად ოჯახის წევრები ყიდულობენ პირსახოცს, საპონს, მიტკალს, მაკრატელს, ნემსს, ძაფს, ბამბას, სუნამოს, აბრეშუმის თოკსა და სურას თეთრი ზონარით.

სასუდარე მიტკალი თეთრი, ყვითელი ან მწვანე ფერისაა. მიცვალებულს ესაჭიროება 30 მეტრი მიტკალი. მიტკლისაგან იკერება მადლიანი პერანგი – მეტყველები, საცვლები, ჩალმა – თურჩ და წინდები. მადლიანი პერანგი თავის გასაყოფად მხო-ლოდ შუა ადგილზე არის ჩაჭრილი და სახელოები არ უკეთდება.

დანარჩენ სამოსს ჩვეულებრივ კერავენ. წინდის წვერები და ქუსლიც ღია უნდა იყოს. ზოგიერთ ქისტს ეს ნივთები წინასწარ აქვს მომზადებული და აღსასრული დღისთვის განსაკუთრებულ ადგილზე ინახავს.

მიცვალებულს თბილი წყლითა და საპირო პანენ, თმასა და წვერს პარსავენ და პირსახოცით ამშრალებენ. მას სახეზე, იღლიებსა და თითებს შუა ბამბას უდებენ, ცხვირსა და ყურებს ბამბით უვსებენ. შემდეგ აცმევენ გამზადებულ მიტკლის ტანსაცმელს: სამადლო კაბას, საცვლებს, წინდებსა და ჩალმას, ხოლო ქალებს თავშალს აფარებენ. ბოლოს ტანზე, თავიდან ფეხებამდე, მთელ სიგრძეზე შემოახვევენ სუდარას (ზერჩ). თავთან და ფეხებთან სუდარას აბრეშუმის ზონარით კრავენ. ამის შემდეგ მიცვალებულის სახის გამოჩენა აღარ შეიძლება.

დილიდან ჭირისუფლის ნათესავები, ახლობლები და მეზობლები იწყებენ მიცვალებულის ქელებისათვის სამზადისს. ქალები პურს აცხობენ, კაცები საკლავს ხოცავენ, ხორცს ჭრიან და მოსახარშად დიდი ქვაბით ცეცხლზე დგამენ. ქელებში დასაკლავი საქონლის რაოდენობას მოლები განსაზღვრავენ. მოლებს აქვთ ცნობები ჭირისუფლის ოჯახის მატერიალური მდგომარეობისა თუ ფინანსური საშუალების შესახებ და ამის მიხედვით გეგმავენ საკლავის რაოდენობას. არიან ისეთებიც, რომლებიც ყურს არ უგდებენ მოლების რჩევას და თვითონ განსაზღვრავენ, თუ როგორი პატივი უნდა სცენ თავიანთ მიცვალებულს. ასეთ შემთხვევაში შეიძლება განაწყენებული მოლები არც მივიღენ დაკრძალვაზე. ამიტომ ოჯახის უფროსი იძულებული ხდება სხვა სოფლიდან მოიყვანოს მოლები. ქელებში პანკისელი ქისტები ძირითადად ხოცავენ სამ დიდ საკლავს, ცხვარს კი დაკრძალვის წინა საღამოს კლავენ და მეორე დილით მთლიანად მოხარმულს თავისივე წვნით მესაფლავებს სასაფლაოზე უგზავნიან.

საფლავის გასაჭრელად მესაფლავები მიცვალებულის დაკრძალვის დღეს, დილით მიდიან. უფრო ზუსტად მაშინ, როგორც ქისტები იტყვიან, როცა მზე ერთი-ორი თოკის დადებაზე ამოვა - „ცრა-ში ქორც ტიერგ იღლალ მალხ ხალ ბელჩა“.

პანკისელი ქისტები მიცვალებულის ქელებში სტუმრებს არ ეპატიჟებიან. მიცვალებულის ოჯახში მიდის ყველა, ვისაც

მიესვლება, გული შესტკივა და ჭირისუფალთან მისამძიმრება უნდა.

დილიდანვე იწყება ხალხის ჯგუფ-ჯგუფად მისვლა სამძიმარზე. ეზოს ერთ კუთხეში, გამორჩეულ ადგილზე, სხედან ისლამის მიმდევარი მოხუცები, ყველანი ქუდებით, ზოგიერთს თავზე ფაფახი ახურავს. მათ შორის არის არაბულ ენაზე მაპ-მადიანური ლოცვის მცოდნე ხანდაზმული კაცი, ძირითადად მოლა, რომელსაც ჭირისუფლებისგან სამძიმრის მიღება აქვს მინდობილი. სამძიმარს ქისტურად ჰქვია ქოდამ, რომელიც შესაძლოა ქართული გოდებიდან მომდინარეობდეს (ქოდამ ← გოდამ ← გოდება).

სამძიმარზე მისული მამაკაცები ეზოში მოხუცი მოლების სიახლოვეს მიდიან. მათ შორის ყველაზე უფროსი ამბობს:

— ასაალამ ალეიქუმ!

შემდეგ ყველანი ფეხზე დგებიან და ლვთისადმი თხოვნის ნიშნად იდაყვებით ორივე ხელს გამოიშვერენ. ამასობაში სამძიმრის მიმღები მოლა არაბულ ენაზე წარმოთქვამს ლოცვას, უფალს მიცვალებულისთვის შენდობას სთხოვს და ევედრება სამოთხის ღირსი გახადოს. ამას ჰქვია დოკ. დანარჩენები, რომლებსაც ხელები აქვთ გამოშვერილი, ამბობენ: — ამინ, ამინ! მოლა რომ მორჩება დოკს, ამბობს სიტყვას — ფათიქა. ამის შემდეგ ზოგიერთი არაბულ ლოცვასაც დააყოლებს ხოლმე: ბისმილაჰი რაჰმანი, რაჰიმდა ა. შ.

ბოლოს სამძიმრის მიმღებს ეუბნებიან:

— დაალ გზეჩ დუაილა! — ღმერთმა აცხონოს, ღმერთმა შენდობა მისცეს, ღმერთმა აპატიოს! — დაალ გელცამან ღუალა! — ღმერთმა სამოთხეში ამყოფოს.

ალსანიშნავია, რომ ქისტებში „დაალ გზეჩ დუაილა-ს“ ამბობენ მხოლოდ მაშინ, თუ გარდაცვლილი მაჰმადიანია.

ამის შემდეგ სამძიმრის სათქმელად მოსული მამაკაცები უშუალოდ ჭირისუფალთან მიდიან თანაგრძნობის გამოსახატავად. ჭირისუფალი შეიძლება იყოს ერთი, ორი ან მეტი. ხშირად ჭირისუფალთა შორის დგას გვარის უფროსიც. ჭირისუფალი მამაკაცები დგანან ეზოში, სახლის კარებთან ან სახლის შესასვლელი კარების ახლოს.

სამძიმრის სათქმელად მოსულ მამაკაცთა შორის ყველაზე უფროსი ჭირისუფალს ეუბნება:

– მოულოდნელი უბედურება დაგატყდათ, ამ უბედურებამ ყველანი დაგვამწუხრა. ძნელი გადასატანია ეს მწუხარება. რას იზამთ, განგების საქმეა, ალბათ ასე ეწერა, ღმერთმა აცხონოს! კარგი კაცი იყო, დავრდომილსა და დაჩაგრულს ეხმარებოდა, ღმერთი სწამდა, ღმერთს ემორჩილებოდა. ღმერთს თავისთან ყოველთვის კარგი უნდა, რომ ჰყავდეს და ამიტომაც გამოარჩია ჩვენგან. თქვენი ვაჟიშვილის სახით ერთი ციხე-კოშკი დაგვენგრა, რომლის აშენებასაც საუკუნე სჭირდებოდა. ის თავისი სი-დიდითა და სიძლიერით აულებელი ციხესიმაგრე იყო. ქედს ვიხრით მისი კაცობის წინაშე. მიიღეთ ჩვენი სამძიმარი. ამ მწუხარე სამძიმრით გლოვის წილს ვიღებთ და გამშვიდებთ. ღმერთმა გიცხონოთ მკვდარი, მაღალი ღმერთი ყოფილიყოს მისი შემწე, რათა სამოთხის მასპინძლად გაიხადოს; თქვენ კი გმართებთ თავშეკავება და სიმტკიცე. თქვენმა უბედურებამ მთელი ხეობა დაამწუხრა. ღმერთმა დამრჩომი გიცოცხლოთ, დღეიდან სასიკეთო საქმეზე შევკრებილიყავით! დაალ სოობურ ლოუად შუმ! ღმერთმა აგატანიოთ!

ჭირისუფალი პასუხობს:

– ბარეალ! დევლ რეეზ ხილვ! გმადლობთ, დამშვიდდით, დიდი მადლობა მწუხარების გაზიარებისთვის, განა მარტო ჩვენ დაგვმართია ეს უბედურება; განა თქვენ შვილი არ გიყვარდათ, რომ გამოგეცალათ? თქვენც უნდა მოითმინოთ, აიტანოთ. დიდი მადლობა თანადგომისთვის. ეს პირველი შემთხვევა არ არის, განგების საქმეა, უნდა გავმაგრდეთ! – ამშვიდებს ჭირისუფალი სამძიმარზე მისულებს.

ქისტი მამაკაცები, როგორც წესი, მიცვალებულს არ ტირიან. ისინი იჩენენ განსაკუთრებულ თავშეკავებას.

სამძიმარზე მისული მამაკაცები მიცვალებულის ოთახში არ შედიან და თანაგრძნობის გამოხატვის შემდეგ იქვე ეზოში განაგრძობენ ერთმანეთში მასლაათს.

სამძიმრის სათქმელად მოსული ქალები მიცვალებულის ოთახში შედიან და ჭირისუფალ ქალებს უსამძიმრებენ. ჭირისუფლები, როგორც წესი, მადლობას ეუბნებიან თანაგრძნობისთვის და მოსულებს ამხნევებენ კიდეც.

ლ. მარგოშვილის ცნობით, „უნინ სატირალში შორიდან ჯგუფურად მომავალი ქალები მიცვალებულის სახლს რომ მიუახლოვდებოდნენ, თავზე მუშტებს წაიშენდნენ, თმებს გაინენავდნენ, ერთ-ერთი მათგანი მოთქმით დაიწყებდა ტირილს, დანარჩენები მას აჰყვებოდნენ და ზარს აძლევდნენ, ასე შედიოდნენ იმ ოთახში, სადაც მიცვალებული ესვენა“ [56. 196]. ქართველებისგან განსხვავებით, სამძიმარზე მისულმა ქისტებმა მიცვალებულის პატივსაცემად ყვავილებისა და ყვავილებისგან დაწნული გვირგვინების მიტანა არ იციან.

ქისტურად დატირებას ჰქვია ღელხარ. ღელხარ არის ერთი ქალის ტირილი, როცა მხოლოდ ერთი დასტირის მიცვალებულს. ქისტებმა იციან გუნდური მოთქმაც – ბუხაძ.

ქისტი ქალები, ხევსური ქალების მსგავსად, გარდაცვლილ ქმარს ხმით არ ტირიან. უფრო მეტიც, ხევსური ქალები არც დაღუპულ ვაჟზე გოდებენ. 6. ბალიაურის ცნობით, „ხევსურეთში დედა შვილზე არ ტირის, რადგან სირცხვილად ითვლება, ტირის მხოლოდ ის დედა, რომელიც ხმით მატირალია. ხმით მატირალი ყველაზე ტირის, როგორც ნათესავებზე ისე გარეშეზე: იგი პირველად ტირის მიცვალებულზე ან თავის ახლობელზე, ან ვინმე სხვაზე. ხალხი ამბობს, მკვდრები ატირებენ, საიქიოთ შეუთვლიან, განა თავისი ნებით ტირის? ასეთ მოტირალს ჰქვია ხმით მოტირალი“ [9. 44].

ქისტებში მიცვალებულს უფრო ახლო ნათესავები – დედა, დები, ქალიშვილები, რძლები – ტირიან მოთქმით, მაღალი ხმით ამბობენ გამოსამშვიდობებელ სიტყვებს. ერთი მოტირალი ხმამაღლა მოთქვამს, მის ტირილზე დანარჩენი მოტირლებიც აქვთითინდებიან და იქმნება „ზარი“. მოტირლები მონაცვლეობით ტირიან, ყოველი მოტირალი ქმნის ახალ, ორიგინალურ ტექსტს, რომელშიც ასახულია როგორც ახლობელი ადამიანის დაკარგვით გამოწვეული მწეხარება, ისე მისი წარმოდგენები საიქიოცხოვრებაზე, დამოკიდებულება მიცვალებულთან და სიკვდილ – სიცოცხლესთან. ისინი საიქიოს სამუდამო სამყოფად თვლიან. მათი შეხედულებით, ადამიანის მიერ ამქვეყნად გაცემული მადლი გარდაცვალების შემდეგ სახლიდან სასუფევლისაკენ მიმავალ გზაზე იქნება დაკიდებული. სასუფეველში შემავალ კართან კი ბეჭვის ხიდი დახვდებათ. მართლები სასუფეველში შეაბიჯებენ, ცოდვილნი კი ჯოჯოხეთის ცეცხლში დაიტანჯებიან.

როგორც ზ. კიკნაძე აღნიშნავს, „წუთისოფელში დაგროვილი ღირსებები საიქიოში საგზლად მიჰყვება ადამიანს და განსაზღვრავს იქ მის მდგომარეობას“ [38. 136].

თუ მაპმადიანურ რიტუალებს არ ჩავთვლით, ქისტური ნატირლები ძალიან ჰგავს თუშ-ფშავ-ხევსურულ დატირების ტექსტებს.

ქისტები, ისევე როგორც მათი მეზობელი მთიელები, ტირილის დროს ძირითადად მიცვალებულის ღირსებებს ჩამოთვლიან. მის საქმიანობაზე საუბრობები; თუ გარდაცვლილის სიკეთე ახსოვთ, აუცილებლად აღნიშნავენ. თუ მიცვალებული ახალგაზრდაა, ან უბედური შემთხვევით დაღუპული, უფრო ემოციურია ნატირალი.

დატირება ყოველთვის იმპროვიზაციულია. ამ დროს მოტირალი დამსწრე საზოგადოებას უზიარებს არა მხოლოდ თავის მწუხარებას და ურთიერთობას გარდაცვლილთან, არამედ გვიხსასიათებს მიცვალებულს, პოეტურად გადმოგვცემს მის ღირსებებს, წუთისოფელში განვლილ გზას.

ქისტი ქალის წარმოთქმულ ხმით ნატირალში გადმოცემულია როგორც პირადი სატკივარი, ისე საერთო მწუხარება და დამსწრე საზოგადოების განწყობილება. რამდენადაც გულში ჩამწვდომია მოტირალის სიტყვები, იმდენად ძლიერია ზარი და გლოვა. მოტირალთა რაოდენობა შეზღუდული არ არის. არც ნატირალის მოცულობაა განსაზღვრული. ტირის ყველა, ვისაც ეტირება და შეუძლია წარმოთქვას ნატირალი. ხმით ნატირალი ტექსტი ერთხელ წარმოითქმის, კონკრეტულ მიცვალებულთან და სხვაგან ის აღარ მეორდება. თუმცა კარგ ნატირალს ხალხის მეხსიერება ინახავს. მოტირალი წინასწარი მოფიქრებისა და მომზადების გარეშე მიცვალებულის ცხედართან ქმნის სამგლოვიარო ტექსტს. ჭირისუფალთან თანაგრძნობის სათქმელად მოსული საზოგადოებაც მონაწილეობს ნატირალის შექმნაში, მათ მიერ შექმნილი ემოციური გარემო კიდევ უფრო მძაფრ იმპულსს აძლევს მოტირალს ახალი ლამაზი სიტყვების წარმოსათქმელად. აი, ასეთ გარემოში იქმნება ქისტური ხალხური სამგლოვიარო პოეზიის ნიმუშები. ეს ტექსტები სრულყოფილი პოეტური ძეგლებია, რომლებიც მსმენელზე ძლიერ ემოციურ ზემოქმედებას ახდენენ.

ქისტური ხმით ნატირალის სტრუქტურა ტრადიციას ემყარება. მასში გვხვდება ისეთი მყარი გამოთქმები, რომელიც მრავალ ნატირალში მეორდება. ერთნაირი ფორმებით გამეორება უმთავრესად რეფრენის ფუნქციას ასრულებს. მაგალითად, თუ და ტირის გარდაცვლილ ძმას, ხშირად იმეორებს: – „ნანას ინარგ დალაპ“, – დედის გაჩენილი მოგიკვდესო, ან – „ჯუც ინარგ დალაპ“ – შენთან ერთად გაჩენილი მოგიკვდესო, ან კიდევ მოკლედ მიმართავს: – „ოოშ დალაპ“ – და მოგიკვდესო. თუ რეფრენად რომელ გამოთქმას გამოიყენებს მოტირალი, დამოკიდებულია ნატირალის სტრიქონთა რიტმულ აღნაგობასა და მასში მარცვალთა რაოდენობაზე. თუ შვილი ტირის გარდაცვლილ მშობელს, ამბობს: – „ვა ინარგ დალაპ“, შენი გაჩენილი მოგიკვდესო. „დალუპულ შვილზე მოტირალი დედა კი იმეორებს სიტყვებს: – „ნანა დალაპ! ან „ვა ნაან დალარგ“ – დედა მოგიკვდესო!

